
50
ERIC MARIA REMARQUE
ტრიუმფალური
თაღი
FB.COM/GROUPS/ELLIB

# ტრიუმფალური თაღი

ერიხ მარია რემერკი

## თავი პირველი

ქალი პირდაპირ რავიკისკენ მიეშურებოდა სწრაფად, მაგრამ უცნაური ტორტმანით. რავიკმა იგი მხოლოდ მაშინ შენიშნა, როცა მის პირდაპირ აღმოჩნდა. ქალს ფერმკრთალი, მაღალყვრიმალებიანი სახე და ღრმად ჩამჯდარი თვალები ჰქონდა. ფარნის მკრთალ შუქზე რავიკმა მისი გაქვავებული, ნიღბის მსგავსი სახე დალანდა. ეტყობოდა, დიდი უბედურება დასტეხოდა თავს, რადგან, ილაჯგაწყვეტილს, ისეთი არაფრის მთქმელი თვალები ჰქონდა, რომ რავიკი უნებურად შეცბა.

ქალმა ისე ახლოს ჩაუარა, ლამის სამოსის კალთით შეეხო. რავიკმა იდაყვში წაავლო ხელი. ქალი წაბარბაცდა, ალბათ, წაიქცეოდა კიდევაც, რომ არ მიშველებოდა.

რავიკმა ხელი მაგრად მოუჭირა.

- საით მიბრძანდებით? - ჰკითხა შეყოვნების შემდეგ.

ქალმა თვალი თვალში გაუყარა.

- გამიშვით! - თქვა ჩურჩულით.

რავიკმა არაფერი უპასუხა, არც ხელი გაუშვა.

- გამიშვით-მეთქი! რა არის ეს? - ქალი ძლივს ამოძრავებდა ტუჩებს. თითქოს ვერ ხედავდა; სადღაც იქით, ღამის წყვდიადისათვის მიეპყრო მზერა; იდგა და მონუსხულივით იმეორებდა: - გამიშვით! გამიშვით!

რავიკმა გაიფიქრა, არც მეძავია და არც მთვრალიო. თითები ოდნავ გაშალა. ქალს ეს არც შეუნიშნავს, ისევ ისე იდგა, თუმცა ადვილად შეეძლო ხელიდან გასხლტომოდა.

რავიკმა ცოტა ხანს შეიცადა.

- სად მიდიხართ ამ ღამეში, მარტოდმარტო, ასეთ დროს, პარიზში? - ერთხელ კიდევ ჰკითხა მშვიდად და ხელი გაუშვა.

ქალი ხმას არ იღებდა, მაგრამ ადგილიდანაც არ იძვროდა. თითქოს, რაკი შეჩერდა, გზის გაგრძელების თავი აღარ აქვსო.

რავიკი ხიდის მოაჯირს მიეყრდნო. ხელებით სველ, ნასვრეტებიან ქვას შეეხო, სიცივე შეიგრძნო.

- იქით ხომ არა? - უთხრა და თავით ანიშნა დაბლა, სადაც სენა რუხი მოლივლივე ტალღების ციაგით მიედინებოდა და ალმას ხიდის ჩრდილს აწყდებოდა.

ქალი დუმდა.

- მეტისმეტად ადრეა, - უთხრა რავიკმა. - მეტისმეტად ადრეა და თანაც ძალზე ცივა, ნოემბერია.

სიგარეტის კოლოფი და ასანთი ამოიღო. მუყაოს კოლოფში სულ ორი ღერი აღმოჩნდა. რავიკი დაიხარა, ალი ხელისგულებით დაფარა, რომ მდინარიდან მონაბერ ნიავს არ ჩაექრო.

- მეც მომეცით სიგარეტი, - ძლივსგასაგონად წარმოთქვა ქალმა.

რავიკი გასწორდა და კოლოფი უჩვენა.

- ალჟირულია, შავი თამბაქო. ასეთ თამბაქოს უცხოეთის ლეგიონის ჯარისკაცები ეწევიან. ვშიშობ, თქვენთვის მეტისმეტად მაგარია. სხვა არ მაქვს.

ქალმა თავი გააქნია და სიგარეტი აიღო. რავიკმა ანთებული ასანთი გაუწოდა. ქალმა რამდენჯერმე ღრმა ნაფაზით მოსწია. რავიკმა ასანთი მოაჯირიდან გადაისროლა. პატარა მოწყვეტილი ვარსკვლავივით გადაიქროლა ანთებულმა ასანთის ღერმა, წყვდიადი გადასერა და, წყალს რომ მიაღწია, ჩაქრა.

ხიდზე ნელა შემოსრიალდა ტაქსი. მძღოლმა მანქანა გააჩერა, მათკენ გამოიხედა, ცოტა ხანს შეჩერდა, მერე ისევ დაიძრა და გეორგ მეხუთის სახელობის სველსა და ბნელში მოზიმზიმე გამზირს აუყვა.

უეცრად რავიკმა საოცარი დაღლილობა იგრძნო. მთელი დღე თავაუღებლად იმუშავა და შინ მისულს ძილი არ მოეკიდა. მაშინ ქუჩაში გამოვიდა, რამეს დავლევო. ახლა კი, გვიანი ღამის ამ ძენძეხში, დაღლილობამ თავი შეახსენა.

რავიკმა ქალს გადახედა. რისთვის გააჩერა? აშკარაა, რაღაც უბედურება დასტეხოდა თავს. მაგრამ მას რა ესაქმება? განა სხვა დროს არ შეხვედრია სასოწარკვეთილი ქალები? მეტადრე ღამით, ისიც პარიზში... ახლა მას მხოლოდ ერთი რამ უნდოდა, ძილი.

- წადით შინ, - უთხრა რავიკმა ქალს. - რა უნდა აკეთოთ ამ დროს აქ? რაიმე უსიამოვნებას გადაეყრებით.

საყელო აიწია, წასვლა დააპირა. ქალი გაოგნებული შესცქეროდა.

- შინ? - გაიმეორა.

რავიკმა მხრები აიჩეჩა.

fb.com/groups/elib

- შინ, თქვენს ბინაში, სასტუმროში - საითაც გნებავთ. ხომ არ გინდათ, პოლიციაში მოხვდეთ?

- სასტუმროში! ო, ღმერთო! - ჩაილაპარაკა ქალმა.

რავიკი შეჩერდა. ე.ი. წასასვლელი არ აქვსო, გაიფიქრა. ეს უნდა მოესაზრებინა. მუდამ ერთი და იგივე ხდება. ღამით არ იციან, საით წავიდნენ, დილით კი ქრებიან უმალ, ვიდრე გაგეღვიძება. დილაობით რატომღაც იციან, საით აქვთ წასასვლელი. მარადიული იაფფასიანი სასოწარკვეთილება ღამის წყვდიადის სასოწარკვეთილებაა, რომელიც სიბნელეს მოსდევს და მასვე მიჰყვება. რავიკმა სიგარეტის ნამწვი გადააგდო. განა თვითონვე ყელამდე სავსე არ არის ყოველივე ამით?

- სადმე შევიდეთ, ჭიქა არაყი გადავკრათ, - უთხრა ქალს.

ეს ყველაზე უბრალო გამოსავალია - გადაიხდი და წახვალ, მერე თვითონ მიხედოს თავს.

ქალმა გაუბედავად გადადგა ნაბიჯი და წაიბორძიკა. რავიკმა ხელი მიაშველა.

- დაიღალეთ? - ჰკითხა.

- არ ვიცი. ალბათ.

- იმდენად, რომ დაძინება არ შეგიძლიათ?

ქალმა თავი დააქნია.

- ხდება ხოლმე. წამობრძანდით. გაგაცილებთ.

მარსოს ავენიუს გაუყვნენ. ქალი მძიმედ ეყრდნობოდა რავიკის მკლავს, თითქოს ეშინოდა, არ დავეცეო.

პეტრე სერბიელის ავენიუც გადაჭრეს. შაიოს ქუჩის გადაკვეთაზე, წვიმიანი ცის ფონზე ბნელი, ბუმბერაზი ტრიუმფალური თაღის ბუნდოვანი მოხაზულობა აღიმართა.

რავიკმა სარდაფის განათებული, ვიწრო შესასვლელი აჩვენა.

- შევიდეთ... იქ რაიმე მოიძებნება.

ეს იყო მძღოლების სამიკიტნო. პატარა მაგიდებთან რამდენიმე ტაქსის მძღოლი და ორი მეძავი ქალი ისხდნენ. კაცები ბანქოს თამაშობდნენ, მეძავები აბსენტს სვამდნენ. ანაზდეული მზერით გაზომეს ქალი და გულგრილად მიბრუნდნენ. ერთმა, უფროსმა, ხმამაღლა დაამთქნარა, მეორე ზანტად მოჰყვა ტუჩების ღებვას. ძალიან ახალგაზრდა მიმტანი, რომელსაც გაჯავრებული ვირთხის გამომეტყველება ჰქონდა, დერეფნის ბოლოს ნახერხს ყრიდა ქვის ღუმლებში და იატაკს გვიდა. რავიკმა შესასვლელთან აირჩია ერთი პატარა მაგიდა. ასე უფრო მალე მოახერხებდა წასვლას. პალტოც კი არ გაუხდია.

- რას დალევთ? - ჰკითხა ქალს.

- არ ვიცი. სულერთია.

- ორი კალვადოსი, - უთხრა რავიკმა მიმტანს, რომელსაც სახელოები დაკაპიწებული ჰქონდა, - და ერთი კოლოფი ,,ჩესტერფილდი".

- მხოლოდ ფრანგული გვაქვს.

- კეთილი. მაშინ დასტა ,,ლორანი", მწვანე.

- მწვანე არ გვაქვს, მხოლოდ ცისფერია.

რავიკი მიმტანის ტატუირებულ ხელს ათვალიერებდა. შიშველი ქალი ღრუბლებზე მიაბიჯებდა. მიმტანმა მისი მზერა დაიჭირა, მუშტი მოკუმშა და კუნთები დაძაბა.

- ცისფერია და ცისფერი იყოს, - თქვა რავიკმა.

მიმტანმა გაიკრიჭა:

- იქნებ, სადმე მწვანე გამოვძებნო, - და ფლოსტების ფრატუნით წავიდა.

რავიკმა თვალი გააყოლა.

- წითელი ფლოსტები, - ჩაილაპარაკა, - და მუცლით როკვა! ეტყობა, თურქეთის ფლოტში უმსახურია.

ქალმა ხელები მაგიდაზე დააწყო. იფიქრებდით, ვეღარასოდეს ასწევსო. მოვლილი ხელები ჰქონდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავდა... თუმცა, არც ისე მოვლილი. რავიკმა შენიშნა, რომ მარჯვენა ხელის შუათითის ფრჩხილი წატეხილი ჰქონდა, მოქლიბული კი - არა. ალაგ-ალაგ ლაქიც გადასცლოდა.

მიმტანმა სირჩები და სიგარეტების დასტა მოიტანა.

- ,,ლორანი", მწვანე. როგორც იქნა, ვიპოვე ერთი კოლოფი.

- ასეც ვფიქრობდი. ფლოტში მსახურობდით?

- არა, ცირკში.

- მით უკეთესი, - რავიკმა ქალს სირჩა მიაწოდა. - აი, შესვით. ღამით კალვადოსი სჯობს ყველა სასმელს. ან, იქნებ, ყავა გნებავთ?

- არა.

- ერთბაშად გადაკარით.

ქალმა თავი დაუქნია და გადაკრა. რავიკმა შეათვალიერა: ჩამქრალი, ფერდაკარგული და უმეტყველო სახე, სავსე, ოღონდ უფერული ტუჩები... მხოლოდ ბუნებრივი ოქროსფერი თმა ჰქონდა ძალიან ლამაზი. ბერეტი ეხურა... მოსასხამის ქვემოდან კარგი ოსტატის ნახელავი ლურჯი ინგლისური კოსტიუმი უჩანდა, მაგრამ ბეჭდის მწვანე თვალი ისე დიდი იყო, აშკარად ყალბი უნდა ყოფილიყო.

- ერთიც? - ჰკითხა რავიკმა.

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ვაჟმა მიმტანი მოიხმო.

- კიდევ ორი კალვადოსი. ოღონდ უფრო მოზრდილი სირჩებით.

- და მეტიც დავასხა?

- დიახ.

- მაშასადამე, ორი ორმაგი კალვადოსი.

- კარგად გამოიცანით.

რავიკმა გადაწყვიტა, სწრაფად დაეცალა თავისი სირჩა და წასულიყო. მოსწყინდა, დაიღალა. საერთოდ, მოთმინებით იტანდა ბედის უკუღმართობებს: მხრებზე აწვა ორმოცი წლის მოუსვენარი და დაუდგრომელი ცხოვრება. ასეთი შემთხვევები მისთვის უცხო არ იყო. უკვე რამდენიმე წელიწადი პარიზში ცხოვრობდა, უძილობა ტანჯავდა და ღამღამობით ქალაქში დაეხეტებოდა. ამიტომაც გადაეყრებოდა ხოლმე ათასნაირ უცნაურ ამბავს.

მიმტანმა მიუტანა ის, რაც შეუკვეთეს. რავიკმა ფრთხილად დაუდგა ქალს წინ ცხარე და სურნელოვანი ვაშლის არყით სავსე სირჩა.

- კიდევ დალიეთ. დიდი არაფერია, რა თქმა უნდა, სამაგიეროდ, გათბებით და, საერთოდ, რაც უნდა შეგემთხვეთ, გულთან არ მიიტანოთ. ბევრ რამეს არ უნდა მიაქციოთ ყურადღება.

ქალმა შეხედა, მაგრამ სირჩას ხელი არ ახლო.

- ჰო, ასეა, - უთხრა რავიკმა, - მეტადრე, თუ ამბავი ღამით ხდება. ღამით ბევრი რამ მუქ ფერებში ეხატება ადამიანს.

ქალი თვალს არ აშორებდა.

- თქვენი სანუგეშო არაფერი მჭირს, - ჩაილაპარაკა ბოლოს.

- მით უკეთესი.

რავიკმა თვალებით იპოვა მიმტანი. კმარა. მოსწყინდა. კარგად იცნობდა ამნაირ ქალებს. ალბათ, რუსი ემიგრანტიაო, გაიფიქრა.

- ემიგრანტი ხართ?

- არა.

რავიკმა ფული გადაიხადა და წამოდგა, გამომშვიდობება დააპირა. ქალიც მაშინვე წამოდგა. ეს უსიტყვოდ და ისე ბუნებრივად გააკეთა, თითქოს სხვაგვარად არც უნდა მოქცეულიყო. რავიკი შეყოყმანდა. კეთილი, გაიფიქრა, გამომშვიდობება ქუჩაშიც შეიძლება.

წვიმა წამოვიდა. გასასვლელში რავიკი შეჩერდა.

- საით აპირებთ წასვლას?

გადაწყვეტილი ჰქონდა, თვითონ საწინააღმდეგო მიმართულებით წასულიყო.

- არ ვიცი, წავალ სადმე.

- სად ცხოვრობთ?

ქალი შეკრთა.

- იქ წასვლა არ შემიძლია, არა! არ შემიძლია! ყველგან წავალ, ოღონდ იქ არა!

უცბად თვალებში ველური შიში ჩაუდგა. ოჯახური უსიამოვნებაა, გაიფიქრა რავიკმა. უთუოდ ქმარს წაეჩხუბა და სახლიდან გაიქცა. ხვალ ჭკუაზე მოვა და შინ დაბრუნდება.

- არავისთან მიგესვლებათ? ვინმე ნაცნობი ქალი არ გყავთ? აქედან დარეკვაც შეიძლება.

- არა, ვის უნდა დავურეკო!

- ჰო, მაგრამ სადმე ხომ უნდა გაათიოთ ღამე? სასტუმროს ფული გაქვთ?

- მაქვს.

- მაშინ სასტუმროში გაათიეთ ღამე. აქ ბევრი სასტუმროა.

ქალი ხმას არ იღებდა.

- ბოლოს და ბოლოს, სადმე ხომ უნდა გაათიოთ ღამე! - ხმას აუწია რავიკმა, რომელიც უკვე მოთმინებას კარგავდა. - ქუჩაში ხომ არ დარჩებით, თანაც ამ წვიმაში!

ქალმა მოსასხამის ღილები შეიკრა.

- მართალი ხართ, - უთხრა, თითქოს რაღაც გადაწყვიტაო. - სრულიად მართალი ბრძანდებით. მადლობელი ვარ. ჩემთვის ნუღარ შეწუხდებით. სადმე მოვეწყობი. გმადლობთ, მადლობელი ვარ ყველაფრისათვის.

ქალმა რავიკს ნაღვლიანი თვალებით ამოხედა და გაღიმება სცადა. შემდეგ სწრაფად, უხმოდ გაეცალა და ნისლსა და წვიმაში მიეფარა თვალს.

მთელი ერთი წუთი რავიკი ადგილიდან არ დაძრულა.

- ეშმაკმა დალახვროს, - დაბნეულად და გაუბედავად წაილუღლუღა ბოლოს.

რავიკმა არ იცოდა, რა იყო ეს, - შესაბრალისი ღიმილი თუ მზერა, უკაცრიელი ქუჩა თუ ღამე... მხოლოდ ერთი რამ იცოდა დაბეჯითებით - უხერხული იყო, არ შეიძლებოდა ამ ქალის ასე უბრალოდ გაშვება. იქ, ნისლში, უეცრად გზადაკარგულ ბავშვად მოეჩვენა.

რავიკი დაეწია.

- წამობრძანდით ჩემთან, - უთხრა ცივად, - რამეს მოვიფიქრებთ.

ეტუალის მოედანზე გავიდნენ, რომელიც რუხ წყვდიადში ჭავლებად აფეთქებული, დიდებული და უსასრულო ეჩვენა. მძიმედ ჩამოწოლილმა ნისლმა დაფარა ქუჩები, სხივთა ისრებივით რომ მიემართებოდნენ ყოველ მხარეს. ჩანდა მხოლოდ ფართო მოედანი, ფერმიბინდული მთვარეებივით მიმოფანტული ნათურები და ტრიუმფალური თაღის ქვის კამარა - უზარმაზარი და ნისლში მიკარგული, თითქოს სვეტად რომ შესდგომოდა ნაღვლიან ცას და ასე იცავდა დაობლებულ ფერმკრთალ ცეცხლს უცნობი ჯარისკაცის სამარეზე, ღამის წყვდიადსა და მარტოობაში მიკარგულ კაცობრიობის უკანასკნელ საფლავს რომ ჰგავდა.

მოედანი გადაჭრეს. რავიკი სწრაფად მიდიოდა. ისე დაიღალა, ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა. გრძნობდა, რომ გვერდით ქალი მიჰყვებოდა, ესმოდა მისი გაუბედავი, მსუბუქი ნაბიჯების ხმა. მიჰყვებოდა ხმაამოუღებლად, თავჩაქინდრული, მოსასხამის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და უეცრად, ამ უკაცრიელ, გვიან ღამით ვაჟს ერთი წამით უცნაურად ახლობელი ეჩვენა ქალი, თუმცა მისი არა იცოდა რა. უცხო იყო მისთვის და უცნობი, როგორც ყველა სხვა პარიზელი ქალი, და ეს საკვირველი ძალით აახლოებდა, უფრო მეტად, ვიდრე ყოველი სიტყვა თუ გრძნობით დაჩლუნგებული მრავალწლიანი ჩვეულება.

რავიკი ერთ პატარა ოტელში ცხოვრობდა, მოსახვევში, ტერნის მოედნის იქით, ბაგრამის ავენიუს მახლობლად. ეს იყო საკმაოდ მოძველებული შენობა, მხოლოდ აბრა ჰქონდა ახალი: „ოტელ ინტერნასიონალ“.

რავიკმა ზარის ღილაკს თითი დააჭირა.

- თავისუფალი ნომერი გაქვთ? - ჰკითხა ყმაწვილს, რომელმაც კარი გაუღო.

ბიჭმა ნამძინარევი თვალები დაჭყიტა.

- პორტიეს დიდი ხანია სძინავს, - თქვა ბოლოს ენის ბორძიკით.

- ამას თვითონაც ვხედავ. მე გეკითხებით, თავისუფალი ნომერი თუ არის-მეთქი?

საგონებელში ჩავარდა ყმაწვილი, მხრები აიჩეჩა. ხედავდა, რავიკი ქალის თანხლებით მოვიდა, მაგრამ ის კი ვერ გაეგო, რისთვის სჭირდებოდა კიდევ ერთი ოთახი. რამდენადაც მისთვის ცნობილი იყო, ასეთ შემთხვევებში მეორე ზედმეტია.

- ქალბატონს სძინავს. თუ გავაღვიძებ, გამაგდებს, - თქვა და ცალი ფეხით მეორე ფეხი მოიქექა.

- კარგი, თვითონ გამოვძებნი.

რავიკმა სასმლისთვის ფული აჩუქა, თავისი გასაღები აიღო და კიბეს აუყვა. ქალი უკან გაჰყვა. ვიდრე თავისი ოთახის კარს გააღებდა, გვერდითი ოთახის კარი მოსინჯა. შესასვლელთან ფეხსაცმელი არ ეწყო. რავიკმა ორჯერ დააკაკუნა. პასუხი არავის გაუცია. მერე ფრთხილად დააწვა სახელურს, კარი დაკეტილი იყო.

- გუშინ ეს ოთახი ცარიელი იყო, - ჩაიბუტბუტა. - მოდი, მეორე მხრიდან ვცადოთ შესვლა. დიასახლისი დაკეტავდა, ალბათ, შეეშინდა, ბაღლინჯოები არსად გამეპარონო.

რავიკმა თავისი ოთახის კარი გააღო.

- დაბრძანდით, - და წითელი დივანი უჩვენა, - ახლავე მოვალ.

რავიკმა შემინული კარი გააღო, ვიწრო აივანზე გავიდა, რკინის ცხაურზე გადაძვრა და გვერდითი ოთახის კარის გაღება სცადა. ეს კარიც დაკეტილი აღმოჩნდა. ხელი ჩაიქნია და ოთახში შემობრუნდა.

- არაფერი გამოდის. ნომერი ვერ ვიშოვე.

ქალი დივნის კუთხეში იჯდა.

- თუ შეიძლება, ცოტა ხანს კიდევ დავრჩები.

რავიკმა ყურადღებით შეათვალიერა. ქალს დაღლილობისაგან არაქათი ჰქონდა გამოცლილი, ეტყობოდა, წამოდგომაც არ შეეძლო.

- დარჩით, - უთხრა.

- მხოლოდ ერთი წუთით.

- უკეთესი იქნება, დაწვეთ.

ქალი აღარ უსმენდა. ნელა, თითქმის ანგარიშმიუცემლად აქნევდა თავს.

- დაგეტოვებინეთ ქუჩაში. ახლა კი... მგონი, ახლა ვეღარ შევძლებ...

- მეც ასე მგონია. დარჩით, დაწექით და დაიძინეთ. ყველაფერს ეს აჯობებს. ხვალ კი ვნახოთ.

ქალმა შეხედა.

- არ მინდოდა...

- არა, როგორ გეკადრებათ, - მიუგო რავიკმა, - სულაც არ მაწუხებთ. რამდენჯერ გაუთევიათ აქ ღამე ადამიანებს, რომლებმაც არ იცოდნენ, საით წასულიყვნენ. ამ ოტელში ლტოლვილები ცხოვრობენ. აქ ღამის სტუმარი არავის უკვირს. დაწექით ლოგინში, მე დივანზე მოვეწყობი, მიჩვეული ვარ.

- არა, არა... აი, უბრალოდ, ასე ვიჯდები. ოღონდ ამის ნება მომეცით, ჩემთვის სრულიად საკმარისი იქნება.

- კეთილი, როგორც გენებოთ.

რავიკმა პალტო გაიხადა და დაკიდა. შემდეგ საწოლიდან საბანი და ბალიში აიღო, დივანთან სკამი მისწია, სააბაზანოდან საბანაო ხალათი გამოიტანა და სკამის ზურგზე გადაკიდა.

- აი, - უთხრა ქალს, - ეს ყველაფერი თქვენია. თუ პიჟამა გნებავთ, განჯინაშია. სხვა თქვენთან აღარაფერი მესაქმება. შეგიძლიათ აბაზანა მიიღოთ. მე რაღაც საქმეები მაქვს.

ქალმა თავი დაუქნია.

რავიკი მის წინ გაჩერდა.

- მოსასხამის გახდა დაგჭირდებათ, - უთხრა, - ერთიანად დასველებულა. ბერეტიც მომაწოდეთ.

ქალმა მოსასხამი და ბერეტი გადასცა. რავიკმა ჩამოართვა და ბალიში დივნის მუთაქაზე დაუდო.

- ეს - თავქვეშ. სკამი კიდევ იმისათვის, რომ ძილში არ გადმოვარდეთ, - სკამი მჭიდროდ მიადგა დივანს. - ახლა ფეხსაცმელიც... ისე დასველებულა, პირდაპირ ხელით გასაწური გამხდარა. შეიძლება გაცივდეთ კიდეც, - ფეხსაცმელი გახადა, განჯინიდან შალის წყვილი წინდა გამოიღო და თავისი ხელით ჩააცვა ფეხზე. - ესეც ასე. ყველაზე მძიმე დროსაც კი უნდა ვიფიქროთ ერთგვარ ფუფუნებაზე. ძველი ჯარისკაცური ჩვეულება ასეთია.

- გმადლობთ, - უთხრა ქალმა, - დიდად გმადლობთ.

რავიკი სააბაზანოში გავიდა, ონკანები გააღო. წყალი პირსაბანში ჩავიდა. ჰალსტუხი მოიხსნა და სარკეში თავისი თავი დაბნეულად შეათვალიერა: გამჭრიახი, ღრმად ჩამჯდარი თვალები, გრძელი სახე... საშინლად დაღლილს, მიცვალებულის იერი ექნებოდა, ეს თვალები რომ არა; ღრმა ნაოჭები, ცხვირიდან პირის კიდეებისაკენ დაღარული სახის კანი, მოულოდნელად ფაქიზი ტუჩებით დამშვენებული, ხოლო მარჯვენა თვალის ზემოთ - გრძელი, წვრილნაწიბურებიანი ნაჭრილობევი, თმაში რომ იკარგებოდა...

ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა ფიქრი.

ეშმაკმა დალახვროს! - წამით ყველაფერი დაავიწყდა. ხშირად ემართებოდა ასე - მთლიანად წავიდოდა ხოლმე ფიქრებში. აქ კიდევ ეს ქალი აეკიდა.

- მოვდივარ! - შესძახა რავიკმა. - შეგეშინდათ?

ყურმილი აიღო.

- რაო?.. დიახ... კარგი... დიახ... ცხადია... დიახ... ყველაფერი კარგად იქნება. ჰო. სად?.. კარგი, ახლავე გამოვეშურები. ცხელი მაგარი ყავა... დიახ...

ყურმილი ფრთხილად დადო, ჩაფიქრდა, დივნის კიდეზე ჩამოჯდა.

- უნდა წავიდე, - თქვა, - სასწრაფოდ.

ქალი მაშინვე წამოდგა. ოდნავ წაიბორძიკა და ხელი სკამის საზურგეს წაავლო.

- არა, არა... - რავიკი ააღელვა ამ მორჩილმა მზადყოფნამ, - შეგიძლიათ დარჩეთ. დაიძინეთ. ერთი ან ორი საათით უნდა წავიდე. დარჩით.

პალტო ჩაიცვა. გულში რაღაც ეჭვმა გაჰკრა, მაგრამ მაშინვე გაფანტა. არა, ეს ქალი ქურდობას არ იკისრებს. იმნაირთა წრიდან არ არის. მეტისმეტად კარგად იცნობდა ასეთებს. ან აქ რა უნდა მოიპაროს.

რავიკი უკვე კართან იყო, როცა ქალმა ჰკითხა:

- შეიძლება თქვენთან ერთად წამოვიდე?

- არა, არ შეიძლება. დარჩით. რაც დაგჭირდებათ, ყველაფერი აიღეთ. თუ გნებავთ, ლოგინში ჩაწექით. კონიაკი კარადაშია. დაიძინეთ... - გაბრუნდა.

- შუქს ნუ ჩააქრობთ, - აჩქარებით მიაძახა ქალმა.

რავიკმა კარის სახელურს ხელი გაუშვა.

- გეშინიათ? - ჰკითხა.

ქალმა თავი დაუქნია.

რავიკმა გასაღები უჩვენა.

- კარი ჩაკეტეთ. გასაღები გამოიღეთ. ქვემოთ მეორე გასაღებიც არის.

ქალმა ისევ თავი დაუქნია.

- მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ოღონდ, თუ შეიძლება, შუქი დატოვეთ.

- აჰ, აი, თურმე რა! - რავიკმა გამომცდელი მზერა მიაპყრო.

- არც ვაპირებდი შუქის ჩაქრობას. ენთოს. მეც გამომიცდია ასეთი რამ.

აკაციების ქუჩის კუთხეში ტაქსი შეხვდა.

- ლორისტონის ქუჩა, ნომერი 14. სწრაფად!

მძღოლმა მანქანა მოაბრუნა და კარნოს ავენიუზე წავიდა. დე ლა გრანდ არმეს ავენიუს გადაკვეთისას, მარჯვნიდან ორადგილიანი პატარა მანქანა გამოხტა. უეჭველად შეეჯახებოდნენ, ქვაფენილი სველი და სრიალა რომ არ ყოფილიყო. უეცრად დამუხრუჭებული მცირელიტრაჟიანი მანქანა ქუჩის შუაგულში გასრიალდა. მსუბუქი ავტომობილი კარუსელივით ტრიალებდა ერთ ადგილზე. ეს იყო პატარა „რენო“. საჭესთან იჯდა სათვალიანი მამაკაცი, თავზე შავი ქვაბურა ქუდი ეხურა. ყოველ შემობრუნებაზე გაიელვებდა ხოლმე მისი ფერმკრთალი, აღშფოთებული სახე. ბოლოს მანქანამ შეწყვიტა ბრუნვა და პირდაპირ ტრიუმფალური თაღის მიმართულებით გაიქროლა - პატარა მწვანე მწერს მოგაგონებდათ. მანქანიდან გამოშვერილი მუშტი მუქარას უთვლიდა ღამის ცას.

მძღოლი შემობრუნდა.

- გინახავთ ოდესმე მსგავსი რამ?

- დიახ, - მიუგო რავიკმა.

- დაუხურავს ქვაბურა ქუდი და ფეთიანივით მიქრის ამ შუაღამისას. აი, ეს არის საკვირველი!

- ის კაცი მართალია. მთავარ მაგისტრალს მიჰყვებოდა. რატომ ლანძღავთ?

- ცხადია, მართალია. ამიტომაც ვლანძღავ.

- მტყუანი რომ ყოფილიყო, მაშინ რაღას იზამდით?

- მაინც ვაგინებდი.

- როგორც ვატყობ, ყოველთვის პოულობთ მდგომარეობიდან გამოსავალს.

- მაგრამ მაშინ სხვაგვარად დავიწყებდი ლანძღვას, – განაცხადა მძღოლმა და ფოშის ავენიუზე შეუხვია, - უფრო გულდაჯერებით. გაიგეთ?

- მთლად კარგად ვერა. გზაჯვარედინებზე სიჩქარე შეანელეთ.

- აბა, მე რას ვაკეთებ? ქვაფენილზე თითქოს ზეთია დასხმული. წყეულიმც იყვნენ! და მაინც, რატომ მეკითხებით, თუ არ მომისმენთ?

- იმიტომ, რომ ძალიან დავიღალე, - მოუთმენლად ჩაილაპარაკა რავიკმა. - იმიტომ, რომ ახლა ღამეა. იმიტომ, რომ, თუ გნებავთ იცოდეთ, ყველანი თითქოს პატარა ნაპერწკლები ვართ, უჩინარი ქარისაგან დევნილნი. სიჩქარეს მოუმატეთ.

- ასე გეთქვათ, - შენიშნა მძღოლმა და მოწიწების ნიშნად თითები შეახო ქუდის წინაფრას. - აი, ახლა გასაგებია.

- უკაცრავად, რუსი ემიგრანტი ხომ არ ხართ? - უეცრად ეჭვმა გაუელვა რავიკს.

- არა, მაგრამ გაჩერებებზე ათას რამეს ვკითხულობ ხოლმე.

ბედი არ მწყალობს დღეს რუსებთანო, გაიფიქრა რავიკმა, სავარძლის საზურგეს მიეყრდნო. ყავა ინატრა გუნებაში, ცხელი შავი ყავა. იმედი მაქვს, უკვე გაამზადესო, გაიფიქრა. ძალზე მშვიდი ხელები უნდა მქონდეს. უკიდურეს შემთხვევაში, ვებერი ნემსს გამიკეთებს. თუმცა, ისედაც ყველაფერი კარგად ჩაივლისო, დაასკვნა. მინა დაუშვა და ნელა ჩაისუნთქა ნესტიანი ჰაერი.

## თავი მეორე

პატარა საოპერაციო ისე იყო გაჩახჩახებული, დღე გეგონებოდათ. ოთახი სანიმუშო საყასბოს ჰგავდა. იატაკზე სისხლით გაჟღენთილი ბამბით სავსე სათლები იდგა, გარშემო ბინტები და ტამპონები ეყარა. ალისფერი ზარ-ზეიმით, საჯაროდ იწვევდა ბრძოლაში მდუმარე სითეთრეს. ვებერი საოპერაციო ოთახის შესასვლელთან, ფოლადის გალაქულ პატარა მაგიდას მისჯდომოდა და რაღაცას წერდა თავისთვის. მოწყალების და ხელსაწყოებს ხარშავდა. წყალი თუხთუხებდა, ელექტრონის შუქი თითქოს სისინებდა, მხოლოდ მაგიდაზე მოთავსებული სხეული იყო გულგრილი ყველაფრის მიმართ - უკვე აღარაფერი აღელვებდა.

რავიკმა თხევადი საპონი გადაივლო და ხელების დაბანას შეუდგა. ისე გამწარებით იბანდა, თითქოს ტყავი უნდა გადაიძროსო.

- ნაგავი! - ჩაილუღლუღა, - წყეული ნაგავი!

სადასტაქროს მოწყალების დამ ზიზღით გადახედა. ვებერმა თავი ასწია.

- მშვიდად, ეჟენი! ყველა დასტაქარი იგინება. მეტადრე, თუ რამე რიგზე არაა. აქამდეც უნდა მიჩვეოდით!

- პროფესორი პერიე არასოდეს ილანძღებოდა, - შეურაცხყოფილის კილოთი განაცხადა ქალმა. - და, ამის მიუხედავად, მრავალი ადამიანი გადაარჩინა.

- პროფესორი პერიე ტვინის ოპერაციების სპეციალისტი იყო. ამას უზუსტესი, ვირტუოზული ტექნიკა სჭირდება, ეჟენი. ჩვენ კი გულ-მუცელს ვშიგნავთ. ეს სულ სხვა საქმეა, - ვებერმა რვეული ხმაურით დახურა და წამოდგა, - თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, რავიკ, მაგრამ რას იზამ, თუ შენამდე ექიმბაში იმუშავებს!

- მაინც... ზოგჯერ ხერხდება ხოლმე რაიმეს გაკეთება.

რავიკმა ხელები შეიმშრალა და სიგარა გააბოლა. მოწყალების დამ უსიტყვო საყვედურის ნიშნად ფანჯარა გააღო.

- ყოჩაღ, ეჟენი, - შეაქო ვებერმა, - თქვენ ყოველთვის ინსტრუქციის მიხედვით მოქმედებთ.

- მე გარკვეული მოვალეობანი მაკისრია. არავითარი სურვილი არ მაქვს, ჰაერში ავფრინდე. აქ სპირტი და ეთერია.

- ჩინებულია, ეჟენი, თანაც - დამამშვიდებელი.

- ზოგიერთს კი ასეთი რამეები არ ევალება. არც სურს ევალებოდეს.

- ეს თქვენი მისამართითაა, რავიკ! - გაიცინა ვებერმა. - ჯობს, აქაურობას გავეცალოთ. დილაობით ეჟენი მეტისმეტად აგრესიულად არის ხოლმე განწყობილი. სულერთია, აქ საქმე მაინც აღარაფერია.

რავიკი შემობრუნდა და გადახედა მოწყალების დას, გარკვეული მოვალეობანი რომ ეკისრებოდა. ნიკელის ჩარჩოში ჩასმული სათვალე მის სახეს ზვიად იერს სძენდა. ადამიანი იყო, მაგრამ ხეს უფრო ახლობლად ჩათვლიდა, ვიდრე ამ ქალს.

- მაპატიეთ, - უთხრა. - თქვენ მართალი ხართ.

თეთრ მაგიდაზე იდო ის, რაც ჯერ კიდევ რამდენიმე საათის წინ იყო იმედი, სუნთქვა, ტკივილი და მოცახცახე სიცოცხლე, ახლა კი უსიცოცხლო გვამად ქცეულიყო. ადამიანმა-ავტომატმა, სახელად მოწყალების და ეჟენიმ, ამაყმა იმით, რომ შეცდომა არასოდეს დაუშვია, ზეწარი გადააფარა და გააგორა. ასეთები ყველას უკან მოიტოვებენო, გაიფიქრა რავიკმა. ღმერთს არ უყვარს ასეთი გულქვა სულები, ივიწყებს მათ არსებობას, ამიტომაც ცოცხლობენ უსასრულოდ დიდხანს.

- ნახვამდის, ეჟენი, - უთხრა ვებერმა. - გემოზე გამოძინებას გისურვებთ.

- ნახვამდის, ექიმო ვებერ. გმადლობთ, ბატონო ექიმო.

- ნახვამდის, - უთხრა ქალს რავიკმაც. - შეგინებისთვის ბოდიშს გიხდით.

- კარგად ბრძანდებოდეთ, - ყინულივით ცივად მიუგო ეჟენიმ.

ვებერმა ჩაიცინა:

- რკინა-ბეტონის ხასიათისა გახლავთ!

*

უღიმღამო დილა თენდებოდა. ქუჩებში მანქანები რახრახებდნენ, ნაგავს აგროვებდნენ. ვებერმა საყელო აიწია.

- საძაგელი ამინდია! მიგიყვანოთ, რავიკ?

- არა, გმადლობთ, ფეხით მინდა გავიარო.

- ასეთ ამინდში? შემიძლია მანქანით მიგიყვანოთ. თითქმის ერთი გზა გვაქვს.

რავიკმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- მადლობელი ვარ, ვებერ.

ვებერმა გამომცდელი თვალით შეხედა.

- უცნაურია, რომ დღემდე ასეთ მოჟამულ გუნებაზე დგებით, როცა დანის ქვეშ ვინმე შემოგაკვდებათ. კაცი თხუთმეტი წელია ოპერაციებს აკეთებთ, ეს ამბავი უჩვეულო არ უნდა იყოს თქვენთვის.

- ჰო, არ უნდა იყოს. არც მოჟამულ გუნებაზე ვდგები.

რავიკის წინ იდგა მხარბეჭიანი, ჩასხმული ვებერი. მრგვალი სახე ნორმანდიული ვაშლივით უღაჟღაჟებდა, მოკლედ შეკრეჭილ შავ ულვაშებზე წვიმის წვეთები უბრწყინავდა. ტროტუართან მათ „ბუიკი“ ელოდა. ისიც ბრწყინავდა. ახლა ვებერი ჩაჯდება მანქანაში და მშვიდად გასწევს ქალაქისკენ, თავისი ვარდისფერი, კოხტა სახლისკენ, სადაც ელოდებიან სუფთა, გაბრწყინებული ცოლი და ორი სუფთა, გაბრწყინებული შვილიკო - სუფთა, ბრწყინვალე არსებობაა! განა გაიგებს ის იმ სუნთქვის შემკვრელ დაძაბულობას, როცა დანა სადაცაა შეეხება სხეულს, როცა პირველ მსუბუქ ჭრილობას მოჰყვება სისხლის ვიწრო ზოლი, როცა ნემსებსა და მოსაჭერებს შორის სხეული იხსნება, ვარდის მსგავსად იშლება ის, რასაც არასოდეს უხილავს მზის ნათელი, როცა კვალს მიჰყვები, როგორც მონადირე ჯუნგლებში, და უეცრად - დარღვეულ ქსოვილებში, სიმსივნეებში, კვანძებსა და გამსკდარ ადგილებში პირისპირ ეჩეხები ძალუმ მტაცებელს - სიკვდილს და ებმები ბრძოლაში, შეიარაღებული მხოლოდ ნემსით, წვრილი დანითა და საოცრად მტკიცე ხელით... განა, გაიგებს, რას განიცდი, როცა შენი სხეული უკიდურესობამდეა მომართული, თვალთ გიბნელდება და უეცრად ავადმყოფის სისხლში ჩნდება რაღაც გამოუცნობი, შავი, ბოროტი დაცინვა - და დანა თითქოს ჩლუნგდება, ნემსი ტყდება, ხელი არ გემორჩილება... როცა უჩინარი, იდუმალი, მფეთქავი სიცოცხლე მოულოდნელად მოსწყდება უძლურ ხელებს და დაირღვევა, გაჰყვება მოჩვენებას, ბნელ გრიგალს, რომელსაც ვერ დაეწევი, ვერც გარეკავ... როცა სახე, სულ ახლახან ჯერ კიდევ რომ ცოცხლობდა, წარმოადგენდა „მეს“, ატარებდა სახელს, გადაიქცევა უსახელო, გაყინულ ნიღბად... რა გაშმაგებული, რარიგ უაზრო და შფოთიანი უძლურება ეუფლება შენს არსებას... განა, გაიგებს ყოველივე ამას... ან რას აუხსნი?

რავიკმა ისევ გააბოლა.

- ოცდამეერთე წელში იყო გადამდგარი, - თქვა მან.

ვებერმა ცხვირსახოცით გადაიწმინდა ულვაშებიდან წვიმის წვეთები.

- თქვენ ჩინებულად გააკეთეთ ოპერაცია. მე ასე ვერ შევძლებდი. მაგრამ ყასბის გაფუჭებულ საქმეს რაღას უშველი? თქვენ არაფერ შუაში ხართ. სხვაგვარად რომ განგვესაჯა, რა მოგვივიდოდა?

- ჰო, - თქვა რავიკმა, - რა მოგვივიდოდა?

ვებერმა ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო.

- ყოველივე იმის შემდეგ, რაც თქვენ გადაიტანეთ, უნდა გამოწრთობილიყავით.

რავიკმა ირონიულად გადახედა.

- ადამიანი ვერასოდეს გამოიწრთობა. შეუძლია მხოლოდ ბევრ რამეს მიეჩვიოს.

- მეც ეს მქონდა მხედველობაში.

- დიახ, მაგრამ არის ზოგი რამ, რასაც ვერასოდეს მიეჩვევი. ძნელია ამის მიზეზის პოვნა. იქნებ, ყველაფერი ყავის ბრალი იყო. სწორედ ყავამ აღმაგზნო ასე ძლიერ. ჩვენ კი ეს მღელვარება გვგონია.

- კარგი ყავა იყო, ხომ მართალია?

- ძალიან.

- ყავის მოხარშვისა, თუ მკითხავთ, ცოტაოდენი გამეგება. თითქოს წინასწარ ვგრძნობდი, რომ დაგჭირდებოდათ ნამდვილი ყავა და არა შავი სასმელი, ისეთი, ეჟენი რომ ამზადებს. ასე არ არის?

- რა შედარებაა. ამ საქმის ჭეშმარიტი ოსტატი ხართ.

ვებერი მანქანაში ჩაჯდა, მოტორი აამუშავა და ფანჯარაში თავი გამოყო.

- იქნებ, მაინც წამეყვანეთ, რას იტყვით? ვინ იცის, რა საშინლად დაიღალეთ.

„ლომთევზაა“, გაიფიქრა რავიკმა ისე, რომ არც უსმენდა. „ჯან-ღონეს აფრქვევს. რა აზრები მომდის თავში? ისევ ამ წყეული გაორების ბრალია - ერთს აკეთებ, მეორეს ფიქრობ“.

- არა ვარ დაღლილი, - უთხრა რავიკმა, - ყავამ გამომაფხიზლა. თქვენ კი ნამდვილად გინდათ გამოძინება, ვებერ.

ვებერმა გაიცინა. შავი ულვაშის ქვეშ თეთრმა კბილებმა გაიელვა.

- გადავწყვიტე, არ დავიძინო. ბაღში ვიმუშავებ. შროშანები და ნარგიზები მინდა დავრგო.

„შროშანები და ნარგიზები“, გაიფიქრა რავიკმა. კოხტა, მრგვალი ყვავილნარი, სუფთა კვლები, ზედ ხრეში. შროშანები და ნარგიზები გაზაფხულის ნარინჯისფერ-ოქროსფერი ქარიშხალია.

- ნახვამდის, ვებერ, - უთხრა რავიკმა, - დანარჩენზე თქვენ იზრუნებთ, არა?

- ცხადია. საღამოს დაგირეკავთ. ჰონორარი, სამწუხაროდ, ცოტა იქნება. ორიოდე გროში. ქალიშვილი ღარიბი იყო და, ეტყობა, მშობლები არ ჰყავდა. თუმცა, ჰონორარის ამბავს ჯერ კიდევ დავაზუსტებთ.

რავიკმა დაუდევრად ჩაიქნია ხელი.

- ქალმა ეჟენის ასი ფრანკი მისცა. მგონი, ეს იყო მთელი მისი ავლადიდება. მაშასადამე, თქვენ ოცდახუთი გერგებათ.

- კეთილი, კეთილი, - შეაწყვეტინა რავიკმა. - ნახვამდის, ვებერ.

- ნახვამდის, ხვალამდე. დილის რვა საათზე ერთმანეთს შევხვდებით.

რავიკი აუჩქარებლად მიჰყვებოდა ლორისტონის ქუჩას. ახლა რომ ზაფხული ყოფილიყო, დაჯდებოდა სადმე ბულონის ტყეში, სკამზე, მზეს მიეფიცხებოდა და, ვიდრე დაძაბულობა არ გაუვლიდა, არაფერზე იფიქრებდა, წყალსა და მწვანე ტყეს თვალს არ მოაცილებდა, შემდეგ სასტუმროში წავიდოდა და დაიძინებდა.

ბუასიერის ქუჩის კუთხეში შეუხვია, ბისტროში შევიდა, რამდენიმე მუშა და მძღოლი ფეხზე იდგნენ და მაგარ შავ ყავას შეექცეოდნენ. რავიკი მათ ცოტა ხანს თვალს ადევნებდა. ეს იყო მტკიცე, უბრალო ცხოვრება, გააფთრებული ბრძოლა არსებობისთვის, დაძაბული შრომა, დაღლილობა, ჭამა, ქალი და მძიმე, უსიზმრო ძილი.

- ერთი ჭიქა ალუბლის ნაყენი, - მოითხოვა რავიკმა.

მიცვალებულ ქალიშვილს ფეხზე ოქროს წვრილი იაფფასიანი ძეწკვი ეკეთა, უმნიშვნელო სათამაშო, დიდი რამე რომ ჰგონიათ ადამიანებს ახალგაზრდობაში, როცა ჯერ კიდევ სენტიმენტალურნი და უგემოვნონი არიან: ზედ მიბმულ პატარა ფირფიტაზე ამოკვეთილი იყო „Toujours Charles“[1]. ძეწკვი ისე იყო დარჩენილი, რომ ფეხიდან ვერ მოხსნეს. ის მოგვითხრობდა სენის სანაპიროს ტყეებში გატარებულ კვირადღეებზე, სიყვარულსა და გიჟმაჟ ახალგაზრდობაზე, პატარა საოქრომჭედლო დუქანზე სადმე ნეიში, სხვენზე გატარებულ სექტემბრის ღამეებზე... და უეცრად შეფერხება, ლოდინი, შიში, შარლი გაქრა, მისი ასავალ-დასავალიც ვერ გაიგო... მეგობარმა ქალმა მისამართი მისცა... მეანი ქალი, მუშამბაგადაფარებული მაგიდა, მწარე ტკივილი და სისხლი, სისხლი... მოხუცი დედაკაცის დაბნეული სახე... ვიღაცამ ტაქსი გააჩერა. ოღონდ როგორმე თავიდან მოვიცილოო - მანქანაში სვამს... მერე ტანჯვის დღეები, როცა მოკრუნჩხული წევხარ შენს სოროში... ბოლოს, სასწრაფო დახმარების კარეტა, კლინიკა, უკანასკნელი ასი ფრანკი, მოჭმუჭნილი ცხელ, ოფლიან ხელში და... მეტისმეტად დაგვიანებულია.

რადიომიმღებმა დაიღრიალა. ტანგოა, ვიღაც სულელურ კუპლეტებს მღერის. რავიკმა მთელი ოპერაციის მსვლელობას გადაავლო გონების თვალი, ამოწმებდა და აკონტროლებდა თავის ყოველ მოქმედებას. რამდენიმე საათით ადრე რომ გამოეძახებინათ, იქნებ, რაიმე მოეხერხებინა. ვებერმა დაურეკა. ადგილზე არ აღმოჩნდა. და იმის გამო, რომ მეტისმეტად დიდხანს იყო ატუზული ალმას ხიდზე, ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა. ასეთი ოპერაციების გაკეთება ვებერს დამოუკიდებლად არ შეეძლო. ყველაფერი შემთხვევის ბრალია, ოქროსძეწკვიანი ფეხი უძლურად მოკეცილიყო.

„მოდი, ჩაჯექ ნავში ჩემთან, მთვარე ანათებს“, - ფალცეტით იხლეჩდა ხმას ტენორი.

რავიკმა დანახარჯი გადაიხადა და გარეთ გავიდა. ქუჩაში ტაქსი გააჩერა.

- „ოზირისში“.

„ოზირისი“ დიდი, მასიური, ეგვიპტური სტილის, უზარმაზარი ბარით დამშვენებული საროსკიპო იყო.

- უკვე ვკეტავთ, - უთხრა რავიკს შვეიცარმა. - აღარავინაა.

- აღარავინ?

- მხოლოდ მადამ როლანდა გახლავთ. ყველა მანდილოსანი წასულია.

- კეთილი.

შვეიცარს კალოშები ეცვა. ქვაფენილზე იდგა და უკმაყოფილო სახით ინაცვლებდა ფეხს.

- ტაქსი არ გაუშვათ. მეორეს ასე ადვილად ვეღარ იპოვით. მე მუშაობა უკვე დავამთავრე.

რავიკმა შვეიცარს სიგარეტების შეკვრა ჩაუდო ჯიბეში, გარდერობს ჩაუარა და ფართო დარბაზში შევიდა. ბარში აღარავინ იყო. თვალწინ გადაეშალა ახლახან დამთავრებული ღამის ქეიფის სურათი: დაქცეული ღვინის გუბეები, გადაბრუნებული სკამები, ნამწვები, თამბაქოს, სუნამოსა და ოფლის სუნი.

- როლანდა, - დაიძახა რავიკმა.

ქალი ვარდისფერი აბრეშუმის თეთრეულით სავსე მაგიდასთან იდგა: სულაც არ გაჰკვირვებია გვიანი სტუმრობა.

- რავიკ, ასე გვიან რა გინდა? ქალი თუ დალევა? იქნებ, ერთიც და მეორეც?

- არაყი, პოლონური.

როლანდამ ბოთლი და ჭიქა გამოიტანა.

- თვითონ დაასხი. თეთრეული უნდა დავახარისხო და ჩავწერო. ახლა მანქანა მოვა სამრეცხაოდან: თუ ყოველ ჩვარს ცალკე არ ჩაწერ, ეს ბანდა ყველაფერს მოიპარავს, როგორც კაჭკაჭების გუნდი. მძღოლები არიან, ხომ იცი. ქალებს საჩუქრები უნდათ.

რავიკმა თავი დაუქნია.

- ჩართე მუსიკა, როლანდა. უფრო ხმამაღლა.

- ბატონი ბრძანდები.

როლანდამ მიმღები ჩართო. დაიქუხეს დაფდაფებმა და დალაბანდებმა. ცარიელ დარბაზში ბგერების ქარიშხალი ავარდა.

- მეტისმეტად ხმამაღალი ხომ არ არის, რავიკ?

- არა.

მეტისმეტად ხმამაღალი? რა უნდა მოსჩვენებოდა ახლა მეტისმეტად ხმამაღლა? მხოლოდ დუმილი, რომელშიც ქუცმაცდები, როგორც უჰაერო სივრცეში.

- აი, მორჩა, - თქვა როლანდამ და რავიკის მაგიდასთან მივიდა.

მკვრივი ტანი ჰქონდა, ნათელი სახე და მშვიდი თვალები. შავი პურიტანული კაბა მაშინვე გამოარჩევდა ნახევრად შიშველ ქალთა შორის.

- დავლიოთ, როლანდა?

- კარგი, მოიტა.

რავიკმა ბარიდან ჭიქა მოიტანა და დაასხა. როლანდამ ხელი დაუკავა, როცა ჭიქა ნახევრამდე შეავსო.

- კმარა! მეტს ვერ დავლევ.

- აუვსებელ ჭიქებს ვერ ვიტან. ჯობს, დატოვო.

- რატომ? ეს ხომ უყაირათობაა.

რავიკმა შეხედა ქალის კეთილ, ჭკვიან სახეს და გაიღიმა.

- უყაირათობა! ფრანგებს მუდამ უყაირათობა აშინებთ. ვის რაში უნდა შენი მომჭირნეობა? თვითონ ვინღა გიფრთხილდება?

- საქმე კომერციაშია.

რავიკმა გაიცინა.

- დავლიოთ კომერციის სადღეგრძელო! რა იქნებოდა ეს ქვეყანა, საქმოსანთა მორალი რომ არ არსებობდეს! დამნაშავეთა, იდეალისტთა და უსაქმურთა ბრბო, მეტი არაფერი.

- შენ ქალი გინდა, - უთხრა როლანდამ. - შემიძლია, კიკის დავურეკო. ძალიან კარგი გოგოა, ოცდაერთი წლისა.

- უყურე შენ! ასეთი ახალგაზრდებიცა გყავთ? ისინი საჩემონი აღარ არიან, - რავიკმა ხელახლა აივსო ჭიქა, - როლანდა, რაზე ფიქრობ ხოლმე ძილის წინ?

- უფრო ხშირად არაფერზე. ძალიან ვიღლები.

- როცა არ იღლები?

- ტურზე.

- რატომ?

- იქ მამიდა მყავს. სახლი და მაღაზია აქვს. მის მაგიერ ორჯერ გადავიხადე გირაო. როცა გარდაიცვლება - უკვე სამოცდათექვსმეტი წლისაა - სახლი მე დამრჩება. მაშინ მაღაზიას ყავახანად ვაქცევ. ღია ფერის ყვავილებიან შპალერს გავაკრავ, სამი

მუსიკოსი მეყოლება - პიანინოზე, ვიოლინოსა და ვიოლონჩელზე დამკვრელები. სიღრმეში ბარს გავმართავ. პატარას, მაგრამ კოხტას. სახლი კარგ უბანშია. ვფიქრობ, ცხრა ათას ხუთასი ფრანკი დამიჯდება მისი წესიერად მოწყობა, მეტი არა. ფარდაგებსა და ჭაღებსაც კი შევიძენ. ამას გარდა, პირველ ხანებში მინდა მარაგად მქონდეს ხუთიოდე ათასი. ამას დაემატება ზედა სართულზე მცხოვრებ მდგმურთა ბინის ქირაც. აი, რაზე ვფიქრობ.

- ტურში დაიბადე?

- ჰო, მაგრამ ღმერთმა იცის, შემდეგ სად არ ვიყავი. თუ საქმე წაღმა წამივიდა, ეს არავის დააინტერესებს. ფული ყველაფერს ფარავს.

- ყველაფერს არა, მაგრამ ბევრ რამეს კი, - რავიკმა რაღაც სიმძიმე იგრძნო საფეთქლებში. - მგონი, მეყოფა, - თქვა და გადაიხადა. - ტურში გათხოვდები კიდეც, არა, როლანდა?

- მაშინვე არა, რამდენიმე წლის შემდეგ. იქ მეგობარი მყავს.

- ჩადიხარ ხოლმე მასთან?

- იშვიათად. დროდადრო მწერს ხოლმე. სხვა მისამართით, ცხადია. ცოლიანია, მაგრამ ცოლი საავადმყოფოში უწევს. ჭლექიანია. ექიმები ამბობენ, კიდევ ერთ-ორ წელიწადს გაძლებსო, მეტხანს ვერა. შემდეგ თავისუფალი იქნება.

რავიკი წამოდგა.

- ღმერთმა დაგლოცოს, როლანდა. საღად მსჯელობ.

ქალმა სანდომიანად გაუღიმა. ნათელ, გაღაჟღაჟებულ სახეზე დაღლილობის ნატამალიც არ ემჩნეოდა, თითქოს ეს არის გამოიღვიძაო. იცოდა, რა უნდოდა. მისთვის ცხოვრება გამოცანა არ იყო.

გარეთ უკვე კაშკაშა დღე იდგა. წვიმას გადაეღო. ქუჩების კუთხეებში პატარა ჯავშნიანი კოშკურებივით იდგა პისუარები. შვეიცარი გაქრა, ღამე განქარდა, დღე დაიწყო. პარიზელები ჯგუფ-ჯგუფად მიეშურებოდნენ მეტროსკენ, როგორც ღრმა ნაპრალისაკენ, რომელშიც თითქოს ხალხი ცვიოდა, რათა თავიანთი თავი მსხვერპლად მიეტანათ პირქუში ღვთაებისათვის.

*

ქალმა დივანზე წამოიწია. კი არ შეჰყვირა, მხოლოდ თავშეკავებით წამოიძახა, იდაყვზე დაეყრდნო და გაირინდა.

- ნუ გეშინიათ, - მშვიდად უთხრა რავიკმა, - მე ვარ, ის, ვინც რამდენიმე საათის წინ აქ მოგიყვანათ.

ქალს გულზე მოეშვა, სული მოითქვა. რავიკმა შეათვალიერა სტუმარი. მოციმციმე ელექტრონათურები და ფანჯრიდან შემოპარული დილა ოთახს მოყვითალო-მკრთალი შუქით ავსებდა.

- მე მგონი, ახლა შეიძლება შუქის ჩაქრობა, არა? - თქვა რავიკმა და ამომრთველი შეატრიალა.

ნამთვრალევზე ოდნავ თავის ტკივილს გრძნობდა.

- ვისაუზმოთ? - ჰკითხა ქალს.

რავიკს უკვე დავიწყებული ჰყავდა სტუმარი. მხოლოდ მაშინ გაახსენდა, კარს რომ აღებდა, და გაიფიქრა, ალბათ, უკვე წავიდაო. სიამოვნებით მოიცილებდა ახლა ამ ქალს თავიდან. ბევრი დალია - ცნობიერების საზღვრებმა გაიწია, დროის მოჟღარუნე ჯაჭვი დაიშალა, ძალუმი და შეუპოვარი მოგონებანი და ოცნებანი გარს შემოერტყნენ. მარტო დარჩენა მოუნდა.

- ყავას დალევთ? - ჰკითხა ისევ, - აქ მხოლოდ ყავის დამზადება შეუძლიათ ხეირიანად.

ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია. რავიკი ყურადღებით დააკვირდა.

- რამე ხომ არ მოხდა? ხომ არავინ შემოსულა?

- არავინ.

- მაშ, რა იყო? რატომ შემომაცქერდით ისე, თითქოს მოჩვენება ვიყო?

ქალს ტუჩები მოეღრიცა.

- სუნია, - ჩაილაპარაკა.

- სუნი? - გაიმეორა რავიკმა, ვერაფერი გაიგო. - არაყმა სუნი არ იცის, არც ალუბლის ნაყენმა და ბრენდიმ. სიგარეტს კი თვითონაც ეწევით. რაღამ შეგაშინათ?

- ამაზე კი არ...

- მაშ, რაზე?

- ეს იგივე... იგივე სუნია...

- აჰ, აი, რა ყოფილა! ალბათ, ეთერის სუნმა შეგაწუხათ, - თქვა უეცრად რავიკმა. - ეთერის სუნმა, ხომ?

ქალმა თავი დაუქნია.

- ნაოპერაციები ხართ?

- არა, მაგრამ...

რავიკი აღარ უსმენდა. ფანჯარა გააღო.

- ახლავე გავა. ჯერ კი სიგარეტი მოსწიეთ.

რავიკი სააბაზანოში გავიდა, ონკანს მისწვდა, წყალი მოუშვა.

სარკეში საკუთარი სახე დაინახა. სულ რამდენიმე საათის წინ სწორედ ასევე იდგა აქ. ამ ხნის განმავლობაში კი ადამიანი მოკვდა. მაგრამ რა არის აქ ისეთი? ყოველ წუთს

კვდება ათასობით ადამიანი. ასე ამბობს სტატისტიკა. არც ამაშია არაფერი განსაკუთრებული. მაგრამ მისთვის, ვინც მოკვდა, თავისი სიკვდილი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე თავისი ღერძის გარშემო მბრუნავი მთელი დედამიწა.

რავიკი აბაზანის კიდეზე ჩამოჯდა, ფეხზე გაიხადა. სულ ერთი და იგივე. საგანთა მუნჯი ძალაუფლება! სიცოცხლე მიდის, ზოგჯერ გამოკრთება მოციმციმე ცეცხლის ალები, მაგრამ ისევ აქრობს მათ ჩვეულების ტრივიალური სიმტკნარე. გულის აყვავებული სანაპირო იშლება სიყვარულის წყლებთან... და ვინც უნდა იყო - პოეტი, ნახევრად ღმერთი თუ იდიოტი, სულერთია, რამდენიმე საათში ერთხელ მაინც უნდა დაეშვა ციდან დედამიწაზე, რათა წყალი გადააქციო. ამას თავს ვერ დააღწევ. ბუნების ირონიაა. რავიკმა ფეხსაცმელი კუთხეში ისროლა. საძაგელი ჩვეულებაა ტანზე გახდა! ამასაც კი ვერ დააღწევ თავს. მხოლოდ ის გაიგებს, ვინც მარტო ცხოვრობს. რაღაც წყეული მორჩილებაა, სულს რომ გიღრღნის და გიჩანაგებს. ხშირად უძინია ტანზე გაუხდელად, რომ ეს მორჩილება გადაელახა, მაგრამ ეს ყოველთვის მხოლოდ ვადის გაგრძელება იყო. კაცი ვერც ამას დააღწევ თავს.

რავიკი შხაპის ქვეშ დადგა. გრილი წყალი ნაკადებად ჩამოსდიოდა სხეულზე. ღრმად ჩაისუნთქა, ონკანი დაკეტა და ტანი შეიმშრალა. ადამიანს მხოლოდ წვრილმანები ამშვიდებს - წყალი, სუნთქვა, საღამოს წვიმა... ვინც მარტოა, მხოლოდ ის გაიგებს ამას. სხეული მადლიერია წყლისა. მუქ ძარღვებში მოჩუხჩუხე მსუბუქი სისხლი. დასვენება მდელოზე. არყის ხეები. ზაფხულის თეთრი ღრუბლები. სიჭაბუკის დროინდელი ცა. სად გამქრალა ყოველგვარი ჩქროლვა გულისა? მტვრად ქცეულა და გაფანტულა წუთისოფლის პირქუშ ამაოებაში.

რავიკი ოთახში შებრუნდა. ქალი დივნის კუთხეში მიკუნჭულიყო, საბანი ნიკაპამდე აეწია.

- გცივათ? - ჰკითხა რავიკმა.

ქალმა თავი გააქნია.

- გეშინიათ?

ქალმა თავის ქნევით ანიშნა, კიო.

- ჩემი?

- არა.

- ფანჯრის იქით გადაშლილი ქალაქის?

- დიახ.

რავიკმა ფანჯარა დახურა.

- გმადლობთ, - უთხრა ქალმა.

რავიკმა თვალი შეავლო მის კეფას, მხრებს. ვიღაცის სუნთქვა ესმის. სხვისი სიცოცხლის ნაწილაკი... მაგრამ მაინც სიცოცხლისა, სითბოსი... და არა გაშეშებული

სხეული. რა უნდა მისცეს ერთმა ადამიანმა მეორეს ერთი წვეთი სითბოს გარდა? და რა უნდა იყოს ამაზე დიდი?

ქალიც შესცქეროდა რავიკს, მხრები ნერვიულად შეარხია. კაცმა იგრძნო, როგორ უკუიქცა სულიერი აფორიაქების ტალღა და ღრმა, უწონო გულგრილობა შეენაცვლა. დაძაბულობა გაქრა. რაღაც სივრცე გადაიშალა. მოეჩვენა, თითქოს ღამე სხვა პლანეტაზე გაატარა და დედამიწაზე დაბრუნდა. ანაზდად ყველაფერი გაუბრალოვდა - დილა, ქალი... საფიქრებელიც აღარაფერი ჰქონდა.

- მოდი ჩემთან, - უთხრა.

ქალი გარინდებული მიაშტერდა.

- მოდი-მეთქი, - მოუთმენლად გაუმეორა.

## თავი მესამე

რავიკმა ვიღაცის მზერა შეიგრძნო და გამოეღვიძა.

ქალი ჩაცმული იყო და დივანზე იჯდა, მაგრამ მას კი არ უცქერდა, ფანჯარაში იყურებოდა. კაცს ეგონა, მის გამოღვიძებამდე წავიდოდა. დილაობით ადამიანთა სიახლოვეს ვერაფრით ეგუებოდა.

ხომ არ ვცადო ხელახლა დაძინებაო, გაიფიქრა, მაგრამ ქალი, სულერთია, თვალს არ მოაშორებდა, ეს კი უშლიდა. გადაწყვიტა, თავიდან მოვიცილებო. თუ ფულს უცდიდა, ყველაფერი იოლად მოგვარდებოდა. და საერთოდ, ყველაფერი იოლად მოგვარდება. ლოგინში გასწორდა.

- დიდი ხანია ადექით?

ქალი შეშინებული შემობრუნდა.

- მეტხანს ძილი აღარ შემეძლო. ვწუხვარ, თუ გაგაღვიძეთ.

- თქვენ არ გაგიღვიძებივართ.

ქალი წამოდგა.

- წასვლა მინდოდა. თვითონაც არ ვიცი, რატომ დავრჩი.

- მოითმინეთ. ახლავე ჩავიცვამ. უნდა ისაუზმოთ. მოგართმევთ სახელგანთქმულ ყავას - ოტელის სიამაყეს. ჯერ კიდევ დრო გვაქვს.

რავიკი ადგა და სასტუმროს მოახლე გამოიძახა. მერე სააბაზანოში გავიდა. ეტყობა, ქალი იქ უკვე ნამყოფი იყო, მაგრამ ყველაფერი გულმოდგინედ დაელაგებინა, ნახმარი პირსახოცებიც კი. როცა კბილებს იწმენდდა, რავიკმა ფეხის ხმა გაიგონა. ნომერში მოახლე შემოვიდა და საუზმე შემოიტანა.

- უხერხულად იგრძენით თავი? - ჰკითხა ქალს, სააბაზანოდან გამოსულმა.

- რატომ უხერხულად?

- მსახურმა გოგომ არ დაგინახათ? ამაზე არ მიფიქრია.

- არაფერი გაჰკვირვებია.

ქალმა სინს შეხედა. საუზმე ორისათვის იყო მოტანილი, თუმცა რავიკს არ უთხოვია.

- რა თქმა უნდა, არ გაჰკვირვებია. ჩვენ ხომ პარიზში ვართ. აგერ ყავა. თავი არ გტკივათ?

- არა.

- კეთილი. მე კი, ცოტა არ იყოს, მტკივა. მალე გამივლის. აი, ბრიოშიც[2].

- ჭამა არ შემიძლია.

- არა, შეგიძლიათ. მხოლოდ გეჩვენებათ ასე. აბა, სცადეთ.

ქალმა ბრიოში აიღო, ერთხანს ხელში ეკავა, მერე უკანვე დადო.

- ნამდვილად არ შემიძლია.

- მაშინ ყავა მიირთვით და სიგარეტი მოსწიეთ, ჯარისკაცური საუზმე გამოგივათ.

- კარგი.

რავიკმა ჭამა დაიწყო.

- კიდევ არ მოგშივდათ? - ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

- არა.

ქალმა სიგარეტი ჩააქრო.

- მე მგონია... - თქვა და გაჩუმდა.

- რა გგონიათ? - ჰკითხა რავიკმა განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობის გარეშე.

- მე მგონი, დროა წავიდე.

- გზა იცით? აქედან ახლოსაა ბაგრამის ავენიუ.

- არა, არ ვიცი.

- სად ცხოვრობთ?

- ოტელ „ვერდენში“.

- აქედან ორ ნაბიჯზეა. ქუჩაში აგიხსნით, როგორ მიხვიდეთ. სულერთია, უნდა გაგაცილოთ.

- ჰო... მაგრამ საქმე ეს კი არ არის...

ქალი ისევ გაჩუმდა. ფული უნდა, გაიფიქრა რავიკმა, ფული, როგორც ყოველთვის.

- თუ გიჭირთ, სიამოვნებით გაგიმართავთ ხელს.

საფულე ამოიღო.

- რას აკეთებთ? როგორ შეგიძლიათ ასე იფიქროთ? - ცივად თქვა ქალმა.

- არა უშავს, არა უშავს. ყველაფერი რიგზეა.

რავიკმა საფულე შეინახა.

- მაპატიეთ, - თქვა ქალმა და წამოდგა. - თქვენ ჩემთვის... ბევრი რამით ვარ თქვენ წინაშე ვალდებული... მე რომ... იმ ღამეს... მარტოკამ აღარ ვიცოდი...

რავიკმა გაიხსენა წინა ღამის ამბავი. პირდაპირ სასაცილო იქნებოდა ამისათვის რაიმე მნიშვნელობის მიცემა. მადლობას კი არაფრით მოელოდა და აშკარად საჩოთირო მდგომარეობაში ჩავარდა.

- ნამდვილად აღარ ვიცოდი... - თქვა ქალმა.

იგი ისევ მამაკაცის წინ იდგა, ყოყმანობდა. რატომ არ მიდის? - გაიფიქრა რავიკმა.

- მაგრამ ახლა ხომ იცით?.. - თქვა იმისათვის, რომ რაიმე ეთქვა.

- არა, - ქალმა თვალი თვალში გაუყარა, - არც ახლა ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ რაღაც უნდა გავაკეთო. ვიცი, რომ არ შემიძლია უბრალოდ გაქცევა...

- ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს, - რავიკმა თავისი პალტო აიღო. - ახლა კი გაგაცილებთ.

- არ არის საჭირო. მითხარით მხოლოდ... - სიტყვაზე წაიბორძიკა. - იქნებ, იცოდეთ, რა უნდა გააკეთოს ადამიანმა... როდესაც...

- როდესაც რა? - ჰკითხა რავიკმა.

- როდესაც ვინმე მოუკვდება, - წამოსცდა ქალს და ატირდა.

ქვითინი არ დაუწყია, წყნარად ტიროდა, თითქმის უხმოდ.

რავიკმა შეიცადა, ვიდრე ცოტათი დამშვიდდებოდა.

- ვინმე მოგიკვდათ?

ქალმა თავი დაუქნია.

- გუშინ საღამოს?

ისევ დაუქნია თავი.

- ვინმე მოკალით?

ქალმა თავზარდაცემულივით შეხედა.

- რა? რა თქვით?

- მოკალით-მეთქი? რაკი მეკითხებით, როგორ უნდა მოვიქცეო, ბარემ ყველაფერი მიამბეთ.

- მოკვდა! - შესძახა ქალმა. - უეცრად...

სახე ხელებით დაიფარა.

- ავად იყო? - ჰკითხა რავიკმა.

- დიახ...

- ექიმი გყავდათ?

- დიახ... მაგრამ საავადმყოფოში დაწოლა არ უნდოდა...

- გუშინ ექიმი მოვიდა?

- გუშინ არა. სამი დღის წინ. მან... მან გალანძღა ექიმი და უარი თქვა მასთან მკურნალობაზე.

- მაშინ მეორეს დაუძახეთ?

- სხვა ექიმს არ ვიცნობდით. სულ სამი კვირაა, რაც აქ ჩამოვედით. რესტორნის მსახურმა გამოუძახა ექიმს... მან კი არ ისურვა ამ ექიმთან მკურნალობა... ამბობდა... ეგონა, თვითონვე მოირჩენდა თავს.

- რა სჭირდა?

- არ ვიცი. ექიმმა თქვა, ფილტვების ანთებააო... მაგრამ როდი სჯეროდა... ამბობდა, ყველა ექიმი მატყუარააო... გუშინ უკეთ გახდა და უცებ...

- რატომ არ გაგზავნეთ საავადმყოფოში?

- არ ისურვა... ამბობდა... მიღალატებო, თუ გვერდით არ გეყოლებიო... ისეთი... თქვენ არ იცნობდით... ვერაფერს გახდებოდით.

- ახლაც ოტელშია?

- დიახ.

- პატრონს შეატყობინეთ, რაც მოხდა?

- არა. როცა უცებ მიყუჩდა... და ყველაფერი მიჩუმდა... ხოლო მისი თვალები... ვეღარ გავუძელი და გავიქეცი.

რავიკმა გუშინდელი ღამე გაიხსენა. წამით გუნება წაუხდა. მაგრამ რაც მოსახდენი იყო, მოხდა, და ახლა ეს უკვე ორივესათვის სულერთი იყო. მეტადრე ქალისთვის. ამ ღამეს ქალისათვის საერთოდ ყველაფერი სულერთი იყო, მნიშვნელობა ჰქონდა ერთ რამეს - როგორმე გაეძლო. სიცოცხლე იმაზე მეტია, ვიდრე სენტიმენტალურ ცნებათა კრებული. ლავინმა რომ ცოლის სიკვდილის ამბავი შეიტყო, ის ღამე საროსკიპოში გაატარა. მემავებმა გადაარჩინეს, თორემ მღვდლებთან დაიღუპებოდა. ამას გაგება უნდა, ახსნით ვერ ახსნი. მეტადრე იმიტომ, რომ ადამიანებს საგნებზე არსებული შეხედულებებისთვის ანგარიშის გაწევა უხდებათ.

რავიკმა თავისი პალტო აიღო.

- წავიდეთ! მე წამოგყვებით. განსვენებული თქვენი ქმარი იყო?

- არა.

ოტელ „ვერდენის“ მეპატრონე ვესტიბიულში იდგა. ჩასუქებული კაცი იყო. თავზე ერთი ღერი თმაც არ ჰქონდა, სამაგიეროდ, შეღებილი შავი ულვაში და ხშირი წარბები ამშვენებდა. უკან ჩამწკრივებულიყვნენ: მიმტანი, ოტელის მოახლე და დაფასავით ბრტყელმკერდიანი მოლარე ქალი. ოტელის პატრონმა, უეჭველია, უკვე ყველაფერი იცოდა. როგორც კი ქალი დაინახა, მაშინვე მივარდა სახეაჭარხლებული, პატარა, კოტიტათითებიანი ხელების ქნევას მოჰყვა, ბრაზისა და აღშფოთებისაგან ბუყბუყებდა. რავიკმა მაინც შენიშნა, რომ მათმა მოსვლამ მასპინძელს ერთგვარი შეღავათი მისცა, გულზე მოეშვა. როცა გადამლაშება დაიწყო და პოლიციაზე, უცხოელებზე, საეჭვო პირებსა და ციხეზე დაიწყო ლაყბობა, რავიკმა შეაწყვეტინა.

- პროვანსელი ბრძანდებით? - ჰკითხა მშვიდად.

მასპინძელს სიტყვა ყელში გაეჩხირა.

- არა. მერე რა? - იკითხა დაბნეულმა.

- არაფერი, ისე, - მიუგო რავიკმა. - უბრალოდ, შეგაწყვეტინეთ. ეს ყველაზე უკეთ ხერხდება სრულიად უაზრო კითხვის მიცემით, თორემ ერთი საათი კიდევ ილაქლაქებდით.

- მუსიე! ვინ ბრძანდებით? რა გინდათ?

- როგორც იქნა, ვეღირსე თქვენგან გონივრულ სიტყვას.

ოტელის უფროსი საბოლოოდ მოეგო გონს.

- ვინა ხართ? - ჰკითხა უფრო მშვიდად, იმ ადამიანთა დამახასიათებელი სიფრთხილით, რომელთაც არავითარ შემთხვევაში არ სურთ აწყენინონ გავლენიან პირებს.

- ექიმი გახლავართ.

მასპინძელი დარწმუნდა, საშიში აღარაფერიაო.

- ახლა აღარავითარი ექიმი აღარ გვესაჭიროება, - აენთო ისევ. - უფრო პოლიცია გვჭირდება.

ამ სიტყვებზე რავიკსა და მის თანამგზავრს მიაჩერდა, მათგან პროტესტს, შიშს ან ვედრებას მოელოდა.

- ურიგო აზრი არ არის. რატომ არ არის აქამდე პოლიცია? თქვენს ოტელში ხომ, აგერ, უკვე რამდენიმე საათია მიცვალებული ასვენია და თქვენ ეს მშვენივრად მოგეხსენებათ.

მასპინძელმა არაფერი უპასუხა, ისევ ისე ბოროტად უბრიალებდა რავიკს თვალებს.

- აგიხსნით, რატომ, - რავიკი მიუახლოვდა. - ხმაურს ერიდებით. მდგომარეობის გეშინიათ. ბევრი კლიენტი მიგატოვებთ, როგორც კი ამ ამბავს გაიგებენ. მაგრამ

პოლიცია აქ მაინც მოვა. ასეთია კანონი და მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, რომ ყველაფერმა შეუმჩნევლად ჩაიაროს. არც ეს გაწუხებდათ. შეგეშინდათ, რომ გაიქცნენ და ხათაბალიდან თავის დაღწევა თქვენ ერთს მოგანდეს. ტყუილად შეგეშინდათ. ამის გარდა, გეშინოდათ, რომ ანგარიში გაუსწორებელი დარჩებოდა. ნუ გეშინიათ, გადაიხდიან. ახლა კი მინდა გვამი გავსინჯო. დანარჩენზე შემდეგ ვიზრუნებ.

რავიკმა გვერდით ჩაუარა სასტუმროს პატრონს.

- ოთახის ნომერი? - ჰკითხა ქალს.

- თოთხმეტი.

- არ გინდათ წამოყოლა. ყველაფერს თვითონ გავაკეთებ.

- არა, აქ დარჩენა არ მინდა.

- უკეთესი იქნება, თუ აღარ დაინახავთ.

- არა, წამოვალ.

- კეთილი, როგორც გნებავთ.

ოთახი დაბალჭერიანი იყო, ფანჯრები ბაღს გადაჰყურებდა. კარში შექუჩებულიყვნენ მოსამსახურე გოგოები, მეკორიდორეები და მიმტანები. რავიკმა ყველანი გაყარა. ნომერში ორი საწოლი იდგა. კედელთან მიდგმულზე ნეშტი ესვენა. ყვითელი, უძრავი, ხუჭუჭთმიანი, წითელი აბრეშუმის პიჟამა ეცვა და წმინდანის ცვილის ფიგურა გეგონებოდა. ხელები გულზე დაეკრიფა. იქვე, ღამის მაგიდაზე, მადონას პატარა, იაფფასიანი ხის ფიგურა იდგა. ქალის ტუჩების პომადის კვალი აჩნდა. რავიკმა ფიგურა ხელში აიღო და წაიკითხა წარწერა: „Made in Germany“. მერე მიცვალებულის სახეს დახედა: ტუჩები არა აქვს შეღებილი და, საერთოდ, არც არის იმნაირი. თვალები ნახევრად ღია დარჩენოდა. ეს სახეს სრული განურჩევლობის იერს აძლევდა, თითქოს ზედ აღბეჭდოდა მარადიული მოწყენილობის გამომეტყველება.

რავიკმა საწოლთან მდგარ პატარა მაგიდაზე დაწყობილი წამლები რომ გასინჯა, მერე გვამის გასინჯვას შეუდგა. ძალადობის არავითარი კვალი არ ჩანდა. წელში გასწორდა.

- რა ერქვა ექიმს, რომელიც განსვენებულს მკურნალობდა? - ჰკითხა ქალს. - იცით იმ ექიმის სახელი?

- არა.

რავიკმა ქალს შეხედა. ძალიან ფერწასული ეჩვენა.

- დაბრძანდით. იქ, სკამზე, კუთხეში, და ნუ ადგებით. სად არის ის მიმტანი, ექიმს რომ გამოუძახა? - იკითხა და კართან თავშეყრილ ხალხს გადახედა. ყველას სახეზე შიში და სიხარბე აღბეჭდოდა.

- ამ სართულს ფრანსუა ემსახურება, - თქვა დამლაგებელმა და შუბივით წამოსწია წინ იატაკის ჯოხი.

- სად არის ფრანსუა?

მიმტანი წინ გამოძვრა.

- რა ერქვა ექიმს, აქ რომ გამოიძახეთ?

- ბონე. შარლ ბონე.

- ხომ არ იცით მისი ტელეფონი?

მიმტანმა უბის წიგნაკი გადაფურცლა.

- პასი 2743.

- ასე, - რავიკმა კარში სასტუმროს პატრონის სახეს მოჰკრა თვალი. - მოდი, კარი დავკეტოთ. გინდათ, მთელი ქუჩა მოგვაწყდეს?

- არა! მოშორდით აქედან! ყველანი მოშორდით! რა დაგრჩენიათ აქ? მხოლოდ დროს კარგავთ, მე კი ფული უნდა გაძლიოთ!

სასტუმროს პატრონმა ყველანი გარეკა და კარი დაკეტა. რავიკმა ყურმილი აიღო და ვებერი გამოიძახა. სწრაფად დაამთავრა მასთან ლაპარაკი. შემდეგ მიმტანისაგან ჩაწერილი ნომერი აკრიფა. ბონე თავისთან აღმოჩნდა მისაღებში. ექიმმა დაადასტურა ყველაფერი, რაც ქალმა თქვა.

- ავადმყოფი მოკვდა, - უთხრა რავიკმა. - ხომ ვერ მოხვალთ და გამოწერთ სიკვდილის მოწმობას?

- იმ კაცმა მე გამაგდო. საშინელი შეურაცხყოფა მომაყენა.

- ამიერიდან ვეღარ შეძლებს თქვენს შეურაცხყოფას.

- არც ჰონორარი გადაუხდია. თან კიდევ გამომძალველი და ყასაბი მიწოდა.

- ჰონორარის მისაღებად ხომ არ მოხვიდოდით?

- შემიძლია ვინმე გამოვგზავნო.

- ჯობს, თვითონ შემოიაროთ. ისე ვერ მიიღებთ თქვენს ფულს.

- კარგი, - თქვა ბონემ ცოტა ყოყმანის შემდეგ, - მაგრამ ხელს არაფერს მოვაწერ, ვიდრე მთლიანად არ მივიღებ, რაც მერგება. სამასი ფრანკი მეკუთვნის.

- კეთილი, სამას ფრანკს მიიღებთ.

რავიკმა ყურმილი დაკიდა.

- ვწუხვარ, რომ ყოველივე ამის მოსმენა მოგიხდათ, - უთხრა ქალს, - მაგრამ სხვანაირად მოქცევა არ შეიძლებოდა. ეს კაცი გვესაჭიროება.

ქალი უკვე ჩანთაში იქექებოდა.

- არაფერია, - მიუგო, - ჩემთვის ეს ახალი ამბავი არ არის. ინებეთ ფული.

- მოითმინეთ, ახლავე მოვა და მიეცით.

- თქვენ ვერ გამოწერთ სიკვდილის მოწმობას?

- არა. ამის უფლება მხოლოდ ფრანგ ექიმს აქვს. განსაკუთრებით მას, ვინც განსვენებულს მკურნალობდა.

*

როცა ბონემ კარი გაიხურა, ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ბევრად უფრო მძიმე სიჩუმე, ვიდრე დგება მაშინ, როცა მხოლოდ ერთი ადამიანი მიდის. მანქანების ხმაც კი მიჩუმდა, თითქოს შეკუმშული ჰაერის კედელს ეხლება და გაჭირვებით აღწევს მეორე მხარესო. დასრულდა ფუსფუსი და მხოლოდ ახლა გახდა საგრძნობი მიცვალებულის სიახლოვე. სასტუმროს იაფფასიანი ნომერი აავსო მისმა მბრძანებლურმა დუმილმა. მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმას, რომ მას კლოუნივით აბრეშუმის პრიალა პიჟამა ეცვა. მიცვალებული იყო და ბატონობდა. მნიშვნელოვანი სხვა რამ იყო - არ მოძრაობდა. ყველაფერი ცოცხალი მოძრაობს, ხოლო ის, რაც მოძრაობს, შეიძლება იყოს ძლიერი, მოხდენილი ან სასაცილო. მისთვის მიუწვდომელია მხოლოდ ერთი რამ - უძრავისა და გაყინულის განდგომილი სიდიადე. სიკვდილი - აი, რაშია ჭეშმარიტი სიდიადე, მასში აღწევს ადამიანი სრულყოფილებას, და ისიც მოკლე ხნით.

- თქვენ განსვენებულის მეუღლე იყავით?

- არა, რატომ მეკითხებით?

- კანონია. მემკვიდრეობის საკითხი. პოლიცია გაარკვევს, რა გეკუთვნით თქვენ და რა ეკუთვნის მას. თქვენი თქვენ დაგრჩებათ, მისი ქონების კი კონფისკაცია მოხდება - ნათესავებისთვის, თუ გამოჩნდებიან. ჰყავდა მშობლები?

- საფრანგეთში არა.

- ცხოვრობდით მასთან?

ქალმა პასუხი არ გასცა.

- დიდხანს?

- ორი წელი.

რავიკმა მიმოიხედა.

- ჩემოდნები არა გაქვთ?

- გვაქვს... აქ იყო... აგერ, იქ, კედელთან. ჯერ კიდევ გუშინ საღამოს იქ გვედგა ჩემოდნები.

- აჰა, სასტუმროს პატრონმა...

რავიკმა კარი გააღო. დამლაგებელი ქალი თავის ჯაგრისიანად უკან გახტა.

- დედილო, - უთხრა რავიკმა, - თქვენი ასაკისათვის მეტისმეტ ცნობისმოყვარეობას იჩენთ. დაუძახეთ სასტუმროს პატრონს.

დამლაგებელმა თავის მართლება დაიწყო.

- მართალი ხართ, - შეაწყვეტინა რავიკმა. - თქვენს ასაკში ადამიანს ცნობისმოყვარეობის მეტი რაღა დარჩენია. სასტუმროს პატრონს კი მაინც დაუძახეთ.

დედაბერმა რაღაც ჩაიბუტბუტა და წავიდა, თან ჯაგრისი შუბივით ეჭირა ხელში.

- ძალიან ვწუხვარ, - თქვა რავიკმა, - მაგრამ ვერაფერს გააწყობ. შეიძლება უტაქტოც გამოვიდე, მაგრამ ჯობს ყველაფერი ერთბაშად მოვაგვარო. ასე ემჯობინება და უფრო იოლიც იქნება, თუნდაც ახლა ეს არ გესმოდეთ.

- მესმის, - თქვა ქალმა.

რავიკმა შეხედა.

- გესმით?

- დიახ.

გამოჩნდა სასტუმროს პატრონი. ხელში ფურცელი ეჭირა, დაუკაკუნებლად შემოვიდა.

- სადაა ჩემოდნები? - იკითხა რავიკმა.

- ჯერ ანგარიში ინებეთ. ჯერ ანგარიში უნდა გასწორდეს.

- ჯერ ჩემოდნები. არავის უთქვამს უარი ანგარიშის გასწორებაზე. ნომერი ჯერ დაკავებულია. მეორედ, ვიდრე შემობრძანდებოდეთ, დააკაკუნეთ. მოიტანეთ ანგარიში და უბრძანეთ ვინმეს, ჩემოდნები მოიტანოს.

სასტუმროს პატრონმა ზიზღით შეხედა.

- თქვენს ფულს მიიღებთ, - უთხრა რავიკმა.

მასპინძელი გავიდა, კარი გაიჯახუნა.

- ჩემოდნებში ფული ხომ არ არის? - ჰკითხა რავიკმა ქალს.

- რა?.. არა მგონი, არა.

- იცით, სად არის? კოსტიუმში? თუ საერთოდ არ ჰქონდა ფული?

- ფული საფულეში ჰქონდა ხოლმე.

- საფულე სადღაა?

- ბალიშის... - ქალს ენა დაება. - ჩვეულებრივ, ბალიშის ქვეშ იდებდა ხოლმე.

რავიკი ადგა. ფრთხილად ასწია ბალიში განსვენებულის თავთან ერთად, აიღო შავი ტყავის საფულე და ქალს გადასცა.

- აიღეთ ფული და ყველაფერი, რაც თქვენთვის მნიშვნელოვანია. სწრაფად. ახლა სენტიმენტების დრო აღარ არის. თქვენ უნდა იცხოვროთ. ამისთვისაა განკუთვნილი ფული. პოლიციაში ხომ არ უნდა დაიკარგოს!

მთელი ერთი წუთი ფანჯარაში იხედებოდა. ქუჩაში სატვირთო მანქანის მძღოლი ბოსტნეულით დატვირთული ორცხენა ფურგონის მეეტლეს ლანძღავდა. მძიმე

მანქანის ძლიერი ძრავა სრულ უპირატესობას ანიჭებდა მძღოლს, ამიტომ ის დაუფარავი სიძულვილით აგინებდა მეეტლეს.

რავიკი ფანჯარას მოსცილდა.

- მორჩა?

- დიახ.

- ახლა მომეცით ეს საფულე.

რავიკმა საგრძნობლად დათხელებული საფულე ისევ ბალიშის ქვეშ ამოდო.

- ფული ჩანთაში შეინახეთ, - ურჩია ქალს.

იგი ამაზეც დაემორჩილა. რავიკმა ანგარიში აიღო და დახედა.

- ნომრის ქირა უკვე გადაიხადეთ?

- არ ვიცი, მგონი კი.

- ეს ორი კვირის ანგარიშია. ფული გადაუხდია ბატონ... - რავიკმა გვარი ერთბაშად არ დაასახელა. რაღაც უცნაურად ეჩვენა განსვენებულისათვის ბატონ რაჩინსკის წოდება. - ანგარიში ყოველთვის ვადაზე სწორდებოდა?

- ყოველთვის. ხშირად ამბობდა... ჩემი მდგომარეობის კაცისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ყველაფრის წესიერად გადახდასო.

- ჰოდა, დიდი არამზადაა ეს სასტუმროს პატრონი. სად გაქვთ უკანასკნელი ანგარიში?

კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. რავიკმა ღიმილი ვერ შეიკავა. მოსამსახურემ ჩემოდნები შემოიტანა. უკან სასტუმროს პატრონი მოჰყვებოდა.

- ყველაფერი აქ არის? - ჰკითხა რავიკმა ქალს.

- დიახ.

- რა თქმა უნდა, ყველაფერი, - წაიბურტყუნა სასტუმროს პატრონმა. - აბა, რას ფიქრობდით?

რავიკმა პატარა ჩემოდანი აიღო.

- გაქვთ ამის გასაღები? არა? სად იქნება გასაღები?

- კარადაში. კოსტიუმში.

რავიკმა კარადა გამოაღო. ცარიელი აღმოჩნდა.

- რას იტყვით? - ჰკითხა სასტუმროს პატრონს.

ის კიდევ დერეფნის დარაჯს მიუბრუნდა.

- სად არის კოსტიუმი? - დაისისინა.

- მე გავიტანე, - ენის ბორძიკით თქვა მსახურმა.

- რატომ?

- გასასუფთავებლად.

- მგონი, განსვენებულს ეს აღარ ესაჭიროება, - შენიშნა რავიკმა.

- ახლავე კოსტიუმი აქ გაჩნდეს, წყეულო ბაცაცავ! - დაიღრიალა სასტუმროს პატრონმა.

მეკორიდორემ თვალები ააფახურა. მერე გავიდა და მაშინვე დაბრუნდა კოსტიუმით ხელში. რავიკმა პიჯაკი და შარვალი დაფერთხა. შარვალში რაღაცამ დაიჩხრიალა. რავიკმა ერთბაშად ვერ გაბედა ჯიბეში ხელის ჩაყოფა, თითქოს განსვენებულთან ერთად მისი კოსტიუმიც მომკვდარიყოს. სულელური აზრია. კოსტიუმი კოსტიუმია.

შარვლის ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ორივე ჩემოდანი გააღო. ზემოდან ტილოს პორტფელი იდო.

- ამაში? - ჰკითხა რავიკმა ქალს.

ქალი დაემოწმა.

ანგარიში მალე მოძებნეს. გადახდილი იყო. რავიკმა სასტუმროს პატრონს აჩვენა.

- ანგარიში შეგშლიათ. მთელი კვირისა მეტია გადახდილი.

- დახე! - აღრინდა სასტუმროს პატრონი, - მერე ამდენი უსიამოვნება? გვამი რომ სასტუმროში ასვენია? მღელვარება? ეს ყველაფერი, თქვენი აზრით, წვრილმანია? ან ნერვიულობა? ლამის ნაღველი ჩამექცეს! ამისათვის ფული არ მერგება? თვითონვე თქვით - მდგმურები გაგექცევიანო! ჩემი ზარალი ბევრად მეტია! ახლა ლოგინი? ნომრის დეზინფექცია? დასვრილი ზეწარი?

- ლოგინის თეთრეული ანგარიშში ნაჩვენებია. გარდა ამისა, თქვენ ჩაგითვლიათ ოცდახუთი ფრანკი ვახშმისთვის, რომელიც თითქოს გუშინ, საღამოს, სიკვდილის წინ შეეჭამოს. მიირთვით რამე გუშინ? - ჰკითხა ქალს.

- არაფერი. მაგრამ, იქნებ, ჯობდეს გადახდა? მე... უბრალოდ, მინდა ყველაფერი მალე მოთავდეს.

მალე მოთავდებაო, - გაიფიქრა რავიკმა. ყველაფერი ეს გასაგებია. მერე კი - სიჩუმე და ცხედარი. დუმილის დამარეტიანებელი დარტყმები. ასე ჯობს... თუმცა საძაგლობა კია. ფანქარი აიღო და ანგარიში დაიწყო. მერე ფურცელი სასტუმროს უფროსს გაუწოდა.

- თანახმა ხართ?

სასტუმროს პატრონმა შეჯამებულ ციფრს დახედა.

- როგორ, გიჟი გგონივართ?

- თანახმა ხართ? - ხელახლა ჰკითხა რავიკმა.

- და, საერთოდ, ვინა ხართ თქვენ? რას ეჩრებით?

- ძმა ვარ, - თქვა რავიკმა, - თანახმა ხართ?

- დაუმატეთ ათი პროცენტი მომსახურებისა და გადასახადებისათვის, თორემ ისე არ დავთანხმდები.

- კარგი, - მიუგო რავიკმა, - თქვენ უნდა გადაიხადოთ ორას ოთხმოცდათორმეტი ფრანკი, - მიუბრუნდა ქალს.

ჭირისუფალმა ჩანთიდან ამოიღო სამი, თითო ასფრანკიანი, საკრედიტო ბილეთი და სასტუმროს პატრონს გაუწოდა. იმანაც აიღო ფული და წავიდა.

- ექვსი საათისთვის ნომერი უნდა განთავისუფლდეს, თორემ კიდევ ერთი დღე-ღამისათვის მოგიწევთ გადახდა.

- რვა ფრანკი ხურდა მიბოძეთ, - უთხრა რავიკმა.

- მერე, მეკარე?

- მეკარეს თვითონ გავისტუმრებთ. ფეხის ქირასაც გადავიხდით.

სასტუმროს პატრონმა გულმოსული სახით გადათვალა რვა ფრანკი და მაგიდაზე დადო.

- ბინძური უცხოელები, - ჩაილუღლუღა და გავიდა.

- საფრანგეთის ზოგი სასტუმროს პატრონი ლამის თავის მოვალეობად თვლის, სძულდეს უცხოელები, რომელთა წყალობითაც ცხოვრობს.

რავიკმა კარში მსახური შენიშნა. სახეზე ეტყობოდა, ფეხის ქირას ითხოვდა.

- აიღეთ.

მსახურმა ქაღალდს დახედა.

- გმადლობთ, მუსიე, - ჩაილაპარაკა და წავიდა.

- მალე პოლიცია მოვა და ცხედრის გადასვენება შესაძლებელი გახდება, - თქვა რავიკმა და ქალს შეხედა.

ქალი უძრავად იჯდა კუთხეში, ჩემოდნებს შორის. ბინდდებოდა.

- ვიდრე ცოცხალი ხარ, არავის ენაღვლები, მოკვდები თუ არა, არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანი ხდები.

რავიკმა ისევ გადახედა ჭირისუფალს.

- დაბლა ხომ არ ჩახვალთ? იქ, ალბათ, იქნება რაიმე, ჰოლის მსგავსი.

ქალმა უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია.

- მეც შემიძლია თქვენთან ერთად წამოვიდე. აქ ერთი ჩემი მეგობარი შემოივლის, პოლიციასთან ყველაფერს ის მოაგვარებს. ეს არის ექიმი ვებერი. შეგვიძლია ძირს დაველოდოთ.

- არა, ჯობს აქ დავრჩე.

- განა რამეს გაუკეთებთ? რისთვის უნდა დარჩეთ?

- არ ვიცი. ის... ის სულ ცოტა ხანს იქნება აქ... მე კი ასე ხშირად... არ იყო ჩემთან ბედნიერი. ხშირად ვტოვებდი. ახლა მინდა მასთან დავრჩე, - მშვიდად, ყოველგვარი სენტიმენტალობის გარეშე თქვა ქალმა.

- ახლა მისთვის სულერთია, - უთხრა რავიკმა.

- საქმე ეს არ არის...

- კეთილი, მაშინ დალიეთ რამე. თქვენთვის ეს აუცილებელია.

რავიკს პასუხისთვის არ დაუცდია, ისე დარეკა. მიმტანი საოცრად სწრაფად მოვიდა.

- ორი კონიაკი მოიტანეთ. ორმაგი იყოს.

- აქ?

- დიახ. მაშ, სად?

- მესმის, მუსიე.

მიმტანმა ჭიქები და ბოთლი „კურვუაზიე“ შემოიტანა. შიშნეული მზერა ალმაცერად გააპარა კუთხისაკენ, სადაც ბუნდოვნად ჩანდა მოთეთრო, დაბინდული საწოლი.

- ავანთო შუქი? - იკითხა.

- არ გინდათ. ბოთლი შეგიძლიათ აქ დადგათ.

მიმტანმა ლანგარი მაგიდაზე დადგა, ისევ გაიხედა საწოლისაკენ და თითქმის გაიქცა ოთახიდან.

რავიკმა ბოთლი აიღო და ჭიქები შეავსო.

- დალიეთ, უკეთ გახდებით.

ეგონა, დაყოლიება დამჭირდებაო, მაგრამ ქალმა უყოყმანოდ დალია კონიაკი.

- ჩემოდნებში არის რაიმე თქვენთვის მნიშვნელოვანი?

- არაფერი.

- იქნებ, რაიმე საჭირო ნივთი იყოს, რომელსაც თქვენთვის დაიტოვებდით? არ გასინჯავთ?

- არა. არაფერი არ არის. ვიცი.

- არც პატარა ჩემოდანში?

- შეიძლება. არ ვიცი, რა ჰქონდა იმ ჩემოდანში.

რავიკმა ჩემოდანი მაგიდაზე შემოდგა, ფანჯარასთან, და გახსნა. ბოთლები, თეთრეული, უბის წიგნაკები, აკვარელის საღებავების კოლოფი, ფუნჯები, წიგნი. ტილოს პორტფელის გვერდით განყოფილებაში - პაპიროსის ქაღალდში შეხვეული ორი საკრედიტო ბილეთი.

შუქზე გახედა.

- აი, ასი დოლარი, აიღეთ. ამ ფულით ერთხანს კიდევ გაიტანთ თავს. ჩემოდანი თქვენი ნივთების გვერდით დავდგათ. ხომ შეიძლებოდა, თქვენი კუთვნილება ყოფილიყო.

- გმადლობთ, - თქვა ქალმა.

- ახლა შეიძლება ყოველივე ეს საძაგლობად გეჩვენებათ, მაგრამ უამისოდ იოლად ვერ გახვალთ. თქვენთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანია. რაც უნდა იყოს, დრო მაინც გადის.

- არ მიმაჩნია საძაგლობად, მაგრამ თვითონ ასეთ რამეს ვერ გავაკეთებდი.

რავიკმა ჭიქები შეავსო.

- დალიეთ.

ქალმა ნელა შესვა კონიაკი.

- უკეთ ხართ? - ჰკითხა რავიკმა.

ქალმა შეხედა.

- არც უკეთ ვარ, არც უარესად. არანაირად არ ვარ.

ოთახში ჩამობნელდა. ქალი იჯდა და ძლივს ჩანდა. დროდადრო სახესა და ხელებზე განათებული რეკლამის წითელი სხივი გადაუქროლებდა.

- არაფერზე ფიქრი არ შემიძლია, ვიდრე ის აქ არის, - ჩაილაპარაკა ქალმა.

სანიტრებმა მიცვალებულს საბანი გადახადეს, საკაცე საწოლთან მისწიეს და ცხედარი ზედ დაასვენეს. სულ ორი სანიტარი იყო. სწრაფად და საქმიანად მოქმედებდნენ. რავიკი ყოველი შემთხვევისათვის ქალის გვერდით დადგა, ცუდად არ გახდესო. ვიდრე სანიტრები გვამს ზეწარს გადააფარებდნენ, ღამის პატარა მაგიდაზე დაიხარა და მადონას ხის ფიგურა აიღო.

- ეს თქვენი ნივთი მეგონა, - უთხრა ქალს, - ხომ არ დაიტოვებთ?

- არა.

რავიკმა მადონა გაუწოდა. ქალმა არ გამოართვა. მაშინ პატარა ჩემოდანი გახსნა და ფიგურა შიგ ჩადო.

სანიტრებმა გვამს ზეწარი გადააფარეს. შემდეგ საკაცე ასწიეს. კარი ვიწრო იყო, დერეფანშიც თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა. კარში გაძრომა სცადეს, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა. საკაცე ფართო იყო.

- ჩამოღება მოგვიხდება, - თქვა უფროსმა სანიტარმა. - საკაცე არ გავა.

მან კითხვის გამომხატველი თვალები მიაპყრო რავიკს.

- წავიდეთ, - უთხრა ქალს რავიკმა. - ქვემოთ დავიცადოთ.

ქალმა თავი გადააქნია.

- კარგი, - უთხრა რავიკმა სანიტრებს, - გააკეთეთ, რაც საჭიროა.

სანიტრებმა ცხედარს ფეხებსა და მხრებში მოჰკიდეს ხელი, ასწიეს და იატაკზე დაასვენეს. რავიკს რაღაცის თქმა უნდოდა. ქალს შეხედა. ის გაუნძრევლად იდგა და რავიკს ხმა აღარ ამოუღია. სანიტრებმა საკაცე ცუდად განათებულ დერეფანში გაიტანეს. შემდეგ გვამის გასატანად შემობრუნდნენ ჩაბნელებულ ოთახში. რავიკი მათ გაჰყვა. კიბეზე რომ დაშვებულიყვნენ, სანიტრებს ძალიან მაღლა უნდა აეწიათ ცხედარი. სახეზე სისხლი მოაწვათ და სიმწრის ოფლით დაეცვარათ. მძიმედ ირწეოდა თავს ზემოთ მიცვალებული. ვიდრე ძირს არ ჩავიდნენ, რავიკს სანიტრებისათვის თვალი არ მოუშორებია. შემდეგ ნომერში დაბრუნდა.

ქალი ფანჯარას არ შორდებოდა და ქუჩაში იცქირებოდა. ტროტუართან მანქანა იდგა. სანიტრებმა საკაცე ძარაზე ისე შედეს, როგორც ხაბაზი შედებს ხოლმე პურს ღუმელში. შემდეგ კაბინაში დასხდნენ. მოტორმა დაიღრიალა, თითქოს მიწისქვეშეთიდან გოდების ხმა ამოვარდაო. მანქანა მოწყვეტით გაქანდა წინ, კუთხეში შეუხვია და თვალს მიეფარა.

ქალი შემობრუნდა.

- ადრე უნდა გასცლოდით, - უთხრა რავიკმა, - რა საჭირო იყო ბოლომდე დარჩენა?

- სხვაგვარად არ შემეძლო. არ შემეძლო მისი მიტოვება. ნუთუ არ გესმით?

- მესმის. მოდით აქ. დალიეთ კიდევ ერთი ჭიქა.

- არ მინდა.

*

როცა პოლიციელები და სანიტრები წავიდნენ, რავიკმა შუქი ჩართო. ახლა ოთახში მიცვალებული აღარ ესვენა და საოცრად ფართო და უსიცოცხლო ჩანდა, თითქოს გვამი წავიდა, სიკვდილი კი დარჩაო.

- ამ სასტუმროში ხომ არ აპირებთ დარჩენას?

- არა.

- გყავთ პარიზში ნაცნობები?

- არა, არავინ.

- იცით რომელიმე სასტუმრო, სადაც ისურვებდით გადასვლას?

- არა.

- აქვე, მახლობლად, ერთი პატარა სასტუმროა, ამ სასტუმროს მსგავსი. სუფთა და წესიერია. იქ კარგად მოეწყობოდით. სასტუმრო ,,მილანი".

- არ შეიძლება იმ სასტუმროში დავსახლდე, სადაც... თქვენს სასტუმროში?

- ,,ინტერნასიონალში"?

- დიახ. მე... იცით... უკვე ვიცნობ ცოტათი. რაც უნდა იყოს, უკეთესია, ვიდრე სრულიად უცნობი ადგილი.

- ,,ინტერნასიონალი" ქალების საცხოვრებლად არ გამოდგება, - თქვა რავიკმა.

ესღა მაკლდაო, გაიფიქრა. ერთსა და იმავე სასტუმროში! მოწყალების და ხომ არა ვარ, თანაც... იქნებ ფიქრობს, რომ უკვე რაღაც მოვალეობანი მაკისრია მის წინაშე? ასეც ხდება.

- არა, არ გირჩევთ, - უთხრა უფრო მკვახედ, ვიდრე უნდოდა, ეთქვა. - ,,ინტერნასიონალი" მუდამ გამოტენილია ლტოლვილებით. ჯობს, ,,მილანში" მოეწყოთ. არ მოგეწონებათ და, შეგიძლიათ მაშინვე გადახვიდეთ.

ქალმა შეხედა. მიმიხვდაო, გაიფიქრა რავიკმა და შერცხვა. მაგრამ ჯობს წამით სირცხვილი გამოცადო, სამაგიეროდ, შემდეგ სიმშვიდით დატკბები.

- კარგი, - უთხრა ქალმა. - თქვენ მართალი ხართ.

რავიკმა განკარგულება გასცა, ჩემოდნები ძირს ჩაეტანათ და ტაქსიში ჩაეწყოთ. ,,მილანამდე" რამდენიმე წუთში ჩასრიალდნენ. კაცმა მეორე სართულზე იქირავა ნომერი და ქალთან ერთად მაღლა ავიდა. ოთახში იდგა: საწოლი, კარადა, მაგიდა და ორი სკამი. კედლებზე ყვავილწნულებიანი შპალერი იყო გაკრული.

- მოგწონთ? - იკითხა რავიკმა.

- კი. მშვენიერი ოთახია.

რავიკმა შპალერს გახედა. საოცარი შპალერი იყო.

- ყოველ შემთხვევაში, ნათელია, - თქვა მან, - ნათელი და სუფთა.

- მართალი ხართ.

ჩემოდნები შემოიტანეს.

- ასე, ახლა ყველაფერი აქა გაქვთ.

- დიახ. გმადლობთ. დიდად გმადლობთ.

ქალი საწოლზე ჩამოჯდა. საშინლად დაქანცული სახე ჰქონდა.

- დაწექით, შეძლებთ დაძინებას?

- ვეცდები...

რავიკმა ჯიბიდან ალუმინის მილაკი ამოიღო და რამდენიმე აბი გადმოყარა.

- ძილის წამალია. წყლით მიიღეთ. ახლავე მიიღებთ?

- არა, უფრო გვიან.

- კარგი. ახლა კი წავალ. უახლოეს დღეებში გინახულებთ. ეცადეთ, მალე დაიძინოთ. ყოველი შემთხვევისათვის, აი, დამკრძალავი ბიუროს მისამართი. მარტო არ წახვიდეთ. თქვენს თავზე იფიქრეთ. გინახულებთ.

რავიკი ცოტა შეყოვნდა.

- რა გქვიათ?

- მადუ, ჟოან მადუ.

- ჟოან მადუ. კარგი, დავიმახსოვრებ.

იცოდა, არც დაიმახსოვრებდა და არც მოინახულებდა. და რაკი ეს იცოდა, ზრდილობის წესებიც უნდა დაეცვა.

- მაინც უმჯობესი იქნება, ჩავიწერო, - თქვა და რეცეპტის ბლანკებიანი ბლოკნოტი ამოიღო ჯიბიდან, - აი, დაწერეთ, გეთაყვა, თვითონ. ასე უფრო იოლია.

ქალმა ბლოკნოტი გამოართვა და თავისი სახელი ჩაუწერა. რავიკმა ფურცელს დახედა, ამოხია და პალტოს ჯიბეში ჩაიდო.

- ახლავე დაწექით დასაძინებლად, - უთხრა. - დილა საღამოზე გონიერია. სულელურად და გაცვეთილად ჟღერს ეს ფრაზა, მაგრამ ასეა. თქვენ ახლა ძილი გჭირდებათ და დრო. გაივლის ცოტა ხანი და აღმოჩნდება, რომ გაძელით. გამიგეთ?

- დიახ, გავიგე.

- დასაძინებელი აბი დალიეთ და დაწექით.

- გმადლობთ. გმადლობთ ყველაფრისათვის. არ ვიცი, რა მომივიდოდა უთქვენოდ. პირდაპირ არ ვიცი.

კაცმა ხელი გაუწოდა. ცივი ხელი ჰქონდა, მაგრამ მაგრად კი მოუჭირა. კარგიაო, გაიფიქრა კაცმა, უკვე რაღაც გადაწყვეტილება იგრძნობა.

რავიკი ქუჩაში გავიდა. ნესტიანი და თბილი ქარი ჩაისუნთქა. ავტომობილები, ადამიანები, კუთხეებში ატუზული მეძავები, ლუდხანები, ბისტროები, თამბაქოს, აპერიტივებისა და ბენზინის სუნი - ცხოვრების მოტორტმანე, აჩქარებული ფერხული გადაეშალა თვალწინ. სახლების ფასადებს გახედა. ქუჩის გასწვრივ რამდენიმე განათებული ფანჯარა ჩანდა. ერთ მათგანთან ქალი იჯდა და რაღაცას მიშტერებოდა. რავიკმა ჯიბიდან ამოიღო ქაღალდი, რომელზედაც ქალის სახელი ეწერა, დახია და გადაყარა. დავიწყება! რა სიტყვაა! მასშია შიში, ნუგეში, მოტყუება! ვინ შეძლებდა ცხოვრებას, დავიწყება რომ არა? მაგრამ ვის შეუძლია დაივიწყოს ყველაფერი, რისი გახსენებაც არ სურს? გულს ამსხვრევს მოგონების წიდა.

რავიკი ეტუალის მოედნისაკენ გაემართა. იქ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ტრიუმფალური თაღის მიღმა დადგმული პროჟექტორები უცნობი ჯარისკაცის

სამარეს აფრქვევდნენ შუქს. მის თავზე ქარი უზარმაზარ, ლურჯ-თეთრ დროშას აფრიალებდა. 1918 წლის დაზავების ოცი წლისთავს ზეიმობდნენ.

ცუდი ამინდი იდგა და პროჟექტორების სხივები ქალაქის თავზე ტაატით მიმავალ ღრუბლებზე სტყორცნიდნენ დროშის ბუნდოვან, გალეულ, დაფლეთილ ჩრდილს. გეგონებოდათ, იქ, შეკუმშულ წყვდიადში, იხრჩობაო ნაფლეთებად ქცეული ბაირაღი. სადღაც სამხედრო ორკესტრი უკრავდა. ისმოდა ჰიმნის გაურკვეველი ბგერები. არავინ მღეროდა. ხალხი იდგა და ხმას არ იღებდა.

- დაზავება! - თქვა ვიღაც ქალმა რავიკის ახლოს. - ჩემი ქმარი უკანასკნელ ომში მოკლეს. ახლა შვილის ჯერია. დაზავება! ვინ იცის, კიდევ რა მოხდება.

## თავი მეოთხე

სიცხის მაჩვენებელი ფურცელი საწოლის თავზე ახალი და შეუვსებელი იყო. მხოლოდ სახელი, გვარი და მისამართი ეწერა. ლუსიენა მარტინე, ბიუტ შომონი, კლაველის ქუჩა.

ქალიშვილის სახე ნაცრისფერ ლაქად ჩანდა ბალიშზე. გუშინ საღამოს გაუკეთეს ოპერაცია. რავიკმა გულდასმით გაუსინჯა გული. შემდეგ წელში გასწორდა.

- უკეთ არის, - თქვა, - სისხლის გადასხმამ პატარა სასწაული მოახდინა. თუ დილამდე გასტანა - იმედიც უნდა ვიქონიოთ.

- კარგია! - თქვა ვებერმა. - გილოცავთ. უარესს ველოდი. მაჯისცემა ას ორმოცია, სისხლის წნევა ოთხმოცი. კოფეინი, კორამინი... კიდევ ცოტაც და - გათავდებოდა.

რავიკმა მხრები აიჩეჩა.

- მოსალოცი არაფერია. უბრალოდ, ეს ქალი ჩვენთან უფრო ადრე მოვიდა, ვიდრე ის, გახსოვთ, ფეხზე ოქროს ძეწკვი რომ ჰქონდა! ეს არის და ეს.

ქალიშვილს საბანი გადააფარა.

- მეორე შემთხვევაა ამ კვირაში. თუ ასე გაგრძელდა, თქვენი კლინიკა იმ ქალიშვილთა გადასარჩენი კერა გახდება, რომელთაც ცუდად უკეთებენ აბორტს ბიუტ შომონზე. პირველიც ხომ იქიდან მოვიდა?

ვებერი თავის ქნევით დაემოწმა.

- დიახ, იმავე კლაველის ქუჩიდან. გეგონება, ერთმანეთს იცნობდნენ, ერთსა და იმავე მეანთან მივიდნენ. ასე განსაჯეთ, ერთსა და იმავე დროსაც კი მოვიდნენ, საღამოხანს... კიდევ კარგი, სასტუმროში მოგიხელთეთ. მეგონა, უკვე გასული იქნებოდით.

რავიკმა შეხედა.

- როცა სასტუმროში ცხოვრობ, ვებერ, საღამოობით საჭმელად სადმე გახვალ. მარტოხელა კაცისათვის გამოკეტილ ოთახში ჯდომა არც ისე სახალისოა.

- წარმოდგენილი მაქვს. მაგრამ, მაშინ, რატომ ცხოვრობთ სასტუმროში?

- მოხერხებულია და არავითარ ვალდებულებას არ გაკისრებს, ცხოვრობ მარტო და არც მარტო.

- ასე ცხოვრება მოგწონთ?

- კი.

- იგივე შეიძლება გქონდეთ სხვაგანაც. მაგალითად, თუ პატარა ბინას იქირავებთ.

- შეიძლება.

რავიკი ისევ დაიხარა ქალიშვილისაკენ.

- მეთანხმებით, ეჟენი? - ჰკითხა ვებერმა მოწყალების დას.

ეჟენიმ ვებერს გადახედა.

- მუსიე რავიკი ამას არასოდეს გააკეთებს, - თქვა ცივად.

- ექიმი რავიკი, ეჟენი, - შეუსწორა ვებერმა. - გერმანიაში იგი დიდი საავადმყოფოს მთავარი დასტაქარი იყო. ჩემზე ბევრად უფრო დიდი ადგილი ეჭირა.

- აქ... - ის იყო დაიწყო დამ სათვალის სწორებით.

ვებერმა ხელი ჩაიქნია.

- კარგი, კარგი! ყველაფერი ეს ჩვენთვის ცნობილია. ჩვენს ქვეყანაში არ ცნობენ საზღვარგარეთის დიპლომებს. რა იდიოტიზმია! მაგრამ საიდან იცით, რომ ოთახს არ იქირავებს?

- მუსიე რავიკი დაღუპული კაცია, არასოდეს მოეკიდება საკუთარ ოჯახს.

- ეს როგორ? - ჰკითხა გაოცებულმა ვებერმა. - რას ამბობთ?

- მუსიე რავიკისათვის აღარაფერი წმინდა არ არსებობს. ესაა საქმის თავი და ბოლო.

- ბრავო! - თქვა რავიკმა, ჯერაც ავადმყოფის თავზე დახრილმა.

- რავიკ, გაგიგონიათ ოდესმე რაიმე მსგავსი? - ვებერმა თვალები ეჟენის მიაშტერა.

- თვითონ მას ჰკითხეთ, ექიმო ვებერ, - უთხრა ეჟენიმ.

რავიკი წელში გასწორდა.

- შიგ მიზანში მოახვედრეთ, ეჟენი, მაგრამ, როცა ადამიანისათვის უკვე აღარაფერია წმინდა, მისთვის ყოველივე ხელახლა და კიდევ უფრო ადამიანურად ხდება წმინდა. იგი იწყებს სიცოცხლის იმ პატარა ნაპერწკლის პატივისცემასაც კი, ჭიას რომ აიძულებს, დროგამოშვებით დღის სინათლეზე გამოძვრეს. ეს გადაკრულ სიტყვად არ მიიღოთ.

- მე თქვენ ვერ მაწყენინებთ. თქვენ ხომ რწმენა არ გაგაჩნიათ, - ეჟენიმ ენერგიულად შეისწორა მკერდზე ხალათი. - მე კი, მადლობა ღმერთს, რწმენა მაქვს.

რავიკმა პალტო აიღო.

- რწმენას ადვილად მიჰყავს ადამიანი ფანატიზმამდე. აი, რატომ დაიღვარა ამდენი სისხლი რელიგიისათვის. - რავიკმა გაიცინა და დაცინვა არ დაუფარავს. - შემწყნარებლობა - ეჭვის ქალიშვილია, ეჟენი. აკი, მთელი თქვენი რელიგიური მრწამსის მიუხედავად, უფრო აგრესიული და მტრულად განწყობილი ხართ ჩემდამი, ვიდრე მე, ხელიდან წასული უღმერთო - თქვენ მიმართ.

ვებერმა გაიცინა.

- რაო, ეჟენი, მოგხვდათ? ოღონდ თავის დაცვას არ შეეცადოთ. უარესი მოგივათ!

- ჩემი ქალური ღირსება...

- ჰო, გეყოფათ, გეყოფათ! - შეაწყვეტინა ვებერმა. - არავინ გართმევთ! დაიტოვეთ და იჯექით მასთან. მე კი უნდა წავიდე. მისაღებში საქმეები მაქვს. წავიდეთ, რავიკ. ნახვამდის, ეჟენი.

- ნახვამდის, ექიმო ვებერ.

- ნახვამდის, დაო ეჟენი, - თქვა რავიკმა.

- ნახვამდის, - ძლივს წარმოთქვა ეჟენიმ მხოლოდ მას შემდეგ, ვებერი რომ შემოუბრუნდა და შეხედა.

ვებერის მისაღები გაჭედილი იყო ამპირის სტილის ავეჯით - თეთრი, ოქროსვარაყიანი და ნაზი ნახელავით. საწერი მაგიდის ზემოთ მისი სახლისა და ბაღის ფოტოსურათები ეკიდა. კედელთან ფართო შეზლონგი იდგა. ვებერი მასზე იწვა ხოლმე, როცა ღამეს კლინიკაში ათევდა. კლინიკა მას ეკუთვნოდა.

- რას დალევთ, რავიკ, კონიაკს თუ ,,დიუბონეს''?

- ყავას, თუ შეიძლება.

- რა თქმა უნდა, შეიძლება.

ვებერმა მაგიდაზე ელექტრონის ყავადანი დადგა და ჩართო. მერე რავიკს მიუბრუნდა.

- ხომ ვერ შეძლებდით დღეს, სადილის შემდეგ, საექიმო შემოწმების ჩატარებას ,,ოზირისში''?

- რა თქმა უნდა.

- თქვენთვის ეს ძნელი არ იქნება?

- სულაც არა. აბსოლუტურად თავისუფალი ვარ.

- კარგი. მაშ, მეორედ აღარ მომიხდება ქალაქში ჩამოსვლა, ბაღში წავიმუშავებ. ფოშონს ვთხოვდი, მაგრამ შვებულებაშია.

- არაფერია, - თქვა რავიკმა. - პირველად ხომ არ მივდივარ.

- მართალია, მაგრამ მაინც...

- ჩვენს დროში არ არსებობს არავითარი ,,მაინც''. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის.

- ოჰ, რა იდიოტიზმია! თქვენნაირ სპეციალისტს აკრძალული ჰქონდეს მუშაობა, იძულებული იყოს, იმალებოდეს და ოპერაციებს ფარულად აკეთებდეს...

- აჰ, ვებერ! მაგრამ ეს ხომ ძველი ამბავია. ჩემს მდგომარეობაშია გერმანიიდან გამოქცეული ყოველი ექიმი.

- მერე რა! რა უგუნურებაა! თქვენ ურთულეს ოპერაციებს აკეთებთ, დიურანი კი თქვენი მარჯვენით სახელს იხვეჭს.

- და მაინც ეს უკეთესია, ვიდრე ის, რომ თვითონ აკეთებდეს ოპერაციებს.

ვებერმა გაიცინა.

- მეც რა მეთქმის. თქვენ ჩემ მაგივრადაც აკეთებთ ოპერაციებს. მე ხომ მაინც გინეკოლოგი ვარ და არა დასტაქარი.

ყავადანი ადუღდა. ვებერმა გამორთო, კარადიდან ფინჯნები გამოიღო და ყავა დაასხა.

- ერთი რამ არ მესმის, რავიკ, - თქვა მან. - რატომ ცხოვრობთ აქამდე ისეთ სოროში, როგორიცაა ,,ინტერნასიონალი''? რატომ არ გინდათ იქირაოთ ერთი ახალი ბინა ბულონის ტყესთან ახლოს? ცოტა იაფად ავეჯის შეძენაც შეიძლება. მაშინ, ყოველ შემთხვევაში, გეცოდინებათ, რომ რაიმე გაქვთ.

- დიახ, - თქვა რავიკმა, - მაშინ მეცოდინებოდა, რომ რაიმე მაქვს.

- აი, თვითონვე ამბობთ. მაშ, რა გიშლით?

რავიკმა მწარე, ძალიან მაგარი ყავა მოსვა.

- ვებერ, თქვენს მაგალითზე ჩინებულად შეიძლება კაცმა შეისწავლოს ეპოქის დამახასიათებელი ავადმყოფობა - აზროვნების გულკეთილობა. გულწრფელად გწყინთ, რომ იძულებული ვარ არალეგალურად ვიმუშაო, თანაც გიკვირთ, რატომ არ ვქირაობ ბინას. და ყოველივე ამას მეუბნებით ისე, რომ უხერხულობასაც არ გრძნობთ.

- რა კავშირშია ერთი მეორესთან?

რავიკს შემწყნარებლურად ჩაეცინა.

- ბინას რომ ვიქირავებ, პოლიციაში რეგისტრაცია უნდა გავიარო. საამისოდ კი აუცილებელია პასპორტი და ვიზა.

- მართალია. ამაზე არ მიფიქრია. სასტუმრო?

- იქაც იგივეა საჭირო. მაგრამ, საბედნიეროდ, პარიზში კიდევ არის რამდენიმე სასტუმრო, სადაც რეგისტრაციას არც ისე დაჟინებით მოითხოვენ. - რავიკმა ყავაში ცოტა კონიაკი ჩაუმატა.

- ერთი მათგანია ,,ინტერნასიონალი''. ამიტომ ვცხოვრობ იქ. რანაირად იძვრენს თავს მისი დიასახლისი, ეს უკვე აღარ ვიცი. ჩანს, კარგი ნაცნობობა აქვს. პოლიციამ ან არაფერი იცის, ან მოსყიდულია, ყოველ შემთხვევაში, ,,ინტერნასიონალში'' უკვე საკმაოდ დიდი ხანია ვცხოვრობ და არავინ მაწუხებს.

ვებერი სკამის საზურგეს მიეყრდნო.

- რავიკ, - უთხრა, - ეს არ ვიცოდი. მეგონა, მხოლოდ მუშაობა გქონდათ აკრძალული. საშინლად არასასიამოვნო მდგომარეობაა.

- გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკთან შედარებით, ეს სამოთხეა.

- მერე, პოლიცია? მაინც რომ ჩავარდე?

- თუ მოულოდნელად წამადგებიან, გაბმული ვარ - რამდენიმე კვირით ციხეში ჩამსვამენ. მერე საზღვარგარეთ გამასახლებენ, როგორც წესი, შვეიცარიაში. მეორედ თუ დამიჭირეს, ნახევარი წლით ციხე მელის.

- რაა?!

- ჰო, ნახევარი წლით ციხე, - გაიმეორა რავიკმა.

ვებერი გაოცებული მიაშტერდა.

- შეუძლებელია. ეს ხომ არაადამიანობაა!

- მეც ასე ვფიქრობდი, ვიდრე ჩემს თავზე არ გამოვცადე.

- ესე იგი... როგორ თუ გამოცადეთ? უკვე შეგემთხვათ ასეთი რამ?

- ერთხელ კი არა, სამჯერ. ისე, როგორც ასობით სხვას. საკმაოდ დიდი ხნის წინ, როცა ყოველივე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი და ჯერ კიდევ მჯეროდა ეგრეთ წოდებული ჰუმანურობისა. ეს მოხდა ესპანეთში გამგზავრების წინ. იქ პასპორტი არ მჭირდებოდა და მეორედ მივიღე ჰუმანურობის პრაქტიკული გაკვეთილი. მასწავლებლები იყვნენ გერმანელი და იტალიელი მფრინავები. გვიან, უკან რომ დავბრუნდი, უკვე კარგად ვერკვეოდი საქმის ვითარებაში.

ვებერი წამოდგა.

- ღმერთო ჩემო... - და თავისთვის ივარაუდა... - ასე გამოდის, არაფრის გულისათვის გაგიტარებიათ ციხეში წელიწადზე მეტი.

- ამდენი არა. სულ ორი თვე.

- აკი თვითონ თქვით, მეორედ დაპატიმრების დროს ნახევარ წელს აძლევენო.

რავიკმა გაიღიმა.

- თუ გამოცდილებამ ჭკუა გასწავლა, საქმე მეორედ დაპატიმრებამდე აღარ მიდის. ერთი სახელით გაგასახლებენ, მეორე სახელით ბრუნდები. საზღვარს, შეძლებისდაგვარად, სხვა ადგილას გადალახავ. ასე აღწევ თავს მეორედ დაპატიმრებას. ვერაფერს დაგიმტკიცებენ. დოკუმენტები არა გაქვს. შეიძლება მხოლოდ სახით გიცნოს ვინმემ. მაგრამ ეს ძალზე იშვიათად ხდება. რავიკი ჩემი მესამე სახელია. თითქმის ორი წელია, რაც ამ სახელს ვატარებ, და ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. როგორც ჩანს, ამ სახელს ჩემთვის ბედნიერება მოაქვს. რაც დრო გადის, სულ უფრო მიყვარს. ჩემი ნამდვილი სახელი კი თითქმის უკვე დამავიწყდა.

ვებერმა თავი გადააქნია.

- და ყველაფერი ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ნაცისტი არა ხართ.

- რასაკვირველია. ნაცისტებს უზადო დოკუმენტები აქვთ და ყოველნაირი ვიზა, ოღონდ კი ისურვონ.

- კარგი რამ კია ეს ქვეყანა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ძვირს ვერ იტყვი! ახლა მთავრობა? რაიმე მაინც ეღონა...

- მთავრობამ, უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე მილიონ უმუშევარზე უნდა იზრუნოს. და ასეთი მდგომარეობაა არა მარტო საფრანგეთში. ყველგან ერთი და იგივე ამბავია, - რავიკი ადგა. - მშვიდობით, ვებერ. ორი საათის შემდეგ ისევ დავხედავ ქალიშვილს. ღამით ერთხელ კიდევ შევივლი.

ვებერმა კარამდე მიაცილა.

- გამიგონეთ, რავიკ, - უთხრა, - როგორმე გამოიარეთ ერთ საღამოს ჩემთან ქალაქგარეთ. ვივახშმოთ.

- აუცილებლად, - რავიკმა იცოდა, რომ ტყუილად ჰპირდებოდა. - თუ დრო მექნება. მშვიდობით, ვებერ.

- მშვიდობით, რავიკ. აუცილებლად მოდით.

რავიკი უახლოეს ბისტროში შევიდა და ფანჯარასთან დაჯდა, რომ ქუჩა დაენახა. უყვარდა პატარა მაგიდასთან ჯდომა და გამვლელთა ცქერა. პარიზი ერთადერთი ქალაქია, სადაც შეიძლება ბრწყინვალედ გაატარო დრო ისე, რომ არაფერი აკეთო.

მიმტანმა მაგიდა გადაწმინდა და რავიკს კითხვის გამომხატველი თვალებით შეხედა.

- ჭიქა „პერნო“.

- უწყლოდ, მუსიე?

- არა, მოიცადეთ, - რავიკმა გადაიფიქრა, - „პერნო“ არ მინდა.

რაღაც უშლიდა და ეს რაღაც უნდა მოეშორებინა თავიდან, მაგრამ არა – ანისულის მოტკბო სამაგლობით. ამ არაყს სიმაგრე არა აქვს.

- ჭიქა კალვადოსი, - უთხრა მიმტანს. - ან ჯობია, ცოტა მეტი.

- კარგი, მუსიე.

უეცრად მიხვდა, რომ ვებერის მიპატიჟებამ თავმოყვარეობა შეულახა. თანაც, როგორი თანაგრძნობით სავსე იერი ჰქონდა. უნდოდა შესაძლებლობა მიეცა, თუნდაც ერთი საღამო ოჯახურ გარემოცვაში გაეტარებინა. ფრანგები იშვიათად იწვევენ შინ უცხოელებს. რესტორანში დაპატიჟებას ამჯობინებენ ხოლმე. რავიკი აქამდე ერთხელაც არ ყოფილა ვებერთან. დაპატიჟებამ, თუნდაც გულწრფელმა, ძლიერ მოუკლა გული. შეურაცხყოფისაგან თავის დაცვა შეიძლება, თანაგრძნობისაგან კი - არა.

რავიკმა ცოტა კალვადოსი მოსვა. რისთვის დაუწყო ვებერს იმისი ახსნა, თუ რატომ ცხოვრობს „ინტერნასიონალში“? რა საჭირო იყო? ვებერმა უკვე იცის ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს. იცის, რომ რავიკს არა აქვს ექიმობის უფლება, - მორჩა და გათავდა. თუ ვებერი მაინც მუშაობს მასთან - ეს მისი საქმეა. ცოტა მოგებას კი არ იღებს მისი წყალობით. მისი იმედით შეუძლია ხელი მოჰკიდოს ისეთ ოპერაციას, როგორსაც თვითონ არასოდეს იკისრებდა. არავინ არაფერი იცის, მისი და ეჟენის გარდა, ხოლო ეჟენის შეუძლია ენას კბილი დააჭიროს. იგივე ხდებოდა დიურანთან. ოღონდ იქ ყველაფერი დიდი ცერემონიებით ტარდებოდა. ოპერაციის წინ დიურანი პაციენტთან რჩებოდა მანამ, სანამ ნარკოზის მიღების შემდეგ ავადმყოფი იძინებდა. მხოლოდ მაშინ ცხადდებოდა რავიკი და აკეთებდა ოპერაციას, რაზედაც დიურანს ხელი არ მიუწვდებოდა: მეტისმეტად მოხუცი და უნიჭო გახლდათ. როცა პაციენტი იღვიძებდა, დიურანი ისევ ქირურგ-ვირტუოზის ამაყი სახით იდგა მის გვერდით. რავიკის წინ მუდამ იყო მხოლოდ ზეწრით დაფარული მუმია, ის ხედავდა მხოლოდ სხეულის ვიწრო ზოლს, იოდწაცხებულსა და საოპერაციოდ გამზადებულს. ზოგჯერ ისიც არ იცოდა, ვის უკეთებდა ოპერაციას. დიურანი დიაგნოზს ეტყოდა და რავიკი იწყებდა გაკვეთას. მოხუცი მეათედზე ნაკლებს აძლევდა იმ ჰონორარიდან, რასაც პაციენტისაგან იღებდა. რავიკი თანახმა იყო - უმუშევრად დარჩენას ისევ ეს ჯობდა. ვებერი უფრო კეთილსინდისიერი იყო და ოცდახუთ პროცენტს აძლევდა. ეს უკვე ჯენტლმენური გასამრჯელო იყო.

რავიკი ფანჯარაში იყურებოდა. რაღაზე უნდა იფიქროს კიდევ?

თითქმის აღარაფერი დარჩენია. ცხოვრობდა და ეს საკმარისი იყო. ცხოვრობდა ცვალებად, არასაიმედო დროში. რისთვის უნდა სცადოს კაცმა რაიმეს შენება, თუკი მალე ყველაფერი უსათუოდ დაინგრევა? ჯობს, ისევ დინებას მიჰყვეს, ტყუილად არ ფლანგოს ჯან-ღონე - ეს ხომ ერთადერთი რამ არის, რისი აღდგენაც შეუძლებელია! უნდა გაუძლოს! შეინარჩუნოს თავი იმ დრომდე, ვიდრე ხელახლა არ გამოჩნდება მიზანი. და რაც უფრო ნაკლებ ძალას დახარჯავს, მით უკეთესი იქნება, - მარაგად დარჩება. იმ საუკუნეში, როცა ყოველივე ინგრევა, ჭიანჭველის შეუპოვრობით აშენო დარბაისლური ცხოვრება? იცოდა, რამდენმა განიცადა კრახი ამ გზაზე! ეს იყო გულის ამაჩუყებელი, გმირული, სასაცილო... და უსარგებლო. მხოლოდ არაქათს აცლიდა ყველას. შეუძლებელია მთიდან დაქანებული ზვავის შეჩერება. ყველას ჩაიტანს, ვინც ამას შეეცდება. ჯობს, დავიცადოთ და მერე ცოცხლად ჩამარხულები ამოვთხაროთ. ნათქვამია, შორეულ ლაშქრობაში მსუბუქი ტვირთი იქონიეო. გაქცევის დროსაც ასე ჯობს...

„ოზირისში“ მეძავები უკვე ელოდნენ. მათ დროდადრო მუნიციპალიტეტის ექიმებიც სინჯავდნენ, მაგრამ საროსკიპოს მეპატრონეს ეს საკმარისად არ მიაჩნდა. ფიქრიც არ სურდა იმაზე, რომ მის სახლში ვინმეს სენი შეჰყროდა. ამიტომ ვებერთან შეთანხმებული იყო და ქალებს ყოველ ხუთშაბათს განმეორებით ასინჯებდნენ.

ზოგჯერ ამ საქმეს რავიკი ასრულებდა.

საროსკიპოს მეპატრონემ პირველ სართულზე საგანგებოდ გამოყო საკვლევი ოთახი, სადაც ქალებს სინჯავდნენ. თავიც მოჰქონდა იმით, რომ მთელი წლის განმავლობაში მის დაწესებულებაში არც ერთი მუშტარი არ დაავადებულა. და მაინც,

ქალიშვილების დიდი სიფრთხილის მიუხედავად, ჩვიდმეტმა მუშტარმა შემოიტანა ვენერიული სნეულება.

როლანდამ რავიკს ბოთლი ბრენდი და ჭიქა მიართვა.

- მე მგონი, მართას რაღაც სჭირს, - უთხრა.

- კეთილი. ახლავე გავსინჯავ.

- გუშინ აღარ მივეცი მუშაობის ნება. ერთ ამბავშია, მედავება. მაგრამ მისი თეთრეული რომ ნახოთ...

- კარგი, როლანდა.

პერანგისამარა ქალიშვილები ერთიმეორის მიყოლებით შემოდიოდნენ და რიგრიგობით მიდიოდნენ ექიმთან. რავიკი აქ ყველას იცნობდა. მხოლოდ ორი აღმოჩნდა ახალი.

- მე არ მჭირდება გასინჯვა, ექიმო, - უთხრა ლეონიამ, წითელთმიანმა საქსონიელმა გოგომ.

- რატომ არ გჭირდება?

- მთელი კვირაა, არც ერთი მუშტარი არ მომკარებია.

- მერე, რას ამბობს ამაზე ქალბატონი?

- არაფერს. სამაგიეროდ, ბლომად შამპანურები გავასაღე. ყოველ საღამოს შვიდი ბოთლი. სამი საქმოსანი კაცი იყო ტულუზიდან, ცოლშვილიანები. სამივეს ვუნდოდი, მაგრამ ერთიმეორის რიდი ჰქონდათ. ეშინოდათ: თუ რომელიმე ჩემთან მოვიდოდა, სხვები დაასმენდნენ, შინაურებს ეტყოდნენ. ამიტომ სულ სვამდნენ. სამივეს იმედი ჰქონდა, რომ სხვები დავარდებოდნენ და თვითონ დარჩებოდა, - ლეონიამ გაიცინა და ზანტად მოიქექა. - მაგრამ გამარჯვებულს საერთოდ ადგომის თავიც აღარა ჰქონდა.

- კარგია. მე კი მაინც უნდა გაგსინჯო.

- როგორც გნებავთ. ექიმო, სიგარეტი ხომ არა გაქვთ?

- აგერ, აიღე.

რავიკმა ნაცხი აიღო, მერე შეღება და მინა მიკროსკოპის ქვეშ დადო.

- იცით, რა არ მესმის, - თქვა ლეონიამ, როცა რავიკი ნაცხს აკვირდებოდა.

- რა?

- ისა, რომ ასეთ რამეს აკეთებთ და მერე კიდევ გეხალისებათ ქალთან დაწოლა.

- ეს არც მე მესმის. ჯანმრთელი ხარ. შემდეგი ვინ არის?

- მართა.

შემოვიდა მართა, ფერმკრთალი, ტანწვრილი და ქერათმიანი. სახე ბოტიჩელის ანგელიზისა ჰქონდა, მაგრამ ჟარგონი - ქუჩის ქალისა.

- მე არაფერი მჭირს, ექიმო.

- ძალიან კარგი. ვნახოთ.

- მაგრამ ნამდვილად არაფერი მჭირს.

- მით უკეთესი.

ანაზდად ოთახში როლანდა შემოვიდა და მართას შეხედა. ქალიშვილს აღარაფერი უთქვამს. შეშფოთებული კი უყურებდა რავიკს. ექიმმა ის გულმოდგინედ გასინჯა.

- არაფერი არაა, ექიმო! ხომ იცი, რა წინდახედულიც ვარ!

რავიკმა არაფერი უპასუხა. მართა ენის ბორძიკით განაგრძობდა ტლიკინს. რავიკმა ნაცხი აიღო და გამოკვლევა განაგრძო. ბოლოს უთხრა:

- მართა, შენ ავად ხარ.

- რაო? - ქალი ზეზე წამოვარდა. - ეს შეუძლებელია.

- ეს ასეა.

მართამ რავიკს შეხედა და, უეცრად, ლანძღვისა და წყევლა-კრულვის ნიაღვარი გადმოაფრქვია:

- დახე იმ ღორს! ღმერთგამწყრალი ღორი ისა! არ ვენდობოდი, მომატყუა იმ ბინძურმა ლეშმა! სტუდენტი ვარო, ვიციო, მედიცინას ვსწავლობო, ასე მარწმუნებდა ის ნაძირალა!

- რატომ არ გაფრთხილდი?

- როგორ არ გავფრთხილდი, მაგრამ ეს ისე უცებ მოხდა... თანაც თქვა, სტუდენტი ვარო...

რავიკმა თავი დაუქნია. ჩვეულებრივი ამბავი იყო: მედიცინის შემსწავლელ სტუდენტს ტრიპერი შეეყარა, თვითმკურნალობით თი-თქოს მოირჩინა, ორი კვირის შემდეგ კი სხვას გადასდო, თავი არ შეიმოწმა.

- რამდენ ხანში მოვრჩები, ექიმო?

- ექვსი კვირა უნდა, - რავიკმა იცოდა, რომ მეტი დრო დასჭირდებოდა.

- ექვსი კვირა? მერე, ექვსი კვირა უმუშევრად? ჰოსპიტალში უნდა დავწვე?

- ვნახავთ. შეიძლება მერე შინაც გაგაჩეროთ, თუ დაგვპირდები...

- ყველაფერს დაგპირდებით, ოღონდ ჰოსპიტალში არ გამგზავნოთ.

- პირველ ხანებში დაწოლა მოგიწევს. სხვანაირად არ გამოვა.

ქალიშვილი რავიკს მიაშტერდა. ჰოსპიტლისა ყველა მეძავს ეშინოდა. მეტად მკაცრ ზედამხედველობას უწევდნენ იქ. მაგრამ სხვანაირად მკურნალობა შეუძლებელი იყო. რა დაპირებაც უნდა მიეცათ, ორიოდე დღის შემდეგ სახლიდან უსათუოდ გაიპარებოდნენ და მამაკაცებს მონახავდნენ, რომ გასამრჯელო აეღოთ, და ვინმეს მაინც დააავადებდნენ.

- ქალბატონი ხარჯებს გადაიხდის, - დაამშვიდა რავიკმა.

- მაგრამ მე რა მეშველება! ექვსი კვირა უშემოსავლოდ. თანაც ვერცხლისფერი მელია მაქვს ნაყიდი ნისიად. ვადა გაუვა, პროცენტები მოემატება, ყველაფერს დავკარგავ.

ქალი ატირდა.

- წამოდი, მართა, - დაუძახა როლანდამ.

- თქვენ უკან აღარ მიმიღებთ! ვიცი, ასე იქნება, - უთხრა მართამ სლუკუნით. - აქ აღარ მიმიღებთ! აღარასოდეს გამიკარებთ. ქუჩაში ამოვყოფ თავს. და ყველაფერი იმ ბინძური ძაღლის გამო...

- მიგიღებთ. შენ კარგი იყავი, შემოსავლიანი. მუშტარი გეტანება.

- მართლა? - მართამ იმედიანად ახედა.

- რა თქმა უნდა. ახლა კი წამოდი.

მართა როლანდას გაჰყვა. რავიკმა მათ უსიტყვოდ გააყოლა თვალი. იცოდა, მართა ვეღარ დაბრუნდებოდა ამ სახლში. ქალბატონი მეტისმეტად წინდახედული იყო. მართას ცხოვრების შემდგომი ეტაპი, ალბათ, ბლონდელის ქუჩის იაფფასიანი საროსკიპო იქნებოდა, შემდეგ ქუჩა, ბოლოს კოკაინი, ჰოსპიტალი, ყვავილების ან სიგარეტების გამყიდველის ხვედრი. ან კიდევ, თუ ბედი გაუღიმებს, ვინმე ლუი გამოუჩნდება, ჯერ რომ გაწკეპლავს, გამოიყენებს და ბოლოს, სახლიდან გააგდებს.

ოტელ ,,ინტერნასიონალის“ სასადილო ოთახი სარდაფში იყო მოთავსებული, ამიტომ მუშტრები ,,კატაკომბას“ ეძახდნენ. სქელი მინის ფილებიდან, რითაც შემოფარგლული იყო ეზოს ნაწილი, დღისით მქრქალი შუქი აღწევდა. სასადილო, ერთდროულად, მოსაწევი დარბაზიც იყო, სასტუმროც, ჰოლიც, თავშეყრის ადგილიც და უპასპორტო ემიგრანტების თავშესაფარიც. პოლიციის თავდასხმის შემთხვევაში შეეძლოთ აქედან ეზოში გადაძრომა, ეზოდან - გარაჟში, გარაჟიდან კი გვერდით ქუჩაზე.

რავიკი და ღამის ბარის, ,,შეჰერეზადას“, შვეიცარი ბორის მოროზოვი ,,კატაკომბის“ იმ კუთხეში ისხდნენ, რომელსაც დიასახლისი ,,პალმის დარბაზს“ ეძახდა: აქ, წვრილფეხებიან პატარა მაგიდაზე მდგარ მაიოლიკის გეჯაში, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა ნახევრად დამჭკნარი პალმა. მოროზოვი უკვე თხუთმეტი წელია, პარიზში ცხოვრობდა. რუსი ემიგრანტებიდან ამგვარი ცოტა იყო, თავს გვარდიის ოფიცრად რომ არ ასაღებდა და თავისი თავადიშვილური ჩამომავლობით არ ამპარტავნობდა.

ჭადრაკს თამაშობდნენ. „კატაკომბა“ ცარიელი იყო. მხოლოდ ერთ პატარა მაგიდასთან იჯდა რამდენიმე კაცი. სვამდნენ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, წარამარა სადღეგრძელოებს წარმოთქვამდნენ.

მოროზოვმა გაჯავრებით გახედა.

- შეგიძლია ამიხსნა, რავიკ, რატომ არის აქ მაინცდამაინც დღეს ასეთი ყაყანი? რატომ არ მიდიან ეს ემიგრანტები დასაძინებლად?

რავიკმა გაიცინა.

- რა ჩემი საქმეა, ეს ოტელის ფაშისტური ფრაქციაა.

- ესპანეთი? შენ ხომ იქაც იყავი.

- ჰო, მაგრამ მათ მხარეზე კი არა, თანაც, როგორც ექიმი. ესენი ესპანელი მონარქისტები არიან, ყველაზე უფრო პირწავარდნილი ფაშისტები, ამ ბრბოს უბადრუკი ნაშთები. ყველა დანარჩენი, დიდი ხანია, შინ დაბრუნდა, ამათ კი ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტიათ. ფრანკო მათთვის მეტისმეტად ტლანქია. რაც შეეხება მაროკოელებს, ესპანელებს რომ ხოცავენ, იმათი საწინააღმდეგო, ცხადია, არაფერი აქვთ.

მოროზოვი ფიგურებს აწყობდა.

- ეტყობა, გერნიკის მხეცურ დაბომბვას აღნიშნავენ ან ესპანელ მაღაროელებსა და გლეხებზე იტალიელი და გერმანელი მეტყვიამფრქვევეების გამარჯვებას. ერთხელაც არ მინახავს აქ ეს ტიპები.

- უკვე რამდენიმე წელია, აქ არიან. ნახვით კი იმიტომ არ გინახავს, რომ სასტუმროში არ სადილობ.

- შენ?

- არც მე.

მოროზოვმა ჩაიცინა.

- კარგი, - თქვა, - აღარაფერს ვიკითხავ, თორემ კიდევ რაღაც მწარეს მეტყვი. მე თუ მკითხავენ, თუნდაც ამ სოროში შობილან! ოღონდ კი წყნარად ილაპარაკონ. აი... ძველი სანაქებო ლაზიერის გამბიტი.

რავიკმა პაიკით ითამაშა. დებიუტი მალე გაითამაშეს. შემდეგ მოროზოვი ჩაფიქრდა.

- არის ერთი კარგი ვარიანტი, ალიოხინისა...

ერთი ესპანელი მათ მაგიდასთან მოვიდა. ვიწრო, ღრმად ჩამჯდარი თვალები ჰქონდა. მოროზოვმა უკმაყოფილოდ გადახედა ესპანელს. იგი ძლივს იდგა ფეხზე, გალეშილიყო.

- ბატონებო, - თქვა თავაზიანად, - პოლკოვნიკი გომესი გთხოვთ, მასთან ერთად შესვათ თითო სირჩა ღვინო.

- ბატონო ჩემო, - ასევე თავაზიანად მიუგო მოროზოვმა, - ჩვენ ვთამაშობთ ქალაქ პარიზის მეჩვიდმეტე უბნის პირველობაზე, ჩემპიონატის პარტიას. დიდად გმადლობთ, მაგრამ შემოერთება არ შეგვიძლია.

ესპანელმა თვალიც არ დაახამხამა. ისეთი ცერემონიებით მიუბრუნდა რავიკს, თითქოს ფილიპე მეორის კარზე ყოფილიყო.

- ამას წინათ თქვენ დიდი თავაზიანობა გამოიჩინეთ პოლკოვნიკ გომესისადმი. ამიტომ სურს, თავისი გამგზავრების წინ თქვენთან ერთად სირჩა ღვინო შესვას.

- ჩემმა პარტნიორმა, - არანაკლებ თავაზიანად მიუგო რავიკმა, - უკვე აგიხსნათ, რომ ეს პარტია ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. მადლობა მოახსენეთ პოლკოვნიკ გომესს. ძალზე ვწუხვარ.

ესპანელმა თავი დაუკრა და თავისი მაგიდისაკენ წავიდა. მოროზოვმა ჩაიცინა.

- სწორედ ასე იქცეოდნენ რუსები ემიგრაციის პირველ წლებში. ტიტულებსა და მანერებს ისე ეჭიდებიან, როგორც მაშველ რგოლს. რა თავაზიანობა გამოიჩინე ამ ჰოტენტოტის მიმართ?

- სასაქმებელი წამალი გამოვუწერე. ლათინთა მოდგმის ხალხები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საჭმლის წესიერ მონელებას.

- ეს ცუდი როდია, - მოროზოვმა თვალი მოჭუტა. - დემოკრატთათვის დამახასიათებელი სისუსტეა. ფაშისტი იმავე სიტუაციაში დემოკრატს დარიშხანს გამოუწერდა.

ესპანელი დაბრუნდა.

- უფროსი ლეიტენანტი ნავარო, - წარუდგა იმ კაცის სერიოზულობით, რომელმაც ბევრი დალია, მაგრამ ამის აღიარება არ სურს, - პოლკოვნიკ გომესის ადიუტანტი. დღეს, ღამით, პოლკოვნიკი პარიზს ტოვებს. მიეშურება ესპანეთში, რათა შეუერთდეს გენერალისიმუს ფრანკოს სახელოვან არმიას. ამიტომაც თქვენთან ერთად სურს შესვას ესპანეთის თავისუფლებისა და ესპანეთის არმიის პატივსაცემად.

- უფროსო ლეიტენანტო ნავარო, - ლაკონიურად მოუჭრა რავიკმა, - მე ესპანელი არ გახლავართ.

- ვიცით, გერმანელი ბრძანდებით, - ნავაროს სახეზე შეთქმულმა ღიმილმა გაიელვა. - სწორედ ამით აიხსნება პოლკოვნიკის სურვილი, დალიოს თქვენთან ერთად. გერმანია და ესპანეთი მეგობრები არიან.

რავიკმა თავის პარტნიორს გადახედა. ბედის ირონიაა! მოროზოვს ტუჩები შეუთრთოლდა.

- უფროსო ლეიტენანტო ნავარო, - უთხრა მან წყნარად, - ვწუხვარ, მაგრამ იძულებული ვარ ისევ დოქტორ რავიკთან პარტიის დასრულების აზრზე დავრჩე. თამაშის შედეგი დღესვე უნდა შევატყობინოთ დეპეშებით ნიუ-იორკსა და კალკუტაში.

- მოწყალეო ბატონო, - ცივად მიუგო ნავარომ, - თქვენგან ველოდით უარის თქმას. რუსეთი ესპანეთის მტერია. მიწვევა ეხებოდა მხოლოდ დოქტორ რავიკს. ჩვენ იძულებული გავხდით, თქვენც მიგვეწვიეთ მხოლოდ იმის გამო, რომ აქ ერთად იმყოფებოდით.

მოროზოვმა თავის უზარმაზარ ხელისგულზე დააყენა აღებული მხედარი და რავიკს გადახედა.

- ხომ არ გეჩვენება, რომ დროა, დასრულდეს ეს ბალაგანი?

- დიახ, - რავიკი ესპანელს მიუბრუნდა: - ახალგაზრდავ, ვფიქრობ, ყველაფერს ემჯობინება, თქვენებთან დაბრუნდეთ. თქვენ უმიზეზოდ ესხმით თავს პოლკოვნიკ მოროზოვს, რომელიც არაფრით არის დაკავშირებული დღევანდელ რუსეთთან.

პასუხისათვის არ დაუცდია, ისე დაიხარა ჭადრაკის დაფასთან. ნავარო წუთით შეყოვნდა და შემდეგ წავიდა.

- მთვრალია და თან, როგორც მრავალი ლათინელი, მოკლებულია იუმორის გრძნობას, - თქვა რავიკმა, - მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის არც ჩვენ გვქონდეს. აი, რატომ მოგანიჭე პოლკოვნიკის წოდება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დიდი-დიდი, საცოდავი პოდპოლკოვნიკი იქნებოდი. მაგრამ მე არ შემეძლო იმის დაშვება, რომ ამ გომესზე დაბალი რანგისა ყოფილიყავი.

- შეწყვიტე ყბედობა, შვილო ჩემო. ამ ლაპარაკში ალიოხინის ვარიანტი მხედველობიდან გამომრჩა. მგონი, ეტლი დავკარგე. - მოროზოვმა თავი ასწია. - ღმერთო, კიდევ ერთი მოდის. მეორე ადიუტანტი. ეს რა ხალხია!

თვითონ პოლკოვნიკი გომესი მოდიოდა. რავიკი სკამის ზურგს გადაეყრდნო, უფრო მოხერხებულად მოეწყო.

- ახლა მოხდება დისკუსია ორ პოლკოვნიკს შორის.

- ხანმოკლე იქნება ეს დისკუსია, შვილო ჩემო.

პოლკოვნიკი კიდევ უფრო მოყვარული აღმოჩნდა ცერემონიისა, ვიდრე მისი ადიუტანტი. მოროზოვს ბოდიში მოუხადა ნავაროს მიერ დაშვებული შეცდომისათვის. ბოდიში მიღებულ იქნა. ახლა, როცა გაუგებრობა გაიფანტა, გომესმა უკვე რაღაც ფანტასტიკური ცერემონიებით სთხოვა, შერიგების ნიშნად ფრანკოს სადღეგრძელო შევსვათო. ამჯერად რავიკმა უთხრა უარი.

- მაგრამ თქვენ ხომ ჩვენი გერმანელი მოკავშირე ხართ...

პოლკოვნიკი აშკარად საგონებელში ჩავარდა.

- პოლკოვნიკო გომეს, - უთხრა რავიკმა, რომელიც უკვე მოთმინებას კარგავდა. - მოდი, ყველაფერი ისე იყოს, როგორც არის. დალიეთ, ვისი სადღეგრძელოც გნებავთ, მე კი ჭადრაკს ვთამაშობ.

პოლკოვნიკმა სცადა, გარკვეულიყო მის ნათქვამში.

- მაშასადამე, თქვენ...

- ნუ დავაზუსტებთ, - შეაწყვეტინა მოროზოვმა, - ეს მხოლოდ ზედმეტ კამათს გამოიწვევს.

გომესი კიდევ უფრო დაიბნა.

- მაგრამ თქვენ, თეთრგვარდიელი და მეფის ოფიცერი, წინააღმდეგი უნდა იყოთ...

- არაფერიც არ უნდა ვიყოთ. ძალიან ძველმოდური ხალხი ვართ. ჩვენ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებანი გვაქვს და მაინც არ ვცდილობთ, ერთმანეთს თავები გავუხეთქოთ.

ჩანდა, გომესს, ბოლოს და ბოლოს, რაღაც აზრმა გაუელვა. გაიჭიმა.

- აი, უნიათო დემოკრატია...

- ჩემო ძვირფასო, - თქვა მოროზოვმა და მის ხმაში უეცარი მუქარა გაისმა, - მოწყდით აქედან! ასე უნდა მოქცეულიყავით ამ რამდენიმე წლის წინათ. ესპანეთში წადით! იომეთ! თქვენ მაგივრად იქ იტალიელები და გერმანელები იბრძვიან. მშვიდობით!

ამ სიტყვებზე მოროზოვი ადგა. გომესმა ნაბიჯით უკან დაიხია ისე, რომ თვალი არ მოუცილებია. შემდეგ მოწყვეტით მიბრუნდა და თავის მაგიდას მიაშურა... მოროზოვი ისევ დაჯდა, ამოიოხრა და ოფიციანტ ქალს დაურეკა.

- კლარისა, მოიტანეთ ორი ორმაგი კალვადოსი.

კლარისამ თავი დაუქნია და წავიდა.

- კარგი მოხმლეები არიან, - რავიკმა გაიცინა. - პრიმიტიული აზროვნება აქვთ და უკიდურესად რთული წარმოდგენა პატიოსნებაზე. ერთიც და მეორეც ართულებს ცხოვრებას, როცა ადამიანი მთვრალია.

- ეტყობა, კიდევაც... აი, შემდეგიც. ნამდვილი პროცესიაა. ნეტავ, ამჯერად ვინაა? თვითონ ფრანკო ხომ არა?

ისევ ნავარო აღმოჩნდა. იგი მაგიდიდან ორ ნაბიჯზე გაჩერდა და მოროზოვს მიმართა:

- პოლკოვნიკი გომესი წუხს, რომ არ შეუძლია თქვენი დუელში გამოწვევა. დღეს, ღამით, პარიზიდან გადის. ამას გარდა, მისი მისია მეტად მნიშვნელოვანია საამისოდ, რომ პოლიციასთან უსიამოვნო რისკი გასწიოს. - რავიკს მიუბრუნდა. - პოლკოვნიკი გომესი თქვენ წინაშე ვალშია კონსულტაციისათვის. ინებეთ ჰონორარი.

მაგიდაზე დაჭმუჭნილი ხუთფრანკიანი ქაღალდი დააგდო და წასვლა დააპირა.

- ერთი წუთით, - თქვა მოროზოვმა.

კლარისა უკვე მაგიდასთან იდგა ლანგრით ხელში. მოროზოვმა კალვადოსით სავსე სირჩა აიღო, შეხედა, თავი გადააქნია და ისევ დადგა. შემდეგ ლანგრიდან ჭიქა წყალი აიღო და ნავაროს სახეში შეასხა.

- იქნებ, ამან გამოგაფხიზლოთ, - შენიშნა მშვიდად. - შემდეგისათვის დაიმახსოვრეთ: ფულს ასე არ აგდებენ. ახლა კი გაეთრიე, შუა საუკუნეების იდიოტო!

რეტდასხმული ნავარო სახეს იწმენდდა. სხვა ესპანელებიც მოვიდნენ. სულ ოთხნი იყვნენ. მოროზოვი ნელა წამოდგა. მთელი თავით მაღალი იყო ესპანელებზე. რავიკი ისევ იჯდა. გომესს გადახედა.

- ნუ გაიხდით თავს სასაცილოდ, - უთხრა. - ყველანი მთვრალები ხართ, არავითარი შანსი არა გაქვთ. წუთიც და თქვენგან ბიფშტექსებს დავამზადებთ. ფხიზელიც რომ იყოთ, მაინც არაფერი გამოგივათ.

შემდეგ წამოხტა, ნავაროს იდაყვებში ჩაავლო ხელები, შემოაბრუნა, ოდნავ ასწია და ისე მოწყვეტით დაუშვა იატაკზე, რომ გომესი განზე გადგა.

- ახლა კი მოგვასვენეთ. ჩვენ თქვენთვის არ გვითხოვია, წურბლებივით აგვეკიდეთ-თქო. - მაგიდიდან ხუთფრანკიანი აიღო და ლანგარზე დადო. - ინებეთ, კლარისა, ამ ბატონებისაგან.

- პირველად მივიღე მაგათგან გასამრჯელოდ ფული, - განაცხადა კლარისამ. - გმადლობთ.

- სამწუხაროა, - თქვა მოროზოვმა. - სიამოვნებით გავუსწორებდი ამ ძამიკოებს ანგარიშს, მაგრამ შენ გამო არ შეიძლება, შე უპასპორტოდ მოგდებულო. არ ნანობ ხოლმე ზოგჯერ, რომ არ შეგიძლია ჩხუბის ატეხა?

- ამათთან არა. არიან სხვები, რომელთა ხელის ჩავლებაც მენატრება.

ესპანელები კუთხეში ისევ აყაყანდნენ. შემდეგ ერთბაშად წამოცვივდნენ. გაისმა ხმამაღალი სამმაგი „ვივა!“ ესპანელებმა ხმაურით დადგეს მაგიდაზე სასმისები და მთელი ჯგუფი საბრძოლო იერით გავიდა.

- კინაღამ სიფათში შევასხი ეს ჩინებული კალვადოსი! - მოროზოვმა სასმისი აიღო და დალია. - აი, ვინ მართავს ახლა ევროპას! ნუთუ, ოდესღაც ჩვენც ასეთი ყეყეჩები ვიყავით?

- დიახ, - მიუგო რავიკმა.

მთელი საათი თამაშობდნენ. ბოლოს მოროზოვმა დაფას თვალი მოაშორა.

- აი, შარლი, - თქვა. - ეტყობა, თქვენ სჭირდებით.

ყმაწვილი კაცი, პორტიეს თანაშემწე, პატარა პაკეტით ხელში, მაგიდასთან მივიდა.

- თქვენთან გამომატანეს.

- ჩემთან?

რავიკმა პაკეტი მოსინჯა. ბაფთით შეკრულ პაპიროსის თეთრ ქაღალდზე მისამართი არ ეწერა.

- პაკეტებს არავისგან ველოდები. ალბათ, შეცდომაა. ვინ მოიტანა?

- რომელიღაც ქალმა... ბანოვანმა...

- ქალმა თუ ბანოვანმა?

- ასე... რაღაც საშუალომ.

მოროზოვმა გულღიად ჩაიცინა:

- გვარიანად არის ნათქვამი.

- აქ გვარი არ წერია. ჩემთვის გადმოცემა დაგავალათ?

- მთლად ასე არა... მითხრა, აქ რომ ექიმი ცხოვრობს, იმას გადაეციო... თქვენ იცნობთ იმ ქალს.

- ასე თქვა?

- არა, - წამოენთო ყმაწვილი. - მაგრამ ამ დღეებში აქ იყო. ღამით, თქვენთან.

- ზოგჯერ მართლაც მახლავს ქალები, შარლ. მაგრამ შენთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ თავმდაბლობა სასტუმროს მსახურის უდიდესი ღირსებაა. უზრდელობა მხოლოდ მაღალი საზოგადოების რაინდებს უხდებათ.

- გახსენი პაკეტი, რავიკ, - უთხრა მოროზოვმა, - თუნდაც შენ არ გეკუთვნოდეს. ჩვენს უკუღმართ ცხოვრებაში ამაზე უარესებიც ჩაგვიდენია.

რავიკმა გაიცინა და პაკეტი გახსნა. მასში პატარა ხის მადონა აღმოჩნდა, იმ ქალის ოთახში რომ ნახა. რა ერქვა? სახელის გახსენება სცადა. მადლენი... მად... დაავიწყდა. ყოველ შემთხვევაში, რაღაც ამდაგვარი. პაპიროსის ქაღალდს დახედა. არავითარი ბარათი არ იყო.

- კეთილი, - უთხრა პორტიეს თანაშემწეს. - ყველაფერი რიგზეა.

რავიკმა მადონა მაგიდაზე დადგა. ჭადრაკის ფიგურებს შორის საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდა.

- რუსი ემიგრანტია? - ჰკითხა მოროზოვმა.

- არა. პირველად მეც ასე მეგონა.

რავიკმა შენიშნა, რომ მადონას ტუჩის პომადა აღარ ეცხო.

- რა უნდა ვუყო ამ მადონას?

- დადგი სადმე. ყველაფრის დადგმა შეიძლება სადმე. დედამიწაზე ყველაფრისათვის საკმარისია ადგილი. მხოლოდ ადამიანებს არა აქვთ ადგილი.

- მიცვალებული, ალბათ, უკვე დაასაფლავეს.

- მაშ, ეს ის ქალია?

- დიახ.

- გაუკეთე რამე?

- არაფერი.

- უცნაურია. ყოველთვის გვეჩვენება, რომ ადამიანს დავეხმარეთ, და განზე ვდგებით ხოლმე მაშინ, როცა ყველაზე მეტად უჭირს.

- მე საქველმოქმედო საზოგადოება კი არა ვარ, ბორის. ამაზე საშინელი რამეებიც მინახავს, მაგრამ არაფერი გამიკეთებია. რატომ ფიქრობთ, რომ მას ახლა უჭირს ყველაზე მეტად?

- თვითონ განსაჯე, მხოლოდ ახლა დარჩა იგი ნამდვილად ღვთის ანაბარა. აქამდე მის გვერდით იყო მამაკაცი, თუნდაც მკვდარი. მაინც დედამიწაზე იყო. ახლა მიწაშია... წავიდა, აღარ არის. ეს, - მოროზოვმა მადონა უჩვენა, - მადლობის ნიშანი არ არის. ეს ძახილია, მიშველეო.

- მე ვიწექი იმ ქალთან, - უთხრა რავიკმა, - ისე, არ ვიცოდი, რა შეემთხვა. მინდა ეს ამბავი დავიწყებას მივცე.

- სისულელეა! უსიყვარულოდ ეს ამბავი ყველაზე უფრო უბრალო რამაა ამქვეყნად. ერთი ნაცნობი ქალი მეუბნებოდა, უფრო იოლია მამაკაცთან ღამე გაათიო, ვიდრე სახელი დაუძახოო. - მოროზოვი წინ გადაიხარა. ლამპის შუქი მის დიდ მელოტ თავზე ირეკლებოდა. - აი, რას გეტყვი, რავიკ, ვიყოთ კეთილნი, თუკი შეგვიძლია და ვიდრე შეგვიძლია. ვინ იცის, ცხოვრებაში რამდენი, ეგრეთ წოდებული, დანაშაულის ჩადენა მოგვიხდება, ყოველ შემთხვევაში, მე მაინც. თუმცა, მგონი, შენც.

- მართალია.

მოროზოვმა ხელი შემოხვია პალმიან გეჯას. დამჭკნარი პალმა ოდნავ შეირხა.

- იცხოვრო - ნიშნავს იცხოვრო სხვებისათვის. ადამიანი ადამიანითაა. ზოგჯერ მაინც ბჟუტავდეს სიკეთის ცეცხლი... არ შეიძლება ამაზე უარის თქმა. სიკეთე ადამიანს ძალას მატებს, თუ მძიმე ცხოვრებით დაღდასმულია.

- კეთილი, ხვალ შევივლი.

- ჩინებულია, - თქვა მოროზოვმა. - მეც ეს მინდოდა. ახლა გვეყო ყბედობა. ვინ თამაშობს თეთრებით?

## თავი მეხუთე

სასტუმროს პატრონმა რავიკი მაშინვე იცნო.

- მანდილოსანი თავის ოთახშია, - უთხრა მან.

- ხომ ვერ შეატყობინებთ ტელეფონით, რომ მოვედი?

- ოთახში ტელეფონი არ არის. დამშვიდებით შეგიძლიათ ახვიდეთ.

- რა ნომერია?

- ოცდამეშვიდე.

- სულ დამავიწყდა მისი სახელი... რა ჰქვია?

სასტუმროს პატრონს არ გაჰკვირვებია.

- მადუ... ჟოან მადუ, - დააზუსტა. - არა მგონია, ეს იყოს მისი ნამდვილი სახელი. ალბათ, ფსევდონიმია. მსახიობი გახლავთ.

- რატომ მსახიობი?

- ასე ჩაეწერა, როცა ჩამოვიდა. სახელიც რაღაც იმნაირი აქვს, არტისტულად ჟღერს. ასე არ არის?

- არ ვიცი. ერთ მსახიობს ვიცნობდი, გუსტავ შმიდტის სახელით თამაშობდა. სინამდვილეში კი მისი სახელი იყო გრაფი ალექსანდრე მარია ფონ ზამბონა. გუსტავ შმიდტი მისი ფსევდონიმი იყო და, როგორც ხედავთ, სულაც არ ჟღერს არტისტულად. ასე არ არის?

სასტუმროს პატრონი არ ნებდებოდა.

- ჩვენს დროში ბევრი რამ ხდება.

- არც ისე ბევრი რამ. გადაშალეთ ისტორია და ნახავთ, რომ შედარებით მშვიდობიან დროში ვცხოვრობთ.

- გმადლობთ, მე მყოფნის.

- მეც. მაგრამ ნუგეში უნდა ვეძიოთ ყველგან, სადაც კი შესაძლებელია... ოცდამეშვიდეო, ასე არა თქვით?

- დიახ, მუსიე.

რავიკმა კარზე დააკაკუნა. ხმა არავინ გასცა. ხელახლა დააკაკუნა და გაიგონა გაუგებარი პასუხი. კარი გააღო და კედელთან მიდგმულ ლოგინზე ქალი დაინახა. ქალმა ნელა ასწია თავი და შემოხედა. ლურჯი ინგლისური კოსტიუმი ეცვა, იგივე, რაც პირველად. ნაკლებად მარტოხელა გამოჩნდებოდა, ლოგინში რომ წოლილიყო, დაუვარცხნელი და ხალათის ამარა. მაგრამ უკვე ტანთ ჩაეცვა, ვინ იცის, ვისთვის და რისთვის, უბრალოდ, ჩვეულების ძალით, რომელსაც უკვე ყოველგვარი აზრი დაეკარგა. რავიკს გული შეეკუმშა. ნაცნობი იყო მისთვის ეს ამბავი. ასობით ადამიანი ენახა, ემიგრანტები, უცხოეთს გადახვეწილნი, - ასევე ისხდნენ ხოლმე. მოჩვენებათა პაწაწკინტელა კუნძულებივით ისხდნენ, არ იცოდნენ, რა ექნათ, და მხოლოდ ჩვეულების ძალა აკავებდა მათში სიცოცხლეს.

რავიკი შევიდა და კარი მიხურა.

- ხელი ხომ არ შეგიშალეთ? - თქვა და მაშინვე იგრძნო თავისი სიტყვების უაზრობა. აბა, რას შეეძლო ხელი შეეშალა ამ ქალისათვის? მას ვეღარაფერი შეუშლიდა ხელს.

ქუდი სკამზე დადო.

- უკვე ყველაფერი მოაგვარეთ? - ჰკითხა.

- დიახ. საჯახირო ბევრი არაფერი იყო.

- რაიმე სიძნელეს ხომ არ წასწყდომიხართ?

- არა.

რავიკი ოთახში მდგარ ერთადერთ სავარძელში ჩაჯდა. ზამბარებმა ჭრიალი დაიწყო და მაშინვე მიხვდა, რომ ერთ-ერთი მათგანი გაწყვეტილია.

- სადმე წასვლას აპირებდით? - ჰკითხა ქალს.

- ჰო, ახლა კი არა... უფრო გვიან... საერთოდ, არსად. უბრალოდ, ისე თუ გავივლიდი. სხვა რა უნდა გავაკეთო?

- არაფერი. პირველ ხანებში ასეც უნდა. პარიზში ნაცნობები არა გყავთ?

- არა.

- არავინ?

ქალმა დაღლილი იერით ასწია თავი.

- არავინ... სასტუმროს პატრონის, მიმტანის, მოსამსახურე ქალისა და თქვენ გარდა. - უხალისოდ გაიღიმა. - არც ისე ბევრია, ხომ მართალია?

- ჰო, არც ისე ბევრი. მაგრამ, მუსიე... - რავიკმა სცადა განსვენებულის გვარი გაეხსენებინა.

- არა, - თქვა ქალმა. - რაჩინსკის პარიზში ნაცნობები არ ჰყოლია. შეიძლება ჰყავდა და მე არ ვიცოდი. ჩამოვედით თუ არა, ავად გახდა.

რავიკი არ აპირებდა ქალთან დიდხანს დარჩენას. ახლა, როცა მისი მდგომარეობა გაიგო, განზრახვა შეიცვალა.

- უკვე ივახშმეთ?

- არა. არ მშია.

- დღეს საერთოდ რაიმე მიირთვით?

- კი. დღისით. დღისით ყველაფერი უფრო იოლია. აი, საღამოობით...

რავიკმა მიმოიხედა. პატარა, ცარიელ ოთახში სევდას, უიმედობასა და ნოემბრის სუსხს დაესადგურებინა.

- თქვენთვის გასეირნებაა საჭირო, - უთხრა ქალს. - წავიდეთ. ერთად ვივახშმოთ.

უარს ელოდა. ქალი სრულიად გულგრილი ჩანდა ყველაფრის მიმართ. გეგონებოდათ, აღარაფერს შეუძლია მისი გამოცოცხლებაო, მაგრამ მაშინვე წამოდგა და თავისი საწვიმარი ლაბადა აიღო.

- ეს არ კმარა, - უთხრა კაცმა. - ლაბადა ძალიან თხელია. უფრო თბილი არაფერი გაქვთ? ქუჩაში ცივა.

- დღისით წვიმდა...

- ახლაც წვიმს. მაგრამ მაინც ცივა. ჩაიცვით ლაბადის ქვეშ რაიმე - მსუბუქი პალტო ან, თუნდაც, სვიტერი.

- სვიტერი მაქვს.

დიდ ჩემოდანთან მივიდა. რავიკს მოეჩვენა, რომ აქამდე არც კი გაეხსნა იგი. იქიდან შავი სვიტერი ამოიღო, პიჯაკი გაიხადა და ის ჩაიცვა. სწორი, ლამაზი მხრები ჰქონდა. შემდეგ აიღო ბერეტი, პიჯაკი ისევ ჩაიცვა და ლაბადა მოისხა.

- ასე ჯობს?

- ბევრად.

კიბეზე დაეშვნენ. სასტუმროს პატრონი დაბლა აღარ იყო. გასაღებების დაფის წინ პორტიე იჯდა და წერილებს ახარისხებდა. ნივრის სუნი ასდიოდა. იქვე დაცუცქულიყო ლაქებიანი კატა და თვალს არ აშორებდა.

- კიდევ არ მოგშივდათ? - ჰკითხა ქუჩაში ქალს რავიკმა.

- არ ვიცი. მგონი, ცოტათი...

რავიკმა ტაქსი გააჩერა.

- კეთილი. მაშინ „ბელ ორორში“ წავიდეთ. იქ მარტო საუზმის შეკვეთა შეიძლება.

ამ გვიან ღამით რესტორანი „ბელ ორორი“ თითქმის ცარიელი იყო. ვიწრო, დაბალჭერიან დარბაზში, მეორე სართულზე ერთი პატარა მაგიდა აარჩიეს. ფანჯარასთან ქალი და კაცი ისხდნენ და ყველს შეექცეოდნენ. შორიახლო ერთი გალეული კაცი ხამანწკების მთელ მთას უსწორდებოდა. მიმტანი მივიდა, კრიტიკულად შეხედა უჯრედებიან სუფრას, დაფიქრდა და გადაწყვიტა, ახლით შეეცვალა.

- ორი ჭიქა არაყი, - შეუკვეთა რავიკმა. - რაც შეიძლება, ცივი. ცოტას დავლევთ და დავნაყრდებით. ვფიქრობ, თქვენთვის ეს ყველაზე კარგი იქნება. „ბელ ორორი“ განთქმულია თავისი საუზმეულით. აქ სხვა რამე არცა მგონია იყოს. ყოველ შემთხვევაში, საუზმის მერე აღარც მოგინდება სხვა რაიმე. დასაყოლებელი კი აქ თავზე საყრელად არის - ცხელი და ცივი, და ყველაფერი სანაქებო. მოდი, ვცადოთ.

მიმტანმა არაყი მოიტანა და უბის წიგნაკი ამოიღო.

- გრაფინი ვარდისფერი ღვინო, - უთხრა რავიკმა. - „ანჟუ“ გაქვთ?

- „ანჟუ“ ჩამოსასხმელი, ვარდისფერი. მესმის, მუსიე.

- დიდი გრაფინი ყინულით და დასაყოლებელი.

მიმტანი წავიდა. კარებში რომ გადიოდა, კინაღამ წააქცია წითელქუდიანმა ქალმა, რომელიც კიბეზე ამორბოდა და ქუდზე დამაგრებულ ფრთას მოაფრიალებდა. მან მიმტანს ხელი ჰკრა და გალეულ მამაკაცთან მიიჭრა, ხამანწკებს რომ ანადგურებდა.

- ალბერ, - უთხრა. - შენ ღორი ხარ...

- ჩუ... - დაისისინა ალბერმა და მიმოიხედა.

- არავითარი ჩუ!

ქალმა სველი ქოლგა მაგიდის გარდიგარდმო დადო და დაჯდა.

ალბერზე ამას განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

- ძვირფასო, - უთხრა ფრანგულად და ჩურჩულზე გადავიდა.

რავიკმა გაიღიმა და სასმისი ასწია.

- მოდი, ერთბაშად გადავკრათ. სალუტ!

- სალუტ! - გაიმეორა ჟოან მადუმ და დალია.

მიმტანმა დარბაზში პატარა ეტლით შემოიტანა საუზმე.

- რას მიირთმევთ? - რავიკმა ჟოანს გადახედა. - ყველაზე იოლია ცოტ-ცოტა ყველაფრის გადაღება.

ქალს თეფში აუვსო.

- თუ არ მოგეწონებათ, არა უშავს, სხვასაც მოიტანენ. ეს მხოლოდ დასაწყისია.

რავიკს ქალისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია, ისე შეუდგა ჭამას. უცბად იგრძნო, რომ საშინლად მოშივებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ჟოანს გადახედა, ნახა, რომ ისიც ჭამდა. რავიკმა მომცრო ასთაკვი ორად გაყო, ნახევარი ქალს მისცა.

- გასინჯეთ. ეს ლანგუსტებზე გემრიელია. ახლა კი Pâté Maison[3] თეთრი პურის ქერქით... აი, ხედავთ, რა კარგია... ცოტა ღვინოც. მსუბუქი, შუშხუნა და ცივი.

- მეტისმეტად გაწუხებთ, - უთხრა ქალმა.

- ჰო, ობერ-მიმტანივით ვცდილობ, - გაიცინა რავიკმა.

- არა, მაგრამ მაინც მეტისმეტად წუხდებით.

- არ მიყვარს მარტო ჭამა. ეს არის და ეს. თქვენც ასეთი ხართ.

- მე ცუდი თანამეინახე ვარ.

- პირიქით, კარგი, - უთხრა რავიკმა. - სუფრასთან პირველი კლასის პარტნიორი ხართ. არ მიყვარს ყბედი ხალხი. არც ისეთები, მეტისმეტად ხმამაღლა რომ ლაპარაკობენ.

ალბერის მხარეს გაიხედა. ფრთიანი წითელქუდა რიტმულად აკაკუნებდა ქოლგას მაგიდაზე და ყველას გასაგონად უხსნიდა გამხდარ კაცს, რატომ არის ღორი. ალბერი მოთმინებით და საკმაოდ გულგრილად უსმენდა.

ჟოანმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა.

- ასე მართლა არ შემიძლია.

- აი, კიდევ საუზმით დატვირთული ერთი ეტლი. განვაგრძოთ პროგრამა, თუ ჯერ მოსწევთ?

- ჯერ მოვწევ.

- ინებეთ. შავი კი არ არის, ალჟირულია.

ცეცხლი მიაწოდა. ჟოანი სკამის საზურგეს მიეყრდნო, ღრმა ნაფაზი დაარტყა და რავიკს თვალი თვალში გაუყარა.

- კარგია, აი, ასე ჯდომა, - თქვა და რავიკს მოეჩვენა, რომ ცოტაც და, აქვითინდებოდა.

ყავა „კოლიზეუმში“ დალიეს. დიდი დარბაზი, რომლის ფანჯრები ელისეს ველებს გადაჰყურებდა, გაჭედილი იყო, მაგრამ დაბლა, ბარში, პატარა თავისუფალი მაგიდა მაინც გამოძებნეს. კედლების ზედა ნახევარი მინის პანელებით იყო მოპირკეთებული, მის უკან ისხდნენ თუთიყუშები და დაფარფატებდნენ ჭრელი ტროპიკული ჩიტები.

- უკვე მოიფიქრეთ, შემდეგ როგორ იცხოვროთ? - ჰკითხა რავიკმა.

- არა, ჯერ არა.

- პარიზში რაიმე გარკვეული მიზნით ჩამოხვედით?

ქალმა პასუხი დააგვიანა.

- არა, განსაკუთრებული მიზანი არა გვქონია.

- ცნობისმოყვარეობისათვის როდი გეკითხებით.

- ვიცი, თქვენ მირჩევთ, რაიმე საქმეს მოვკიდო ხელი. მეც ეს მინდა. ყოველდღე ამას ჩავჩიჩინებ ჩემს თავს, მაგრამ...

- სასტუმროს პატრონმა მითხრა, რომ თქვენ მსახიობი ხართ. არ მიკითხავს. თვითონ მითხრა, როცა თქვენი გვარი ვკითხე.

- განა, უკვე დაგავიწყდათ ჩემი გვარი?

რავიკმა შეხედა. ქალი მშვიდად შესცქეროდა.

- დამავიწყდა. ჩანაწერი სასტუმროში დამრჩა, ისე კი ვერაფრით გავიხსენე.

- ახლა გახსოვთ?

- კი. ჟოან მადუ.

- ღმერთმა უწყის, როგორი მსახიობი ვარ, - უთხრა ქალმა. - ადრე პატარა როლებს ვასრულებდი. ამ ბოლო დროს კი საერთოდ არ ვთამაშობდი. თანაც ფრანგულად კარგად ვერ ვლაპარაკობ.

- თქვენი მშობლიური ენა რომელია?

- იტალიური. იტალიაში გავიზარდე, ცოტა ინგლისური და რუმინულიც ვიცი. მამა რუმინელი მყავს, დედა - ინგლისელი. ახლა დედა იტალიაშია, ოღონდ არ ვიცი, სად.

რავიკს თითქმის არ ესმოდა ქალის სიტყვები, მოსწყინდა და აღარ იცოდა, კიდევ რაზე ჩამოეგდო სიტყვა.

- სხვას არაფერს საქმიანობდით? - ჰკითხა სხვათა შორის, რომ რაიმე ეკითხა. - პატარა როლების თამაშის გარდა, რომლებიც ახსენეთ?

- კი, ასევე უბრალო რამეებს. ცოტას ვმღეროდი, ცოტას ვცეკვავდი.

რავიკმა ეჭვის თვალით გადახედა. მღეროდა? ცეკვავდა? მისი შემხედვარე, ამას ვერ იტყოდი. იყო ამ ქალში რაღაც მიმქრალი, წაშლილი, სულაც არამიმზიდველი. არც მსახიობს ჰგავდა, თუმცა ამ სიტყვის გაგება ძალზე ფართოდ შეიძლება.

- სიმღერა და ცეკვა აქაც შეიძლება სცადოთ, - უთხრა ქალს. - ამისათვის აუცილებელი არ არის ფრანგულის უზადო ცოდნა.

- ჰო, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, რაიმე ადგილის პოვნაა საჭირო. ხოლო როცა არავის იცნობ...

მოროზოვი! - უეცრად გაუელვა თავში რავიკს. - ,,შეჰერეზადა". რაღა თქმა უნდა! მოროზოვი ასეთი საქმეების კურსში უდავოდ უნდა იყოს. ამ აზრმა რავიკი გამოაცოცხლა. აკი, სწორედ მოროზოვს უნდა უმადლოდეს ამ მოსაწყენ საღამოს. სწორედ ის მოაცილებს ამ ქალს. უჩვენოს ბორისმა, რა მარჯვეც არის. - რუსული იცით? - ჰკითხა ქალს.

- ცოტა. რამდენიმე სიმღერა ვიცი ბოშური. რუმინულსა ჰგავს. მერე რა?

- ერთ კაცს ვიცნობ, რომელსაც ცოტა რამ გაეგება ამ საქმეებისა. იქნებ, შეძლოს თქვენი დახმარება. მისამართს მოგცემთ.

- არაფერი გამოვა. ანტერპრენიორებთან რეკომენდაცია იშვიათად ჭრის.

როგორც ჩანს, ჟოანი მიხვდა, რომ რავიკს რაიმე საპატიო მიზეზით მისგან თავის დაღწევა სურდა. რაკი ეს მართლაც ასე იყო, რავიკმა იუხერხულა და შეეწინააღმდეგა.

- კაცი, რომელზედაც გელაპარაკებით, ანტერპრენიორი არ არის. ,,შეჰერეზადას" შვეიცარი გახლავთ. ეს რუსული ღამის კლუბია მონმარტრზე.

- შვეიცარი? - ჟოანმა თავი ასწია. - ეს სხვა საქმეა. შვეიცრებმა ანტერპრენიორებზე მეტი იციან. იქნებ, რაიმე გამოვიდეს. კარგად იცნობთ?

- კი, კარგად.

რავიკს გაუკვირდა, რომ ქალი უეცრად საქმიანად ალაპარაკდა! სწრაფად გადაერთოო, გაიფიქრა.

- მეგობრები ვართ. მისი სახელი და გვარია ბორის მოროზოვი, - უთხრა ქალს. - უკვე მთელი ათი წელია, ,,შეჰერეზადაში" მუშაობს. იქ ყოველთვის დიდი პროგრამა აქვთ, ნომრები ხშირად იცვლება. მოროზოვი მეგობრულ ურთიერთობაშია განმკარგულებელთან. ,,შეჰერეზადაში" არ გამოვა, სხვა რაიმეს მოიფიქრებს. გინდათ, ვცადოთ?

- კი, როდის?

- ჯობს საღამოს ცხრა საათზე გავიაროთ. ამ დროს ჯერ ისევ უსაქმოდაა და თქვენთვის მოიცლის. გავაფრთხილებ.

რავიკი უკვე წინასწარ ტკბებოდა, როცა წარმოიდგინა, რა სახეს მიიღებდა მოროზოვი. უეცრად სიმსუბუქე იგრძნო. გულზე მოეშვა. სუსტი გრძნობა პასუხისმგებლობისა, რომელსაც ჯერ კიდევ განიცდიდა, გაუქრა. ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, ამიერიდან თვითონ იმოქმედოს.

- დაიღალეთ? - ჰკითხა ქალს.

ჟოან მადუმ თვალი თვალში გაუყარა.

- არ დავღლილვარ, მაგრამ ვიცი, ჩემთან ჯდომა დიდად არ გსიამოვნებთ. თანაგრძნობა გამიწიეთ და მადლობელი ვარ. სასტუმროდან გამომიყვანეთ, გამართეთ საუბრით. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. მე ხომ ამ დღეებში წესიერად სიტყვაც არავისთვის მითქვამს. ახლა წავალ. თქვენ ჩემთვის საკმარისზე მეტი გააკეთეთ და კვლავაც აკეთებთ. არ ვიცი, რა მომივიდოდა უთქვენოდ!

ღმერთო, გაიფიქრა რავიკმა, იწყება! გაჯავრებულმა თვალი მოარიდა.

- განა, ეს თანაგრძნობის გაწევაა? - უთხრა ქალს.

- მაშ, რა არის?

- შევსვათ ძველი ,,არმანიაკი‘‘, - მიუგო რავიკმა პასუხის ნაცვლად. - აი, საუკეთესო პასუხი. დამიჯერეთ, არც ისეთი კაცთმოყვარე ვარ, როგორც ფიქრობთ. ხშირად სადაც მომხვდება, იქ ვატარებ საღამოს, სრულიად მარტო. როგორ ფიქრობთ, ეს ძალიან საინტერესოა?

- არა, მაგრამ მე ცუდი პარტნიორი ვარ. ეს უარესია.

- პარტნიორთა შერჩევას გადავეჩვიე. აი, თქვენი ,,არმანიაკიც‘‘! სალუტ!

- სალუტ!

რავიკმა სასმისი დადგა.

- ასე. ახლა კი შორს ამ სამხეციდან. სასტუმროში დაბრუნება, ალბათ, არ გინდათ, არა?

ჟოანმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- კარგი. მაშინ ,,შეჰერეზადაში‘‘ წავიდეთ და იქ დავლიოთ. ეს, ეტყობა, ჩვენთვის აუცილებელია, თან ნახავთ, იქ რა ხდება.

*

ღამის სამი საათი იქნებოდა. ისინი სასტუმრო ,,მილანის‘‘ წინ იდგნენ.

- საკმარისად დალიეთ? - ჰკითხა რავიკმა.

ჟოანმა ერთბაშად არ უპასუხა.

- იქ, ,,შეჰერეზადაში‘‘, მეგონა, რომ საკმარისად, მაგრამ ახლა, როცა ამ კარს ვუყურებ... არასაკმარისად.

- საქმის გამოსწორება შეიძლება. იქნებ აქ, სასტუმროში, ჰქონდეთ რაიმე. თუ არა და დუქანში შევიაროთ და ერთი ბოთლი სასმელი ვიყიდოთ. წამოდით.

ქალმა ჯერ რავიკს შეხედა, მერე კარს.

- კარგი, - თქვა გადაწყვეტით, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. - კიბეზე მარტო ასვლა - ცარიელ ოთახში...

- მიგაცილებთ, თან ბოთლიც წავიძღვანიოთ.

მეკარემ გაიღვიძა.

- კოქტეილი გნებავთ შამპანურით? - საქმიანად იკითხა ნამძინარევმა და დაამთქნარა.

- გმადლობთ. უფრო მაგარი გვირჩევნია. მაგალითად, კონიაკი.

- ,,კურუვაზიე‘‘, ,,მარტელი‘‘, ,,ჰენესი‘‘, ,,ბიკუი დუბუშუ‘‘?

- ,,კურუვაზიე‘‘.

- მესმის, მუსიე. გავხსნი და ნომერში მოგართმევთ.

კიბე აიარეს.

- გასაღები თან გაქვთ? - ჰკითხა რავიკმა.

- არ დამიკეტავს ოთახი.

- თუ ღიას დატოვებთ, შეიძლება ფული და დოკუმენტები მოგპარონ.

- მოპარვა დაკეტილიდანაც შეიძლება.

- ესეც სწორია... ასეთი კლიტეების იმედით. და მაინც, მაშინ უფრო ძნელი იქნება.

- შეიძლება, მაგრამ არ მიყვარს მარტო დაბრუნება, გასაღების ამოღება და ცარიელი ოთახის გაღება... თითქოს, კუბოს აღებდე. ისიც საკმარისია, რომ იქ შედიხარ... სადაც არაფერი გელოდება, რამდენიმე ჩემოდნის გარდა.

- არსად არაფერი ელოდება ადამიანს, - მიუგო რავიკმა. - ყოველთვის თვითონ უნდა მიიტანოს თან ყველაფერი.

- შეიძლება. მაგრამ მაშინაც ეს მხოლოდ თავის მოტყუებაა, აქ კი არც ესაა...

ჟოანმა პალტო და ბერეტი საწოლზე დააგდო და რავიკს შეხედა. ნათელი, დიდი თვალები თითქოს სასოწარკვეთილებისაგან გაჰყინვოდა ფერმკრთალ სახეზე. ერთი წუთით უძრავად იდგა. შემდეგ ხელები ჟაკეტის ჯიბეებში ჩაიწყო და დიდი ნაბიჯებით მოჰყვა ბოლთის ცემას ერთი კუთხიდან მეორემდე. კედელს რომ მიაღწევდა, მკვირცხლად და მკვეთრად შემობრუნდებოდა უკან. რავიკი ყურადღებით აკვირდებოდა: ამ ქალში უეცრად გამოჩნდა რაღაც ძალა და მოუთვინიერებელი გრაცია. ოთახი თითქოს პატარა იყო მისთვის.

კარზე კაკუნი გაისმა. პორტიემ კონიაკი შემოიტანა.

- დასაყოლებელს ხომ არაფერს ინებებთ? ცივი ქათამი, სენდვიჩი...

- ტყუილად კარგავ დროს, ძმაო... - რავიკმა ფული გადაიხადა და გაუშვა. მერე ორი სასმისი შეავსო. - აი! რა თქმა უნდა, ეს ბარბაროსულად პრიმიტიულია... მაგრამ რთულ სიტუაციებში პრიმიტივი ყველაზე უკეთესია. დახვეწილობა კარგია მხოლოდ მშვიდობიან დროს. დალიეთ.

- მერე?

- მერე ისევ დალევთ.

- ვცადე. არ შველის. სიმთვრალე დარდს არ გიქარვებს, როცა მარტო ხარ.

- წესიერად უნდა დალევა. მაშინ გაგიქარვებს.

რავიკი ჩამოჯდა ვიწრო დანჯღრეულ შეზლონგზე, რომელიც კედელთან იდგა და სწორ კუთხეს ქმნიდა საწოლთან. ადრე არ შეუნიშნავს ეს შეზლონგი.

- ეს შეზლონგი იდგა აქ, როცა მოხვედით? - ჰკითხა ქალს. არაო, გადააქნია ქალმა თავი.

- სპეციალურად დადგეს ჩემთვის. ლოგინში წოლა არ მინდოდა. რა უაზრობაა: ლოგინი, გახდა და ყველაფერი ამდაგვარი. რისთვის? დილით და დღისით კიდევ გაძლებს ადამიანი როგორმე. აი, ღამღამობით კი...

- თქვენ აუცილებლად უნდა მოჰკიდოთ ხელი რაიმე საქმეს.

რავიკმა სიგარეტი მოსწია.

- საწყენია, რომ მოროზოვი არ დაგვხვდა. არ ვიცოდი, თუ დღეს თავისუფალი იქნებოდა. შეიარეთ ხვალ საღამოს. ასე ცხრისათვის. რაიმეს გამოძებნის თქვენთვის. თუნდაც სამზარეულოში სამუშაოს. მაშინ ღამღამობით დასაქმებული იქნებით. თქვენ ხომ ეს გინდათ.

- დიახ.

ჟოანი შეჩერდა. ჭიქა დაცალა და საწოლზე ჩამოჯდა.

- ყოველღამე ქუჩებში დავდიოდი. ვიდრე დადიხარ, ცოტათი უფრო იოლია. მაგრამ როცა ზიხარ და ჭერი თავზე გექცევა...

- ამ გასეირნებების დროს არაფერი შეგმთხვევიათ? არც ერთხელ არ გაუქურდავხართ?

- არა. ალბათ, ზედვე მეტყობა, რომ მოსაპარავი ბევრი არაფერი გამაჩნია, - რავიკს ცარიელი სასმისი გაუწოდა. - ზოგჯერ ისე მომენატრებოდა ვინმესთან გასაუბრება, ოღონდ კი თავი არ მეგრძნო სიცარიელედ, მოარულ ავტომატად! ოღონდ ჩემთვის ვინმეს შემოეხედა - თვალებით, ქვებით კი არა! ოღონდ არ მეყიალა ქუჩა-ქუჩა, განკიცხულივით, როგორც უცხო პლანეტაზე მოხვედრილს! - თმა უკან გადაიყარა და რავიკს სავსე სასმისი გამოართვა. - არ ვიცი, რისთვის ვლაპარაკობ ამას. სულაც არ

მინდა ამაზე ლაპარაკი. ალბათ, იმიტომ, რომ უკანასკნელ დღეებში დამუნჯებული ვიყავი. იქნებ, იმიტომაც, რომ დღეს პირველად... - ქალს ენა დაება. - ნუ მისმენთ...

- მე ვსვამ, - მიუგო რავიკმა. - ილაპარაკეთ, რაც გენებოთ. ახლა ღამეა, არავინ გისმენთ. მე თვითონ ჩემს თავს ვუსმენ. დილით ყველაფერი დავიწყებას მიეცემა.

შეზლონგის საზურგეს მიეყრდნო. სადღაც წყალსადენი ხმაურობდა. დროგამოშვებით ბარებში გათბობა ტკაცუნობდა. ფანჯარაზე წვიმის წვეთები აკაკუნებდნენ.

- როცა ბრუნდები და შუქს აქრობ... სიბნელე გაბრუებს, როგორც ქლოროფორმიანი ნიღაბი... მაშინ ხელახლა რთავ სინათლეს და ერთ წერტილს აშტერდები...

რაღა თქმა უნდა, უკვე მთვრალი ვარო, გაიფიქრა რავიკმა. დღეს რატომღაც ჩვეულებრივზე ადრე დავთვერი. რა მოხდა? ბინდი ჩამოწვა თუ ერთიც და მეორეც? მაგრამ ეს უწინდელი ქალი აღარ არის - შეუხედავი და უფერული. სულ სხვა გახდა, გამოუჩნდა თვალები, სახე,... ჩანს, აჩრდილებია... ნაზი ალის ციალი ჩემს თავში ერთიანად აცისკროვნებს მას. ბრუჟის პირველი გაელვებაა.

რავიკი აღარ უსმენდა ჟოან მადუს. ყველაფერი ეს იცოდა და აღარ სურდა მეტის ცოდნა. მარტოობა - ცხოვრების მარადიული რეფრენია დასაბამიდან. არც უკეთესია და არც უარესი ბევრ დანარჩენზე. მხოლოდ ესაა, ამაზე ბევრს ლაპარაკობენ. ადამიანი მუდამ მარტოა და თან არასოდეს არის მარტო. უეცრად, სადღაც, წყვდიადში, ვიოლინო აჟღერდა. ქალაქგარეთ, ბუდაპეშტის მწვანე გორაკების რესტორანი. წაბლის მძიმე სურნელება. საღამო ხანი. და როგორც მხრებზე მოკალათებული ახალგაზრდა ჭოტები - ოცნებები, რომელთაც ბნელში მანათობელი თვალები აქვთ. ღამე, რასაც არაფრით შეუძლია იყოს ღამე. საათი, როცა ყოველი ქალი ლამაზია. საღამო უზარმაზარ პეპელასავით შლის ფართო, ყავისფერ ფრთებს...

რავიკმა თავი ასწია.

- გმადლობთ, - თქვა ჟოანმა.

- რისთვის?

- იმისათვის, რომ საშუალება მომეცით, მელაპარაკა და არ მისმენდით. ეს კარგი იყო. ისე მესაჭიროებოდა.

რავიკმა თავი დაუქნია. შენიშნა, ქალის სასმისი ისევ ცარიელი იყო.

- კარგი, - უთხრა, - ბოთლს გიტოვებთ.

წამოდგა. ოთახია. ქალია. მეტი არაფერი, ერთი ფერმკრთალი სახე, რომელსაც უკვე აღარაფერი ანათებს.

- წასვლა გინდათ? - ჰკითხა ჟოანმა, თან მიმოიხედა, თითქოს ოთახში ვიღაც იმალებოდა.

- აი, მოროზოვის მისამართი და მისი სახელიც, რომ არ დაგავიწყდეთ. ხვალ, საღამოს ცხრაზე. - რავიკმა ყველაფერი რეცეპტის ბლანკზე დაუწერა, ფურცელი ბლოკნოტიდან ამოხია და ჩემოდანზე დადო.

ჟოანი წამოდგა, მოსასხამი და ბერეტი აიღო, რავიკმა შეხედა.

- შეგიძლიათ, არ გამაცილოთ.

- არც ვაპირებ, დარჩენა კი არ მინდა. ცოტას კიდევ ვიხეტიალებ.

- სულერთია, დაბრუნება მაინც მოგიწევთ და იგივე იქნება. ხომ არ აჯობებს დარჩენილიყავით? ყველაზე ძნელი რაც იყო, უკვე გადაიტანეთ, ხომ მართალია?

- მალე გათენდება. როცა დავბრუნდები, უკვე დილა იქნება. მაშინ ყველაფერი უფრო იოლია.

რავიკი ფანჯარასთან მივიდა. გადაუღებლად წვიმდა. ნათურების ყვითელ შუქზე წვიმის სველი რუხი ძაფები ქარის ფრთებზე იკლაკნებოდნენ.

- აი, რა, - უთხრა. - კიდევ დავლიოთ თითო ჭიქა და მერე დაწექით. სასეირნო ამინდი არ არის.

ბოთლი აიღო. მოულოდნელად ჟოანი მიეკრა.

- არ დამტოვო აქ, - უთხრა სწრაფად და მხურვალედ. რავიკმა ქალის სუნთქვა იგრძნო. - არ დამტოვო აქ მარტო... ოღონდ დღეს არა. არ ვიცი, რა მომდის ასეთი, მაგრამ დღეს არ დამტოვო! ხვალ ძალ-ღონეს მოვიკრებ, მაგრამ დღეს არ შემიძლია... დატანჯული ვარ, გატეხილი, დაძაბუნებული და უკანასკნელ ღონეს ვკარგავ... არ უნდა გაგეყვანე დღეს აქედან, სწორედ დღეს... ახლა მარტოობას ვეღარ ავიტან...

რავიკმა ფრთხილად დადგა ბოთლი მაგიდაზე და ხელი გაითავისუფლა.

- ბავშვო, - მიმართა, - ადრე თუ გვიან, ყველანი უნდა მივეჩვიოთ ამას. - შეზლონგს გადახედა. - ამაზეც შემიძლია წამოვწვე. აღარა აქვს აზრი სადმე წასვლას. ძილისათვის სულ რამდენიმე საათი დაგვრჩენია. დილის ცხრაზე ოპერაცია მაქვს. გამოძინება აქაც ისევე კარგად შეიძლება, როგორც შინ. პირველად ხომ არ ვმორიგეობ ღამით. თქვენთვის ეს საკმარისია?

ქალმა თავი დაუქნია: ისევ ისე იდგა. ნაბიჯიც არ გადაუდგამს.

- რვის ნახევარზე უნდა წავიდე. საშინლად ადრეა. ვაითუ, გაგაღვიძოთ.

- არაფერია. ავდგები და საუზმეს მოგიმზადებთ...

- არაფერსაც არ მომიმზადებთ. უახლოეს კაფეში ვისაუზმებ, როგორც უბირი მუშა. რომიანი ყავა და ფუნთუშა მეყოფა. დანარჩენი - კლინიკაში მისვლის შემდეგ. სულაც არ იქნება ურიგო, თუ ეჟენის ვთხოვ აბაზანის გამზადებას. ჰოდა, კეთილი, ჩაწექით. თუ გინდათ, მოხუც მეკარესთან ვიქნები, ვიდრე გაიხდით.

- არ არის საჭირო, - უთხრა ჟოანმა.

- არ გავიქცევი. ამას გარდა, ხომ გვინდა რამე - ბალიშები, საბანი და მისთანები.

- შემიძლია დავურეკო.

- მეც შემიძლია, - რავიკი ზარს მისწვდა. - ჯობს, ეს მამაკაცმა გააკეთოს.

პორტიემ დიდხანს არ ალოდინა. ხელში კონიაკით სავსე ბოთლი ეჭირა.

- თქვენ დიდი წარმოდგენა გქონიათ ჩვენს შესაძლებლობებზე, - უთხრა რავიკმა, - უაღრესად გმადლობთ. მაგრამ ჩვენ ომის შემდგომი თაობის ადამიანები გახლავართ. მოგვიტანეთ საბანი, ბალიში და წყვილი ზეწარი. იძულებული ვარ, ღამე აქ გავათიო. ქუჩაში ძლიერ ცივა და წვიმაც გადაღებას აღარ აპირებს. მე კი მხოლოდ გუშინწინ ავდექი ლოგინიდან ფილტვების კრუპოზული ანთების შემდეგ. შეგიძლიათ ყოველივე ამის გაკეთება?

- რა თქმა უნდა, მუსიე. თვითონაც მინდოდა ამის შემოთავაზება.

- კარგი. - რავიკმა სიგარეტი მოსწია. - მე დერეფანში გავალ. კარის წინ დაწყობილ ფეხსაცმელს გადავხედავ. ეს ჩემი საყვარელი სპორტია. არ გავიქცევი, - თქვა, ჟოანის მზერა რომ დაიჭირა. - მშვენიერი იოსები როდი ვარ, ჩემს პალტოს ბედის ამარა არ დავტოვებ.

პორტიე დერეფანში გამოჩნდა, ხელში ლოგინის თეთრეული ეჭირა. რავიკი რომ დაინახა, გაჩერდა, სახე გაუნათდა.

- ასეთს ხშირად ვერ ნახავთ, - თქვა მან.

- არც მე მაქვს ხშირად ასეთი შემთხვევები, მხოლოდ დაბადების დღეს და შობადღეს. მომეცით ეს ნივთები. თვითონ წავიღებ. ეს რაღაა?

- სათბურა. თქვენ ხომ ფილტვების ანთება გქონდათ!

- ჩინებულია. მაგრამ ჩემს ფილტვებს კონიაკით ვათბობ.

რავიკმა ჯიბიდან რამდენიმე საკრედიტო ბილეთი ამოიღო.

- მუსიე, თქვენ, რა თქმა უნდა, არა გაქვთ პიჟამა. შემიძლია გათხოვოთ.

- გმადლობთ, ძვირფასო, - რავიკმა მოხუცს შეხედა. - პატარა მექნება.

- რას ბრძანებთ, მოგერგებათ. სრულიად ახალია. საიდუმლოდ გეტყვით - საჩუქრად მივიღე ერთი ამერიკელისაგან. იმან კიდევ ერთი მანდილოსნისაგან. მე ასეთ რამეებს არ ვატარებ. ღამის პერანგებს ვამჯობინებ. პიჟამა კი სრულიად ახალია, მუსიე.

- კეთილი. მომეცით. ვნახოთ.

რავიკი დერეფანში უცდიდა. კარის წინ სამი წყვილი ფეხსაცმელი ეწყო. ერთი წყვილი, რეზინისზედაპირიანი, დახურული იყო. კარს უკან ისმოდა ხმამაღალი ხვრინვა. მეორე კართან ეწყო მამაკაცის ყავისფერი ფეხსაცმელი და ქალის მაღალქუსლიანი, ლაკის, ღილებიანი წაღები. ისინი ერთი და იმავე კარის წინ, ერთმანეთის გვერდით ეწყო, მაგრამ მაინც უცნაურად მიტოვებული გეჩვენებოდათ.

პორტიემ პიჟამა მოიტანა. პიჟამა კი არა, ზღაპარი იყო - ოქროს ვარსკვლავებიანი ლურჯი აბრეშუმი. გაოცებისაგან დამუნჯებული რავიკი ერთი წუთი თვალმოუშორებლად დასცქეროდა პიჟამას.

- ფუფუნებაა, ხომ მართალია? - ამაყად ჰკითხა პორტიემ.

პიჟამა მართლაც ახალთახალი იყო, შეფუთული ,,მაგაზენ დუ ლუვრ''-ის მუყაოს კოლოფში, სადაც შეიძინეს.

- სამწუხაროა, - თქვა რავიკმა. - ნეტავ, ის მანდილოსანი მანახვა, ვინც ეს იყიდა.

- ერთი ღამით პიჟამა თქვენია, მუსიე. სულაც არ გინდათ მისი ყიდვა.

- რამდენია ქირა?

- რამდენსაც მომცემთ.

რავიკმა ხელი ჯიბეში ჩაიყო.

- როგორ გეკადრებათ, მუსიე, მეტისმეტად ბევრია. - თქვა პორტიემ.

- განა ფრანგი არა ხართ?

- ფრანგი გახლავართ, სენ-ნაზერიდან.

- მაშასადამე, ამერიკელებთან ურთიერთობას გაუფუჭებიხართ. ასეთი პიჟამისათვის, რამდენიც უნდა მისცეთ, მაინც ცოტა იქნება!

- მოხარული ვარ, რომ მოგეწონათ. ღამე ნებისა, მუსიე, ხვალ ქალბატონთან მოვიკითხავ.

- თვითონ დაგიბრუნებთ ხვალ დილით. გამაღვიძეთ რვის ნახევარზე, ოღონდ წყნარად დააკაკუნეთ. გავიგონებ... ღამე ნებისა.

- ხედავთ? - რავიკმა ჟოანს პიჟამა უჩვენა. - თოვლის ბაბუის კოსტიუმია. ეს პორტიე პირდაპირ ჯადოქარია. ახლავე შევიმოსები ამ საოცრებით. არ უნდა შეგვეშინდეს, რომ შეიძლება სასაცილოდ გამოვიყურებოდეთ, მაგრამ ამისათვის მარტო სიმამაცე არ კმარა. უშუალობაც საჭიროა.

რავიკმა ლოგინი შეზლონგზე გაიშალა. მისთვის სულერთი იყო, სად დაიძინებდა - თავის სასტუმროში თუ აქ. დერეფანში გვარიანი სააბაზანო აღმოაჩინა, ხოლო პორტიემ კბილის ახალი ჯაგრისი მისცა. ყველაფერი დანარჩენი უმნიშვნელო იყო. ჟოანი მისთვის რაღაც პაციენტისმაგვარი გახდა.

ჭიქა კონიაკით აავსო და საწოლთან დადგა, სირჩასთან ერთად.

- იმედი მაქვს, ეს გეყოფათ, - უთხრა ქალს. - ასე მოხერხებულია, ადგომა და თქვენთვის წარამარა სასმისის ავსება არ დამჭირდება. ბოთლსა და მეორე სირჩას მე წავიღებ.

- სირჩა არ მჭირდება. შემიძლია ჭიქიდანაც დავლიო.

- მით უკეთესი.

რავიკი შეზლონგზე დაწვა. მოეწონა, ქალმა რომ მისი მეურვეობა შეწყვიტა. თავისას მიაღწია და ახლა, მადლობა ღმერთს, აღარ აწუხებდა მეტისმეტი სტუმართმოყვარეობით.

სირჩა შეივსო და ბოთლი იატაკზე დადგა.

- სალუტ!

- სალუტ! გმადლობთ.

- ყველაფერი რიგზეა. არც მე მეხალისებოდა ამ წვიმაში სასტუმროდან გასვლა.

- ჯერაც არ გადაუღია?

- არა.

ქუჩიდან წყნარი შხაპუნი ისმოდა, თითქოს ოთახში შემოჭრას ცდილობდა რაღაც რუხი, უნუგეშო, უფორმო, რაღაც უფრო ნაღვლიანი, ვიდრე თვითონ ნაღველი... რომელიღაც შორეული, უსახო მოგონება, უსასრულო ტალღა, რომელიც მოვარდება იმის დასამარხად, რაც ოდესღაც გამორიყა პატარა კუნძულზე, შემდეგ კი დაივიწყა, - ნამცეცი ადამიანისა, შუქისა, აზრისა.

- ასეთ ღამეში კარგია დალევა.

- ჰო... და ცუდია მარტო ყოფნა.

რავიკი ცოტა ხნით გაჩუმდა.

- მარტოობას ყველა ნელ-ნელა შევეჩვიეთ, - თქვა მერე. - ის, რაც ოდესღაც ერთმანეთთან გვაკავშირებდა, ახლა დარღვეულია. ისე დავცვივდით, როგორც გაწყვეტილი ძაფიდან მიწის მძივები. უკვე აღარაფერია მყარი, - სასმისი ისევ შეავსო. - ერთხელ, სიყმაწვილეში, სათიბში ვიწექი. ზაფხული იყო, ცაზე ღრუბლის ნასახი არ ჩანდა. ვიდრე დავიძინებდი, ორიონს გავცქეროდი. შორს ეკიდა, ჰორიზონტზე, ტყის თავზე. შუაღამისას რომ გამომეღვიძა, ვხედავ - ორიონი პირდაპირ ჩემს თავზეა. ეს ამბავი მთელი ცხოვრების განმავლობაში დამამახსოვრდა. სკოლაში ვისწავლე, რომ დედამიწა პლანეტაა და თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს, მაგრამ ეს განყენებულად მესმოდა, არასოდეს დავფიქრებულვარ ამაზე. მაშინ კი პირველად ვიგრძენი, რომ ეს მართლაც ასეა. ვიგრძენი, როგორ უხმაუროდ ტრიალებს დედამიწა განუზომელ, უზარმაზარ სივრცეში. ისეთი ძალით ვიგრძენი ეს, რომ ბალახს ჩავეჭიდე, შემეშინდა - არ წამიღოს-მეთქი. ჩანს, ეს მოხდა იმიტომ, რომ ღრმა ძილიდან გამოფხიზლებულმა, წამით მეხსიერებისა და ჩვეულების მიერ მიტოვებულმა, ჩემ თვალწინ დავინახე უზარმაზარი, ადგილიდან გადანაცვლებული ცა. უეცრად ჩემთვის დედამიწა საკმარისად საიმედო არ აღმოჩნდა... და იმ დღიდან ასეთივე დარჩა.

რავიკმა სირჩა დაცალა.

- ეს ზოგ რამეს ართულებს, მაგრამ ბევრ რამეს ამსუბუქებს კიდევაც, - დასძინა და ჟოან მადუს გახედა. - მგონი, უკვე გძინავთ. თუ დაიღალეთ, ნუ მიპასუხებთ.

- ჯერ არ მძინავს, მაგრამ მალე დავიძინებ. რაღაც ნაწილი ფხიზლობს ჩემში. ცივია და უჭირს დაძინება.

რავიკმა ბოთლი იატაკზე დადგა. ოთახის სითბო დაღლილობასთან ერთად იწოვებოდა მის არსებაში. ჩრდილები წვებოდა. ფრთებს შლიდნენ. უცხო ოთახი... ღამე... ქუჩიდან კი, დაფდაფების შორეულ ხმასავით ისმოდა წვიმის ერთფეროვანი შხაპუნი... სუსტად განათებული ქოხი ქაოსის კიდეზე, შუაგულ უდაბნოში უაზროდ

მბჟუტავი პატარა ცეცხლი, ვიღაცის სახე, რომლის შემყურე ლაპარაკობ და ლაპარაკობ...

- თქვენ გიგრძნიათ ეს როდისმე? - ჰკითხა რავიკმა.

ქალი დუმდა.

- კი, მაგრამ ასე არა. სხვანაირად. როცა მთელი დღეების განმავლობაში ხმას ვერავის ვცემდი, ღამღამობით კი დავხეტიალებდი. გარშემო ადამიანები რაღაც საქმეებით იყვნენ გართულნი, სადღაც მიდიოდნენ, ჰქონდათ თავიანთი სახლები... მე კი არაფერი... მაშინ ყოველივე თანდათან იძენდა არარეალურ სახეს... თითქოს წყალში ჩავიძირე და წყალქვეშ უცხო ქალაქში დავეხეტებოდი...

კიბეზე ვიღაც ამოვიდა. კარში გასაღებმა გაიჩხარუნა, გადატრიალდა, კარი ხმაურით მიიხურა. მაშინვე ყრუდ დაიგუგუნა წყალსადენმა.

- რატომ უნდა დარჩეთ პარიზში, თუ აქ არავინ გყავთ? - ჰკითხა უკვე ნახევრად მძინარე რავიკმა.

- არ ვიცი. მაშ, სად წავიდე?

- არსად არ შეგიძლიათ დაბრუნება?

- არსად. წარსულს არავინ უბრუნდება. ეს არ ხდება. არსად არავინ.

დაქროლა ქარმა და წყლის მძიმე ჭავლები მინას მოახეთქა.

- რისთვის ჩამოხვედით პარიზში? - ჰკითხა ისევ რავიკმა.

ჟოანმა პასუხი დააყოვნა. რავიკმა გაიფიქრა, უკვე სძინავსო.

- საჩინსკი ჩემთან ერთად იმიტომ ჩამოვიდა პარიზში, რომ გვინდოდა ერთმანეთს დავშორებოდით, - თქვა ბოლოს ქალმა.

რავიკს პასუხი არ გაჰკვირვებია. არის საათები, როცა არაფერი გიკვირს. მოპირდაპირე ნომერში დაბრუნებულ კაცს ღებინება დაეწყო. კედლის მიღმა მისი ყრუ კვნესა ისმოდა.

- მერედა, რაღა საჭიროა ასეთი სასოწარკვეთა? - ჰკითხა რავიკმა.

- იმიტომ, რომ ის მოკვდა! გარდაიცვალა! იყო და - უეცრად აღარ არის! ვერ დააბრუნებ! ვეღარასოდეს! მოკვდა! რომ ვეღარასოდეს ვერაფერი გააკეთო!.. ნუთუ არ გესმით? - ჟოანი იდაყვზე დაეყრდნო, წამოიწია და რავიკს მიაჩერდა.

,,იმიტომ, რომ ის უფრო ადრე წავიდა შენგან, ვიდრე თვითონ წახვიდოდი მისგან, - გაიფიქრა რავიკმა, - იმიტომ, რომ უფრო ადრე მიგატოვა, ვიდრე საამისოდ მოემზადებოდი''.

- მე... მე სხვანაირად უნდა მოვქცეოდი... მე ვიყავი...

- დაივიწყეთ ეს ამბავი. სინანული ყველაზე უსარგებლო რამ არის ამქვეყნად. გამოსწორება საერთოდ არაფრის არ შეიძლება. თორემ, ეს რომ შეიძლებოდეს,

ყველანი წმინდანები ვიქნებოდით. ცხოვრება არ აპირებდა ჩვენგან სრულყოფილ არსებათა შექმნას. ვინც სრულყოფილია, მისი ადგილი მუზეუმშია.

ჟოანმა არაფერი უპასუხა. რავიკმა დაინახა, როგორ მოსვა კიდევ ერთი ყლუპი კონიაკი და ბალიშზე გადაწვა. იყო კიდევ რაღაც... მაგრამ მეტისმეტად დაიღალა და ამაზე ფიქრის თავი არ ჰქონდა. თუმცა, ისედაც სულერთი იყო მისთვის ყველაფერი. ეძინებოდა. ხვალ ოპერაცია ჰქონდა გასაკეთებელი. დანარჩენი მას არაფერი ეხებოდა. ცარიელი სირჩა იატაკზე დადგა, ბოთლის გვერდით. უცნაურია, ზოგჯერ სულ რომ არ ფიქრობ, ისეთ ადგილზე აღმოჩნდებიო, - გაიფიქრა მან.

## თავი მეექვსე

როცა რავიკი შევიდა, ლუსიენა მარტინე ფანჯარასთან იჯდა.

- რას იტყვი? - ჰკითხა ქალს. - როგორია პირველად ადგომა ლოგინიდან?

ქალიშვილმა ჯერ მას შეხედა, მერე ფანჯარაში უფერულ, ავდრიან დღეს გახედა და შემდეგ ისევ რავიკზე გადაიტანა მზერა.

- ცუდი ამინდია, - უთხრა რავიკმა.

- არა, - მიუგო ქალიშვილმა. - ჩემთვის კარგია.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ქუჩაში გასასვლელი არა ვარ.

ქალიშვილი სავარძელში იჯდა, მობუზული, მხრებზე იაფფასიანი ჩითის კიმონო წამოესხა. სუსტი, შეუხედავი არსება იყო, ცუდი კბილები ჰქონდა, მაგრამ რავიკისათვის ამ მომენტში ის ელენე ტროელზე მშვენიერი გახლდათ. ეს იყო სიცოცხლის ნატეხი, მისი ხელით გადარჩენილი. მართალია, საამაყო ბევრი არაფერი ჰქონდა - მეორე ასეთი არსება ხომ სულ ცოტა ხნის წინ დაკარგა. მომდევნოსაც, ალბათ, დაკარგავს, ბოლოს და ბოლოს, ყველას დაკარგავს და თავის თავსაც. მაგრამ ეს ჯერჯერობით გადარჩენილი იყო.

- ვერაფერი სასიამოვნოა ასეთ ამინდში ქუდების ტარება, - თქვა ლუსიენამ.

- თქვენ ქუდებს დაატარებდით?

- დიახ, მადამ ლანვერთან ვმუშაობდი, მატენიონის ავენიუზე. ხუთ საათამდე ვმუშაობდით. შემდეგ მუშტრებისთვის მუყაოს კოლოფები უნდა დაგვერიგებინა. ახლა ექვსის ნახევარია. სწორედ ის დროა, როცა ქუდებით ხელში უნდა დავრბოდე, - ფანჯარაში გაიხედა. - საწყენია, წვიმამ გადაიღო. გუშინ ჯობდა. მთელი დღე თითქოს კოკიდან ასხამდა. ახლა, ალბათ, სხვა ვინმეს უხდება სირბილი.

რავიკი მის პირდაპირ, ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა. უცნაურია, გაიფიქრა, ყოველთვის იმის მოლოდინში ხარ, რომ ადამიანი, რომელიც სიკვდილს გადაურჩა, გახარებული და უსაზღვროდ ბედნიერი იქნება, მაგრამ ეს თითქმის არასოდეს ხდება. აგერ

ლუსიენაც. მოხდა პატარა სასწაული, მისთვის კი მთავარია მხოლოდ ერთი - გარეთ არ გავიდეს წვიმაში.

- რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ეს კლინიკა, ლუსიენა? - ჰკითხა რავიკმა.

ქალმა ყურადღებით შეხედა.

- მითხრეს, მირჩიეს.

- ვინ?

- მეგობარმა ქალმა.

- სახელად რა ჰქვია?

ქალიშვილი შეყოყმანდა.

- ისიც ნამყოფია აქ. მე თვითონ გამოვაცილე. კარამდე მოვყევი. ამიტომაც ვიცოდი მისამართი.

- ეს როდის მოხდა?

- ერთი კვირით ადრე, სანამ მოვიდოდი.

- ის ხომ არ იყო, ოპერაციის დროს რომ გარდაიცვალა?

- დიახ.

- და მაინც მოხვედით აქ?

- ჰო, - გულგრილად თქვა ლუსიენამ. - რატომაც არა?

რავიკმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ქალიშვილის პატარა, ცივ, ოდესღაც ნაზ სახეს შეხედა. მალე გაუუხეშებია ცხოვრებას!

- იმავე მეანთან იყავით? - ჰკითხა ისევ.

ლუსიენა ხმას არ იღებდა.

- თუ იმავე ექიმთან? დამშვიდებით შეგიძლიათ მითხრათ. მე ხომ არ ვიცი, ვინ არიან ისინი.

- ჯერ იმ მეანთან იყო მარი. ჩემზე ერთი კვირით ადრე, ათი დღით ადრე.

- შემდეგ კი თვითონ წახვედით, თუმცა იცოდით, რა მოუვიდა მარის?

ლუსიენამ მხრები აიჩეჩა.

- მაშ, რა უნდა მექნა? რისკზე წავედი. სხვას არავის ვიცნობდი. ბავშვი... ბავშვის თავი სადა მქონდა?

ფანჯარაში იყურებოდა. მოპირდაპირე აივანზე იდგა აჭიმებიანი კაცი და ხელში გაშლილი ქოლგა ეჭირა.

- კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიწვე აქ, ექიმო?

- ორი-სამი კვირა.

- მთელი ორი კვირა?

- არც ისე დიდი დროა. მერე რა?

- სადა მაქვს ამდენი ფული?

- იქნებ, მოგიხერხოთ ცოტა ადრე გაწერა.

- თქვენ გგონიათ, შევძლებ გადახდას? ამდენი ფული არა მაქვს. ძალიან ძვირია, ოცდაათი ფრანკი დღეში.

- ვინ გითხრათ?

- მოწყალების დამ.

- რომელმა? ცხადია, ეჟენიმ...

- ჰო, მითხრა, ოპერაციისა და ბინტისათვის ცალკე მოგიხდებათ ფულის გადახდაო. ძვირია?

- ოპერაციისათვის თქვენ უკვე გადახდილი გაქვთ.

- მოწყალების დამ მითხრა, ეს სულაც არ კმარაო.

- მან ყველაფერი როდი იცის, ლუსიენა. ჯობს, როგორმე ექიმ ვებერს ჰკითხოთ.

- მალე მინდოდა გამეგო.

- რატომ?

- მაშინ უფრო ადვილია გამოანგარიშება, რამდენი უნდა ვიშოვო, - ლუსიენამ თავის წვრილ, ნემსით დაჩხვლეტილ თითებს დახედა. - ოთახის ქირაც უნდა გადავიხადო. მთელი თვის. აქ ცამეტში მოვედი. თხუთმეტში საჭირო იყო დიასახლისის გაფრთხილება, რომ გადავდივარ, თორემ მთელი თვის უნდა გადავიხადო. იყოს მაინც რაიმე ისეთი.

- არავინ გეხმარებათ?

ლუსიენამ შეხედა. უეცრად ქალიშვილს სახე ათი წლით დაუბერდა.

- თვითონვე მშვენივრად ხვდებით, ექიმო! მას მხოლოდ ბრაზი მოსდიოდა. ასე მითხრა: „არ მეგონა, თუ ასეთი სულელი იყავი, თორემ საქმესაც არ დავიჭერდი შენთანო!“

რავიკმა თავი დაუქნია. ეს ახალი ამბავი როდია.

- ლუსიენა, - უთხრა, - იქნებ იმ ქალისაგან მივიღოთ რამე, რომელმაც აბორტი გაგიკეთათ. ის არის დამნაშავე. ოღონდ უნდა დაასახელოთ.

ქალიშვილი შეკრთა. მთელი არსებით სცადა წინააღმდეგობა გაეწია.

- პოლიცია? არა! თვითონ გავებმები.

- არავითარი პოლიცია. მხოლოდ დავემუქრებით იმ ქალს.

ქალიშვილმა მწარედ გაიცინა.

- მუქარით ვერაფერს გახდებით. რკინისაა. სამასი ფრანკის მიცემა დამჭირდა. მერედა, რა გამოვიდა?.. - ლუსიენამ კიმონო გაისწორა. - ზოგიერთს უბრალოდ ბედი არ სწყალობს, - დაუმატა მშვიდად, თითქოს თავის თავზე კი არა, ვიღაც გარეშეზე ლაპარაკობდა.

- არ არის მართალი, - მიუგო რავიკმა, - თქვენ ძალიან გაგიღიმათ ბედმა.

საოპერაციოში ეჟენი დახვდა. მონიკელებულ ინსტრუმენტებს აპრიალებდა. ეს მისი ერთ-ერთი საყვარელი საქმე იყო და ისე იყო გართული, ვერც კი შენიშნა, როგორ შევიდა ოთახში რავიკი.

- ეჟენი, - დაუძახა მან.

მოწყალების და შეკრთა და მობრუნდა.

- აჰ, თქვენ? ყოველთვის ასე მაშინებთ!

- არ მეგონა, თუ ასეთი მნიშვნელოვანი პიროვნება ვიყავი. აი, თქვენ კი არ უნდა აშინებდეთ პაციენტებს მკურნალობის საფასურსა და ჰონორარზე ლაპარაკით.

ეჟენი გასწორდა და ჩვრები ხელში შეაცივდა.

- აჰ, თურმე რა ყოფილა! იმ ქეციანმა მეძავმა უკვე ჭორიკანობა დაიწყო?

- ეჟენი, - უთხრა რავიკმა. - იმ ქალთა შორის, რომლებიც მამაკაცის გვერდით არასოდეს დაწოლილან, მეტი მეძავია, ვიდრე მათ შორის, ვისთვისაც ეს ამბავი მწარე ლუკმა-პურად ქცეულა. ქმრიან ქალებზე აღარ ვლაპარაკობ. გარდა ამისა, ქალიშვილს ჭორიკანობა არ დაუწყია. უბრალოდ, დღე გაუმწარეთ, მორჩა და გათავდა.

- თუნდაც აგრე იყოს! ვინც ასეთ ცხოვრებას ეწევა, რაღას ინაზება!

ეჰ, შე მორალის ფარულო katexiziso[4], გაიფიქრა რავიკმა, შე საძაგელო ამპარტავანო ფარისეველო! რა იცი ამ პატარა მკერავი ქალის მარტოობაზე, თავისი მეგობარი ქალიშვილის დამღუპველ მეანთან მისვლა რომ გაბედა, გაბედა იმავე კლინიკაში მისვლა, სადაც დაიღუპა მისი ბედის მოზიარე და ამხანაგი? ახლა კი ერთსა და იმავეს გაიძახის: „რა გაეწყობა?“ და „როგორ გადავიხადო?“

- გათხოვიდით, ეჟენი, - უთხრა რავიკმა. - ბავშვებიან ქვრივს გაჰყევით ან დამკრძალავი ბიუროს მეპატრონეს.

- მუსიე რავიკ, - ღირსებით სავსე ხმით უთხრა მოწყალების დამ. - იქნებ, ინებებდით და ჩემს პირად ცხოვრებაში არ ჩაერეოდით? იძულებული ვიქნები, ვებერთან გიჩივლოთ.

- თქვენ ისედაც დილიდან საღამომდე ამას აკეთებთ. - რავიკმა, ცოტა არ იყოს, სიხარულით შენიშნა, ეჟენი ნერვიულობისაგან წითლად დაფოთლილიყო. - ეჟენი,

რატომ არიან ღვთის მორწმუნენი ასე შეუწყნარებელნი? ყველაზე მსუბუქი ხასიათი ცინიკოსებს აქვთ, ყველაზე აუტანელი - იდეალისტებს. ხომ არ აღვიძებს ეს თქვენში აზროვნების სურვილს?

- მადლობა ღმერთს, არა.

- მეც ასე ვფიქრობდი. ახლა კი ცოდვის შვილებთან გავემგზავრები „ოზირისში". ამას ყოველი შემთხვევისათვის გატყობინებთ. ვინიცობაა, დოქტორ ვებერს დავჭირდე, მიხმეთ.

- მეეჭვება, რომ დასჭირდეთ.

- ქალწულობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ წინასწარმეტყველი ხართ. ვთქვათ და დავჭირდე? ასე, ხუთამდე დავრჩები. შემდეგ ჩემს სასტუმროში წავალ.

- სასტუმრო! ებრაელთა დუქანი სასტუმრო გახდა?

რავიკი შემობრუნდა.

- ეჟენი, ყველა ლტოლვილი ებრაელი როდია. ყველა ებრაელიც კი არაა ებრაელი. ზოგჯერ ებრაელი აღმოჩნდება ის, ვისზედაც ვერ იფიქრებ. ერთი ზანგი ებრაელიც კი მინახავს. საშინლად მარტოხელა კაცი იყო. უყვარდა მხოლოდ ერთი რამ - ჩინური სამზარეულო. აი, როგორ ხდება ხოლმე ქვეყნად.

მოწყალების დამ არაფერი უპასუხა. გულმოდგინედ განაგრძო ისედაც გაკრიალებული მონიკელებული ლანგრის ხეხვა.

რავიკი ბუასიერის ქუჩაზე ბისტროში იჯდა და წვიმისაგან დასველებულ მინაში იყურებოდა, როცა ქუჩაში ვიღაც შენიშნა. თითქოს მუშტი ჩაარტყეს მუცელშიო. წამით გაოგნდა, წესიერად ვერც კი გაიგო, რა მოხდა... მაგრამ მეორე წამსვე ზეზე წამოვარდა, მაგიდას ხელი ჰკრა, ხალხით გაჭედილი დარბაზი გაიარა და გასასვლელისკენ გავარდა.

უცბად ვიღაცამ ხელში ხელი სტაცა. რავიკი შემობრუნდა.

- რა მოხდა? - ჰკითხა გაკვირვებით, - რა გნებავთ?

მიმტანი იყო.

- ნახარჯი არ გადაგიხდიათ, ბატონო ჩემო.

- რა?.. აჰ, დიახ... დავბრუნდები... - მიმტანს ხელი გამოსტაცა, სახეწამოჭარხლებულმა.

- ჩვენთან ასე არ არის მიღებული!..

- აი...

რავიკმა ჯიბიდან საკრედიტო ბილეთი ამოიღო, მიმტანს მიუგდო და კარი გააღო. შეჯგუფებულ ხალხს რომ გასცდა, მარჯვნივ შეუხვია და სირბილით გაჰყვა ბუასიერის ქუჩას.

უკნიდან ვიღაცამ შეუკურთხა. გონს მოეგო, სირბილი შეწყვიტა და რაც შეეძლო სწრაფი ნაბიჯით წავიდა, შეეცადა ყურადღება არ მიეპყრო. შეუძლებელიაო, ფიქრობდა, სრულიად შეუძლებელი, ჭკუიდან შევიშალე, შეუძლებელია! სახე, მისი სახე... ჩანს, მხოლოდ შემთხვევითი მსგავსება იყო, რაღაც ჯოჯოხეთური, წყეული მსგავსება, წარმოსახვის სულელური თამაში... არ შეიძლება ის პარიზში იყოს! მისი სახე... ის ხომ გერმანიაშია, ბერლინში! წვიმის ბადით დაფარულ ფანჯრის მინაში რა უნდა გამერჩია, შემეშალა, ნამდვილად შემეშალა...

ჩქარობდა, სულ წინ და წინ მიიწევდა, კინოდან გამოსული ხალხის ზღვაში იკვლევდა გზას, სახეში უცქერდა ყოველ მამაკაცს, რომელსაც გაუსწრებდა, ქუდის ფარფლებქვეშ იცქირებოდა. ზოგი გაოცებული შემოხედავდა, ზოგიც აღშფოთებული... წინ... წინ... სხვა სახეებია, სხვა ქუდები, რუხი, შავი, ცისფერი, ყველას უკან იტოვებდა, მობრუნდებოდა ხოლმე, სახეში აშტერდებოდა...

კლებერის ავენიუს გზაჯვარედინზე რავიკი შეჩერდა. ქალი... პუდელიანი ქალიო, გაიხსენა უეცრად. იმ ქალს მიჰყვებოდა.

პუდელიანი ქალი დიდი ხანია უკან დატოვა. მობრუნდა. შორიდანვე შენიშნა ქალი, რომელსაც ძაღლი მოჰყავდა, და ტროტუარის კიდესთან გაჩერდა. ჯიბეებში ჩაწყობილი ხელები მუშტებად შეეკრა და ყოველ გამვლელს თვალებით აცივდებოდა. პუდელი ფარნის სვეტთან შეყოვნდა, დასუნა და ნელა ასწია უკანა ფეხი. შემდეგ საფუძვლიანად დაფხაჭნა ქვაფენილი და სირბილით განაგრძო გზა. რავიკმა უეცრად იგრძნო, რომ კეფა ოფლმა დაუსველა. კიდევ რამდენიმე წუთს შეიცადა. ნაცნობი სახე აღარ გამოჩნდა. გაჩერებაზე მანქანები დაათვალიერა. ყველა ცარიელი იყო. მაშინ კლებერის ავენიუზე დაბრუნდა და მეტროში შევიდა. კიბე ჩაირბინა, ბილეთი აიღო და ბაქანს გაუყვა. საკმაოდ ბევრი მგზავრი ირეოდა. ვიდრე ბაქანს ბოლომდე გაივლიდა, სადგურზე მატარებელი შემოგრიალდა და, მგზავრები ჩასხდნენ თუ არა, ხელახლა გაქრა გვირაბში. ბაქანი დაცარიელდა.

ნელი ნაბიჯით დაბრუნდა რავიკი ბისტროში და თავის მაგიდას მიუჯდა. ხელუხლებლად იდგა შეუსმელი კალვადოსი. ეუცნაურა, ხელუხლებელი რომ დახვდა სირჩა.

მიმტანი მივიდა.

- მაპატიეთ, მუსიე. არ ვიცოდი...

- არა უშავს, - მიუგო რავიკმა. - ერთი სირჩაც მოიტანეთ.

- ერთიც? - მიმტანმა დაუცლელ სირჩას შეხედა. - ჯერ ამას ხომ არ დალევდით?

- არა. მეორე მოიტანეთ.

მიმტანმა სირჩა აიღო და ცხვირთან მიიტანა.

- ცუდი კალვადოსია?

- არა, არა უშავს. უბრალოდ, მეორე სირჩა მომიტანეთ.

- მესმის, მუსიე.

შევცდი, ისევ გაიფიქრა რავიკმა. წვიმით დასველებულ, დაორთქლილ მინაში რას გაარჩევ? ფანჯარას მიაჩერდა. ჩასაფრებულ მონადირესავით აკვირდებოდა ყოველ გამვლელს, ხოლო მეხსიერებაში მრუმე, მკვეთრი ჩრდილებივით მიქროდნენ მოგონებათა ნაფლეთები, როგორც ფილმის კადრები...

ბერლინი, ზაფხულის საღამო. 1943 წელი. გესტაპოს შენობა. სისხლი. უფანჯრო ოთახის ცარიელი კედლები. უაბაჟურო, კაშკაშა ელნათურები, წითელი ლაქებით დაფარული მაგიდა მისაბმელი ღვედებით. ღამით ოდნავ ნათელი ეფინება მის გონებას. ათჯერ მაინც ჩააყოფინეს თავი წყლიან სათლში გრძნობაზე მოსაყვანად. კარგად დაბეგვილი თირკმლები, ტკივილს რომ აღარ გრძნობენ. სიბილას დამახინჯებული, სასოწარკვეთილებით აღსავსე სახე. იგი რამდენიმე მუნდირიან ჯალათს ხელში უჭირავს, რომ არ წაიქცეს. მეორე სახე - მოღიმარი, და ხმა, თავაზიანად რომ უხსნის, რა მოელის სიბილას, თუ ის არ აღიარებს... სიბილა სამი დღის შემდეგ იპოვეს ყელზე მარყუჟგამობმული, თავი ჩამოიხრჩოო...

მიმტანი მოვიდა, კალვადოსი მოუტანა.

- სხვა ხარისხია, მუსიე, კანიდან. ძალიან ძველი.

- კარგი, კარგი. გმადლობთ.

რავიკმა კალვადოსი დალია, სიგარეტი ამოიღო და მოსწია. ხელები უწინდებურად უკანკალებდა. ასანთი იატაკზე დააგდო და კიდევ ერთი სასმისი კალვადოსი შეუკვეთა.

ეს მოღიმარი სახე - განა ამ სახეს არ მოჰკრა ახლა თვალი? უეჭველად შეცდა! შეუძლებელია, ჰააკე პარიზში იყოს. შეუძლებელია! რავიკმა თავიდან მოიშორა უსიამოვნო ფიქრი. აზრი არა აქვს თავის გაწამებას, როცა არაფრის გაკეთება არ შეგიძლია. მისი დროც დადგება, როცა იქ ყველაფერი დაინგრევა და შესაძლებელი გახდება, შინ დაბრუნდეს. ჯერ კი...

მიმტანს უხმო და ფული გადაიხადა. ქუჩაში რომ გავიდა, უნებურად ყოველ გამვლელს ათვალიერებდა.

რავიკი მოროზოვთან იჯდა „კატაკომბაში“.

- შენ ფიქრობ, ეს ის კაცი არ არის? - ჰკითხა მოროზოვმა.

- არა, მაგრამ ისე კი ჰგავს... საშინელი მსგავსებაა. ან, იქნებ, მეხსიერება მღალატობს.

- საწყენია, რომ ბისტროში იჯექი.

- ჰო, საწყენია.

მოროზოვი ცოტა ხნით გაჩუმდა.

- მაგრად აგაწრიალა, ხომ მართალია? - ჰკითხა მერე.

- არა, რატომ?

- გაურკვევლობა გტანჯავს.

- ჩემთვის ყველაფერი გაურკვეველია.

მოროზოვმა არაფერი უპასუხა.

- ეს ჰალუცინაციებია, - თქვა რავიკმა. - მეგონა, უკვე დავაღწიე მათ თავი.

ერთხანს ჩუმად ისხდნენ.

- ჭადრაკი ვითამაშოთ? - შესთავაზა მოროზოვმა.

- თავისუფალ დაფას რომ ვერ ვხედავ?

- აგერ, პროფესორმა დაამთავრა. ლევის ეთამაშებოდა. მოიგო, როგორც ყოველთვის.

რავიკი ჭადრაკის დაფისა და ფიგურების მოსატანად წავიდა.

- დიდხანს თამაშობდით, პროფესორო, - უთხრა მოგებულს, - თითქმის მთელი დღე.

მოხუცმა თავი დაუქნია.

- ვერთობი. ჭადრაკი ბანქოზე ბევრად სრულყოფილია. ბანქოში ყველაფერი შემთხვევაზეა დამოკიდებული. თანაც ისე ვერ ერთობი ადამიანი. ჭადრაკი - ეს ცალკე სამყაროა. ვიდრე თამაშობ, იგი დევნის მეორე, გარე სამყაროს, - პროფესორმა ანთებული თვალები ასწია. - გარე სამყარო კი არც ისე სრულყოფილია.

ლევიმ, მისმა პარტნიორმა, რაღაც გაურკვევლად ჩაილაპარაკა. შემდეგ გაჩუმდა, შეშინებულმა მიმოიხედა და პროფესორს გაჰყვა.

ორი პარტია ითამაშეს. შემდეგ მოროზოვი ადგა.

- უნდა წავიდე, საზოგადოების ნაღებს კარი ფართოდ გავუღო. რატომ აღარ დადიხარ ჩვენთან?

- არ ვიცი. უბრალო შემთხვევითობაა.

- ხვალ საღამოს შემოივლი?

- ხვალ საღამოს არ შემიძლია. ვახშმად მივდივარ ,,მაქსიმთან''.

მოროზოვმა ჩაიცინა.

- უპასპორტო ლტოლვილი ხარ და საკმაოდ თავხედურად კი გიჭირავს თავი - პარიზის ყველაზე ელეგანტურ რესტორნებში დადიხარ.

- მხოლოდ იქ ვგრძნობ თავს უშიშრად, ბორის. თუ ლტოლვილივით მოიქცევი, ორმაგად გაებმები. სხვისი არ გამიკვირდება, შენ კი, ნანსენის პასპორტის მფლობელს, ეს უნდა გცოდნოდა.

- სწორია. ვისთან ერთად მიდიხარ? გერმანიის ელჩთან ხომ არა, როგორც მისი პროტეჟე?

- კეტ ჰეგსტრემთან ერთად.

მოროზოვმა დაუსტვინა.

- კეტ ჰეგსტრემთან? - გაიმეორა. - განა ეს ქალი აქ არის?

- ხვალ დილით ჩამოვა. ვენიდან.

- კარგი. მაშინ ნამდვილად გნახავ ჩემსას.

- შეიძლება ვერც მნახო.

მოროზოვმა ხელები გაშალა.

- წარმოუდგენელია! როცა კეტ ჰეგსტრემი პარიზშია, მისი შტაბბინა „შეჰერეზადაა“.

- ამჯერად საქმე სხვანაირადაა. კეტი კლინიკაში დასაწოლად ჩამოდის, უახლოეს დღეებში ოპერაცია უნდა გაიკეთოს.

- მაშინ მით უფრო მოვა. შენ ქალებისა არაფერი გაგეგება. - მოროზოვმა თვალი მოჭუტა, - ან, იქნებ, არ გინდა, რომ ჩვენსას მოვიდეს?

- რატომ გგონია?

- მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ შენ ჩვენსას არ ყოფილხარ მას შემდეგ, რაც ის ქალი გამომიგზავნე, ჟოან მადუ. მგონი, აქ უბრალო დამთხვევა არ უნდა იყოს.

- სისულელეა. არც კი ვიცი, მოეწყო თუ არა ის ქალი თქვენთან. გამოდგა?

- დიახ. ჯერ ქოროში იყო, ახლა კი პატარა სოლო ნომერი აქვს, ორი-სამი სიმღერა.

- როგორ არის, შეეგუა?

- რა თქმა უნდა. რატომაც არა?

- მთლად სასოწარკვეთილი იყო, საცოდავი.

- როგორ თქვი?

- საცოდავი-მეთქი.

მოროზოვმა გაიღიმა.

- რავიკ, - თქვა მამობრივი კილოთი და მის სახეზე უეცრად აირეკლა: სტეპები, შორეული სივრცეები, სათიბები და წუთისოფლის მთელი სიბრძნე. - სისულელეს ნუ ლაპარაკობ. ის ქალი კაი ურცხვი ვინმეა.

- როგორ, როგორ? - ჩაეკითხა რავიკი.

- ურცხვი. მეძავი კი არა, ურცხვი. რუსი რომ იყო, გაიგებდი.

რავიკმა გაიცინა.

- ჰო, მაშინ, ალბათ, ძალიან შეიცვალა... მშვიდობით, ბორის, და ღმერთი იყოს შენი მფარველი.

## თავი მეშვიდე

- როდის უნდა დავწვე საოპერაციოდ, რავიკ? - იკითხა კეტ ჰეგსტრემმა.

- როცა გნებავთ. ხვალ, ზეგ, როცა ინებებთ. ერთი დღით ადრე იქნება თუ ერთი დღით გვიან, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

ქალი მის წინ იდგა, ტანწერწეტა, თავის თავში დარწმუნებული, მშვენიერი და უკვე არც ძალიან ახალგაზრდა.

ორი წლის წინ რავიკმა ამ ქალს ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაუკეთა. ეს იყო მისი პირველი ოპერაცია პარიზში და ამან ბედნიერება მოუტანა. იმ დროიდან ყოველთვის ჰქონდა სამუშაო და პოლიციას ერთხელაც აღარ შეუწუხებია. ამიტომაც იგი კეტ ჰეგსტრემს თავისებურ თილისმად თვლიდა.

- მეშინია, - უთხრა კეტმა. - არ ვიცი, რატომ, მაგრამ ძალზე მეშინია.

- არაფერია. ჩვეულებრივი ოპერაციაა.

ქალი ფანჯარასთან მივიდა და ოტელ „ლანკასტერის“ ეზოში გადაიხედა. ვეება, მრავალწლიან წაბლის ხეს ცისკენ გაეწვდინა ბებერი ხელები.

- წვიმს, - ჩაილაპარაკა კეტმა. - ვენიდან რომ წამოვედი, წვიმდა, ციურიხში გამეღვიძა - ისევ წვიმდა. ახლა აქაც... - ფარდა ჩამოსწია, - არ ვიცი, რა მომდის. ალბათ, ვბერდები.

- ყოველთვის ასე გეჩვენება, როცა ჯერ ისევ ახალგაზრდა ხარ.

- რატომ გული საგულეს არა მაქვს? ორი კვირის წინ გავეყარე. უნდა მიხაროდეს. მე კი ისეთი დაღლილი ვარ. ყველაფერი მეორდება, რავიკ, რატომ?

- არაფერი არ მეორდება. ვმეორდებით ჩვენ, მორჩა და გათავდა.

ქალმა გაიღიმა და ხელოვნური ბუხრის გვერდით დივანზე ჩამოჯდა.

- კარგია, რომ ისევ აქა ვარ, - თქვა მან. - ვენა ჩემთვის უსიხარულო ყაზარმად იქცა. გერმანელებმა ქალაქი გათელეს. ავსტრიელები დაეხმარნენ. ავსტრიელებიც, რავიკ. ავსტრიელი ნაცისტი მე რაღაც არაბუნებრივად მიმაჩნდა. მაგრამ თვითონ ვნახე ავსტრიელი ნაცისტები.

- საკვირველი არაფერია. ძალაუფლება - ყველაზე გადამდები სნეულებაა დედამიწაზე.

- დიახ და ყველაზე მეტად ამახინჯებს ადამიანებს. ამიტომაც გავცილდი ქმარს. მომხიბვლელი უსაქმური, რომელსაც ორი წლის წინ ცოლად გავყევი, უეცრად გადაიქცა ღრიალა შტურმანფიურერად. მოხუც პროფესორ ბერნშტაინს აიძულებდა, ქუჩები ეხვეტა, თვითონ კი უყურებდა და ხარხარებდა; ბერნშტაინს, რომელმაც ერთი წლის წინ თირკმლების ანთებისაგან განკურნა. აქაოდა, მეტად დიდი ჰონორარი გადამახდევინაო, - კეტმა ტუჩები დაბრიცა. - ჰონორარი, რომელიც მე გადავიხადე და არა იმან.

- ჰოდა, გიხაროდეთ, რომ ასეთ კაცს თავი დააღწიეთ.

- ორას ორმოცდაათი ათას შილინგს ითხოვდა განქორწინებისათვის.

- იაფია, - თქვა რავიკმა. - ყველაფერი, რისი მოგვარებაც ფულით ხერხდება, იაფია.

- ვერაფერიც ვერ მიიღო, - კეტმა თავი ასწია. მოგრძო, უზადო მოხაზულობის სახე ჰქონდა. - ყველაფერი პირში მივახალე, რასაც ვფიქრობ მასზე, მის პარტიაზე, მის ფიურერზე და გავაფრთხილე, ამას ახლა საქვეყნოდ ვილაპარაკებ-მეთქი. გესტაპოთი და საკონცენტრაციო ბანაკით დამემუქრა. სასაცილოდ ავიგდე. ვიდრე ამერიკელი ვარ და საელჩო მფარველობას მიწევს, არაფერიც არ მომივა-მეთქი. აი, შენი საქმე კი ვერ არის კარგად, შენ ხომ ჩემი ქმარი ხარ-მეთქი! - კეტმა გაიცინა. - ამაზე არ უფიქრია. შეეშინდა, მოიკუნტა და აღარ შემაფერხა.

საელჩო, დაცვა, პროტექცია, გაიფიქრა რავიკმა. თითქოს ლაპარაკი იყო რომელიღაც მეორე პლანეტის შესახებ.

- მიკვირს, რომ ბერნშტაინს აქამდე აძლევენ პრაქტიკის უფლებას, - თქვა ფიქრის შემდეგ.

- აღარ აძლევენ. საიდუმლოდ მიმიღო პირველი სისხლდენის შემდეგ. კიდევ ბედი, რომ ჩემი მშობიარობა არ შეიძლება. ნაცისტისაგან ბავშვის ყოლა... - ქალს ერთიანად გააჟრიალა.

რავიკი წამოდგა.

- უნდა წავიდე. სადილის შემდეგ ვებერი კიდევ გაგსინჯავთ. მხოლოდ პროფორმისთვის.

- ვიცი და მაინც... ამჯერად მეშინია.

- მომისმინეთ, კეტ... პირველი შემთხვევა ხომ არ არის... თანაც, ეს ოპერაცია ნაკლებად საშიშია, ვიდრე აპენდიციტის ოპერაცია, რომელიც ორი წლის წინ გაგიკეთეთ. - რავიკმა ნაზად მოხვია ხელი მხრებზე. - თქვენ იყავით პირველი ადამიანი, ვისაც მე ოპერაცია გავუკეთე პარიზში. ეს პირველ სიყვარულს ჰგავს. ძალიან ფრთხილად ვიქნები. ამას გარდა, თქვენ ჩემი თილისმა ხართ. თქვენ მომიტანეთ ბედნიერება. კვლავაც უნდა მომიტანოთ.

- მოგიტანთ, - უთხრა და მადლიერი თვალები მიაპყრო.

- კარგი. მშვიდობით, კეტ. საღამოს რვაზე შემოგივლით.

- მშვიდობით, რავიკ. ახლა მენბოშესთან წავალ და საღამოს ტანსაცმელს ვიყიდი. უნდა დავაღწიო თავი ამ დაღლილობას და იმ გრძნობას, თითქოს აბლაბუდაში გავები. ოჰ, ეს ვენა, - თქვა მწარე დაცინვით, - ოცნების ქალაქი...

რავიკი ლიფტით დაეშვა და ჰოლის გავლით ბარს ჩაუარა. ჰოლში რამდენიმე ამერიკელი იჯდა. შუაში იდგა მაგიდა, ზედ - წითელი გლადიოლუსების უზარმაზარი თაიგული. მკრთალ, ციმციმა შუქზე ყვავილები შედედებულ სისხლს მიამსგავსა და მხოლოდ მაშინ, როცა მიუახლოვდა, შენიშნა, რომ ყვავილები სულ ახალი დაკრეფილი იყო.

ოტელ ,,ინტერნასიონალის" მეორე სართულზე რაღაც დაუჯერებელი ხდებოდა. ბევრი ნომრის კარი ყურთამდე ღია იყო, მოსამსახურე გოგო და დერეფნის მსახური თავ-პირის მტვრევით დარბოდნენ ოთახიდან ოთახში, ხოლო დიასახლისი დერეფანში იდგა და განკარგულებებს იძლეოდა.

რავიკი კიბეზე ავიდა.

- რა მოხდა? - იკითხა მყისვე.

დიასახლისი ყოჩაღი ქალი იყო, ვეებერთელა ბიუსტი, არაპროპორციული, პატარა თავი და შავი, მოკლე კულულები ჰქონდა.

- ესპანელები წავიდნენ, - მიუგო.

- ვიცი. მაგრამ რა საჭიროა ასე გვიან ოთახების დალაგება?

- დილით დამჭირდება.

- ახალი გერმანელი ემიგრანტები ჩამოდიან?

- არა, ესპანელები.

- ესპანელები? - ჩაეკითხა რავიკი, რადგან ერთბაშად ვერ გაიგო, რა ჰქონდა დიასახლისს მხედველობაში. - როგორ? ახლა არ წავიდნენ?

დიასახლისმა შავი მოციმციმე თვალებით შეხედა და გაიღიმა. მის ღიმილში პროფესიონალური ჩახედულობა და უეშმაკო ირონია გამოკრთა.

- სხვები ბრუნდებიან, - აუხსნა.

- რომელი სხვები?

- მოწინააღმდეგეები, რა თქმა უნდა. ეს ხომ ყოველთვის ასეა. - დიასახლისმა რაღაც გასძახა მოსამსახურე გოგოს, ოთახს რომ ალაგებდა. - ჩვენი სასტუმრო ძველია, - თქვა ამაყად. - ჩვენი სტუმრები ხალისით გვიბრუნდებიან ხოლმე, თავიანთ ძველ ოთახებს ელოდებიან.

- უკვე ელოდებიან? - გაუკვირდა რავიკს. - ვინ ელოდება?

- მტრული ბანაკის ბატონები. ბევრი მათგანი უკვე ცხოვრობდა აქ. მას შემდეგ ცოტა დრო არ გასულა და ზოგი, ცხადია, მოკლეს. მაგრამ დანარჩენები ბიარიცსა და სენ-ჯან დე ლუზში იცდიდნენ, ვიდრე ოთახები განთავისუფლდებოდა.

- განა ისინი უკვე ცხოვრობდნენ თქვენთან?

- ოჰ, კარგი ერთი, მუსიე რავიკ! - გაუკვირდა დიასახლისს მისი ასეთი მიუხვედრელობა. - რა თქმა უნდა, ცხოვრობდნენ. დიქტატორ პრიმო დე რივერას დროს გაქცევა მოუხდათ და ჩვენთან ცხოვრობდნენ. როცა ესპანეთი რესპუბლიკა გახდა, შინ დაბრუნდნენ, აქ კი მოვიდნენ მონარქისტები და ფაშისტები. ახლა ისინი ჩვენთან თითქმის აღარ არიან, წავიდნენ და რესპუბლიკელები ისევ ბრუნდებიან. ცხადია, მხოლოდ ისინი, რომლებიც გადარჩნენ.

- სწორია. ამაზე არც მიფიქრია.

დიასახლისმა ერთ ოთახში შეიხედა. საწოლის ზემოთ ფერადი ლითოგრაფია ეკიდა მეფე ალფონსის გამოსახულებით.

- ჟანა, ჩამოიღე ეს სურათი! - უყვირა დიასახლისმა მოსამსახურეს.

გოგომ პორტრეტი მოიტანა.

- ასე. აქ დადგი.

დიასახლისმა პორტრეტი კედელს მიაყუდა და სხვა ოთახში შევიდა. იქ გენერალ ფრანკოს პორტრეტი ეკიდა.

- ესეც ალფონსის გვერდით მიაყუდე.

- საინტერესოა, რატომ თან არ წაიღეს ეს პორტრეტები ესპანელებმა? - იკითხა რავიკმა.

- როცა ემიგრანტები სამშობლოში ბრუნდებიან, იშვიათად მიაქვთ თან პორტრეტები, - აუხსნა დიასახლისმა. - უცხოეთში პორტრეტებით თავს ინუგეშებენ, სამშობლო კი აღარ ესაჭიროებათ. თრევა ძნელია, მინაც იოლად ტყდება. პორტრეტები თითქმის ყოველთვის სასტუმროში რჩება.

ამ ლაპარაკში დერეფანში, კედელთან, კიდევ ორი გენერალისიმუსის პორტრეტი მიაყუდა, ერთი ალფონსისა, მეორე - გენერალ კეიპო დე ლიანოს პატარა პორტრეტი.

- წმინდანებს არ შეეხოთ, - განაცხადა მან, როცა კედელზე მადონას ფერადი რეპროდუქცია დაინახა. - წმინდანებს ნეიტრალიტეტი უჭირავთ.

- ყოველთვის არა, - თქვა რავიკმა.

- მძიმე ჟამს ღმერთს ყოველთვის აქვს რაღაც შანსი. აქ არაერთხელ მინახავს, ათეისტები რომ ლოცულობდნენ. - დიასახლისმა ენერგიული ჟესტით შეისწორა მარცხენა ძუძუ.

- განა თქვენ არ გილოციათ, როცა ყელში გწვდებოდნენ?

- რა თქმა უნდა. მაგრამ მე ხომ ათეისტი არა ვარ. მე, უბრალოდ, არა მწამს ღმერთი.

მსახური გამოჩნდა, თან პორტრეტების მთელი გროვა მოჰქონდა.

- დეკორაციის შეცვლა გინდათ? - ჰკითხა რავიკმა.

- აბა, როგორ? ჩვენს საქმეში დიდი ტაქტია საჭირო. ისე ვერაფრით დაიგდებ კარგ სახელს. მეტადრე, თუ საქმე ასეთ კლიენტებთან გაქვს. ყველანი, პირდაპირ რომ გითხრათ, ამგვარ საკითხებში მეტისმეტად მიზეზიანები არიან. ვის მოეწონება, თავზე ამაყად დასცქეროდეს მოსისხლე მტერი, ხასხასა ფერებით დახატული, ზოგჯერ ოქროს ჩარჩოში ჩასმული? განა მართალი არა ვარ?

- სრულიად მართალი ბრძანდებით.

„შეჰერეზადასთან“ ბორის მოროზოვი იდგა. ტანს ოქრომკედით ნაქარგი ლივრეა უმშვენებდა. მან ტაქსის კარი გამოაღო. მანქანიდან რავიკი გადმოვიდა. მოროზოვმა გაიცინა.

- მე კი მეგონა, აქ მეტად აღარ მოხვიდოდი.

- არც მინდოდა.

- მე ვაიძულე, ბორის, - კეტი მოროზოვს გადაეხვია. - მადლობა ღმერთს, ისევ თქვენთანა ვარ!

- თქვენ რუსული სული გაქვთ, კატია. ერთმა ღმერთმა უწყის, რატომ გარგუნათ ბედმა ბოსტონში დაბადება... გაიარე, რავიკ, - მოროზოვმა შესასვლელი კარი გააღო. - ადამიანი დიდია თავის ზრახვებში, მაგრამ უძლურია მათ განხორციელებაში. ამაშია მისი უბედურებაც და მომხიბვლელობაც.

„შეჰერეზადა“ აღმოსავლური კარვის სტილში იყო მორთული. წითელჩოხიანი რუსი მიმტანები ტრიალებდნენ. რუსი და რუმინელი ბოშების ორკესტრი უკრავდა. სტუმრები დივანზე ისხდნენ, მთელი კედლის გაყოლებით. იქვე იდგა მრგვალი მაგიდები, რომელთა მინის ზედაპირი ქვემოდან ნათდებოდა. დარბაზში ნახევრად ბნელოდა და საკმაოდ ბევრ ხალხს მოეყარა თავი.

- რას დალევთ, კეტ? - იკითხა რავიკმა.

- არაყს, ბოშებმა დაუკრან და იცეკვონ. მეყო „ვენის ტყის ზღაპრების“ სამხედრო მარშის ტაქტზე მოსმენა. - ფეხსაცმელები წაიძრო და დივანზე მოკალათდა. - დაღლილობამ უკვე გამიარა. რამდენიმე საათი გავატარე პარიზში და სულ სხვა ვარ. მაგრამ ვერაფრით მომიშორებია განცდა, თითქოს საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოვიქეცი. წარმოგიდგენიათ?

რავიკმა გადახედა.

- კი... საერთოდ, წარმოდგენილი მაქვს.

მიმტანმა პატარა გრაფინით არაყი მოიტანა. რავიკმა სასმისები შეავსო და ერთი კეტს გაუწოდა. იმანაც სასწრაფოდ გადაკრა, თითქოს წყურვილს იკლავსო, სასმისი მაგიდაზე დადგა და მიმოიხედა.

- „შეჰერეზადა“ ერთი აყროლებული სოროა, თითქოს ყველაფრისათვის ნაფტალინი მოუყრიათო, - თქვა კეტმა ღიმილით, - მაგრამ ღამღამობით სიზმართა და ოცნებათა ჯადოსნურ გამოქვაბულად გარდაიქმნება ხოლმე.

კეტი დივნის ზურგზე გადაწვა. პატარა მაგიდიდან მომავალი მკრთალი შუქი უნათებდა სახეს.

- რავიკ, რატომ ხდება ღამით ყველაფერი უფრო მომხიბლავი? ყველაფერი რაღაც მსუბუქი, მისაწვდომი გეჩვენება, ხოლო მიუწვდომელს ოცნებით ცვლი. რატომ?

რავიკმა გაიღიმა.

- მხოლოდ ოცნება გვაიძულებს შევურიგდეთ სინამდვილეს.

მუსიკოსებმა ინსტრუმენტების გამართვა დაიწყეს. შეიფრთხიალეს კვინტებმა და ვიოლინოს პასაჟებმა.

- თქვენ არ ჰგავხართ იმ ადამიანს, თავს რომ ოცნებით ითრობს, - უთხრა რავიკს კეტმა.

- დათრობა სიმართლითაც შეიძლება. ეს უფრო საშიშია.

მუსიკა აჟღერდა. ჯერ მხოლოდ კიმბალის ხმა გაისმა. ზამშის რბილმა პატარა ჩაქუჩებმა წყნარად, თითქმის უჩუმრად გამოსტაცეს წყვდიადს მელოდია და ნაზ ვიოლინოებს გადასცეს.

ბოშამ აუჩქარებლად გაიარა მთელი დარბაზი და მათ მაგიდასთან მივიდა. იღიმებოდა, ვიოლინო ნიკაპზე მიეკრა, თავხედური თვალები და სახის მტაცებლური გამომეტყველება ჰქონდა. ვიოლინო რომ არ ჰქონოდა, პირუტყვით მოვაჭრე გეგონებოდათ. ვიოლინოთი კი იგი უნაპირო სტეპების, მომაჯადოებელი საღამოებისა და თვალუწვდენელი სივრცეების მოციქული იყო, მოციქული ყოველივე იმისა, რაც არასოდეს ცხადად არ იქცევა.

კეტი მელოდიას შეიგრძნობდა მთელი არსებით. ეჩვენებოდა, თითქოს აპრილის წყაროს წყალი სუსხავდა მის მხრებს. მოუნდა ვინმეს ძახილის გაგონება და ხმის გაცემა, მაგრამ არავინ ეძახდა. ვიღაცის ხმების ბუნდოვანი ჟღერაღა ისმოდა, ბუნდოვან მოგონებათა ნამსხვრევები გაიელვებდნენ ხოლმე, მოლივლივე ფარჩის ფერთა ციალი ელანდებოდა, მაგრამ ყოველივე ქარიშხალივით ძლიერდებოდა, და არ იყო არავინ, არც არავინ ეძახდა.

ბოშამ თავი დაუკრა, რავიკმა ფული ჩაუდო. კეტი შეკრთა.

- ყოფილხართ როდისმე ბედნიერი, რავიკ?

- ვიყავი, და არაერთხელ.

- ამას არ გეუბნებით. მე ვგულისხმობ ნამდვილად, თავდავიწყებით, ჭკუის დაკარგვამდე, მთელი თქვენი არსებით ბედნიერი.

რავიკი შესცქეროდა ქალის ვიწრო, აღელვებულ სახეს, რომლისთვისაც ცნობილი იყო ბედნიერების მხოლოდ ყველაზე უფრო მერყევი ნაირსახეობა - სიყვარული.

- არაერთხელ, კეტ, - უთხრა მან, მხედველობაში ჰქონდა რაღაც სულ სხვა და ისიც იცოდა, რომ არც ეს სხვა იყო ბედნიერება.

- არ გინდათ გამიგოთ ან არ გინდათ ამაზე ლაპარაკი. ვინ მღერის იქ, ორკესტრის თანხლებით?

- არ ვიცი. აქ დიდი ხანია, აღარ ვყოფილვარ.

- აქედან არ ჩანს და ბოშათა შორისაც არავინ არის. ალბათ, რომელიღაც პატარა მაგიდას უზის.

- შეიძლება ვინმე სტუმარია. აქ ეს ხშირად ხდება.

- უცნაური ხმაა, - ჩაილაპარაკა კეტმა, - ნაღვლიანი და მეამბოხე.

- სიმღერაა ასეთი...

- ან მე თვითონ... სიტყვები გესმით?

- „მე თქვენ მიყვარდით...“ - რომანსი პუშკინის ლექსზე.

- რუსული იცით?

- ისე, ცალკეული სიტყვები, უფრო მეტად, მაგარი სიტყვები. შესანიშნავია.

- თქვენ არ გიყვართ საკუთარ თავზე ლაპარაკი, ხომ მართალია?

- ფიქრიც კი არ მიყვარს საკუთარ თავზე.

კეტი გაჩუმდა.

- ზოგჯერ მეჩვენება, რომ უწინდელი ცხოვრება დასრულდა, - თქვა მერე. - უდარდელობა, იმედი, ყველაფერი უკან დარჩა.

რავიკმა გაიღიმა.

- არა, კეტ, ცხოვრება არასოდეს დასრულდება. მეტისმეტად სერიოზული რამ არის ცხოვრება, რომ იმაზე ადრე დასრულდეს, ვიდრე სუნთქვას შევწყვეტთ.

ქალი აღარ უსმენდა.

- ხშირად შიში მიღრღნის გულს, - თქვა მცირე ხნის შემდეგ, - უეცარი, ამოუხსნელი შიში. ასე მგონია, გავალთ აქედან და მთელ ქვეყნიერებას ნანგრევებად ქცეულს დავინახავთ. თქვენთვის ცნობილია ასეთი განცდა?

- დიახ, კეტ. ეს ყველასათვის ცნობილია. აგერ უკვე ოცი წელიწადია, რაც ევროპა დაავადებულია ამ ავადმყოფობით.

ქალმა არ უპასუხა, სიმღერას უსმენდა.

- ახლა უკვე რუსულად აღარ მღერის, - თქვა მან.

- ჰო, იტალიურად. ,,სანტა ლუჩიას" მღერის.

პროჟექტორის შუქმა მევიოლინიდან ორკესტრთან მდგარი პატარა მაგიდისაკენ გადაინაცვლა და რავიკმა დაინახა მომღერალი ქალი. ეს იყო ჟოან მადუ. იგი მაგიდასთან იჯდა, პირდაპირ იყურებოდა, თითქოს ფიქრებშია წასული და სრულიად მარტოდმარტოა ამ დარბაზშიო. კაშკაშა თეთრ შუქზე მისი სახე ძლიერ ფერმკრთალი ჩანდა. მასში აღარაფერი დარჩენილიყო იმ უფერული, გაცრეცილი გამომეტყველებიდან, ასე კარგად რომ იყო ცნობილი რავიკისათვის.

ახლა მადუ გასხივოსნებული იყო რაღაც ამაღელვებელი, საბე-დისწერო სილამაზით, და გაიხსენა, რომ ერთხელ კიდევ ნახა იგი ასეთი - ღამით, მის ოთახში, მაგრამ მაშინ ეს სიმთვრალეს მიაწერა და ძალზე სწრაფად გაქრა, განქარდა. ახლა კი, იგივე სახე, კიდევ უფრო მშვენიერი...

- რა მოგივიდათ, რავიკ? - ჰკითხა კეტმა.

რავიკი მობრუნდა.

- არაფერი. ნაცნობი ჰანგია. გულში ჩამწვდომი ნეაპოლიტანური რომანსი.

- მოგონებანი?

- არა. არაფერი მაქვს მოსაგონებელი.

ეს უფრო მკვეთრად თქვა, ვიდრე სურდა, და კეტმა ყურადღებით შეხედა.

- ზოგჯერ ისე მინდა გავიგო, რა მოგდით ხოლმე, რავიკ...

რავიკმა დაუდევრად ჩაიქნია ხელი.

- იგივე, რაც სხვას. ჩვენს დროში ქვეყანა სავსეა ავანტიურისტებით. მათ ლტოლვილთა ყოველ ოტელში შეხვდებით. და ყოველ მათგანს აქვს თავისი ისტორია, რაც პირდაპირ აღმოჩენა იქნებოდა ალექსანდრე დიუმას ან ვიქტორ ჰიუგოსათვის. ახლა კი, დაიწყებ თუ არა მოყოლას, ყველანი ამთქნარებენ... დალიეთ კიდევ, კეტ... მშვიდად გაატარო დღენი შენნი - აი, რა გვეჩვენება დღეს ყველაზე განსაცვიფრებელ თავგადასავლად.

ორკესტრი უკრავდა. უფრო საცოდავი მუსიკის წარმოდგენა ძნელი იყო, მაგრამ აი, რამდენიმე წყვილმა მაინც დაიწყო ცეკვა. ჟოან მადუც წამოდგა და გასასვლელისაკენ გაემართა. ისე მიდიოდა, თითქოს რესტორანი ცარიელი ყოფილიყოს. უცებ რავიკს მოაგონდა, რა თქვა ამ ქალზე მოროზოვმა. ჟოანმა საკმაოდ ახლოს ჩაუარა მისი და კეტის მაგიდას. რავიკს მოეჩვენა, რომ ჟოანმა შენიშნა ის, მაგრამ მზერა გულგრილად გადაიტანა სხვაგან და დარბაზიდან გავიდა.

- ამ ქალს იცნობთ? - ჰკითხა კეტმა, რომელიც გვერდით მჯდომ ექიმს თვალს ადევნებდა.

- არა.

## თავი მერვე

- ხედავთ, ვებერ? - ჰკითხა რავიკმა. - აქ... აქ... და აქ...

ვებერი საოპერაციო მაგიდისაკენ დაიხარა.

- დიახ...

- პატარა კვანძებია, აი... და აგერაც... ეს არც უბრალო სიმსივნეა და არც ხორცმეტი...

- არა...

რავიკი გასწორდა.

- კიბოა, - თქვა. - საეჭვოც არაფერია! დიდი ხანია ასეთი რთული შემთხვევა არ მქონია. სარკით გამოკვლევამ არაფერი გვიჩვენა, მენჯის არეში მოსინჯულია პატარა შერბილება ცალ მხარეს, ცოტაოდენი წამოსივება - შესაძლოა, ფაგედანი ან მიომა. სერიოზული არაფერი ჩანდა, მაგრამ ჩვეულებრივი გზით მოქმედება მაინც არ შეიძლებოდა. მომიხდა მუცლის ღრუს გაკვეთა და უეცრად - კიბო!

ვებერმა შეხედა.

- რას აპირებთ?

- ანათალი ავიღოთ და მიკროსკოპით გავსინჯოთ. ბუასონი ჯერაც ლაბორატორიაშია?

- ცხადია.

ვებერმა მოწყალების დას ლაბორატორიაში დარეკვა დაავალა. იგი უმალ წავიდა, რეზინისძირიანი ფეხსაცმელი ეცვა და ისე დადიოდა, ჩქამიც არ ისმოდა.

- ოპერაცია უნდა განვაგრძო, - თქვა რავიკმა. - საშვილოსნო უნდა ამოვკვეთო. სხვანაირად არ შეიძლება. მთელი საშინელება ისაა, რომ თვითონ არაფერი იცის. პულსი? - ჰკითხა ვებერს.

- თანაბარი. ოთხმოცდაათი.

- სისხლის წნევა?

- ას ოცი.

- კარგია.

რავიკმა კეტს დახედა.

ქალი საოპერაციო მაგიდაზე თავგადაწეული იწვა.

- უნდა გავაფრთხილოთ. თანხმობა უნდა მივიღოთ. არ შეიძლება ასე ვეცეთ და დავაქუცმაცოთ... მართალს არ ვამბობ?

- კანონით არ შეიძლება. მაგრამ თუ კანონს გადავუხვევთ... მაინც ხომ დავიწყეთ გაჭრა?

- სხვა გზა არ იყო. ჩვეულებრივი წესით ოპერაციის გაკეთება შეუძლებელი აღმოჩნდა. ახლა კი სულ სხვა ოპერაცია გამოდის. აბორტის გაკეთება და საშვილოსნოს ამოკვეთა სულაც არ არის ერთი და იგივე.

- მგონი, თქვენ გენდობათ, რავიკ.

- არ ვიცი. შეიძლება. მაგრამ დათანხმდება კი?.. - ხალათზე გადაცმული რეზინის წინსაფარი იდაყვით შეისწორა. - მოდი, ჯერ საქმე წინ წავწიოთ. კიდევ მოვასწრებთ იმის გადაწყვეტას, გავაკეთოთ თუ არა ჰისტერექტომია. ეჟენი, დანა!

ჭრილი დააგრძელა, მოსაჭერებით დაამაგრა წვრილი სისხლძარღვები, მსხვილებს ორმაგი ლიგატურები მოუჭირა და მეორე დანით მოყვითალო ფასცია გაჭრა. მის ქვეშ კუნთები დანის ბლაგვი ზურგით გამოყო, მუცლის აპკი ასწია, გახსნა და ნაპირები მოსაჭერებით დაამაგრა.

- გამაფართოებელი!

უმცროს საოპერაციო დას უკვე ხელში ეჭირა გამაფართოებელი. ტვირთიანი ძეწკვი გაუწოდა და ზედ ფირფიტა მიამაგრა.

- საფენები!

ჭრილობა სველი თბილი საფენებით შეფუთა და ფრთხილად შეიყვანა კორცანგი.

- ნახეთ... - მიუბრუნდა ვებერს. - აქაც... აი, ფართო იოგი. მაგარი, გამკვრივებული მასა. აქ უკვე ვერაფერს გახდები. მეტად შორს წასულა.

ვებერი ყურადღებით დასცქეროდა იმ ადგილს, სადაც რავიკმა უჩვენა.

- ხედავთ, - უთხრა რავიკმა, - ამ არტერიებს უკვე ვეღარ დაიჭერ მოსაჭერებით. ქსოვილი მეტისმეტად გათხელებულა. აქაც მეტასტაზებია. უიმედოა...

ფრთხილად მოათალა ქსოვილს ვიწრო ზოლი.

- ბუასონი ლაბორატორიაშია?

- დიახ, - მიუგო მოწყალების დამ. - დავურეკე, უკვე იცდის.

- კარგი. გაუგზავნეთ ანათალი. დაველოდოთ შედეგს. ათ წუთში ანალიზი მზად იქნება.

- უთხარით, ტელეფონით შეგვატყობინოს, - დასძინა ვებერმა. - მაშინვე. ოპერაციას შევაჩერებთ.

რავიკი გასწორდა.

- მაჯა როგორია?

- ოთხმოცდათხუთმეტი.

- სისხლის წნევა?

- ას ოცი.

- კარგი, ვებერ, მე მიმაჩნია, რომ იმაზე ფიქრი, გავუკეთოთ თუ არა ავადმყოფს ოპერაცია მისი თანხმობის გარეშე, აღარ შეიძლება. აქ უკვე ვეღარაფერს გახდები.

ვებერი დაემოწმა.

- ამოვკეროთ, - თქვა რავიკმა. - ნაყოფი მოვაცილოთ და მორჩა. ამოვკეროთ და ნურაფერს ვეტყვით.

იგი გახსნილ მუცლის ღრუს დასცქეროდა, საფენებით დაფარულს. ელექტრონის ძლიერ შუქზე ეს საფენები კიდევ უფრო თეთრი ეჩვენებოდა. თითქოს თოვლით დაფარულიყო ღია ჭრილობის ალისფერი კრატერი. კეტ ჰეგსტრემი, ოცდათოთხმეტი წლის, თავნება, მომხიბლავი, მზით დამწვარი და ნავარჯიშები, სიცოცხლით სავსე ქალი, სიკვდილმისჯილია, რაღაც უჩინარი და ბუნდოვანი შეუმჩნევლად შლის მის ორგანიზმს.

ისევ დაიხარა საოპერაციო მაგიდაზე.

- ჩვენ ხომ ჯერ კიდევ უნდა...

ბავშვი! ამ დასაშლელად განწირულ სხეულში ბრმად მიიწევდა სინათლისაკენ ახალი სიცოცხლე. ისიც განწირული იყო. შეუგნებელი ყლორტი, ღორმუცელა, ხარბად რომ წოვს რაღაცას. მას შეეძლო პარკებში ეთამაშა, გამხდარიყო ინჟინერი, მღვდელი, ჯარისკაცი, მკვლელი, ადამიანი... ისიც იცხოვრებდა, დაიტანჯებოდა, გაიხარებდა, დაანგრევდა... ინსტრუმენტი, დაჯერებული რომ მიჰყვებოდა უხილავ კედელს, დაბრკოლებას შეხვდა, ფრთხილად გამოიღო... მორჩა. მორჩა ყველაფერი, რასაც ჯერ

არ მოუპოვებია ცხოვრება, არ მოუპოვებია სუნთქვა, აღტაცება, ჩივილი, ზრდა, ჩამოყალიბება. არაფერი არ დარჩენილა. მხოლოდ მკვდარი, სისხლისაგან დაცლილი ხორცის ნაჭერი და ცოტა შედედებული სისხლი.

- ბუასონმა უკვე შეგატყობინათ რამე?

- ჯერ არა. სადაცაა დარეკავს.

- ცოტა დაცდა კიდევ შეიძლება.

რავიკმა მაგიდიდან ერთი ნაბიჯით დაიხია.

- მაჯა?

ეკრანის მიღმა დაინახა კეტის თვალები. მას უცქეროდნენ, მაგრამ გაშტერებული კი არა, ისე, თითქოს ყველაფერი დაენახოს და ყველაფერი იცოდეს. წამით მოეჩვენა, ავადმყოფს გამოეღვიძაო. კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და გაჩერდა. არა! მხოლოდ მოეჩვენა... შუქის თამაშია.

- მაჯა?

- ასი. სისხლის წნევა ას თორმეტი. ეცემა.

- დროა! - თქვა რავიკმა. - ბუასონს უკვე უნდა შეეტყობინებინა.

დაბლა ყრუდ გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. ვებერმა კარს შეხედა. რავიკი არ შემობრუნებულა. უცდიდა. ბოლოს მოწყალების და შემოვიდა.

- დიახ, - თქვა ვებერმა. - კიბოა.

რავიკმა თავი დააქნია და ისევ შეუდგა მუშაობას. მოხსნა მაშები და მოსაჭერები, ამოიღო საფენები. ეჟენი გვერდით ედგა და ინსტრუმენტებს ითვლიდა.

რავიკმა ამოკერვა დაიწყო. მარჯვედ, მეთოდურად, ზუსტად, მთელი ყურადღების დაძაბვით, ისე, რომ სხვა არაფერზე ფიქრობდა. სამარე იფარებოდა. ქსოვილი ქსოვილს უერთდებოდა, სულ ბოლომდე, ყველაზე უფრო ზედა ქსოვილამდე. ჭრილობა კავებით დაამაგრა და წელში გასწორდა.

- დამთავრდა.

ეჟენიმ პედალს ფეხი დააჭირა, მაგიდა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადაიტანა და კეტს ზეწარი დააფარა.

„შეჰერეზადა“, გაიფიქრა რავიკმა. გუშინწინ... მენბოშეს კაბა... იყავით თუ არა ოდესმე ბედნიერი... არაერთხელ... მეშინია... არაფერია, ჩვეულებრივი ამბავია... ბოშები უკრავდნენ... კარის თავზე საათს ახედა. თორმეტი იყო. შესვენება, სადილის დრო... ახლა კანტორებისა და ფაბრიკების ყველა კარი ფართოდ იღება, ჯანსაღ ადამიანთა ნაკადი მიეშურება ქუჩებში. მოწყალების დებმა ეტლი საოპერაციოდან გამოაგორეს. რავიკმა რეზინის ხელთათმანები წაიძრო და ხელის დასაბანად წავიდა.

- გამოიღეთ ნამწვი პირიდან! - გააფრთხილა ვებერმა, რომელიც მეორე პირსაბანთან იდგა. - ტუჩებს დაიწვავთ.

- ჰო, გმადლობთ... ვინ ეტყვის კეტს თავის მდგომარეობას, ვებერ?

- თქვენ, - გაისმა პასუხი.

- მოგვიხდება იმის ახსნა, რისთვის გავუკეთეთ ოპერაცია. ის ელოდა, რომ ყველაფერი ჩვეულებრივი გზით წავიდოდა, სიმართლის თქმა კი არ შეგვიძლია.

- რაიმეს მოვიფიქრებთ, - მტკიცედ მიუგო ვებერმა.

- ასე გგონიათ?

- რა თქმა უნდა. საღამომდე საკმაო დრო გაქვთ.

- თქვენ?

- მე მადამ ჰეგსტრემი არ დამიჯერებს. იცის, ოპერაცია თქვენ გაუკეთეთ და ყველაფრის გაგებასაც თქვენგან მოისურვებს. ჩემი მოსვლა მხოლოდ ეჭვს გაუჩენს.

- მართალია.

- ვერ გამიგია, როგორ შეიძლებოდა ყოველივე ეს განვითარებულიყო ასეთ მოკლე დროში.

- შეიძლებოდა... მინდა ვიცოდე, რას ვეტყვი კეტს.

- რაიმეს მოიფიქრებთ. კისტა, ვთქვათ, ან მიომა.

- დიახ. კისტა ან მიომა.

ღამით ისევ შეიარა კლინიკაში. კეტს ეძინა. საღამოს გამოეღვიძა, აღებინა, თითქმის მთელი საათი ვერ მოისვენა, მერე კი ისევ ჩაიძინა.

- ხომ არაფერი უკითხავს?

- არაფერი, - მიუგო ლოყაწითელმა მოწყალების დამ. - ჯერაც არ მოსულა გონს და არაფერი უკითხავს.

- ვფიქრობ, დილამდე იძინებს. თუ გაიღვიძა და რაიმე იკითხა, უთხარით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა-თქო. იძინოს ისევ. თუ აუცილებელი გახდა, ძილის წამალი მიეცით. თუ ძილში შფოთვა დაიწყო, ან ვებერს დაურეკეთ, ან მე. ოტელში გეტყვიან, სად შეიძლება ჩემი პოვნა.

ქუჩაში იდგა იმ ადამიანივით, რომელმაც ისევ უშველა თავს გაქცევით. რამდენიმე საათის შემდეგ სახეში უნდა შეხედოს ადამიანს, რომელიც ენდობა, და ტყუილი უთხრას. უეცრად ღამე თბილი და ნათელი ეჩვენა. ისევ შეაფერადებს ცხოვრების რუხ კეთრს ეს რამდენიმე საათი, ბედის ნაწყალობევი, და მერე მტრედებივით გაფრინდება. ეს საათებიც სიცრუეა - ტყუილად არაფერი გვეძლევა, - მხოლოდ გადავადებაა. ან რა არის გადავადება? განა ქვეყნად ყველაფერი გადავადება არ არის - სამოწყალო გადავადება, ჭრელი ქსოვილი, რაც ფარავს შავსა და შორეულ ბჭეს, უმოწყალოდ რომ ახლოვდება?

რავიკი ბისტროში შევიდა და ფანჯარასთან მდგარ პატარა მარმარილოს მაგიდას მიუჯდა. დარბაზში პაპიროსის ბოლი იდგა და ხმაური იყო. მიმტანიც მოვიდა.

- ჭიქა „დიუბონე“ და ერთი კოლოფი „კოლონიალი“.

კოლოფი გახსნა და შავი თამბაქოთი გატენილი სიგარეტი მოსწია. გვერდით რამდენიმე ფრანგი ოფიცერი კამათობდა გამყიდველ მთავრობასა და მიუნხენის მოლაპარაკებაზე. რავიკი მათ თითქმის არ უსმენდა. ქვეყანა აპათიითაა გაჟღენთილი და უნებურად მიგორავს ახალი ომის უფსკრულში. ამის საწინააღმდეგო თითქმის არავის არაფერი ჰქონდა... ვადის გაგრძელება - კიდევ ერთი წლით გადავადება - აი, ყველაფერი, რისთვისაც ჯერ კიდევ ჰყოფნიდათ ძალა, ებრძოლათ. გადავადება ამაშიაც - ყველგან და ყოველ ნაბიჯზე...

„დიუბონე“ დალია. მსუყე, დამყაყებულმა აპერიტივმა გულისრევის შეგრძნება გამოიწვია. რატომ შეუკვეთა? რავიკმა მიმტანს დაუძახა.

- ჭიქა კონიაკი.

ფანჯარაში გაიხედა და კაეშნიანი ფიქრების განდევნა სცადა. თუ მაინც ვერაფერს გახდება, რა საჭიროა სიგიჟემდე თავის მიყვანა? გაიხსენა, როდის შეითვისა ეს გაკვეთილი, მისი სიცოცხლის ერთ-ერთი უდიდესი გაკვეთილი...

ეს მოხდა იპრთან 1916 წლის აგვისტოში. წინადღით ასეული მოწინავე ხაზიდან ზურგში გადაიყვანეს. ფრონტზე ყოფნის განმავლობაში პირველად იდგნენ ასეთ წყნარ უბანზე. არავითარი დანაკლისი. აი, აგვისტოს მზეში კოცონს გარშემო შემოსხდომიან და იქვე, მინდორში, ამოთხრილ კარტოფილს წვავენ. ერთი წუთის შემდეგ ყოველივე ამისგან აღარაფერი დარჩენილა. მოხდა უეცარი საარტილერიო თავდასხმა - ჭურვი პირდაპირ კოცონში მოხვდა... როცა მთელი და უვნებელი რავიკი გონს მოვიდა, ნახა, რომ ორი მისი ამხანაგი მკვდარია... იქვე, ორ ნაბიჯზე, ეგდო მისი მეგობარი პაულ მესმანი, რომელსაც სულ პატარაობიდან იცნობდა, ვისთანაც თამაშობდა ბავშვობაში, სწავლობდა სკოლაში და მოუშორებლად მის გვერდით იყო. პაული გულაღმა ეგდო. მუცელი გამოფატრული ჰქონდა და შიგნეული გარეთ ეყარა...

ჯარისკაცებმა მესმანი ბრეზენტზე დააწვინეს და საველე ლაზარეთისკენ წაიყვანეს. დამრეცად მდებარე ნაპურალს მიჰყვებოდნენ. ოთხს მიჰყავდა ყავისფერ ბრეზენტზე მწოლიარე. მესმანი ხელისგულებით იჭერდა თავის თეთრ, მსუქან, გასისხლიანებულ ნაწლავებს. პირდაღებული და უაზროდ თვალებგადმოკარკლული იწვა.

ერთი საათი განუწყვეტლივ ყვიროდა. კიდევ ერთი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

რავიკმა გაიხსენა, როგორ დაბრუნდნენ უკან. გამოშტერებული, სრულიად განადგურებული იჯდა ბარაკში. ჯერ არასოდეს ენახა მსგავსი რამ. აქ იპოვა ნაწილის უფროსმა კატჩინსკიმ. ომამდე ეს კაცი ხარაზი იყო.

- წავიდეთ, - უთხრა კატჩინსკიმ. - ბავარიელებს საველე ბუფეტში ლუდი და არაყი აქვთ. ძეხვიც არის.

გამოლენჩებულივით მიაჩერდა კატჩინსკის მაშინ. ასეთი გულქვაობა მისთვის გაუგებარი იყო. კატჩინსკიმ ყურადღებით შეხედა და უთხრა:

- გინდა თუ არ გინდა, მაინც წაგიყვან! თუ გაჯიუტდი - ჯოხით გაგაგდებ. შენ დღეს უნდა გამოძღე, გაილეშო და საროსკიპოში წახვიდე.

რავიკმა არაფერი უპასუხა. კატჩინსკი გვერდით მიუჯდა.

- ვიცი, რაც მოგდის. ვიცი, რასაც ფიქრობ ახლა ჩემზე. მაგრამ მე ორი წელია აქა ვარ, შენ კი ორი კვირის მოსული ხარ. გამიგონე! რამე ეშველება მესმანს? არა. ხომ იცი, ყველაფერს გავაკეთებდით, რომ მისი გადარჩენის ერთი შანსი მაინც ყოფილიყო!

რავიკმა კატჩინსკის შეხედა. კი, ეს იცოდა. სჯეროდა, რომ კატჩინსკი სწორედ ასე მოიქცეოდა.

- კეთილი. ის მოკვდა. ვეღარაფერს გაუკეთებ. ჩვენ კი ორი დღის შემდეგ ისევ გაგვგზავნიან წინა ხაზზე და მაშინ ჩვენც მოგვხვდება. თუ აქ აეყუდები და სულ მესმანზე იფიქრებ - ტყუილუბრალოდ წაიხდენ თავს. უკიდურესობამდე მიხვალ, თავგზა აგებნევა. პირველივე საარტილერიო თავდასხმისას შეყოვნდები, ნახევარი წამით დააგვიანებ. მაშინ კი ჩვენ წაგიღებთ ზურგში, როგორც მესმანი წავიღეთ. ვის უნდა ეს? მესმანს? არა. ვინმე სხვას? არა. შენ კი, უბრალოდ, სული გაგძვრება, მორჩა და გათავდა. ახლა გასაგებია?

- სულერთია, მაინც არ შემიძლია...

- ენა გააჩუმე, შეგიძლია! სხვებმაც შეძლეს. პირველი არა ხარ.

იმ ღამის შემდეგ ყველაფერი გაუადვილდა. კატჩინსკის გაჰყვა და აითვისა მის მიერ მიცემული გაკვეთილი. დაეხმარე, თუ შეგიძლია... გააკეთე ყველაფერი, რაც შენს ხელთ არის... მაგრამ, როცა უკვე აღარაფრის გაკეთება შეგიძლია - დაივიწყე! ზურგი აქციე! გამაგრდი! შებრალება საპატიებელია მხოლოდ მშვიდობიან დროს, მაშინ კი არა, როცა საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება. დამარხე მიცვალებული და კბილით ჩაეჭიდე ცხოვრებას! შენ ჯერ უნდა იცოცხლო და იცოცხლო. დარდი დარდად დარჩება, ფაქტები კი ფაქტებად. თვალი გაუსწორე სიმართლეს, აღიარე სინამდვილე. ამით სულაც არ შეურაცხყოფ დაღუპულთა ხსოვნას. მხოლოდ ასე შეიძლება იცოცხლო.

რავიკმა კონიაკი დალია. გვერდით მაგიდასთან ფრანგები ისევ კამათობდნენ თავიანთ მთავრობაზე, საფრანგეთის უძლურებაზე, ინგლისზე, იტალიაზე, ჩემბერლენზე... სიტყვები, სიტყვები... სხვები კი მოქმედებდნენ. უფრო ძლიერნი კი არა, უფრო გაბედულნი იყვნენ. გადავადება? მაგრამ რისთვის იყენებდნენ? იმისათვის, რომ იარაღი აესხათ, დაკარგული აენაზღაურებინათ, ძალ-ღონე მოეკრიბათ? არა. გულხელდაკრეფილნი უყურებდნენ, როგორ იარაღდებოდნენ სხვები... უმოქმედოდ ელოდნენ, ახალი გადავადების იმედი ჰქონდათ. ლომთევზებზე თქმული ძველი იგავი მოაგონდა: ასობით ლომთევზა იწვა თურმე ზღვის სანაპიროზე. მოვიდა მონადირე და დაიწყო მათი დახოცვა - რიგრიგობით უხეთქავდა კომბლით თავებს. შეერთებული ძალით ლომთევზები იოლად გადათელავდნენ მას, ისინი კი უძრავად იწვნენ. ყოველი მათგანი ხედავდა, როგორ კლავდა მონადირე მის გვერდით მწოლიარეს და სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა მათ, მაგრამ ადგილიდან არ იძვროდნენ. რა მოხდა, მხოლოდ მეზობელსა ჰკლავსო. იგივეა ევროპის ლომთევზების ისტორია. ცივილიზაციის მზის ჩასვენება. ღმერთების დაისი. ადამიანის უფლებათა გახუნებული დროშების წარღვნა.

მოფუსფუსე ჩარჩები, რომელთაც მხოლოდ ფასების კონიუნქტურა ანაღვლებთ. უბადრუკი როკვა ვულკანის კიდესთან. ხალხები, რომელთაც ისევ მიერეკებიან ნელ-ნელა სასაკლაოზე. ცხვარს მსხვერპლად შესწირავენ ღმერთს, რწყილები გადარჩებიან, როგორც ყოველთვის.

რავიკმა სიგარეტი ჩააქრო და მოიხედა. რა საჭიროა ყოველივე ეს? განა ახლახან არ იყო საღამო, წყნარი, როგორც რბილი, რუხი მტრედი? მიცვალებულნი დაასაფლავე და კბილებით ჩაეჭიდე ცხოვრებას. დრო სწრაფმავალია. გაძლება - აი, რა არის მთავარი. ოდესმე საჭირო იქნები. გაუფრთხილდი თავს და მზად იყავი.

მიმტანს დაუძახა და ფული გადაიხადა.

რავიკი ,,შეჰერეზადაში'' შევიდა. ბოშათა ორკესტრი უკრავდა. დარბაზში ბნელოდა. მხოლოდ ორკესტრთან მდგარ პატარა მაგიდას ეცემოდა პროჟექტორის კაშკაშა შუქი და ჟოან მადუს ანათებდა.

რავიკი შესასვლელთან შეჩერდა. მიმტანი მივიდა, მაგიდა მიუწია. რავიკი კვლავ ფეხზე იდგა და ჟოანს უყურებდა.

- არაყი მოგართვათ? - ჰკითხა მიმტანმა.

- დიახ. გრაფინით.

რავიკი მაგიდას მიუჯდა. ჭიქა შეავსო და სწრაფად გადაკრა. ამ მძიმე ფიქრებისაგან თავის დაღწევა უნდოდა. წარსულის გრიმასისა და სიკვდილის გრიმასის დავიწყება - ჭურვით გამოფატრული მუცელი და კიბოს მიერ შეჭმული მუცელი. ახლა შენიშნა, რომ იმავე მაგიდასთან ზის, სადაც ორი დღის წინ კეტ ჰეგსტრემთან ერთად იჯდა. გვერდით მაგიდა გათავისუფლდა. რავიკი მაინც არ გადაჯდა. რა განსხვავებაა, აქ ზიხარ თუ იქ, კეტ ჰეგსტრემს, სულერთია, ვეღარაფერს უშველი. როგორ თქვა ერთხელ ვებერმა? რა საჭიროა წუხილი, თუ შემთხვევა უიმედოა? რაც შეგიძლია, გააკეთებ და დამშვიდებული წახვალ შინ. თორემ ისე, რა მოგვივიდოდა? და მართლაც - რას დაემსგავსებოდა ჩვენი ცხოვრება? ჟოან მადუს ხმას უსმენდა. კეტი მართალი იყო - ამაღელვებლად მღეროდა ჟოანი. ბროლივით გამჭვირვალე, არყით სავსე გრაფინი აიღო. ეს ის წამი იყო, როცა საღებავები იშლება, როცა რუხი ჩრდილი ეცემა ცხოვრების სხივს და უძლური ხელიდან გვისხლტება. იდუმალი უკუქცევა. უხმო ცეზურა ორ ამოოხვრას შორის. დროის ეშვები ნელა იჭრება გულში. ,,სანტა ლუჩია'' - მღეროდა იგივე ხმა იმავე ორკესტრის ხმაზე. თითქოს ზღვის იქიდან ისმოდა. მოფრინავდა საიდანღაც სხვა, დავიწყებული ნაპირიდან, სადაც რაღაც იფურჩქნებოდა.

- როგორ მოგწონთ?

- ვინ?

რავიკი წამოიწია. გვერდით იდგა მეტრდოტელი. ჟოან მადუსკენ ანიშნა თავით.

- კარგია. ძალიან კარგია.

- ეს, რა თქმა უნდა, სენსაცია არ არის, მაგრამ სხვა ნომრებთან ერთად გვარიანად გამოსდის.

მეტრდოტელი წავიდა. პროჟექტორის დამაბრმავებელ შუქზე წამით მკვეთრად გამოჩნდა მისი შავი პატარა წვერი და შემდეგ სიბნელეში გაქრა. რავიკმა თვალი გააყოლა და ისევ შეავსო სასმისი.

პროჟექტორი ჩაქრა. ორკესტრმა ტანგო დაუკრა. ისევ ამოტივტივდნენ ქვემოდან განათებული მაგიდების წრეები და ზედ დახრილ ადამიანთა სახეები. ჟოან მადუ წამოდგა და მაგიდებს შორის გზის გაკვლევა დაიწყო. რამდენჯერმე მოუხდა შეჩერება - წყვილები საცეკვაოდ გადიოდნენ... რავიკმა ჟოანს შეხედა, ჟოანმა კიდევ მას. ქალის სახეზე გაკვირვების ნასახიც არ ჩანდა. პირდაპირ რავიკისაკენ გამოეშურა. რავიკი ადგა და მაგიდა განზე გასწია. ერთი მიმტანი დასახმარებლად მოვიდა.

- გმადლობთ, - უთხრა. - თვითონ მოვახერხებ. ოღონდ კიდევ ერთი ჭიქა მომიტანეთ.

მაგიდა თავის ადგილზე დადგა და მიმტანის მოტანილი ჭიქა აავსო.

- არაყია, - თქვა. - არ ვიცი, სვამთ თუ არა არაყს.

- დიახ. ერთხელ უკვე ვსვამდით, „ბელ ორორში“.

- მართალია.

ერთხელ იქაც ვიყავით, გაიფიქრა რავიკმა. მას შემდეგ მთელმა მარადისობამ ჩაიარა. სამი კვირა გავიდა. მაშინ შენ იჯექი მოსასხამში გახვეული, მოკუნტული, დარდის საცოდავი ნამუსრევი, სიცოცხლე, ბინდში რომ ქრებოდა. ახლა კი...

- სალუტ!

ქალს სახე ოდნავ გაუნათდა. არ გაუღიმია, მხოლოდ სახე გაუნათდა.

- დიდი ხანია ეს სიტყვა აღარ გამიგონია, - უთხრა რავიკმა, - სალუტ!

რავიკმა თავისი ჭიქა დაცალა და ჟოანს გადახედა. მაღლა აზიდული წარბები, ფართო თვალები და ტუჩები - ყოველივე, რაც დაფანტული, გაცრეცილი, კავშირს მოკლებული იყო, ახლა უეცრად შეერთებულიყო და ერთ ნათელ, იდუმალებით მოცულ სახედ ქცეულიყო. გულღია გამომეტყველება ჰქონდა - ეს იყო მისი საიდუმლოება, - არაფერს ფარავდა და არაფერს ამხელდა. ადრე როგორ ვერ შევნიშნე? - გაიფიქრა რავიკმა. ან იქნებ, უწინ შიშისა და დაბნეულობის მეტი არც არაფერი იყო.

- სიგარეტი გაქვთ? - ჰკითხა ჟოანმა.

- მხოლოდ ალჟირული: ის, მაგარი შავი თამბაქო რომ არის.

რავიკს მიმტანის დაძახება უნდოდა.

- ალჟირული არც ისე მაგარია, - უთხრა ქალმა. - ერთხელ თქვენ ერთი ღერი მომაწევინეთ. ამლას ხიდზე.

- მართალია!

მართალია და ტყუილიც, გაიფიქრა. მაშინ შენ გაწამებული, ფერდაკარგული ქალი იყავი, საკუთარ თავს არ ჰგავდი. შემდეგ ჩვენ შორის რაღაც მოხდა... და უეცრად აღმოჩნდა - ყოველივე ეს მართალი არ ყოფილა.

- გუშინწინ ვიყავი აქ, - უთხრა რავიკმა.

- ვიცი, გნახეთ.

ჟოანს არ უკითხავს კეტ ჰეგსტრემის ამბავი. მშვიდად იჯდა კუთხეში და ეწეოდა. გეგონებოდათ, მხოლოდ სიგარეტის მოწევით არისო გართული. შემდეგ სვამდა, ნელა და მშვიდად, და ისევ იფიქრებდით, ამ საქმემ სავსებით შთანთქაო. ჩანდა, რაც უნდა ეკეთებინა, ეს საქმე მის არსებას მოიცავდა მთლიანად, თუნდაც მეორეხარისხოვანი, არაარსებითი ყოფილიყო. მაშინ, ფიქრობდა რავიკი, თვით სასოწარკვეთილება იყო, ხორცშესხმული. ახლა სასოწარკვეთილების კვალიც არ დარჩენილიყო. უეცრად ამ ქალისაგან უშუალო, ძალდაუტანებელი რწმენის სიომ დაქროლა... კაცმა არ იცოდა, აიხსნებოდა თუ არა ეს იმით, რომ ახლა ქალს აღარაფერი აღელვებდა. გრძნობდა მხოლოდ, როგორ ათბობდა ჟოანისაგან გამოსხივებული ნათელი.

გრაფინი ცარიელი იყო.

- განვაგრძოთ არყის სმა? - ჰკითხა რავიკმა.

- მაშინ რას ვსვამდით?

- როდის? აქ? მაშინ, მგონი, ათასნაირი რამე ავურიეთ.

- არა. აქ კი არა. პირველ საღამოს.

რავიკი ჩაფიქრდა.

- დამავიწყდა... იქნებ, კონიაკს?

- არა. ერთი შეხედვით თითქოს კონიაკს ჰგავდა, მაგრამ რაღაც სხვა იყო. შოვნა მინდოდა, მაგრამ ვერ შევხვდი.

- ასე მოგეწონათ?

- არა. უბრალოდ, ჩემს სიცოცხლეში ისეთი მაგარი არაფერი დამილევია.

- ეს სად დავლიეთ?

- ერთ პატარა ბისტროში, ტრიუმფალური თაღის გვერდით. რამდენიმე საფეხურით დაბლა ჩავედით, პატარა სარდაფში. მძღოლები და ორი ქალიშვილი ისხდნენ. მიმტანს ხელზე ქალი ჰქონდა ამოსვირინგებული.

- აჰა, მახსოვს! ალბათ, კალვადოსი იყო. ნორმანდიული ვაშლის არაყი. აქ არ გიკითხავთ?

- არა.

რავიკმა მიმტანს დაუძახა.

- კალვადოსი გაქვთ?

- არა. სამწუხაროდ, არა. არავინ კითხულობს.

- მეტისმეტად ნაზი საზოგადოებაა. მაშასადამე, ალბათ, კალვადოსი იყო. საწყენია, რომ ზუსტად დადგენა არ ხერხდება. ყველაზე იოლი იქნება, თუ იმავე სარდაფში ჩავალთ, მაგრამ ახლა ეს შეუძლებელია.

- რატომ არის შეუძლებელი?

- განა შეგიძლიათ წასვლა?

- დიახ, უკვე თავისუფალი ვარ.

- ჩინებულია. მაშ, წავიდეთ.

- წავიდეთ.

რავიკმა იოლად იპოვა სამიკიტნო. თითქმის ყველა მაგიდა თავისუფალი აღმოჩნდა. ხელზე რომ სვირინგი ჰქონდა, იმ მიმტანმა თვალი შეავლო ახალმოსულებს, დახლიდან გამოვიდა, ფლატუნით მივიდა მაგიდასთან და გაწმინდა.

- პროგრესია, - თქვა რავიკმა. - მაშინ ეს არ გაუკეთებია.

- მაგრამ ეს ხომ ის მაგიდა არ არის, - უთხრა ჟოანმა. - აი, იქ დავსხედით.

რავიკმა გაიღიმა.

- ცრუმორწმუნე ხართ?

- ხანდახან.

- მართალია, - თქვა მიმტანმა. კუნთები შეათამაშა და მის ხელზე გამოხატული მოცეკვავე ამოძრავდა. - თქვენ მაშინ იქ ისხედით.

- გახსოვთ?

- მახსოვს. აბა, როგორ!

- გენერალი უნდა იყოთ, - უთხრა რავიკმა, - ასეთი მეხსიერებით...

- მე არასოდეს არაფერი მავიწყდება.

- ამ შემთხვევაში, საკვირველია, როგორ ცხოვრობთ დღემდე ქვეყანაზე? აბა, თუ გახსოვთ, რა დავლიეთ მაშინ?

- კალვადოსი, - დაუფიქრებლად მიუგო მიმტანმა.

- კარგი. ახლაც იმას დავლევთ, - რავიკი ჟოანს მიუბრუნდა. - რა უბრალოდ წყდება ხოლმე ზოგიერთი პრობლემა! ახლა კი ვნახოთ, შეინარჩუნა თუ არა კალვადოსმა თავისი გემო.

მიმტანმა სირჩები მოიტანა.

- ორი ორმაგი კალვადოსი. მაშინ ორმაგი შემიკვეთეთ.

- შენ მე სულ უფრო მაკვირვებ, პატივცემულო. იქნებ, ისიც გვითხრათ, რა გვეცვა?

- მანდილოსანს მოსასხამი ჰქონდა და ბერეტი ეხურა.

- საწყენია, რომ აქ იყინებით. თქვენ ვარიეტეში უნდა მუშაობდეთ.

- ვმუშაობდი კიდეც, - მიუგო გაკვირვებულმა მიმტანმა. - ცირკში. ეს უკვე მოგახსენეთ. ნუთუ დაგავიწყდათ?

- დიახ, ჩემდა სამარცხვინოდ, დამავიწყდა.

- მუსიე ადვილად ივიწყებს, - უთხრა ჟოან მადუმ მიმტანს. - დავიწყებაში ოსტატია. ისევე, როგორც თქვენ არდავიწყებაში ხართ ოსტატი.

რავიკმა შეხედა და გაიღიმა.

- არა, შეიძლება მთლად ასეც არ იყოს, - მიუგო ქალს. - ახლა კი კალვადოსი გავსინჯოთ... სალუტ!

- სალუტ!

მიმტანი არ მიდიოდა.

- რასაც დაივიწყებთ, ის მერე მთელი სიცოცხლე გაკლიათ, მუსიე, - განაცხადა ისეთი იერით, რომ ეტყობოდა, მისთვის ეს თემა სულაც არ იყო ამოწურული.

- მართალია. ხოლო ყველაფერი, რაც გახსოვს, ცხოვრებას ჯოჯოხეთად აქცევს ხოლმე.

- ჩემთვის კი არა. ეს ხომ უკვე წარსულია. როგორ შეუძლია წარსულს ცხოვრება ჯოჯოხეთად აქციოს?

რავიკმა შეხედა.

- ძალიან უბრალოდ, სწორედ იმიტომ, რომ ის წარსულია, მეგობარო. თქვენ კი, როგორც ჩანს, მარტო არტისტი კი არა, ბედის ნებიერიც უნდა იყოთ...

- კალვადოსი იგივეა? - ჰკითხა ჟოანმა.

- უკეთესია...

რავიკმა ჟოანს გადახედა და იგრძნო, რომ ცოტა თავბრუ ეხვეოდა. ყველაფერს მიხვდა, მაგრამ ქალის გულახდილობა იარაღს აყრევინებდა. ჩანდა, ქალისათვის სულერთი იყო, როგორ მიიღებდა რავიკი მის გადაკრულ სიტყვას. უბადრუკ სამიკიტნოში ქალი თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. უაბაჟურო ელნათურების კაშკაშა შუქზე გვერდით მაგიდასთან მჯდომი ორი მეძავი ნამდვილი დედაბრებივით გამოიყურებოდა, მაგრამ ჟოანს ამ შუქის არ ეშინოდა. ყოველივე ის, რაც კაცმა „შეჰერეზადას“ ბინდბუნდში ნახა, აქაც სრულიად უცვლელი ჩანდა - ქალმა გაუძლო შუქის გამოცდას. გაბედული, ნათელი სახე აღარაფერს ითხოვდა, მხოლოდ ელოდა... გაურკვეველი სახეა, გაიფიქრა რავიკმა, ოდნავ შეიცვლება ქარი და - გამომეტყველებაც სხვანაირი ხდება. შეიძლება უცქირო ამ სახეს და იოცნებო, რაზედაც გნებავს. თითქოს ლამაზი, ცარიელი სახლია, სურათებსა და ხალიჩებს რომ ელის. ასეთი სახლი შეიძლება გახდეს, რაც გნებავთ - სასახლეც და სამეძავოც, - ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ვინ მოაწყობს. რა შეზღუდული ჩანან მასთან

შედარებით სახეები, რომელთაც გაყინული ნიღაბივით ფარავთ ზედ წაწერილი გამომეტყველება!

რავიკმა შენიშნა, ჟოანის სირჩა ცარიელი იყო.

- აი, ეს მესმის, - უთხრა ქალს. - რაც უნდა იყოს, ორმაგი კალვადოსია. კიდევ დალევთ?

- კი. თუ დრო გაქვთ.

,,მოიცათ, ეს ვითომ რატომ თქვა, თუ დრო გაქვთო?'' - გაიფიქრა რავიკმა და მაშინვე გაიხსენა, რომ ბოლოს ჟოანმა კეტ ჰეგსტრემთან ნახა. სახეში შეხედა, ჟოანის სახე სრულიად გულგრილი ჩანდა.

- დრო მაქვს, - უთხრა ქალს. - ხვალ ცხრაზე ოპერაცია მაქვს, ეს არის და ეს.

- მერე, შეძლებთ ოპერაციის გაკეთებას, თუ ასე დიდხანს იქნებით აქ?

- რა თქმა უნდა. ერთი მეორეს ხელს არ უშლის. ჩვევაა. თანაც ყოველდღე არ ვაკეთებ ოპერაციას.

მიმტანმა სასმისები ისევ შეავსო. ბოთლთან ერთად ორი კოლოფი სიგარეტი მოიტანა და მაგიდაზე დადო. ეს იყო ,,ლორანი'', მწვანე.

- მაშინაც ამას ეწეოდით, ხომ მართალია? - საზეიმო კილოთი ჰკითხა რავიკს.

- რა მოგახსენოთ. თავად უკეთ მოგეხსენებათ. გიჯერებთ.

- დიახ, სწორედ იგივეა, - შენიშნა ჟოანმა. - ,,ლორანი'', მწვანე.

- აი, ხედავთ! მადამს უკეთესი მეხსიერება აქვს, ვიდრე თქვენ, მუსიე.

- ეს ჯერ კიდევ არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში, სიგარეტები გამოგვადგება.

რავიკმა კოლოფი გახსნა და ჟოანს მიაწოდა.

- იქვე ცხოვრობთ? - ჰკითხა თან.

- დიახ, ოღონდ უფრო დიდ ოთახში გადავედი.

დარბაზში რამდენიმე მძღოლი შემოვიდა. გვერდით მაგიდას მიუსხდნენ და მაშინვე ხმამაღლა ალაპარაკდნენ.

- წავიდეთ? - იკითხა რავიკმა.

ქალმა თავი დაუქნია.

რავიკმა მიმტანს უხმო და ანგარიში გაასწორა.

- იქნებ, მაინც გელოდებიან ,,შეჰერეზადაში''?

- არა.

რავიკმა მანტო მიაწოდა. ქალს არ ჩაუცვამს, მხოლოდ მოისხა მხრებზე. ეს იყო იაფფასიანი ქრცვინი, შეიძლება მისი იმიტაციაც, მაგრამ მის ტანზე ასეთი ბეწვიც

ძვირფასი ჩანდა. იაფფასიანია მხოლოდ ის, რასაც საკუთარი თავის რწმენას მოკლებული ადამიანები ატარებენ, გაიფიქრა რავიკმა. არაერთხელ უხილავს სამეფო სიასამურები და ძალზე იაფფასიანი მოსჩვენებია.

- ოტელში მიგიყვანთ, - უთხრა რავიკმა ქალს, როცა სამიკიტნოდან გამოვიდნენ.

წვიმა ცრიდა.

ჟოანი ნელა შემობრუნდა.

- განა თქვენთან არ წავალთ?

ქალს თავი უკან გადაეგდო და ქვემოდან შესცქეროდა. ფარნის შუქით განათებული მისი სახე სულ ახლოს იყო. თმაში ჟინჟღლის მარგალიტები უციმციმებდა.

- ჩემთან, - უთხრა რავიკმა.

ტაქსი მოვიდა. მძღოლმა ცოტა დაიცადა. მერე ენა გააწკლაპუნა, კბილების კრაჭუნით ჩართო სისწრაფე და გააქროლა.

- გელოდი. იცოდი? - ჰკითხა ქალმა.

- არა.

ქუჩის ფარნების შუქი ირეკლებოდა მის თვალებში, მზერა შიგ იძირებოდა. უძირო იყო ეს თვალები.

- თითქოს მხოლოდ დღეს შეგხვდი პირველად, - უთხრა რავიკმა. - ადრე სხვა იყავი.

- ჰო, ადრე სხვა ვიყავი.

- ადრე საერთოდ არაფერი არ იყო.

- ჰო, არ იყო. მე არაფერი მახსოვს.

კაცი გრძნობდა მისი სუნთქვის მოქცევასა და უკუქცევას. უხილავი ეს სუნთქვა ცახცახებდა, შესახვედრად მოცურავდა, ნაზი, უწონო, ნდობითა და მზადყოფნით აღსავსე, - უცხო ცხოვრება ამ უცხო ღამეში. უეცრად მამაკაცმა იგრძნო, როგორ აუდუღდა ძარღვებში სისხლი. სულ უფრო მეტად და მეტად. ეს სისხლიც კი აღარ იყო, არამედ თვით ცხოვრება, ათასჯერ დაწყევლილი, დაკარგული, სასურველი და ხელახლა მოპოვებული... მხოლოდ ერთი საათის წინ - გადამწვარი, შიშველი მიწა, გუშინდელი დღე, უნუგეშობით აღსავსე... ახლა კი - ისევ აქაფებული ნაკადი, სიახლოვე იმ იდუმალი წამისა, რაც ერთი შეხედვით სამუდამოდ გაქრა... ხელახლა პირველყოფილი ადამიანი გახდა, ზღვის პირას მდგარი, რაღაც ამოდიოდა წყლის სიღრმიდან, თეთრი და სხივნათელი; კითხვა და პასუხი, ერთად შედუღებული... სისხლი კი მატულობდა და მატულობდა, ხოლო თვალწინ ქარიშხალი ნავარდობდა...

- ხელი მომხვიე, - უთხრა ქალმა.

რავიკმა ჟოანის გადაწეულ სახეს შეხედა. ქალის მხრები ისე მოცურავდნენ მისკენ, როგორც ხომალდი, ნავსადგურში რომ მიიჩქარის.

- ხელი მოგხვიო? - ჰკითხა ქალს.

ჟოანი ხელისგულებით მიეკრა კაცის მკერდს.

- თანახმა ვარ, მოგხვიო ხელი.

- გმადლობ.

მეორე ტაქსიმ სწრაფად დაამუხრუჭა და ტროტუართან გაჩერდა. მძღოლი აუღელვებლად შესცქეროდა ქალსა და კაცს. მის მხარზე მოკალათებულ პატარა ძაღლს ნაქსოვი ჟილეტი ეცვა.

- წავიდეთ? - მოისმა ხრინწიანი ხმა გრძელი, სელივით თეთრი ულვაშების ქვემოდან.

- ხედავ? - თქვა რავიკმა. - ვერც კი ხვდება. ვერ ხედავს, რომ რაღაც მოგვივიდა. გვიყურებს და ვერ ხედავს, როგორ შევიცვალეთ. შეიძლება გახდე მთავარანგელოზი, მასხარა, დამნაშავე - და ვერავინ შენიშნავს ამას. მაგრამ აი, ვთქვათ, ღილი მოგწყდა სადმე - ამას კი მაშინვე ყველა დაინახავს. რა სულელურად არის მოწყობილი ქვეყნად ყველაფერი!

- სულაც არ არის სულელურად, პირიქით, ჩინებულია. ჩვენ დავრჩებით იმად, რაც ვართ.

რავიკმა შეხედა. - ჩვენო! - გაიფიქრა. - რა უჩვეულო სიტყვაა. ქვეყნად ყველაზე უფრო იდუმალი.

- წავიდეთ? - ისევ მშვიდად, მაგრამ ცოტა უფრო ხმამაღლა დაიხიხინა მძღოლმა და სიგარეტი მოქაჩა.

- წავიდეთ, - მიუგო რავიკმა. - არ დაგვეხსნება. პროფესიული გამოცდილება აქვს.

- არ გვინდა. ფეხით წავიდეთ.

- მერე, რომ წვიმს?

- არ წვიმს. უბრალოდ, ნისლია. არ მინდა ტაქსი. მინდა შენ გვერდით ვიარო.

- კარგი. მაშ, ავუხსნი მაინც საქმის ვითარებას.

რავიკი მიუახლოვდა და რამდენიმე სიტყვა უთხრა მძღოლს. იმანაც მომხიბლავად გაიღიმა, სახეგაბადრულმა ისეთი თავაზიანობით დაუქნია ჟოანს ხელი, როგორის უნარიც მხოლოდ ფრანგსა აქვს, და მანქანა გააქროლა.

- რა უთხარი? - ჰკითხა ჟოანმა, როცა რავიკი დაბრუნდა. - როგორ აუხსენი?

- ფულის დახმარებით. ყველაზე იოლი ხერხია. ღამის მძღოლები ცინიკოსები არიან. მაშინვე გაიგო. მოწყალედ, ოღონდ ცოტა შემწყნარებლური სიძულვილით შეხედა საქმეს.

ქალმა გაიღიმა და მიეხუტა. რავიკმა იგრძნო, როგორ გაიხსნა და გაიფურჩქნა მის გულში რაღაც მხურვალე, ნაზი და უსაზღვრო, თითქოს ურიცხვმა ხელმა წაიღო სადღაც დაბლა... და უეცრად, სრულიად აუტანელი გახდა, აი, ასე ერთმანეთის

გვერდით დგომა. ძლივს ინარჩუნებდნენ წონასწორობას... თავდავიწყებას უნდა მისცენ თავი, წავიდნენ სადმე, შორს, დანებდნენ ღაღადით მავედრებელ ხორცს, ათასწლეულების ძახილს, იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ იყო არაფერი - არც გონება, არც ტანჯვა, არც ეჭვი, და იყო მხოლოდ სისხლის ბნელი ბედნიერება...

- წავიდეთ, - უთხრა რავიკმა.

ჟინჟღლავდა. სველსა და მრუმე ცარიელ ქუჩას მიჰყვებოდნენ და, როცა მის ბოლოს მიაღწიეს, თვალწინ გადაეშალათ უზარმაზარი, უკიდეგანო მოედანი, რომლის შუაგულშიც აზიდულიყო ბუნდოვანი, ვერცხლისფრად მოციმციმე, ვეება ტრიუმფალური თაღი.

## თავი მეცხრე

რავიკი ოტელში დაბრუნდა. დილით, როცა წავიდა, ჟოანს ჯერ კიდევ ეძინა. იმედი ჰქონდა, ერთ საათში დაბრუნდებოდა, მაგრამ მთელი სამი საათით დააგვიანდა.

- ალო, ექიმო, - დაუძახა ვიღაცამ, მეორე და მესამე სართულებს შორის კიბეზე რომ ადიოდა.

რავიკმა მოიხედა. ფერმკრთალი სახე, შავი აწეწილი თმის გროვა, სათვალე. სრულიად უცნობი კაცია!

- ალვარესი, - თქვა უცნობმა. - ჰაიმე ალვარესი. არ გახსოვთ? - რავიკმა თავი გადააქნია.

კაცი დაიხარა და შარვლის ტოტი აიწია. მთელ წვივს გასდევდა გრძელი ნაჭრილობევი.

- ახლა?

- ჩემი ნაოპერაციევია?

კაცმა თავი დაუქნია, კიო.

- სამზარეულო მაგიდაზე, ზედ წინა ხაზზე, საველე ჰოსპიტალში, არანხუესთან. პატარა თეთრი ვილა ნუშის ჭალაში. მოგაგონდათ?

რავიკმა უეცრად იგრძნო აყვავებული ნუშის სქელი არომატი. მოეჩვენა, თითქოს ეს სუნი ბნელ კიბეზე ამოდის, მოტკბო, ოდნავ აშმორებული, სისხლის კიდევ უფრო მსუყე და გულისამრევ სუნთან შეერთებული.

- ჰო, - თქვა. - მაგონდება.

მთვარით გასხივოსნებულ აივანზე ერთიმეორის გვერდით იწვნენ დაჭრილები - გერმანელთა და იტალიელთა ბომბდამშენების თავდასხმის მსხვერპლნი. ბავშვები, ქალები, გლეხები, ყუმბარების ნამსხვრევებისაგან დაშავებული ადამიანები. სახემოგლეჯილი ყმაწვილი; ფეხმძიმე ქალი მკერდამდე გაფატრული მუცლით: მოხუცი, გაუბედავად რომ ეჭირა ერთი ხელის მოწყვეტილი თითები მეორე ხელში, - იმედი ჰქონდა, რომ მათი მიკერება მოხერხდებოდა. და ყოველივე ამის თავზე იყო ღამე თავისი სქელი სურნელებითა და ბროლივით გამჭვირვალე ნამით.

- ფეხი კარგად გაქვთ? - ჰკითხა რავიკმა.

- თითქოს კი, ოღონდ ძნელად იღუნება. - ალვარესმა გაიღიმა. - ყოველ შემთხვევაში, პირენებზე გადმოსვლა აიტანა. გონსალესი დაიღუპა.

რავიკს დაავიწყდა, ვინ იყო გონსალესი. სამაგიეროდ, გაიხსენა ახალგაზრდა სტუდენტი, თავისი თანაშემწე.

- მანოლო როგორღაა?

- ტყვედ ჩავარდა. დახვრიტეს.

- სერნა, ბრიგადის უფროსი?

- დაიღუპა მადრიდთან.

ალვარესმა ისევ უსიცოცხლოდ, მექანიკურად გაიღიმა.

- მურა და ლა პენია ტყვედ ჩაცვივდნენ, დახვრიტეს.

რავიკმა ვეღარ გაიხსენა, ვინ იყვნენ ეს მურა და ლა პენია. ესპანეთში ექვსი თვე დაჰყო და მაშინ წამოვიდა, როცა ფრონტი გაარღვიეს და ჰოსპიტალი დაშალეს.

- კარნერო, ორტა და გოლდშტაინი საკონცენტრაციო ბანაკში არიან, საფრანგეთში. ბაცკიც გადარჩა. ზედ საზღვართან იმალება.

რავიკს მხოლოდ გოლდშტაინი ახსოვდა. სხვები დაავიწყდა. მეტისმეტად ბევრი ხალხი იყო მის გარშემო.

- ახლა აქ ცხოვრობთ? - ჰკითხა ალვარესს.

- დიახ. გუშინწინ ჩამოვედით. ჩვენი ნომრები იქაა, - მესამე სართულის დერეფანი უჩვენა. - დიდხანს გაგვაჩერეს სასაზღვრო ბანაკში. ბოლოს და ბოლოს, გამოგვიშვეს. ჯერ კიდევ გვქონდა ფული... - ისევ გაიღიმა. - აქ კი საწოლებია. ნამდვილი საწოლები. ჩვენი ხელმძღვანელების პორტრეტებიც კი დაუკიდიათ კედლებზე.

- დიახ, - უთხრა რავიკმა სერიოზულად, ირონიის გარეშე. - ეს, ალბათ, სასიამოვნოა ყოველივე იმის შემდეგ, რაც იქ იყო.

ალვარესს დაემშვიდობა და თავის ნომერში წავიდა.

ოთახი დალაგებული და ცარიელი იყო. ჟოანი წასულიყო. მიმოიხედა - არაფერი დაეტოვებინა, არც ელოდა, რომ რაიმეს დატოვებდა.

რავიკმა ზარის ღილაკს თითი დააჭირა. მალე გამოჩნდა მოსამსახურე გოგო.

- ქალბატონი წავიდა, - უთხრა, ვიდრე რაიმეს ჰკითხავდა.

- თვითონაც ვხედავ. საიდან იცით, რომ აქ ვინმე იყო?

- ჰო, მაგრამ, მუსიე რავიკ... - ჩაილაპარაკა გოგომ და მეტი აღარაფერი დაუმატა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რავიკს მძიმე შეურაცხყოფა მიეყენებინოს.

- ისაუზმა?

- არა. არ მინახავს, თორემ ვიზრუნებდი ამაზე. მე ის მახსოვს... იმ დილიდან.

რავიკმა მსახურ გოგოს შეხედა. მისი უკანასკნელი სიტყვა არ მოეწონა. წინსაფრის წინა ჯიბეში რამდენიმე ფრანკი ჩაუდო.

- კარგი, - უთხრა, - შემდეგაც ასე მოიქეცით. საუზმე მოიტანეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მე გთხოვთ. და ნუ მოხვალთ დასალაგებლად, ვიდრე არ დარწმუნდებით, რომ ოთახი ცარიელია.

ქალიშვილმა გაიღიმა, გავიგეო.

- მესმის, მუსიე.

რავიკს ეჩოთირა. იცოდა, რაზე ფიქრობდა ამწუთას ქალიშვილი: ჟოანი ქმრიანია და არ სურს, ვინმემ დაინახოს. ადრე ამაზე მხოლოდ ჩაიცინებდა, ახლა კი არ ესიამოვნა. თუმცა, ბუნებრივია, გაიფიქრა გულში, სასტუმრო - სასტუმროა, აქ ვერაფერს შეცვლი.

ფანჯარა გააღო. მოღუშული შუადღე იდგა. სახურავებზე ბეღურები ჭიკჭიკებდნენ. ერთი სართულით დაბლა ლანძღვა-გინება იყო გაჩაღებული. ალბათ, ცოლ-ქმარი გოლდბერგები ჩხუბობდნენ. ქმარი, ბრესლაველი, ბითუმად პურით მოვაჭრე, ოცი წლით უფროსი იყო ცოლზე. ქალი ემიგრანტ ვიზენჰოფთან ცხოვრობდა, დარწმუნებული, რომ ეს ამბავი კაციშვილმა არ იცოდა. სინამდვილეში კი ეს არ იცოდა მხოლოდ ერთმა ადამიანმა - გოლდბერგმა.

რავიკმა ფანჯარა დახურა. დილით ვიღაცას ნაღვლის ბუშტის ოპერაცია გაუკეთა. ეს იყო ანონიმური ნაღვლის ბუშტი, დიურანის ფირმამ რომ მოაცილა მის პატრონს. ჩანდა მხოლოდ უცნობი მამაკაცის მუცლის მონაკვეთი, რომელსაც დიურანის მაგიერ თვითონ გაუკეთა ოპერაცია. ჰონორარი - ორასი ფრანკი. შემდეგ ინახულა კეტ ჰეგსტრემი. ქალს სიცხე ჰქონდა, ძლიერ მაღალი. რავიკმა მასთან ერთი საათი დაყო. ავადმყოფს მოუსვენრად ეძინა. საშიში არაფერია, მაგრამ მაინც ჯობდა, ასე არ ყოფილიყო...

უძრავად იდგა და ფანჯარაში იყურებოდა. უცნაური განცდა სიცარიელისა, რასაც იწვევს ყოველნაირი „შემდეგ“. საწოლი უკვე არაფერს ლაპარაკობს... დღევანდელი დღე უმოწყალოდ გლეჯს გუშინდელს, როგორც ტურა გლეჯს ანტილოპის ტყავს. სიყვარულის ტყე, თითქოს ჯადოქრობით აბიბინებული ღამის წყვდიადში, კვლავ ბუნდოვან, შორეულ მირაჟად მეჩვენება დროის უდაბნოს თავზე...

ფანჯარას თვალი მოაცილა. მაგიდაზე ქაღალდის ნაგლეჯი იდო, ზედ ეწერა ლუსიენა მარტინეს მისამართი. ცოტა ხნის წინ გაწერეს, მაგრამ მისი გახსენება სიმშვიდეს უკარგავდა. რავიკმა ლუსიენა ორი დღის წინ ინახულა და განმეორებით გასინჯვა ჯერ არ იყო საჭირო, მაგრამ თავისუფალი დრო ჰქონდა და განიზრახა, ენახა ქალი.

ლუსიენა კლაველის ქუჩაზე ცხოვრობდა. პირველ სართულზე ხორცის სავაჭრო იყო. ძალ-ღონით სავსე ქალი მარჯვედ ხმარობდა ნაჯახს და ღორს ჭრიდა. დედაკაცს სამგლოვიარო კაბა ეცვა. ორი კვირის წინ ქმარი მოუკვდა. ახლა ნოქართან ერთად თვითონ აწარმოებდა საქმეს. რავიკი არ შეჩერებულა, ისე შეავლო თვალი. ჩანს, ყასბის მეუღლეს სტუმრად ეჩქარებოდა - გრძელი პირბადიანი შავი ქუდი ეხურა - და

მხოლოდ ხათრისთვის დათანხმდა, ნაცნობისათვის ღორის ბარკალი მოეჭრა. სამგლოვიარო რიდე უფრიალებდა, გაალმასებული ნაჯახი ღრმად ესობოდა ბარკალში.

- მორჩა და გათავდა, - თქვა კმაყოფილმა ქვრივმა და ბარკალი სასწორზე დააგდო.

ლუსიენას პატარა სენაკი ეკავა სახურავის ქვეშ. მარტო არ იყო. შუა ოთახში, სკამზე, ზანტად გაშხლართულიყო ოცდახუთიოდე წლის ახალგაზრდა კაცი. გრძელი, წინაფრიანი ქუდი ეხურა, ველოსიპედისტები რომ ატარებენ, ისეთი. ყოველთვის, როცა პირს აღებდა, კბილებში გაჩრილი პაპიროსი ქვედა ტუჩზე მიკრული რჩებოდა. როცა რავიკი შემოვიდა, ჭაბუკმა წამოდგომაც არ ინება.

ლუსიენა ლოგინში იწვა. დაიბნა და გაწითლდა.

- ექიმო... დღეს სულ არ გელოდით, - ყმაწვილ კაცს გადახედა, - ეს...

- არა აქვს მნიშვნელობა, ვინცა ვარ, - უხეშად შეაწყვეტინა ჭაბუკმა, - არ არის საჭირო სახელების ტრიალი. - სკამის საზურგეს მიეყრდნო. - მაშ, თქვენა ხართ ის ექიმი?

- როგორაა საქმე, ლუსიენა? - ჰკითხა რავიკმა ისე, რომ ჭაბუკისათვის ყურადღება არ მიუქცევია, - წევხართ? ძალიან კარგი.

- ადგომაც შეუძლია, - ჩაურთო ჭაბუკმა. - რა საჭიროა ამდენი წოლა? დიდი ხანია მორჩა. მუშაობით არ მუშაობს, ფული კი იხარჯება.

რავიკი მიუბრუნდა.

- გადით აქედან, - უთხრა.

- კიდევ რა გსურთ?

- გაბრძანდით ოთახიდან. ლუსიენა უნდა გავსინჯო.

ჭაბუკმა გადაიხარხარა.

- ეს ჩემი დასწრებითაც შეიძლება. არც ისე ნაზად ვარ გაზრდილი. ან რა გასინჯვა უნდა? აგერ, გუშინწინ არ იყავით აქ? გამოდის, კიდევ ერთი ვიზიტის ფული უნდა გადავიხადოთ, არა?

- მომისმინეთ, - უთხრა რავიკმა მშვიდად, - რაღაც არ გეტყობათ, რომ ვიზიტების ფულს თქვენი ჯიბიდან იხდიდეთ. ფულს ავიღებ თუ არა, თქვენ არ გეხებათ. ახლა კი გაეთრიეთ.

ჭაბუკმა თავხედურად ჩაიცინა და კიდევ უფრო გამომწვევად გაიშხლართა სკამზე, თან ფართოდ გაფარჩხა ლაკისფეხსაცმლიანი და იისფერწინდებიანი ფეხები.

- გთხოვ, ბობო, - ჩაილაპარაკა ლუსიენამ. - სულ ერთი წუთით.

ბობოს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. რავიკს მიშტერებოდა და თვალით ზომავდა.

- ძალიან კარგია, რომ აქა ხართ, - თქვა ბობომ. - ყველაფერსაც აგიხსნით. თქვენ, ჩემო ძვირფასო, გგონიათ მოახერხებთ, რომ კლინიკის ანგარიში შემოგვაჩეჩოთ, ოპერაციისა და სხვა რამეებისათვის.. ვერ მოგართვეს! ვინ გთხოვათ, კლინიკაში მოათავსეთ და ოპერაცია გაუკეთეთო. ასე რომ, ფულებს ნუ ელოდებით. მადლობა გვითხარით, რომ ზარალის ანაზღაურებას არ ვითხოვთ ძალით გაკეთებული ოპერაციისათვის! რა, ჭამეთ? აჰა, ასე მოგიხდებათ. ბობომ იცის ასეთი საქმეები, ვერ გააცურებ.

ყმაწვილი იფხორებოდა, ამპარტავნულად გაბერილი და გაბღენძილი. ჩინებულად დავიძვრინე თავიო, ფიქრობდა. ლუსიენამ ფერი დაკარგა. შეშინებული შესცქეროდა ხან ბობოს, ხან რავიკს.

- გასაგებია? - ამაყად იკითხა ბობომ.

- ეს არის? - ჰკითხა რავიკმა ლუსიენას.

ქალი ხმას არ იღებდა.

- მაშასადამე, ეს არის, - გაიმეორა რავიკმა და ყურადღებით შეათვალიერა ყმაწვილი.

გამხდარი, აყლაყუდა ხეპრე. წვრილი კისერი აბრეშუმის შარფით ჰქონდა შეკრული. ლაპარაკის დროს ხვანჩი აუდიოდა და ჩამოუდიოდა. მოხრილი მხრები, უზომოდ გრძელი ცხვირი, დეგენერატის ნიკაპი - გარეუბნელი სუტენიორის კლასიკური ტიპი იყო.

- რას ნიშნავს ,,ეს“? - გამომწვევად იკითხა ბობომ.

- მგონი, უკვე გთხოვეთ გასვლა. საჭიროა ლუსიენას გასინჯვა.

- ნეხვი, - ჩაიბურტყუნა ბობომ.

რავიკი ნელა მიუახლოვდა ბობოს. ამ ყმაწვილმა მეტისმეტად მოაბეზრა თავი. ბობო წამოვარდა და უკან დაიხია, ხელში წვრილი ბაწარი ეჭირა. რავიკი მიხვდა მის განზრახვას: განზე გადახტება და, როცა მოწინააღმდეგე მიუახლოვდება, უკნიდან მოუვლის, ბაწარს კისერზე გადაუგდებს და გუდვას დაუწყებს. ცუდი ხერხი როდია, თუ მოწინააღმდეგემ ეს ილეთი არ იცის ან ბოქსის გამოყენებას შეეცდება.

- ბობო! - შესძახა ლუსიენამ. - ბობო, არ გინდა!

- ლაწირაკო! - თქვა რავიკმა. - ბაწრით აპირებ უბადრუკი ილეთის ჩატარებას? ეგ ხერხი სამყაროსავით ძველია! მეტი ვერაფერი მოიფიქრე? - და გაიცინა.

წამით ბობო დაიბნა. თვალების ცეცებას მოჰყვა. რავიკი ადგილს მოსწყდა, ერთი ნახტომით მივარდა, პიჯაკი იდაყვებამდე გახადა და ხელების განძრევის უნარი წაართვა.

- ასე, რა თქმა უნდა, არ შეგიძლია, - უთხრა, კარს ხელი ჰკრა, გააღო და საკმაოდ უხეშად გააგდო დაბნეული ბობო გარეთ. - თუ ჩხუბი გიყვარს, ჯარში წადი და, ვიდრე არ გაიწაფები, მოზრდილებს ჯიბრში ნუ ჩაუდგები. შე აპაშო[5], შენა!

- ახლა კი, ლუსიენა, - მიუბრუნდა ქალს. - მოდი, გაგსინჯოთ.

ლუსიენა ცახცახებდა.

- დამშვიდდით, აღარაფერია საშიში.

რეცხვით გაყვითლებული ბამბაზიის საბანი გადახადა და სკამზე დადო. შემდეგ მწვანე საბანი გადასწია.

- პიჟამა გაცვიათ? რატომ? განა ასე მოხერხებულად ხარ? ჯერ არ შეიძლება თქვენი ბევრი სიარული, ლუსიენა.

გოგო ხმას არ იღებდა.

- მხოლოდ დღეს ჩავიცვი, - თქვა ბოლოს.

- ღამის პერანგები არა გაქვთ? შემიძლია კლინიკიდან გამოგიგზავნოთ.

- არა, საქმე ეს არ არის. პიჟამა იმიტომ ჩავიცვი, ვიცოდი, რომ ის მოვიდოდა...

კარისაკენ გაიხედა, ხმას დაუწია, ჩურჩულით დაიწყო ლაპარაკი.

- სულ მიმტკიცებს, მორჩენილი ხარო. მეტს აღარ მოვიცდიო.

- უყურე ერთი! სამწუხაროა, რომ ადრე არ ვიცოდი... - რავიკმა სასტიკი მზერა ესროლა კარს. - მოიცდის!

როგორც ყველა სისხლნაკლულ ქალს, ლუსიენასაც ნაზი, თეთრი კანი ჰქონდა და წვრილი ცისფერი ძარღვები უჩანდა. კარგი აღნაგობისა იყო - ძვალწვრილი, საროსტანა, მაგრამ გამხდარი არ ეთქმოდა. რამდენი ასეთი ქალიშვილია! - გაიფიქრა რავიკმა, - პირდაპირ საკვირველია, რატომ ქმნის ბუნება ასე მოხდენილებს, როცა მოკლე ხანში მომქანცველი შრომითა და არანორმალური ცხოვრებით მახინჯ არსებებად იქცევიან!

- ერთი კვირა კიდევ მოგიხდებათ წოლა, ლუსიენა. შეგიძლიათ ცოტა ხნით წამოდგეთ ხოლმე და ოთახში გაიაროთ. მაგრამ ფრთხილად იყავით: მძიმე არ ასწიოთ და ამ დღეებში კიბეზე არ ჩახვიდეთ. ვინ გივლით, ამ ბობოს გარდა?

- ბინის პატრონი ქალი, მაგრამ ისიც ბუზღუნებს.

- სხვა არავინ გყავთ?

- არა. უწინ მარი იყო. მოკვდა.

რავიკმა უბადრუკ, მაგრამ სუფთად მილაგებულ პატარა ოთახს მოავლო თვალი. რაფაზე რამდენიმე პატარძლის ყვავილებიანი ქოთანი იდგა.

- ბობო? ესე იგი, ისევ გამოჩნდა, როცა ყველაფერმა ჩაიარა...

ლუსიენამ არაფერი უპასუხა.

- რატომ არ გააგდებთ?

- ისე ცუდიც არ არის, ექიმო. მხოლოდ მოველურია...

რავიკმა შეხედა. უყვარსო, გაიფიქრა. აქაც სიყვარულის მარადიული სასწაული. იგი არა მარტო ოცნების ცისარტყელით აცისკროვნებს ყოველდღიურობის რუხ ცას, არამედ რომანტიკული შარავანდედით მოსავს ნეხვის გროვასაც... მარადიული სასწაული და საზიზღარი დაცინვა. ანაზდეულად რავიკი უცნაურმა გრძნობამ მოიცვა - თითქოს თვითონაც დამნაშავე იყო მთელ ამ ნაღვლიან ისტორიაში.

- კარგი, ლუსიენა. გუნება არ გაიფუჭოთ. მთავარია, გამოჯანსაღდეთ.

ქალიშვილს გულზე მოეშვა, თავი დაუქნია.

- რაც შეეხება ფულს, - დარცხვენით, აჩქარებით ჩაილაპარაკა ნაოპერაციებმა, - ეს მართალი არ არის: არ დაუჯეროთ ბობოს. მე მოგცემთ ნაწილ-ნაწილ. როდის შევძლებ მუშაობას?

- ორი კვირის შემდეგ, თუ სისულელეებს არ ჩაიდენთ. და არავითარი ბობო! აბსოლუტურად არაფერი, ლუსიენა. თორემ სიკვდილი გემუქრებათ, გესმით?

- კი, - მიუგო ქალმა ისე, რომ ეტყობოდა, თვითონაც არ იყო დარწმუნებული.

რავიკმა საბანი დააფარა. უეცრად შენიშნა, რომ ქალიშვილი ტირის.

- უფრო ადრე არ შეიძლება? - ჰკითხა ექიმს. - მე ხომ დამჯდარიც ვიმუშავებ. მე უნდა...

- შეიძლება. ვნახოთ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ დაიჭერთ თავს. ახლა კი მითხარით იმ მეანის გვარი, ვინც აბორტი გაგიკეთათ.

ქალის თვალებში შიში ამოიკითხა.

- პოლიციაში წასვლას არ ვაპირებ. მხოლოდ შევეცდები ის ფული დაგიბრუნოთ, იმ ქალს რომ მიეცით. მაშინ უფრო დამშვიდდებით. რამდენი მიეცით?

- სამასი ფრანკი. ვერასოდეს დააბრუნებთ.

- ვეცდები. მითხარით სახელი და მისამართი. ეს ბებიაქალი აღარასოდეს დაგჭირდებათ, ლუსიენა. თქვენ შვილი აღარ გეყოლებათ. ისე კი, ის ქალი ცუდს ვერაფერს გიზამთ.

ქალიშვილი გაუბედავად იყურებოდა.

- იქ, ყუთშია, - თქვა ბოლოს, - ყუთში, მარჯვნივ.

- კეთილი. ამ დღეებში შევივლი იმ ქალთან. ყველაფერი კარგად იქნება. - რავიკმა პალტო ჩაიცვა. - რა მოხდა? - ჰკითხა ქალიშვილს. - მგონი, ადგომა გინდათ?

- ბობო... თქვენ არ იცნობთ მას.

რავიკმა გაიღიმა.

- ნუ გეშინიათ, ამაზე ყოჩაღებიც მინახავს. მთავარია - იწვეთ. დღევანდელმა გასინჯვამ გვიჩვენა, რომ საფრთხემ გაიარა. ნახვამდის, ლუსიენა. მალე ისევ გამოგივლით.

გასაღები გადაატრიალა, სახელური სწრაფად დასწია და კარი გააღო - კარის წინ არავინ იყო. ასეც იცოდა. კარგად იცნობდა ბობოს მსგავს ტიპებს.

ხორცის სავაჭროში ახლა მხოლოდ ნოქარი იყო, ყვითელსახიანი კაცი, რომელსაც თავისი დიასახლისის ტემპერამენტი აკლდა. იგი ზანტად ჭრიდა ღორის ხორცს. სავაჭროს პატრონის სიკვდილის შემდეგ ნოქარს სულ მთლად სიქა ჰქონდა გაცლილი, მაგრამ დიასახლისის ცოლად შერთვას, ალბათ, მაინც ვერ ეღირსებოდა. ეს საქვეყნოდ განაცხადა სახლის პირდაპირ, ბისტროში მჯდომმა მეცოცხემ. თან დასძინა, დიასახლისი თავის ნოქარს საფლავამდე უფრო ადრე მიიყვანს, ვიდრე ქორწილამდეო. კაცი ძალიან დაუძლურდა, ქვრივი კი, პირიქით, გაიფურჩქნა და გაიფურჩქნაო. რავიკმა ერთი სირჩა შავი მოცხარის ნაყენი დალია და ფული გადაიხადა... იმედი ჰქონდა, ბისტროში ბობოს შეხვდებოდა, მაგრამ იგი არც იქ აღმოჩნდა.

ჟოანი „შეჰერეზადადან“ გამოვიდა და იმ ტაქსის კარი გააღო, რომელშიც რავიკი იჯდა და ელოდა.

- წავიდეთ, - უთხრა. - შენთან წავიდეთ.

- ხომ არაფერი მოხდა?

- არა. არაფერი. უბრალოდ, მძულს ღამის რესტორნები.

- ერთი წუთით, - რავიკმა შესასვლელთან მდგარი მეყვავილე იხმო. - დედილო, - უთხრა, - მთელი შენი ვარდები მომეცი. რა ეღირება? ოღონდ ჭკუიდან არ შეიშალო.

- სამოცი ფრანკი, თქვენთვის. რადგან თქვენ მე ერთხელ რევმატიზმის რეცეპტი მომეცით.

- გიშველათ?

- არა. რას მიშველის: მთელი დღეები ამ სინესტეში ვდგავარ.

- თქვენ ყველაზე გონიერი პაციენტი ხართ, ვინც ოდესმე მყოლია, - რავიკმა ვარდები გამოართვა. - აი, რით გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს, დილით რომ ოთახში არ აღმოვჩნდი, როცა გაგეღვიძა, და უსაუზმოდ წახვედი, - უთხრა ჟოანს და ვარდები ფერხთით დაუწყო. - გინდა დავლიოთ?

- არა, შენთან წავიდეთ. ყვავილები მაღლა დააწყვე, სავარძელზე.

- აქაც კარგად აწყვია. ყვავილები უნდა გვიყვარდეს, მაგრამ მათთან ბევრი ცერემონია არ არის საჭირო.

ქალი ფიცხლად მიუბრუნდა:

- შენ გინდა თქვა, რომ შეყვარება შეიძლება, განებივრება კი არა?

- არა, არ მინდა. მშვენიერს არ შეიძლება ტრაგიკულად მოექცე. გარდა ამისა, მე და შენ ვერაფერმა ვერ უნდა გაგვყოს, ყვავილებმაც კი.

ჟოანმა ეჭვის თვალით გადახედა. შემდეგ სახე გაუნათდა.

- იცი, რას ვაკეთებდი დღეს? ვცხოვრობდი. ხელახლა ვცხოვრობდი. ისევ დედამიწაზე აღმოვჩნდი. ისევ გამომესხა ხელები, თვალები, ტუჩები...

მძღოლი ერთხანს ნელა მიჰყვებოდა ქუჩას, მერე კი გააქროლა მანქანა. ბიძგი ისე ძლიერი იყო, რომ ჟოანი კინაღამ ზედ დაეცა რავიკს. წამში ვაჟი ქალს მოეხვია. ჟოანისაგან სითბო იღვრებოდა და მის არსებაში დღის განმავლობაში შემორჩენილ თოშს ადნობდა. ქრებოდა თავდაცვის სუსხი, რასაც ექიმი თავის თავში გრძნობდა... ქალი კი იჯდა მის გვერდით და ლაპარაკობდა, მთლიანად თავის თავსა და განცდებში ჩაფლულიყო.

- მთელი დღე ჩემ გარშემო რაღაც ჩქეფდა, თითქოს ყველგან წყაროები ჩუხჩუხებსო. ჭავლები მცემდა კეფასა და მკერდში. ასე მეგონა, სადაცაა შევიფოთლები და ყვავილებით დავიფარები-მეთქი... მორევი სულ უფრო და უფრო ღრმად მიხვევდა და აი, მე აქა ვარ... და შენც...

რავიკმა შეხედა. ქალი წინწამოწეული იჯდა ჭუჭყიან, ტყავგადაკრულ სავარძელზე. შავი საგარეო კაბიდან თეთრი მხრები მოუჩანდა. გულახდილად და დაურიდებლად ლაპარაკობდა ყველაფერს, რასაც გრძნობდა. მის წინაშე რავიკს საცოდავად და უცხვირპიროდ ეჩვენებოდა თავი.

მე ოპერაციას ვაკეთებდიო, გაიფიქრა. დაგივიწყეო. ლუსიენასთანაც შევიარე, წარსულშიც დავქროდიო. უშენოდ... შემდეგ საღამო დადგა და თან მოიტანა სითბო. შენთან არ ვიყავი, კეტ ჰეგსტრემზე ვფიქრობდიო.

- ჟოან, - უთხრა და ხელი მოჰკიდა, - პირდაპირ ჩემთან წასვლა არ შეიძლება. ჯერ კლინიკაში უნდა შევიარო, რამდენიმე წუთით.

- ოპერაცია რომ გაუკეთე, იმ ქალის სანახავად?

- დილით რომ გავუკეთე, იმის სანახავად კი არა, მეორის. იქნებ დამელოდო სადმე?

- ახლავე გინდა წასვლა?

- ასე ჯობია. არ მინდა, მერე გამომიძახონ.

- შენთან დავიცდი. შეგიძლია მიმიყვანო?

- კი.

- მაშინ წავიდეთ. იქ დაგელოდები.

- კარგი.

რავიკმა მძღოლს მისამართი უთხრა, თვითონ სავარძელზე გადაწვა და თავი საზურგეზე დადო. ხელი ისევ ჟოანის ხელზე ედო. გრძნობდა, ქალს სურდა რაიმე მოესმინა მისგან თავის თავზე და მასზე. მაგრამ რავიკს ლაპარაკი არ შეეძლო. ქალმა უკვე მეტისმეტად ბევრი ილაპარაკა, მეტიც, ვიდრე საჭიროაო, გაიფიქრა გულში.

მანქანა გაჩერდა.

- წადი, - უთხრა ჟოანმა. - ყველაფერს თვითონ მოვაგვარებ. არ მეშინია. მომეცი გასაღები.

- გასაღები პორტიეს აქვს.

- კარგი, გამოვართმევ. ამასაც უნდა მივეჩვიო, - ყვავილები აკრიფა, - მივეჩვიო მამაკაცს, რომელიც მიდის, როცა გძინავს, და ბრუნდება მაშინ, როცა არ ელოდები... ეტყობა, ბევრი რამის შეჩვევა მომიხდება... ჯობს ერთბაშად დავიწყო...

- მაღლა აგაცილებ. არ არის საჭირო არაფრის გაზვიადება... ძალიან ვწუხვარ, რომ მაშინვე მომიხდება წასვლა.

ქალი იცინოდა და ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებოდა.

- გთხოვთ, ერთი წუთით დამელოდოთ, - უთხრა რავიკმა მძღოლს.

მძღოლმა ეშმაკურად მოჭუტა თვალი.

- რამდენ ხანსაც გენებოთ.

- მომეცი გასაღები, - უთხრა ჟოანმა, კიბეზე რომ ადიოდნენ.

- რისთვის?

- მომეცი. - ქალმა კარი გააღო, მაგრამ ზღურბლზე გაჩერდა. - ჩინებულია! - თქვა სადღაც, ოთახში გამეფებულ წყვდიადში.

ფანჯრის მიღმა, ღრუბლებში მთვარე მიცურავდა.

- ჩინებულია? ამ გალიაში?

- დიახ, ჩინებულია! ყველაფერი ჩინებულია!

- იქნებ, ასე გეჩვენება ახლა, ვიდრე ბნელა. მაგრამ, თუ... - რავიკმა გამომრთველისაკენ წაიწია.

- იყოს. თვითონ ავანთებ. ახლა წადი, ოღონდ ხვალ ნაშუადღევს არ დაბრუნდე.

ჟოანი კართან იდგა, სიბნელეში. მის მხრებს უკან ვერცხლისფერი შუქი იფრქვეოდა. ყველაფერი მასში იყო - იდუმალება, თავსატეხი, ამაღელვებელი გამოწვევა. მანტო მხრებიდან დაუცურდა და შავი ქაფივით მოევლო ფეხებზე. კედელს მიეყრდნო და დერეფნიდან შემოჭრილი სხივი ნელა დაიჭირა ხელით.

- წადი და დაბრუნდი, - უთხრა რავიკს და კარი მიხურა.

კეტ ჰეგსტრემს სიცხემ დაუწია.

- როგორ ეძინა? - ჰკითხა რავიკმა ღამის მორიგე დას.

- თერთმეტზე გამოეღვიძა. თქვენი ნახვა უნდოდა. ყველაფერი გადავეცი, რაც დამიბარეთ.

- შეხვევაზე არაფერი იკითხა?

- იკითხა. გასაჭრელი შეიქნა-მეთქი, ვუპასუხე. მარტივი ოპერაცია იყო და ხვალ თვითონ ექიმი ყველაფერს აგიხსნით-მეთქი.

- მეტი არაფერი?

- არაფერი. რაკი რავიკმა ასე ჩათვალა საჭიროდ, ყველაფერი რიგზეაო, თქვა. დამავალა, სალამი გადმომეცა თქვენთვის, თუ ღამით მოხვიდოდით, და მეთქვა, რომ სავსებით გენდობათ.

- კეთილი.

რავიკი ცოტა ხანს გაჩერდა, მოწყალების დის შავ, შუაზე გაყოფილ თმას შესცქეროდა.

- რამდენი წლისა ხართ? - ჰკითხა.

მოწყალების დამ გაკვირვებით ასწია თავი.

- ოცდასამის.

- ოცდასამის... და დიდი ხანია, რაც მოწყალების დად მუშაობთ?

- ორ-ნახევარი წელია. იანვარში სწორედ ორ-ნახევარი წელი შესრულდება.

- გიყვართ თქვენი სამუშაო?

ქალიშვილს ვაშლივით მრგვალი სახე ღიმილით გაებადრა.

- მომწონს, - ხალისიანად მიუგო ექიმს, - რა თქმა უნდა, ძნელი ავადმყოფებიც გამოერევიან ხოლმე, მაგრამ უმეტესობა ძალიან სიმპათიურია. მადამ ბრისომ გუშინ ლამაზი, თითქმის ახალი აბრეშუმის კაბა მაჩუქა. გასულ კვირას, კიდევ, მადამ ლერნერმა ლაკის ფეხსაცმელები მომცა. გახსოვთ ის ქალი? თავის სახლში გარდაიცვალა. - მოწყალების დამ ისევ გაიღიმა, - სულ არ მიხდება ნივთებისათვის ხარჯის გაწევა. თითქმის ყოველთვის რაიმეს მაჩუქებენ ხოლმე. თუ არ მომერგო, შემიძლია, გავცვალო ჩემს ამხანაგ ქალიშვილთან - მაღაზია აქვს. ასე რომ, სულაც არ ვცხოვრობ ცუდად. მადამ ჰეგსტრემიც ძალიან გულუხვია, ფულს მაძლევს. ადრე ასი ფრანკი მომცა. რაღაც თორმეტი დღისათვის. ახლა რამდენ ხანს დარჩება, ექიმო, ჩვენთან?

- უფრო დიდხანს. რამდენიმე კვირით.

მოწყალების დას ბედნიერი სახე ჰქონდა. მისი ნათელი, სწორი შუბლის მიღმა აზრები ირეოდა: გონებაში ითვლიდა, ახლა რამდენი მომიწევსო. რავიკი ისევ კეტისკენ დაიხარა. ზომიერი სუნთქვა ჰქონდა. ჭრილობის სუსტი სუნი უერთდებოდა თმის მჭახე სურნელებას. უეცრად რავიკმა ნათლად შეიგრძნო თავისი მდგომარეობის მთელი აუტანლობა. კეტი სავსებით ენდობა! ნდობა! ვიწრო, ჭრილობებით დასერილი მუცელი, სადაც შეიჭრა მტაცებელი მხეცი! მან კიდევ ნაკერები დაადო. უძლური იყო, დახმარების ძალა არ შესწევდა. ნდობა...

- ღამე მშვიდობისა, დაო, - თქვა.

- ღამე ნებისა, ექიმო.

პირმრგვალი ქალიშვილი კუთხეში მიდგმულ სავარძელში ჩაჯდა, ლამპას ჩამოაფარა, რომ ავადმყოფი შუქს არ შეეწუხებინა, ფეხებზე პლედი შემოიხვია და ჟურნალი აიღო - მსუბუქი საკითხავი, დეტექტიური მოთხრობებითა და კინოვარსკვლავთა ფოტოსურათებით აჭრელებული - მოხერხებულად მოეწყო და კითხვა დაიწყო.

წასვლის წინ რავიკმა შენიშნა, რომ მოწყალების დამ ისე გაუწოდა ხელი, კითხვა არ შეუწყვეტია. ზოგჯერ ყოვლად უბრალო ამბებს ვერაფერს გაუგებო, გაიფიქრა. ოთახში ორი ადამიანია. ერთი მომაკვდავი ავადმყოფია, მეორე კი სრულიად გულგრილად უყურებს ამას. კარი გაიხურა. განა თვითონაც ასეთი არა ვარ? განა ამ ოთახიდან არ მივდივარ მეორეში, სადაც...

ოთახში ბნელოდა. მხოლოდ სააბაზანოდან, კარის ღრიჭოდან შემოდიოდა შუქის ვიწრო ზოლი. რავიკი შეყოყმანდა. არ იცოდა, სად იყო ჟოანი - სააბაზანოში თუ ოთახში. შემდეგ მისი სუნთქვა მოესმა, წამით შეჩერდა და მაშინვე სააბაზანოსაკენ გაეშურა. ახლა იცოდა, რომ ქალი აქვე იყო და არ ეძინა. არც ქალს დაუძრავს სიტყვა. ოთახი უეცრად აივსო დუმილითა და დაძაბული ლოდინით...

ისევ მორევი, უხმოდ რომ ითრევს ადამიანს სადღაც სიღრმეში... უცხო უფსკრული შეუცნობლისა... ამ უფსკრულიდან მოცურავს ღრუბელი, თან მოაქვს თავბრუდახვევა და ალისფერი ბანგი.

რავიკმა სააბაზანოს კარი მიხურა. ნათურების კაშკაშა შუქზე ყველაფერი ისევ ნაცნობი და ჩვეულებრივი გახდა. მთელ ოტელში ერთადერთი შხაპის ონკანი გადაატრიალა.

რავიკმა შხაპი თავისი ხარჯით მოაწყო. იცოდა, რომ მისი არყოფნის დროს სასტუმროს დიასახლისი ამ შხაპს თავის ნათესავებსა და ნაცნობებს უჩვენებდა ხოლმე, როგორც ოტელის ღირსშესანიშნაობას.

ცხელი წყალი ღვარად ჩამოდის ტანზე. კედლის იქით წევს ჟოან მადუ და უცდის... მისი კანი ნაზია, თმა ტალღებად ეფინება ბალიშს. თუმცა ოთახში სრულიად ბნელა, ჟოანის თვალები ისე ციმციმებენ, თითქოს ზამთრის ვარსკვლავთა ძუნწ შუქს იჭერენ და არეკლავენო. წევს მოქნილი, ცვალებადი, გამომწვევი.

ის ქალი, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ იცნობდა, აღარ არსებობს. მის ნაცვლად, მომაჯადოებელი, წარმტაცი ქალია, როგორიც შეიძლება იყოს მხოლოდ ის ქალი, რომელსაც არ უყვარხარ. უეცრად ჟოანი შეეზიზღა. ეს იყო ზიზღი, რომელიც თან ახლდა მწვავე და ძლიერ სურვილს. უნებურად მიმოიხედა: სააბაზანოდან მეორე გასასვლელი რომ ყოფილიყო, ალბათ, ჩაიცვამდა და წავიდოდა.

რავიკმა ტანი შეიმშრალა და წუთით შეყოყმანდა. უცნაური ამბავია, რა მოსდის? ჩრდილი... არარაობა... იქნებ, ყველაფერი იმის ბრალია, რომ კეტ ჰეგსტრემთან იყო? ან ჟოანის სიტყვებისა, ტაქსიში რომ უთხრა? მეტისმეტად სწრაფად და იოლად კი გამოდის ყველაფერი. ან, იქნებ, სულ იმის ბრალია, რომ თვითონ კი არ ელოდება, არამედ მას ელოდებიან?

სახე დაეღრიჯა. კარი შეაღო.

- რავიკ, - თქვა ქალმა სიბნელეში. - კალვადოსი მაგიდაზეა, ფანჯარასთან.

რავიკი შეჩერდა. მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ დაძაბული იყო და რაღაცას ელოდა. ამ მომენტში ქალს შეეძლო ბევრი რამ ეთქვა და ყველაფერი აუტანლად ყალბი იქნებოდა. მაგრამ ქალმა ყველაზე სწორი სიტყვები იპოვა და დაძაბულობაც გაქრა, წყნარსა და მშვიდ რწმენაში განქარდა.

- ბოთლი იპოვე? - ჰკითხა ქალს.

- ადვილად. თვალსაჩინო ადგილას იდგა. მერე კორპსაძრობიც ვიპოვე და გავხსენი. მეც დამისხი.

რავიკმა ორი სირჩა შეავსო და ერთი ჟოანს მიუტანა.

- აი...

სასიამოვნო იყო სურნელოვანი ვაშლის არყის გემო. რა კარგია, რომ ჟოანმა სწორად შეარჩია სათქმელი.

ქალმა თავი გადასწია და სმა დაიწყო. თმა მხრებზე ჩამოუცვივდა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ამ წამს მისთვის, კალვადოსის გარდა, ქვეყნად არაფერი არსებობდა. რავიკმა ადრეც შენიშნა - ეს ქალი მთლიანად ეძლეოდა იმ საქმეს, რასაც იმწუთას აკეთებდა. ამაში არა მარტო თავისებური მომხიბვლელობა, არამედ რაღაც საფრთხეც არისო, გაუელვა თავში. როცა სვამდა, ეს ქალი მთლად თრობა იყო, როცა უყვარდა - მთლად სიყვარული, როცა სასო წარეკვეთებოდა - მთლად სასოწარკვეთილება და მთლიანად თავდავიწყება, როცა თავდავიწყებაში ვარდებოდა.

ჟოანმა სასმისი დადგა და გაიცინა.

- რავიკ, მე ვიცი, რაზედაც ფიქრობდი.

- დარწმუნებული ხარ?

- კი. თავი უკვე სანახევროდ ცოლიან კაცად წარმოიდგინე. მე, კიდევ, სანახევროდ ქმრიან ქალად დავსახე თავი. ღმერთმა იცის, რა სასიამოვნოა, როცა კართან გტოვებენ, ისიც ვარდებით ხელში. მადლობა ღმერთს, კალვადოსი აღმოვაჩინე. ნუ ზოგავ, დავლიოთ.

რავიკმა სასმისი შეავსო.

- შესანიშნავი ქალი ხარ და ყველაფერში მართალი. ვიდრე სააბაზანოში ვიყავი, დიდი სიმპათიით არ ვიყავი შენდამი განწყობილი, ახლა აღტაცებული ვარ, რომ გიყურებ. სალუტ!

- სალუტ!

რავიკმა გადაკრა და თქვა:

- დღეს მეორე ღამეა. საშიშია. მას სიახლის მომხიბლაობა აღარ აქვს, სიახლოვის მომხიბლაობა კი ჯერ კიდევ არის. მაგრამ ჩვენ ამ ღამეს გადავიტანთ.

ჟოანმა სასმისი პატარა მაგიდაზე დადგა.

- როგორც ვატყობ, ასეთ ამბებში გარკვეული ხარ.

- არაფერში არა ვარ გარკვეული. ყველაფერი მხოლოდ სიტყვებია. ან განა შეიძლება რაიმეს გარკვევით ცოდნა? ყოველთვის ყველაფერი სხვანაირად შეტრიალდება ხოლმე. ახლაც ასეა. მეორე ღამე არ არსებობს. არის მხოლოდ პირველი ღამე და, თუ მოდის მეორეც, მაშინ ყველაფერი გათავებულია.

- ოი, ღმერთო, მწყალობელო! საით წაგვიყვანს მთელი ეს შენი არითმეტიკა? ჯობია, ჩემთან მოხვიდე. არ მეძინება. მინდა დავლიო შენთან ერთად. ხედავ იქ, მაღლა, შიშველი ვარსკვლავები გაყინულან. რა სწრაფად იყინები, როცა მარტო რჩები! მაშინაც კი, როცა სიცხეებია. ორი ერთად კი - არასოდეს.

- ორი ერთადაც შეიძლება გაითიშოს.

- მე და შენ ეს საფრთხე არ გვემუქრება.

- რა თქმა უნდა, - დაუმოწმა რავიკმა და ქალს არ შეუნიშნავს, როგორ გადაუქროლა სახეზე ნაღველმა. - ჩვენ ამისი არ უნდა გვეშინოდეს.

## თავი მეათე

- რა მჭირდა, რავიკ! - იკითხა კეტ ჰეგსტრემმა. ქალი ლოგინში იწვა, თავი მაღლა, ერთიმეორეზე დაწყობილ ორ ბალიშზე ედო. ტუალეტის წყლისა და სუნამოს სუნი იდგა. სარკმელი ღია იყო. ქუჩიდან შემოჭრილი, ოდნავ გაყინული ჰაერი ოთახის სითბოს უერთდებოდა და გეგონებოდათ, იანვარი კი არა, აპრილიაო.

- ძლიერ აგიწიათ სიცხემ, კეტ. რამდენიმე დღე ასე იყავით. შემდეგ დაგეძინათ და თითქმის მთელი დღე-ღამე გეძინათ. ახლა სიცხე ნორმალური გაქვთ და ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობს. როგორ გრძნობთ თავს?

- დაღლილი ვარ, ოღონდ უკვე სხვაგვარად. ისე ნერვებმოშლილი აღარ ვარ. ტკივილიც თითქმის აღარ მაქვს.

- ტკივილი ისევ გექნებათ, მაგრამ არც ისე ძლიერი. ჩვენ კი ვიზრუნებთ იმისათვის, რომ იოლად გადაიტანოთ. ყოველ შემთხვევაში, სულ მალე კარგად გახდებით. ეს თვითონაც იცით...

კეტმა თავი დააქნია.

- თქვენ გამიკეთეთ ოპერაცია, რავიკ?

- დიახ, კეტ.

- ეს აუცილებელი იყო?

- დიახ.

რავიკი დუმილით ელოდა მომდევნო კითხვას. თვითონ იკითხოს, უფრო იოლი იქნებაო ჩემთვის.

- რამდენ ხანს მომიხდება აქ წოლა?

- სამი-ოთხი კვირა.

ქალი ერთხანს დუმდა.

- ვფიქრობ, უკეთესიც არის ჩემთვის. სიმშვიდე მინდა. სულ დავსუსტდი, ძალ-ღონე გამომეცალა. თვითონვე ვგრძნობ, ძალიან დავიღალე. სულ კი ვცდილობდი დამერწმუნებინა თავი, პირიქით არის-მეთქი. მითხარით, ოპერაცია დაკავშირებულია მთელ ამ საქმესთან?

- უეჭველად.

- ეს სისხლის დენაც სულ უდროო დროს?

- დიახ, კეტ.

- კარგია, რომ ახლა აღარსად მეჩქარება. იქნებ, ყველაფერი უკეთესად წავიდეს? მაგრამ ახლა ადგომა... ხელახლა ყოველივე ამაში ჩაფლობა... ვფიქრობ, ამას ვერ შევძლებდი...

- არც არის საჭირო. დაივიწყეთ ყოველივე. იფიქრეთ მხოლოდ ყველაზე უფრო არსებითზე. მაგალითად, საუზმეზე.

- კარგი, - ქალმა სუსტად გაიღიმა. - მომაწოდეთ სარკე.

რავიკმა ღამის მაგიდიდან სარკე აიღო და მიაწოდა. ქალმა ყურადღებით შეათვალიერა საკუთარი სახე.

- რავიკ, აი, ეს ყვავილები თქვენ გამომიგზავნეთ?

- არა, კლინიკამ.

კეტმა სარკე ლოგინზე დადო.

- იანვარში კლინიკები თავიანთ პაციენტებს იასამნებს არ უგზავნიან. უფრო ასტრას ან რაიმე ამნაირს. ამას გარდა, საიდან იცის კლინიკამ, რომ ყველა ყვავილზე მეტად იასამანი მიყვარს?

- აქ ყველაფერი იციან. თქვენ ხომ ჩვენი ძველი პაციენტი ხართ, კეტ. - რავიკი ადგა. - ახლა კი უნდა წავიდე. ექვსისთვის ისევ შემოვივლი, დაგხედავთ.

- რავიკ...

- რა იყო?

რავიკი მიბრუნდა, გაიფიქრა, აი, ახლა მკითხავს...

კეტმა ხელი გაუწოდა.

- გმადლობთ! გმადლობთ ყვავილებისათვის. თქვენთან ყოველთვის დამშვიდებული ვარ.

- აბა, რას ბრძანებთ, კეტ, რას ბრძანებთ! რაზე ლაპარაკობთ... ახლა კი დაიძინეთ, თუ შეგიძლიათ. თუ ტკივილი იგრძნოთ, მოწყალების დას დაუძახეთ. ტაბლეტებს გამოგიწერთ. ნასადილევს ისევ შემოგივლით.

- ვებერ, სად არის კონიაკი?

- ნუთუ ასე გაგიჭირდათ? აგერ. ეჟენი, მოიტათ სირჩა.

ეჟენიმ უხალისოდ გამოიტანა სირჩა.

- საიდან მოიტანეთ ეს სათითე? - გააპროტესტა ვებერმა. - წესიერი ჭიქა მომეცით ან მოიცათ, ჯობს... მე თვითონ...

- ექიმო ვებერ, პირდაპირ არ მესმის თქვენი, - შეუღრინა ეჟენიმ. - საკმარისია, მუსიე რავიკი მოვიდეს და თქვენ...

- კარგი, კარგი, - შეაწყვეტინა ვებერმა და ჭიქაში კონიაკი დაასხა. - დალიეთ, რავიკ... როგორაა მადამ ჰეგსტრემი?

- არაფერს მეკითხება. რასაც ვეტყვი, ყველაფერი სჯერა.

ვებერმა საზეიმო იერით გადახედა.

- ხომ ხედავთ! რა გითხარით?

რავიკმა კონიაკი გადაკრა.

- ვებერ, გქონიათ შემთხვევა, მოგესმინათ მადლობა პაციენტისაგან, რომელსაც ვერაფრით დაეხმარეთ?

- როგორ არა, თანაც არაერთხელ.

- და ყველაფერში გენდობოდნენ?

- რა თქმა უნდა.

- მერე, რას გრძნობდით ამ დროს?

- შვებას, - სულ უფრო გაკვირვებული უპასუხებდა ვებერი. - დიდ შვებას ვგრძნობდი ხოლმე.

- მე კი ყოველივე ამისაგან სიცოცხლე შემძაგდა. თითქოს ვიღაც მოვატყუე.

ვებერმა გაიცინა და ბოთლი განზე გადადგა.

- დიახ, შემძაგდა... - გაიმეორა რავიკმა.

- ძლივს არ დავინახე, რომ ადამიანი ხართ! - თქვა ეჟენიმ. - თუ, რა თქმა უნდა, ყურადღებას არ მივაქცევთ თქვენი გამოთქმის მანერას.

- თქვენ აქ იმისათვის არ ხართ, რომ აღმოჩენები მოახდინოთ, ეჟენი. თქვენ, არც მეტი, არც ნაკლები, საავადმყოფოს მოწყალების და ბრძანდებით! გთხოვთ, უფრო ხშირად გაიხსენოთ ეს ამბავი! - შეაწყვეტინა ვებერმა. - ამგვარად, ყველაფერი რიგზეა, რავიკ?

- დიახ, ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში.

- ძალიან კარგი. დღეს დილით მომვლელ ქალს უთხრა, როგორც კი მოვიკეთებ, სამხრეთ იტალიაში გავემგზავრებიო. ჩვენც თავიდან მოვიცილებთ. - ვებერმა კმაყოფილებით მოიფშვნიტა ხელები. - იქ უკვე იტალიელმა ექიმებმა მოჰკიდონ ხელი. არ მიყვარს, ჩემს კლინიკაში რომ ვინმე კვდება. საშინელ ზიანს აყენებს ჩვენს სახელს.

რავიკმა მეანი ქალის ბინის კარზე დარეკა. საკმაოდ დიდხანს მოუხდა ლოდინი. ბოლოს კარი მამაკაცმა გააღო. სახე შავი ჯაგრით ჰქონდა დაფარული. რავიკის დანახვაზე კარი შეაკავა.

- რა გნებავთ?

- ქალბატონ ბუშესთან მინდოდა საუბარი.

- არ სცალია.

- არა უშავს, დაველოდები.

გაუპარსავ კაცს კარის მიხურვა უნდოდა.

- თუ დაცდა არ შეიძლება, თხუთმეტი წუთის შემდეგ შემიძლია გამოვიარო, - უთხრა რავიკმა. - ოღონდ მარტო კი არა, ერთი პიროვნების თანხლებით, რომელსაც ყოველ დროს მიიღებს, რა საქმეც უნდა ჰქონდეს.

წვერგაუპარსავი კაცი ბოროტად მიაშტერდა.

- ეს რას ნიშნავს? რა გნებავთ?

- უკვე მოგახსენეთ. მინდა მადამ ბუშეს დაველაპარაკო.

კაცი ჩაფიქრდა.

- დაიცადეთ, - თქვა და კარი ხმაურით მიუხურა.

რავიკმა მშვიდად შეათვალიერა დაძველებული ყავისფერი კარი, წერილებისათვის განკუთვნილი თუნუქის ყუთი და მრგვალი, მომინანქრებული დაფა, რომელზედაც გვარი ეწერა. რამდენ დარდსა და შიშს გაუვლია ამ კარში! და სულ რაღაც უაზრო კანონის გამო, რაც ქალებს აიძულებს მიმართონ არა ექიმს, არამედ ყასბებს, ექიმბაშებს. განა ამ კანონის ძალით მოხერხდა თუნდაც ერთი ბავშვის შენარჩუნება? თუ ქალს არ სურს, იყოლიოს შვილი, ყოველთვის გამოძებნის გზას, რომ კანონს გვერდი აუაროს. და რა გამოდის, ბოლოს და ბოლოს? ყოველდღე ათასობით ქალი ღუპავს თავის ჯანმრთელობას.

კარი ისევ გაიღო.

- პოლიციიდან ხართ? - იკითხა ბანჯგვლიანმა.

- პოლიციაში რომ ვმსახურობდე, ასე დიდხანს კი არ დავიწყებდი ლოდინს.

- შემოდით.

წვერგაუპარსავმა კაცმა რავიკი ბნელ დერეფანში გაატარა და ავეჯით გაჭედილ ოთახში შეიყვანა. პლუშის დივანი, რამდენიმე მოოქრული სკამი, ყალბი ობიუსონის ხალიჩა და კაკლის ხის დეკორატიული პატარა კარადები მოხვდა თვალში. კედლებზე პასტორალური სტილის ესტამპები ეკიდა. ფანჯრის წინ, ლითონის სადგამზე, იადონებიანი გალია შენიშნა. ყველგან, სადაც კი ადგილი იყო, ფაიფურის სტატუეტები და ჭურჭელი იდგა.

მადამ ბუშეც გამოჩნდა. დაუჯერებლად სქელ ტანზე არცთუ ისე ქათქათა კიმონო ემოსა. ქალი კი არა, ურჩხული იყო, მაგრამ სახე მრგვალი და სანდომიანიც კი ჰქონდა, თვალთა მოუსვენარი ცეცება რომ არა.

- რა გნებავთ, მუსიე? - საქმიანად იკითხა დედაკაცმა.

რავიკი წამოდგა.

- ლუსიენა მარტინეს საქმეზე გეახელით. თქვენ იმ ქალს აბორტი გაუკეთეთ.

- ტყუილია! - მაშინვე მიუგო ქალმა. თავი სრულიად მშვიდად ეჭირა. - არავითარ ლუსიენა მარტინეს არ ვიცნობ და არც აბორტებს ვაკეთებ. ჩანს, შეგეშალათ ან ვინმემ შეგაცდინათ.

ეტყობოდა, საკითხს ამოწურულად თვლიდა და წასვლას აპირებდა, მაგრამ არ წავიდა. რავიკი ელოდა. ქალი ისევ მიუბრუნდა.

- კიდევ გაქვთ რაიმე სათქმელი? - ჰკითხა ბუშემ.

- აბორტი ცუდად გაკეთდა. ქალიშვილს მძიმე სისხლდენა ჰქონდა, კინაღამ დაიღუპა. საჭირო გახდა ოპერაცია. მე გავუკეთე.

- ტყუილია! - უეცრად დაისისინა ბუშემ. - ყველაფერი სიცრუეა! წყეული უნამუსოები. ეშმაკმა იცის, რას არ იკეთებენ, შემდეგ კი სხვების ჩათრევას ცდილობენ. მე ვუჩვენებ სეირს! წყეული უნამუსოები! ჩემი დამცველი ყველაფერს მოაგვარებს. აქ ყველა მიცნობს, გადასახადებს წესიერად ვიხდი. ერთი მანახვა ის თავხედი პირუტყვი, ის როსკიპი...

რავიკი გაოცებული შესცქეროდა ბუშეს. გაშმაგებამ სრულიადაც არ შეუცვალა სახე, უწინდებურად ფუნთუშა და სანდომიანი ჰქონდა, მხოლოდ პირი დაუმრგვალდა და სიტყვებს ისე ისროდა, როგორც ტყვიამფრქვევი - ტყვიას.

- ქალიშვილი ბევრს კი არ ითხოვს, - შეაწყვეტინა რავიკმა ქალს. - მხოლოდ და მხოლოდ თავისი ფულის დაბრუნება უნდა.

ბუშემ გადაიხარხარა.

- ფულის? დაბრუნებაო? რა ფულის? განა მომცა რაიმე? როდის მოხდა ეს ამბავი? ხელწერილი აქვს?

- ცხადია, არა. თქვენ ხომ არასოდეს გასცემთ ხელწერილს.

- თვალითაც არ მინახავს! ვინ დაუჯერებს?

- დაუჯერებენ. ჰყავს მოწმეები. ოპერაცია ვებერის კლინიკაში გაუკეთეს. გასინჯვამ სრულიად ნათელი სურათი მოგვცა. ოქმი შედგენილია.

- დაიღუპეთ თქვენი ოქმებიანად! ვინ დაიჯერებს, რომ თუნდაც თითი მიმეკარებინოს იმ გოგოსათვის! ექიმი ვებერი! კაცი სიცილით მოკვდება! ამისთანა პირუტყვის მკურნალობა კოხტად მოწყობილ კლინიკაში! მეტი საქმე არ გქონდათ თუ რა?

- საქმე საკმარისად გვაქვს. მომისმინეთ. ქალიშვილმა სამასი ფრანკი გადაგიხადათ. ახლა შეუძლია საჩივარი შეიტანოს დასახიჩრების გამო...

კარი გაიღო და სახეგაბანჯგვლული კაცი შემოვიდა.

- რა მოხდა, ადელ?

- არაფერი. წარმოგიდგენია? საჩივარი! მიჩივლოს ერთი - თვითონვე ჩაჯდება. ისე ჩასვამენ, როგორც თქვენ გიყურებთ. ხომ მოუხდება აღიარება, რომ აბორტი გაიკეთა! აბა, სცადეთ და დაამტკიცეთ, რომ მე გავუკეთე... არ გამოგივათ!

წვერგაუპარსავმა კაცმა რაღაც გაურკვევლად ჩაიბურტყუნა.

- გაჩუმდი, როჟე! - უთხრა მადამ ბუშემ. - წადი აქედან!

- ბრიუნიე მოვიდა.

- მერე რა? დამიცადოს. ხომ იცი...

როჟემ თავი დაუქნია და გაქრა. მასთან ერთად გაქრა კონიაკის აუტანელი სუნიც. რავიკმა სუნით გაარკვია:

- ძველი კონიაკია, - თქვა. - სულ ცოტა, ოცდაათი ან ორმოცი წლისა. ბედნიერია კაცი, რომელიც დღისითაც კი სვამს ასეთ კონიაკს.

ერთი წუთით რავიკის შემყურე მადამ ბუშე გაქვავდა, შემდეგ ნელა წარმოთქვა:

- სწორია. გნებავთ ერთი ჭიქა?

- რატომაც არა?

ხომ ასე ჩათქვირული იყო, მაგრამ ამოდენა ქალმა საოცარი სისწრაფით და უხმაუროდ მიირბინა კართან.

- როჟე!

კარში ისევ ის შავჯაგრიანი კაცი გამოჩნდა.

- კიდევ გადახუხე ძვირფასი კონიაკი? ნუ ტყუი - სუნი შენგან მოდის! მოიტა ბოთლი! არ შემეპასუხო! მოიტა!

როჟემ კონიაკიანი ბოთლი მოიტანა.

- ბრიუნიეს დავუსხი ერთი სირჩა, იმან კიდევ, კომპანია გამიწიეო და, ძალით დამალევინა.

ბუშეს პასუხი არ გაუცია. ქალმა კარი მიხურა და პატარა კარადიდან ფიგურული მინის სირჩა გამოიღო, რომელზედაც ამოკვეთილი იყო ქალის თავი. რავიკმა ზიზღით შეხედა ამ სასმისს. ბუშემ კონიაკი დაასხა და ამოქარგული ფარშავანგებით დამშვენებულ სუფრაზე დაუდგა.

- მე მგონია, გონიერი ადამიანი უნდა ბრძანდებოდეთ, მუსიე, - უთხრა. უცნაური კია, მაგრამ ეს ქალი მისდამი თავისებურ პატივისცემას გინერგავდათ. არ შეიძლებოდა რკინისა გეწოდებინათ, როგორც ლუსიენმა თქვა, მაგრამ კიდევ უარესი, რეზინისა გახლდათ. რკინის გატეხა შეიძლება, რეზინას კი ვერ გატეხ. პირდაპირ, შეუძლებელი იყო მასთან დავა.

- აბორტი ცუდად გაგიკეთებიათ, - უთხრა რავიკმა. - ამან მძიმე შედეგი გამოიღო. განა ეს არ კმარა, რომ ფული დაუბრუნოთ?

- თქვენ კი უბრუნებთ ფულს პაციენტს, როცა ოპერაციის შემდეგ კვდება?

- არა. მაგრამ არის შემთხვევები, როცა უფასოდ ვაკეთებთ ოპერაციებს. მაგალითად, ასე გავუკეთეთ ლუსიენას.

ბუშემ შეხედა.

- მით უმეტეს! რა ხმაურს ტეხს? უნდა უხაროდეს.

რავიკმა სირჩა აიღო.

- მადამ, - მიმართა ქალს. - ქედს ვიხრი თქვენ წინაშე. ასე იოლად კაცი ვერ შეგაშინებთ.

ქალმა ნელა დადგა ბოთლი.

- ბატონო ჩემო, ბევრს უცდია ეს. არაერთხელ უცდიათ ჩემი აწევა, მაგრამ თქვენ, როგორც ვატყობ, სხვებზე კეთილგონიერი ხართ. გგონიათ, მთელი ეს საქმიანობა სიამოვნებას მანიჭებს ან დიდ შემოსავალს მაძლევს? სამასი ფრანკიდან ასი პოლიციას მიაქვს. ისე ვერ შევძლებდი მუშაობას. აი, ერთიც მოვიდა... ყველა ასიამოვნე ფულით! სულ, აი, ამ დღეში ვარ, ისე არაფერი გამოვა. დე, ყველაფერი ჩვენ შორის დარჩეს, მაგრამ, თუ საქმის გაბერვას მოინდომებთ, სრულ უარზე დავდგები და პოლიცია საქმეს მიაფუჩეჩებს. შეგიძლიათ მერწმუნოთ.

- სავსებით მჯერა.

ბუშემ ფიცხელი მზერა ესროლა რავიკს. დარწმუნებულმა, რომ ეს კაცი ხუმრობას არ აპირებდა, სკამი აიღო და დაჯდა. მის ხელში სკამი ბუმბულივით მსუბუქი ჩანდა. ამ მსუქან სხეულში, ეტყობოდა, უზარმაზარი ფიზიკური ძალა იფარებოდა. რავიკს კიდევ ერთი სირჩა კონიაკი დაუსხა, თუმცა ეს კონიაკი პოლიციის მოხელეებისათვის ჰქონდა გათვალისწინებული.

- სამასი ფრანკი, ერთი შეხედვით, ფულის მთელი ზვინია, მაგრამ, პოლიციის გარდა, კიდევ რამდენი გასავალი მაქვს! ბინის გადასახადი, - პარიზში ხომ ეს ბევრად ძვირია, ვიდრე სადმე სხვაგან, - თეთრეული, ხელსაწყოები - მე ხომ ეს ორჯერ უფრო ძვირი მიჯდება, ვიდრე თქვენ, ექიმებს! ახლა საკომისიო იმათთვის, კლიენტები რომ მოჰყავთ, ახლა ქრთამები... თან ყველას გაუმასპინძლდი. ღვინო, საახალწლო

საჩუქრები, მოხელეებისა და მათი ცოლების დაბადების დღეები... ყველაფერს ვერც ჩამოთვლი, მუსიე! ზოგჯერ თვითონ აღარაფერი მრჩება ხელში.

- ამის საწინააღმდეგოდ ვერაფერს იტყვი.

- აბა, რისი წინააღმდეგი ხართ?

- იმის წინააღმდეგი, რაც ლუსიენას მოუვიდა.

- განა ექიმებს არ მოსდით მარცხი? - სწრაფად იკითხა ბუშემ.

- ასე ხშირად არა.

- ბატონო ჩემო! - ქალი ამაყად გასწორდა წელში. - მე პატიოსნად ვიქცევი. ყოველთვის ვაფრთხილებ, შეიძლება კარგად არ გამოვიდეს-მეთქი. არც ერთი არ მიდის უკან. ტირიან, მეხვეწებიან, თმას იგლეჯენ. იმუქრებიან, თავს მოვიკლავთ, თუ არ გვიშველითო. რას არ ნახავთ აქ! ფეხქვეშ მივარდებიან და მეხვეწებიან! აგერ კაკლის ხის პატარა კარადა. ხედავთ, როგორი დაფხაჭნილია? ეს ერთმა ფრიად შეძლებულმა ქალბატონმა გააკეთა, სასოწარკვეთილებამ რომ მოუარა. დავეხმარე. სამზარეულოში ახლა ათგირვანქიანი ქილა მიდგას ქლიავის ჯემით, იმ ქალმა გამომიგზავნა გუშინ. შემიძლია გაჩვენოთ. არ დაგავიწყდეთ - ეს მადლობის ნიშნად, თორემ ფული ხომ გადამიხადა და გადამიხადა. აი, რას გეტყვით, ბატონო ჩემო, - ბუშეს ხმა გაუმკაცრდა, - თქვენ შარლატანი მიწოდეთ, სხვები კი მხსნელსა და ანგელოზს მეძახიან.

დიასახლისი ადგა. დიდებულად ეცემოდა ძირს მისი კიმონოს ნაკეცები. თითქოს უბრძანესო, გალიაში მჯდომი იადონი გალობას მოჰყვა. რავიკიც ადგა. თავის სიცოცხლეში ცოტა მელოდრამა როდი უნახავს, მაგრამ აშკარა იყო, ბუშე ახლა სრულიადაც არ აზვიადებდა.

- კარგი, - უთხრა. - ჩემი წასვლის დროა. ლუსიენას წინაშე კი, პირდაპირ უნდა ვთქვათ, არავითარი ქველმოქმედება არ გამოგიჩენიათ.

- ერთი გენახათ, როცა ჩემთან მოვიდა! რაღა უნდა? ჯანმრთელია, ბავშვი აღარა ჰყავს. ეს ხომ ყველაფერია, რაც უნდოდა? არც კლინიკისათვის მოუხდება ფულის გადახდა.

- შვილი აღარასოდეს ეყოლება.

ერთი წამით ბუშე შეფიქრიანდა, მაგრამ მაშინვე დამშვიდებით შენიშნა:

- მით უკეთესი. დარდი აღარ ეცოდინება უბედურ მეძავს.

რავიკი მიხვდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა.

- ნახვამდის, მადამ ბუშე, - უთხრა ქალს. - ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო თქვენთან ბაასი.

ქალი გვერდით დაუდგა, ლამის მიეკრა. რავიკს შეეშინდა, ვაითუ, დამშვიდობებისას ხელი ჩამომართვასო. მაგრამ ბუშე ამას არც აპირებდა.

- საღი მსჯელობა გაქვთ, ბატონო ჩემო, - უთხრა ქალმა გულის სიღრმეში ჩამწვდომი ნაზი ხმით, - სხვა ექიმებზე ბევრად გონიერი. სამწუხაროა, რომ თქვენ... - შეჩერდა და

გამამხნევებლად შეხედა. - ზოგჯერ... ხანდახან მცოდნე ექიმი მესაჭიროება. ძალიან გამომადგებოდა...

რავიკმა არაფერი უპასუხა. ელოდა, კიდევ რას იტყოდა.

- ეს არავითარ ზიანს არ მოგიტანთ, - დასძინა ბუშემ, - მეტადრე ცალკეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ალერსიანად შესცქეროდა. იმ კატას ჰგავდა, ჩიტს რომ უთვალთვალებს და ისეთ სახეს იღებს, ვითომ მისი მზერით ტკბება.

- ზოგჯერ ფრიად შეძლებული კლიენტები მოდიან... ჰონორარი, რა თქმა უნდა, მხოლოდ წინდაწინ იქნება. რაც შეეხება პოლიციას, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, სრულიად დამშვიდებული... ვფიქრობ, რამდენიმე ასეული ფრანკი ზედმეტი შემოსავალი სულაც არ გაწყენდათ... - მხარზე ხელი დაჰკრა, - ასეთი გარეგნობის მამაკაცს...

ღიმილით სახეგაცისკროვნებულმა ისევ აიღო ბოთლი.

- რას იტყვით ამაზე?

- გმადლობთ, - მიუგო რავიკმა და ბოთლი გასწია. - კმარა. ბევრის დალევა ჩემთვის არ შეიძლება.

ძლივს აიძულა თავი, ეს სიტყვები ეთქვა. ჩინებული კონიაკი გახლდათ. ბოთლს ფირმის ეტიკეტი არ ჰქონდა. ჩანდა, პირველი კლასის კერძო სარდაფიდან იყო.

- დანარჩენზე მოვიფიქრებ. მალე ისევ შემოგივლით. მინდოდა, თქვენი ინსტრუმენტები გამესინჯა. იქნებ, რაიმე გირჩიოთ.

- შემდეგ რომ მოხვალთ, ჩემს ინსტრუმენტებს გიჩვენებთ. თქვენ კი - თქვენს დიპლომს. ნდობისათვის - ნდობა.

- თქვენ უკვე დაამტკიცეთ, რომ ზოგ რამეში მენდობით.

- სულაც არა, - გაიცინა მადამ ბუშემ. - მხოლოდ წინადადება მოგეცით და ყოველ წამს შემიძლია ამაზე უარი ვთქვა. თქვენ ფრანგი არ ხართ, გამოთქმაზე გეტყობათ, თუმცა თავისუფლად ლაპარაკობთ. არც გარეგნობით ჰგავხართ ფრანგს. ემიგრანტი უნდა იყოთ. - კიდევ უფრო ფართოდ გაიღიმა და ცივი მზერა ესროლა, - თქვენ ხომ სიტყვით არ დაგიჯერებენ და ფრანგულ დიპლომს მოგთხოვენ, თქვენ კი არ გაქვთ. იქ, წინა ოთახში, პოლიციის მოხელე ზის. თუ გნებავთ, აქვე შეგიძლიათ დამასმინოთ. მაგრამ ამას, ცხადია, არ გააკეთებთ. ჩემს წინადადებაზე კი ჩაფიქრება ღირს. თქვენ ხომ არც თქვენს მისამართს მეტყვით და არც სახელს, ხომ მართალია?

- არა, - უთხრა რავიკმა, რადგან თავს დამარცხებულად გრძნობდა.

- მეც ასე ვფიქრობდი, - ახლა კი ბუშე ნამდვილად მოგაგონებდათ საარაკოდ ჩასუქებულ კატას. - ნახვამდის, მუსიე. იფიქრეთ ჩემს წინადადებაზე. უკვე დიდი ხანია, მინდა რომელიმე ემიგრანტი ექიმის შეამხანაგება.

რავიკმა გაიღიმა. კარგად გაუგო ამ დედაკაცს. ასეთ ექიმს იოლად ჩაიგდებდა ხელში. თუ რამე მოხდებოდა, პასუხს მარტო ექიმი აგებდა.

- მოვიფიქრებ, - უთხრა. - ნახვამდის, მადამ.

რავიკი ბნელ დერეფანს გაუყვა. ერთ-ერთ კარს რომ ჩაუარა, კვნესა შემოესმა. მიხვდა, რომ სახლში მთელი საავადმყოფო იყო მოთავსებული.

ჩანს, ოპერაციის შემდეგ ქალები ერთხანს აქ წვებოდნენ, ვიდრე შინ წავიდოდნენ.

წინა ოთახში ახოვანი მამაკაცი იჯდა, შავგვრემანი, ზეთისხილისფერი სახე ჰქონდა და შეკრეჭილი, პატარა ულვაშები. რავიკს ყურადღებით ახედ-დახედა. გვერდით როჟე ეჯდა. მაგიდაზე ბოთლით კონიაკი იდგა. რავიკი რომ შემოვიდა, როჟემ ბოთლის დამალვა სცადა, მაგრამ მაშინვე გაიკრიჭა და ხელი დაუშვა.

- ღამე ნებისა, ექიმო, - დამპალი კბილების კრეჭით მიაძახა მიმავალს. ეტყობა, კართან იყო ატუზული და მთელი საუბარი მოისმინა.

- ღამე ნებისა, როჟე, - რავიკმა გადაწყვიტა, ასეთ დროს ისევ შინაურულობა ჯობსო.

რაღაც ნახევარ საათში ამ შეუპოვარმა დედაკაცმა მოსისხლე მტერი თითქმის თანამზრახველად აქცია. ამიტომ რავიკს გულზე მოეშვა, როცა უბრალოდ ღამე ნებისა უსურვა როჟეს. ამ კაცში ახლა მოულოდნელად რაღაც საკვირველი ადამიანური რამ დაინახა.

სადარბაზოში რავიკი ორ ქალიშვილს შეეფეთა. ისინი კიბეზე ადიოდნენ და გვარის მაჩვენებელ დაფებს აკვირდებოდნენ.

- ბატონო ჩემო, - მიუბრუნდა რავიკს ერთი მათგანი, თან ცდილობდა სირცხვილის გრძნობა დაეძლია. - ამ სახლში მადამ ბუშე ხომ არ ცხოვრობს?

რავიკი შეყოყმანდა. მაგრამ განა ღირდა მათი უკან გაბრუნება? რა აზრი აქვს? სულერთია, იპოვიან. რას უნდა დაჰპირდეს იმის სანაცვლოდ, რასაც მადამ ბუშე უკეთებს?

- მეხუთე სართულზე.

საათის მანათობელი ციფერბლატი ისე ციმციმებდა, როგორც პატარა, მოფარებული მზე სიბნელეში. დილის ხუთი საათი იყო. ჟოანი სამ საათზე უნდა მოსულიყო. იქნებ, ჯერ კიდევ მოვიდეს ან, იქნებ, ისე დაიღალა, რომ პირდაპირ თავის ოტელში წავიდა.

რავიკი ისევ დაწვა. ძილი გაუკრთა. ჭერს შესცქეროდა, სადაც დროგამოშვებით ქუჩის მეორე მხარეს მდგარი სახლის სახურავზე მოკიაფე შუქრეკლამის წითელი ზოლი გაიელვებდა ხოლმე. თავს რატომღაც გამოფიტულად გრძნობდა, მაგრამ ვერ გაეგო, რა მიზეზით. თითქოს მთელი მისი სითბო თანდათანობით გადიოდა სხეულის ნასვრეტებიდან, კანის ფორებიდან; თითქოს სისხლი ეძებდა რაღაც დასაყრდენს და, რომ ვერ პოულობდა, სადღაც საამო მხარეს ეშვებოდა. ხელები თავქვეშ ამოეწყო და უძრავად იწვა. ახლა იგრძნო, რომ ჟოანს უცდის. მიხვდა, რომ არა მარტო მისი გონება, არამედ მთელი სხეული, რაღაც მისთვის უჩვეულო სინაზე ელოდებოდა ჟოანს.

ადგა, ხალათი ჩაიცვა და ფანჯარასთან დაჯდა. სხეულმა რბილი შალის სითბო შეიგრძნო. ეს იყო ძველი ხალათი, მრავალი წელი დაატარებდა ყველგან ამ სამოსელს. მასში გახვეული იწვა ხოლმე ლტოლვილი, როცა ესპანეთის ღამეების სიცივე უჭერდა და ქანცგაწყვეტილი ბრუნდებოდა ლაზარეთიდან ბარაკში. თორმეტი წლის ხუანა, ოთხმოცი წლის დედაბრის თვალები რომ ჰქონდა, ამ ხალათის ქვეშ მოკვდა მადრიდში, ყუმბარებისაგან დანგრეულ ოტელში. გოგონას მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: ასეთივე რბილი შალის კაბა ჩაეცვა ოდესმე და დავიწყებოდა, როგორ გააუპატიურეს მის თვალწინ დედამისი, ხოლო მამას ფეხებით სცემდნენ, ვიდრე სული არ ამოხდა.

მიმოიხედა. ოთახი, ჩემოდნები, რაღაც ნივთები, დაცრეცილი წიგნები - ბევრი არაფერი ესაჭიროება მამაკაცს, რომ იცხოვროს. როცა მოუსვენარი ცხოვრებაა, ჯობს კაცი არ მიეჩვიოს მეტისმეტად ბევრ ნივთს. ყოველთვის დასატოვებელი ან სათრევი ხდება ყველაფერი. შენ კი ყოველ წუთს გასამგზავრებლად უნდა იყო მზად. ამიტომაც ცხოვრობ მარტო. თუ გზაში ხარ, არაფერი უნდა გაფერხებდეს, არაფერი უნდა გაღელვებდეს. წუთიერი კავშირი შეიძლება, სხვა არაფერი.

საწოლს შეხედა. ზეწარი დაჭმუჭნილი და ნაცრისფერი იყო. არა უშავს, რომ უცდის. ხშირად უცდია ქალებისათვის, მაგრამ გრძნობდა, რომ უწინ ეს რაღაც სხვაგვარად ხდებოდა - უბრალოდ, აშკარად და უხეშად, ზოგჯერ ფარული სინაზითაც, ხორციელ წადილს რომ აკეთილშობილებდა... მაგრამ დიდი ხანია, აღარავისთვის უცდია ისე, როგორც დღეს. რაღაც შეუმჩნევლად შეეპარა სულში. ნუთუ ისევ ამოძრავდა, ისევ შეირხა? როდის დაიწყო ყოველივე ეს? ნუთუ წარსული ისევ უხმობს ლურჯი სიღრმეებიდან, მსუბუქი სიოს ქროლასავით მოდის პიტნით დაფარული სათიბებიდან, ჰორიზონტზე დგება ჭადრების რიგებად და აპრილის ტყეთა სურნელებით ფშვინავს? არ უნდოდა ეს. არ უნდოდა ამის მფლობელი ყოფილიყო. არ სურდა ყოფილიყო შებოჭილი. ის გზაში იყო.

რავიკი ადგა და ჩაცმა დაიწყო. არ უნდა დაკარგოს დამოუკიდებლობა. ყველაფერი იწყება წვრილმანებში დამოუკიდებლობის დაკარგვით. თავდაპირველად არ აქცევ მათ ყურადღებას და ანაზდეულად ჩვეულების ბადეში აღმოჩნდები გახვეული. მას ბევრი სახელწოდება აქვს. სიყვარული ერთი მათგანია. არაფერს არ უნდა მიეჩვიო. ქალის სხეულსაც კი.

კარი გასაღებით არ ჩაკეტა. თუ ჟოანი მოვა, რავიკი შინ არ დახვდება, მაგრამ თუ მოუნდება, დაიცდის და დარჩება. წუთით შეყოყმანდა, ბარათი ხომ არ დავუტოვოო. მაგრამ ტყუილის თქმა არ უნდოდა, არც იმის დაბარება, სად მიდიოდა.

რავიკი დაახლოებით დილის რვა საათზე დაბრუნდა. ალიონამდე იხეტიალა ფარნებით განათებულ ცივ ქუჩებში. ტანში სიმსუბუქე და თავში ნათელი იგრძნო. მაგრამ ოტელს რომ მიუახლოვდა, სხეული ისევ დაუმძიმდა.

ჟოანი არ დახვდა. ელოდა ამას, მაგრამ ოთახი ახლა უფრო ცარიელი ეჩვენა, ვიდრე ოდესმე. იქნებ, იყო და წავიდა? მიმოიხედა. ქალის იქ ყოფნის კვალს ეძებდა, მაგრამ ვერაფერი ნახა.

მოსამსახურე გოგოს დაურეკა. გოგო სწრაფად შემოვიდა.

- მინდა ვისაუზმო, - უთხრა რავიკმა.

გოგომ შეხედა, მაგრამ არაფერი უთხრა. არც რავიკს ჰქონდა მისი დაკითხვის სურვილი.

- ყავა და ფუნთუშები, ევა.

- ახლავე მოგართმევთ, მუსიე რავიკ!

საწოლს გადახედა. ჟოანი რომ მოსულიყო, ამ არეულ-დარეულ, ცარიელ ლოგინში არ დაწვებოდა. უცნაურია: რასაც კი სხეული ეხება - ლოგინი, თეთრეული, აბაზანაც კი - როგორც კი ადამიანის სითბო მოსცილდება, იმწამსვე კვდება. სითბოს რომ კარგავენ, საგნები აღარ გვიზიდავენ.

რავიკმა სიგარეტი მოსწია. ჟოანს შეეძლო ევარაუდა, ავადმყოფთან გამოუძახესო, მაგრამ მაშინ ბარათს დატოვებდა. უეცრად თავი იდიოტად წარმოიდგინა - სურდა დამოუკიდებლობის შენარჩუნება, უტაქტოდ კი მოიქცა. უტაქტოდ და სულელურად, როგორც თვრამეტი წლის ყმაწვილი, რომელიც ცდილობს თავის თავს რაიმე დაუმტკიცოს. ასეთ მოქცევაში, არსებითად, ნაკლები დამოუკიდებლობაა, ვიდრე, მაგალითად, იმაში, რომ დამჯდარიყო და ეცადა.

ქალიშვილმა საუზმე შემოუტანა.

- ლოგინი გავასწორო? - ჰკითხა რავიკს.

- რისთვის?

- ვთქვათ, ისევ რომ მოგინდეთ დაძინება, ახლად გასწორებულ ლოგინში წოლა უკეთესია.

გოგომ გულგრილად გადახედა.

- ხომ არავინ ყოფილა ჩემთან? - იკითხა.

- არ ვიცი. მე მხოლოდ შვიდ საათზე მოვედი.

- ევა, - უთხრა რავიკმა. - რას გრძნობთ, ყოველ დილით ათობით სხვის ლოგინს რომ ალაგებთ?

- ეს ჯერ კიდევ არაფერია, მუსიე რავიკ. ოღონდაც ბატონებმა სხვა არაფერი მომთხოვონ და არ დავეძებ. მაგრამ ისეთებიც გამოერევიან ხოლმე, რომ მეტიც უნდათ. ალბათ, არ იციან, რომ საამისოდ პარიზში საროსკიპოებია, თანაც იაფად! რატომ იქ არ წაბრძანდებიან?

- დილით საროსკიპოებში ვერ წავლენ, ევა. ზოგიერთი სტუმარი კი უფრო დილაობითაა ხოლმე ჯანზე.

- ჰო, მეტადრე ბებრები! - დაუმოწმა ევამ და მხრები აიჩეჩა. - ისეთ ჯანზე არიან, ნუღარ იტყვით. არ აუსრულებ წადილს და ფეხის ქირას დაკარგავ, მორჩა და გათავდა. მერე დაიწყებენ ჩივილს ათას რამეზე - ოთახი დაულაგებელიაო, უხეშად მოგვმართაო, და ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, სულ ჯავრის ამოსაყრელად. ვერაფერს გააწყობ. ასეთია ცხოვრება.

რავიკმა საკრედიტო ბილეთი ამოიღო.

- აი, რა, ევა, დღეს ცოტათი შევიმსუბუქოთ ცხოვრება... იყიდეთ თქვენთვის ქუდი ან შალის კოფთა.

ევას თვალები გაუბრწყინდა.

- გმადლობთ, მუსიე რავიკ. ეს დღე კარგად დაიწყო. გამოგიცვალოთ თეთრეული?

- შეიძლება.

ევამ შეხედა.

- ის ქალბატონი კი ძალიან მიმზიდველია, - უთხრა. - ქალბატონი, ახლა რომ თქვენთან დადის.

- კიდევ ერთი სიტყვა და ფულს წაგართმევ, - მიახალა რავიკმა და კარისაკენ უბიძგა.

მერე მაგიდას მიუჯდა და ჭამას შეუდგა. საუზმე უგემური იყო. ადგა და ზეზეულად განაგრძო ჭამა: თითქოს ასე უფრო გემრიელი იქნებოდა.

სახლის სახურავების თავზე წითელი მზე ამოცურდა. ოტელმა გაიღვიძა. მოხუცმა გოლდბერგმა, რომელიც ერთი სართულით დაბლა ცხოვრობდა, თავისი ჩვეულებრივი დილის კონცერტი დაიწყო. ისე ახველებდა და ქოშინებდა, გეგონებოდათ, ორი კი არა, ექვსი ფილტვი აქვსო. ემიგრანტმა ვიზენჰოფმა საპარადო მარშის სტვენით გააღო ფანჯარა. მაღლა წყალი აჩხრიალდა. კარი მიაჯახუნეს. მხოლოდ ესპანელებთან სუფევდა სრული სიწყნარე. რავიკმა გაიზმორა. ღამე მიილია. სულის გამხრწნელი სიბნელე გაქრა. რავიკმა გადაწყვიტა, რამდენიმე დღეს მარტოობაში გავატარებო.

ქუჩიდან მეგაზეთე ბიჭების ხმა ისმოდა. დილის ახალ ამბებს იუწყებოდნენ: შეტაკებები ჩეხეთის საზღვარზე, გერმანიის ჯარები სუდეტს მიუახლოვდნენ, მიუნხენის შეთანხმება საფრთხეშია.

## თავი მეთერთმეტე

ბიჭი არ ყვიროდა. იწვა და ექიმებს მიშტერებოდა. ისე იყო თავრეტდასხმული იმით, რაც მოხდა, რომ ჯერ ტკივილს ვერ გრძნობდა. რავიკმა გასრესილ ფეხს დახედა.

- რამდენი წლისაა? - ჰკითხა დედას.

- რა თქვით? - ვერ გაიგო ქალმა.

- რამდენი წლისაა-მეთქი?

თავსაფრიანმა ქალმა უხმოდ შეარხია ტუჩები.

- ფეხი! - ამოიდგა ენა ბოლოს. - ფეხი! საბარგო მანქანა იყო... - რავიკმა ბიჭის გულის მოსმენა დაიწყო. - ფეხი! - გაიმეორა ქალმა. - ეს ხომ მისი ფეხია!

რავიკი წელში გასწორდა. ბიჭს ჩიტივით გახშირებული გულისცემა ჰქონდა, მაგრამ შუილი არ ისმოდა. საჭირო იყო ამ რაქიტიანი, გამოფიტული ყმაწვილის გულმოდგინედ გასინჯვა, ვიდრე ნარკოზს მისცემდნენ. ყოველი წუთი ძვირფასი იყო - გასრესილ ფეხს ტალახის სქელი ფენა დასდებოდა.

- ფეხი უნდა მომკვეთოთ? - იკითხა ბავშვმა.

- არა, - მიუგო რავიკმა, თუმცა იცოდა, რომ ამპუტაცია გარდაუვალი იყო.

- ჯობია, მომკვეთოთ, თორემ აღარ მოიხრება.

რავიკი ყმაწვილის მოხუცივით ჭკვიან სახეს დააკვირდა. ჯერ კიდევ არ ეტყობოდა ტკივილის ნიშნები.

- ვნახოთ, - უთხრა რავიკმა. - ახლა დაგაძინებთ. ეს ძალიან ადვილია. ნუ გეშინია. ყველაფერი კარგად იქნება.

- ერთი წუთით, ბატონო. მანქანის ნომერია 02019. თუ შეიძლება, ჩაიწერეთ და დედას მიეცით.

- რაო? რა თქვი, ჟანო? - ჰკითხა შეშინებულმა დედამ.

- ნომერი დავიმახსოვრე. მანქანის ნომერია 02019. სულ ახლოს ვნახე. მძღოლი წითელ შუქზე მიაქროლებდა. დამნაშავე მძღოლია, - ყმაწვილს სული შეეხუთა. - სადაზღვევო კომპანია მოვალეა გადაგვიხადოს... ნომერი...

- ჩავიწერე, - უთხრა რავიკმა. - ნუ გეშინია. ყველაფერი ჩავიწერე.

რავიკმა ეჟენის თავი დაუქნია - ნარკოზის მიცემის დრო იყო.

- დედა პოლიციაში წავიდეს... სადაზღვევო კომპანია მოვალეა გადაიხადოს... - უეცრად ბავშვის სახეზე ოფლის მსხვილი წვეთები აციმციმდა, თითქოს წყალი მიასხურესო. - თუ ფეხს მომაჭრით, მეტს გადაიხდიან. ჯობს მომჭრათ, ვიდრე... რომ... ასე დარჩეს და არ მოიხაროს...

თვალები მოცისფრო-შავ წრეებში ჩაიძირა, ჭუჭყიანი გუბეებივით რომ გამოუვიდა კანზე.

ყმაწვილმა დაიკვნესა და აჩქარებით წაიდუდღუნა:

- დედამ... არ იცის... მარტო... დახმარება...

ღონემ უმტყუნა. ყვირილი დაიწყო. ისე ყრუდ, მოგუდულად ყვიროდა, თითქოს მის არსებაში დაგლეჯილი მხეცი იჯდა.

- რა არის ქვეყნად ახალი, რავიკ? - ჰკითხა კეტ ჰეგსტრემმა.

- რად გინდათ ამის ცოდნა, კეტ? ჯობს, რაიმე უფრო სამხიარულოზე იფიქროთ.

- ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რამდენიმე კვირაა აქა ვარ. ყველაფერი ისე შორს დამრჩა, თითქოს ფსკერზე ჩაიძირაო.

- მერე, იყოს დროებით ფსკერზე, რა გაწუხებთ.

- არ შემიძლია. საშინელია. სულ მეჩვენება, რომ ეს ოთახი ეულად მცურავი კიდობანია და მის ფანჯრებს უკვე წარღვნის ტალღები ეხეთქება. რა არის ახალი ქვეყნად, რავიკ?

- არაფერი არ არის ახალი, კეტ. ქვეყნიერება დაუღალავად ემზადება თვითმკვლელობისათვის, მაგრამ არ სურს ამის აღიარება.

- ომია მოსალოდნელი?

- ყველასათვის ცნობილია, რომ ომი იქნება, ოღონდ, როდის, არავინ იცის. ყველა სასწაულს ელის. ჯერ არასოდეს ყოფილა საფრანგეთსა და ინგლისში ამდენი სახელმწიფო მოღვაწე, სასწაულების ასე რომ სჯეროდეს, და არასოდეს ყოფილა მათი რიცხვი ასე ცოტა გერმანიაში.

კეტი გაჩუმდა.

- ნუთუ შეიძლება ომი დაიწყოს? - ჰკითხა რავიკს.

- დიახ... ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ შეიძლება დადგეს დღე და, ბოლოს და ბოლოს, დაიწყოს ომი. ჩვენ ამას ყოველთვის შეუძლებლად ვთვლით, წარმოუდგენლად, და არავითარ ზომებს არ ვიღებთ თავდაცვისათვის. გტკივათ, კეტ?

- ძალიან არა. მოთმენა შეიძლება. - თავქვეშ ბალიში შეისწორა. - რავიკ, როგორ მინდა მივატოვო ყველაფერი და წავიდე შორს.

- დიახ... - მიუგო რავიკმა გაუბედავად. - რომელ ჩვენგანს არ უნდა?

- თუ აქედან გავაღწიე, იტალიაში გავემგზავრები. ფიეზოლეში ძველი, მყუდრო სახლი და ბაღი მაქვს. მინდა ცოტა ხანს იქ ვიცხოვრო. ფიეზოლეში, ალბათ, ჯერ კიდევ გრილა. შუქმიბინდული გაზაფხულის მზე ანათებს ფიეზოლეს ახლა. შუადღისას სახლის სამხრეთ კედელზე პირველი ხვლიკები გამოჩნდებიან ხოლმე. საღამოობით ფლორენციიდან ზარების ხმა ისმის, ღამით კი კვიპაროსების თავზე მთვარე და ვარსკვლავები აენთებიან. სახლში წიგნებია და დიდი ბუხარი. ბუხრის წინ ხის სკამებია, შეიძლება ცეცხლთან დაჯდომა. ბუხარში სპეციალური სადგამია ჭიქისათვის, ღვინის გასათბობად. და სულ არ არის ხალხი. მხოლოდ ორი მოხუცია, ცოლი და ქმარი. სახლს პატრონობენ.

რავიკს გადახედა.

- ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მომხიბლავია, - უთხრა რავიკმა. - სიმშვიდე, ბუხარი, წიგნები, სიწყნარე... უწინ ამაში მარტო მეშჩანობას ხედავდნენ. ახლა ესაა ოცნება დაკარგულ სამოთხეზე.

- ვიცხოვრებ იქ ცოტა ხანს. რამდენიმე კვირას ან, იქნებ, რამდენიმე თვეს. არ ვიცი. მინდა, დავმშვიდდე. მერე პარიზში დავბრუნდები, აქედან კი ისევ ამერიკაში წავალ.

დერეფანში ჭურჭლის წკრიალი გაისმა - ავადმყოფებისათვის ვახშამი მოჰქონდათ.

- უკეთესს ვერც მოიფიქრებთ, კეტ.

- შვილი თუ მეყოლება, რავიკ? - ცოტა ყოყმანის შემდეგ ჰკითხა ქალმა.

- ამისათვის ცოტა მოცდა დაგჭირდებათ. ჯერ ძალ-ღონის მოკრებაა საჭირო.

- ამას არ გეუბნებით. საერთოდ, შევძლებ თუ არა ოდესმე? ასეთი ოპერაციის შემდეგ... ხომ არ... - კეტს სუნთქვა შეეკრა.

- არა, - უთხრა რავიკმა. - არაფერი ამოგვიჭრია. არაფერი.

- აი, ამის გაგება მინდოდა.

- მაგრამ ჯერ დიდმა დრომ უნდა გაიაროს, კეტ. მთელი თქვენი ორგანიზმი უნდა განახლდეს.

- არაფერია, რამდენიც უნდა, იმდენმა დრომ გაიაროს. - შუბლზე ჩამოშლილი თმა უკან გადაიყარა. თითზე გაკეთებულმა ბეჭედმა ბნელში გაიბრჭყვიალა. - ხომ სისულელეა, ამას რომ გეკითხებით? მეტადრე ახლა...

- სულაც არა. ასეთ კითხვებს ძალიან ხშირად მაძლევენ. უფრო ხშირად, ვიდრე თქვენ გგონიათ.

- უეცრად აქ ყველაფერი მომწყინდა. მინდა შინ დავბრუნდე და გავთხოვდე. ნამდვილად, ძველებურად, შვილებიც მინდა მყავდეს, ვიცხოვრო მშვიდად, ვადიდო ღმერთი და გავიხარო ამ წუთისოფლით.

რავიკი ფანჯარაში იხედებოდა. სახურავებზე დასავლეთის მეწამული ფერი იღვრებოდა. რეკლამის ცეცხლები ამ ციურ შუქში იკარგებოდა, როგორც სისხლისაგან დაცლილი ჩრდილები.

- ჩემი ოცნებები, ალბათ, სისულელედ გეჩვენებათ. თქვენ ხომ ჩემზე ყველაფერი იცით. - კეტის სიტყვები სადღაც, რავიკის ზურგს უკან გაისმა.

- ცდებით, კეტ, ცდებით.

ჟოან მადუ დილის ოთხ საათზე მოვიდა. რავიკს კარის გაღების ხმაზე გამოეღვიძა. ეძინა და არ ელოდა. ქალს ხელში ქრიზანთემების უზარმაზარი თაიგული ეჭირა და ცდილობდა შემომძვრალიყო. სახე არ უჩანდა. რავიკი მხოლოდ ქალის ბუნდოვან სილუეტსა და დიდრონ თეთრ ყვავილებს ხედავდა.

- საიდან მოიტანე? - ჰკითხა რავიკმა. - ქრიზანთემების მთელი ტყეა. ღმერთო ჩემო, ეს რა არის!

ჟოანმა, როგორც იქნა, შემოატია კარში ყვავილები, მოიქნია და ლოგინზე დაყარა. ცივი და ნესტიანი იყო ქრიზანთემები. ფოთლებს შემოდგომისა და მიწის მკვეთრი სუნი ასდიოდა.

- საჩუქარია, - თქვა ქალმა, - მას შემდეგ, რაც ჩვენ დავმეგობრდით, საჩუქრების მიღება დავიწყე.

- აიღე ყვავილები, ჯერ არ მოვმკვდარვარ. ყვავილების და ისიც ქრიზანთემების ქვეშ წოლა... ოტელ „ინტერნასიონალის“ ძველი ლოგინი კუბოს დაემსგავსა.

- არა! - ჟოანმა უეცრად ყვავილებს ხელი დასტაცა და იატაკზე გადმოყარა. - არ გაბედო ასე ხუმრობა! არ გაბედო!

რავიკმა შეხედა. სულ დაავიწყდა, რა გარემოებაში გაიცნეს ერთმანეთი.

- დაივიწყე ყველაფერი, რაც გითხარი! ცუდის თქმა არ მინდოდა.

- არასოდეს მისცე თავს ამისი ნება. ხუმრობითაც კი. მპირდები? - ქალს ტუჩები უთრთოდა.

- ჟოან... ნუთუ ამან მართლა ასე შეგაშინა?

- დიახ. შემაშინა და მეტიც. თვითონაც არ ვიცი, რა მომდის.

რავიკი ადგა.

- არასოდეს გაგეხუმრები ასე. კმაყოფილი ხარ?

ქალმა თავი დაუქნია.

- ვერ გამიგია, რა მომდის, მაგრამ ამის ატანა არ შემიძლია. თითქოს ვიღაცა სიბნელიდან ხელს მიწვდის. ეს შიში... შეუცნობელი შიში... თითქოს რაღაც მდარაჯობს. - ჟოანი რავიკს მიეხუტა. - შენ დამიფარე.

რავიკმა ხელი მოხვია.

- ნუ გეშინია... დაგიფარავ...

ქალმა ისევ დაუქნია თავი.

- შენ ხომ ყველაფერი შეგიძლია...

- რასაკვირველია, - უთხრა რავიკმა ნაღვლიანი ირონიით აღსავსე ხმით და კეტ ჰეგსტრემი გაახსენდა. - შემიძლია... რა თქმა უნდა, შემიძლია...

ქალი ოდნავ შეირხა.

- გუშინ ვიყავი აქ...

რავიკი არც განძრეულა.

- მოხვედი?

- დიახ.

რავიკს ხმა არ ამოუღია. ყველაფერი ერთბაშად გაიფანტა. გუშინ ბიჭივით მოიქცა. რისთვის სჭირდებოდა ეს ყველაფერი? ყოვლად უგუნური თამაში იყო ადამიანთან, რომელიც თამაშს არ აპირებდა.

- შენ არ დამხვდი. ვიცი, არ უნდა გკითხო, სად იყავი...

- არ უნდა მკითხო.

ჟოანი მოსცილდა.

- აბაზანის მიღება მინდა, - თქვა შეცვლილი ხმით. - გავიყინე. შეიძლება? მთელ ოტელს ხომ არ გავაღვიძებ?

რავიკმა გაიღიმა.

- თუ რაიმეს გაკეთება გინდა, არასოდეს იკითხო, ამას რა მოჰყვება, თორემ ვერაფერს გააკეთებ.

ქალმა შეხედა.

- როცა საქმე წვრილმანებს ეხება, კითხვა შეიძლება. მნიშვნელოვანზე კი - არა.

- ესეც მართალია.

ჟოანი სააბაზანოში შევიდა და წყალი მოუშვა. რავიკი ფანჯარასთან დაჯდა და სიგარეტი გააბოლა. მაღლა, სახურავების ზემოთ, მოწითალო განთიადი დგებოდა, უხმაუროდ ცვიოდა თოვლი, ტრიალებდნენ ფიფქები. ქუჩიდან ყეფასავით ისმოდა ტაქსის საყვირის ხმა. იატაკზე მკრთალად ციალებდა ქრიზანთემები. დივანზე გაზეთი იდო - რავიკმა მოიტანა წუხელ... ომია ჩინეთის საზღვარზე, ომია ჩინეთში, ულტიმატუმი, სადღაც მთავრობა დაემხო...

გაზეთი აიღო და ყვავილების ქვეშ შემალა.

ჟოანი სააბაზანოდან გამოვიდა. ცხელი შხაპისაგან გახურებული ყვავილებთან ჩაცუცქდა.

- სად იყავი გუშინ ღამით? - ჰკითხა ქალმა.

რავიკმა სიგარეტი გაუწოდა.

- ნამდვილად გინდა იცოდე, სად ვიყავი?

- რასაკვირველია.

- აქ ვიყავი, - უთხრა ცოტა ყოყმანის შემდეგ. - გელოდი. გადავწყვიტე, აღარ მოვა-მეთქი, და წავედი.

ჟოანს ხმა არ ამოუღია. მისი სიგარეტი სიბნელეში ხან აინთებოდა, ხან ჩაქრებოდა.

- ასე იყო ეს, - თქვა რავიკმა.

- დალევა მოგინდა?

- ჰო...

ჟოანი მიუბრუნდა.

- რავიკ, - უთხრა, - ნამდვილად ამის გამო წახვედი?

- ნამდვილად.

fb.com/groups/elib

ქალმა ხელები მუხლებზე დაადო. თუმცა ხალათი ეცვა, რავიკმა იგრძნო მათი სითბო: ეს იყო ჟოანის სითბო და სითბო ხალათისა. უეცრად იგრძნო, რომ ამ ხალათსა და ჟოანს შორის არსებობს რაღაც კავშირი, სადღაც წარსულიდან მასთან დაბრუნებული.

- რავიკ, მე ხომ ყოველ საღამოს მოვდიოდი შენთან. უნდა გცოდნოდა, რომ ახლაც მოვიდოდი. ან, იქნებ, იმიტომ წახვედი, რომ, უბრალოდ, ჩემი ნახვა აღარ გინდოდა?

- არა.

- თუ ჩემი ნახვა არ გინდა, გულახდილად მითხარი.

- რომ არ მინდოდეს, გეტყოდი.

- მაშ, ეს არ ყოფილა მიზეზი?

- არა, ნამდვილად ეს არა.

- მაშინ ბედნიერი ვარ.

რავიკმა შეხედა.

- რა თქვი?

- ბედნიერი ვარ-მეთქი, - გაიმეორა ქალმა.

რავიკი წუთით გაჩუმდა.

- გესმის, რას ამბობ? - ჰკითხა ბოლოს.

- კი.

ქუჩიდან შემოჭრილი მკრთალი შუქი ქალის თვალებში ირეკლებოდა.

- ასეთ სიტყვებს არ ფანტავენ, ჟოან.

- არც მე ვფანტავ.

- ბედნიერება, - განაგრძო რავიკმა, - ვინ იცის, სად იწყება და სად თავდება? - ფეხით ქრიზანთემებს შეეხო. ბედნიერება! - გაიფიქრა მან. - ახალგაზრდობის ცისფერი ჰორიზონტები. სიცოცხლის ოქროს ჰარმონია. ბედნიერება! ღმერთო ჩემო, სად არის ეს ყოველივე?

- ბედნიერება იწყება შენით და შენთანვე თავდება, - უთხრა ჟოანმა. - ეს ხომ ასე უბრალო რამეა.

რავიკმა არაფერი მიუგო. რას ლაპარაკობსო, გაიფიქრა.

- ერთიც ვნახოთ, ისიც მითხრა, რომ გიყვარვარ.

- მიყვარხარ.

რავიკმა რაღაც გაურკვეველი ჟესტი გააკეთა.

- შენ ხომ თითქმის არ მიცნობ.

- მერე, რა საერთო აქვს ამას სიყვარულთან?

- ბევრი რამ. გიყვარს - ეს ნიშნავს, მასთან ერთად დაბერება გინდა.

- არ ვიცი. მაგრამ ამ ადამიანის გარეშე ცხოვრება რომ შეუძლებელია, ეს კი ვიცი.

- სადაა კალვადოსი?

- მაგიდაზე. მე მოვიტან. ნუ ადგები.

ჟოანმა ბოთლი მოიტანა და სასმისთან ერთად ძირს დადგა, ყვავილებში.

- ამ შემთხვევაში ჩემზე მეტი გცოდნია.

ქალმა გადახედა.

- მეც შეგიყვარდები.

- შემიყვარდები. დავლიოთ სიყვარულის სადღეგრძელო.

- მაცალე.

ქალმა სასმისი აიღო და დალია. შემდეგ ისევ შეავსო და გაუწოდა. რავიკმა მაშინვე არ გადაკრა. ყველაფერი ეს ტყუილიაო, გაიფიქრა, მიმქრალი ღამის სიზმარ-ცხადია. განა შეიძლება სიმართლე იყოს ბნელში ნათქვამი სიტყვა? ნამდვილი სიტყვებისათვის კაშკაშა შუქია საჭირო.

- საიდან იცი ეს ყველაფერი?

- იქიდან, რომ მიყვარხარ.

როგორ ექცევა ამ სიტყვასო, გაიფიქრა რავიკმა. სრულიად დაუფიქრებლად, თითქოს ცარიელი ჭურჭელი იყოს. რითაც სურს, იმით აავსებს და მერე სიყვარულს ეძახის. რით არ აუვსიათ ეს ჭურჭელი - მარტოობის შიშით, მეორე „მეს“ წინასწარი ტკბობით, საკუთარი ღირსების გადაჭარბებული გრძნობით. სინამდვილის მერყევი ანარეკლია ფანტაზიის სარკეში! მაგრამ ვინ შეძლო თვით საქმის არსის ჩაწვდომა? განა ის, რაც მე ვთქვი ორის ერთმანეთთან შებერებაზე, უდიდესი სისულელე არ არის? და განა, მთელი თავისი დაუფიქრებლობის მიუხედავად, ეს ქალი უფრო ახლოს არ არის ჭეშმარიტებასთან, ვიდრე მე? რატომ ვზივარ აქ ზამთრის ღამეში, ორი ომის ანტრაქტში, და რისთვის ვაფრქვევ გაცვეთილ ჭეშმარიტებებს, როგორც სკოლის მოძღვარი? რისთვის ვუწევ წინააღმდეგობას, ნაცვლად იმისა, რომ კისრისტეხით გადავეშვა მორევში, თუნდაც არაფერი მწამდეს?

- რატომ მეწინააღმდეგები? - ჰკითხა ჟოანმა.

- რა თქვი?

- რატომ მეწინააღმდეგები-მეთქი? - გაიმეორა ქალმა.

- არ გეწინააღმდეგები... ან რა მაქვს საწინააღმდეგო?

- არ ვიცი. რაღაც გაქვს ღრმად ჩამარხული და ჩაკეტილი. არაფრის და არავის შეშვებას არ აპირებ შიგ.

- მოდი აქ, - უთხრა რავიკმა. - მომეცი სასმისი, ერთიც დავლიო.

- მე ბედნიერი ვარ და მინდა შენც ბედნიერი იყო. შენ ხარ ჩემი ფიქრი, როცა ვიღვიძებ და როცა ვიძინებ. სხვა არაფერი ვიცი. ვფიქრობ შენზე და თავში თითქოს ვერცხლის ზარები წკრიალებენ... ზოგჯერ კიდევ - თითქოს ვიოლინოს უკრავენ... ქუჩებს ვავსებთ, თითქოს მუსიკა ვიყოთ... ზოგჯერ ამ მუსიკაში ადამიანთა ხმები შემოიჭრება, კინოკადრივით ჩაიქროლებს სურათი... მაგრამ მუსიკა ჟღერს... ჟღერს განუწყვეტლივ...

სულ რამდენიმე კვირის წინ კი უბედური იყავიო, გაიფიქრა რავიკმა. არც მე მიცნობდი. იოლად გეძლევა ბედნიერება!

რავიკმა კალვადოსი შესვა.

- ხშირად ყოფილხარ ბედნიერი? - ჰკითხა ქალს.

- არა, არც ისე.

- მაინც? როდის წკრიალებდნენ უკანასკნელად შენს თავში ვერცხლის ზარები?

- რატომ მეკითხები?

- ისე, იმისთვის, რომ რაიმე გკითხო.

- არ მაგონდება. არც მინდა მომაგონდეს. მაშინ ყველაფერი სხვანაირად იყო.

- ყოველთვის ყველაფერი სხვანაირად ხდება ხოლმე.

ქალმა გაუღიმა. ნათელი სახე ჰქონდა, როგორც ყვავილს, რომ გაიშლება და არაფერს ფარავს.

- ეს იყო ორი წლის წინ, - უთხრა ქალმა. - და დიდხანს არ გაგრძელებულა... მილანში...

- მარტო იყავი?

- არა. ერთ კაცთან. ძალიან უბედური იყო, ეჭვიანი და არაფერი გაეგებოდა.

- ჰო, რა თქმა უნდა, არაფერი გაეგებოდა.

- შენ ყველაფერს გაიგებდი. ის კი საზარელ სცენებს მიწყობდა. - ჟოანმა დივანზე ბალიში აიღო, ზურგქვეშ ამოიდო და უფრო მოხერხებულად მოეწყო. - მლანძღავდა, რას არ მიწოდებდა: მეძავს, გამცემს, მოღალატეს, უმადურს. არც ერთი არ იყო მართალი. არ ვღალატობდი, ვიდრე მიყვარდა. ის კი ვერ ხვდებოდა, რომ აღარ მიყვარდა.

- ამას ვერასდროს ვერავინ ხვდება.

- არა, შენ მიხვდებოდი. მაგრამ შენ მე ყოველთვის მეყვარები. შენ სხვა ხარ და ჩვენ შორის ყველაფერი სხვანაირად არის. იმ კაცს ჩემი მოკვლა უნდოდა, - ჟოანმა გაიცინა. - ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მოკვლით იმუქრებიან ხოლმე. რამდენიმე თვის შემდეგ მეორესაც უნდოდა ჩემი მოკვლა. მაგრამ ამას არასოდეს არავინ აკეთებს. შენ თუ მომკლავდი?

- ალბათ, მხოლოდ კალვადოსის საშუალებით, - მიუგო რავიკმა. - მომეცი ბოთლი. მადლობა უფალს, ბოლოს ადამიანურად დავილაპარაკეთ. რამდენიმე წუთის წინ გვარიანად შემეშინდა.

- იმის გამო, რომ მიყვარხარ?

- არაფრის თავიდან დაწყება არ არის საჭირო. ეს იგივეა, რაც კრინოლინითა და პარიკით გასეირნება. ჩვენ ერთად ვართ - დიდი ხნით თუ ცოტა ხნით, ვინ იცის? ჩვენ ერთად ვართ - და ეს საკმარისია. რად გვინდა ათასნაირი ცერემონია?

- „დიდი ხნით თუ ცოტა ხნით...“ ეს არ მომწონს, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია. შენ არ მიმატოვებ. თუმცა, შენც იცი, რომ ესეც ლიტონი სიტყვებია.

- უსათუოდ. ოდესმე მიუტოვებიხარ ადამიანს, რომელიც გიყვარდა?

- დიახ, - ქალმა შეხედა. - ორიდან ერთი ყოველთვის ტოვებს მეორეს. მთავარი ისაა, რომელი რომელს დაასწრებს.

- მერე, შენ რა ქენი?

- ყველაფერი! - ჟოანმა რავიკის სირჩა აიღო და დარჩენილი სასმელი დალია. - ყველაფერი! მაგრამ არაფერმა მიშველა. ვერ წარმოიდგენ, რა უბედური ვიყავი.

- დიდხანს?

- ასე, ერთი კვირა.

- არც ისე დიდი ხანია.

- ეს მთელი მარადისობაა, თუ ნამდვილად უბედური ხარ. ისე უბედური ვიყავი - მთლიანად, სავსებით, - რომ ჩემი დარდი ერთი კვირის შემდეგ დაიშრიტა. უბედური იყო ჩემი თმა, ჩემი ტანი, ჩემი საწოლი, ჩემი კაბებიც კი. იმდენად აღსავსე ვიყავი მწუხარებით, რომ ჩემთვის მთელმა ქვეყნიერებამ შეწყვიტა არსებობა. ხოლო, როცა უკვე აღარაფერი არსებობს, უბედურება აღარ არის უბედურება. აღარაფერი რჩება, რომ შეადარო. რჩება მარტო უბედურება. შემდეგ ყველაფერი ჩაივლის და თანდათან გამოცოცხლდები.

რავიკს ხელზე აკოცა. მამაკაცმა იგრძნო ქალის რბილი, ფრთხილი ტუჩების შეხება.

- რაზე ფიქრობ? - ჰკითხა ქალმა.

- ისე, არაფერზე, - მიუგო რავიკმა. - ვფიქრობ, მაგალითად, იმაზე, რომ სულიერად ისე უცოდველი ხარ, როგორც ველური ქალი. ძვალსა და რბილამდე გაფუჭებული ხარ და სულაც არა ხარ გაფუჭებული. ეს ძალიან საშიშია სხვებისათვის. მომაწოდე სასმისი. დავლიოთ ჩემი მეგობრის, მოროზოვის, სადღეგრძელო, ადამიანთა გულების მცოდნე რომ არის.

- არ მიყვარს მოროზოვი. არ შეიძლება, სხვა ვინმეს სადღეგრძელო დავლიოთ?

- რა თქმა უნდა, შენ არ გიყვარს მოროზოვი. იმას ხომ უტყუარი თვალი აქვს. მაშინ შენი სადღეგრძელო იყოს.

- ჩემი?

- დიახ, შენი.

- მე არ ვარ საშიში, - თქვა ჟოანმა. - თვითონ მემუქრება საფრთხე, მაგრამ საშიში არა ვარ.

- შენ სხვანაირად ფიქრი არ შეგიძლია და ეს ბუნებრივია. შენ არასოდეს არაფერი მოგივა. სალუტ!

- სალუტ! მაგრამ შენ ჩემი არ გესმის.

- ესმით კი საერთოდ ადამიანებს ერთმანეთის? ამას მოსდევს ყველა გაუგებრობა ქვეყანაზე. მომეცი აქ ბოთლი.

- ბევრს სვამ! რად გინდა ამდენი სასმელი?

- ჟოან, - მიუგო რავიკმა, - დადგება დღე და შენ იტყვი: „ძალიან ბევრს სვამ“, მეტყვი, ჩემთვის სიკეთის გულწრფელად მსურველი. სინამდვილეში, შენდა უნებურად, შეეცდები ჩამიკეტო ყველა მისასვლელი რაღაც სფეროში, რომელიც შენ არ გემორჩილება.

- სალუტ! დღეს ჩვენ დღესასწაული გვაქვს. მამაცურად გავექეცით პათეტიკას, მრისხანე ღრუბლებად რომ წვებოდა ჩვენს თავზე. ისევ პათეტიკით შევძელით მისი მოკვლა. სალუტ!

იგრძნო, როგორ შეკრთა ჟოანი. ხელებით იატაკს დაეყრდნო; ნელ-ნელა გასწორდა და რავიკს შეხედა. თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი, თმა უკან გადაეყარა. აბანოს ხალათი მხრებიდან დაუცურდა - სიბნელეში ეს ქალი რაღაცით ახალგაზრდა ძუ ლომს მოგაგონებდათ.

- ვიცი, - თქვა მშვიდად. - შენ დამცინი. ვიცი ეს, მაგრამ ჩემთვის სულერთია. მე ვგრძნობ, რომ ისევ ვცხოვრობ, ვგრძნობ მთელი ჩემი არსებით... მე ისე აღარ ვსუნთქავ, როგორც ვსუნთქავდი. მიცვალებულივით აღარ მძინავს, თითები ისევ მემორჩილება, ხელები ცარიელი აღარ მაქვს და ჩემთვის სულერთია, რას იფიქრებ, რას იტყვი ჩემზე... რბილად ვეშვები მორევში, დაუფიქრებლად... ჰოდა, ბედნიერი ვარ... უშიშრად გეუბნები ამას, თუნდაც დამცინო და მასხრად ამიგდო.

რავიკი ხმას არ იღებდა.

- სულაც არ დაგცინი, - თქვა ბოლოს. - ჩემს თავს დავცინი, ჟოან...

ჟოანი მიეხუტა:

- რატომ? - ჰკითხა მან, - რატომ ჭირვეულობ? რატომ?

- ჭირვეულობა აქ რა მოსატანია. უბრალოდ, შენსავით სწრაფი არ ვარ.

ქალმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

- საქმე მარტო ეს არ არის. შენს რაღაც ნაწილს სურს მარტოობა. ყოველთვის რაღაც კედელს ვაწყდები.

- ეს კედელი არ არსებობს, ჟოან. არის სხვა - მე შენზე თხუთმეტი წლით უფროსი ვარ. ყოველ ადამიანს კი არ შეუძლია ისე განაგოს თავისი ცხოვრება, როგორც სახლი, რომელიც შეიძლება კაცმა სულ უფრო მეტი ფუფუნებით მოაწყოს მოგონებათა ავეჯით. ზოგი სიცოცხლეს ოტელებში ატარებს, სხვადასხვა ოტელში. წლები ისეთივე ხმაურით იხურება მის უკან, როგორც ნომრის კარი... და ერთადერთი, რაც გრჩება, ესაა ნამცეცი ვაჟკაცობა. სიბრალული არ რჩება.

ქალი დიდხანს იჯდა ხმის ამოუღებლად. რავიკმა არ იცოდა, უსმენდა თუ არა. თვითონ ფანჯარაში იყურებოდა და გრძნობდა, როგორ მიჩუხჩუხებდა მის ძარღვებში მოელვარე კალვადოსი. მაჯისცემა მიყუჩდა, გაშლილმა, ტევადმა სიჩუმემ შთანთქა. თვით დაუღალავად მოწიკწიკე დროის ტყვიამფრქვევის კაკანიც კი მიყუჩდა მასში.

სახურავების თავზე ფერმიბინდული, წითელი მთვარე ამოცურდა, ნახევრად ღრუბლებით დაფარული მეჩეთის გუმბათის მსგავსი. მეჩეთი თანდათან მაღლა ირწეოდა, დედამიწა კი თოვლის კორიანტელში იძირებოდა.

- ვიცი, - თქვა ჟოანმა, ხელები რავიკის მუხლებზე დააწყო და ნიკაპი შიგ ჩარგო, - სისულელეა, წარსულს რომ გიამბობ. შემეძლო სულ არაფერი მეთქვა ან მომეტყუებინე, მაგრამ არ მინდა. რატომ არ უნდა გიამბო მთელი ჩემი ცხოვრების ამბავი? სწორედ ისე, როგორც იყო? ახლა ხომ ყოველივე ეს მხოლოდ სასაცილოდ მეჩვენება და თვითონაც არ მესმის მაშინდელი ჩემი ცხოვრებისა. გნებავს, მას დასცინე, გნებავს - მე...

რავიკმა ჟოანს შეხედა. ახლა სადღაც სროლაა, სადღაც ადამიანებს დევნიან, ციხეში აგდებენ, ტანჯავენ, კლავენ, სადღაც ფეხით თელავენ მშვიდობიანი ცხოვრების ნამუსრევს. შენ კი ზიხარ აქ, იცი ყველაფერი და არ შეგიძლია, რომ ვინმეს მიეშველო... გაჩირაღდნებულ ბისტროში სიცოცხლე დუღს და არავის არაფერთან არ ესაქმება... ადამიანები დამშვიდებით წვებიან, იძინებენ, შენ კი ზიხარ ამ ოთახში ქალთან, ქრიზანთემებსა და ბოთლ კალვადოსს შორის... და წამოდგება სიყვარულის აჩრდილი, მოცახცახე, უცხო, ნაღვლიანი, მარტოსული, უზრუნველი წარსულის ბაღებიდან განდევნილი... და ეს სიყვარული მშიშარა, ველური და აჩქარებულია, თითქოს კანონგარეშედ იყოს გამოცხადებული...

- ჟოან, - ნელა წარმოთქვა რავიკმა ისეთი კილოთი, თითქოს რაღაც სულ სხვა რამის თქმა უნდაო, - რა კარგია, რომ აქ ხარ, ჩემთან.

ქალმა შეხედა და რავიკმა ხელი მოჰკიდა.

- იცი, რას ნიშნავს ეს? ათას სიტყვაზე მეტს.

ქალმა თავი დაუქნია. უცებ თვალები ცრემლით აევსო.

- არაფერს ნიშნავს, - უთხრა, - სრულიად არაფერს.

- არ არის მართალი, - შეედავა რავიკი, თუმცა იცოდა, რომ ქალი მართალი იყო.

- არა. არაფერს ნიშნავს. შენ უნდა გიყვარდე, ძვირფასო, მორჩა და გათავდა.

რავიკი გაჩუმდა.

- უნდა გიყვარდე, - გაიმეორა ქალმა. - თორემ ისე დაღუპული ვარ, იცოდე.

დაღუპულია, გაიფიქრა რავიკმა, რა ადვილად ამბობს! ვინც მართლა დაღუპულია, ის არაფერს ამბობს.

## თავი მეთორმეტე

- ფეხი მომკვეთეთ? - იკითხა ჟანომ.

სისხლისაგან დაცლილი სახე ძველი სახლის კედელივით ნაცრისფერი გახდომოდა. მუქი ჭორფლი საღებავების გაყინულ წინწკლებს მოგაგონებდათ. მოკვეთილი ფეხი მავთულის კალათში ეგდო, ზედ საბანი ჰქონდა გადაფარებული.

- გტკივა? - ჰკითხა რავიკმა.

- ჰო. ფეხი... ძალიან მტკივა ფეხი. მოწყალების დას ვკითხე, მაგრამ ეს ბებერი კუდიანი პასუხს არ მცემს.

- ფეხი მოგკვეთეთ, - უთხრა რავიკმა.

- მუხლის ზემოთ თუ ქვემოთ?

- ათი სანტიმეტრით ზემოთ. მუხლი დამსხვრეული აღმოჩნდა. მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო.

- მესმის, - თქვა ჟანომ. - მაშ, სახიჩრობის დახმარებაც მეტი იქნება ათი პროცენტით. ეს ძალიან კარგია. მუხლის ზემოთ იქნება, თუ მუხლის ქვემოთ - ერთი ოხერია. ხის ფეხი ხის ფეხია. ზედმეტი ათი პროცენტი კი უკვე ფულია, მეტადრე, თუ ეს თანხა ყოველთვიურად გეძლევა, - ერთი წამით ჩაფიქრდა, - დედას ჯერ ნურაფერს ეტყვით. სულერთია, ამ ცხაურაში ვერაფერს დაინახავს.

- არაფერს ვეტყვით, ჟანო.

- სადაზღვევო კომპანიამ მუდმივი პენსია უნდა დამინიშნოს. ასე არ არის?

- ვფიქრობ, ასეა.

ყმაწვილს ფერმკრთალ სახეზე სუსტმა ღიმილმა გადაურბინა.

- ო, როგორ დააჭყეტენ თვალებს გაოცებისაგან? ჯერ მხოლოდ ცამეტი წლისა ვარ. დიდხანს მოუხდებათ გადახდა. უკვე გაიგეთ, რომელი კომპანიაა?

- ჯერ არა. მაგრამ მანქანის ნომერი ხომ ვიცით. შენ არ დაიმახსოვრე? დილით პოლიციიდან მოვიდნენ, შენი დაკითხვა უნდოდათ, მაგრამ ჯერ კიდევ გეძინა. საღამოს ისევ მოვლენ.

ჟანო ჩაფიქრდა.

- მოწმეები? - იკითხა. - საჭიროა, მოწმეები მყავდეს. არის ვინმე?

- მგონი, კი. დედაშენს ორი მისამართი აქვს ჩაწერილი. ვნახე, ქაღალდი ეჭირა ხელში.

ყმაწვილს მოუსვენრობა დაეტყო.

- დაეკარგება, თუ უკვე არ დაეკარგა. ხომ იცით, ხნიერი ქალია. ახლა სად არის?

- დედამ მთელი ღამე შენს ლოგინთან გაატარა. ძლივს დავიყოლიეთ შინ წასვლაზე. მალე დაბრუნდება.

- ვაითუ, მისამართებიანი ქაღალდი დაკარგა. პოლიცია... - ჟანომ გამხდარი ხელი ოდნავ შეარხია. - თაღლითები! - ჩაილუღლუღა, - ყველანი თაღლითები არიან. რაღა პოლიცია, რაღა სადაზღვევო კომპანია - სულ ერთი ბანდაა, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს. მაგრამ თუ კარგი მოწმეები მეყოლება... როდის მოვა დედა?

- მალე. ნუ ღელავ, ყველაფერი კარგად იქნება.

ჟანო ლაპარაკობდა და თან ყბებს ისე ამოძრავებდა, თითქოს რაღაცას ღეჭავსო.

- ზოგჯერ მთელ თანხას ერთად იძლევიან, როგორც გასამრჯელოს. პენსიის ნაცვლად. მაშინ, იქნებ, რძის ფარდულის გახსნაც მოვახერხოთ.

- დაისვენე, - უთხრა რავიკმა. - ყველაფრის მოფიქრებას მოასწრებ.

ჟანომ თავი დააქნია.

- დაისვენე, - გაუმეორა რავიკმა. - პოლიციიდან რომ მოვლენ, დასვენებული თავი უნდა გქონდეს.

- ეს მართალია. რა უნდა ვქნა?

- დაიძინე.

- მერე, მაშინ ხომ...

- არა უშავს, გაგაღვიძებენ...

- წითელი ფერი... ეს ზუსტად... წითელ ფერზე მიდიოდა...

- ჰო, ჰო, ახლა კი წაძინება სცადე. თუ რამე დაგჭირდეს, მოწყალების დას დაურეკე.

- ექიმო...

რავიკი შემობრუნდა.

- ოღონდ ყველაფერი კარგად დამთავრდეს... - ჟანო ბალიშზე იწვა. მოხუცი კაცივით ჭკვიან სახეზე რაღაც ღიმილისმაგვარმა გაიელვა. - ხომ უნდა გაეხსნას ადამიანს ბედი ცხოვრებაში ერთხელ მაინც? ჰა, რას იტყვით?

ნესტიანი და თბილი საღამო იდგა. ქალაქის თავზე ღრუბელთა ქულები მიცურავდა. რესტორან „ფუკეს“ წინ, ტროტუარზე, რამდენიმე მაყალი, სკამი და პატარა მაგიდა იდგა. ერთ სკამზე მოროზოვი იჯდა.

რავიკს ხელი დაუქნია.

- დაჯექი, დავლიოთ.

რავიკი მიუჯდა.

- ძალზე დიდხანს ვართ ოთახებში ჩაკეტილი, - განაცხადა მოროზოვმა. - შენ როგორ ფიქრობ?

- შენზე ამას ვერ იტყვი. ერთთავად ქუჩაში ხარ ატუზული, ,,შეჰერეზადას" წინ.

- მიატოვე შენი უბადრუკი ლოგიკა, ყმაწვილო. საღამოობით ,,შეჰერეზადას" ორფეხა კარი ვარ, მაგრამ არამც და არამც - ბუნების წიაღში მყოფი ადამიანი. ვიმეორებ: ძლიერ დიდხანს ვართ ხოლმე ოთახებში ჩაკეტილნი. ძლიერ ბევრს ვფიქრობთ ოთხ კედელს შორის. ძლიერ ბევრს ვცხოვრობთ და სასოებას ვკარგავთ კარჩაკეტილნი. მაგრამ ბუნების წიაღში განა შეიძლება კაცმა სასო წარიკვეთოს?

- მერე როგორ! - თქვა რავიკმა.

- ისევ და ისევ იმიტომ, რომ ძალზე შევეჩვიეთ ოთახებს. ხოლო თუ ბუნებას შეუერთდები - არასოდეს გაგიტყდება გული. მერე, სასოწარკვეთილებას ბევრად უფრო წესიერი იერი აქვს ტყეებსა და ველებზე, ვიდრე დახშულ ოთახებში, აბაზანასა და სამზარეულოში. თან, როგორღაც უფრო მოხერხებულია. არ გაბედო შედავება! წინააღმდეგობისადმი მიდრეკილება მოწმობს დასავლეთისათვის დამახასიათებელ სულიერ შეზღუდულობას. თვითონვე განსაჯე, განა, მართალი არა ვარ? დღეს თავისუფალი საღამო მაქვს და მინდა ცხოვრებით დავტკბე. სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ ოთახებში მეტისმეტად ბევრსა ვსვამთ.

- ბევრსაც ვშარდავთ ოთახებში.

- დამეკარგე შენი ირონიით. ცხოვრების ფაქტები მეტად უბრალონი და უბირნი არიან. მხოლოდ ჩვენს ფანტაზიას შეუძლია მათი გაცოცხლება. ფანტაზია ამ თეთრეულის საშრობთოკებიან ჭოკებს ფლაგშტოკებად აქცევს, რომლებზედაც ჩვენი ოცნებების გაცრეცილი დროშები ფრიალებენ. განა მართალი არა ვარ?

- სულაც არა.

- სწორია, არა ვარ მართალი და არც ვცდილობ, ვიყო.

- რაკი ასეა, მაშინ მართალი ხარ.

- კარგი, გვეყოფა. სხვათა შორის, დავამატებ, რომ მეტისმეტად დიდხანს გვძინავს ოთახებში. ავეჯად ვიქეცით. ქვის ბუმბერაზმა სახლებმა გადაგვიმტვრიეს ხერხემალი. რანი გავხდით? მოარული ავეჯი, სეიფები, საიჯარო ხელშეკრულებანი, ხელფასის მიმღებნი, სამზარეულოს ქოთნები და ვატერკლოზეტები.

- სწორია. ჩვენ ვიქეცით იდეების მოარულ რუპორებად, სამხედრო ქარხნებად, უსინათლოთა თავშესაფრებად და საგიჟეთებად.

- ნუ მაწყვეტინებ. სვი, იყუჩე და იცხოვრე, სკალპელიანო მკვლელო. შეხედე, რა მოგვივიდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მხოლოდ ძველ ბერძნებს ჰყავდათ ღვინისა და მხიარულების ღმერთები - ბახუსი და დიონისე. ჩვენში კი ამათ ნაცვლად ფროიდია, არასრულფასოვნების კომპლექსი და ფსიქოანალიზი, მაღალფარდოვანი სიტყვების შიში სიყვარულში და მაღალფარდოვანი სიტყვებისაკენ მიდრეკილება

პოლიტიკაში. სავალალო თაობაა, ხომ მართალია? - მოროზოვმა ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

- ძველო, გულქვა ცინიკოსო, ოცნებებით აგზნებულო! - უთხრა რავიკმა.

მოროზოვმა ჩაიცინა.

- შესაბრალისო რომანტიკოსო, ილუზიებს მოკლებულო და ამ ხანმოკლე წუთისოფელში დროებით რავიკად წოდებულო!

- რავიკის სახელით აგერ უკვე სიცოცხლის მესამედი გამიტარებია. ეს რა არაყია? პოლონურია?

- ლატვიური, რიგის. უკეთესს ვერ იპოვი. დაისხი... დავსხდეთ, ვუყუროთ მსოფლიოში ულამაზეს ქუჩას, ვადიდოთ საამო საღამო და გულგრილად მივაფურთხოთ სიფათში სასოწარკვეთილებას.

მაყლებში ნახშირი ტკაცუნობდა. ქუჩის მევიოლინე ტროტუარის კიდეზე დადგა და დაუკრა „ჩემს ქერა ქალთან“. გამვლელები ეჯახებოდნენ და ვიოლინო დაიწრიპინებდა ხოლმე, მაგრამ მუსიკოსი მაინც განაგრძობდა დაკვრას, თითქოს გარშემო კაცის ჭაჭანება არ ყოფილიყო. პატარა მაგიდებს შორის ორი მაროკოელი დაძვრებოდა, ღია ფერის ხელოვნური აბრეშუმის ხალიჩებს სთავაზობდნენ ყველას.

გაზეთის გამყიდველი ბიჭები საღამოს გაზეთებს დააფრიალებდნენ. მოროზოვმა იყიდა „პარი სუარი“ და „ენტრანსიჟანი“, მხოლოდ სათაურებს გადაავლო თვალი და განზე გადადო.

- ყალბისმქნელები, - ჩაიბურტყუნა. - არასოდეს მოგსვლია აზრად, რომ ჩვენ ყალბი ფულის მჭრელების საუკუნეში ვცხოვრობთ?

- არა, მე მეჩვენება, რომ კონსერვების საუკუნეში ვცხოვრობთ.

- კონსერვების? რატომ?

რავიკმა გაზეთები უჩვენა.

- ფიქრი აღარ გვჭირდება. ჩვენ მაგიერ სხვების მიერ ყველაფერი უკვე წინასწარ მოფიქრებული, დაღეჭილი და გათავებულია. მზა კონსერვებია! რჩება ქილების გახსნა. შინ მოგართმევენ სამჯერ დღეში. არაფრის დათესვა არ გინდათ, არაფრის მოყვანა, გაზრდა, აღარ გინდათ ცეცხლზე საკითხების ეჭვისა და ნაღვლის ხარშვა. კონსერვებია, - გაიცინა რავიკმა. - მძიმეა ჩვენი ცხოვრება, ბორის. ესაა, რომ იაფია.

- ჩვენი ცხოვრება - ყალბისმქნელთა ცხოვრებაა, - მოროზოვმა მაღლა ასწია გაზეთები და დააქნია. - უყურე, იკითხე და დატკბი! სამხედრო ქარხნებს აგებენ და ტრაბახით ამტკიცებენ, მშვიდობა გვინდაო. საკონცენტრაციო ბანაკებს აგებენ და თავი სიმართლის ქომაგებად მოაქვთ. პოლიტიკური შეუწყნარებლობა სამართლიანობის სახელით ინიღბება, პოლიტიკური განგსტერები თავს იკატუნებენ, კაცობრიობის კეთილისმყოფლები ვართო. თავისუფლება ძალაუფლების მოყვარულთა მყვირალა ლოზუნგად იქცა. ყალბი ფულია! ყალბი სასულიერო მონეტა! ცრუ და უსინდისო

ლაქლაქი! სამზარეულოს მაკიაველიზმი. ამაყი იდეალები აღზევებული ნაძირალების ხელშია ტყვექმნილი. საიდან მოიტან აქ პატიოსნებას?

გაზეთები დაჭმუჭნა და ქვაფენილზე დაყარა.

- გაზეთებსაც მეტისმეტად ბევრს ვკითხულობთ ოთახებში, - შენიშნა რავიკმა.

მოროზოვმა გაიცინა.

- სრული სიმართლეა! ბუნების წიაღში კი გაზეთები აღარ გვესაჭიროება. მხოლოდ ცეცხლში შესაკეთებლად თუ გამოვიყენებთ...

რავიკი უცებ ადგილიდან წამოვარდა, ბრბოში შეიჭრა და გეორგ მეხუთის ავენიუსაკენ გაქანდა, ზღვა ხალხში გაქრა.

მოროზოვი სახტად დარჩა. მერე ჯიბიდან ფული ამოიღო, სწრაფად დააგდო მაგიდაზე და რავიკს დაედევნა. ჯერ არ იცოდა, რა მოხდა, მაგრამ კვალდაკვალ მიჰყვა, რომ საჭირო შემთხვევაში დახმარებოდა.

არც პოლიციელი ჩანდა, არც სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული აგენტი. რავიკს არავინ მისდევდა. ტროტუარზე ხალხი ჭიანჭველებივით ირეოდა. ეს კარგიაო, გაიფიქრა მოროზოვმა. თუ პოლიციელმა იცნო, რავიკს არ გაუჭირდება დამალვა. გეორგ მეხუთის ავენიუზე რომ გააღწია, მხოლოდ მაშინ დაინახა მოროზოვმა რავიკი. იმწუთას შუქნიშნის ფერი შეიცვალა. გზაჯვარედინზე შექუჩებული ავტომანქანების ნაკადი ავენიუზე დაეშვა და რავიკს გზა გადაუღობა, მაგრამ იგი მაინც ცდილობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ქუჩის მეორე მხარეს გაეღწია. რომელიღაც ტაქსიმ კინაღამ ძირს დასცა. მძღოლმა სამსართულიანი გინება მიაყოლა. აქ წამოეწია მოროზოვი, ხელი წაავლო და უკან გაიყვანა.

- რა მოგივიდა, გაგიჟდი? - უყვირა მეგობარს. - სიცოცხლე მოგბეზრდა? რა მოხდა?

რავიკმა არაფერი უპასუხა. თვალმოუშორებლივ იყურებოდა სადღაც, ქუჩის მეორე მხარეს. მანქანები ოთხ რიგად მიდიოდა, ერთიმეორის მიყოლებით. გაღწევა შეუძლებელი იყო. რავიკი ტროტუარის კიდეზე იდგა, წინ გადახრილიყო და სადღაც იყურებოდა...

მოროზოვმა ხელით მოსწია.

- რა მოხდა? პოლიცია იყო?

- არა, - რავიკი მანქანებს თვალს არ აცილებდა.

- რა მოხდა, რავიკ? არ იტყვი, რა მოხდა?

- ჰააკე...

- რა-ო? - მოროზოვს თვალები დაუვიწროვდა. - როგორ გამოიყურება? აღარ იტყვი?

- რუხი პალტო!..

ელისეს ველების შუაგულიდან მოძრაობის მომწესრიგებელი პოლიციელის სასტვენის ხმა გაისმა. რავიკი წინ გაიჭრა, მანქანებს შორის მოხერხებულად

იკვლევდა გზას. თვალწინ ედგა მუქი რუხი ფერის პალტო... მეტი ვერაფერი დაიმახსოვრა. გეორგ მეხუთის ავენიუ და ბასანოს ქუჩა გადაკვეთა. უეცრად აღმოჩნდა, რომ ათობით მამაკაცი ატარებს რუხ პალტოს. ლანძღვით იკვლევდა გზას. გალილეის ქუჩის კუთხეში მოძრაობა ჩაიკეტა. სწრაფად გადაკვეთა ქუჩა, უცერემონიოდ იშორებდა გზიდან გამვლელებს, მუჯლუგუნებით იკვლევდა გზას ელისეს ველებზე. ბოლოს რავიკმა პრესბურის ქუჩას მიაღწია, თითქმის სირბილით გასცდა გზაჯვარედინს და გაშეშდა - თვალწინ ეტუალის მოედანი გადაეშალა, უზარმაზარი, ხალხითა და მანქანებით გაჭედილი, უთვალავი ქუჩის შესართავით ადამიანს თავგზას რომ უბნევს.

ყველაფერი გათავდა! შემდგომი ძებნა უსარგებლო იქნებოდა. რავიკი ნელა წამოვიდა უკან, ყოველ გამვლელს სახეზე აკვირდებოდა. მღელვარება დაუცხრა, მაგრამ მის ნაცვლად სულში საშინელმა სიცარიელემ დაისადგურა. ნუთუ ისევ შეცდა? თუ ჰააკე ისევ თვალსა და ხელს შუა გაუქრა? შეიძლება ადამიანი ორჯერ შეცდეს? შეიძლება ადამიანი ორჯერ გაქრეს მიწის პირიდან? მართალია, რავიკი არ ყოფილა გადამკვეთ ქუჩებზე - ჰააკეს შეეძლო ყოველ მათგანზე შეეხვია. პრესბურგის ქუჩას გახედა. მანქანები და ადამიანები, ადამიანები და მანქანები. საღამოს პიკის საათებია. ძებნის გაგრძელებას აზრი აღარა აქვს. ისევ მარცხი...

- წავიდა? - ჰკითხა მოროზოვმა, როგორც კი მიუახლოვდა.

რავიკმა თავი დაუქნია: წავიდაო.

- ჩანს, ყოველთვის რაღაც აჩრდილები მეჩვენება.

- დარწმუნებული ხარ, რომ ნამდვილად ნახე?

- ერთი წუთის წინ დარწმუნებული ვიყავი. ახლა კი... ახლა საერთოდ არაფერში არ ვარ დარწმუნებული.

მოროზოვმა შეშფოთებით შეხედა.

- განა ცოტანი არიან ქვეყნად ერთიმეორის მსგავსი ადამიანები?

- დიახ, მაგრამ არიან ადამიანები, რომელნიც არასოდეს გვავიწყდებიან.

რავიკი შეჩერდა.

- რა გაქვს განზრახული? - ჰკითხა მოროზოვმა.

- არ ვიცი. ან რა უნდა მქონდეს განზრახული?

მოროზოვი ხალხს გაჰყურებდა.

- აი, ხელის მოცარვა! დროც ისეთი კვიმატია. სამუშაო დღის ბოლო. კაცი გზას ვერ გაიკვლევს...

- ჰო...

- მერე რა სწრაფად ჩამობნელდა... კარგად დაინახე?

რავიკი დუმდა.

მოროზოვმა ხელი შეახო.

- მომისმინე, - უთხრა, - ტყუილად დარბიხარ ქალაქში. ერთ ქუჩაზე გახვალ და მაშინვე მოგეჩვენება, რომ ვისაც ეძებ, მეორე ქუჩაზეა. ასე ვერაფერს გახდები. ჯობს, ისევ რესტორანში დავბრუნდეთ. ეს ჯობია ყველაფერს. ერთ ადგილზე იჯექი და უცადე. თუ ისევ ჩაიარა, აუცილებლად დაინახავ.

ბოლო მაგიდასთან დასხდნენ, საიდანაც ყველაფერი ჩანდა. ისხდნენ და ხმას არ იღებდნენ.

- რას იზამ, რომ შეხვდე? - ჰკითხა ბოლოს მოროზოვმა. - ამაზე გიფიქრია?

რავიკმა უარის ნიშნად თავი გადააქნია.

- მოიფიქრე. ჯობს, ყველაფერი წინასწარ გადაწყვიტო, თორემ დაიბნევი, რაიმე სისულელეს ჩაიდენ და არ ივარგებს, მეტადრე შენს მდგომარეობაში. რამდენიმე წლით ციხეში მოხვედრა ვერაფერი სასიხარულოა.

რავიკმა უსიტყვოდ გადახედა.

- შენს ადგილზე რომ ვიყო, ჩემს თავზე არ ვიფიქრებდი, - განაგრძო ისევ მოროზოვმა. - მაგრამ საქმე შენ გეხება... როგორ მოიქცეოდი, ახლა, იმ ქუჩის კუთხეში რომ გამოჩენილიყო? ეცემოდი?

- არ ვიცი, ბორის, მართალი გითხრა, არ ვიცი.

- შენ ხომ იარაღი არ გაქვს?

- იარაღი არა მაქვს.

- ეცემი და მაშინვე გაგაშველებენ. შენ პოლიციაში გიკრავენ თავს, ის კი იოლად გამოვა - ცოტა დალურჯებული და ცოტა შეშინებული, მეტი არაფერი. გაიგე?

- გავიგე.

რავიკი ქუჩას თვალს არ აცილებდა.

- უკიდურეს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, შეიძლება რომელიმე გზაჯვარედინზე ხელი ჰკრა და მანქანის ქვეშ ჩააგდო, - განაგრძობდა მოროზოვი. - მაგრამ ესეც არაფერია. ყველაფერი შეიძლება იმით დამთავრდეს, რომ რამდენიმე ადგილი გაიკაწროს...

- არც ვუპირებ მანქანის ქვეშ ჩაგდებას.

რავიკი ქუჩას თვალს არ აშორებდა.

- მართალი ხარ. აზრი არა აქვს.

მოროზოვი ცოტა ხნით გაჩუმდა.

- რავიკ, - უთხრა მერე. - თუ ეს ნამდვილად ჰააკეა და თუ ხელთ ჩაგივარდება, რკინის სიმტკიცით უნდა იმოქმედო, გესმის? ეს ხომ შენი ერთადერთი შანსი იქნება...

- კი, ვიცი.

რავიკი ქუჩას თვალს არ აცილებდა.

- თუ დაინახო, უკან მიჰყევი. არ მოსცილდე. გაიგე, სად ცხოვრობს, და მეტი არაფერი. დანარჩენს მერე მოიფიქრებ. არ იჩქარო, სისულელეები არ ჩაიდინო. გესმის?

- მესმის, - დაბნეულად მიუგო რავიკმა. იჯდა და თვალს არ აცილებდა ქუჩას.

მაგიდასთან ფოსტის გამყიდველი მივიდა. უკან სათამაშოებით დატვირთული ბიჭი მოჰყვა. მაგიდის მარმარილოს ფილაზე პაწაწინა თაგუნიები ცეკვავდნენ და მარდად ცოცდებოდნენ ხელზე. ისევ გამოჩნდა მევიოლინე. ახლა ფართოფარფლიანი ქუდი ეხურა და ფრანგულ სიმღერას ასრულებდა: „მელაპარაკეთ სიყვარულზე“. დედაბერი, რომელსაც სიფილისიანი ცხვირი ჰქონდა, იებს ყიდდა. მოროზოვმა საათს დახედა.

- რვა საათია, - თქვა. - მეტი მოცდა აღარ ღირს. უკვე ორ საათზე მეტია, აქ ვზივარ. ახლა მთელი საფრანგეთი ვახშმობს.

- წადი, ბორის. რატომ უნდა დაეყუდო აქ ჩემთან ერთად?

- აბა, რას ამბობ? კი, ბატონო, ვისხდეთ აქ და ველოდოთ, რამდენიც გინდა. მაგრამ თავი სიგიჟემდე რატომ უნდა მიიყვანო? არავითარი აზრი არა აქვს ერთ ადგილზე ჯდომას და ლოდინს. ახლა ნებისმიერ ადგილზე შეიძლება შეგხვდეს. ამჟამად ყველაზე უფრო მოსალოდნელია მისი ნახვა არა აქ, არამედ ღამის კლუბში ან საროსკიპოში.

- ვიცი, ბორის.

მოროზოვმა თავისი უზარმაზარი, ბანჯგვლიანი ხელი რავიკს მხარზე დაადო.

- მომისმინე, რავიკ, - უთხრა მან, - თუ გიწერია მასთან შეხვედრა - შეხვდები, თუ არ გიწერია, წლობითაც რომ ელოდო, ვერ ნახავ. გესმის? ფხიზლად იყავი! ასი თვალი გამოისხი! მუდამ და ყველგან! და მზად იყავი ყველაფრისათვის. საერთოდ კი, გირჩევ, თავი ისე დაიჭირო, ვითომ შეგეშალა. მე მგონია, ასედაც არის. სხვას ვერაფერს გააკეთებ. თუ ასე არ მოიქცევი, ილაჯს გაიწყვეტ. გამოცდილი მაქვს. ოცი წლის წინ მქონდა ასეთი შემთხვევა. ყოველ წამს მეჩვენებოდა, რომ ვხედავდი ერთ-ერთ იმათგანს, ვინც მამაჩემი მოკლა. ჰალუცინაციებია. - მოროზოვმა თავისი სასმისი ბოლომდე დაცალა. - წყეული ჰალუცინაციები! ახლა კი წავიდეთ. უნდა ვივახშმოთ.

- მარტო წადი. მე მოგვიანებით მოვალ.

- რჩები?

- ცოტას კიდევ დავიცდი. შემდეგ ოტელში წავალ, რაღაც საქმე მაქვს.

მოროზოვმა ეჭვით შეხედა. იცოდა, რისთვისაც დასჭირდა რავიკს ოტელში დაბრუნება. მაგრამ ისიც იცოდა, რომ რაკი თქვა, აღარ გადათქვამდა. როგორც ენებოს, მისი საქმეაო, გაიფიქრა.

- კარგი, - უთხრა, - „მერ მარიში“ ვიქნები. დარეკე ან შემოიარე. - ბუჩქებივით გაბანჯგვლული წარბები ასწია. - ტყუილუბრალოდ არ გარისკო. იაფფასიანი გმირობა

არაფრის მაქნისია! არც ჩლუნგი იდიოტიზმი! ისროლე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გულდაჯერებული იქნები, რომ მიმალვას მოახერხებ. ეს ნურც ბავშვური გეგონება და ნურც განგსტერული ფილმი.

- ვიცი. ფიქრი ნუ გაქვს, ბორის.

რავიკმა ,,ინტერნასიონალს'' შეხედა და მაშინვე უკან გაბრუნდა. ოტელ ,,მილანს'' რომ ჩაუარა, საათს დახედა. ცხრის ნახევარი იყო. შეიძლება ჟოანი ჯერ კიდევ შინ ყოფილიყო.

კარი ქალმა გაუღო.

- რავიკ! - გაუკვირდა. - მოხვედი? ჩემთან?

- ჰო...

- შენ ერთხელაც არ ყოფილხარ ჩემთან, იმ საღამოს შემდეგ.

რავიკმა დაბნეულად გაიღიმა.

- მართალია, ჟოან. უცნაურად ვცხოვრობთ მე და შენ.

- დიახ. როგორც თხუნელები ან ღამურები, ან კიდევ ჭოტები. მხოლოდ სიბნელეში ვხვდებით ერთმანეთს.

ქალი ოთახში ფართო, მსუბუქი ნაბიჯებით მიმოდიოდა. ტანზე შემოტმასნილი მუქი ნაცრისფერი მამაკაცური ხალათი ეცვა. საწოლზე ეგდო შავი საღამური კაბა, ,,შეჰერეზადაში'' გამოსვლის დროს რომ ეცვა ხოლმე. ჟოანი ძალიან ლამაზი და უსასრულოდ შორეული ეჩვენა.

- შენი წასვლის დრო ხომ არ არის? - ჰკითხა ქალს.

- ჯერ არა. ნახევარი საათის შემდეგ. როგორ მიყვარს ეს ნახევარი საათი ,,შეჰერეზადაში'' წასვლის წინ. რა არა მაქვს - ყავა, დრო, უსასრულოდ რომ მეჩვენება. დღეს კი შენც აქ მყავხარ. კალვადოსიც მაქვს, - ჟოანმა ბოთლი მიაწოდა. რავიკმა გაუხსნელად დადგა ბოთლი მაგიდაზე და ფრთხილად აიღო ჟოანის ხელი.

- მომისმინე, - უთხრა.

თვალებში შუქი ჩაუქრა ჟოანს. ახლოს მივიდა.

- მითხარი, რა მოგივიდა?..

- მე? რა უნდა მომსვლოდა?

- არ ვიცი. როცა ასეთი ხარ, როგორიც ახლა, შენს თავს რაღაც ცუდი ხდება. ამიტომაც მოხვედი?

რავიკმა იგრძნო, როგორ მიცურავდა სადღაც შორს ქალის ხელები. ჟოანი უძრავად იდგა, არც ხელებს ამოძრავებდა, მაგრამ რავიკს ეჩვენებოდა, თითქოს ხელიდან რაღაც უსხლტება და თანდათან თვალს ეფარებაო.

- ჟოან, დღეს საღამოს ნუ მოხვალ ჩემთან... არ შეიძლება... არც ხვალ... და კიდევ რამდენიმე დღეს...

- კლინიკაში იქნები?

- არა. სხვა რამეა. არაფრის თქმა არ შემიძლია. მაგრამ ყოველივე ამას საერთო არაფერი აქვს ჩვენს ურთიერთობასთან.

ერთი წუთით ჟოანი უძრავად იდგა.

- კარგი, - უთხრა ბოლოს.

- გამიგე?

- ვერა. მაგრამ რაკი შენ ასე გინდა, მაშასადამე, ასეა საჭირო.

- არ მიჯავრდები?

- ღმერთო ჩემო, რავიკ! - უთხრა მშვიდად. - განა შემიძლია გაგიჯავრდე?

რავიკმა მაღლა აიხედა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაცის უხილავმა ღონიერმა ხელმა გულზე მოუჭირა. ჟოანმა ისე უპასუხა, არც ჩაჰკვირვებია საკუთარ სიტყვებს, მაგრამ ასე ძლიერ არაფერი იმოქმედებდა რავიკზე. მას გულთან არ მიჰქონდა ის, რასაც ღამღამობით ქალი ძილში გაურკვევლად ჩურჩულებდა ხოლმე. ყოველივე ეს იოლად ეძლეოდა დავიწყებას, როგორც კი ფანჯრის იქით ნაცრისფერი დილა აკვამლებას დაიწყებდა. იცოდა, რომ ქალის ვნებით ტკბობა - ეს იყო ტკბობა საკუთარი თავით, სიმთვრალის ბრუჟი, ნათელი აფეთქება, წუთიერი ტკბობის ხარკი - მეტი არაფერი. ახლა კი, მსგავსად მფრინავისა, რომელმაც გაარღვია დამაბრმავებლად მოკაშკაშე ღრუბლები, სადაც შუქი და ჩრდილი კუკუმალულობას თამაშობენ, უეცრად დაბლა გადაშლილი დედამიწა შენიშნა - მწვანე, ყავისფერი და მოციმციმე, რავიკმაც პირველად დაინახა რაღაც მეტი. ვნებით ტკბობის იქით შენიშნა ერთგულება, ბრუჟის მიღმა - გრძნობა, სიტყვების რახარუხის მიღმა - ადამიანური ნდობა. ყველაფერს ელოდა - ეჭვებს, კითხვებს, გაუგებრობას, მაგრამ ამას კი - არა. ასე ხდება ყოველთვის: მხოლოდ წვრილმანები ხსნიან ყველაფერს, მნიშვნელოვანი ქცევები არაფერს ნიშნავს. მათში მეტად ბევრი რამ არის აღებული მელოდრამიდან, ცდუნებიდან, რომ ადამიანმა იცრუოს.

ოთახი... ნომერი ოტელში... ჩემოდნები, საწოლი, შუქი, ფანჯრის იქით ღამის და წარსულის შავი სიცარიელე... აქ კი - ნათელი სახე ნაცრისფერი თვალებითა და მაღლა აზიდული წარბებით, ფუმფულა თმა - ცხოვრება, მოქნილი ცხოვრება, მისკენ რომ მოიწევს, როგორც ოლეანდრი - სინათლისაკენ... აი, დგას, ელოდება, დუმს და ეძახის: „მიმიღე! დამიჭირე!“ განა უკვე არ უთხრა: „დაგიჭერო“? რავიკი წამოდგა.

- ღამე ნებისა, ჟოან.

- ღამე ნებისა, რავიკ.

რავიკი რესტორან „ფუკეს“ წინ იჯდა, იმავე მაგიდასთან, ტროტუარზე. იჯდა საათობით, ჩაძირული წარსულის წყვდიადში, სადაც ბჟუტავდა ერთადერთი სუსტი ცეცხლი - შურისძიების იმედი.

რავიკი 1933 წლის აგვისტოში დააპატიმრეს. თოთხმეტი დღე მალავდა თავის სახლში ორ მეგობარს, რომელთაც გესტაპო დაეძებდა, მერე კი გაქცევაშიც დაეხმარა. 1917 წელს ბიქსშოოტთან, ფინეთში, ერთმა მათგანმა სიკვდილისაგან იხსნა, ტყვიამფრქვევის ცეცხლიდან გამოიყვანა, როცა რავიკი უგრძნობლად იწვა და ნელ-ნელა იცლებოდა სისხლისაგან. მეორე მწერალი იყო, ებრაელი, დიდი ხნის ნაცნობი. რავიკი დაჰკითხეს, სურდათ გაეგოთ, საით გაიქცნენ მისი მეგობრები, რა დოკუმენტები ჰქონდათ და ვინ დაეხმარებოდა მათ გზაში.

დაკითხვას ჰააკე აწარმოებდა. როცა პირველი გულის წასვლის შემდეგ გონს მოვიდა, რავიკმა სცადა ჰააკესათვის რევოლვერი წაერთმია, რომ იქვე მიეხვრიტა ან ცემით მოეკლა. მაგრამ თითქოს მოგუგუნე მეწამულ წყვდიადში შეიჭრა. ეს უაზრო ცდა იყო - რას გახდებოდა ოთხი ღონიერი შეიარაღებული მამაკაცის წინააღმდეგ. სამი დღე ზედიზედ გაგრძელდა გულის წასვლა, ნელი გამოფხიზლება, ჯოჯოხეთური ტკივილები... ისევ და ისევ ამოცურდებოდა ხოლმე ჰააკეს ცივი, დამცინავი სახე. სამი დღე ერთსა და იმავეს ეკითხებოდა ჰააკე - სამი დღე გრძელდებოდა წამება და იმ ზომამდე დასერეს, რომ თითქმის დაკარგა ტანჯვის უნარი. შემდეგ კი სიბილა შემოიყვანეს. ქალიშვილმა არაფერი იცოდა. რავიკს იმისათვის აჩვენეს, რომ ენა ამოედგა. ეს ქალი ნებიერი ლამაზი არსება იყო, მსუბუქსა და ფუქსავატურ ცხოვრებას მიჩვეული. რავიკი ფიქრობდა, ვერ გაუძლებს, იყვირებსო. სიბილამ გაუძლო. ჯალათებს სახეში მიახალა საბედისწერო სიტყვები, საბედისწერო თვით ქალისათვის - ეს თვითონაც იცოდა. ჰააკემ ღიმილი შეწყვიტა და დაკითხვა შეაჩერა. მეორე დღეს რავიკს აუხსნა, რა მოუვიდოდა სიბილას ქალთა საკონცენტრაციო ბანაკში, თუ მისი გულისათვის მაინც ყველაფერს არ აღიარებდა. რავიკი დუმდა. მაშინ ჰააკემ აუხსნა, რა მოუვიდოდა ქალს საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნამდე. რავიკმა არაფერი აღიარა - არაფერი ჰქონდა ასაღიარებელი. სცადა ჰააკეს დარწმუნება იმაში, რომ სიბილას არ შეეძლო ამ საქმისა რაიმე სცოდნოდა, რომ ხეირიანად არც კი იცნობდა, რომ მის ცხოვრებაში ამ ქალს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც რომელიმე პატარა ქანდაკებას, რომ არასოდეს მიანდობდა მას რაიმე საიდუმლოს. ყველაფერი ეს სიმართლე იყო. ჰააკე იღიმებოდა. სამი დღის შემდეგ სიბილა გარდაიცვალა, ქალთა საკონცენტრაციო ბანაკში თავი ჩამოიხრჩო. ერთი დღის შემდეგ მოიყვანეს ერთ-ერთი გაქცეულთაგანი - მწერალი. რავიკი უყურებდა ამ ნახევრად გვამს და მისი ხმაც კი ვერ იცნო. კიდევ ერთი კვირა აწარმოებდა ჰააკე მის დაკითხვას, ვიდრე სული არ ამოხადა. რავიკი საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს... მერე ჰოსპიტალი... გაქცევა ჰოსპიტლიდან...

ტრიუმფალურ თაღს ვერცხლისფერი მთვარე დაჰნათოდა. ელისეს ველებზე ქარი არწევდა ფარნებს, სასმისებში მთვარის კაშკაშა სხივები იმსხვრეოდა... ყველაფერი ეს დაუჯერებელია: ეს მთვარე, ეს სასმისები, ეს ქუჩა, ეს ღამე ან ეს საათი, უცხო და ნაცნობი, თითქოს ერთხელ უკვე ენახოს სხვა ცხოვრება, სხვა პლანეტაზე... არარეალურია ეს მოგონებანი წარსულზე, ცოცხალსა და მაინც მკვდარ წლებზე, მოგონებანი, ფოსფორულ შუქს რომ გამოსცემენ ჩემს ტვინში და სიტყვებში ქვავდებიან... დაუჯერებელია ისიც, რაც დაუცხრომლად ჩუხჩუხებს ჩემი ძარღვების წყვდიადში 36,70 ტემპერატურაზე, მლაშე ოთხი ლიტრი საიდუმლო და განუწყვეტელი მოძრაობა - სისხლი, ნერვულ კვანძებს რომ ჭავლებად აწყდება. არარაობაში მოათავსეს უხილავი პაკჰაუზი, მეხსიერებად წოდებული. იქიდან მაღლა-მაღლა მიჰყვება ვარსკვლავს ვარსკვლავი, წელს წელი - ხან წითელი, ხან

სისხლიანი, როგორც მარსი ბერის ქუჩაზე, ხან სულ ფერმკრთალი და ერთიანად ლაქებით დაფარული... აი, მოგონებათა ცა, რომლის ქვეშაც მოუსვენარი თანამედროვეობა თავის აწეწილ საქმეებს აწყობს...

შურისძიების მწვანე შუქი. ქალაქი, წყნარად რომ მიცურავს მთვარის მკრთალ შუქზე, ავტომობილთა მოტორების გუგუნში. უსასრულობამდე გამწკრივებული სახლების რიგები. ფანჯრები, მათ მიღმა კი - ადამიანთა ბედის დვრიტა... მილიონობით ადამიანის განუწყვეტელი, გულის ცემა, თითქოს მილიონიანი ძალის მოტორი მუშაობსო. ნელი, ნელი მოძრაობა ცხოვრების გზაზე, გულის ყოველ ძგერაზე მილიმეტრობით ვუახლოვდებით სიკვდილს...

რავიკი წამოდგა. ელისეს ველები დაცარიელებულიყო. მხოლოდ ქუჩის კუთხეებში იდგნენ აქა-იქ მარტოხელა მეძავები. რონ პუენამდე რომ მივიდა, ტრიუმფალური თაღისაკენ შემობრუნდა, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან მივიდა, რომელზეც პატარა მოლურჯო ცეცხლი კიაფობდა და გვერდით დამჭკნარი გვირგვინი იდო. რავიკმა ეტუალის მოედანი გადაკვეთა და ბისტროში შევიდა: სწორედ აქედან დაინახა თუ მოეჩვენა პირველად ჰააკე. მაგიდებთან რამდენიმე მძღოლი ლუდს სვამდა. რავიკი იმ ფანჯარასთან დაჯდა, სადაც მაშინ იჯდა და ფინჯანი ყავა მოითხოვა. ფანჯრის მიღმა ქუჩა უკაცრიელი იყო. მძღოლები ჰიტლერზე ლაპარაკობდნენ: დასცინოდნენ და აღსასრულს უწინასწარმეტყველებდნენ, თუკი მაჟინოს ხაზთან მიახლოებას გაბედავდა.

რავიკი თვალს არ აცილებდა ფანჯარას. რისთვის ვარ აქ მილურსმულიო, გაიფიქრა. ასევე შეეძლო მჯდარიყო სადმე სხვაგან, სულერთია სად. საათს დახედა. მეტისმეტად გვიანი იყო. ჰააკე - თუ ნამდვილად ის იყო - ასეთ დროს ქალაქში სეირნობას არ დაიწყებდა.

ტროტუარზე მეძავი ქალი გამოჩნდა. ფანჯარაში შემოიხედა და გზა განაგრძო. თუ დაბრუნდება - ავდგები და წავალო, გაიფიქრა. მეძავი დაბრუნდა. რავიკი არ მიდიოდა. თუ ისევ დაბრუნდება, აუცილებლად წავალო, თქვა გულში. მაშასადამე, ჰააკე პარიზში არ ყოფილა. მეძავი დაბრუნდა. რავიკს თავი დაუკრა და ჩაუარა. რავიკი ისევ ისე იჯდა. ქალი ისევ დაბრუნდა. რავიკი არ მიდიოდა.

კელნერი დარბაზის დალაგებას შეუდგა. მძღოლებმა დანახარჯი გადაიხადეს და წავიდნენ. კელნერმა მაგიდის თავზე შუქი ჩააქრო. დარბაზს მოახლოებული დილის მუქი ბინდი ჩამოაწვა. რავიკმა დაბნეულად მიმოიხედა.

- მიიღეთ ჩემგან, - უთხრა კელნერს.

ქარი გაძლიერდა. აცივდა. ღრუბლებმა მაღლა აიწიეს და უფრო სწრაფად გაცურდნენ. რავიკი ჟოანის ოტელის წინ გაჩერდა. ყველა ფანჯარა ჩაბნელებული იყო. მხოლოდ ერთ მათგანში კიაფობდა სინათლის შუქი. ეს ჟოანის ოთახი იყო. რავიკმა იცოდა - ჟოანს არ უყვარდა ბნელ ოთახში დაბრუნება. შუქი არ გამორთო, რადგან დღეს რავიკთან აღარ წავიდოდა. ისევ აიხედა მაღლა და უეცრად თავისი თავი სასაცილო სულელად ეჩვენა. რატომ არ ისურვა ქალთან შეხვედრა? სიბილა დიდი ხანია გაქრა მისი ხსოვნიდან, დარჩა მხოლოდ მისი სიკვდილის მოგონება.

პარიზში ჰააკეს გამოჩენა? რა საერთო აქვს ამას ჟოანთან ან თვითონ ჩემთან? სულელი არ არის? რაღაც მირაჟს მისდევს, მოგონებათა საშინელი, დახლართული გორგლის

ჩრდილს ასდევნებია, სულის რაღაც ბნელი ძალაუფლების ქვეშ მოქცეულა... რა საჭიროა მკვდარი წლების წიაღში ხელის ფათური, რაღაც გიჟური, წყეული მსგავსების წყალობით რომ გაცოცხლებულა? რა საჭიროა წარსულის გაღიზიანება, თუ ხელახლა ასე მტკივნეულად იწყებს ჟონვას სისხლი ძლივს შეხორცებული ჭრილობიდან? ამით ხომ საფრთხის ქვეშ აყენებს ყოველივე იმას, რაც თავის თავში ააგო, და ერთადერთ ადამიანს, რომელიც ნამდვილად არის მასთან დაკავშირებული? ან განა ღირს წარსულის გახსენება? თვითონვე არ უნერგავდა ამას თავის თავს ათასჯერ? და განა შეძლებდა გადარჩენას, სხვანაირად რომ მოქცეულიყო? საერთოდ, რა მოუვიდოდა?

რავიკმა იგრძნო, როგორ იღვრებოდა ტყვიის სიმძიმე მის სხეულში. ღრმად ჩაისუნთქა. ქუჩებში ქარი გაშმაგებით უბერავდა. ისევ ახედა განათებულ ფანჯარას. იქ იყო ადამიანი, ვისთვისაც ის მნიშვნელოვანია, ადამიანი, ვისაც იგი ძვირად უღირს, ადამიანი, რომელსაც სახე უნათდება მის დანახვაზე. და ყოველივე ეს კინაღამ მსხვერპლად მიუტანა ბოდვით ილუზიას, აკვიატებას, მოუთმენლად რომ უარყოფს ყველაფერს შურისძიების მოლანდებული იმედის გულისათვის...

კაცმა რომ თქვას, რა უნდოდა? რისთვის უწევდა წინააღმდეგობას? რა იყო ეს - ამბოხება? ცხოვრება თავისას სთავაზობდა, ის კი ხელს ჰკრავდა. და იმიტომ კი არა, რომ მეტისმეტად ცოტას სთავაზობდა, - პირიქით, მეტისმეტად ბევრს. ნუთუ არ შეიძლება ამას ჩასწვდე, ვიდრე სისხლიანი წარსულის ქარიშხალი თავზე არ გადაგიქროლებს? რავიკი შეკრთა. გულიო, გაიფიქრა. გული! გამზადებულია, რომ ყველაფერს გამოეხმაუროს. რა გახშირებით ცემს! ფანჯარა, ამ ღამეში განმარტოებით რომ ანათებს, ანარეკლი სხვა სიცოცხლისა, ასე დაუცხრომლად რომ მოვარდა მის შესახვედრად, გულღია და ნდობით ანთებული, მასაც რომ გაუღო გულის კარი. ნდობის ცეცხლი, სინაზის მოარული ცეცხლები, ნათელი განთიადები, სისხლში რომ აფეთქებულან... ყოველივე ეს ნაცნობი იყო, ადრევე ნაცნობი, იმდენად ადრე, რომ ეგონა, შეგნებას ვეღარასოდეს გადაევლებოდა სიყვარულის ოქროვანი ღელვა...

და მაინც დგას ახლა მესამე თანრიგის ოტელის წინ, ამ ღამეში, დგას და ეჩვენება - ბოლი ავარდაო ასფალტზე. თითქოს მიწის მეორე მხრიდან, მთელი დედამიწის გამჭოლი ქოქოსის ლურჯი კუნძულიდან მოქროდა სითბო ტროპიკული გაზაფხულისა, მოდიოდა ოკეანეებზე, მარჯნის შამბნარში, ვულკანთა ნიაღვარში, წყვდიადში, მძლავრად და შეუპოვრად იკვლევდა გზას და აღწევდა აქ, პარიზში, პონსელეს უბადრუკ ქუჩაზე, შურისძიებითა და წარსულით აღსავსე ღამეში, თან მოჰქონდა მუშკისა და მიმოზის სურნელება... და უეცრად გაუგებარია, საიდან მოდის სულიერი სიმშვიდე...

„შეჰერეზადა“ ხალხით იყო გაჭედილი. ჟოანი რამდენიმე მამაკაცს შორის იჯდა. რავიკი მაშინვე შენიშნა, იგი კართან იდგა. დარბაზი კვამლსა და მუსიკაში იხრჩობოდა. თანამესუფრე მამაკაცებს ჟოანმა ორი სიტყვა უთხრა და რავიკს შეეგება.

- რავიკ...

- ჯერ არ გცალია?

- რა იყო?

- წავიდეთ აქედან.

- მაგრამ შენ ხომ მითხარი...

- ეს მორჩა. ჯერ არ გცალია?

- რატომ! საჭიროა მხოლოდ იმ მაგიდასთან მსხდომთა გაფრთხილება, რომ მივდივარ.

- ოღონდ ჩქარა... შემოსასვლელთან გელი, ტაქსიში.

- კარგი, - უთხრა ქალმა და შეჩერდა. - რავიკ...

რავიკმა შეხედა.

- ჩემთვის მოხვედი? - ჰკითხა ჟოანმა.

რავიკმა პასუხი დააყოვნა.

- ჰო, - მიუგო მერე წყნარად. ქალის მთრთოლარე სახე მისკენ მოიწევდა. - ჰო, ჟოან, შენთვის მოვედი, მხოლოდ შენთვის! - ჟოანს სახე გაუბრწყინდა.

- წავიდეთ, - უთხრა, - წავიდეთ! რა გვესაქმება ამ ხალხთან!

ტაქსი ლიეჟის ქუჩას მიჰყვებოდა.

- რა მოხდა, რავიკ?

- არაფერი.

- მე კი ისე შემეშინდა.

- არაფერიც არ მომხდარა.

ჟოანმა შეხედა.

- მეგონა, აღარასოდეს მოხვიდოდი.

რავიკი დაიხარა. ჟოანი ცახცახებდა.

- ჟოან, - უთხრა. - ნურაფერზე ფიქრობ და ნურც ნურაფერს მეკითხები. ხედავ ფარნების შუქსა და ათასობით ჭრელ აბრას? ჩვენ მომაკვდავ დროში ვცხოვრობთ, ამ ქალაქში კი ჯერ კიდევ დუღს ცხოვრება. ყველაფერს მოწყვეტილი ვართ, მხოლოდ გული შემოგვრჩენია. მე სადღაც მთვარეზე ვიყავი და ახლა დავბრუნდი... შენ აქ ხარ და შენ სიცოცხლე ხარ. ნურაფერს მეკითხები. შენს თმაში მეტი საიდუმლოებაა, ვიდრე ათასობით თავსატეხ კითხვაში. წინ არის ღამე, რამდენიმე საათი, მთელი მარადისობა... ვიდრე ფანჯრების იქით დილა არ იფეთქებს. ადამიანებს უყვართ ერთმანეთი და ამაში ყველაფერია. ეს ყველაზე უფრო დაუჯერებელიცაა და ყველაზე უფრო უბრალო რამეც ამ ქვეყანაზე. ეს დღეს ვიგრძენი... ღამე გადნა, აყვავებულ ბუჩქად იქცა, ქარს მარწყვის სურნელი მოაქვს... უსიყვარულოდ ადამიანი იგივეა, რაც მიცვალებული შვებულებაში, რამდენიმე თარიღი, არაფრისმთქმელი სახელი, ეს არის და ეს. მაგრამ რა საჭიროა მაშინ სიცოცხლე? ასეთივე წარმატებით შეიძლება ადამიანი მოკვდეს... ქუჩის ფარნების შუქი ტაქსის ფანჯრებში ისე იჭრებოდა, როგორც შუქურის მბრუნავი სხივი გემის კაიუტის სიბნელეში. ჟოანის თვალები ფერმკრთალ სახეზე ხან გამჭვირვალე ეჩვენებოდა, ხან სრულიად შავი.

- ჩვენ არ ვიხოცებით, - ჩურჩულით თქვა ქალმა და რავიკს მიეკრა.

- არა. ჩვენ არ ვიხოცებით. კვდება დრო, წყეული დრო. კვდება განუწყვეტლივ. ჩვენ კი ვცოცხლობთ, უცვლელად ვცოცხლობთ. როცა შენ იღვიძებ, გარეთ გაზაფხულია, როცა იძინებ - შემოდგომა, მათ შორის კი გაიკიაფებს ხოლმე ზამთარი და ზაფხული და, თუ ერთმანეთი გვიყვარს, ჩვენ მარადიულნი და უკვდავნი ვართ, როგორც გულისცემა, ან წვიმა, ან ქარი, - და ეს ძალიან ბევრია. ჩვენ დღეებს ვიგებთ, ჩემო ძვირფასო, და წლებს ვკარგავთ. მაგრამ ვის რა ესაქმება ამასთან, ვის აღელვებს ეს? წამის სიხარული - აი, ცხოვრება! მხოლოდ ის არის მარადისობასთან ყველაზე ახლოს. შენი თვალები ციმციმებენ. ვარსკვლავთა მტვერი ჭავლებად მოარღვევს უსასრულობას, ღმერთები ბერდებიან, მაგრამ შენი ტუჩები მარად ნორჩნი რჩებიან. ჩვენ შორის თრთის გამოცანა - შენ და მე, ძახილი და გამოძახილი, შობილი მწუხრის ბინდში, მათი აღტაცებით, რომელთაც ჰყვარებიათ. გაშმაგებული ვნების ძახილი, ოქროს ქარიშხლად ქცეული. უსასრულო გზას მივყავართ ამებიდან რუფემდე, ესთერამდე, ელენემდე, ასპაზიამდე[6], გზისპირა ცისფერ მადონებამდე, რეპტილიებიდან და ცხოველებიდან შენამდე და ჩემამდე...

ქალი მიეხუტა და არ ირხეოდა, ფერმკრთალი, თავდავიწყებამდე ერთგული, რავიკიც მისკენ დახრილიყო და ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა - ჯერ ეგონა, უკან ვიღაც დგას და მიყურებსო, რაღაც აჩრდილი გაურკვეველი ღიმილით უხმოდ ლაპარაკობდა მასთან ერთად. რავიკი სულ უფრო დაბლა იხრებოდა ქალისაკენ და გრძნობდა, როგორ მოისწრაფოდა ქალიც მის შესახვედრად... ასე გრძელდებოდა კიდევ ერთი წამი... შემდეგ ყოველივე გაქრა...

## თავი მეცამეტე

- სკანდალია! - თქვა ბრილიანტებიანმა ბანოვანმა, კეტ ჰეგსტრემის პირდაპირ რომ იჯდა, - თავზარდამცემი სკანდალია! მთელი პარიზი იცინის. შენ იცოდი, რომ ლუი ჰომოსექსუალისტია? ალბათ, არა. და არც არავინ იცოდა. ბრწყინვალედ ინიღბებოდა. ლინა დე ნიუბური ოფიციალურად ითვლებოდა მის საყვარლად. და აი, წარმოიდგინე: ერთი კვირის წინ ის ბრუნდება რომიდან სამი დღით ადრე, ვიდრე დაპირებული იყო, საღამოს მიდის ამ ნიკისთან - სურს სიურპრიზით გააკვირვოს - და, როგორ გგონია, ვის შეუსწრებს იქ?

- თავის ცოლს, - მიუგო რავიკმა.

ბრილიანტებიანმა ბანოვანმა ექიმს გადახედა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს თავისი ქმრის გაკოტრების ამბავი შეიტყოო.

- თქვენ უკვე იცით ეს ამბავი? - ჰკითხა რავიკს.

- არა. მაგრამ სხვაგვარად არ შეიძლებოდა მომხდარიყო.

- ვერ გამიგია, - თქვა ქალმა დაუფარავი გაოცებით, - როგორ გამოიცანით?

კეტმა გაიღიმა.

- დეზი, ექიმ რავიკს თავისი თეორია აქვს. ამას შემთხვევის სისტემატიკას ეძახის. მისი თეორიით, ყველაზე უფრო დაუჯერებელი ამბავი ყოველთვის ყველაზე უფრო ლოგიკური აღმოჩნდება ხოლმე.

- რა საინტერესოა! - დეზიმ თავაზიანად გაიღიმა, თუმცა ყველაფრიდან ჩანდა, რომ ეს თეორია სულაც არ აინტერესებდა. - ვერავინ ვერაფერს გაიგებდა, - განაგრძო ბრილიანტებიანმა ქალმა. - მაგრამ ლუიმ ერთი ამბავი დააწია... გაცოფდა. ოტელ „კრიიონში“ გადავიდა. განქორწინება სურს. ყველა იმაზე იტეხს თავს, რა მიზეზს დაასახელებსო. - ქალი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო ლოდინად და მოუთმენლობად ქცეული. - აბა, რას იტყვი, როგორი ამბავია?

კეტმა რავიკს გადახედა. იგი ორქიდეას ტოტს ათვალიერებდა, მაგიდაზე რომ იდო, ქუდებისათვის განკუთვნილ კოლოფებსა და კალათას შორის, რომელშიც ყურძენი და ატამი ეწყო. წითელი გულებით აჭრელებული პეპლების მსგავსი ყვავილები ჰქონდა ორქიდეას.

- დაუჯერებელია, დეზი, - თქვა კეტმა. - ჭეშმარიტად დაუჯერებელია!

დეზი ტკბებოდა ეფექტით, რომელიც მოახდინა.

- თქვენ რაღას იტყვით? რა თქმა უნდა, ასეთი რამის განჭვრეტა არ შეგეძლოთ, ხომ მართალია? - ჰკითხა რავიკს.

რავიკმა ფრთხილად ჩადო ორქიდეა ბროლის ვიწრო ლარნაკში.

- არა, ნამდვილად არ შემეძლო.

დეზიმ კმაყოფილებით დააქნია თავი; ჩანთა, საპუდრე და ხელთათმანი აიღო.

- უნდა გავიქცე. ლუიზასთან ხუთზე კოქტეილია. მისი მინისტრი იქნება. რას არ მოისმენ ლუიზასთან! - მანდილოსანი წამოდგა. - სხვათა შორის, ფრედი და მართა ისევ დასცილდნენ ერთმანეთს. ქალმა ძვირფასეულობა დაუბრუნა, ეს უკვე მესამედ. და ყოველთვის ახდენს კაცზე შთაბეჭდილებას. ცხვარივით მიმნდობია. ასე ჰგონია, მისი ღირსების გამო უყვართ. ახლა ქალს ყველაფერს დაუბრუნებს და დამატებით კარგ ლუკმასაც მიაყოლებს, როგორც ყოველთვის. საცოდავმა ჯერ არაფერი იცის, მისმა ცოლმა კი ზოგი ნივთი უკვე შეათვალიერა ოსტერტაგთან. იქ ყიდულობს ხოლმე ფრედი მართასათვის ყველაფერს. ერთი გულსაკიდი მოსწონებია ქალს, ოთხკუთხედია, მსხვილი, წმინდა ლალის ქვებით დამშვენებული. არა, მართამ იცის ცხოვრება.

დეზიმ კეტს აკოცა.

- მშვიდობით, ჩემო ფისუნიავ. ახლა, ყოველ შემთხვევაში, გეცოდინება მაინც, რა ხდება ქვეყანაზე. მალე დაიხსნი თავს აქედან? - დეზიმ რავიკს გადახედა.

რავიკმა კეტის მზერა დაიჭირა.

- ჯერ დააგვიანდება, - უთხრა. - სამწუხაროდ, ჯერ დააგვიანდება.

დეზის ქურქი მიაწოდა. მუქი წაულას ქურქი იყო, უსაყელო. ჟოანს მოუხდებოდაო ასეთი, გაიფიქრა.

- გამოიარეთ როგორმე ერთად, ჭიქა ჩაიზე, - უთხრა დეზიმ. - ოთხშაბათობით ჩემთან თითქმის არავინ არის. დავსხდებით, ვიმასლაათებთ. ხელს არავინ შეგვიშლის. ძალიან მაინტერესებს ქირურგია.

- სიამოვნებით მოვალ.

რავიკმა კარი მიხურა და უკან შემობრუნდა.

- ლამაზი ზურმუხტებია, - თქვა მან.

კეტმა გაიცინა.

- აი, როგორ ვცხოვრობდი უწინ, რავიკ. შეგიძლიათ გამიგოთ?

- რა არის აქ გაუგებარი? ჩინებულია, თუ შეგიძლია ასე ცხოვრება. არავითარი მღელვარება.

- ჩემთვის ეს უკვე გაუგებარია.

კეტი წამოდგა და ფრთხილად მივიდა საწოლთან.

რავიკი თვალს ადევნებდა.

- საერთოდ, სულერთია, სად იცხოვრებს ადამიანი, კეტ. მთავარი ის კი არ არის, უფრო მდიდრულად იქნები მოწყობილი თუ ნაკლებად. მთავარია ის, რაზე ვფანტავთ ჩვენს ცხოვრებას. ისიც ყოველთვის არა.

კეტი საწოლზე მოკალათდა, ფეხები ზედ შეაწყო. გრძელი ლამაზი ფეხები ჰქონდა.

- ყველაფერი უმნიშვნელო ხდება, - თქვა ქალმა, - თუ რამდენიმე კვირით ლოგინში ჩაწვები და მერე ხელახლა დაიწყებ სიარულს.

- აქ დარჩენა თქვენთვის აუცილებელი არ არის. გნებავთ, გადადით „ლანკასტერში“, ოღონდ აუცილებლად იყოლიეთ მომვლელი ქალი.

კეტმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- აქ დავრჩები, ვიდრე გასამგზავრებლად ძალ-ღონეს მოვიკრებდე. საიმედოდ ვიქნები თავშეფარებული ამ ყოველნაირი დეზებისაგან.

- კინწისკვრით გააგდეთ ხოლმე! არაფერი ისე არ ქანცავს ადამიანს, როგორც ყბედობა.

კეტი ფრთხილად გაიჭიმა ლოგინზე.

- იცით, თავისი ჭორიკანობის მიუხედავად, დეზი შესანიშნავი დედაა. ჩინებულად ზრდის შვილებს. ორი შვილი ჰყავს.

- ასეც ხდება, - გულგრილად თქვა რავიკმა.

კეტმა საბანი გადაიფარა.

- კლინიკა მონასტერივითაა, - თქვა. - ხელახლა სწავლობ ყველაზე უბრალო ამბების დაფასებას, იგებ, რას ნიშნავს სიარული, სუნთქვა, ხედვა.

- დიახ. ბედნიერება ჩვენ გარშემო იმდენია, რამდენიც გნებავს. მხოლოდ დაიხარე და აიღე.

ქალმა გაოცებით შეხედა.

- მე სერიოზულად ვლაპარაკობ, რავიკ.

- მეც, კეტ. მხოლოდ ყველაზე უბრალო ნივთები არასოდეს გვიცრუებენ იმედს. ბედნიერება, როგორღაც, ძალიან უბრალოდ მოდის ხოლმე და მუდამ ბევრად უფრო მარტივად, ვიდრე კაცი ფიქრობს.

ჟანო ლოგინში იწვა. საბანზე უწესრიგოდ ეყარა რაღაც ბუკლეტები.

- შუქს რატომ არ ანთებ? - ჰკითხა რავიკმა.

- ჯერ ასედაც ვხედავ. მხედველობა კარგი მაქვს.

ბუკლეტებში სხვადასხვა პროთეზი იყო აღწერილი. ჟანო შეძლებისდაგვარად შოულობდა მათ. უკანასკნელი ბუკლეტი დედამ მოუტანა. რავიკს ძალზე ხასხასაფერებიანი ბუკლეტი აჩვენა. რავიკმა შუქი აანთო.

- აი, ყველაზე ძვირფასი ფეხი, - უთხრა ჟანომ.

- მაგრამ არა ყველაზე უკეთესი, - მიუგო რავიკმა.

- სამაგიეროდ, ყველაზე ძვირფასი. სადაზღვევო კომპანიას ვეტყვი, სწორედ ეს ფეხი მინდა-მეთქი. მე, რა თქმა უნდა, არაფერში გამომადგება. მთავარია - მეტი ფული მივიღო. უბრალო ძელაკითაც იოლას გავალ, ოღონდ კი მეტი ფული მომცენ.

- სადაზღვევო კომპანიას თავისი ექიმები ჰყავს, ჟანო. ყველაფერს ამოწმებენ.

ბიჭმა ლოგინში წამოიწია.

- თქვენ ფიქრობთ, პროთეზის ფულს არ გადამიხდიან?

- გადაგიხდიან, ოღონდ, ყველაზე ძვირფასისა - არა. არც ფულს მოგცემენ ხელზე. მხოლოდ იმისათვის იზრუნებენ, რომ პროთეზი მიიღო.

- მაშინ იმას ავიღებ და მაშინვე გავყიდი. რა თქმა უნდა, ცოტა რამეს დავკარგავ, ასე ოც პროცენტამდე. რას იტყვით, ბევრი ხომ არ იქნება? პირველად ათ პროცენტს დავუკლებ. იქნებ, წინასწარ მაღაზიასთან მოლაპარაკებაც ღირდეს. რა კომპანიის საქმეა, ავიღებ პროთეზს თუ არა? მისი საქმეა გადახდა. დანარჩენი მას არ ეხება... ასე არ არის?

- ასეა. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება სცადო.

- ეს ფული ჩემთვის მისწრებაა. ამით ვიყიდით დახლსა და რძის პატარა ფარდულის მოწყობილობას, - ჟანომ ეშმაკურად გაიღიმა. - ასეთი ფეხი თავისი სახსრითა და ათასი რამერუმით ცოტა ფული კი არ ღირს! ფაქიზი ნახელავია. აი, ბლომად ფული კი გამოვა!

- სადაზღვევო კომპანიიდან უკვე მოვიდნენ?

- არა. ფეხისა და გასამცვლელოს საქმეზე ჯერ არ მოსულან. მხოლოდ ოპერაციისა და კლინიკისათვის მოვიდნენ. ვექილის აყვანა ხომ არ დამჭირდება? როგორ ფიქრობთ?... მძღოლი წითელ შუქზე მიდიოდა! ეს ზუსტად ასე იყო. პოლიცია...

მოწყალების დამ ვახშამი მოიტანა და პატარა მაგიდაზე დადგა ჟანოს ლოგინთან. ყმაწვილმა ლაპარაკი მხოლოდ მისი წასვლის შემდეგ განაგრძო.

- საჭმელს აქ ბლომად იძლევიან, - თქვა. - არასოდეს მიჭამია ასე კარგად. ყველაფერს ვერც კი ვერევი, - დედა მოდის და დარჩენილს ჭამს. ორივეს გვყოფნის. ამით ეკონომიას ეწევა. ძალიან ძვირი კი ღირს პალატა.

- ყველაფრისათვის კომპანია გადაიხდის. ასე რომ, დარდი ნურაფრისა გექნება.

ყმაწვილის ნაცრისფერი სახე ოდნავ გამოცოცხლდა.

- ექიმ ვებერს ველაპარაკე. ათ პროცენტს დამპირდა. კომპანიას ყველა ხარჯის ანგარიშს გაუგზავნის. კომპანია ფულს გადაიხდის, თვითონ კი ათ პროცენტს ნაღდ ფულს მომცემს.

- შენ ყოჩაღი ხარ, ჟანო.

- ყოჩაღი იქნები, ღარიბი თუ ხარ, აბა, რა იქნები.

- სწორია. ფეხი გტკივა?

- ტერფი მტკივა - ის, რაც აღარ მაქვს.

- ეს ნერვებია. ნერვები დარჩა.

- ვიცი და, მაინც, უცნაურია - გტკივა ის, რაც არ გაქვს. იქნებ, ეს ჩემი სულის ტერფია? - ჟანომ გაიცინა: ნაკვესი გამოუვიდა! შემდეგ თეფშებში ჩაიხედა. - წვნიანი, ქათამი, სალათა, პუდინგი... დედა კმაყოფილი იქნება. ქათამი უყვარს. შინ იშვიათად ვჭამთ. - უფრო მოხერხებულად მოეწყო. - ზოგჯერ ღამით გამეღვიძება ხოლმე და ვფიქრობ: ერთიც ვნახოთ, ყველაფრისთვის თვითონ მოგვიხდეს გადახდა?.. იცით, ასეც ხდება ხოლმე: გაგეღვიძება ღამით და ვერ აზროვნებ, თავში კორიანტელია. მერე გაგონდება, რომ წევხარ კლინიკაში, როგორც მდიდრის შვილი, შეგიძლია მოითხოვო, რაც გნებავს, გამოიძახო ზარით მოწყალების და, ისიც ვალდებულია, მოვიდეს. ყველაფრისათვის კი ფულს სხვა გადაიხდის. შესანიშნავია, ხომ მართალია?

- ჰო, - მიუგო რავიკმა, - შესანიშნავია...

რავიკი ,,ოზირისის“ ერთ-ერთ ოთახში იჯდა და მეძავებს სამედიცინო შემოწმებას უტარებდა.

- არის კიდევ ვინმე? - იკითხა.

- დიახ, - მიუგო ლეონიამ, - ივონა. ეს ერთიღა დარჩა.

- შემოუშვი. შენ ჯანმრთელი ხარ, ლეონია.

ივონა ოცდახუთი წლის გათქვირებული, ქერა გოგო იყო. გაბუშტული ფართო ცხვირი და მოკლე, გაფიჟვინებული ხელ-ფეხი ჰქონდა, როგორც მეძავების

უმრავლესობას. თავმომწონედ, ტანის რხევით შემოვიდა ოთახში და თავისი აბრეშუმის ნაკუწები მაღლა ასწია.

- იქით მიბრუნდი, - უთხრა რავიკმა.

- ასე არ მოგწონთ? - იკითხა ივონამ.

- ასე, რატომ?

ქალმა არ უპასუხა, უსიტყვოდ შებრუნდა და თავისი ზორბა უკანალი აჩვენა. ერთიანად ჩალურჯებული ჰქონდა. ეტყობოდა, ვიღაცას მაგრად მიეტყიპა.

- იმედი მაქვს, მუშტარმა ამისათვის უხვად გადაგიხადა, - უთხრა რავიკმა. - ეს სახუმარო როდია.

ივონამ თავი გააქნია.

- არც ერთი სანტიმი, ექიმო. ის მუშტარი არ გახლდათ.

- ესე იგი, შენ ეს გეამა? არ მეგონა, თუ ასეთი რამ გსიამოვნებდა.

ივონამ ისევ გადააქნია თავი. სახეზე კმაყოფილი, იდუმალებით სავსე ღიმილი გამოეხატა. რავიკი ხედავდა, რომ ქალს ეს ამბავი მოსწონდა და ამის გამო თავი დიდ ვინმედ მოჰქონდა.

- მაზოხისტი ხომ არ გგონივართ? - თქვა ამაყად, რომ ეს სიტყვა იცოდა.

- აბა, რა მოხდა? იჩხუბეთ?

ივონა წამით შეყოვნდა.

- ეს სიყვარულია, - უთხრა და მხრები შეათამაშა.

- იეჭვიანა?

- დიახ, - ივონას სახე გაებადრა.

- ძალიან გტკივა?

- ასეთი რამე ადამიანს არ სტკივა, - თქვა და ფრთხილად დაწვა. - იცით, ექიმო, პირველად მადამ როლანდა სამუშაოდ არ მიშვებდა სტუმრებთან. ვთხოვე, მხოლოდ ერთი საათით, სცადეთ-მეთქი, სულ ერთი საათით! აი, ნახავთ-მეთქი. ახლა კი ჩემი ჩალურჯებული უკანალით მეტი წარმატება მაქვს, ვიდრე უწინ.

- რატომ?

- მეც არ ვიცი. ზოგი ამისათვის გიჟდება. ეტყობა, კაცებს აღაგზნებს. ამ სამ დღეში ორას ორმოცდაათი ფრანკი ვიშოვე. კიდევ რამდენ ხანს მექნება ასე ჩალურჯებული?

- სულ მცირე, ორი-სამი კვირა.

ივონამ ენა გააწკლაპუნა.

- თუ ასე გაგრძელდება, ქურქს ვიყიდი. მელიის ან კატის გადასარევად შეღებილ ბეწვის ქურქს.

- თუ არ გეყოფა, შენი მეგობარი დაგეხმარება - ერთხელ კიდევ ლაზათიანად დაგჟეჟავს.

- ამას აღარ იზამს, - მკვირცხლად მიუგო ივონამ. - მხეცი კი არ არის! ძუნწი არამზადა ხომ არ გგონიათ? მარტო ეჭვიანობის გამო აკეთებს ამას. თუ მოუარა - მტრისას. ისე, კიდევაც რომ დავუჩოქო და შევეხვეწო, არ იზამს.

- რას იზამ, ხასიათია, - რავიკმა შეხედა. - ჯანმრთელი ხარ, ივონა.

ქალი წამოდგა.

- მაშინ წავედი სამუშაოდ. ქვემოთ ერთი თეთრწვერა ბერიკაცი მელოდება. ჩალურჯებული უკანალი ვუჩვენე და ლამის გაგიჟდა. საწყალს შინ ხმას არ აღებინებენ. ეტყობა, ერთთავად თავისი დედაბრის გატყეპვაზე ოცნებობს, - ივონამ გადაიკისკისა. - ექიმო, რა სასაცილოა ცხოვრება, არა? - თქვა და თავმომწონედ, ტანის რხევით გავიდა.

რავიკმა ხელები დაიბანა, ნახმარი ხელსაწყოები აალაგა და ფანჯარასთან მივიდა. ვერცხლისფერი მწუხრი წვებოდა სახლებზე. გაშიშვლებული ხეები ისე ამოშვერილიყო ასფალტიდან, თითქოს მიცვალებულთა ხელებიაო. მიწით სავსე სანგრებში პოულობდნენ ხშირად ასეთ ხელებს.

ფანჯარა გააღო და გადაიხედა. დღესა და ღამეს შორის მოტორტმანე საათი არარეალურობისა, საათი სიყვარულისა პატარა სასტუმროებში - ცოლიანი მამაკაცებისათვის, ღირსებით აღვსილნი საღამოობით მაგიდას რომ მიუსხდებიან ხოლმე თავიანთ ოჯახებში; საათი, როდესაც ლომბარდიის დაბლობის ბინადარი იტალიელი ქალები უკვე იწყებენ ღამე ნებისას თქმას; სასოწარკვეთილებისა და ოცნების საათი.

ფანჯარა დახურა. ოთახში თითქოს ბინდი ჩამოწვა. აჩრდილები შემოსრიალდნენ, კუთხეებში მოიკალათეს და ჩურჩული ატეხეს. როლანდას მოტანილი კონიაკის ბოთლი მაგიდაზე კრიალა ტოპაზის ქვასავით ციმციმებდა. რავიკი ერთი წამით შეჩერდა, შემდეგ ძირს ჩავიდა.

დიდი დარბაზი გაჩახჩახებული იყო. მუსიკა უკრავდა. ვარდისფერპერანგიანი ქალიშვილები ორ რიგად ისხდნენ, მკერდი ყველას გაღეღილი ჰქონდა - მუშტრებს უნდა ენახათ, რა საქონელს ყიდულობდნენ. ექვსიოდე კაცი უკვე მოსულიყო. ესენი შუა ხნის წვრილი ბურჟუები იყვნენ. ფრთხილმა სპეციალისტებმა იცოდნენ, რა დროს უნდა მოსულიყვნენ, ქალური სენისაგან თავი რომ დაეზღვიათ. ივონა თავის მოხუცთან იყო. სტუმარი მაგიდასთან იჯდა, წინ ერთი ბოთლი ,,დუბონე'' ედგა. ივონას ცალი ფეხი სკამზე შემოედო და შამპანურს შეექცეოდა. ყოველ ბოთლში ათი პროცენტი მისი იყო. ძალზე გაგიჟებული უნდა ყოფილიყო მამაკაცი, ამდენი ფული რომ დაეხარჯა. შამპანურს მხოლოდ უცხოელები უკვეთდნენ. ივონამ იცოდა ეს და თავი ისე ეჭირა, როგორც ცირკის მომთვინიერებელს.

- დაამთავრე, რავიკ? - ჰკითხა როლანდამ, კარში რომ იდგა.

- ყველაფერი წესრიგშია.

- რამეს ხომ არ დალევ?

- არა, როლანდა. სასტუმროში უნდა გავბრუნდე. ეს წუთია, მუშაობა დავამთავრე, ცხელი აბაზანის, სუფთა საცვლების მეტი არაფერი მინდა.

გასასვლელისაკენ გაემართა. ქუჩაში უკვე იისფერთვალება საღამო იდგა. ლურჯ ცაზე თვითმფრინავი გუგუნებდა. პატარა შავი ჩიტუნა გალობდა ხის ტოტზე. მძიმედ დაავადებული ქალი, რომელსაც კიბო ჭამს, პატარა სახიჩარი, თავის რენტას რომ ანგარიშობს, პირველი შაშვი ხის ტოტებზე - ყოველივე ამან გვერდით ჩაიარა. ის კი, ყველაფრისადმი გულგრილი, ნელა მიხეტიალობს სიბნელეში, თბილი პურის სუნს აფრქვევს და ქალთან მიდის.

- კიდევ გინდა კალვადოსი?

ჟოანმა თავი დაუქნია.

- ცოტა კიდევ დავლიოთ.

რავიკმა კელნერი მოიხმო.

- უფრო ძველი კალვადოსი თუ გაქვთ?

- ეს ცუდია?

- კარგია, მაგრამ, იქნებ, სარდაფში სხვაც გქონდეთ?

- ახლავე ვნახავ.

კელნერმა გვერდით ჩაუარა სალაროსთან მთვლემარე დიასახლისს, კალთაში რომ კატა ჩაესვა, და მქრქალმინიანი კარის მიღმა კანტორაში მიიმალა, სადაც უფროსი ანგარიშით იყო გართული. ერთი წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა, ამაყი და დარბაისელი, სარდაფის კიბეს მიაშურა ისე, რომ რავიკის მხარეს არც გაუხედავს.

- ჩანს, ყველაფერი გვარდება, - თქვა რავიკმა.

კელნერი დაბრუნდა, ხელში ბოთლი ეჭირა, არტახებში გახვეული ბავშვივით უფრთხილდებოდა. ბოთლი ჭუჭყიანი იყო და სულაც არ ჰგავდა იმათ, ტურისტების დასანახად საგანგებოდ მტვერს რომ აყრიან. ძალიან დასვრილი ბოთლი იყო, მრავალი წლის განმავლობაში სარდაფში შემონახული. კელნერმა ფრთხილად ახადა თავი, საცობი დაყნოსა, მერე კი ორი დიდი სირჩა მოიტანა.

- ინებეთ, მუსიე, - უთხრა რავიკს და ცოტა კალვადოსი დაუსხა სასმისის ფსკერზე.

რავიკმა სირჩა აიღო და სასმლის სურნელება შეისუნთქა. შემდეგ მოსვა, სკამის ზურგს მიეყრდნო და კმაყოფილებით დააქნია თავი. კელნერმაც დიდი ამბით დაუქნია თავი და სასმელი ორივე სირჩაში დაასხა.

- გასინჯე ერთი, - უთხრა რავიკმა ჟოანს.

ქალმა ბაგე შეახო და სასმისი ისევ მაგიდაზე დადგა, კელნერი თვალს ადევნებდა. ჟოანმა რავიკს გაოცებით გადახედა.

- ასეთი კალვადოსი არასოდეს დამილევია, - თქვა და მეორე ყლუპი მოსვა. - თითქოს კი არ სვამ, სუნთქავ.

- სწორედ ასე გახლავთ, მადამ, - კმაყოფილებით განაცხადა კელნერმა. - ძალიან ნატიფად შენიშნეთ.

- რავიკ, - თქვა ჟოანმა. - შენ ძალიან რისკავ. ამ კალვადოსის შემდეგ ვეღარაფერს დავლევ.

- არაფერია, დალევ.

- მაგრამ ყოველთვის ამაზე ვიოცნებებ.

- ძალიან კარგი. ამით შენ ეზიარები კალვადოსის რომანტიკას.

- მაგრამ სხვა უკვე აღარასოდეს მომეჩვენება გემრიელი.

- პირიქით, უფრო გემრიელი მოგეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია. ერთ კალვადოსს დალევ, მეორეზე იფიქრებ, და უკვე ამით უბრალო სასმელი ნაკლებად ჩვეულებრივი მოგეჩვენება.

ჟოანმა გაიცინა.

- რა სისულელეა! ეს თვითონაც კარგად გესმის.

- დიახაც, რომ სისულელეა. მაგრამ ადამიანი ხომ სისულელეებით ცხოვრობს და კიდევ მკაცრი ფაქტებით! სხვაგვარად სიყვარულს რა დღე დაადგებოდა!

- რა შუაშია აქ სიყვარული?

- ძალიანაც შუაშია. სწორედ აქ იჩენს თავს მონაცვლეობა. ასე რომ არ იყოს, მხოლოდ ერთხელ შევძლებდით სიყვარულს და სხვას ყველაფერს უარვყოფდით. ასე კი მიტოვებული ან მიმტოვებელი ადამიანის დარდი შარავანდედით მოსავს იმას, ვინც შემდეგ მოვიდა, და ერთის დაკარგვის შემდეგ მეორე თავისებური რომანტიკული იერით წარმოდგება ჩვენ წინაშე. თავის გადასარჩენად მოგონილი ძველი, წმინდა სიყვარული ტყუილია.

ჟოანი სახეში მიაშტერდა.

- როცა მსჯელობ, პირდაპირ მძაგს შენი მოსმენა.

- თვითონაც მძაგს.

- არ გაბედო ასე ლაპარაკი ხუმრობითაც კი. სასწაულს ნამდვილ ტაკიმასხარაობად აქცევ.

რავიკმა პასუხი არ გასცა.

- მეჩვენება, თითქოს ყველაფერი მოგბეზრდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობ, რომ მიმატოვო.

რავიკმა ფარული სინაზით შეხედა.

- ნუ წუხხარ, ჟოან, ეს არასოდეს მოხდება. მოვა დრო და შენ პირველი მიმატოვებ. ეს უდავოა.

ქალმა ისარნაკრავივით დადგა სირჩა მაგიდაზე.

- რა სისულელეს ამბობ! მე შენ არასოდეს მიგატოვებ. რა გინდა ჩამაგონო?

თვალებიო, გაიფიქრა რავიკმა. თითქოს ელვას სტყორცნიდნენ, მოციმციმე სანთლების ქაოსში შობილ ნაზ, მოწითალო ელვას.

- ჟოან, - უთხრა, - არაფრის ჩაგონება არ მინდა. გიამბო კლდისა და ტალღის ზღაპარი? ძველი ამბავია. მომისმინე. იყო და არა იყო რა, იყო ერთი ტალღა და უყვარდა ფრიალო კლდე, სადღაც ზღვაში, ვთქვათ, კაპრის უბეში აღმართული. ქაფისა და შხეფების კორიანტელში ახვევდა, დღე და ღამე კოცნიდა, ეხვეოდა თავისი თეთრი ხელებით. ოხრავდა, ტიროდა და ევედრებოდა: „მოდი, ჩემთან, კლდეო!“ უყვარდა, ზედ ეხლებოდა და ნელ-ნელა შლიდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს სრულიად დაშლილი კლდე შეირხა, წამოიქცა და ტალღის მკლავებში გადაეშვა.

რავიკმა კალვადოსი მოსვა.

- მერე? - ჰკითხა ჟოანმა.

- მერე უეცრად კლდე გაქრა, ტალღა კი ვეღარავის გაეთამაშა, ვეღარავინ შეიყვარა, ვერავისთვის იდარდა. კლდე ტალღაში ჩაიხრჩო. ახლა ის მხოლოდ ზღვის ფსკერზე მდებარე ლოდი იყო. ტალღას იმედი გადაეწურა, ეგონა, მომატყუესო, და მოკლე ხანში სხვა კლდე მონახა.

- მერე? - ჟოანი უნდობლად შესცქეროდა. - რა გამოდის ახლა აქედან? კლდე უნდა დარჩეს კლდედ.

- ტალღები ყოველთვის ასე ლაპარაკობენ. მაგრამ მოძრავი მუდამ უფრო ძლიერია უძრავზე. წყალი კლდეზე ძლიერია.

ქალი ამ სიტყვებს მოუთმენელი ჟესტით შეხვდა.

- რა შუაში ვართ აქ მე და შენ? ეს ხომ მხოლოდ ზღაპარია, მოგონილი არაკი. თუ ისევ დამცინი? თუ საქმე საქმეზე წავა, შენ უფრო მიმატოვებ! უეჭველია.

- ეს იქნება შენი უკანასკნელი სიტყვა, რასაც მიტოვების წინ მეტყვი, - თქვა რავიკმა და გაიცინა. - იტყვი, სწორედ შენ მიმატოვეო. თანაც მრავალ საბუთს მოიტან... თვითონვე დაიჯერებ, რომ ეს საბუთები სწორია... და იქნები მართალი ქვეყნიერების უძველესი სამსჯავროს - ბუნების წინაშე.

რავიკმა კელნერი მოიხმო.

- შეიძლება ამ ერთი ბოთლი კალვადოსის ყიდვა?

- გინდათ თან წაიღოთ?

- თუ ნებას მოგვცემთ.

- მუსიე, ჩვენთან ეს მიღებული არ არის. გასატანად არ ვვაჭრობთ...

- ჰკითხეთ უფროსს.

კელნერი დაბრუნდა, ხელში გაზეთი ეჭირა. ეს იყო „პარი სუარი“.

- უფროსი თანახმაა თქვენთვის გამონაკლისი დაუშვას, - განაცხადა, საცობი დააცო და ბოთლი „პარი სუარში“ გაუხვია ისე, რომ სპორტული დამატება წინასწარ ჩაიდო ჯიბეში. - აი, ინებეთ, მუსიე! ჯობს ბნელ და გრილ ადგილზე შეინახოთ. ეს ჩვენი უფროსის პაპის ფერმის კალვადოსი გახლავთ.

რავიკმა ფული გადაიხადა. ბოთლი აიღო და შეათვალიერა.

- ჩვენთან დარჩი, მზის სითბოვ. ხანგრძლივ ცხელ ზაფხულსა და ცისფერ შემოდგომაზე ვაშლის ხეებს ათბობდი ძველ, მიტოვებულ ნორმანდიულ ბაღში. ახლა კი ასე ძლიერ გვესაჭიროები...

ქუჩაში გამოვიდნენ. წვიმა დაიწყო. ჟანი შეჩერდა.

- რავიკ, გიყვარვარ?

- კი, ჟან. უფრო მეტად, ვიდრე შენ გგონია.

ქალი მიეხუტა.

- ზოგჯერ ამის დაჯერება ძნელია...

- რატომ? განა მაშინ დაგიწყებდი ასეთი ზღაპრების მოყოლას?

- უფრო მასიამოვნებდი, სხვა ზღაპრები რომ მოგეყოლა.

კაცი იღიმებოდა.

- ჟან! განა სიყვარული გუბურის სარკისებრი ზედაპირია, რომ ყოველთვის შეიძლებოდეს მისი დანახვა? მას მოქცევა და უკუქცევა აქვს. დაღუპული ხომალდების ნამუსრევები, ჩაძირული ქალაქები, რვაფეხები, ქარიშხლები, ოქროთი სავსე სკივრები, მარგალიტები... მარგალიტები კი მხოლოდ დიდ სიღრმეზე ძევს.

- ამისი არა ვიცი რა. სიყვარული - ეს არის, როცა ადამიანები ერთმანეთს ეკუთვნიან სამუდამოდ.

სამუდამოდო, გაიფიქრა რავიკმა, ძველი საბავშვო ზღაპარია. წუთი რაა, იმასაც კი ვერ შეაკავებ!

ჟანმა პალტო შეიკრა.

- მინდა ზაფხული დადგეს, - თქვა, - ჩემს სიცოცხლეში არ მქონია მისი მოლოდინი ისე, როგორც წლეულს.

ჟანმა კარადიდან შავი საგარეო კაბა გამოიღო და ლოგინზე მიაგდო.

- როგორ მძულს ზოგჯერ ეს მარად შავი კაბა! მარადიული „შეჰერეზადა“! მუდამ ერთი და იგივე!.. მუდამ...

რავიკმა გადახედა, მაგრამ არაფერი უპასუხა.

- ნუთუ არ გესმის? - ჰკითხა ქალმა.

- ძალიანაც კარგად მესმის...

- მაშ, რატომ არ გამომიყვან იქიდან, ძვირფასო?

- მერე, სად წაგიყვანო?

- საითაც გინდა! საითაც გნებავს!

რავიკმა თან წამოღებული კალვადოსის ბოთლი აიღო და საცობი მოაძრო. შემდეგ სასმისი აავსო.

- აიღე, - უთხრა, - დალიე.

ჟოანმა იუარა.

- არ მიშველის. ზოგჯერ სვამ და არ გშველის. ხშირად არაფერი გშველის. აღარ მინდა საღამოს იქ წასვლა, იმ იდიოტებთან.

- მაშინ დარჩი.

- მერე?

- დარეკავ და ეტყვი, რომ ავადა ხარ.

- მერე, ხვალ ხომ მაინც მომიხდება წასვლა? ეს ხომ უარესია.

- შეგიძლია რამდენიმე დღით თავი მოიავადმყოფო.

- ამით არაფერი შეიცვლება. - რავიკს შეხედა. - რა მომდის? რა მომდის, ძვირფასო?.. იქნებ, წვიმის ბრალია ან ღამის წყვდიადისა! ხანდახან მგონია, კუბოში ვწევარ. მწუხრის უღიმღამო საათებში ვიძირები. მხოლოდ იმ პატარა რესტორანში დამავიწყდა ეს ყველაფერი, ბედნიერი ვიყავი შენთან... რატომ ამბობდი, ადამიანები ერთიმეორეს ტოვებენო? არაფერი მინდა ვიცოდე ამაზე, არაფრის გაგონება არ მინდა! ეს გულს ადარდიანებს, უეცრად მოუსვენარი მოჩვენებანი წამოსწევენ თავს, სადღაც გაქცევა მოგინდება... ვიცი, ცუდი არაფერი გინდოდა გეთქვა, მაგრამ გული კი შემეკუმშა. აქ კიდევ ეს წვიმა და სიბნელე. შენთვის ეს გაუგებარია. ძლიერი ხარ.

- ძლიერი? - ჩაეკითხა რავიკი.

- დიახ.

- საიდან იცი?

- არასოდეს არაფრის გეშინია.

- მე უკვე აღარაფრის მეშინია. ეს ერთი და იგივე არ არის, ჟოან.

ქალი რავიკს აღარ უსმენდა, ფართო ნაბიჯებით დადიოდა ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე. იფიქრებდით, ოთახი ევიწროებაო. „ყოველთვის ასე დადის, თითქოს ქარის შესახვედრად მიდისო“, გაიფიქრა რავიკმა.

- მინდა ყველაფერს გავექცე, - ამბობდა ქალი, - ამ ოტელს, ღამის კლუბს. მამაკაცების ჩაციებულ შემოხედვას. წავიდე, წავიდე აქედან! - წუთით შეჩერდა, - რავიკ, ნუთუ ასე უნდა ვიცხოვროთ, როგორც ახლა ვცხოვრობთ? განა ჩვენ არ შეგვიძლია ვიცხოვროთ ისე, როგორც სხვა ადამიანები ცხოვრობენ, ადამიანები, რომელთაც ერთმანეთი უყვართ? გავატაროთ ერთად საღამოები, გვქონდეს საკუთარი ნივთები, დავტკბეთ სიმშვიდით... არ ვისხდეთ მუდამ ჩემოდნებზე, დავივიწყოთ ოტელის ნომრებში გატარებული ეს უსაგნო დღეები, როცა თავი ასე გეუცხოება...

რავიკი გულჩათხრობილი ჩანდა. აი, ხედავ? გაიფიქრა ისე, რომ ოდნავადაც არ გაჰკვირვებია. დიდი ხანია, ელოდა ასეთ ლაპარაკს.

- ჟოან, ნამდვილად გგონია, რომ შეგვიძლია ასე ცხოვრება?

- ხელს რა გვიშლის? სხვას ყველას ხომ აქვს ყველაფერი ეს! თბილად არიან, ერთად არიან, ცხოვრობენ საკუთარ ბინებში... დახურავ კარს და - მორჩა. ვერავითარი მოუსვენრობა კედლებში ვეღარ შემოჟონავს, როგორც აქ.

- ნამდვილად ასე მიგაჩნია? - გაიმეორა რავიკმა.

- რა თქმა უნდა.

- პატარა მყუდრო ოთახი პატარა მეშჩანური ბედნიერებით. პატარა მყუდრო სიმშვიდე ვულკანის კიდესთან. ნამდვილად შესაძლებელი გგონია ეს?

- შეიძლებოდა სხვა სიტყვების პოვნა, - ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ჟოანმა, - ასეთი აგდებული სიტყვების ნაცვლად. როცა უყვართ, სხვანაირ სიტყვებს პოულობენ.

- საქმე სიტყვები როდია, ჟოან. ნუთუ სერიოზულად ფიქრობ ასე? ჩვენ ხომ ასეთი ცხოვრებისათვის არ ვართ შექმნილი!

ქალი მის წინ გაჩერდა.

- ცდები, მე ვარ!

რავიკმა გაიღიმა. მის ღიმილში იყო სინაზე, ირონია და სევდა.

- არა, ჟოან, - უთხრა, - არც შენა ხარ ამისათვის შექმნილი. შენ კიდევ უფრო ნაკლებად, ვიდრე მე. მაგრამ მთავარი ეს როდია. არის სხვა მიზეზიც.

- ჰო, - მწარედ შენიშნა ქალმა, - ვიცი.

- არა, ჟოან, არ იცი, მაგრამ გეტყვი. ყველაფერი ნათელი უნდა იყოს. ასე ჯობს.

ქალი ისევ მის წინ იდგა.

- ყველაფერს ორი სიტყვით გეტყვი, - განაგრძო რავიკმა, - შემდეგ კი ნუღარაფერს მკითხავ.

ქალმა არ უპასუხა. უეცრად სახე ისეთივე არაფრისმთქმელი გაუხდა, როგორიც სულ პირველად ჰქონდა. რავიკმა ხელი მოჰკიდა.

- საფრანგეთში არალეგალურად ვცხოვრობ, - უთხრა, - დოკუმენტები არა მაქვს. აი, რატომ ვერასოდეს ვიქირავებ ბინას, რატომ ვერასოდეს მოვიყვან ცოლს, ქალი რომც შემიყვარდეს. საამისოდ საჭიროა მოწმობა და ვიზები. არც ერთი მაქვს, არც - მეორე. მუშაობის უფლებაც კი არ მაქვს. მხოლოდ ფარულად თუ ვიმუშავებ. ვერასოდეს შევძლებ სხვანაირად ცხოვრებას, მხოლოდ ისე უნდა ვიცხოვრო, როგორც ახლა ვცხოვრობ.

ქალი თვალებდაჭყეტილი შესცქეროდა.

- ეს მართალია?

რავიკმა მხრები აიჩეჩა.

- ათასობით ადამიანი ცხოვრობს ასე. ეს არავისთვის არის საიდუმლო. მგონია, არც შენთვის... მე მხოლოდ ერთი იმ ათასთაგანი ვარ, - გაიღიმა და ქალს ხელი გაუშვა, - უმომავლო ადამიანი, როგორც მოროზოვი ამბობს.

- დიახ... მაგრამ...

- არსებითად, თავს არც ისე ცუდად ვგრძნობ. ვმუშაობ, ვცხოვრობ, მყავხარ შენ... რა მნიშვნელობა აქვს დანარჩენს!

- პოლიცია?

- ძალიან არ ედარდება?!. თუ შემთხვევით ხელთ ჩავუვარდები, გამასახლებენ. ეს არის და ეს. მაგრამ ეს ნაკლებად მოსალოდნელია. ახლა კი დარეკე ,,შეჰერეზადაში'' და უთხარი, რომ დღეს ვერ მიხვალ. ეს საღამო ჩვენი იყოს, მთლიანად ჩვენი. უთხარი, ავად ვარ-თქო. თუ ცნობა დაგჭირდება, ვებერი დაგვეხმარება.

ჟოანი ადგილიდან არ დაძრულა.

- გაგასახლებენ, - თქვა, თითქოს ახლა მისწვდა ქალის ყურს რავიკის ნათქვამი. - გაგასახლებენ... საფრანგეთიდან... და ჩემთან აღარ იქნები?

- ძალიან ცოტა ხნით.

ჩანდა, ქალი აღარ უსმენდა.

- აღარ იქნები, - თქვა ისევ. - აღარ იქნები! მაშინ მე რაღა ვქნა!

რავიკმა გაიღიმა.

- დიახ, - უთხრა, - მართლაც, რა უნდა ქნა მაშინ?

ქალმა ხელები მუხლებზე დაიწყო და გაირინდა.

- ჟოან, - უთხრა რავიკმა. - უკვე ორი წელიწადია, პარიზში ვარ და ჯერ არაფერი მომსვლია.

ქალს სახის გამომეტყველება არ შესცვლია.

- რომ მოგივიდეს?

- მაშინ მალე დავბრუნდები. ერთი-ორი კვირის შემდეგ. რაღაც პატარა მოგზაურობასავით არის, მეტი არაფერი. ახლა კი ,,შეჰერეზადაში'' დარეკე.

ქალი ნელა წამოდგა.

- რა ვუთხრა?

- უთხარი, ბრონქიტი მაქვს-თქო. ჩახლეჩილი ხმით ილაპარაკე.

ჟოანი ტელეფონთან მივიდა. მერე სწრაფად მობრუნდა.

- რავიკ...

რავიკმა ფრთხილად მოიცილა და უთხრა:

- კმარა, დაივიწყე. შეიძლება ჩვენთვის ეს უკეთესიც იყოს - ვნების რანტიე არ გავხდებით. და ჩვენი სიყვარულიც შეინახება, როგორც ცეცხლი... არ გადაიქცევა სამზარეულოს კერად, სადაც საოჯახო საჭმელებს ამზადებენ... ახლა კი დარეკე.

ჟოანმა ყურმილი აიღო. რავიკი თვალს ადევნებდა. საუბრის დასაწყისში ქალი თითქოს რაღაც სხვაზე ფიქრობდა, წამდაუწუმ შეშფოთებული გადმოხედავდა რავიკს, თითქოს ეშინია, სადაც არის დაიჭერენო. მერე კი როლში შეიჭრა და იოლად მოჰყვა ტყუილს, თანაც ისე, რომ სიმართლეს ჰგავდა. მეტიც კი იცრუა, ვიდრე საჭირო იყო. სახე გამოუცოცხლდა, ახლა ნამდვილად აღბეჭდვოდა ტკივილი, რომელზედაც ასე ცოცხლად ლაპარაკობდა. ხმაში დაღლილობა შეეპარა, სულ უფრო ეხლიჩებოდა, ბოლოს კი ხველებასაც მოჰყვა. მზერა სადღაც სივრცეში ჰქონდა მიპყრობილი, განზე, რავიკს ვეღარც ამჩნევდა. რავიკმა კალვადოსი მოსვა. არავითარი კომპლექსიო, გაიფიქრა. ესაა სარკე, ყველაფერს რომ არეკლავს და არაფერს ინარჩუნებს.

ჟოანმა ყურმილი დაკიდა და ხელი თმაზე გადაისვა.

- ყველაფერი დამიჯერეს.

- ჩინებულია! ისე ლაპარაკობდი, თითქოს გიკარნახესო.

- წოლა მირჩიეს და, თუ ხვალამდე არ გაგივლის, ღვთის გულისათვის, ნუ ადგებიო.

- აი, ხედავ? მაშ, საქმე ხვალისთვისაც მოგვარებულია.

- დიახ, - დაემოწმა ქალი და წამით შუბლი შეიკრა. - მოგვარებული... - შემდეგ რავიკთან მივიდა.

- როგორ შემაშინე, რავიკ. თქვი, რომ ყველაფერი ეს ტყუილია. შენ ხომ ხშირად ლაპარაკობ ისე, ზოგადად. მითხარი, რომ ეს ტყუილია, ისე არ არის, როგორც მიამბე.

- ტყუილია.

ქალმა თავი მხარზე დაადო.

- არც შეიძლება მართალი იყოს. არ მინდა, ისევ მარტო დავრჩე. შენ ჩემთან უნდა იყო. მე არარაობა ვარ, თუ მარტო ვარ. არარაობა ვარ უშენოდ, რავიკ.

- ჟოან, - მიმართა რავიკმა, - ხან მეკარის ასულს მაგონებ, ხან - დიანას, ტყიდან მოსულს, ხან კიდევ - ერთსაც და მეორესაც.

ქალი არ შერხეულა. თავი უწინდებურად მხარზე მიადო.

- ახლა რომელი ვარ?

- ახლა ვერცხლისმშვილდიანი დიანა ხარ, უვნებელი და მომაკვდინებლად საშიში.

- უფრო ხშირად მითხარი ასეთი სიტყვები.

რავიკს ხმა არ ამოუღია. ჟოანმა ვერ გაუგო, რისი თქმა სურდა. თუმცა, არც ჰქონდა ამას მნიშვნელობა. ქალი იღებდა მხოლოდ იმას, რაც გამოადგებოდა, და ისე, როგორც სურდა. დანარჩენზე არ ნაღვლობდა. მაგრამ სწორედ ეს იყო ამ ქალში ყველაზე უფრო მომხიბლავი. ან განა შეიძლება დაინტერესდე ადამიანით, რომელიც ყველაფერში შენი მსგავსია? ვის ესაჭიროება მორალი სიყვარულში? მორალი სუსტების მოგონილია, მარცხიან ადამიანთა საცოდავი კვნესა.

- რაზე ფიქრობ? - ჰკითხა ქალმა.

- არაფერზე.

- სულ არაფერზე?

- არა, სულ არაფერზე კი არა! - მიუგო რავიკმა. - მოდი, სადმე წავიდეთ ცოტა ხნით, იქ, სადაც მზეა, კანში ან ანტიბში. ეშმაკმა დალახვროს სიფრთხილე! ჯანდაბას ოცნება სამოთახიან ბინაზე და მეშჩანურ მყუდროებაზე. ეს ჩვენთვის არ არის მოგონილი. განა ღამით, როცა ზაფხულზე შეყვარებული მთელი გავარვარებული ქვეყნიერება მთვარის ქვეშ წევს და ღრმა ძილს მისცემია, არ გეჩვენება, რომ შენ ბუდაპეშტის ყველა ბაღი ხარ, რომ აყვავებულ წაბლის ხეივანთა სურნელება ხარ! რა თქმა უნდა, მართალი ხარ! გავშორდეთ, გავეცალოთ სიბნელეს, სიცივესა და წვიმას! თუნდაც რამდენიმე დღით.

ქალი სწრაფად გასწორდა და რავიკს შეხედა.

- არ ხუმრობ?

- არა.

- მაგრამ... პოლიცია...

- ჯანდაბას პოლიცია! ამაზე მეტი საფრთხე არც იქაა. კურორტებზე ტურისტებს არც ისე მკაცრად ამოწმებენ, მეტადრე ძვირფას ოტელებში. ანტიბში არასოდეს ყოფილხარ?

- არა. არასოდეს. ვიყავი მხოლოდ იტალიაში, ადრიატიკის სანაპიროზე. როდის წავალთ?

- ორი-სამი კვირის შემდეგ. გახურებულ სეზონზე.

- მერე ფული გაქვს?

- ცოტა გვაქვს. ორი კვირის შემდეგ საკმარისად გვექნება.

- პატარა პანსიონში შეგვიძლია დავსახლდეთ.

- პანსიონი შენ არ შეგეფერება. შენ ან ისეთ სოროში უნდა ცხოვრობდე, როგორიც ესაა, ან კიდევ პირველი კლასის ოტელში. ჩვენ ოტელ „კაპში“ გავჩერდებით. მდიდრულ ოტელებში თავს სრულიად უშიშრად გრძნობ - დოკუმენტებს არც კი ითხოვენ. ამ დღეებში მუცელი უნდა გამოვუფატრო ერთ საკმაოდ წარჩინებულ გვამს - რომელიღაც მაღალი თანამდებობის მოხელეს. ის შეავსებს იმ თანხას, რაც გვაკლია.

ჟოანი სწრაფად წამოდგა. სახე უბრწყინავდა.

- მომეცი კიდევ კალვადოსი, - უთხრა რავიკს. - მართლაც, განსაკუთრებულია... საოცნებო სასმელია...

ლოგინთან მივიდა და თავისი საგარეო კაბა აიღო.

- ღმერთო ჩემო, მე რომ არაფერი გამაჩნია? მხოლოდ ეს ძველი ჩვრები მაქვს!

- არა უშავს, რაიმეს მოვიფიქრებთ. ორ კვირაში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. მაგალითად, აპენდიციტი მაღალ საზოგადოებაში ან მილიონერის ძვლის რთული მოტეხილობა...

## თავი მეთოთხმეტე

ანდრე დიურანი გულწრფელად იყო აღშფოთებული.

- თქვენთან მუშაობა აღარ შეიძლება, - განაცხადა.

რავიკმა მხრები აიჩეჩა. ვებერმა უთხრა, დიურანი ოპერაციისათვის ათი ათას ფრანკს მიიღებს, ხოლო თუ გასამრჯელოზე წინასწარ არ მოელაპარაკე, ორას ფრანკს მოგცემს და ყველაფერი ამით გათავდებაო. სწორედ ასე მოხდა უკანასკნელადაც.

- ოპერაციის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე! დოქტორო რავიკ, ასეთ რამეს თქვენგან არ ველოდი.

- არც მე.

- ხომ იცით, რომ ყოველთვის შეიძლება ენდოთ ჩემს დიდსულოვნებას. ვერ გამიგია, რატომ გახდით უეცრად ასეთი მერკანტილური. ფრიად არასასიამოვნოა. ფულზე ლაპარაკი იმ წუთებში, როცა პაციენტმა თავისი სიცოცხლე მოგვანდო...

- რა არის აქ არასასიამოვნო?

დიურანი რავიკს მიაშტერდა. მისი დანაოჭებული, ცანცარაწვერიანი სახე ერთიანად ღვიოდა ღირსებითა და აღშფოთებით. ოქროს სათვალე შეისწორა.

- რამდენს ვარაუდობთ? - ჰკითხა უხალისოდ.

- ორი ათას ფრანკს.

- რაო? - დიურანს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს დახვრიტეს და ჯერ ვერ დაუჯერებიაო. - პირდაპირ სასაცილოა, - მოუჭრა მოკლედ.

- რა გაეწყობა, - თქვა რავიკმა. - თქვენთვის ძნელი არ იქნება ჩემი შემცვლელის პოვნა. მაგალითად, ბინო გააკეთებს. შესანიშნავი დასტაქარია.

რავიკი თავის პალტოს მისწვდა. დიურანი თავზარდაცემული შესცქეროდა. მის ღირსებით აღსავსე სახეზე აზრის დაძაბული მუშაობის კვალი შეინიშნებოდა.

- მოითმინეთ! - შესძახა, როცა რავიკმა ქუდი აიღო, - განა შეგიძლიათ ასე უბრალოდ მიმატოვოთ და წახვიდეთ? რატომ არ გამაფრთხილეთ ამაზე გუშინ?

- გუშინ ქალაქგარეთ იყავით, ვერ გნახეთ.

- ორი ათასი ფრანკი! იცით თუ არა, რომ ასეთ თანხაზე კრინტის დაძვრასაც ვერ გავბედავ! პაციენტი ჩემი მეგობარია. მე შემიძლია გამოვართვა მხოლოდ საკუთარი ხარჯები.

გარეგნულად ანდრე დიურანი საბავშვო წიგნებიდან აღებულ უფალ ღმერთს ჰგავდა. თავისი სამოცდაათი წლის ასაკში ცუდი დიაგნოსტიკოსი როდი იყო, მაგრამ საშუალო ქირურგი გახლდათ. ახლანდელ ბრწყინვალე პრაქტიკას დიურანი უმთავრესად თავის ყოფილ ასისტენტს, ბინოს, უმადლოდა. ბინომ მხოლოდ ორი წლის წინ მოახერხა დამოუკიდებლობის მოპოვება. მას შემდეგ დიურანი რავიკს იწვევდა რთული ოპერაციების გასაკეთებლად. რავიკი ვირტუოზულად მუშაობდა. ისე ოსტატურად კვეთდა, რომ მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი ნაჭრილობევი რჩებოდა. დიურანი ბრწყინვალედ ერკვეოდა ბორდოს ღვინოებში, სიამოვნებით პატიჟებდნენ ხოლმე მაღალი საზოგადოების დღეობებზე, სადაც ეცნობოდა თავის მომავალ პაციენტებს.

- ეს რომ მცოდნოდა... - წაიდუდღუნა თავისთვის.

ეს ყოველთვის იცოდა. ამიტომაც მიემგზავრებოდა ხოლმე ყოველი რთული ოპერაციის წინ, ერთი ან ორი დღით ადრე, ქალაქგარეთ, აგარაკზე. არ უნდოდა წინასწარ ჰონორარზე ლაპარაკი. შემდეგ კი ყველაფერი უბრალოდ ხდებოდა: შეიძლებოდა დაპირება, რომ მომდევნო ოპერაციის დროს... ხოლო ყოველი მომდევნო ოპერაციის დროს იგივე მეორდებოდა. მაგრამ დღეს, დიურანის გასაოცრად, რავიკი ოპერაციის დასაწყისში კი არ გამოცხადაა, არამედ ნახევარი საათით ადრე დაადგა თავს თავის შეფს - ვიდრე პაციენტს დააძინებდნენ. ამრიგად, დრო საკმაოდ ბევრი რჩებოდა, რომ დიურანს ლაპარაკი არ შეემოკლებინა.

კარში მოწყალების დის თავი გამოჩნდა.

- შეიძლება ნარკოზის მიცემა, ბატონო პროფესორო?

დიურანმა ჯერ მოწყალების დას შეხედა, მერე რავიკს მიაპყრო ვედრებისა და კაცთმოყვარეობის გამომხატველი მზერა. რავიკმაც არანაკლებ კაცთმოყვარულად, მაგრამ მტკიცედ შეხედა.

- თქვენი აზრი, დოქტორო რავიკ? - ჰკითხა დიურანმა.

- თვითონ გადაწყვიტეთ, პროფესორო.

- დაო, ერთი წუთი გვადროვეთ. ჯერ კიდევ არ არის ჩვენთვის სრულიად ნათელი ოპერაციის მსვლელობა.

მოწყალების და გაქრა. დიურანი რავიკს მიუბრუნდა.

- რა ვქნათ? - ჰკითხა საყვედურის კილოთი.

რავიკმა ხელები ჯიბეში ჩაიწყო.

- გადადეთ ოპერაცია ხვალისათვის... ან ერთი საათით. უხმეთ ბინოს.

მთელი ოცი წელიწადი აკეთებდა ბინო ოპერაციებს დიურანის მაგიერ, მაგრამ თავის სასარგებლოდ ვერაფერს მიაღწია. დიურანი ყოველთვის უსპობდა უმცირეს შესაძლებლობას, რომ საკუთარ პრაქტიკაზე გადასულიყო, ერთთავად ჩასძახოდა, მხოლოდ გონიერი თანაშემწე ხარ - ხელმარჯვე შეგირდი, მეტი არაფერიო. ბინოს სძაგდა დიურანი და ოპერაციისათვის ხუთი ათასს მოსთხოვდა. რავიკმა ეს იცოდა. იცოდა დიურანმაც.

- დოქტორო რავიკ, - უთხრა დიურანმა. - ნუ დავიყვანთ ჩვენს პროფესიას ფინანსებზე დავამდე.

- ამაში გეთანხმებით.

- რატომ არ მომანდობთ ჰონორარის საკითხის გადაწყვეტას? აქამდე ხომ ყოველთვის კმაყოფილი იყავით?

- არასოდეს.

- მაშ, რატომ დუმდით?

- განა ჰქონდა აზრი თქვენთან ლაპარაკს? თანაც უწინ ფული იმდენად არ მაინტერესებდა. ახლა კი მაინტერესებს, მჭირდება.

მოწყალების და ისევ გამოჩნდა:

- პაციენტი ღელავს, ბატონო პროფესორო.

დიურანი და რავიკი დიდხანს შესცქეროდნენ ერთმანეთს. ძნელია ფრანგისთვის ფულის გამოგლეჯაო, გაიფიქრა რავიკმა, უფრო ძნელი, ვიდრე ებრაელისათვის წართმევა. ებრაელი მთელ გარიგებას ხედავს, ფრანგი - მხოლოდ ფულს, რომელსაც უნდა დაემშვიდობოს.

- ერთი წუთით, დაო, - უთხრა დიურანმა. - შეამოწმეთ მაჯა, გაზომეთ სისხლის წნევა, ტემპერატურა.

- ყველაფერი გაკეთებულია.

- მაშინ შეუდექით ნარკოზს.

მოწყალების და გავიდა.

- ასე იყოს, - თქვა დიურანმა უკვე გადაწყვეტილად. - ათასს მოგცემთ.

- ორი ათასს, - შეუსწორა რავიკმა.

დიურანი ყოყმანობდა და ნიკაპზე ცანცარა ჭაღარა წვერს იწეწავდა.

- მომისმინეთ, რავიკ, - უთხრა ბოლოს გულში ჩამწვდომი ხმით, - როგორც ემიგრანტს, რომელსაც აკრძალული გაქვთ პრაქტიკა და...

- არც თქვენთან მაქვს ოპერაციების გაკეთების უფლება, - დამშვიდებით განაგრძო და დაასრულა რავიკმა. ახლა ელოდა ტრადიციულ განცხადებას, რომ მადლიერი უნდა იყოს ქვეყნისა, რომელმაც თავშესაფარი მისცა.

მაგრამ დიურანმა თავი შეიკავა. ხედავდა, რომ დრო გადიოდა და ვერაფერს აღწევდა.

- ორი ათასი... - წარმოთქვა ისე მწარედ, თითქოს ამ სიტყვებთან ერთად მისი პირიდან ორი ათასფრანკიანი საკრედიტო ბილეთი გამოფრენილიყოს. - საკუთარი ჯიბიდან დამჭირდება გადახდა. მე კი მეგონა, გეხსომებოდათ ის, რაც თქვენთვის გავაკეთე.

დიურანი პასუხს ელოდა. საკვირველია, როგორ უყვართ ამ სისხლისმსმელებს მორალის კითხვაო, გაიფიქრა რავიკმა. ეს ბებერი გაიძვერა, საპატიო ლეგიონის ბაფთით დამშვენებული თაღლითი, მე მიყიჟინებს შანტაჟზე, როცა თვითონ უნდა იწვოდეს სირცხვილით. თანაც ჰგონია, მართალი ვარო.

- ამგვარად, ორი ათასი, - თქვა ბოლოს დიურანმა. - ორი ათასი, - გაიმეორა, თითქოს ეს ნიშნავდა: „ყველაფერი დასრულდა! მშვიდობით, ნაზო კაკბებო, მწვანე სატაცურო, ძველო სენტ ემილიონო! მშვიდობით, სამშობლოვ და ღმერთო ცათა შინა!“ - ახლა კი დავიწყოთ.

პაციენტს მრგვალი მსუქანი მუცელი და წვრილი ხელ-ფეხი ჰქონდა. რავიკმა შემთხვევით გაიგო, ვისთვის უნდა გაეკეთებინა ოპერაცია. ვინმე ლევალი იყო, ემიგრანტების საქმეს განაგებდა. ვებერმა ეს ამბავი რავიკს უთხრა, როგორც თავშესაქცევი ანეკდოტი. „ინტერნასიონალში“ ლევალის სახელი ყოველმა ლტოლვილმა იცოდა.

რავიკმა პირველი ჭრილი სწრაფად გააკეთა. ტყავი ისე გაიხსნა, როგორც წიგნის გვერდი. საჭერებით დაამაგრა და გარეთ გამოსული მოყვითალო ქონის სინჯვას შეუდგა.

- უფასო დანართის სახით, ამ ქონს რამდენიმე გირვანქით შევამსუბუქებთ. შემდეგ, რა თქმა უნდა, ისევ გაისქელებს, - უთხრა დიურანს.

დიურანმა არაფერი უპასუხა. რავიკი შეუდგა ქონის ფენის მოცილებას, რომ კუნთებზე გადასულიყო. აი, ეს ვაჟბატონია ლტოლვილთა მბრძანებელი, - გაიფიქრა რავიკმა. - ამ კაცს ასობით ადამიანის ბედი უჭირავს ამ გამხდარ ხელში, ახლა მიცვალებულის ხელივით უსიცოცხლო და უფერული რომ არის. ამან გასცა განკარგულება საფრანგეთიდან მოხუცი პროფესორის, მაიერის გასახლებაზე. მაიერს

ძალა აღარ ჰქონდა, ხელახლა ტანჯვის გზას დასდგომოდა, და გასახლებამდე ერთი დღით ადრე წყნარად ჩამოიხრჩო თავი ნომერში, კარადაში. სხვაგან კავი ვერსად იპოვა. პროფესორი შიმშილისაგან ისე გამხდარიყო, რომ ტანისამოსის კავმა კაცის სიმძიმეს გაუძლო. დილით მოსამსახურე გოგომ კარადაში ნახა რამდენიმე ძონძი და მათ შორის ის, რაც პროფესორ მაიერისაგან დარჩენილიყო. ამ სტომაქში რომ სიბრალულის ნასახი მაინც ყოფილიყო, პროფესორი დღესაც ცოცხალი იქნებოდა.

- საჭერი, - თქვა რავიკმა, - ტამპონი.

ოპერაცია გრძელდებოდა. ქირურგიული დანის ოქრომჭედლური სიზუსტე. მკაფიო ჭრილის პროფესიული გრძნობა. მუცლის ღრუ. შიგნეულის თეთრი, რგოლისებური ჭიები. აი, წევს გამოშიგნული მუცლითა და თავისი მორალური პრინციპებით. ო, რა თქმა უნდა, როგორც ადამიანს, ეცოდებოდა კიდეც მაიერი, მაგრამ, თანაგრძნობის გარდა, მას ჰქონდა, ეგრეთ წოდებული, ეროვნული მოვალეობის გრძნობაც. ადამიანი ყოველთვის გამონახავს შირმას, რომელსაც ამოეფარება ხოლმე. ყოველ უფროსს თავისი უფროსი ჰყავს. მერე განკარგულებები, მითითებები, ბრძანებები, ბოლოს მრავალთავიანი ჰიდრა, მორალი - აუცილებლობა - სასტიკი სინამდვილე - პასუხისმგებლობა ან როგორ ეძახიან კიდევ... ყოველთვის მოინახება შირმა, რომელსაც შეიძლება ამოეფაროს ადამიანი, რათა ადამიანურობის ყველაზე უბრალო კანონებს გვერდი აუაროს.

აი, ეს ნაღვლის ბუშტი, სნეული, ნახევრად დამპალი. ასე წაეხდინა როსინის ასობით ულუფას, სუკებს, ა ლა კანის შიგნეულს, მსუქანი ტყის ქათმების საწებლიან კერძებს, ასობით ბოთლ სანაქებო ბორდოს, ცუდ გუნებასთან შეზავებულს. მოხუც მაიერს არ ჰქონდა ასეთი საზრუნავი. რა იქნება, რომ ჭრილი ცუდად გააკეთოს, უფრო ფართოდ და ღრმად, ვიდრე საჭიროა?.. ერთი კვირის შემდეგ გამოჩნდება ახალი მოხელე საქაღალდეებით ჩრჩილით აშმორებულ კაბინეტში, სადაც შიშით აკანკალებული ლტოლვილები თავიანთი ბედის გადაწყვეტას ელოდებიან. შეიძლება ახალი მოხელე უკეთესი იყოს, შეიძლება უარესიც. ეს ჩასუქებული, სამოცი წლის კაცი, ახლა საოპერაციო მაგიდაზე რომ წევს, ნათურების დამაბრმავებელ შუქზე, უეჭველია, თავის თავს ჰუმანისტად თვლის. შეიძლება ლევალი ალერსიანი მამაც იყოს, მზრუნველი მეუღლეც... მაგრამ საკმარისია, სამსახურის კაბინეტის ზღურბლზე გადააბიჯოს, რომ იქცეს ტირანად, რომელიც ასეთ ფრაზებს აბნევს: ,,ხომ არ შეგვიძლია მართლა...“ ან ,,სადამდე მივალთ, თუ...“ განა დაიღუპებოდა საფრანგეთი, თუ მაიერი ყოველდღიურად თავისი მცირე ულუფის მიღებას განაგრძობდა? თუ როზენტალის ქვრივს ნებას დართავდნენ, ,,ინტერნასიონალში“ უწინდებურად სჭეროდა მოსამსახურისათვის განკუთვნილი სენაკი და საწამებელ სენაკში გამოკეტილ შვილს დალოდებოდა... თუ თეთრეულის მაღაზიის პატრონი შტალმანი, ჭლექით დასნეულებული, ექვს თვეს ციხეში არ გაატარებდა საზღვარზე უნებართვოდ გადასვლისათვის და ახალი გადასახლების წინ არ მოკვდებოდა?..

მაგრამ არა. კარგად იყო გაჭრილი. არც უფრო ფართოდ და არც უფრო ღრმად, ვიდრე საჭიროა. კეტგუტი. კვანძი. ნაღვლის ბუშტი. რავიკმა დიურანს უჩვენა. კაშკაშა შუქზე ბუშტი ქონში ზიმზიმებდა. გვერდით მოისროლა. განვაგრძოთ. რატომ კერავენ საფრანგეთში რევერდენის წესით? მოხსენით საჭერი! პატარა, თბილი მუცელი თვალსაჩინო მოხელისა, რომელსაც ოცდაათი-ორმოცი ათასი ფრანკი აქვს წლიური შემოსავალი. საიდან მოიტანა ათი ათასი ოპერაციისათვის? სად შოულობს დანარჩენს?

ოდესღაც იგი კენჭობანას თამაშობდა. ნაკერი კარგად ჯდება. ძალიან კოხტად... ორი ათასი ფრანკი ჯერ კიდევ აწერია სახეზე დიურანს, თუმცა სანახევროდ ნიღბითაა დაფარული. ეს ფული მის თვალებშია - თითო გუგაში, თითო ათასი. სიყვარული ხასიათს აფუჭებს. ასე რომ არ იყოს, განა მოვუწყობდი ასეთ შანტაჟს ამ რანტიეს და შევურყევდი დადგენილი წესრიგის ღვთაებრიობისა და ექსპლუატაციის კანონიერების რწმენას? ხვალ ეს თაფლივით კაცი დაშაქრული გამომეტყველებით მიუჯდება ღიპიანის ლოგინს და მოისმენს მადლობის სიტყვებს კარგად ჩატარებული ოპერაციისათვის... ფრთხილად, კიდევ ერთი საჭერი! ღიპიანი - ესაა ჟოანთან ერთად ანტიბში გატარებული ერთი კვირა. შუქის ერთი ნათელი კვირა ეპოქის ფერფლიანი ქარბორბალის შუაგულში. ლურჯი ცის ნაგლეჯი ჭექა-ქუხილის წინ... ახლა კი კანქვეშა ფენა. პირველხარისხოვანი ნაკერი - მაინც ორი ათასი ფრანკი. კარგი იქნებოდა, მაკრატელს რომ ჩაუტოვებდეს - მაიერის მოსაგონებლად. ნათურების თეთრი შუქი - როგორ სისინებენ! ასე რატომ ეფანტება აზრები? ალბათ, გაზეთებია. რადიო. მხდალთა და მატყუარათა უსასრულო ლაყბობა, ამაო როშვა, შეცდომაში შემყვანი სიტყვების ზვავი. დაბნეული ტვინები. ყოველნაირი დემაგოგიური ნეხვის მიღება. ადამიანები გადააჩვიეს შემეცნების ხმელი პურის ღეჭვას. უკბილო ტვინთა ჭყლეტა, დამთხვეულობა, სიჩლუნგე. ასე, ესეც მზადაა. დარჩა კანის გაკერვა. ერთი-ორი კვირის შემდეგ ისევ შეძლებს საფრანგეთიდან აცახცახებულ ლტოლვილთა გასახლებას. მაგრამ, იქნებ, ნაღვლის ბუშტის ამოღებამ უფრო კეთილი გახადოს? თუ ამის დარდით არ მოკვდა. თუმცა, ასეთები ოთხმოცი წლის ასაკში კვდებიან, პატივით გარემოცული ღორები, საკუთარ თავზე შეყვარებულნი, ამპარტავან ნაშიერებს შორის... მზადაა! მოაშორეთ!

რავიკმა ხელთათმანები წაიძრო და ნიღაბი ჩამოიხსნა. მაღალი თანამდებობის მოხელე უხმაურო ბორბლების შემწეობით გასრიალდა საოპერაციოდან. რავიკმა თვალი გააყოლა. ,,რომ იცოდე, ლევალ, შენი მაღალლეგალური ნაღვლის ბუშტი საშუალებას მომცემს მე, არალეგალურ ლტოლვილს, რამდენიმე დღე უაღრესად არალეგალურად გავატარო რივიერაზე!“, გაიფიქრა მან.

ხელების დაბანას შეუდგა. გვერდით დიურანი ედგა. ისიც აუჩქარებლად და მეთოდურად იბანდა ხელებს, სისხლის მაღალი წნევის მქონე მოხუცის ბებრულ ხელებს. გულმოდგინედ ისრესდა თითებს და ტაქტში ნელა ამოძრავებდა ყბებსაც, თითქოს რაღაცას ღეჭავსო. როცა სრესა თავდებოდა, ღეჭვაც განახლდებოდა ხოლმე. ამჯერად ხელებს განსაკუთრებით ნელა და დიდხანს იბანდა. ჩანს, რამდენიმე წუთით მაინც უნდა გადადოს ორი ათას ფრანკთან გამომშვიდობებაო, გაიფიქრა რავიკმა.

- რას ელოდებით? - ჰკითხა დიურანმა ცოტა ხნის შემდეგ.

- ჩეკს.

- ფულს გამოგიგზავნით, როცა პაციენტი მომცემს. ეს მოხდება კლინიკიდან მისი გაწერის რამდენიმე კვირის შემდეგ.

დიურანმა პირსახოცი აიღო და ხელები შეიმშრალა. შემდეგ ხელებზე ოდეკოლონი დაისხა და შეიზილა.

- იმედი მაქვს, ამდენად მაინც მენდობით... ასე არ არის? - ჰკითხა რავიკს.

„გაიძვერა!“ გაიფიქრა რავიკმა. კიდევ ერთი წვეთი თავის დამცირება უნდა გამომწუროს.

- თქვენ არ მითხარით, რომ პაციენტი თქვენი მეგობარია და მხოლოდ თქვენ მიერ გაწეულ ხარჯებს გადაიხდის?

- ჰო... - გაურკვევლად მიუგო დიურანმა.

- რა ვუყოთ... ხარჯი ბევრი არ იქნება. მასალა და მოწყალების დების მისაღები თანხა. კლინიკა თქვენ გეკუთვნით. იანგარიშეთ ყველაფერზე ასი ფრანკი. შეგიძლიათ ეს დამიქვითოთ. მერე მომცემთ.

- ექიმო რავიკ, - განაცხადა დიურანმა და წელში გასწორდა, - ხარჯი, სამწუხაროდ, ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ვვარაუდობდი. თქვენი ორი ათასი ფრანკიც ხარჯია. ეს პაციენტს უნდა გადავახდევინო. - დიურანმა თავისი სურნელოვანი ხელები დაყნოსა. - ასე რომ...

დიურანმა გაიღიმა. ყვითელი კბილები მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა თოვლივით ქათქათა, ცანცარა წვერთან. თითქოს ვიღაცას თოვლში მოუშარდავსო, გაიფიქრა რავიკმა. და მაინც მოუხდება ფულის გადახდა, თქვა გულში. ვებერი მასესხებს ჰონორარის ანგარიშზე. ეს ბებერი ვაცი კი ვერ ეღირსება, ისევ ვთხოვო. ამ სიამოვნებას მაინც მოვაკლებ.

- კარგი, - უთხრა რავიკმა. - თუ ასე გიჭირთ, შემდეგ გამომიგზავნეთ.

- სულაც არ მიჭირს. თუმცა, თქვენი მოთხოვნა ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო. გარდა ამისა, ყველაფერში წესრიგი უნდა იყოს.

- კეთილი. ასე გავაკეთოთ წესრიგისათვის, საქმეს ეს არ ცვლის.

- არა, ცვლის.

- შედეგი იგივე რჩება, - უთხრა რავიკმა. - ახლა კი მომიტევეთ, მინდა დავლიო. მშვიდობით.

- მშვიდობით, - მიუგო გაკვირვებულმა დიურანმა.

*

- რატომ არ უნდა წამოხვიდეთ ჩემთან ერთად? - ღიმილით ჰკითხა კეტმა.

მაღალი და ტანწერწეტა ქალი რავიკის წინ იდგა, ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაეწყო. მთელი მისი ტანი სიმშვიდითა და რწმენით სუნთქავდა.

- ფიეზოლეში, ალბათ, უკვე აყვავდა ფორსიტიები. ბაღის ღობე ყვითელ ალში იქნება გახვეული. ბუხარი, წიგნები, სიმშვიდე...

ქუჩაში სატვირთო მანქანამ გაიგრიალა. კლინიკის პატარა მისაღებში ჩარჩოებში ჩასმული მინები აზრიალდა. კედლებზე შარტრის ტაძრის ფოტოსურათები ეკიდა.

- ...ღამღამობით სიჩუმეა... ყველაფერი ისე შორსაა, - ამბობდა კეტი. - განა ცუდია?

- ძალიანაც კარგია, მაგრამ საჩემო არ არის.

- რატომ?

- სიმშვიდე კარგია, როცა თვითონ ხარ დამშვიდებული.

- განა მე კი ვარ დამშვიდებული?

- ყოველ შემთხვევაში, თქვენ იცით, რაც გინდათ. ეს კი თითქმის ერთი და იგივეა.

- თქვენ არ იცით?

- მე საერთოდ არაფერი მინდა.

კეტმა პალტოს ღილები აუჩქარებლად შეიკრა.

- რა მომდის, რავიკ? ბედნიერებაა ეს თუ სასოწარკვეთილება?

რავიკმა გაიღიმა.

- ალბათ, ერთიც და მეორეც. ასე ხშირად ხდება. ამაზე მეტისმეტად ბევრი ფიქრი არ არის საჭირო.

- მაშ, რა არის საჭირო?

- მხიარულება.

ქალმა შეცბუნებული მზერა მიაპყრო.

- განა შეიძლება მარტოხელა ადამიანის მხიარულება?

- არა. საამისოდ ყოველთვის საჭიროა კიდევ ერთი ვინმე.

რავიკი გაჩუმდა. რისთვის ვლაპარაკობ ყოველივე ამას? - გაიფიქრა, - უმაქნისი ყბედობაა გამგზავრების წინ, ჩვეულებრივი უხერხულობა განშორების დროს, პასტორის უწყინარი ქადაგება.

- მე არ ვლაპარაკობ იმ პატარა ბედნიერებაზე, რაზეც თქვენ ერთხელ როგორღაც სიტყვა ჩამოაგდეთ, - უთხრა ქალს. - ასეთი ბედნიერება ყველგან იფურჩქნება, როგორც ია დამწვარი სახლის გარშემო. საქმე სხვა ბედნიერებაა. ვინც არაფერს ელის, არც გულს გაიტეხს - აი, ცხოვრების კარგი საფუძველი. ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდება, უკვე ერთგვარი ნუგეშია.

- არ არის სწორი, - შეედავა კეტი. - ასეა მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი ლოგინადაა ჩავარდნილი და ფიქრობს. ხოლო, როცა ადგება და სიარულს დაიწყებს, სულ სხვაგვარი აზრები მოსდის თავში. ძველი დაავიწყდება, მეტი მოუნდება.

ქალის სახე ფანჯრიდან შემოჭრილი ირიბი სხივით იყო განათებული და მხოლოდ ბაგეები ეფურჩქნებოდა ყვავილივით ფერმკრთალი ღაწვების ფონზე.

- ფლორენციაში ექიმი გყავთ? - ჰკითხა რავიკმა.

- არა. მესაჭიროება ექიმი?

- შეიძლება დაგჭირდეთ. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. თავს უფრო დამშვიდებულად ვიგრძნობ, თუ მეცოდინება, რომ ექიმი გყავთ.

- მე ხომ სრულიად გამოვკეთდი. თუ რამე მოხდება, პარიზში დავბრუნდები.

- რა თქმა უნდა. ეს მხოლოდ წინდახედულობაა. ფლორენციაში არის ერთი კარგი ექიმი - პროფესორი ფიოლა. დაიმახსოვრებთ? ფიოლა.

- დამავიწყდება. ან რა მნიშვნელობა აქვს, რავიკ.

- მე მივწერ. ფიოლა იზრუნებს თქვენზე.

- კი, მაგრამ რისთვის? სავსებით გამოჯანსაღებული ვარ.

- პროფესიული სიფრთხილისათვის, კეტ. მეტი არაფერი. მივწერ და თვითონ დაგირეკავთ.

- როგორც გენებოთ, - კეტმა ჩანთა აიღო. - მშვიდობით, რავიკ. მივდივარ. შეიძლება ფლორენციიდან პირდაპირ კანში წავიდე, იქიდან კი - ნიუ-იორკში, ,,კონტე დი სავოიათზე". თუ ამერიკაში მოხვდით, იპოვეთ ქმარშვილიანი ქალი, რომელსაც ცხენები და ძაღლები ეყოლება. იმ კეტ ჰეგსტრემს, რომელსაც თქვენ იცნობდით, აქ ვტოვებ. მისი სამარე ,,შეჰერეზადაშია". როცა იქ იქნებით, მომიგონეთ ხოლმე და ერთი ჭიქა შესვით. ერთი ჭიქა...

- კარგი. არაყი?

- დიახ, არაყი.

ქალი გაუბედავად იდგა ნახევრად ბნელ ოთახში, ყოყმანობდა. შუქი ახლა შარტრის ტაძრის ერთ-ერთ სურათს ეცემოდა. მთავარი საკურთხეველი და ჯვარცმა ჩანდა.

- უცნაური ამბავია, - თქვა კეტმა. - უნდა მიხაროდეს... მე კი არ მიხარია...

- განშორების დროს ყოველთვის ასეა, კეტ. მაშინაც კი, როცა სასოწარკვეთილებას ემშვიდობები.

მის წინ იდგა ქალი, აღსავსე მთრთოლარე სიცოცხლით. მას გადაწყვეტილება მიეღო და ოდნავ ნაღვლიანი იყო.

- ყველაზე მართებული დამშვიდობების დროს წასვლაა, - უთხრა რავიკმა. - წავიდეთ, გაგაცილებთ.

- წავიდეთ.

ქუჩაში თბილოდა, თუმცა ნესტიანი დღე იყო. ზეცა გავარვარებულ რკინასავით აწვა სახურავებს.

- ახლა ტაქსის დავიჭერ თქვენთვის, კეტ.

- არ არის საჭირო ტაქსი. კუთხემდე მინდა მივიდე. იქ ჩავჯდები. ასე მგონია, ჩემს სიცოცხლეში პირველად გამოვედი ქუჩაში.

- მერე, როგორ გრძნობთ თავს?

- ჰაერი ისე მათრობს, როგორც ღვინო.

- მაინც ხომ არ დავიჭიროთ ტაქსი?

- არა, ფეხით გავივლი. - სველ ქუჩას გახედა, გაიცინა. - ცნობიერების რომელიღაც კუნჭულში ჯერ კიდევ ცოცხლობს ძველი შიში. ასე უნდა იყოს?

- დიახ, ასე უნდა იყოს.

- მშვიდობით, რავიკ.

- მშვიდობით, კეტ.

ერთი წამით კიდევ შეჩერდა, თითქოს რაღაცის თქმა სურდა. შემდეგ, ტანკენარი და მოქნილი, ფრთხილად დაეშვა კიბეზე და ქუჩას გაჰყვა იისფერი მწუხრისა და თავისი აღსასრულის შესახვედრად. არც მოუხედავს.

რავიკი კლინიკაში დაბრუნდა. როცა იმ ოთახს ჩაუარა, სადაც ცოტა ხნის წინ კეტი იწვა, მუსიკის ხმა შემოესმა. გაუკვირდა, შეჩერდა. იცოდა, ახალი პაციენტი ჯერ არ დაეწვინათ. რავიკმა კარი ფრთხილად შეაღო და რადიოლის წინ დაჩოქილი მოწყალების და დაინახა. ქალიშვილი შეკრთა და ზეზე წამოვარდა. გრამოფონი „უკანასკნელ ვალსს“ უკრავდა.

ქალიშვილმა კაბა შეისწორა.

- ეს რადიოლა მის ჰეგსტრემმა მაჩუქა, - თქვა მან. - ამერიკულია. აქ ასეთს ვერ იყიდი. მთელი პარიზიც რომ მოიარო - ასეთს ვერ იშოვით. მთელ ქალაქში ერთადერთია. ხუთ ფირფიტას უკრავს ერთიმეორის მიყოლებით. ავტომატურად ცვლის. - ქალიშვილს სახე უბრწყინავდა. - სულ მცირე, სამი ათასი ფრანკი მაინც ღირს. მერე, რამდენი ფირფიტაა! ორმოცდათექვსმეტი ცალი გახლავთ. მიმღებიც აქვს. აი, რა ბედნიერება მეწვია!

ბედნიერება, გაიფიქრა რავიკმა. აქ მას რადიოლას სახე აქვს. იდგა და უსმენდა. მტრედივით აფრთხიალდა ორკესტრის თავზე ვიოლინო, საბრალო და სენტიმენტალური. ზოგჯერ იაფფასიანი მუსიკა უფრო ძლიერ შეგირყევს სულს, ვიდრე შოპენის ყველა ნოქტიურნი. რავიკმა მოიხედა, ლოგინი ალაგებული იყო. კართან, იატაკზე ზეწრები ეყარა. საღამო ირონიული დაცინვით იჭყიტება ღია ფანჯარაში. ძლივს იგრძნობა სუნამოს სურნელება და ოდნავ სწვდება სმენას სალონური ვალსის ფინალური აკორდი - აი, ყველაფერი, რაც კეტ ჰეგსტრემისაგან დარჩა.

- ყველაფერს ერთად ვერ წავიღებ, - თქვა მოწყალების დამ. - ძალიან მძიმეა. ჯერ რადიოლას წავიღებ, შემდეგ კი ფირფიტებს. გადასარევი რამეა. ამის პატრონმა საკუთარი კაფე უნდა გახსნას.

- ურიგო აზრი როდია, - უთხრა რავიკმა. - ფრთხილად, ფირფიტები არ დაამტვრიოთ.

## თავი მეთხუთმეტე

რავიკს ერთბაშად არ გამოღვიძებია. ერთხანს კიდევ დაყო რაღაც უცნაურ ბურანში, სიზმრისა და სინამდვილისაგან მოქსოვილ ბურუსში... უფერული და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიზმარი ჯერაც არ გამქრალიყო... რავიკი იმასაც გრძნობდა, რომ ყოველივე ეს მხოლოდ სიზმარია. შვარცვალდში იყო, პატარა სარკინიგზო სადგურზე, საზღვართან. სადღაც, სულ ახლოს, ჩანჩქერი ხმაურობდა, მთიდან ნაძვების მწკლარტე სურნელება მოდიოდა. ზაფხული იყო, ხეობაში ფისის და ბალახის სუნი იდგა. ლიანდაგებზე დაისის მოწითალო ანარეკლი ლივლივებდა, თითქოს მატარებელმა ჩაიქროლა და უკან სისხლიანი კვალი დატოვაო. ,,აქ რას ვაკეთებ? - გაიფიქრა რავიკმა. - რას ვაკეთებ აქ, გერმანიაში? მე ხომ საფრანგეთში ვიმყოფები! პარიზში...'' რბილმა, ცისარტყელასავით მოლივლივე ტალღამ აიტაცა ისევ და ბურანში ჩაძირა. პარიზში?.. პარიზი ბურუსში გადნა, ნისლიანი ჯანღი მოიხვია, ჩაიძირა... არა, საფრანგეთში არ ყოფილა. გერმანიაში იყო. რისთვის დაბრუნდა აქ?

რავიკი პატარა სადგურის ბაქანს მიჰყვებოდა. გაზეთების კიოსკთან რკინიგზელი იდგა - შუახნის კაცი, მსუქანი და ძალიან ქერაწარბებიანი. ,,ფოლკიშერ ბეობახტერს'' კითხულობდა.

- როდის მოვა მატარებელი? - ჰკითხა რავიკმა.

რკინიგზელმა თვალები ნელა ასწია.

- თქვენ საით?

რავიკს უეცრად შიშის ცხელი ტალღა გადაევლო. სად არის? ეს რა ქალაქია? რა ჰქვია სადგურს? ხომ არ უთხრას, ფრაიბურგში მივდივარო? რა ეშმაკია, ბედმა სად მოახვედრა? ბაქანი შეათვალიერა. არც მაჩვენებელია, არც სახელწოდებანი. გაიღიმა.

- შვებულებაში ვარ, - უთხრა.

- საით მიემგზავრებით-მეთქი? - ჰკითხა რკინიგზელმა.

- ისე, არსაით, უბრალოდ ვმოგზაურობ, ვაგონის ფანჯრიდან გამოვიხედე და მომეწონა. ახლა უკვე აღარ მომწონს. ჭირივით მძულს ჩანჩქერები. მინდა გზა განვაგრძო.

- მაგრამ საით? ხომ უნდა იცოდეთ, საით მიდიხართ?

- ზეგ ფრაიბურგში უნდა ვიყო. ჯერ არ მეჩქარება. ისე ვმოგზაურობ, სრულიად უმიზნოდ, საკუთარი სიამოვნებისათვის.

- ეს ფრაიბურგის ხაზი არ არის, - უთხრა რკინიგზელმა და ეჭვის თვალით შეხედა.

რა სისულელეს ვჩმახავ? - გაიფიქრა რავიკმა. რისთვის ჩავები საუბარში, იმის ნაცვლად, რომ ვიჯდე და, უბრალოდ, ვიცადო? აქ როგორ მოვხვდი?

- ვიცი, - თქვა რავიკმა. - მაგრამ ჯერ კიდევ დრო მაქვს. აქ სადმე კირშვასერი ხომ არ იშოვება? ნამდვილი შვარცვალდური კირშვასერი?

- ეგერ, იქ, ბუფეტში, - თქვა რკინიგზელმა, თან ისევ გულდასმით აშტერდებოდა.

რავიკი ნელა გაჰყვა ბაქანს. ყრუდ გაისმოდა მისი ნაბიჯის ხმა. მოსაცდელ დარბაზში ორი მამაკაცი იჯდა. იგი გრძნობდა უცნობთა ჩაციებულ მზერას. ბაქანზე ორი მერცხალი შემოსრიალდა. რავიკმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს მერცხლების ცქერით ტკბებაო, მაგრამ ალმაცერად რკინიგზელს გაჰყურებდა.

რკინიგზელმა გაზეთი დაკეცა და კვალდაკვალ გამოჰყვა. რავიკმა ბუფეტში შეიხედა. იქ არავინ იყო. ლუდის სუნი იდგა. რავიკი ბუფეტიდან გამოვიდა. რკინიგზელი ბაქანზე იდგა. რავიკი რომ შენიშნა, მოსაცდელ დარბაზში შევიდა. რავიკმა ნაბიჯს აუჩქარა. მიხვდა, ეჭვი გამოიწვია. სადგურის შენობამდე რომ მივიდა, მოიხედა. ბაქანზე კაცის ჭაჭანება არ იყო. სწრაფად გაძვრა საბარგო განყოფილებასა და სალაროს სარკმელს შორის და თავდახრილი გაჰყვა საბარგოს დახლს, რომელზედაც რამდენიმე რძით სავსე ბიდონი იდგა, შემდეგ კი შეუმჩნევლად გაურბინა ფანჯარას, საიდანაც ტელეგრაფის აპარატის კაკუნი ისმოდა. შენობის მეორე მხარეს რომ აღმოჩნდა, ფრთხილად მიმოიხედა, შემდეგ სწრაფად გადაჭრა ლიანდაგი და აყვავებულ მდელოზე ნაძვნარისაკენ გაეშურა, თან ფეხით ბაბუაწვერების თავებს ფანტავდა. ტყის პირას რომ მივიდა, მოიხედა. ბაქანზე იდგა რკინიგზელი და ორი მამაკაცი. რკინიგზელმა ხელით უჩვენა რავიკი და მამაკაცებიც მის დასაჭერად გავარდნენ. რავიკი ნაძვნარში იკვლევდა გზას. ეკლიანი ტოტები სახეში სცემდა. მხარი უქცია და მიიმალა. ესმოდა, როგორ მოარღვევდნენ უსიერ ტყეს მის ძებნაში. ისევ გაიქცა, წამდაუწუმ ჩერდებოდა და უკან იხედებოდა სმენად ქცეული. როცა ყველაფერი მიწყნარდებოდა, ერთ ადგილზე გაშეშებული და დაძაბული იცდიდა, ხოლო მდევართა ფეხის ხმას რომ გაიგონებდა, გზას განაგრძობდა, ახლა უკვე ხოხვით, რაც შეიძლებოდა უხმაუროდ. ყურებდაცქვეტილი და სუნთქვაშეკრული მუშტებს კუმავდა. ისე გაგიჟებით უნდოდა წამოვარდნა და გაქცევა უკან მოუხედავად, რომ ფეხები ეკრუნჩხებოდა. მაგრამ მაშინ საკუთარ თავს გასცემდა. მოძრაობა შეიძლებოდა მხოლოდ მდევრებთან ერთდროულად. უსიერ ტყეში იწვა, ტყიურას ცისფერ ყვავილებს შორის. Hepatica triloba, გაიფიქრა, Hepatica triloba - სამფურცლოვანი ტყიურა. ტყეს თითქოს ბოლო არ უჩანდა. ახლა ლაწალუწი ყოველი მხრიდან ისმოდა. იგრძნო, როგორ ჩამოსდიოდა ღვარად ოფლი, ყოველი ნასვრეტიდან, თითქოს სხეულიდან წვიმა წამოვიდაო. უეცრად მუხლები მოეკეცა, თითქოს სახსრები დაურბილდა. ადგომა სცადა, მაგრამ ფეხქვეშ მიწა გამოეცალა. ეს რა არის - საფლობი? ნიადაგი მოსინჯა. არა, მიწა მაგარი იყო. უბრალოდ, ფეხები გაუხდა რეზინისა. მდევრები სულ უფრო უახლოვდებოდნენ. უკვე ესმოდა მათი ნაბიჯების ხმა. პირდაპირ მისკენ მოიწევდნენ. წამოვარდა, მაგრამ მუხლები ისევ მოეკვეთა. გაშმაგებით იჩქმეტდა ფეხებზე და მთელი ძალ-ღონის დაძაბვით მიიწევდა წინ. ლაწანი სულ უფრო ახლოვდებოდა... ტოტებს შორის ისევ გამოკრთა ლურჯი ცა - წინ ველობი გამოჩნდა. იცოდა, დაიღუპებოდა, თუ ვერ მოასწრებდა მის გადარბენას. იჩქმეტდა და იჩქმეტდა ფეხებზე. უკან მიიხედა და დაინახა ჰააკეს ბოროტი, დამცინავი სახე... რავიკი იხრჩობოდა, უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდა ჭაობში, უიარაღო, უმწეო, სულშეხუთული. ორივე ხელით ისერავდა ჭანჭრობში ჩაფლულ მკერდს და კვნესოდა...

კვნესოდა? სად იმყოფებოდა? რავიკს თავისივე ხელები ჰქონდა კისერზე შემოჭერილი. ხელებიც და კისერიც დასველებოდა, მკერდიც, სახეც. თვალი გაახილა, მაინც ვერ გაიგო, სად იმყოფებოდა - ნაძვნარში, ჭაობში თუ კიდევ სადმე სხვაგან. პარიზზე ჯერ არც უფიქრია. ჯვარცმული თეთრი მთვარე დაჰქათქათებდა

ქვეყნიერებას. შავ ჯვარს მკრთალი ნათელი დაადგა, ჯვარცმული წმინდანის შარავანდედით. თეთრი მკრთალი შუქი უხმოდ ყვიროდა თუჯის ფერწასულ ცაზე. სავსე მთვარე ადგას თავზე პარიზის ოტელ „ინტერნასიონალის“ ფანჯრის ხის ჯვარედს. რავიკი წამოდგა. რა დაემართა? რკინიგზის შემადგენლობა, სისხლსავსე თუ სისხლისაგან დაცლილი, ზაფხულის საღამოს გასისხლიანებულ ლიანდაგებს რომ მიჰყვება... ასჯერ განმეორებული სიზმარია: ისევ გერმანიაშია ვითომ, დევნილი, განკიცხული, გაწამებული სისხლიანი რეჟიმის ჯალათების მიერ, მკვლელობა რომ დააკანონეს... რამდენჯერ უნახავს ეს სიზმარი! რავიკი უძრავად შესცქეროდა მთვარეს, თავისი ანარეკლი სხივებით ფერს რომ უკარგავდა მთელი ქვეყნიერების ყველა საღებავს. ტანჯავდნენ სიზმრები, აღსავსენი ფაშისტურ საწამებელ სენაკთა საშინელებით, ნაწამებ მეგობართა გაყინული სახეებით, ცოცხლად დარჩენილთა უცრემლო, გაქვავებული კაეშნით; სიზმრები, აღსავსენი განშორებისა და ისეთი მარტოობის ტანჯვით, რომ ვერავითარი სიტყვით ვერ გადმოსცემ... დღისით კიდევ ხერხდებოდა რაღაც ბარიერის შექმნა, რაღაც მიწაყრილისა, რომლის მიღმაც წარსული არ ჩანდა. მძიმე, ტაატით მიმავალი წლების განმავლობაში შენდებოდა ეს მიწაყრილი, სურვილებს ცინიზმი გუდავდა, მოგონებებს უწყალოდ თელავდნენ და მარხავდნენ, ადამიანები ტანზე იგლეჯდნენ და ყრიდნენ ყველაფერს, თვით სახელებსაც კი. გრძნობები ცემენტივით მაგრდებოდა. მაგრამ ოდნავ ფიქრებში წახვალ და წარსულის ფერმკრთალი სახე ისევ აღდგება შენ თვალწინ, ტკბილი, მოლანდებული, მაღლა მხმობელი, შენ კიდევ სასმელში ახრჩობ, გაიბრუჟები, გრძნობას დაკარგავ. ასე ხდებოდა ხოლმე დღისით... მაგრამ ღამღამობით უმწეო ხარ - სუსტდება შინაგანი დისციპლინის მუხრუჭები და ნელ-ნელა ეფლობი ჭაობში. შეგნების ჰორიზონტზე ყველაფერი აღდგება, აღდგება საფლავებიდან. გაყინული კრუნჩხვა გალხვება, დაცხრება, ხოხვით მოგიახლოვდებიან ლანდები, ოხშივარი ასდის სისხლს, გაიხსნება ჭრილობები და ყოველ ბასტიონსა და ბარიკადს შავი ქარიშხალი გადაუვლის! დავიწყება! ეს იოლია, ვიდრე ნებისყოფის პროჟექტორი ანათებს, მაგრამ როცა მისი შუქი ქრება და ყურს მატლების ფუთფუთი ესმის, როცა დაკარგული წარსული, მსგავსად ზღვაში ჩაძირული ზღაპრული ვინეტასი[7], ფსკერიდან ამოიწევა და ხელახლა გამოცოცხლდება, მაშინ ყველაფერი სხვა სახეს იღებს. მაშინ ერთი გზა რჩება: გაბრუვდე, დალიო, ვიდრე ტყვიასავით მძიმე ბრუჟი დაგეუფლება... უნდა გადააქციო დღეები ღამეებად და ღამეები დღეებად...

დღისით სხვა სიზმრებს ხედავდა, ამ სრული დაბნეულობისა და განდეგილობისაგან თავისუფალს. ღამღამობით ცდილობდა, არ ჩასძინებოდა. რამდენჯერ დაბრუნდა ოტელში გვიან, როცა ალიონი ქალაქს თავს გადაევლებოდა ხოლმე! ან „კატაკომბში“ დაუცდია და დაულევია ყველასთან, ვისაც მასთან დალევა სურდა. შემდეგ „შეჰერეზადადან“ მოროზოვი მოვიდოდა და სვამდნენ ერთად დამჭკნარი პალმის ქვეშ, უფანჯრო დარბაზში, სადაც მხოლოდ საათის შემწეობით შეიძლება იმის გაგება, დადგა დილა თუ ჯერაც ღამეა. ასე ლოთობენ წყალქვეშა ნავში...

რა თქმა უნდა, სხვისთვის ძალიან ადვილია საყვედურის ნიშნად თავის ქნევა და კეთილგონიერებისაკენ მოწოდება. სამგზის წყეულიმც იყოს ეს კეთილგონიერება! საქმე სულაც არ გახლავთ ასე უბრალოდ! ცხოვრება არის ცხოვრება, არაფერი ღირს და უსასრულოდ ბევრიც ღირს. შეიძლება უარი თქვა სიცოცხლეზე - ეს ძნელი არ არის. მაგრამ განა იმავე დროს უარს არ ამბობ შურისგებაზეც, ყველაფერზე, რასაც ყოველდღე, ყოველ საათს დასცინიან, რაზედაც მასხრობენ, რასაც ეწოდება

კაცობრიობის რწმენა და კაცობის რწმენა! ეს რწმენა ცოცხლობს ყველაფრის მიუხედავად. თუმცა ცარიელია ეს შენი ცხოვრება, მაგრამ ცარიელი ფისტონივით ვერ გადაისვრი! კიდევ გამოგადგება ბრძოლისათვის. როცა დაჰკრავს საათი, ისევ დაგჭირდება. საკუთრივ შენთვის კი არა, არც შურისგების სახელით - რა ბრმადაც უნდა გწამდეს და გწყურდეს, არა ეგოიზმისა და არა თუნდაც ალტრუიზმისათვის - ასეა თუ ისე, სულერთია, უნდა ამოვათრიოთ ეს ქვეყანა სისხლიდან და ტალახიდან. და, თუნდაც შენ მხოლოდ ერთი გოჯით ამოათრიო - სულერთია, მნიშვნელოვანია, რომ განუწყვეტლივ იბრძოდი, უბრალოდ, იბრძოდი. და ვიდრე ცოცხლობ, ვიდრე სუნთქავ, ხელიდან არ გაუშვა შემთხვევა, რომ ბრძოლა განაახლო. მაგრამ ლოდინი სულს გიღრღნის. იქნებ, ეს მოლოდინი უსარგებლოც გამოდგეს. თანაც სულის სიღრმეში ცოცხლობს შიში, რომ საათი დაჰკრავს და შენ აღმოჩნდები დამარცხებული, არაქათგამოცლილი, დაქანცული ამ გაუთავებელი ლოდინით, მეტად დაღლილი შენი სხეულის ყოველი უჯრედით, ვერ შეძლებ რიგებში ჩადგომას და სხვების მხარდამხარ წასვლას! ამიტომ ხომ არ ლამობდი, ამოგეშალა შენი მეხსიერებიდან ყველაფერი, რაც ნერვებს ღრღნის. უწყალოდ ამოგეწვა ყოველივე ეს სარკაზმით, ირონიითა და რაღაც განსაკუთრებული სენტიმენტალობითაც კი, გაქცეულიყავი, გეპოვა თავშესაფრად სხვა ადამიანი, უცხო „მე“? და მაინც, ისევ და ისევ, გეუფლება უძლურება, ძილისა და წარსულის მოჩვენებათა წყალობას ანდობ შენს თავს...

მთვარე ფანჯრის ჩარჩოს ჯვარედიდან ჩამოცურდა. ახლა აღარ ჰგავდა ჯვარცმულ წმინდანს. ეს იყო ჩასუქებული, უსაქციელო მსტოვარი, მსუნაგი თვალით რომ იჭყიტება სხვის ფანჯრებსა და საწოლებში. რავიკი უკვე მთლიანად გამოფხიზლდა. ამჯერად სიზმარი არც ისე საშინელი იყო. ამაზე საშინელი სიზმრებიც უნახავს. მაგრამ ახლა ხომ დიდი ხანია არაფერი მსგავსი არ დასიზმრებია. დიდი ხანიაო? მაინც რამდენი ხანია? გახსენება სცადა... ჰო, მართლა, მას შემდეგ, რაც მარტო აღარ სძინავს.

საწოლთან ხელის ფათური დაიწყო. ბოთლი არ იყო. ეს ერთი ხანია, ბოთლი საწოლთან კი არ დგას, არამედ ოთახის კუთხეში, პატარა მაგიდაზე. რავიკი შეყოყმანდა. შეიძლებოდა არ დაელია. ეს იცოდა. მაგრამ შეიძლებოდა დალევაც. რავიკი წამოდგა, ფეხშიშველი მივიდა მაგიდასთან, მოძებნა სასმისი, გახსნა ბოთლი და დალია. ძველი კალვადოსის ნარჩენი იყო. სასმისი ფანჯარასთან მიიტანა. მთვარის შუქზე ცის დანაკივით ციმციმებდა. არაყი სინათლეში არ უნდა იდგესო, გაიფიქრა, გინდ მზის ნათელი იყოს და გინდა მთვარისა. დაჭრილი ჯარისკაცები, რომელთაც სავსე მთვარის შუქზე მთელი ღამე ველზე გაუტარებიათ, უფრო სუსტდებოდნენ, ვიდრე ბნელ ღამეებში. რავიკმა თავი გააქნია, სასმისი დაცალა და მეორედ აავსო. ჟოანს გადახედა, ქალი გაოცებული შესცქეროდა. რავიკი გაირინდა. ნუთუ ხედავს?

- რავიკ, - მოესმა ჟოანის ხმა.

- რა იყო?

ქალი შეკრთა, თითქოს მხოლოდ ახლა გამოეღვიძა.

- რავიკ, - უთხრა შეცვლილი ხმით. - რას აკეთებ?

- დალევა მომინდა.

- რა მოგივიდა? - ჟოანი წამოიწია. - რა მოხდა? - ჰკითხა დაბნეულად. - მოხდა რამე?

- არაფერი.

ჟოანმა შუბლზე ჩამოშლილი თმა შეისწორა.

- ღმერთო, მე კი როგორ შემეშინდა!

- მაპატიე, მეგონა, მაგრად გეძინა.

- უცბად მომეჩვენა, თითქოს დგახარ იქ... კუთხეში... სულ სხვანაირი...

- მაპატიე, ჟოან. არ მეგონა, თუ გაგაღვიძებდი.

- ვიგრძენი, რომ გვერდით არ მყავდი. აცივდა. თითქოს ქარმა დაქროლა. ერთიანად გავიყინე შიშისაგან და ანაზდად ვხედავ - სადღაც, კუთხეში დგახარ. რამე მოხდა?

- არა, არაფერი, სრულიად არაფერი, ჟოან. გამომეღვიძა და დალევა მომინდა.

- მომაწოდე მეც ერთი ყლუპი.

რავიკმა სასმისი აავსო და საწოლთან მივიდა.

- ახლა ნამდვილი ბავშვი ხარ, - უთხრა ქალს.

ჟოანმა სასმისი ორივე ხელით გამოართვა და ტუჩებთან მიიტანა. ნელა სვამდა და თან ჭიქის ზემოდან რავიკს შესცქეროდა.

- რამ გაგაღვიძა?

- არ ვიცი. ალბათ, მთვარის ნათელმა.

- მეჯავრება მთვარე.

- ანტიბში აღარ შეგეჯავრება.

ქალმა სასმისი დადგა.

- მართლა მივდივართ?

- რასაკვირველია, მივდივართ.

- გავშორდებით ამ ნისლსა და წვიმას?

- დიახ... გავშორდებით ამ წყეულ ნისლსა და წვიმას.

- კიდევ დამისხი.

- არ გეძინება?

- არა. მენანება დრო ძილისათვის. ვიდრე გძინავს, სიცოცხლე ხომ მიდის. მომეცი სასმისი. ეს ის კალვადოსია, თან წაღება რომ გვინდოდა?

- თან არაფრის წაღება არ არის საჭირო.

ქალმა შეხედა.

- არა?

- არა.

რავიკმა ფარდები ჩამოსწია. ისინი მხოლოდ სანახევროდ ფარავდნენ ფანჯარას. მთვარის შუქი ფართო ხვრელში ისე შემოდიოდა, როგორც ჭაში, და ოთახს ორ ბნელ ნაწილად ჰყოფდა.

- რატომ არ დაწვები? - ჰკითხა ჟოანმა.

რავიკი დივანთან იდგა, ჟოანისაგან შუქის კედელი ჰყოფდა. ძლივს ხედავდა ქალს, რომელსაც ოდნავ მოელვარე თმა უკან გადაეყარა და ნახევრად შიშველი იწვა. ქალსა და კაცს შორის, როგორც ორ დაბინდულ ნაპირს შორის, ჭავლად იფრქვეოდა ცივი შუქი, უძრავი, თითქოს თავის თავში იღვრებაო - შავი, უჰაერო, ეთეროვანი გაზის გამოვლის შემდეგ, ძილის სურნელებით სავსე ოთახის ოთხ კედელს შორის იღვრებოდა; მზის ეს გადატეხილი სხივი, შორეული მკვდარი ცდომილის ანარეკლი, და რაღაც მაგიური ძალით ტყვიის ცივ ნაკადად ქცეული. იღვრებოდა შუქი და მაინც ერთ ადგილზე იდგა, ვერანაირად ვერ აევსო ოთახი.

- რატომ არ მოდიხარ ჩემთან? - ჰკითხა ჟოანმა.

რავიკმა ოთახი გაიარა, გაკვეთა წყვდიადი, შუქი და ისევ წყვდიადი, სულ რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ მოეჩვენა, რომ უზარმაზარი მანძილი გაიარა.

- ბოთლი აიღე?

- კი.

- დალევა გინდა? რომელი საათია?

რავიკმა საათის მანათობელ ციფერბლატს შეხედა.

- დაახლოებით, ხუთი.

- ხუთი. შეიძლებოდა სამი ყოფილიყო. ან შვიდი. ღამით დრო გაჩერებულია, მხოლოდ საათი მიდის.

- დიახ, და ამის მიუხედავად, ყველაფერი ღამით ხდება. ან, იქნებ, სწორედ ამიტომაც.

- რა ყველაფერი?

- ყველაფერი, რაც დღისით თვალსაჩინო ხდება.

- ნუ მაშინებ. შენ გინდა თქვა, ყველაფერი ადამიანების დაუკითხავად ხდება, როცა სძინავთ?

- სწორედ ასეა.

ჟოანმა სასმისი გამოართვა და კალვადოსი დალია. ქალი მშვენიერი იყო და კაცმა იცოდა, რომ ეს ქალი უყვარდა. მშვენიერი იყო არა როგორც ქანდაკი ან სურათი; მშვენიერი იყო, როგორც მოლი, თავს რომ ნიავი ევლება. სიცოცხლე ფეთქავდა ამ

ქალში, სწორედ ის სიცოცხლე, დედის მუცელში შემთხვევით ორი უჯრედი რომ შეაჯახა და სწორედ ასეთი შექმნა. იგივე მიუწვდომელი საიდუმლოებაა: ნამცეცა თესლში იფარება მთელი ხე, ჯერ კიდევ უძრავი, მიკროსკოპული, მაგრამ ის არსებობს. აქ გვირგვინიცაა, ნაყოფიც და აპრილის დილის ყვავილთა ღვართქაფიც. სიყვარულის ერთმა ღამემ შექმნა სახე, მხრები, თვალები - სწორედ ეს თვალები და ეს მხრები, უკვე რომ არსებობდნენ, სადღაც დედამიწაზე მიკარგულნი, მილიონობით ადამიანს შორის, შემდეგ კი, ნოემბრის ღამეში, პარიზში, ალმას ხიდზე, ანაზდად მოვიდნენ შენთან.

- რატომ ღამეში?.. - ჰკითხა ჟოანმა.

- იმიტომ, რომ... - მიუგო რავიკმა, - უფრო მაგრად ჩამეხუტე, საყვარელო, ძილის უფსკრულიდან ახლად დაბრუნებულო, მთვარის ველებიდან მოსულო... ღამე და ძილი - მუხანათები არიან. გახსოვს, როგორ დაგვეძინა დღეს ღამით ერთიმეორის გვერდით? ისე ახლოს ვიყავით, როგორც შეიძლება იყვნენ ადამიანები. ერთიმეორეს ვუერთდებოდით სახით, სხეულით, აზრით, სუნთქვით... და უეცრად ძილმა გაგვთიშა. ნელა მოჟონავდა, უღიმღამო, უფერული, - ჯერ ლაქა, მერე კიდევ და კიდევ... კეთრივით წვებოდა ჩვენს აზრებზე, შეუცნობელი წყვდიადიდან აღწევდა ჩვენს სისხლში, წვეთწვეთობით იღვრებოდა ჩვენს არსებაში სიბრმავე და ანაზდად ორივე მარტო დავრჩით, სრულ მარტოობაში სადღაც ბნელ არხებში შევცურეთ, იდუმალ ძალთა და უსახო მუქარის ძალაუფლებას მინდობილნი. გამეღვიძა. დაგინახე, გეძინა. ჯერ კიდევ შორს, ძალიან შორს იყავი. სულ დამისხლტი ხელიდან. ჩემზე აღარაფერი იცოდი. იქ აღმოჩნდი, სადაც ვერ გამოგყვებოდი. - ქალს ხელზე აკოცა. - განა შეიძლება იყოს სიყვარული სრულყოფილი, თუ ყოველღამე დაძინებისთანავე გკარგავ?

- შენთან ჩახუტებული ვიწექი, შენ გვერდით, შენს მკლავებზე.

- რაღაც უცნობ ქვეყანაში იყავი, უფრო შორს, ვიდრე იქნებოდი, მაგალითად, სირიუსზე რომ მოხვედრილიყავი... როცა დღისით ჩემთან არა ხარ, არაფერია, არ მეშინია. დღისით ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. მაგრამ ვინ გაიგოს ღამე?..

- მე შენთან ვიყავი.

- არა, ჩემთან არ იყავი. მხოლოდ იწექი ჩემ გვერდით. საიდან იცის ადამიანმა, რანაირი დაბრუნდება ქალი საიდუმლოებით მოცული ქვეყნიდან, სადაც შეგნება უკონტროლოა. სხვანაირი დაბრუნდება და თვითონაც შენიშნავს ცვლილებას.

- ვერც შენ?

- ჰო, ვერც მე, - თქვა რავიკმა. - ახლა კი მომეცი სასმისი. მე აქ ათასნაირ სისულელეს ვყბედობ, შენ კი სვამ.

ქალმა სასმისი გაუწოდა.

- კარგია, რომ გამოიღვიძე, რავიკ. მადლობელი ვარ მთვარის. ის რომ არა, ძილს განვაგრძობდით და ერთმანეთის არაფერი გვეცოდინებოდა. ან რომელიმე ჩვენგანში განშორების ჩანასახი დაიბუდებდა - ჩვენ ხომ სრულიად უმწეონი ვიყავით.

გაიზრდებოდა და გაიზრდებოდა, ნელა და შეუმჩნევლად, ვიდრე ბოლოს გარეთ არ გადმოხეთქავდა...

ქალმა წყნარად გაიცინა. რავიკმა გადახედა.

- მგონი, თვითონაც არ გჯერა, რასაც ამბობ, ასე არ არის?

- სულ მთლად არა. შენ?

- არც მე მჯერა, მაგრამ რაღაც კი არის ამაში. ამიტომაც არ მიგვაქვს გულთან. აი, რაშია ადამიანის დიდება.

ქალმა ისევ გაიცინა.

- რა არის აქ საშიში? მე ვენდობი სხეულს. მან უკეთ იცის, რაც ესაჭიროება, - უკეთესია, ვიდრე თავი, უცნაურად რომ ახირდება ხოლმე და ერთმა ღმერთმა იცის, რა უხიაგობას არ ჩაგვადენინებს.

რავიკმა სასმისი დაცალა.

- თანახმა ვარ, - თქვა. - ესეც სწორია.

- რა იქნება, დღეს რომ აღარ ვიძინოთ?

რავიკმა ბოთლს მთვარის ვერცხლისფერ შუქზე გახედა. ნახევარზე ნაკლები დარჩენილიყო.

- თითქმის გათავებულა, - თქვა, - მაგრამ შეიძლება ვცადოთ.

ბოთლი საწოლთან დადგა, მაგიდაზე. შემდეგ მობრუნდა, ჟოანს შეხედა.

- კარგი ხარ, როგორც მამაკაცის ყველა ოცნება, ყველა და კიდევ ერთი, რომელზედაც არც კი უფიქრია.

- კარგი, - მიუგო ქალმა. - მოდი, ამიერიდან ყოველღამე გავიღვიძოთ, რავიკ. ღამით სხვა ხარ, დღისით - სხვა.

- უკეთესი?

- სხვანაირი. ღამით მოულოდნელი ხდები. ყოველთვის საიდანღაც მოდიხარ და, კაცმა არ იცის, საიდან.

- დღისით?

- დღისით ყოველთვის ასეთი არ ხარ, მხოლოდ ხანდახან.

- ურიგო აღიარება არ არის! რამდენიმე კვირის წინ ასე არ იტყოდი.

- ჰო, მაგრამ მაშინ სულ არ გიცნობდი.

რავიკმა შეხედა. ქალის სახეზე არაგულწრფელობის ნასახიც არ იყო. ჟოანმა თქვა ის, რასაც ფიქრობდა. ეს სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა. სულაც არ სურდა რავიკის განაწყენება ან რაიმე უჩვეულო ამბით მისი გაკვირვება.

- მაშინ ჩვენი საქმე ცუდად ყოფილა, - ჩაილაპარაკა რავიკმა.

- რატომ?

- რამდენიმე კვირის შემდეგ უკეთესად გამიცნობ და მაშინ შენთვის კიდევ უფრო მოულოდნელი აღმოვჩნდები.

- ისევე, როგორც მე შენთვის.

- შენი საქმე სულ სხვაა.

- რატომ?

- შენს მხარეზეა ადამიანის განვითარების ორმოცდაათი ათასი წელი. ქალი სიყვარულისაგან ფხიზლდება, კაცი კი ჭკუას კარგავს.

- გიყვარვარ?

- ჰო.

- ძალიან იშვიათად ამბობ ამას.

ქალი გაიზმორა. მაძღარ კატასა ჰგავსო, გაიფიქრა რავიკმა, მაძღარ კატას, დარწმუნებულს, რომ მსხვერპლი ვერსად გაექცევა.

- ზოგჯერ მინდა ფანჯრიდან გადაგისროლო, - უთხრა ქალს.

- მერე რატომ არ აკეთებ ამას?

პასუხის ნაცვლად რავიკმა მხოლოდ შეხედა.

- შეძლებდი? - ჰკითხა ისევ ქალმა.

რავიკს ხმა არ ამოუღია. ჟოანი ბალიშზე გადაწვა.

- გინდა გაანადგურო ადამიანი იმის გამო, რომ გიყვარს? მოკლა იმის გამო, რომ მეტისმეტად გიყვარს?

რავიკი ბოთლს მისწვდა.

- ო, ღმერთო, - თქვა მან. - რით დავიმსახურე ეს? გამოგეღვიძოს ღამით და ისმინო, აი, ამნაირი...

- განა ასე არ არის?

- ასეა მესამეხარისხოვანი პოეტებისა და ქალებისათვის, რომელთაც ასეთი რამ არ ემუქრებათ.

- აგრეთვე მათთვის, კაცს რომ კლავენ.

- შესაძლებელია.

- მაშ, შეძლებდი?

- ჟოან, - უთხრა რავიკმა, - გეყოფა ყბედობა. ეს არ არის საჩემო თამაში. არ შემეფერება. უკვე ძალიან ბევრი ადამიანი შემომაკვდა, როგორც მოყვარულსა და როგორც პროფესიონალს, როგორც ჯარისკაცსა და როგორც ექიმს. ეს ადამიანს სიძულვილს, განურჩევლობასა და სიცოცხლის პატივისცემას უნერგავს. მკვლელობებით ბევრს ვერაფერს მიაღწევ. ვისაც ხშირად მოუკლავს კაცი, სიყვარულისათვის ადამიანთა ხოცვას აღარ შეუდგება, რადგან სიკვდილი სასაცილო და უმნიშვნელო რამ გახდებოდა. მაგრამ სიკვდილი სასაცილო არასოდეს იქნება. ის ყოველთვის მნიშვნელოვანია. ქალი აქ არაფერ შუაშია. ეს კაცის საქმეა, - ცოტა ხანს გაჩუმდა. - ნეტა, რაზე ვლაპარაკობთ! - თქვა და ქალისაკენ დაიხარა: - განა შენ ჩემი ბედნიერება არა ხარ - ბედნიერება უფესვოდ? მსუბუქი, როგორც ღრუბელი, და ნათელი, როგორც პროჟექტორის შუქი! მოდი, გაკოცო! ჯერ არასოდეს ყოფილა სიცოცხლე ისეთი ძვირფასი, როგორიც დღეს... როცა ის ასე ცოტა ღირს.

## თავი მეთექვსმეტე

შუქი. ისევ და ისევ შუქი. თეთრ ქაფად მოფრინდა ჰორიზონტიდან, სადაც ზღვის ღრმა სილურჯე ცის მსუბუქ ლაჟვარდს უერთდება. მოფრინდა - თვით უსუნთქველობა და, ამავე დროს, ღრმა სუნთქვა. აფეთქება, ანაბზინთან შერწყმული... მარტივი, პირველქმნილი ბედნიერებაა იყო ასეთ ნათელი, ასეთი მოციმციმე და ასე მსუბუქად იფარფატო...

როგორ ციმციმებს ქალის თავზეო, გაიფიქრა რავიკმა. ნამდვილი მიმქრალი შარავანდედია! ნამდვილი უპერსპექტივო შორეთი. როგორ ევლება ქალის მხრებს! ქანაანის მიწის რძე, აბრეშუმი, სხივებისაგან მოქსოვილი! ამ შუქზე ტიტველი არავინაა. კანი სხივს იჭერს და უკუაგდებს, როგორც სალი კლდე ზღვის ტალღას. შუშის ქაფი, გამჭვირვალე ქარტეხილი, თეთრი ნისლის უნაზესი კაბა...

- უკვე რამდენი ხანი ვცხოვრობთ აქ? - ჰკითხა ჟოანმა.

- რვა დღე.

- თითქოს რვა წელი იყოს, ასე არ გეჩვენება?

- არა, - მიუგო რავიკმა. - თითქოს რვა საათი გავიდა. რვა საათი და სამი ათასი წელი. იმ ადგილას, სადაც ახლა შენ დგახარ, სამი ათასი წლის წინ ზუსტად ასევე იდგა ახალგაზრდა ეტრუსკი ქალი... ხოლო აფრიკიდან სწორედ ასე ქროდა ქარი და ზღვიდან სინათლეს მოერეკებოდა.

ჟოანი რავიკის გვერდით მოეწყო კლდის ქიმზე.

- როდის დავბრუნდებით პარიზში?

- ეს კაზინოში გაირკვევა დღეს საღამოს.

- ხომ მოვიგეთ?

- რაც მოვიგეთ, არ კმარა.

- შენ ისე თამაშობ, თითქოს მთელი სიცოცხლე თამაშობდი. იქნებ, ასედაც არის? მე ხომ შენზე არაფერი ვიცი. რატომ გავსებდა ქათინაურებით კრუპიე, რად იყო ეგზომ თავაზიანი? თითქოს მდიდარი სამხედრო ფაბრიკანტი ყოფილიყავი.

- სამხედრო ფაბრიკის მეპატრონედ მიმიღო.

- ტყუილია. შენც იცანი.

- ზრდილობისათვის მივიღე ისეთი სახე, თითქოს ვიცანი.

- როდის იყავი აქ უკანასკნელად?

- არ ვიცი, მრავალი წლის წინ. იცი, უკვე მზე მოგეკიდა! გიხდება.

- მაშინ მუდმივად აქ უნდა ვიცხოვრო.

- ისურვებდი?

- მუდამ აქ დარჩენას? არა, მაგრამ ისე ცხოვრებას კი ვისურვებდი, როგორც ახლა ვცხოვრობ. - თმა უკან გადაიყარა. - შენ ეს, რა თქმა უნდა, ქარაფშუტობად მიგაჩნია, ხომ მართალია?

- არა, რატომ?

ქალი მიუბრუნდა, გაუღიმა.

- ვიცი, საყვარელო, ეს ქარაფშუტობაა და განუსჯელობა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, ჩვენს წყეულ ცხოვრებაში იმდენად ცოტაა ქარაფშუტობა! ომი, შიმშილი - საკმაოდ იყო. ახლა გადატრიალებანი, ფულის ინფლაცია... ხოლო რწმენა, უდარდელობა, სიმშვიდე და თავისუფალი დრო არასოდეს გვქონია. აგერ, კიდევ ამბობ, ახალი ომის ღრუბელი გვიახლოვდებაო. ჩვენს მშობლებს უფრო იოლი ცხოვრება ჰქონდათ, ვიდრე მე და შენ, რავიკ.

- ჰო, უკეთესი.

- ღმერთო, ჩვენ ხომ ერთი სიცოცხლე გვაქვს, ისიც ასე მოკლე, ასე სწრაფმავალი... - ჟოანმა ხელისგულები ცხელ ქვას მიადო. - ალბათ, თავქარიანი ქალი ვარ, რავიკ. ისტორიულ ეპოქაში ვცხოვრობ, მე კი ეს არ მაღელვებს. მე ბედნიერება მინდა, მინდა, რომ ცხოვრება ასე ძნელი და მტანჯველი არ იყოს. მეტი არაფერი.

- მერე, ვის არ უნდა ეს, ჟოან?

- შენც გინდა?

- ცხადია.

რა სილურჯეა, გაიფიქრა რავიკმა, თითქმის უფერული სილურჯეა ჰორიზონტზე, სადაც ზეცა წყალში ეშვება! ეს შუქის ქარიშხალი, მთელ ზღვაზე რომ ბობოქრობს, ცის დასალიერი, და ეს თვალები. პარიზში არასოდეს ყოფილა ეს თვალები ასე ლურჯი...

- როგორ მინდა, მუდამ ასე ვიცხოვრო. შენთან ერთად.

- ასე ვცხოვრობთ და ეგ არის - ყოველ შემთხვევაში, ახლა.

- ჰო, ახლა... რამდენიმე დღის შემდეგ კი ისევ პარიზი, ღამის კლუბი, მუდამ ერთი და იგივე, მოყირჭებული ცხოვრება, ჭუჭყიანი ოტელი...

- აზვიადებ, ჟოან. შენი ოტელი არც ისე ჭუჭყიანია. აი, ჩემი კი ნამდვილად ცოტა უსუფთაოა, იმ ნომრის გარდა, მე რომ ვცხოვრობ.

ქალი ხელებით დაეყრდნო კლდეს. ქარი თმას უთამაშებდა.

- მოროზოვი სულ ამტკიცებს, შესანიშნავი ექიმიაო რავიკი. საწყენია, რომ ფარულად უხდებაო მუშაობა. ასეთ ქირურგს აურაცხელი ფული ექნებოდაო. პროფესორი დიურანი...

- საიდან იცნობ პროფესორ დიურანს?

- ,,შეჰერეზადაში" დადის. ჩვენი ობერკელნერი რენე ამბობს, ათი ათასზე ნაკლებისათვის დიურანი თითსაც არ გაანძრევსო.

- ჩანს, რენეს სცოდნია საქმის ვითარება.

- ზოგჯერ დღეში ორ, სამ ოპერაციასაც კი აკეთებს თურმე. მშვენიერი სახლი ჰქონია, ,,კაპარდი"...

საკვირველია, გაიფიქრა რავიკმა. ეს ქალიც საშინელ სისულელეებს როშავს, როგორც საუკუნეების მანძილზე როშავდნენ სხვა ქალები. მაგრამ სახე ამისაგან სრულიად არ ეცვლება. მგონი, უფრო მშვენდება კიდეც. ზღვის ტალღისფერთვალებიანი ამორძალია, კრუხის ინსტინქტით დაჯილდოებული, და ბანკირის იდეალებს ქადაგებს. მაგრამ განა მართალი არ არის? განა შეიძლება, სილამაზე მართალი არ იყოს? განა მთელი წუთისოფლის სიმართლე მის მხარეზე არ არის?

ზვირთის ქაფიან თხემზე რავიკმა მოტორიანი ნავი შენიშნა. ადგილიდან არ დაძრულა.

- აი, მოდიან შენი მეგობრები, - უთხრა ქალს.

- სად? - ჰკითხა ჟოანმა, თუმცა უკვე დიდი ხანია, შენიშნა ნავი. - და რატომ ჩემი? უფრო შენი. ჩემზე ადრე შენ გაგიცნეს.

- ათი წუთით.

- ყოველ შემთხვევაში, ჩემზე ადრე.

რავიკს გაეცინა.

- როგორც გენებოს, ჟოან.

- მე კი მათთან არ წავალ. არაფრის გულისათვის. არ წავალ და მორჩა.

- რა თქმა უნდა, არ წახვალ.

რავიკი გაიზმორა. თვალები დახუჭა. მზემ ისე ერთბაშად გაუთბო მთელი ტანი, თითქოს მსუბუქი ოქროსფერი საბანი გადააფარესო. იცოდა, რაც მოხდებოდა.

- არც ისე თავაზიანები ვართ, - შენიშნა ჟოანმა მცირე ფიქრის შემდეგ.

- შეყვარებულები არასოდეს გამოირჩევიან თავაზიანობით.

- ხომ ჩვენთვის მოვიდნენ. თუ გაყოლა არ გინდა, დაბლა მაინც ჩადი და უთხარი, ვრჩებით-თქო.

- კარგი, - რავიკმა ოდნავ გაახილა თვალები. - აჯობებს, მიხვიდე და უთხრა, სამუშაო აქვს-თქო. შენ კი წაჰყევი, როგორც გუშინ.

- სამუშაო? მაგრამ ეს ხომ პირდაპირ სასაცილოა. აქ ვინ მუშაობს? რატომ არ უნდა წამოხვიდე? იმ ხალხს ძალიან მოეწონე. გუშინ ეწყინათ, ნაპირზე რომ დარჩი.

- ო, ღმერთო! - რავიკმა ახლა სულ გაახილა თვალები. - რატომ უყვარს ყველა ქალს ეს იდიოტური ლაპარაკი? შენ გასეირნება გინდა, მე კი მოტორიანი ნავი არა მაქვს. სიცოცხლე მოკლეა, აქ სულ რამდენიმე დღე დავრჩებით, ჰოდა, ნუთუ დიდსულოვნება უნდა გავითამაშო და გაიძულო, გააკეთო ის, რასაც, სულერთია, ისედაც გააკეთებ?.. და მხოლოდ იმისათვის, რომ სინდისი დამშვიდებული გქონდეს?..

- რატომ უნდა მაიძულო? თვითონაც ვიცი, როგორ მოვიქცე.

ჟოანმა რავიკს შეხედა. ქალს, როგორც ყოველთვის, ნათელი და სხივიანი თვალები ჰქონდა, მხოლოდ ბაგეები ოდნავ დაემანჭა და ისიც ისე შეუმჩნევლად, რომ რავიკი შეეჭვდა: ხომ არ შევცდიო? მაგრამ კარგად იცოდა, რომ არ შემცდარა.

ტალღები ხმაურით ეხლებოდა კლდეს ნავმისადგომის ბოგირთან. შხეფების ჩქერი ავარდა და ქარმა წყლის ჭავლის აელვარებული ღრუბლის ქულა ამოიტანა. რავიკს გააჟრჟოლა.

- აი, შენი ტალღაც, - უთხრა ჟოანმა. - სწორედ იმ ზღაპრიდან, პარიზში რომ მიამბე.

- დაიმახსოვრე?

- რატომაც არა. მაგრამ შენ კლდე არა ხარ. შენ ბეტონის ბელტი ხარ.

ჟოანი ძირს ჩავიდა, ნავმისადგომთან, და მთელი უნაპირო ცა მის ლამაზ მხრებზე დაეშვა. გეგონებოდათ, ჟოანს მთელი ცა თან მიაქვსო... თავისებურად მართალიც არის. თეთრ ნავში ჩაჯდება, თმას ქარი გაუწეწავს, მე კი... მე იდიოტი ვარ, რომ არ გავყევი, გაიფიქრა რავიკმა. მაგრამ ასეთი როლი ჯერ საჩემო არ არის. ჩემში ჯერ კიდევ ზის დიდი ხნის წინ გარდასული ეპოქების დონკიხოტობა. და მაინც, მაშინ რაღა რჩება? ლეღვის ხეები, მთვარიან ღამეში რომ ყვავიან, სენეკა და სოკრატე, შუმანის ვიოლონჩელის კონცერტი, დანაკლისის განჭვრეტის უნარი...

დაბლიდან ჟოანის ხმა მოისმა. შემდეგ ყრუდ დაიგუგუნა მოტორმა და წავიდა. რავიკი წამოიწია. ქალი, ალბათ, კიჩოზე ზის. სადღაც ზღვაში კუნძულია, ზედ მონასტერი. დროდადრო იქიდან მამლის ყივილი მოისმის... როგორ აღწევს მზე საუკუნეთა წყვდიადში! რა წითელია! ყაყაჩოებით დამშვენებული ნაზი კორდები სიყმაწვილისა, მოუთმენელი სისხლი, მოლოდინით ანთებული. ზღვის მარადიული იავნანა. ჩაძირულ ქალაქ ვინეტას ზარები. ზღაპრული ბედნიერება - იწვე და არაფერზე იფიქრო.

რავიკს მალე ჩაეძინა.

*

ნასადილევს რავიკმა გარაჟიდან გამოიყვანა „ტალბო“, მოროზოვმა რომ უქირავა პარიზში. ამით ჩამოვიდა აქ ჟოანთან ერთად.

მანქანა სანაპიროს გაყოლებით მიქროდა. მზიანი დღე იდგა, დამაბრმავებლად ნათელი დღე. რავიკი ნიცასა და მონტე-კარლოში ჩავიდა, იქიდან კი ვილ-ფრანშში. უყვარდა ეს პატარა, ძველი ნავსადგური. ცოტა ხნით ერთ პატარა ბისტროში მიუჯდა მაგიდას, შემდეგ ერთხანს იხეტიალა მონტე-კარლოს კაზინოს პარკში და თვითმკვლელთა სასაფლაოზე, მაღლა მთებში რომ არის, ზღვისგან დაშორებით. ერთ-ერთ საფლავთან დიდხანს იდგა, ეღიმებოდა, შემდეგ ძველი ნიცის ვიწრო ქუჩებს გაუყვა, გაიარა მონუმენტებით დამშვენებული მოედნები და ახალ ქალაქში ჩავიდა. შემდეგ კანში დაბრუნდა, კანიდან კი სანაპიროს გაყოლებით ნათელ კლდეებს მიადგა, სადაც მეთევზეთა დაბები ბიბლიურ სახელებს ატარებენ.

რავიკს ჟოანი დაავიწყდა. დაავიწყდა თავისი თავიც... ერთიანად მიენდო მზიან დღეს - მზის, ზღვისა და მიწის სამხმოვან ჰარმონიას, რამაც მთელი სანაპირო აყვავებულ მხარედ აქცია, მაშინ როცა სადღაც მაღალი მთის ბილიკები ჯერ კიდევ თოვლს დაეფარა. საფრანგეთის თავზე შავი ღრუბლები წვებოდა, ევროპის თავზე ქარიშხალი მძვინვარებდა, მაგრამ მიწის ეს პატარა ვიწრო ზოლი თითქოს ყველაფრისაგან განზე იდგა. თითქოს ყველამ მიივიწყა აქაურობა. ჯერ კიდევ ფეთქავდა აქ საკუთარი, განსაკუთრებული ცხოვრების მაჯისცემა. თუ მთების იქით მთელი ქვეყანა რუხ წყვდიადში იხრჩობოდა, მოახლოებული უბედურების კვამლით დაბურული, ჩამოწოლილი საფრთხის ავი წინათგრძნობით დამძიმებული, - აქ მხიარული მზე ჩახჩახებდა და მომაკვდავი ქვეყნიერების მთელი ქაფი მოდიოდა მის მაცოცხლებელ სხივებში.

ფარვანები და ქინქლები ცეცხლთან მოფრენილან და ცეკვავენ... ქინქლების მოუსვენარი ცეკვა სულელურია, როგორც ბარებისა და კაფეების მსუბუქი მუსიკა! ნამცეცა სამყარო, რომელსაც თავისი დღე მოუჭამია, მსგავსად ოქტომბრის პეპლებისა, მსუბუქი ფრთები ყინვამ რომ გაუთოშა. ყოველივე ეს ჯერ კიდევ როკავს, ყბედობს, არშიყობს, ტაკიმასხარაობს, სიყვარულს ეფიცება, ღალატობს, იმანჭება, ვიდრე არ მოვარდება დიდი გრიგალი და არ აწკრიალდება სიკვდილის ცელი...

რავიკმა სენ-რაფაელზე შეუხვია, პატარა ოთხკუთხედი ნავსადგური გაჭედილი იყო იალქნიანი და მოტორიანი ნავებით. სანაპიროზე კაფეებმა ჭრელი ქოლგები გარეთ გამოფინა. პატარა მაგიდებთან მზემოკიდებული ქალები ისხდნენ. რარიგ ნაცნობიაო ყოველივე ეს, გაიფიქრა რავიკმა. ცხოვრების ცვალებადი, ნაზი ცდუნებანი, უდარდელობა, თამაში... რაოდენ ნაცნობია ეს ყველაფერი, თუმცა დიდი ხანია, წარსულს ჩაჰბარდა. ოდესღაც მეც ასე ვცხოვრობდი, ფარვანასავით ვფარფატებდი და ვფიქრობდი, რომ ეს არის ცხოვრება... მანქანა სწრაფად მოაბრუნა, გზატკეცილზე გამოიყვანა და პირდაპირ მოგიზგიზე დაისისაკენ გააქანა...

ოტელში უთხრეს, ჟოანმა დარეკა და გთხოვათ, ვახშმად ნუ დამელოდებიო. რავიკი რესტორან „იდენ როკში“ ჩავიდა. იქ თითქმის არავინ იყო: საღამოობით მთელი ხალხი ჟუან-დე-პენში ან კანში მიდიოდა ხოლმე. ერთი პატარა მაგიდა შეარჩია

კლდის ბექობზე აგებულ შუშაბანდში, გემბანს რომ ჰგავდა. დაბლა მოქცევის ტალღა ქაფდებოდა. მოგორავდნენ ჩამავალი მზის შუქით ალმოდებული ტალღები; მუქი წითელი და მოლურჯო მწვანე დაჰკრავდათ შორიდან, მაგრამ ნაპირთან უფრო ღია, წითელ-ოქროსფერი ხდებოდნენ. ან კიდევ, მოგორავდნენ და მოგორავდნენ ნარინჯისფერი ტალღები, მოქნილ ზურგებზე ისვამდნენ ძირს დაშვებულ ბინდს და ნაირფეროვან ქაფად ასხურებდნენ სანაპირო კლდეებს.

რავიკი დიდხანს იჯდა ბექობზე. შინაგან სიცივესა და სრულ სიმარტოვეს გრძნობდა. ფხიზელი თვალითა და ცივი გონებით ფიქრობდა მომავალზე. იცოდა, რომ გაჭიანურება შეიძლებოდა, - განა ცოტა საჭადრაკო სვლა გამოინახება! მაგრამ ისიც იცოდა, რომ ამ სვლებსა და ხერხებს არასოდეს გამოიყენებდა. ყველაფერი მეტისმეტად შორს წავიდა. ხერხები კარგია წვრილმანი ინტრიგებისათვის. აქ კი რჩებოდა მხოლოდ ერთი გზა - გაძლება, ბოლომდე გაძლება ისე, რომ არ მოიტყუოს თავი და არ მიმართოს ფანდებს.

რავიკმა შუქზე გახედა მსუბუქი პროვანსული ღვინით სავსე ფიალას. გრილი საღამო, ზღვის მოქცევის ხმაურში ჩაძირული ბექობი, ჩამავალი მზის ღიმილით გასხივოსნებული ცა, შორეულ ვარსკვლავთა სამრეკლოების ზარებით აგუგუნებული... ჩემში კი, გაიფიქრა, პროჟექტორი ანთია. იგი ცივი შუქის სვეტით იტაცებს მომავლის წყვდიადიდან მუნჯ თვეებს, გაეთამაშება, გასრიალდება და ისევ დაიწყებს ბნელში ფათურს. მე ისედაც უკვე ვიცი ყველაფერი და, თუმცა ჯერ კიდევ არ ვგრძნობ ტკივილს, დარწმუნებული ვარ - ტკივილი მოვა. ჩემი ცხოვრება ჰგავს ამ ფიალას, სხვისი ღვინით სავსეს და გამჭვირვალეს... ღვინო დიდხანს არ დარჩება ფიალაში - მაშინ იგი ჩამძაღდება, ძმრად იქცევა. ეს იქნება ჩამძაღებული ვნების ძმარი. ყველაფერი, უდავოდ, გაწყდება. მის ცხოვრებაში ეგზომ უცხო ბევრი რამ მხოლოდ ახლა იწყება. განა შეაჩერებ? შეუცნობლად და თვითნებურად, როგორც მცენარე სინათლისაკენ, ისე იწვდის ხელს იქითკენ, სადაც ცდუნებაა, ცხოვრების ჭრელი და მსუბუქი, მრავალფეროვანი სიამე. მას მომავალი უნდა, მე კი შემიძლია შევთავაზო მხოლოდ უბადრუკი აწმყოს საცოდავი ნამუსრევი. მართალია, ჯერ არაფერი მომხდარა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. ყველაფერი ყოველთვის წინასწარ არის გადაწყვეტილი, თუმცა ადამიანები ვერ გრძნობენ ამას და კვანძის დრამატული გახსნის მომენტი ჰგონიათ გადამწყვეტი საათი. ამ საათმა კი უკვე დიდი ხანია, უხმაუროდ დაჰკრა.

რავიკმა ფიალა დაცალა. ახლა ღვინოს სულ სხვა გემო ჰქონდა. ისევ შეავსო ფიალა და დალია. ღვინო იგივე იყო - თეთრი და ქაფიანი. დანახარჯი გადაიხადა და კანში წავიდა, კაზინოში.

რავიკი ანგარიშიანად თამაშობდა, პატარა ფსონს ჩადიოდა. შინაგან სიცივეს არ გაევლო და იცოდა, რომ მოიგებდა, ვიდრე ეს სიცივე გაუქრებოდა. უკანასკნელ თორმეტეულზე დასვა, ოცდამეშვიდე კვადრატზე და კიდევ ოცდაშვიდზე ცალკე. ერთ საათში სამი ათასი ფრანკი მოიგო, ორჯერ გაზარდა ფსონი და კიდევ ჩავიდა ოთხ ნომერს.

ამ დროს შენიშნა, როგორ შემოვიდა დარბაზში ჟოანი. კაბა გამოეცვალა. ჩანდა, მისი წასვლის შემდეგ მაშინვე მისულიყო ოტელში. ის ორი მამაკაცი ახლდა, მოტორიანი ნავით რომ წაიყვანეს: ბელგიელი ლეკ-ლერკი და ამერიკელი ნაჯენტი - ასე

წარუდგნენ გაცნობის დროს. ჟოანი საოცრად კარგი იყო. თეთრი საგარეო კაბა ეცვა, დიდი რუხი ყვავილებით. ეს გამგზავრების წინ უყიდა. ჟოანმა, როგორც კი დაინახა, შეჰყვირა და რავიკს მივარდა: ,,საიდან ერკვევი ასე კარგად საღამოს სამოსში? - ჰკითხა. - ჩემსას გაცილებით სჯობია, - და საჩუქარს ისევ შეხედა: - უფრო ძვირიცაა". ჩიტი, გაიფიქრა რავიკმა, ჯერ კიდევ ჩემს ტოტზე ზის, მაგრამ უკვე შეისწორა ფრთები გასაფრენად.

კრუპიემ რავიკს რამდენიმე სათვალავი მიუჩოჩა. ერთმა მისმა მეოთხე ნომერმა მოიგო. ფული აიღო და წინანდელი ფსონი შეინარჩუნა. ჟოანმა იმ მაგიდებს მიაშურა, სადაც ბაკარის თამაში იყო გაჩაღებული. შენიშნა თუ არა რავიკი? რამდენიმე მამაკაცმა, თამაშში რომ არ მონაწილეობდნენ, ქალს თვალი გააყოლა. როგორც ყოველთვის, ოდნავ წინ წაწეული მიდიოდა, თითქოს ქარს მიარღვევს და არ იცის, საით მიდისო. თავი მიაბრუნა, ნაჯენტს რაღაც უთხრა და იმავე წამს რავიკს სურვილმა მოუარა, გადაეყარა სათვალავები, გადაეყირავებინა ეს მწვანე მაგიდა, წამოჭრილიყო, ეტაცა ხელი ჟოანისათვის, წაეყვანა აქედან, გაერიდებინა ამ ადამიანებისათვის, წასულიყვნენ რომელიმე შორეულ კუნძულზე, თუნდაც იმაზე, ანტიბის უბიდან რომ ჩანს, სადღაც შორეთში, - დაემალა ყველასათვის, შემოენახა თავისთვის.

ისევ ჩავიდა ფსონს. შვიდეული გამოვიდა. კუნძულები ვერაფრისაგან გიხსნის. გულის შფოთვას ვერაფრით დააოკებ. კარგავ იმას, რაც ხელში გიჭირავს, ხოლო როდესაც თვითონ ტოვებ, დანაკარგს არ გრძნობ. ბურთულა ნელა ბრუნავდა. თორმეტია. ისევ ჩავიდა.

თავი რომ ასწია, ჟოანის მზერას შეხვდა. ქალი მაგიდის მეორე მხარეს იდგა და შესცქეროდა. რავიკმა თავი დაუქნია და გაუღიმა. ჟოანი თვალს არ აცილებდა, ისე ზომავდა მის მოქმედებას. რავიკმა რულეტი აჩვენა და მხრები აიჩეჩა. ისევ თორმეტი.

ისევ ჩავიდა და თვალები ასწია. ჟოანი გაქრა. რავიკი ძლივს იკავებდა თავს სკამზე, ისევ აიღო სიგარეტი იმ დასტიდან, მაგიდაზე რომ ეგდო. ლაქიამ ასანთი მიუტანა. ეს იყო ლივრეაში გამოწყობილი მელოტი და ღიპიანი კაცი.

- ჰო, ახლა სხვა დროა, - თქვა მან.

- ნამდვილად, სხვა დროა, - მიუგო რავიკმა.

ლაქიას სრულიად არ იცნობდა.

- სხვა იყო ოცდაცხრა წელში...

- სავსებით სწორია, სულ სხვა იყო...

რავიკს არ ახსოვდა, იყო მაშინ კანში თუ ლაქიას უბრალოდ ლაპარაკი მოეხასიათა. ოთხიანი გამოვარდა, რავიკს ეს კინაღამ მხედველობიდან გამოეპარა და შეეცადა, ისევ თამაშზე გადაეტანა მთელი ყურადღება.

რა სისულელეაო! - გაიფიქრა, - მოდიხარ კაზინოში რამდენიმე ფრანკით ჯიბეში და თამაშობ მხოლოდ იმისათვის, რომ თუნდაც ერთი კვირა კიდევ გაატარო ანტიბში. და მერე მაინც რისთვის? რისთვის ჩამოვიდა აქ? წყეული სულმოკლეობაა და მეტი არაფერი. სიყვარული სნეულებასავით არის. ნელა და შეუმჩნევლად ადნობს

ადამიანს, ხოლო როცა შეამჩნევ და მისგან თავის დაღწევას მოინდომებ, ძალა გღალატობს. მოროზოვი მართალია, აცხოვრე ქალი თუნდაც რამდენიმე დღე იმ ცხოვრებით, რომლის უზრუნველყოფაც მისთვის მუდმივად არ შეგიძლია, და აუცილებლად დაკარგავ. შეეცდება, ასეთივე ცხოვრება მოიპოვოს, ოღონდ უკვე სხვა ადამიანთან, რომელიც სამუდამოდ ასე ცხოვრებას შესთავაზებს. ვეტყვი, რომ ჩვენ შორის ყველაფერი გათავებულია. პარიზში დავშორდები, ვიდრე გვიან არ არის.

ფიქრობდა, ღირს თუ არა სხვა მაგიდასთან გადაჯდომა და თამაშის გაგრძელებაო, მაგრამ უცბად იგრძნო, თამაში აღარ ეხალისებოდა. არასოდეს უნდა დააწვრილმანო ის, რისი კეთებაც ასეთი გაქანებით დაიწყე. მიმოიხედა. ჟოანი არსად ჩანდა. ბარში შევიდა, ჭიქა კონიაკი დალია. მერე მანქანების დასაყენებელ ადგილზე მივიდა - ერთი-ორი საათით გასეირნება მოუნდა.

მოტორი რომ აამუშავა, მოახლოებული ჟოანი დაინახა.

- უჩემოდ გინდოდა წასვლა? - ჰკითხა.

- ერთი საათით მთებში გავიქროლებდი და დავბრუნდებოდი.

- ტყუი! გადაწყვეტილი გქონდა, არასოდეს დაბრუნებულიყავი! გინდოდა ამ იდიოტებთან დაგეტოვებინე!

- ჟოან! - შეედავა რავიკი. - მალე იმასაც მეტყვი, ამ იდიოტებთან რომ დროს ვატარებ, შენი ბრალიაო.

- ჰო, შენი ბრალია! მხოლოდ შენზე გაჯავრებული წავედი მათთან. რატომ არ იყავი ოტელში, როცა დავბრუნდი?

- შენ ხომ იმ შენს იდიოტებს დაჰპირდი, თქვენთან ვივახშმებო!

ქალი დაიბნა, უცბად პასუხის გაცემა ვერ მოახერხა.

- ეს მხოლოდ იმიტომ გავაკეთე, რომ სასტუმროში არ დამხვდი.

- კარგი, ჟოან. ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე. ხომ იმხიარულე?

- არა.

აღელვებული, გაბრაზებული, სულშეგუბებული იდგა კაცის წინ, წყნარი, ცისფერი ღამის წყვდიადში. მთვარის ნათელი თამაშობდა მის თმაში, ხოლო ალუბლისფერი ბაგეები მის ფერმკრთალ სახეზე თითქმის შავად ჩანდა. 1930 წლის თებერვალი იდგა. პარიზში მოხდება ის, რაც გარდაუვალია - ნელა, შეპარვით, წვრილმანი სიცრუით, დამცირებითა და კინკლაობით. რავიკს უნდოდა დაშორებოდა ამ ქალს უმალ, ვიდრე ყველაფერი ეს დაიწყებოდა... მაგრამ ჯერ აქ იყვნენ... ცოტა დრო იყო დარჩენილი, სულ რამდენიმე დღე.

- საით აპირებ წასვლას? - ჰკითხა ქალმა.

- არსაით. უბრალოდ, ცოტა გასეირნება მომინდა.

- მეც შენთან წამოვალ.

- მერე, რას იტყვიან შენი იდიოტები?

- უკვე დავემშვიდობე. ვუთხარი, მელოდება-მეთქი.

- ესეც კარგია, - ჩაილაპარაკა რავიკმა. - საზრიანი ბავშვი ხარ. მოიცა, მანქანას გადავხურავ.

- არ გინდა. თბილი პალტო მაცვია. მოდი, ვიაროთ ამ კაფეების გაყოლებით, სადაც ის ადამიანები სხედან, მხოლოდ ერთი საზრუნავი რომ აქვთ - იყვნენ ბედნიერნი და თავის გასამართლებლად არავითარი საბუთის ძიებით არ გაისარჯონ.

ჟოანი რავიკის გვერდით შემოსრიალდა, დაჯდა და აკოცა.

- პირველად ვარ რივიერაზე, რავიკ, - უთხრა, - გამიგე. პირველად ვართ ნამდვილად ერთად, ღამეები აღარაა ცივი და ბედნიერი ვარ.

რავიკმა მანქანების ნაკადს თავი დააღწია, ოტელ ,,კარლტონს" გასცდა და ჟუან ლე პენისაკენ გააქროლა მანქანა.

- პირველად, - გაიმეორა ქალმა. - დიახ, პირველად, რავიკ. წინასწარ ვიცი, რას მეტყოდი ახლა, მაგრამ ეს მაინც ის არ იქნება...

ახლოს მიუჩოჩდა, თავი მხარზე დაადო.

- დაივიწყე ის, რაც დღეს მოხდა! და ნუღარასოდეს გაიხსენებ! იცი, საოცრად კარგად მართავ მანქანას. პირდაპირ ჩინებულად მოიარე ქალაქი. ეს იდიოტებიც ამასვე ლაპარაკობენ. გუშინ გნახეს საჭესთან... შენი გადამკიდე თავზარდაცემული ვარ... წარსული არა გაქვს. შენზე არაფერი ვიცი. ამ იდიოტების ცხოვრებაზე ასჯერ მეტი ვიცი, ვიდრე შენზე. როგორ ფიქრობ, აქ სადმე იპოვის ადამიანი ჭიქა კალვადოსს? დღეს ისე აფორიაქებული ვარ, კალვადოსი მომინდა. შენთან ცხოვრება ძალიან ძნელია.

მანქანა ისე მიჰყვებოდა გზატკეცილს, როგორც ფრინველი, მიწის პირზე რომ მიფრინავს.

- ძალიან სწრაფად ხომ არ მიმყავს? - ჰკითხა რავიკმა.

- არა. უფრო სწრაფად წაიყვანე, ისე, რომ ქარმა ძვალსა და რბილში გამატანოს, როგორც ხის ფოთლებში ატანს. როგორ სტვენს ყურებში ღამე! სიყვარულმა დამიცხრილა მთელი სხეული, ასე მგონია, საკუთარ სულსა და გულში ვიხედები-მეთქი. როგორ მიყვარხარ! ჩემი გული აბორგდა და აფორიაქდა, როგორც ქალი პურის ყანაში შეფეთებული მამაკაცის შემოხედვაზე. ასევე განირთხმებოდა ახლა მიწაზე, მწვანე მოლზე, ჩემი გულიც. ასე გაიშხლართებოდა, ასე გაფითრდებოდა. მგონი, შეიშალა. უყვარხარ, როცა მანქანა მიგყავს. მოდი, ნუღარ დავბრუნდებით პარიზში. მოვიპაროთ ბრილიანტებიანი ჩემოდანი, გავძარცვოთ ბანკი, გავაქროლოთ მანქანა და დავივიწყოთ პარიზი.

რავიკმა მანქანა პატარა ბართან შეაჩერა. მოტორის ხმა მიწყდა და მაშინვე შორიდან ზღვის რბილი, ღრმა სუნთქვა მოისმა.

- წამოდი, - უთხრა, - აქ, რა თქმა უნდა, იქნება კალვადოსი. დღეს ბევრი დალიე?

- ძალიან ბევრი და სულ შენი წყალობით. იმ იდიოტების ყბედობაც უცებ აუტანელი გახდა.

- მერე, რატომ არ მოხვედი ჩემთან?

- მე მოვედი შენთან.

- ჰო, მოხვედი მაშინ, როცა დარწმუნდი, რომ გტოვებდი. ჭამე რამე?

- ცოტა. ახლა მშია... მოიგე?

- კი.

- მაშინ მდიდრულ რესტორანში წავიდეთ, შავი ხიზილალა და შამპანური შევუკვეთოთ. ვიყოთ ისეთები, როგორებიც იყვნენ ჩვენი მშობლები, ვიდრე ყველა ეს ომი დაიწყებოდა - უდარდელნი, ცუდი გემოვნებისანი, თვალცრემლიანნი, მთვარით, ოლეანდრებით, ვიოლინოებით, სიყვარულითა და ზღვით გატაცებულნი! მინდა ვიფიქრო, რომ შვილები გვყავს, პარკი და სახლი გვაქვს, შენ კი - პასპორტი და მომავალი გაქვს, რომ შენი გულისათვის ვთქვი უარი ბრწყინვალე კარიერაზე, რომ ოცი წლის შემდეგაც ერთმანეთი გვიყვარს და ვეჭვიანობთ, რომ მე შენთვის უწინდებურად ლამაზი ვარ და არ შემიძლია დაძინება, თუ ღამით შინ არა ხარ, რომ...

სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა, მაგრამ იღიმებოდა.

- ყველაფერი ეს ერთმანეთს მიჰყვებოდა, ძვირფასო... და ყველაფერი ეს ცუდი გემოვნების ნიშანია.

- წავიდეთ, - უთხრა რავიკმა. - წავიდეთ მთებში, ,,შატო მადრიდში". იქ რუსი ბოშების გუნდია და ყველაფერი ის, რაც შენ გინდა.

ადრიანი დილა იყო. შორს, დაბლა, მშვიდი, რუხი ზღვა ლივლივებდა. ფერმიმკრთალ, მოწმენდილ ცაზე ღრუბლის ნასახი არ ჩანდა. ცის კიდურზე ვიწრო ვერცხლისფერი ზოლი კიაფობდა. ისეთი სიწყნარე იყო, რავიკს ჟოანის სუნთქვა ესმოდა. რესტორნიდან უკანასკნელნი გამოვიდნენ. ბოშები ძველებურ ,,ფორდში" ჩასხდნენ და მიხვეულ-მოხვეულ გზას დაადგნენ. კელნერებიც წავიდნენ. მზარეულიც ძველებურ ექვსადგილიან ,,დელაეში" ჩაჯდა და სანოვაგისათვის გაემგზავრა.

- აი, გათენდა კიდეც, - თქვა რავიკმა. - სადღაც, დედამიწის მეორე კიდეში კი ჯერ ისევ ღამეა. ოდესმე ისეთ თვითმფრინავებს გამოიგონებენ, რომ შესაძლებელი იქნება ადამიანი ღამეს დაეწიოს, დედამიწის ბრუნვის სისწრაფით გაფრინდეს. და თუ დილის ოთხ საათზე გეყვარები, საქმეს ისე მოვაწყობთ, რომ სულ დილის ოთხი საათი იქნება. დროსთან ერთად გავეშურებით დედამიწის გარშემო და დრო შეჩერდება ჩვენთვის.

ჟოანი მიეხუტა.

- ვერც კი გამომითქვამს, რა კარგი იქნებოდა ეს! ისე კარგი... პირდაპირ ლამის გული ორად გაიპოს. იცინე, დამცინე...

- ეს მართლა კარგია, ჟოან.

ქალმა გადახედა.

- სად არის ასეთი თვითმფრინავი? ვიდრე დაამზადებენ, დავბერდებით კიდეც, ძვირფასო. მე კი არ მინდა სიბერემდე ვიცოცხლო. შენ?

- მე მინდა.

- მართლა?

- ღრმა სიბერემდე.

- რისთვის?

- მინდა ვნახო, რა მოუვა ჩვენს პლანეტას.

- მე კი არ მინდა დაბერება.

- არც დაბერდები. სიცოცხლე შენს სახეზე კვალს არ დატოვებს, მხოლოდ ფრთას გაჰკრავს ოდნავ და კიდევ უფრო დაამშვენებს. ადამიანი მხოლოდ მაშინ ბერდება, როცა უკვე ვეღარაფერს გრძნობს.

- არა, როცა უკვე აღარ უყვარს.

რავიკი დუმდა: „დატოვება! - გაიფიქრა. - შენი დატოვება! აბა, რანაირად მომივიდა ეს თავში რამდენიმე საათის წინ, კანში?“

ჟოანმა ხელი მხარზე დაადო.

- აი, დღესასწაულიც დასრულდა, - თქვა. - შინ დავბრუნდებით და ღამეს ერთად გავატარებთ. დიდებულია! დიდებულია იცხოვრო სრული და არა დანამცეცებული ცხოვრებით! აღსავსე ვარ შენით და სავსებით დამშვიდებულად ვგრძნობ თავს, ჩემში ადგილის ნასახიც არ დარჩენილა არაფრისათვის. დავბრუნდეთ ბარემ შინ, ჩვენს დაქირავებულ „სახლში“, თეთრ ოტელში, ბაღში ჩადგმულ პატარა სახლს რომ ჰგავს.

მანქანა მიხვეულ-მოხვეული გზატკეცილით მისრიალებდა ქვემოთ. დილის ბინდი თანდათან იფანტებოდა. მიწას ნამის სუნი ასდიოდა. რავიკმა ფარები გამორთო. როცა კორნიშზე გავიდნენ, ყვავილებითა და ხილით დატვირთული საზიდრები შემოხვდათ, ნიცაში მიემართებოდნენ. შემდეგ ცხენოსანთა რაზმი მოიტოვეს უკან. მოტორის გუგუნში ისმოდა ფლოქვების უთანაბრო თქარათქური გზატკეცილის ღორღზე. მერე, მოსასხამიან მხედართა ჩამუქებული სახეები...

რავიკმა ჟოანს გადახედა. ქალმა ღიმილით უპასუხა. ფერმკრთალი, დაღლილი, ჩვეულებრივზე ნაზი სახე ჰქონდა. თავის ფაქიზ დაღლილობაში კიდევ უფრო მშვენიერი მოეჩვენა, ვიდრე ოდესმე, ამ ნაღვლიან, წყნარ დილას, რომელმაც სრულიად ჩაყლაპა გუშინდელი დღე, მაგრამ ჯერაც არ აღნიშნულიყო რაიმე გარკვეული საათით. მომაჯადოებელი დილა უშფოთველად დაჰფარფატებდა დედამიწას, არც შიში იცოდა, არც დრო და ეჭვი...

თვალსაწიერზე გამოჩნდა და თითქოს შესახვედრად აციმციმდა ანტიბის უბის ფართო რკალი. სულ უფრო ინათა. თითქოს მტრედისფერი დილა საკუთარი ტანით უნდა დაჰფარონო. ყურეში ბუნდოვნად ჩანდა ოთხი სამხედრო ხომალდის ბნელი

სილუეტები: კრეისერი და სამი საესკადრო ნაღმოსანი. ეტყობოდა, ღამით მოსულიყვნენ. დაბალნი, მრისხანენი, მდუმარენი იდგნენ მათ წინაშე უკანდახეული ცის ფონზე. რავიკმა ჟოანს შეხედა. ქალს მის მხარზე თავი მიედო და ეძინა.

## თავი მეჩვიდმეტე

რავიკი კლინიკისაკენ მიეშურებოდა. მთელი კვირა გავიდა, რაც სანაპიროდან დაბრუნდა. უეცრად ერთ ადგილზე გაქვავდა. თვალწინ გადაშლილი სურათი საოცრად მოაგონებდა საბავშვო თამაშს. დაუმთავრებელი შენობა მზეზე ციმციმებდა, თითქოს სათამაშო საშენი მასალისაგან აეგოთ. მის ფონზე, ხარაჩოების თხელ აბლაბუდაში, ლურჯი ცა ჩანდა... უცბად ერთ ადგილზე ხარაჩო შეირყა და კოჭი, ადამიანის ფიგურასთან ერთად, ნელ-ნელა გადაიწია, როგორც ასანთის ღერი, რომელზედაც ბუზი ზის. კოჭი ვარდებოდა და ვარდებოდა. მისი ვარდნა უსასრულოდ დიდხანს გაგრძელდა. ფიგურა გამოეყო და პატარა ხელებგაშლილ დედოფალას დაემსგავსა, უხერხულად რომ მოფრინავდა ჰაერში. ერთი წამით თითქოს მთელ ქვეყნიერებას სამარისებური დუმილი დაეუფლა. გარშემო ყველაფერი გაირინდა - ნიავიც, ხმაც, სუნთქვაც... მხოლოდ ერთი პატარა ფიგურა და მძიმე კოჭი ვარდებოდა და ვარდებოდა...

შემდეგ უეცრად ყველაფერი ამოძრავდა, ახმაურდა. მხოლოდ ახლა შენიშნა რავიკმა, რომ სუნთქვა შეჰკვროდა. გაიქცა.

კაცი ქვაფენილზე ეგდო. ერთი წუთის წინ თითქმის ცარიელი ქუჩა ხალხით ავსებულიყო. ადამიანები ყოველი მხრიდან მორბოდნენ, თითქოს ბუკ-ნაღარა უხმობთო. რავიკმა ხალხში გზა გაიკაფა და ნახა, ორი ადამიანი დაცემულის აყვანას ცდილობდა.

- არ ასწიოთ! აცალეთ! - შეჰყვირა.

ადამიანებმა უკან დაიხიეს, განზე გაიწიეს, გზა დაუთმეს. მუშა ისევ ისე ხელში ეჭირათ.

- წყნარად დაუშვით! ფრთხილად! ნელა!

- თქვენ ვინა ხართ? - ჰკითხა ერთმა მუშამ. - ექიმი?

- დიახ.

- ძალიან კარგი.

დაზარალებული ქვაფენილზე დააწვინეს. რავიკი მის წინ მუხლებზე დაეშვა და გულის გასინჯვას შეუდგა. შემდეგ ოფლისაგან დასველებული პერანგი გაუხსნა და სხეული მოუსინჯა.

- რა სჭირს? - ჰკითხა ერთმა მუშამ. - ჯერ არ მოსულა გრძნობაზე?

რავიკმა უარის ნიშნად თავი გადააქნია.

- მაშ, რა სჭირს? - ისევ ჰკითხა მუშამ.

- გარდაიცვალა.

- გარდაიცვალა?

- დიახ.

- როგორ? - დაბნეულად ჩაილაპარაკა მუშამ. - ჩვენ ხომ, ეს-ეს არის, ერთად ვისადილეთ.

- ექიმი! - მოულოდნელად გაისმა ბრბოს უკანა რიგებში, მჭიდრო რკალად რომ ერტყა დაღუპულს.

- რა მოხდა? - იკითხა რავიკმა.

- ექიმი! ჩქარა!

- მითხარით, რა მოხდა?

- ქალი...

- ვინ ქალი?

- გადმოვარდნილი ძელი ქალსაც მოხვდა!.. სისხლისაგან იცლება.

რავიკმა ხალხში მუჯლუგუნებით დაიწყო გზის გაკაფვა, კირის ორმოსთან, ქვიშაში, ლურჯწინსაფრიანი ქალი ეგდო. დანაოჭებულ სახეს მკვდრისფერი ედო, თვალები ჩამქრალ ნახშირს მოგაგონებდათ. მკერდის არეში, თითქმის ყელთან, ღია ჭრილობიდან პატარა შადრევანივით მოჩქეფდა სისხლი. ნაწყვეტ-ნაწყვეტი მრუდე ნაკადი მაღლა და გვერდით სცემდა და როგორღაც არ ესადაგებოდა უძრავად მწოლიარე ქალის მდგომარეობას. მის თავთან დამდგარ შავ გუბეს ქვიშა სწრაფად ისრუტავდა.

რავიკმა არტერიას მოუჭირა და მაშინვე ბანდის პაკეტი ამოიღო სასწრაფო დახმარების ჩანთიდან, რასაც მუდამ თან ატარებდა.

- დამიკავეთ! - მიმართა იქვე მდგომთ.

ოთხი ხელი ერთბაშად წაეტანა ჩანთას, ის კი მაინც დავარდა ქვიშაზე და გაიხსნა. რავიკმა სწრაფად აიღო მაკრატელი, ტამპონი და ბანდიანი პაკეტი გახსნა.

ქალი კვლავ უსიტყვოდ იწვა, პირდაპირ იყურებოდა, თვალსაც არ ახამხამებდა. სხეული კვლავ დაძაბული და გაქვავებული ჰქონდა.

- ნუ ღელავთ, დედი, - უთხრა რავიკმა. - ყველაფერი კარგად იქნება...

ძელი მხარსა და კისერზე მოხვედროდა. მხარი დამსხვრეული ჰქონდა, ლავიწი გატეხილი. დამსხვრეული სახსარი, ალბათ, ვეღარ მოიხრებოდა.

- ასე. მარცხენა ხელს მოვრჩით, - თქვა რავიკმა და ფრთხილად დაიწყო კეფის გასინჯვა. კანი ნაჭდევებით ჰქონდა დასერილი. გამოკვლევა განაგრძო, ფეხი გაუსინჯა. ქალს ტერფი ნაღრძობი აღმოაჩნდა. რუხი წინდები ეცვა, მრავალჯერ დაკემსილი, მაგრამ არსად გახვრეტილი. მუხლის ქვემოთ - შავი წვივსაკრავი.

რამდენჯერ უნახავს ყოველივე ეს! შავი, შეკეთებული ფეხსაცმელი, ორად განასკვული ზონრები...

- დაუძახა ვინმემ სასწრაფო დახმარებას? - იკითხა რავიკმა.

პასუხი არ გაუციათ.

- მგონი, დაუძახეს... პოლიციელმა დარეკა, - თქვა ვიღაცამ მოგვიანებით.

რავიკმა თავი ასწია.

- პოლიციელმა? სად არის?

- იქ... მიცვალებულთან...

რავიკი წამოდგა.

- მაშინ აქ აღარაფერი მესაქმება.

წასვლა დააპირა. ამ დროს ხალხში გზა გამოიკვლია პოლიციელმა - ახალგაზრდა კაცმა. ხელში ბლოკნოტი ეჭირა. ფანქრის ნარჩენს ნერვიულად ასველებდა ნერწყვით.

- ერთი წუთით, - უთხრა და რაღაცის ჩაწერა დაიწყო.

- აქ ყველაფერი რიგზეა, - უთხრა რავიკმა.

- ერთი წუთით, მუსიე.

- ძალიან მეჩქარება. სასწრაფო გამოძახებაზე მივდივარ.

- ერთი წუთით, მუსიე. ექიმი ბრძანდებით?

- არტერია შევუხვიე, მეტი არაფერი. საჭიროა მხოლოდ სასწრაფო დახმარების დაცდა.

- ერთი სეკუნდით, მუსიე! თქვენი გვარი უნდა ჩავიწერო. თქვენ ხომ მოწმე ხართ.

- მე არ დამინახავს, როგორ მოხდა უბედურება, გვიან მოვედი.

- სულერთია, ყველაფერი უნდა ჩავიწერო. ეს ძალიან მძიმე შემთხვევაა, მუსიე!

- ვხედავ, - მიუგო რავიკმა.

პოლიციელმა ქალს გვარი ჰკითხა. ქალი დუმდა. თვალგაშტერებული შესცქეროდა. პოლიციელი დიდი გულმოდგინებით დახრილიყო ქალის თავზე.

რავიკმა მიმოიხედა. ბრბო კედლად ერტყმოდა გარშემო. გზას ვერსაით გაიკვლევდა.

- გამიგონეთ, - მიმართა პოლიციელს. - ძალიან მეჩქარება.

- ბრწყინვალედ მესმის თქვენი, მუსიე! მით უმეტეს, ნუ გაართულებთ საქმეს. ყველაფერი მიმდევრობით უნდა ჩავიწერო. თქვენ მოწმე ხართ, ამას კი ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთიც ვნახოთ, ქალი მოკვდეს?

- არ მოკვდება.

- ეს წინასწარ არავინ იცის. თან, ეტყობა, სახიჩრობისათვის გასამრჯელოს საკითხიც გადასაწყვეტი იქნება.

- სასწრაფო დახმარებას გამოუძახეთ?

- ეს საქმე ჩემმა კოლეგამ მოაგვარა... ნუ მიშლით, თორემ ამას ვერასოდეს დავამთავრებთ.

- აქ ქალი კვდება, თქვენ კი წასვლა გინდათ, - უთხრა ერთმა მუშამ რავიკს.

- მაშინ მოკვდებოდა, აქ რომ არ ვყოფილიყავი.

- მე რაღას გეუბნებით? - დაუმატა მუშამ სრულიად ულოგიკოდ. - აი, ამიტომაც გამოდის, რომ უნდა დარჩეთ.

ფოტოაპარატმა გაიჩხაკუნა. კეფაზე ქუდგადაწეულმა ვიღაც კაცმა გაიღიმა.

- ხომ ვერ დაიხრებით ერთხელ კიდევ, ვითომ სახვევს ამაგრებთ? - მიმართა რავიკს.

- ვერა, ვერ დავიხრები.

- გაზეთიდან ვარ, - აუხსნა ფოტოგრაფმა. - სურათს მოვათავსებთ თქვენი მისამართითა და ხელმოწერით. გამოვაცხადებთ, რომ თქვენ დაზარალებული იხსენით. ცუდი რეკლამა როდი იქნება ექიმისათვის. გთხოვთ, აქეთ დადგეთ... აქ მეტი სინათლეა.

- ჯანდაბაში წადით! - მიუგო რავიკმა. - ქალს სასწრაფო დახმარება ესაჭიროება. მე დროებით შევუხვიე, ძალიან ჩქარა უნდა შეიცვალოს ნახვევი. ახლავე უხმეთ სასწრაფო დახმარებას.

- ყველაფერს თავისი დრო აქვს, მუსიე, - განაცხადა პოლიციელმა. - ჯერ ოქმი უნდა შედგეს.

- ეგერ, იმ მიცვალებულმა, უკვე გითხრათ თავისი სახელი? - ჩაერია საუბარში ვიღაც ყმაწვილი კაცი.

- ხმა ჩაიწყვიტე! - დაუყვირა პოლიციელმა.

- ერთიც აქედან გადაუღეთ, - სთხოვა ვიღაცამ ფოტორეპორტიორს.

- რისთვის?

- გამოჩნდეს, რომ ქალი ტროტუარის შემოღობილ ნაწილში იმყოფებოდა. აქ ყველგან შემოღობილია. აგერ, შეხედეთ...

კაცმა ირიბად მიჭედილ ფიცარზე მიუთითა: „ყურადღება! გავლა აკრძალულია!“ - გადაიღეთ ისე, რომ წარწერა ჩანდეს. ეს აუცილებელია. სახიჩრობის დახმარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

- მე ფოტოკორესპონდენტი ვარ, - მიუგო ქუდიანმა კაცმა. - ვიღებ მხოლოდ იმას, რაც საინტერესოდ მიმაჩნია.

- ეს კი არ არის საინტერესო? მაშინ რა არის საინტერესო? მშვენიერი სურათი გამოვა, წარწერა ექნება.

- წარწერები ჩვენ არ გვაინტერესებს. საინტერესოა შემთხვევა.

- მაშინ ეს ოქმში შეიტანეთ. - კაცმა პატივისცემით შეახო ხელი მხარზე პოლიციელს.

- თქვენ ვინღა ხართ? - შეუღრინა პოლიციელმა.

- სამშენებლო ფირმის წარმომადგენელი გახლავართ.

- ჩინებულია, - უთხრა პოლიციელმა. - მაშინ თქვენც აქ დარჩებით... ჰო, რა გქვიათ? - მიუბრუნდა ქალს. - ხომ უნდა მითხრათ თქვენი სახელი?

ქალმა უხმოდ შეარხია ტუჩები. ქუთუთოები პეპელასავით შეუთრთოლდა. ქანცგაწყვეტილ რუხ ფარვანებს ჰგავსო, გაიფიქრა რავიკმა და მაშინვე გონს მოეგო: რა სულელი ვარ! დიდი ხანია, ჩემი წასვლის დროა, აქაურობას უნდა გავეცალო.

- ეშმაკმა იცის თქვენი თავი! - თქვა პოლიციელმა. - ეს ქალი ხომ არ შეიშალა? გამიჩინა საზრუნავი! მე კი სამზე მითავდება მორიგეობა.

- მარსელ... - მოულოდნელად დაილაპარაკა ქალმა.

- რა თქვით? აბა, აბა? რა თქვით? - პოლიციელი ისევ დაიხარა. ქალი ხმას არ იღებდა.

- რა თქვით? - ჩაეკითხა პოლიციელი. - გაიმეორეთ! გაიმეორეთ ერთხელ კიდევ!

ქალი დუმდა.

- დაიღუპეთ თქვენცა და თქვენი ყბედობაც! - შეუტია სამშენებლო ფირმის წარმომადგენელს. - აბა, რანაირად უნდა შეადგინო აქ ოქმი?

ამ დროს ისევ გაიჩხაკუნა ფოტოაპარატმა.

- გმადლობთ, - თქვა რეპორტიორმა. - ძალიან ცოცხალი სცენა გამოვა.

- ჩვენი ფირმის ნიშანი თუ მოხვდა კადრში? - ჰკითხა სამშენებლო ფირმის წარმომადგენელმა და პოლიციელი მოიშორა. - დაუყოვნებლივ გაძლევთ ექვსიოდე სურათის შეკვეთას.

- არ მოხვედრილა, - განუცხადა ფოტორეპორტიორმა. - მე სოციალისტი ვარ. უმჯობესია, დაზღვევით გადაუხადოთ, საბრალო ტუტუცო, მილიონერთა ქოფაკო.

საყვირის ხმა გაისმა. სასწრაფო დახმარების მანქანა ახლოვდებოდა. დროა, აქაურობას გავეცალოო, გაიფიქრა რავიკმა და ფრთხილად დაიხია უკან, მაგრამ პოლიციელმა შეაჩერა.

- ჩემთან ერთად მოგიწევთ განყოფილებაში წამოსვლა, მუსიე. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ოქმის შედგენა მომიხდება.

საიდანღაც მეორე პოლიციელიც გამოჩნდა და რავიკს გვერდით დაუდგა. გამოსავალი არ იყო. იქნებ, ყველაფერმა იოლად ჩაიაროსო, გაიფიქრა რავიკმა და პოლიციელს გაყვა.

მორიგე მოხელემ უსიტყვოდ მოისმინა პოლიციელის მოხსენება, რომელიც ოქმს ხელახლა ადგენდა. შემდეგ რავიკს მიუბრუნდა.

- თქვენ ფრანგი არა ხართ.

კი არ ეკითხებოდა, ფაქტს ადგენდა.

- სავსებით სწორია, - მიუგო რავიკმა.

- ვინღა ხართ?

- ჩეხი.

- ეს როგორ? საექიმო დახმარება აღმოუჩინეთ ადამიანს, იმის მიუხედავად, რომ უცხოელი ხართ და უფლება არა გაქვთ პრაქტიკისა, თუ ჩვენი ქვეშევრდომი არა ხართ!

რავიკმა გაიღიმა.

- მე არ ვეწევი საექიმო პრაქტიკას. ვმოგზაურობ. ვერთობი.

- პასპორტი თან გაქვთ?

- გეყოფა, ფერნან, - უთხრა მეორე მოხელემ. - მუსიე დაეხმარა ქალს, გვაქვს მისი მისამართი. ეს სრულიად საკმარისია. ამას გარდა, გვყავს სხვა მოწმეებიც.

- მე მაინტერესებს, პასპორტი ან პირადობის მოწმობა თუ გაქვთ თან?

- რა თქმა უნდა, არა, - მიუგო რავიკმა. - ვინ ატარებს თან პასპორტს?

- სადა გაქვთ?

- საკონსულოში. ერთი კვირის წინ ჩავაბარე. საჭიროა ვიზების გაგრძელება.

რავიკმა იცოდა: თუ ეტყოდა, პასპორტი ოტელში მაქვსო, პოლიციელს გააყოლებდნენ და ტყუილს მაშინვე ფარდა აეხდებოდა. თანაც, როცა ჰკითხეს, სად ცხოვრობო, სიფრთხილისათვის სხვა ოტელი დაასახელა. საკონსულოს ვარიანტი უფრო საიმედო იყო.

- რომელ საკონსულოში? - ჰკითხა ფერნანმა.

- ჩეხოსლოვაკიისაში. აბა, რომელში მექნება?

- ხომ შეიძლება დავურეკოთ და შევამოწმოთ? - ფერნანმა რავიკს მრავალმნიშვნელოვნად შეხედა.

- ცხადია, შეგიძლიათ.

ფერნანი წუთით გაჩუმდა.

- კეთილი, - თქვა, - ასეც მოვიქცევით.

ადგა და გვერდით ოთახში გავიდა. მეორე მოხელე აშკარად შეწუხებული იყო.

- მომიტევეთ, გეთაყვა, მუსიე, - მიუბრუნდა რავიკს. - რა თქმა უნდა, ეს ცარიელი ფორმალობაა. ახლა ყველაფერი გაირკვევა! ძალიან დავალებული ვართ დახმარებისათვის.

გაირკვევაო, გაიფიქრა რავიკმა. აუჩქარებლად აიღო სიგარეტი და ოთახი შეათვალიერა. კართან პოლიციელი იდგა. მაგრამ ეს წმინდა შემთხვევითობა იყო - ჯერ არავინ აყენებდა სერიოზული ეჭვის ქვეშ. პოლიციელისათვის შეიძლებოდა ხელიც კი ეკრა... მაგრამ ოთახში იყო კიდევ ორი მუშა და სამშენებლო ფირმის წარმომადგენელი. გაქცევის ცდას აზრი არ ჰქონდა. გზას ვერ გაიკვლევ, თანაც განყოფილების წინ ყოველთვის დგანან პოლიციელები.

ფერნანი დაბრუნდა.

- საკონსულოში თქვენს სახელზე პასპორტი არ არის.

- შესაძლებელია, - მიუგო რავიკმა.

- ესე იგი, როგორ „შესაძლებელი“?

- ცნობის გამცემ თანამშრომელს შეეძლო ყველაფერი არ სცოდნოდა. ასეთ საქმეებს სულ მცირე ხუთი-ექვსი კაცი მაინც აწარმოებს.

- მაგრამ ეს საქმის კურსში აღმოჩნდა.

რავიკი გაჩუმდა.

- თქვენ ჩეხი არ ხართ, - უთხრა ფერნანმა.

- მომისმინე, ფერნან... - ის იყო, დაიწყო მეორე მოხელემ.

- ჩეხის აქცენტი არ გაქვთ, - განაგრძო ფერნანმა.

- მერე რა?

- თქვენ გერმანელი ხართ, - საზეიმო კილოთი განაცხადა ფერნანმა, - თანაც უპასპორტო.

- არა, გერმანელი არ ვარ, - მიუგო რავიკმა, - მაროკოელი გახლავართ და ყველა ფრანგული პასპორტიც მაქვს, როგორიც კი ქვეყნად არსებობს.

- მუსიე! - დაიღრიალა ფერნანმა. - როგორ ბედავთ! თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ საფრანგეთის მეტროპოლიას და მის კოლონიას!

- საქმე წახდა, - თქვა ერთმა მუშამ.

სამშენებლო ფირმის წარმომადგენელმა სახე ისე წაიგრძელა, თითქოს მხედრული სალმის მიცემას აპირებსო.

- გეყოფა, ფერნან...

- ტყუით! თქვენ ჩეხი არ ხართ! გაქვთ თუ არა პასპორტი? მიპასუხეთ!

ადამიანში ვირთხა ზისო, - გაიფიქრა რავიკმა. - ადამიანში ზის ვირთხა, რომელსაც ვერასოდეს დაახრჩობ... რა ესაქმება მაგ იდიოტს, მაქვს თუ არა პასპორტი? რა გაეწყობა, ვირთხამ საკბილო იყნოსა და სოროდან მოძვრება.

- მიპასუხეთ-მეთქი! - დორბლის ფრქვევით დაიღრიალა ფერნანმა.

ქაღალდის ნაგლეჯი! ეს არის საქმის თავი და ბოლო: გაქვს თუ არა ეს ქაღალდის ნაგლეჯი. ოღონდ უჩვენე - ეს პირუტყვი მაშინვე თავს მოიკატუნებს, ბოდიშებით აგავსებს, პატივისცემით გაგაცილებს, თუნდაც სამგზის მკვლელი და ბანდიტი იყო, მთელი ოჯახი ამოგეწყვიტოს და ბანკი გაგეძარცვოს. ჩვენს დროში, უპასპორტოდ რომ მოიხელთონ, თვითონ იესო ქრისტეს უკრავენ ციხეში თავს. თუმცა, ჩვენს დროში ის თავის ოცდაცამეტ წელსაც ვერ მიაღწევდა - ბევრად უფრო ადრე მოკლავდნენ.

- ვიდრე თქვენს ვინაობას დავადგენთ, აქ დარჩებით, - უთხრა ფერნანმა. - ამაზე თვითონ ვიზრუნებ.

- იზრუნეთ, - მიუგო რავიკმა.

ფერნანი ქუსლების ბრახუნით გავიდა. მეორე მოხელე ქაღალდებში იქექებოდა.

- ძალიან ვწუხვარ, მუსიე, - თქვა დუმილის შემდეგ, - ზოგჯერ პირდაპირ ბნედიანივით იქცევა.

- რას იზამ.

- ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ? - იკითხა ერთმა მუშამ.

- წადით.

- ნახვამდის, - რავიკს მიუბრუნდა, - მსოფლიო რევოლუციის შემდეგ არც თქვენ დაგჭირდებათ რაიმე პასპორტი.

- უნდა გითხრათ, მუსიე, - შენიშნა მოხელემ, - რომ ფერნანის მამა წინა ომში მოკლეს. ამიტომ სძულს გერმანელები.

მოხელე დაბნეული უყურებდა რავიკს. ჩანდა, ყველაფერს მიუხვდა.

- უაღრესად ვწუხვარ, მუსიე, რომ ასე მოხდა. მარტო რომ ვიყო...

- ვერაფერს გააწყობ, - რავიკმა მიმოიხედა. - ნებას მომცემთ დავრეკო, ვიდრე ფერნანი დაბრუნდებოდეს?

- დარეკეთ. ტელეფონი, აგერ, მაგიდაზეა. ოღონდ იჩქარეთ.

რავიკმა მოროზოვს აუხსნა გერმანულად, რაც მოხდა, და სთხოვა, ვებერს შეატყობინეო.

- ჟოანი? - ჰკითხა მოროზოვმა.

რავიკი შეყოვნდა.

- არ გინდა. ჯერ არ გინდა. უთხარი, რომ დამაკავეს, მაგრამ ორი-სამი დღის შემდეგ ყველაფერი რიგზე იქნება-თქო. იზრუნე მისთვის.

- კარგი, - მიუგო მოროზოვმა უხალისოდ. - კარგი, ვოცეკ.

ძლივს მოასწრო რავიკმა ყურმილის დადება, რომ ფერნანი შემოვიდა.

- რა ენაზე ლაპარაკობდით ახლა? - ჰკითხა და ჩაიცინა: - ჩეხურად?

- ესპერანტოზე, - მიუგო რავიკმა.

ვებერი მეორე დღეს, დილით მოვიდა.

- რა საძაგლობაა, - თქვა, საკანი რომ შეათვალიერა.

- საფრანგეთში ჯერ კიდევ შემორჩენილია ნამდვილი ციხეები, - მიუგო რავიკმა. - არავითარი ჰუმანისტური სიდამპლე! სანაქებო აყროლებული მეთვრამეტე საუკუნე გახლავთ.

- ეშმაკმა იცის, რა არის ეს! - თქვა ვებერმა. - ძალიან საჭირო კი იყო, რომ ახლა აქ ამოგეყოთ თავი.

- არ უნდა გაუკეთო ადამიანებს სიკეთე, არ ღირს. ყოველთვის უკუღმა გაგიგებენ. ჩანს, დამშვიდებით უნდა მეცქირა, როგორ იცლებოდა ქალი სისხლისაგან... რკინის საუკუნეში ვცხოვრობთ, ვებერ.

- რკინა-ბეტონის საუკუნეში. ამ ტიპებმა იყნოსეს, რომ პარიზში არალეგალურად ხართ?

- რა თქმა უნდა.

- მისამართიც გაიგეს?

- რა თქმა უნდა, არა. ხომ არ გავცემ ჩემს ძველ „ინტერნასიონალს“! დიასახლისს დამიჯარიმებენ: მისი მდგმურები არ არიან პოლიციაში რეგისტრირებული. თანაც გაჩხრეკენ, დაარბევენ, ერთ ათ კაცს კიდევ სტაცებენ ხელს. ამჯერად ოტელს „ლანკასტერი“ ვუწოდე. ძვირი, მდიდრული, პატარა ოტელია. ოდესღაც, დიდი ხნის წინ, გამითევია იქ ღამე.

- ახალი გვარი გაქვთ? ვოცეკი?

- ვლადიმერ ვოცეკი. - რავიკმა გაიცინა. - რიგით მეოთხე.

- აი, ბედი რომ სარმას ამოგდებს, ამოგდებს. რა ვქნათ, რავიკ?

- ბევრს ვერაფერს იზამ. მთავარია, პოლიციამ არ შეიტყოს, რომ პირველად არ ვარ საფრანგეთში. მაშინ ექვსი თვის ციხე მომელის.

- ეშმაკმა დალახვროს!

- დიახ, ქვეყანა დღითი დღე უფრო ჰუმანური ხდება. იცხოვრე საფრთხეშიო, თქვა ნიცშემ. ემიგრანტები ასედაც სჩადიან. უნებურად, ცხადია.

- და თუ ვერ გაიგეს?

- მაშინ მხოლოდ ორ კვირას მომცემენ. მერე კი, ცხადია, გამასახლებენ.

- შემდეგ რა იქნება?

- ისევ დავბრუნდები.

- და ისევ ჩავარდებით?

- ბუნებრივია... მაგრამ ამჯერად მაინც დიდი ხნით ამოვისუნთქე. ორი წელი - მთელი ცხოვრებაა.

- რამე უნდა ვიღონოთ. ასე გაგრძელება არ შეიძლება.

- ძალიან კარგადაც შეიძლება. მაინც, რა უნდა იღონოთ?

ვებერი ჩაფიქრდა.

- დიურანი! - შესძახა მოულოდნელად. - დიურანი აურაცხელ ხალხს იცნობს, ფართო წრეებში ტრიალებს... ღმერთო! თქვენ ხომ თვითონ გაუკეთეთ ოპერაცია მთავარ ბონზას, რომელზედაც ყველაფერია დამოკიდებული! გახსოვთ ის ღიპიანი, ნაღვლისბუშტიანი?

- მე კი არა, დიურანმა...

ვებერმა გაიცინა.

- მე, რა თქმა უნდა, არც კი მივანიშნებ, რომ ყველაფერი ვიცი. მაგრამ მოხუცი რაიმეს იღონებს. სულს ამოვაცლი.

- ბევრს ვერაფერს მიაღწევთ, უკანასკნელად ორი ათასი ფრანკი ამოვქაჩე. ასე ადვილად არ დამივიწყებს.

- მერე, როგორ დაივიწყებს! - უთხრა ვებერმა, სრულიად გამხიარულებულმა, - შეეშინდება: ერთიც ვნახოთ და სიტყვა ჩამოაგდეთ მის საეჭვო ოპერაციებზე? თქვენ ხომ მის მაგიერ ათობით ოპერაცია გაგიკეთებიათ. თანაც, ესაჭიროებით.

- ჩემს შემცვლელს იოლად იპოვის - ბინოს ან რომელიმე სხვა ქირურგს ლტოლვილთაგან. დიდხანს ძებნა არ მოუხდება.

ვებერმა ულვაშები შეისწორა.

- ისეთ ხელს, როგორიც თქვენ გაქვთ, ვერ იპოვის... ყოველ შემთხვევაში, ვცდი. მოველაპარაკები დიურანს. დღესვე ვნახავ. აქ კი შემიძლია რაიმე დახმარების გაწევა? როგორ გკვებავენ?

- საშინლად. მაგრამ ზედამხედველი ცოტა რამეს ყიდულობს ჩემთვის.

- სიგარეტები გაქვს?

- მეყოფა. მართალია, ციხეში აბაზანა არ არის, მაგრამ ამაში ვერაფრით დამეხმარებით.

რავიკმა ციხეში ორი კვირა დაყო. მასთან ერთად საკანში იყვნენ ებრაელი მეწყალსადენე, ნახევრად ებრაელი მწერალი და პოლონელი. მეწყალსადენეს ბერლინი მონატრებოდა. მწერალს ეს ქალაქი სძაგდა. პოლონელისთვის სულერთი იყო. რავიკი ბედის მოზიარეებს სიგარეტებით ამარაგებდა. მწერალი ანეკდოტებს მოუთხრობდა. მეწყალსადენე კი სწორუპოვარი სპეციალისტი იყო უნიტაზიდან ამომავალი უწმინდურობის სუნთან ბრძოლაში.

ორი კვირის თავზე რავიკის წასაყვანად მოვიდნენ. ჯერ ინსპექტორთან მიიყვანეს. ინსპექტორმა ჰკითხა, ფული თუ გაქვსო.

- დიახ.

- ჩინებულია. მაშინ ტაქსი აიყვანეთ.

ციხიდან პოლიციელის თანხლებით გამოვიდა. ქუჩას მზის ნათელი ეფინებოდა. რა კარგია, რომ კიდევ აღმოჩნდება მზეში. რა კარგია ხელახლა ჰაერზე გამოსვლა! ციხის კართან ვიღაც მოხუცი საჰაერო ბურთებს ყიდდა და რავიკს გაუკვირდა: არ შეიძლებოდა უფრო შესაფერისი ადგილის პოვნა? პოლიციელმა ტაქსი გააჩერა.

- სად უნდა წავიდეთ? - ჰკითხა რავიკმა.

- უფროსთან.

რავიკმა არ იცოდა, რომელ უფროსზე იყო ლაპარაკი, თუმცა ეს ნაკლებად აღელვებდა: მზად იყო, წასულიყო ვისთანაც იქნებოდა, ოღონდ გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკის უფროსი არ ყოფილიყო.

მართლაც, საშინელება მხოლოდ ერთი იყო: გესტაპოელი მკვლელების კლანჭებში ჩავარდნა და თავდაცვის ყოველგვარი საშუალების დაკარგვა. დანარჩენი ყველაფერი წვრილმანია.

ტაქსიში რადიომიმღები იყო. რავიკმა ჩართო. გადმოსცემდნენ ინფორმაციებს ბოსტნეულის ფასებზე, შემდეგ უკანასკნელი ცნობები გადმოსცეს. პოლიციელი რადიოს უსმენდა და ამთქნარებდა. რავიკმა სახელური გადააბრუნა. მუსიკა გაისმა. მოდური სიმღერა. პოლიციელი გამოცოცხლდა.

- შარლ ტრენეა, - თქვა, - ,,მენილმონტანი". აი, ეს მესმის!

ტაქსი გაჩერდა. რავიკმა ფული გადაიხადა. მისაღებში შეიყვანეს, სადაც ოფლისა და მტვრის სუნი იდგა, როგორც მთელი ქვეყნიერების ყველა მისაღებში.

აქ იჯდა ნახევარი საათი და ,,ლა ვი პარიზენის" ძველ ნომერს ფურცლავდა, რომელიც ვიღაც მთხოვნელს დარჩენოდა. ორი კვირა არაფერი წაეკითხა და გაზეთი კლასიკური ლიტერატურის შედევრად მოეჩვენა. შემდეგ უფროსთან შეიყვანეს.

რავიკმა ერთბაშად ვერც იცნო ეს პატარა ჩასუქებული კაცი. ოპერაციის დროს სახეებს კარგად არ აკვირდებოდა. ისე თუ გადახედავდა, გულგრილად, როგორც კალენდრის ფურცლებს. აინტერესებდა მხოლოდ ორგანიზმის ის ნაწილი, რომლის ოპერაციასაც აკეთებდა. მაგრამ ამ სახეს რავიკი ცნობისმოყვარედ აცქერდებოდა. მის წინ იჯდა ლევალი, ოღონდ უკვე უნაღვლისბუშტოდ, ჯანმრთელი და ისევ ღიპიანი. რავიკს

დაავიწყდა, რომ ვებერი დაჰპირდა, დიურანს მივაწვებიო, მაგრამ ვერაფრით ივარაუდებდა, თვითონ თუ მოხვდებოდა ლევალთან.

ლევალმა თავით ფეხამდე კრიტიკულად შეათვალიერა. ეტყობოდა, არ ეჩქარებოდა.

- თქვენი სახელი, რა თქმა უნდა, ვოცეკი არ არის, - წაიბუზღუნა ბოლოს.

- რა თქმა უნდა.

- მაშ, რა არის?

- ნოიმანი.

რავიკი ამაზე წინდაწინ შეუთანხმდა ვებერს, იმან კიდევ დიურანს უთხრა. გვარი ვოცეკი მეტისმეტად ექსცენტრიკულად ჟღერდა.

- გერმანელი ხართ, ხომ მართალია?

- დიახ.

- ლტოლვილი?

- დიახ.

- საეჭვოა. გამოქცეულს არ ჰგავხართ.

- ყველა გამოქცეული ებრაელი როდია, - შენიშნა რავიკმა.

- რატომ იცრუეთ დაკითხვაზე განყოფილებაში? რატომ უთხარით მოგონილი გვარი?

რავიკმა მხრები აიჩეჩა.

- რა გაეწყობა. ვცდილობთ, რაც შეიძლება ნაკლები ვიცრუოთ, მაგრამ ზოგჯერ ასეც ხდება და ეს სულაც არ გვსიამოვნებს.

ლევალი გაცხარდა.

- როგორ ფიქრობთ, ჩვენ კი გვსიამოვნებს მთელი ეს დავიდარაბა, თქვენი მიზეზით თავს რომ გვატყდება?

,,რა უსუფთაო და ნაცრისფერი იყავი მაშინაც, - გაიფიქრა რავიკმა. - უსუფთაო ჭაღარა თავი, უსუფთაო ლურჯი ტოპრაკები თვალების ქვემოთ, დაკიდებული ტუჩი. მაშინ არ ლაპარაკობდი, მაშინ მიხრწნილი ხორცის ზვინი იყავი, დამპალი ნაღვლის ბუშტი გქონდა‘‘.

- სად ცხოვრობდით? მისამართიც მოგონილი გითქვამთ.

- სადაც მომიხდებოდა, იქ ვცხოვრობდი, ხან აქ, ხან იქ.

- რამდენი ხანია, რაც საფრანგეთში იმყოფებით?

- სამი კვირაა. სამი კვირის წინ ჩამოვედი შვეიცარიიდან. იძულებული გამხადეს, საზღვარი გადმომელახა. ხომ მოგეხსენებათ, უპასპორტოდ არსად არ გვაქვს

ცხოვრების უფლება. ყველას კი არ შეუძლია თავი მოიკლას. აქედან მოდის მთელი დავიდარაბა, თქვენ რომ გატყდებათ.

- დარჩენილიყავით თქვენს ქვეყანაში, გერმანიაში, - ჩაიბურტყუნა ლევალმა. - არც ისე ცუდი ცხოვრებაა. ბევრს აზვიადებენ...

,,გამეკეთებინა მაშინ ოდნავ სხვანაირი ჭრილი, არ მომიხდებოდა ამ შენი სულელური ყბედობის მოსმენა. მატლები უსაბუთოდაც გადმოლახავდნენ შენს საზღვრებს... ან ფერფლის პატარა გროვა იქნებოდი, ულაზათო ურნაში შენახული''.

- სად ცხოვრობდით აქ? - ჰკითხა ლევალმა.

,,ხედავთ, რა მოუნდა, - გაიფიქრა რავიკმა. - დანარჩენების დაჭერაც მოისურვა''.

- ძვირფას ოტელებში, - მიუგო, - სხვადასხვა გვარით. თითოეულში ორ-სამ დღეს.

- ეს არ არის მართალი.

- მერე, რატომ მეკითხებით, თუ ყველაფერი ჩემზე უკეთ იცით? - შეედავა რავიკი. მოსწყინდა ეს ლაპარაკი.

ლევალმა გაბრაზებით დაჰკრა ხელი მაგიდას.

- თქვენ გავიწყდებათ, სად იმყოფებით! - და მაშინვე ყურადღებით გაისინჯა ხელისგული.

- თქვენ კი პირდაპირ მაკრატელზე მოახვედრეთ, - შენიშნა რავიკმა.

ლევალმა ხელი ჯიბეში ჩაიყო.

- ხომ არ გეჩვენებათ, რომ თავი საკმაოდ თავხედურად გიჭირავთ? - ჰკითხა უეცრად ისეთი ადამიანის დამშვიდებული კილოთი, რომელსაც თავის შეკავება არ უჭირს, რადგანაც თანამოსაუბრე სავსებით მის ხელთ არის.

- თავხედურად? ეს მე მიჭირავს თავი თავხედურად? - რავიკმა გაკვირვებით შეხედა. - ამას თავხედობას ეძახით? მაგრამ ჩვენ ხომ დაწყებით სკოლაში არა ვართ და არც მომნანიებელ დამნაშავეთა თავშესაფარში! მე იძულებული ვარ, თავი დავიცვა. თქვენ კი გინდათ თავი წარმოგიდგინოთ ჯიბგირად, რომელიც უფრო ლმობიერი განაჩენის გამოტანას გევედრებათ? და მხოლოდ იმისათვის, რომ ნაცისტი არ ვარ და დოკუმენტები არ მაქვს? არა, ჩვენ არ ვთვლით თავს დამნაშავეებად, თუმცა უკვე გვტანჯეს ციხეებში, გვატარეს საპოლიციო განყოფილებებში და დაგვამცირეს ყოველნაირად. გვინდა გადავრჩეთ - აი, რა გვაძლევს ძალას, რომ ვიბრძოლოთ. ნუთუ ეს არ გესმით? ღმერთო ჩემო, რა შუაშია აქ თავხედობა?

ლევალმა მისი სიტყვა უპასუხოდ დატოვა.

- საექიმო პრაქტიკას ეწეოდით? - ჰკითხა რავიკს.

- არა.

ნაკერი, ალბათ, აღარც კი ემჩნევა, გაიფიქრა რავიკმა. მაშინ განსაკუთრებით ვცდილობდი. რამდენი ოფლი ვღვარე, ვიდრე მთელი ქონი მოგაცილე. მაგრამ მას შემდეგ იმდენი ხეთქე, რომ ღიპი ისევ გამოგეზარდა. ხეთქავდი და სვამდი.

- ამაში იფარება უდიდესი საფრთხე საფრანგეთისათვის, - განაცხადა ლევალმა. - სრულიად უკონტროლოდ, ისე, რომ ხელისუფლებამ არაფერი იცის, თქვენს ჭუჭყიან საქმიანობას ეწევით. და ვინ იცის, უკვე რამდენი ხანია! ნუ გგონიათ, რომ ამ სამი კვირის ამბავი დაგიჯერეთ. ერთმა ღმერთმა იცის, სად არ ჰყოფდით თქვენს ხელებს, რა მაქინაციებში არ ხართ გარეული.

მე ვყოფდი ხელებს შენს მუცელში, ქონმოკიდებულ ღვიძლსა და აშმორებულ ნაღველშიო, გაიფიქრა რავიკმა. მე რომ არა, შენი მეგობარი დიურანი მოგკლავდა ყოვლად ჰუმანურად და იდიოტურად. ამით კიდევ უფრო სახელგანთქმულ დასტაქრად იქცეოდა და ოპერაციებისათვის ორმაგად მეტ ფულს აიღებდა.

- დიახ, დიახ, უდიდესი საფრთხე, - გაიმეორა ლევალმა. - პრაქტიკა აკრძალული გაქვთ და ამიტომ ხელს ჰკიდებთ ყველაფერს, რაც მოგხვდებათ. ეს სრულიად ნათელია. კონსულტაცია მქონდა ერთ ჩვენს უდიდეს ავტორიტეტთან და სავსებით მეთანხმება ამ საქმეში. თუ ცოტაოდენი დამოკიდებულება მაინც გაქვთ მედიცინასთან, მისი სახელი თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს.

არაო, ფიქრობდა რავიკი, ეს შეუძლებელია, დიურანს არ დამისახელებსო, ცხოვრება ასეთ ოინს არ მომიწყობსო.

- ესაა პროფესორი დიურანი, - ღირსებით წარმოთქვა ლევალმა. - მთელი საიდუმლოება იმან გადამიშალა. სანიტრები, უსწავლელი სტუდენტები, მამაკაცები, ასისტენტები აქ თვალსაჩინო გერმანელ ექიმებად ასაღებენ თავს. განა ყველას მიაგნებ? ნებადაურთველი ქირურგიული ჩარევა, ფარული აბორტები, ბნელი მორიგებანი მეან ქალებთან, შარლატანობა... რას არ კადრულობენ! და რა მკაცრიც უნდა ვიყოთ, ვერაფერს გავხდებით, არ იკმარებს.

დიურანია, ფიქრობდა რავიკი. შური უნდა იძიოს ორი ათასი ფრანკისათვის. ახლა ვინღა აკეთებს ოპერაციებს მის მაგიერ? ალბათ, ბინო. უთუოდ შერიგდნენ.

თავისი თავი დაიჭირა იმაზე, რომ სულაც არ უსმენდა ლევალს, და მხოლოდ მაშინ, როცა ვებერი ახსენა, ყურები ცქვიტა.

- ვიღაც დოქტორმა ვებერმა გიშუამდგომლათ. იცნობთ?

- ძალიან ზერელედ.

- იყო ჩემთან.

მოულოდნელად ლევალი გაირინდა, უაზროდ მიაშტერდა სივრცეს, შემდეგ ხმამაღლა დააცემინა, ცხვირსახოცი ამოიღო, საფუძვლიანად მოიხოცა ცხვირი, შეხედა ცხვირსახოცს, დაკეცა და ისევ ჯიბეში ჩაიდო.

- არაფრით შემიძლია დაგეხმაროთ. იძულებული ვართ სიმკაცრე გამოვიჩინოთ. გაგასახლებენ.

- ვხვდები.

- ყოფილხართ ადრე საფრანგეთში?

- არა.

- თუ დაბრუნდებით, ექვსი თვით ციხეს მიიღებთ. ცნობილია ეს თქვენთვის?

- ცნობილია.

- მე ვიზრუნებ, რომ ეს, რაც შეიძლება, მალე მოხდეს. აი, ყველაფერი, რაც თქვენთვის შემიძლია გავაკეთო. ფული გაქვთ?

- მაქვს.

- ჰოდა, ძალიან კარგი. მაშინ თვითონვე გადაიხდით საზღვრამდე გზის ფულს, დამატებით - მხლებლის ფულსაც, - თავი დაუქნია. - შეგიძლიათ წაბრძანდეთ.

- გარკვეულ საათზე უნდა დავბრუნდეთ? - ჰკითხა რავიკმა მხლებელ პოლიციელს.

- არა. ყველაფერი გარემოებაზეა დამოკიდებული. რატომ მეკითხები?

- ურიგო არ იქნებოდა სირჩა აპერიტივის დალევა.

პოლიციელმა ეჭვის თვალით გადახედა.

- არ გავიქცევი, - უთხრა რავიკმა, ოცფრანკიანი საკრედიტო ქაღალდი ამოიღო და ხელში შეათამაშა.

- კეთილი. ხუთი-ათი წუთი თუ შეგვაგვიანდება, არა უშავს.

მანქანა უახლოეს ბისტროსთან გააჩერეს. ტროტუარზე პატარა მაგიდები იდგა. გრილოდა, თუმცა მზე ანათებდა.

- რას დალევთ? - ჰკითხა პოლიციელს რავიკმა.

- „ამერ პიკონს“. დღის ამ საათებში სხვას არაფერსა ვსვამ.

- მე კიდევ „ფინშამპანს“ დავლევ დიდი სირჩით.

რავიკი მაგიდასთან იჯდა და ღრმად სუნთქავდა. თავს მშვიდად გრძნობდა. დიდი რამ არის სუფთა ჰაერის სუნთქვა. ხეთა ტოტებზე სადაცაა აფეთქდებიან გაღვივებული ყავისფერი მოციმციმე კვირტები. ახალგამომცხვარი პურისა და ახალი ღვინის სუნი იდგა. კელნერმა სირჩები მოიტანა.

- სად გაქვთ აქ ტელეფონი? - ჰკითხა რავიკმა.

- შიგნით, მარჯვნივ, საპირფარეშოს გვერდით.

- მაგრამ ნება მიბოძეთ... - წამოიწყო პოლიციელმა.

რავიკმა ხელში ოცფრანკიანი მიაჩეჩა.

- ერთ მანდილოსანს უნდა დავურეკო, ნუთუ არ გესმით? არსად გაგეპარებით. გნებავთ, ერთად წავიდეთ. წამობრძანდით.

პოლიციელს დიდხანს არ უყოყმანია.

- კარგი, - თქვა და წამოდგა. - ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ადამიანია.

- ჟოან...

- რავიკ!.. ღმერთო ჩემო! სად ხარ?.. გამოგიშვეს? მითხარი, სად იმყოფები?

- ბისტროში ვარ...

- ხუმრობას თავი დაანებე. მითხარი, სად ხარ.

- ბისტროში-მეთქი.

- მაგრამ სად, სად? ციხეში არა ხარ? სად დაიკარგე? შენმა მოროზოვმა...

- მოროზოვმა მართალი გითხრა.

- არც კი გამაგებინა, საით გაგგზავნეს, თორემ მაშინვე...

- ამიტომაც არ გაგაგებინა. ასე ჯობდა.

- რატომ რეკავ ბისტროდან? რატომ არ მოხვედი ჩემთან?

- მოსვლა არ შემიძლია. სრულებით არა მაქვს დრო. ძლივს დავიყოლიე პოლიციელი, რომ ერთი წუთით ტელეფონთან მოვეშვი. ჟოან, დღეს თუ ხვალ შვეიცარიის საზღვართან მიმაცილებენ და... - რავიკმა ტელეფონის ჯიხურის მინაში გაიხედა: პოლიციელი ვიღაცას ელაპარაკებოდა, - იქიდან მალე დავბრუნდები. - წამით გაჩუმდა. - ჟოან...

- მოვდივარ! დაუყოვნებლივ. მხოლოდ მითხარი, სადა ხარ?

- ვერ მოასწრებ. ჩემამდე ნახევარი საათის გზაა, მე კი წუთები დამრჩა.

- შეაჩერე პოლიციელი! მიეცი ფული! ფულს მოვიტან!

- არა, ჟოან... არ გინდა... ასე უფრო იოლია. ასე ჯობს.

ყურმილში ქალის სუნთქვა ესმოდა.

- ჩემი ნახვა არ გინდა, ხომ?

ეს აუტანელი იყო. არ უნდა დამერეკაო, ინანა. განა შეიძლება ადამიანს რაიმე დაუმტკიცო, როცა თვალებში არ უყურებ?

- არაფერი ისე არ მინდა, როგორც შენი ნახვა, ჟოან.

- მაშინ მოდი ჩემთან, პოლიციელთან ერთად!

- ეს შეუძლებელია. დროა, ლაპარაკი დავასრულოთ. ჯობია, ის მითხრა, ახლა რას აკეთებ?

- არ მესმის, რას მეკითხები?

- გაგაღვიძე? რანაირად გაცვია?

- ჯერ ლოგინში ვარ. ძალიან გვიან დავბრუნდი შინ. შემიძლია ახლავე ჩავიცვა და წამოვიდე.

გვიან დაბრუნდა... გასაგებია! ყველაფერი თავის რიგზე მიდის, მაშინაც კი, როცა ციხეში გსვამენ. რა მალე ეძლევა ყველაფერი დავიწყებას. ლოგინი, ნამძინარევი ჟოანი, ბალიშზე გადაშლილი თმა, სკამებზე წინდები, თეთრეული, საგარეო კაბა, - ყოველივე ამან თვალწინ გაუელვა... სატელეფონო ჯიხურის მინა, ამონასუნთქი ჰაერით დაორთქლილი, სადღაც უსასრულოდ შორს პოლიციელის თავი დაცურავს, როგორც თევზი აკვარიუმში... რავიკმა თავს ძალა დაატანა.

- დროა, დავასრულო ლაპარაკი, ჟოან.

ქალის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმა მოესმა.

- მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია. შენ არ შეგიძლია წახვიდე უბრალოდ ასე და მე არ ვიცოდე, სად იმყოფები და რა მოგდის...

ლოგინში წამოიწია, ბალიში გადააგდო, ხელში ყურმილი უჭირავს, როგორც თავდაცვის იარაღი და როგორც მტერი... მისი მხრები, მისი ღრმა, მღელვარებისაგან დაბინდული თვალები...

- ომში ხომ არ მივდივარ. შვეიცარიაში უნდა გავიარო და მალე დავბრუნდები. წარმოიდგინე, ვითომ საქმის კაცი ვარ და ერთა ლიგას ტყვიამფრქვევების დიდი პარტია უნდა მივყიდო.

- როცა დაბრუნდები, ყველაფერი თავიდან დაიწყება. მე შიშით მოვკვდები.

- გაიმეორე ერთხელ კიდევ, რა თქვი.

- დიახ, მოვკვდები! - ქალის ხმაში რისხვის ნოტები აჟღერდა. - ყველაფერს ბოლოს ვიგებ. ვებერს შეუძლია შენი ნახვა, მე კი არ შემიძლია! მოროზოვს დაურეკე, მე კი - არა! ახლა კი სულ მიდიხარ...

- ღმერთო ჩემო, - თქვა რავიკმა. - ნუ ვიჩხუბებთ, ჟოან.

- არც ვაპირებ ჩხუბს. მხოლოდ ვამბობ იმას, რაც არის.

- კარგი. უნდა დავასრულო ლაპარაკი, დრო არ ითმენს. ნახვამდის, ჟოან.

- რავიკ! - შესძახა ქალმა. - რავიკ!

- რა იყო, ჟოან?

- დაბრუნდი! უკანვე ჩამოდი! მე უშენოდ დავიღუპები!

- დავბრუნდები.

- დამპირდი... დამპირდი-მეთქი...

- ნახვამდის, ჟოან. მალე დავბრუნდები.

რავიკი ერთი წუთით ვიწრო, დახურულ ჯიხურში გაჩერდა. შემდეგ შენიშნა, რომ ყურმილი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა. კარი გააღო. პოლიციელმა შეხედა.

- დაელაპარაკეთ? - ჰკითხა გულკეთილი ხმით და ჩაიცინა.

- დიახ.

ისევ მიუსხდნენ მაგიდას. რავიკმა თავისი სასმისი დაცალა. არ უნდა დამერეკაო, გაიფიქრა. აქამდე დამშვიდებული ვიყავი, ახლა კი ჩემს არსებაში ყველაფერი გადატრიალდაო. ან რას მისცემდა ტელეფონით ლაპარაკი? სრულიად არაფერს. არც მას, არც ჟოანს. გული ისევ ჯიხურისაკენ მიუწევდა. ისევ უნდოდა დაერეკა, ეთქვა ყველაფერი, რისი თქმაც თავიდანვე უნდოდა, აეხსნა, რატომ არ შეუძლია მასთან შეხვედრა. აეხსნა, რომ არ უნდა ასეთი სახით წარუდგეს, როგორც ჭუჭყიანი პატიმარი. მაგრამ მალე ისევ თავს დაიხსნის და ყველაფერი ძველებურად იქნება.

- მგონი, დროა წავიდეთ, - თქვა პოლიციელმა.

- წავიდეთ...

რავიკმა კელნერს უხმო.

- მომეცით ორი ბოთლი კონიაკი, გაზეთები, რაც კი გაქვთ, და ათი შეკვრა „კაპორალი“, თან ანგარიშიც მოიტანეთ.

პოლიციელს გადახედა.

- ნებას მომცემთ, ყოველივე ეს ციხეში წავიღო?

- ადამიანი ადამიანია, - მიუგო პოლიციელმა.

კელნერმა კონიაკი და სიგარეტები აიღო.

- ერთი გახსენით, - სთხოვა რავიკმა და სიგარეტები კოხტად ჩაიწყო ჯიბეებში.

ბოთლებს საცობები ისე დააცო, რომ იოლი ყოფილიყო გასახსნელის დაუხმარებლად ახდა, მერე პალტოს შიგნით ჯიბეებში ჩაიწყო.

- მოხერხებულად გამოგდით, - უთხრა პოლიციელმა.

- ჩვევაა. სამწუხაროდ, ბავშვობაში ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, სიბერეში ხელახლა ითამაშებ ინდიელობასო, ვერაფრით დავიჯერებდი.

პოლონელი და მწერალი ძალზე გაახარა კონიაკმა. მეწყალსადენე სპირტიანს არაფერს ცნობდა, მხოლოდ ლუდსა ვსვამო, და თან ირწმუნებოდა, ბერლინში რომ ლუდია, ისეთი სხვაგან არსად იშოვებაო. რავიკი საწოლზე იწვა და გაზეთს კითხულობდა. პოლონელი არ კითხულობდა, საერთოდ, ფრანგული სიტყვაც არ იცოდა. ეწეოდა და თავს ბედნიერად გრძნობდა. ღამით წყალსადენის ოსტატი ატირდა, რავიკი შეკავებულმა ზლუქუნმა გამოაღვიძა. უძრავად იწვა, მხოლოდ თვალი მიეშტერებინა პატარა სარკმლისთვის, რომლის მიღმაც უფერული ცა მიწყნარდა. ჩანს, ძლიერ

კარგად ცხოვრობდა ადრეო, გაიფიქრა. ყველაფერი საკმარისად ჰქონდა, ახლა კი ყველაფერი გაქრა, ამიტომაც დარდობს.

## თავი მეთვრამეტე

რავიკი სადგურიდან ჭუჭყიანი და დაქანცული ბრუნდებოდა. ცამეტი საათი გაატარა დახუთულ ვაგონში, ნივრისსუნიან ადამიანებს შორის, მონადირეებთან და მათ ძაღლებთან, აგრეთვე, დედაკაცებთან, რომლებსაც მუხლებზე დადგმულ კალათებში ქათმები და მტრედები ესხათ... მანამდე კი სამი თვე საზღვარზე დაყო.

საღამო ხანი იყო. რაღაც უცნაურმა ელვარებამ მიიქცია ბინდბუნდში მისი ყურადღება. მოეჩვენა, თითქოს რონ პუენის გარშემო სარკეები იყო დადგმული და გვიანი მაისის დაისის მკრთალ ნათელს იჭერდნენ და ირეკლავდნენ.

შეჩერდა, ყურადღებით დააკვირდა. მართლაც, სარკის პირამიდები აღმოჩნდა. მოჩვენებათა გრძელ მწკრივად მიჰყვებოდა ტიტების ყვავილნარს.

- რა არის ეს? - ჰკითხა მებაღეს, ახალგათოხნილ ყვავილნარს რომ ასწორებდა.

- სარკეები, - მიუგო ისე, რომ თავი არ აუწევია.

- თვითონაც ვხედავ, რომ სარკეებია. მაგრამ ვიდრე პარიზიდან გავემგზავრებოდი, ეს სარკეები არ მინახავს.

- დიდი ხანია, რაც პარიზიდან გაემგზავრეთ?

- სამი თვის წინ.

- სამი თვე!.. ეს წინა კვირას დააყენეს, ინგლისის მეფის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. იცქიროს სარკეებში.

- რა საზიზღრობაა! - თქვა რავიკმა.

- გეთანხმებით, - მიუგო მებაღემ ისე, რომ სულაც არ გაჰკვირვებია.

რავიკმა გზა განაგრძო. სამი თვე... სამი წელი... სამი დღე... რა არის დრო? ყველაფერი და არაფერი. წაბლის ხეები უკვე აყვავებულა. მაშინ კი ფოთოლიც არ ჰქონდათ გაშლილი. გერმანიამ ისევ დაარღვია ხელშეკრულება და ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია მოახდინა. ემიგრანტ იოზეფ ბლუმენტალს ისტერიკულმა ხარხარმა მოუარა და ერთა ლიგის სასახლის წინ, ჟენევაში, თავი მოიკლა. თვითონაც ხომ ამ ხნის განმავლობაში ფილტვების ანთება გადაიტანა. ავადმყოფობა ახლაც არ ცხრება, თავს შეახსენებს ხოლმე. მაშინ ბელფორში იყო და გუჩთერის გვარს ატარებდა... და, აი, ხელახლა პარიზშია. ქალის მკერდივით ნაზი საღამოა. ისეთი შეგრძნება აქვს, სხვანაირად არ უნდა ყოფილიყო. ყველაფერს განწირულის სიმშვიდით იღებს - ესაა უმწეობის ერთადერთი იარაღი. ცა მარად და ყველგან ერთნაირია - მკვლელობის, სიძულვილის, თავგანწირულობისა და სიყვარულის თავზე გაშლილი. გაზაფხული დგება და ხეები ისევ მშვიდად იშლებიან, მოდიან და მიდიან ქლიავისფერი-ლურჯი დაისები და არაფერი ესაქმებათ პასპორტებთან, ღალატთან, სასოწარკვეთილებასა და იმედთან. რა კარგია ხელახლა პარიზში გამოჩენა, რუხ ვერცხლისფერ შუქში გახვეული ქუჩაზე

აუჩქარებლად გავლა, როცა არაფერზე ფიქრობ... რამდენად კარგია ეს საათი, ვადის გაგრძელებასავით რომ გეძლევა, რბილი და ბუნდოვანი, საათი, როცა შორეული ნაღველი და ყოფნის ნაზი, დასაბამიდან ნეტარი განცდა ერთიმეორეში გადადიან, როგორც ცა და მიწა ცისკიდურზე! დაბრუნების პირველი საათი, როცა დანასა და ისრებს ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ შენს სხეულში ჩასობა. ეს იშვიათი გრძნობა გახლავთ ბუნებასთან შეერთებისა, მისი გაშლილი სუნთქვა, შორით მომავალი და შორს მიმავალი. ეს ჯერ კიდევ უანგარიშო გასრიალებაა გულის გზის გასწვრივ, ფაქტების მბჟუტავი ცეცხლის გვერდით, გასრიალება ჯვრებთან, რომლებზედაც წარსულია გაკრული, მომავლის ეკლიან ბუჩქებზე გამოდება, ცეზურა, უხმო ქროლა, ხანმოკლე შესვენება, როცა ცხოვრებას მთლიანად გადაუშლი მკერდს, თვითონ კი საკუთარ თავში ხარ ჩაკეტილი... მარადისობის სუსტი მაჯისცემა, მოსინჯული ყველაზე უფრო სწრაფმსრბოლსა და წარმავალში...

მოროზოვი ,,ინტერნასიონალის“ ,,პალმის დარბაზში“ იჯდა, წინ გრაფინით ღვინო ედგა.

- ბორის!.. გამარჯობა, ბერიკაცო, - შესძახა რავიკმა. - ვხედავ, კარგ დროს მოვსულვარ. ეს ,,ვუვრეა?“

- სწორედ ის არის. ოცდათოთხმეტი წლის მოსავლისაა, ტკბილი და სქელი. კარგია, რომ დაბრუნდი... რამდენი ხანია, რაც წახვედი? სამი თვე?

- ჰო, ამჯერად მეტი, ვიდრე ოდესმე.

მოროზოვმა ძველმოდური მაგიდის ზარი დააწკარუნა, სწორედ ისეთი, მსახურები რომ რეკავენ სოფლის საყდრებში. ,,კატაკომბაში“ ელექტრობა გაიყვანეს, მაგრამ ელექტრონის ზარები არ იყო, არც ღირდა მათი გაყვანა: ემიგრანტები საერთოდ ცდილობდნენ ნაკლები ყურადღება მიეპყროთ.

- ახლა რა გქვია? - ჰკითხა მოროზოვმა.

- უწინდებურად რავიკი. პოლიცია სხვა სახელებით მიცნობს. ვიწოდებოდი ვოცეკად, ნოიმანად, გუნთერად... არ ვიცი, რატომ, მაგრამ გვარი რავიკი რატომღაც განსაკუთრებით მომწონს, არ მინდა დავემშვიდობო.

- ხომ არ გაუგიათ, რომ აქ ცხოვრობდი?

- ცხადია, არა.

- ეტყობა, თორემ უთუოდ გადააქოთებდნენ აქაურობას. რაკი ასეა, შეგიძლია ისევ აქ იცხოვრო, შენი ოთახი თავისუფალია.

- დიასახლისმა ყველაფერი იცის?

- არა. არავინ არაფერი იცის. მე ვუთხარი, რუანში წავიდა-მეთქი. შენი ნივთები ჩემს ოთახშია.

ოფიციანტი გამოჩნდა. ხელში ლანგარი ეჭირა.

- კლარისა, მოიტანეთ სასმისი მუსიე რავიკისათვის, - უთხრა მოროზოვმა.

- აჰ, ეს თქვენ ბრძანდებით, მუსიე რავიკ! - ქალიშვილის მოღიმარ ბაგეებს შორის კბილებმა გაიელვა. - ისევ ჩვენთან ხართ? ნახევარი წელია არ მინახავხართ, მუსიე.

- სულ რაღაც სამი თვე, კლარისა.

- შეუძლებელია! მე კი ვფიქრობდი, უკვე ექვსი თვე გავიდა-მეთქი.

კლარისა წავიდა. მალე კელნერი გამოჩნდა, გაქონილი კიტელი ეცვა და ხელში სასმისი ეჭირა. უსინოდაც იოლად გადიოდა, რადგან დიდი ხანია „კატაკომბაში“ მუშაობდა და თავის თავს ამგვარი თავისუფლების ნებას აძლევდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, მოროზოვმა გაიფიქრა, ახლა კითხვების დასმას დაიწყებსო, და დაასწრო.

- აბა, ჟან, თუ მეტყვი, რამდენი ხანია, არ გვინახავს მუსიე რავიკი? ოღონდ არ შეცდე!

- რას ბრძანებთ, მუსიე მოროზოვ! ნუთუ გგონიათ, არ მახსოვს? ზუსტად, დღეებით მახსოვს. იმ დროიდან გავიდა ზუსტად... - მსახიობივით შეისვენა, გაიღიმა და დაუმატა: - ოთხ-ნახევარი კვირა.

- სწორია, - გამოეხმაურა რავიკი, ვიდრე მოროზოვი რაიმეს თქმას მოასწრებდა.

- სწორია, - გაიმეორა მოროზოვმა.

- მაშ, რა გეგონათ! მე არასოდეს მეშლება.

ჟანი გაქრა.

- მართალი ხარ. არ ღირდა, მე მხოლოდ მინდოდა თქვენთვის მეჩვენებინა, რომ წარსული დრო ადამიანებისათვის ყოველგვარ რეალობას კარგავს. ანუგეშებს, აშინებს და განურჩევლობას უნერგავს, მეტი არაფერი. პორუჩიკი ბელსკი პრეობრაჟენსკის გვარდიის პოლკიდან 1917 წელს დამეკარგა მოსკოვში. მეგობრები ვიყავით. ჩრდილოეთში გაიქცა ფინეთის გზით. ჩემი გზა კი მანჯურიასა და იაპონიაზე გადიოდა. როცა რვა წლის შემდეგ ერთმანეთს შევხვდით, მეგონა, უკანასკნელად ხარბინში ვნახე 1919 წელს, თვითონ კი ამტკიცებდა, ეს 1921 წელს იყო ჰელსინკიშიო. ორი წლის განსხვავებაა... და რამდენიმე ათასი კილომეტრის. - მოროზოვმა სასმისებში ღვინო დაასხა. - შენ აქ გიცნობენ მაინც, სამშობლოში ხომ არ იგრძენი თავი?

რავიკმა დალია. ღვინო მსუბუქი და ცივი იყო.

- შვეიცარიაში, ერთხელ, სულ ახლოს აღმოვჩნდი გერმანიის საზღვართან, - თქვა მან. - პირდაპირ ორ ნაბიჯზე, ბაზელის ახლოს. გზატკეცილის ერთი მხარე შვეიცარიისაა, მეორე - გერმანიის. შვეიცარიის საზღვარზე ვიდექი და ალუბალს შევექცეოდი, კურკებს კი გერმანიის მიწაზე ვყრიდი.

- მერე, ამით უფრო ახლოს იგრძენი თავი სამშობლოსთან?

- არა. არასოდეს მიგრძნია თავი მისგან ასე შორს.

მოროზოვმა გაიცინა.

- მესმის. როგორ ცხოვრობდი?

- როგორც ყოველთვის, მაგრამ ყველაფერი უფრო გართულდა. საზღვრის დაცვა უფრო გაძლიერდა. ერთხელ შვეიცარიაში დამიჭირეს, მეორედ - საფრანგეთში.

- რატომ არ გვწერდი?

- ვერიდებოდი, ძალიან ხომ არ მძვინვარებს-მეთქი პარიზის პოლიცია. ზოგჯერ მოუვლით ხოლმე. რისთვის ჩავაგდო-მეთქი ეჭვში სხვები! ჯობს ძველი ჯარისკაცური წესი დავიცვათ: ჩაწექი და ნუ გაინძრევი. შენ ელოდი წერილს?

- მე არ ველოდი, მაგრამ...

რავიკმა შეხედა.

- წერილი! რა არის წერილი? რას არგებს ადამიანს?

- არაფერს.

რავიკმა ჯიბიდან სიგარეტების შეკვრა ამოიღო.

- საოცარია, როგორ იცვლება ყველაფერი, როცა სხვაგან ხარ.

- ნუ იგონებ, - შეედავა მოროზოვი.

- სულაც არ ვიგონებ.

- ყოველთვის კარგი გვგონია იქ, სადაც არა ვართ. დაბრუნდები ძველ ადგილზე და ყველაფერი სხვანაირი გეჩვენება. მერე კი ისევ ძველ სახეს იღებს.

- ზოგჯერ ასეა, ზოგჯერ არა.

- მთლად გარკვევით არ ლაპარაკობ, მაგრამ კარგია, რომ ყველაფერს ასე უბრალოდ ეკიდები. ჭადრაკი! ჭადრაკი ვითამაშოთ? პროფესორი, ჩემი ერთადერთი, ღირსეული მეტოქე, გარდაიცვალა. ლევი ბრაზილიაში წავიდა - იქ კელნერის ადგილს დაჰპირდნენ. ცხოვრება ჯოჯოხეთური სისწრაფით მიექანება. არაფერს არ უნდა მიეჩვიო.

მოროზოვმა ყურადღებით შეხედა.

- მგონი, სწორად ვერ გამიგე.

- ვერც შენ გამიგე. ხომ არ წავიდეთ ამ პალმის საფლავიდან? აქ სამი თვეა არ ვყოფილვარ, მაგრამ უწინდებურად დგას სამზარეულოს, მტვრისა და შიშის სუნი. როდის უნდა იყო „შეჰერეზადაში“?

- დღეს იქ საერთოდ არ წავალ. თავისუფალი საღამო მაქვს.

- აი, ეს კარგია. - რავიკმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა. - მაღალი საზოგადოების საკადრისი საღამო, ძველი რუსეთისა და დიდი სასმისების საღამო.

- ჩემთან წამოხვალ?

- არა. უნდა დავისვენო. რამდენიმე ღამეა, სულ არ მიძინია. ყოველ შემთხვევაში, მოუსვენრად მეძინა. მოდი, წავიდეთ აქედან და კიდევ ერთი საათით სადმე დავსხდეთ. დიდი ხანია, ასე აღარ მიცხოვრია.

- როგორ, ისევ „ვუვრე“? - ჰკითხა მოროზოვმა. კაფე „კოლიზეუმის“ წინ უსხდნენ პატარა მაგიდას. - რა მოგდის, ბერიკაცო? საღამო ჯერ მხოლოდ იწყება. სწორედ არყის დალევის დროა.

- შენ მართალი ხარ. და მაინც „ვუვრე“ დავლიოთ. ეს მირჩევნია.

- რა მოგივიდა? კონიაკი მაინც აიღე.

რავიკმა თავი გადააქნია, არაო.

- ჩამოსვლისთანავე, პირველსავე საღამოს უნდა გაილეშო, - განაცხადა მოროზოვმა. - ვის უნდა ეს ფუჭი გმირობა - წარსულის ნაღვლიან აჩრდილებს რომ ფხიზლად უყურო სახეში?

- სულაც არ ვუყურებ სახეში აჩრდილებს, ბორის, უბრალოდ, ჩემთვის წყნარად შევხარი სიცოცხლეს.

რავიკი ხედავდა, რომ მოროზოვი არ უჯერებდა, მაგრამ მტკიცების სურვილიც არ ჰქონდა. პატარა მაგიდას უჯდა ტროტუარის კიდესთან, ღვინოს შეექცეოდა და მშვიდად უცქერდა საღამოს გარეთ გამოფენილ ხალხს. ვიდრე პარიზში არ იმყოფებოდა, მისთვის ყველაფერი ნათელი და მკაფიო ჩანდა. ახლა კი ყველაფერი ნისლმა დაფარა, მკრთალი და თან ფერადოვანი გახდა. ყველაფერი სადღაც მისრიალებდა და საამო თავბრუს ახვევდა, მსგავსად იმ ადამიანისა, მეტისმეტად ჩქარა რომ დაეშვება მთიდან ბარში და ყველანაირი ხმა ისე ჩაესმის, თითქოს ყურებში ბამბა ჰქონდეს.

- სადმე ხომ არ შეიარე, ვიდრე ოტელში მოხვიდოდი? - ჰკითხა მოროზოვმა.

- არსად.

- ვებერმა მრავალჯერ მკითხა შენი ამბავი.

- დავურეკავ.

- რაღაც არ მომწონხარ. მიამბე, რა გადაგხდა.

- ისეთი არაფერი. საზღვარი ჟენევასთან განსაკუთრებით მკაცრად არის დაცული. ჯერ იქ ვცადე გადასვლა, მერე ბაზელთან. არანაკლებ ძნელი აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს, მაინც მოხერხდა. გავცივდი - ღამე ღია ცის ქვეშ გავატარე. თოვლში, წვიმაში. სხვანაირად არ შეიძლებოდა. ფილტვების ანთება დამემართა. ბელფორში ერთმა ექიმმა, პერსონალისაგან ფარულად, საავადმყოფოში მომათავსა. შემდეგ ათი დღე ვიცხოვრე ამ ექიმის სახლში. ფული უნდა გავუგზავნო.

- ახლა ჯანმრთელი ხარ?

- მეტ-ნაკლებად.

- ამიტომაც არ სვამ არაყს?

რავიკმა გაიღიმა.

- რა საჭიროა მთელი ეს ლაპარაკი? ცოტა დავიღალე, ყველაფერს ხელახლა უნდა შევეჩვიო. ეს ნამდვილად ასეა. უცნაურია, რამდენს ფიქრობს ადამიანი, როცა გზაშია და, რა ცოტას - როცა შინ ბრუნდება.

მოროზოვმა პროტესტის ნიშნად ხელი ასწია.

- რავიკ, - უთხრა მამობრივი კილოთი. - შენ ელაპარაკები მამაშენ ბორისს, ადამიანთა გულთამხილავს. შორიდან ნუ უვლი და მკითხე. დაე, ყველაფერი მალე დარჩეს უკან.

- კარგი. სადაა ჟოანი?

- არ ვიცი. უკვე რამდენიმე კვირაა, მისი ასავალ-დასავალი აღარ ვიცი. არც მინახავს.

- მანამდე?

- პირველ ხანებში ჯერ კიდევ მეკითხებოდა შენზე. მერე შეწყვიტა.

- „შეჰერეზადაში“ აღარ მუშაობს?

- არა. აგერ უკვე ხუთი კვირაა, ჩვენთან აღარ მღერის. შემდეგ ერთი-ორჯერ შემოიარა და მეტად არ გამოჩენილა.

- პარიზში აღარ არის?

- ვფიქრობ, არა. ასე მგონია, თორემ „შეჰერეზადაში“ ვნახავდი.

- იცი, რას აკეთებს ამჟამად?

- მგონი, რომელიღაც ფილმში იღებენ. ყოველ შემთხვევაში, ასე უთხრა მეგარდერობე ქალს. საერთოდ, ხომ იცი, თავის მართლება ყოველთვის შეიძლება, მთავარია, საბაბი იყოს.

- საბაბი?

- დიახ, სწორედ, - პირქუშად დაუმოწმა მოროზოვმა. - აბა, რა გეგონა, რავიკ? სხვა რამეს ელოდი?

- გამოგიტყდები, ველოდი.

მოროზოვი გაჩუმდა.

- მოლოდინი და ცოდნა სხვადასხვა რამაა, - თქვა რავიკმა.

- ასე მხოლოდ ღმერთგამწყრალი რომანტიკოსები ფიქრობენ. დალიე რამე, ლიმონათი კი არა, კალვადოსი დალიე.

- შეიძლება, ოღონდ კალვადოსი არა. კონიაკი იყოს, თუ ეს დაგამშვიდებს. თუმცა კალვადოსიც შეიძლება...

- როგორც იქნა, - თქვა მოროზოვმა.

ფანჯრები. სახურავების ლურჯი სილუეტები. გაცვეთილი წითელი დივანი. საწოლი. რავიკმა იცოდა, ყოველივე ამის გაძლება მოუხდებოდა. დივანზე იჯდა და ეწეოდა.

მოროზოვმა ჩემოდნები მოუტანა და უთხრა, სად შეიძლებოდა მისი ნახვა.

რავიკმა ძველი სამოსი დაყარა და ცხელი აბაზანა მიიღო. დიდხანს და საგულდაგულოდ იბანდა ტანს: ისვამდა საპონს, თითქოს უკანასკნელ სამ თვეს კანიდან იფხეკდა. შემდეგ სუფთა საცვლები და სხვა კოსტიუმი ჩაიცვა, პირი გაიპარსა. ასე გვიანი რომ არ ყოფილიყო, სიამოვნებით წავიდოდა თურქულ აბანოში. როცა ყველაფერ ამას მორჩა, გულზე მოეშვა. სხვა რამესაც გააკეთებდა, რადგან ფანჯარასთან მჯდარი გრძნობდა, ყოველი მხრიდან რომ მოცოცავდა მისკენ სიცარიელე.

სასმისი ნარჩენი კალვადოსით აავსო - თავის ნივთებს შორის გამონახა ერთი დაუცლელი ბოთლი. გაიხსენა, როგორ სვამდა იმ ღამეს ჟოანთან ერთად, მაგრამ მოგონებას არ აუღელვებია. მას შემდეგ ბევრი დრო იყო გასული. მხოლოდ თავისთვის შენიშნა, ძველი მარკის კალვადოსიაო.

მთვარე ნელა ადიოდა მაღლა, სახურავების ზემოთ, ფანჯრის მიღმა, ჭუჭყიანი ეზო უკვე ვერცხლისა და ჩრდილების სასახლედ მოეჩვენა. საკმარისია, ნამცეცი ფანტაზია და ნაგვის ყოველი ზვინი ვერცხლის საბადოებად იქცევა ხოლმე. ფანჯარაში ყვავილების სურნელი ნაკადად იფრქვეოდა, ბნელ ღამეში მიხაკების მწკლარტე სუნი შეიგრძნო. რავიკმა ფანჯარაში თავი გაყო და ძირს ჩაიხედა. ერთი სართულით დაბლა, ფანჯრის რაფაზე, ყვავილებიანი ხის ყუთი იდგა. ალბათ, ემიგრანტ ვიზენჰოფის ყვავილებია, თუ უკვე არ წავიდაო, გაიფიქრა. გაახსენდა, რომ იმ კაცს გასულ შობას კუჭი ამოურეცხა.

ბოთლი დაცალა, ლოგინზე დააგდო და წამოდგა. რა აზრი აქვს აქ ჯდომას და ცარიელი ლოგინის ცქერას? თუ ქალი გინდა - იშოვე და მოიყვანე. პარიზში ეს საკმაოდ იოლია.

ვიწრო ქუჩით ეტუალის მოედნისაკენ გაემართა. ელისეს მინდვრებიდან ღამის ქალაქის თბილი სიცოცხლის სურნელება მოდიოდა. უცბად მოტრიალდა და უკან დაბრუნდა, ჯერ სწრაფად მიდიოდა, მერე სულ უფრო უკლო ნაბიჯს და ბოლოს ოტელ „მილანთან“ აღმოჩნდა.

- როგორაა საქმე? - ჰკითხა პორტიეს.

- ა, ეს თქვენა ხართ, მუსიე! - პორტიე წამოდგა. - დიდი ხანია, ჩვენთან არ ყოფილხართ.

- ჰო. პარიზში არ ვიყავი.

პორტიემ ახედ-დახედა.

- ქალბატონი ჩვენთან უკვე აღარ ცხოვრობს.

- ვიცი. დიდი ხანია, თქვენგან წავიდა.

თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი გაეტარებინა პორტიეს ამ მაღალ მაგიდასთან და ლაპარაკის დაწყებისთანავე ხვდებოდა, რაც უნდოდათ მისგან.

- უკვე ოთხი კვირაა, აქ აღარ ცხოვრობს, - თქვა მან. - ერთი თვის წინ წავიდა.

რავიკმა სიგარეტი ამოიღო.

- ქალბატონი პარიზში არ არის? - ჰკითხა პორტიემ.

- კანშია.

- აჰ, კანში! - პორტიემ ფართო ხელისგული სახეზე გადაისვა. - არ დაიჯერებთ, მუსიე: თვრამეტი წლის წინ ოტელ ,,რულში'' ვმსახურობდი, ნიცაში.

- რატომ არა, მჯერა.

- რა დრო იყო! რა ფეხის ქირა! კარგი ცხოვრება იყო ომის შემდეგ! ახლა კი...

თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი გაეტარებინა რავიკს სასტუმროში და ლაპარაკის დაწყებისთანავე ხვდებოდა პორტიეთა გულის წადილს. ხუთფრანკიანი აიღო და მაგიდაზე დაუდო.

- უმორჩილესად გმადლობთ, მუსიე! გისურვებთ, კარგად გაგეტარებინოთ დრო! ძალიან დამშვენებულხართ, მუსიე, გაახალგაზრდავებული მეჩვენებით!

- მეც ასე მეჩვენება ჩემი თავი. ნახვამდის.

რავიკი წუთით ქუჩაში გაჩერდა. რისთვის შემოვიდა აქ? ისღა აკლია, ,,შეჰერეზადაში'' წავიდეს და გამოთვრეს.

ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა. კაცმა რომ თქვას, კმაყოფილიც უნდა ყოფილიყო ასეთი დასასრულით. არავისთან დასჭირდება ხანგრძლივი და მომაბეზრებელი ახსნა-განმარტება. იცოდა, ასე მოხდებოდა, ჟოანმაც იცოდა. ყოველ შემთხვევაში, მათი შეხვედრების ბოლო დღეებში. ქალმა ერთადერთი სწორი გზა აირჩია. არავითარი ახსნა-განმარტება არ არის საჭირო, სიყვარული ახსნა-განმარტებებს ვერ ეგუება. მას ნორმალური საქციელი სჭირდება. მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერმა უმორალოდ ჩაიარა. მადლობა ღმერთს, რომ ჟოანი ზნეობის მქადაგებელი ქალი არ არის. იგი მოქმედებასაა ჩვეული. ახლა ყველაფერი დამთავრებულია. ყოველგვარი გაწევ-გამოწევის გარეშე. თვითონაც ხომ მოქმედებდა. მაშ, რისთვისღა დგას აქ?.. იქნებ, ამის მიზეზი ჰაერია, რბილი, განუმეორებელი ჰაერი... მაისის დაისი, პარიზი... ან, იქნებ, ეს - მოახლოებული ღამეა. ღამით ადამიანი უფრო სხვაა, ვიდრე დღისით.

ოტელში დაბრუნდა.

- ნებას მომცემთ, დავრეკო?

- ინებეთ, მუსიე. სამწუხაროდ, ტელეფონის ჯიხური არა გვაქვს. მხოლოდ ეს აპარატია.

- სავსებით საკმარისია.

რავიკმა საათს დახედა. ვებერი, ალბათ, ჯერ ისევ კლინიკაში იქნება. ახლა ხომ საღამოს შემოვლის დროა.

- გეთაყვა, დოქტორ ვებერს სთხოვეთ.

მოწყალების დის ხმა ვერ იცნო. ეტყობა, ახალი იყო.

- დოქტორ ვებერს არ შეუძლია ტელეფონთან მოსვლა.

- კლინიკაში არ არის?

- კლინიკაშია. მაგრამ ახლა არ შეიძლება მასთან ლაპარაკი.

- მომისმინეთ. მიდით და უთხარით, რომ რავიკი სთხოვს. ახლავე წადით. ძალიან საჭირო საქმეა. მე დაგიცდით.

- კარგი, - ყოყმანით მიუგო დამ. - თქმით კი ვეტყვი, მაგრამ მეეჭვება, რომ...

- ვნახოთ. ოღონდ მალე შეატყობინეთ, არ დაგავიწყდეთ ჩემი გვარი: რავიკი.

ვებერმა დიდხანს არ ალოდინა.

- რავიკ! სადა ხართ?

- პარიზში, დღეს ჩამოვედი. ოპერაციას აკეთებთ?

- დიახ. ოცი წუთის შემდეგ დავიწყებ. მწვავე აპენდიციტია. მერე შევხვდებით. კარგი?

- შემიძლია, ახლავე მოვიდე.

- ჩინებულია, როდის?

- ახლავე.

- კარგი. გელოდებით.

- აი, კარგი არაყი, - უთხრა ვებერმა. - ესეც გაზეთები და სამედიცინო ჟურნალები, უფრო მოხერხებულად მოეწყვეთ.

- ჭიქა არაყი, ხალათი და ხელთათმანი!

ვებერმა გაკვირვებით შეხედა რავიკს.

- ხომ გითხარით, სრულიად ჩვეულებრივი აპენდიციტია. სათქვენო საქმე სულაც არ არის. ორ საათში ყველაფერს მოვრჩები. დაღლილი იქნებით, ნამგზავრი.

- ვებერ, დამავალეთ და დამითმეთ ეს ოპერაცია, სულაც არ დავღლილვარ და თავს ჩინებულად ვგრძნობ.

ვებერმა გაიცინა.

- გული არ გითმენთ საქმის დაწყებას? კარგი, როგორც გნებავთ, სავსებით მესმის თქვენი.

რავიკმა ხელები დაიბანა, ხალათი და ხელთათმანი ჩაიცვა. ისევ საოპერაციო ოთახი. ეთერის ნაცნობი სუნი. ეჟენი ავადმყოფის გვერდით იდგა, ყველაფერი გამზადებული ჰქონდა ნარკოზისათვის, მეორე და, ძალიან ლამაზი, ახალგაზრდა ქალიშვილი, იარაღებს ალაგებდა.

- საღამო მშვიდობისა, დაო ეჟენი, - მიმართა რავიკმა.

ეჟენის კინაღამ წვეთოვანი დაუვარდა.

- საღამო მშვიდობისა, დოქტორო რავიკ.

ვებერმა ჩაიცინა. ეჟენიმ პირველად უწოდა რავიკს დოქტორი. რავიკი პაციენტის თავთან დაიხარა, უზარმაზარი ნათურა საოპერაციო მაგიდას დამაბრმავებელ შუქს აფრქვევდა. ეს შუქი თითქოს გარე სამყაროსაგან თიშავდა, ზღუდეს აგებდა მასა და გარეშე აზრებს შორის. საქმიანი, ცივი, ულმობელი და კეთილი შუქია. ლამაზმა დამ სკალპელი მიაწოდა. თხელ ხელთათმანში ფოლადი სასიამოვნოდ აცივებდა ხელს. რა კარგია, როცა მერყევი გაურკვევლობიდან სინათლესა და სიზუსტეს უბრუნდები. ჭრილი გააკეთა. სისხლი ვიწრო ზოლად დაედევნა დანის წვერს. ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. პირველად იგრძნო დაბრუნების შემდეგ თავი საკუთარ კალაპოტში. შუქი უხმოდ სისინებდა. შინ ვარო, გაიფიქრა. ძლივს!

## თავი მეცხრამეტე

- აქ არის, - უთხრა მოროზოვმა.

- ვინ?

მოროზოვმა ლივრეა შეისწორა.

- თავს ნუ იკატუნებ, თითქოს არ გესმოდეს, ვისზეა ლაპარაკი. რატომ გინდა მამა ბორისს აწყენინო? გგონია, არ ვიცი, რისთვის შემოიხედე ბოლო ორ კვირაში სამჯერ „შეჰერეზადაში“? პირველად მოსვლისას მშვენიერების ცისფერთვალება და შავთმიანი სასწაული გახლდა. მეორედ მარტო იყავი. მესამედაც. ადამიანი სუსტია და ეს გახლავთ მისი მომხიბლაობაც!

- ჯანდაბაში წადი, ბებერო ყბედო, - უთხრა რავიკმა, - უკანასკნელ ღონეს ვხმარობ, რომ ფეხზე დავდგე, შენ კი ყოველნაირად ცდილობ ჩემს დამცირებას...

- გინდა, საერთოდ არაფერი გითხრა?

- ცხადია.

მოროზოვმა გაიწია და ორ ამერიკელს გზა მისცა.

- მაშინ წადი. სხვა დროს მოხვალ.

- აქ მარტოა?

- უმამაკაცოდ აქ მთავრის ქალსაც არ შემოვუშვებდით. აქამდეც უნდა გცოდნოდა ეს. შენი შეკითხვა თვით ზიგმუნდ ფროიდს გაახარებდა.

- ნეტავი, რა გესმის ფროიდის მოძღვრებისა? შენ მთვრალი ხარ და ახლავე გიჩივლებ ,,შეჰერეზადას“ უფროსთან, კაპიტან ჩაჩანიძესთან.

- შვილო ჩემო, კაპიტანი ჩაჩანიძე ჩემთან ერთად მსახურობდა პოლკში. თვითონ პროპორშჩიკი იყო, მე კი პოდპოლკოვნიკი. ეს დღემდე არ დავიწყები. რამდენიც გნებავს, იმდენი მიჩივლე.

- კარგი, გამატარე.

- რავიკ! - მოროზოვმა თავისი უზარმაზარი ხელები მხარზე დაადო. - თავს ნუ გაიბრიყვებ. დაურეკე ცისფერთვალება სასწაულს და მასთან ერთად მოდი, თუ ჩვენთან საღამოს გატარება გინდა. აი, რჩევა კაცისა, რომელსაც ესმის ცხოვრება. მართალია, იაფფასიანია, სამაგიეროდ, ნასიამოვნები დარჩები.

- არა, ბორის. - რავიკმა შეხედა. - ხერხები აქ მოსატანი არ არის. არც მინდა ეშმაკობას მივმართო.

- მაშინ სახლში წადი, - უთხრა მოროზოვმა.

- პალმის საფლავში? თუ ჩემს გალიაში?

მოროზოვმა რავიკი მიატოვა და ერთი წყვილის მისაშველებლად გაეშურა, ტაქსის რომ ეძებდა, რავიკმა დაუცადა, ვიდრე დაბრუნდებოდა.

- უფრო ჭკვიანი ყოფილხარ, ვიდრე მეგონა, - უთხრა მოროზოვმა, - თორემ ისე, უკვე დიდი ხნის წინ იქნებოდი ჩვენს დარბაზში გამოჭიმული...

ოქროსყაითნიანი ქუდი კეფაზე გადაიგდო და კიდევ რაღაცის დამატებას აპირებდა, მაგრამ ანაზდად კარებში თეთრსმოკინგიანი შეზარხოშებული ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა.

- ბატონო პოლკოვნიკო! სამარულო მანქანა!

მოროზოვმა ნიშანი მისცა იმ ტაქსის მძღოლს, პირველი რომ აღმოჩნდა გაჩერებაზე, და შეზარხოშებული სტუმარი მანქანისაკენ წაიყვანა.

- რატომ არ იცინით? - ჰკითხა მთვრალმა, - მე ხომ პოლკოვნიკი გიწოდეთ! განა ეს გონებამახვილობა არ არის?

- უაღრესად მოსწრებული გონებამახვილობა გახლავთ. სამარულო მანქანა ხომ პირდაპირ ჩინებულია.

მოროზოვი რავიკთან დაბრუნდა.

- ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ ჯობს, შეხვიდე, - განუცხადა. - რას დაეძებ. მეც ასე მოვიქცეოდი. ოდესმე ხომ უნდა შეხვდე! ბარემ ახლავე ჯობია! ან ასე იქნება, ან ისე. თუ სისულელეების ჩადენაზე ხელი ავიღეთ - ჩანს, დავბერებულვართ.

- მეც ყველაფერი მოვიფიქრე და გადავწყვიტე, სადმე სხვაგან წავიდე.

მოროზოვმა ცბიერი მზერა ესროლა რავიკს.

- კარგი, - უთხრა, - მაშინ, ნახევარ საათში შევხვდეთ ერთმანეთს.

- არ ვიცი.

- მაშ, ერთ საათში.

ორი საათის შემდეგ რავიკი ,,კლოშ დ'ორში'' შევიდა. აქ, ჯერ კიდევ, სრული სიცარიელე იყო. დაბლა, ბარის გრძელი დახლის გაყოლებაზე, თუთიყუშებივით ჩამწკრივებულიყვნენ მეძავები და ყბედობდნენ. იქვე კოკაინის გამყიდველები დაყიალებდნენ და ტურისტებს ელოდნენ. მაღლა, დარბაზში, რამდენიმე წყვილი ხახვის წვნიანს შეექცეოდა. მოპირდაპირე კუთხეში, დივანზე, ორი ქალი იჯდა, შერი-ბრენდის სვამდნენ და რაღაცაზე ჩურჩულებდნენ - ერთს თვალზე მონოკლი ჰქონდა, მამაკაცური კოსტიუმი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა. მეორეს კი, ქერათმიანსა და მსუქანს, ძალიან გულმოხდილი, კილიტებით გაწყობილი საღამური კაბა ეცვა.

რა იდიოტობაა, გაიფიქრა რავიკმა. რატომ არ წავედი ,,შეჰერეზადაში''? რისი მეშინია? რას გავურბივარ? ვიცი, რომ ჩემი გრძნობა გამძაფრდა. განშორების სამმა თვემ კი არ გატეხა, გააძლიერა და განამტკიცა. რისთვის ვიტყუებ თავს? ეს გრძნობა ჩემთან იყო - ერთადერთი, რაც კიდევ გამაჩნდა, როცა ყრუ მოსახვევებში მივიპარებოდი, რაღაც საიდუმლო ოთახებში ვიმალებოდი, როცა სულში წვეთწვეთობით მეღვრებოდა უცხო, უვარსკვლავო ღამეების მარტოობა. განშორებამ გააღვივა ჩემი გრძნობა, ასე ვერ გააღვივებდა თვით ჟოანი, ახლა კი...

ვიღაცის ყრუ წამოყვირებამ ფიქრებიდან გამოარკვია. გარშემო მიმოიხედა, ორი ქალი შემოსულიყო. ერთმა, ძალზე მთვრალმა, ღია ფერის მულატს რომ ჰგავდა და ყვავილებით დამშვენებული ქუდი უკან გადაეწია, სამზარეულოს დანა გადაისროლა და მძიმედ დაეშვა კიბეზე. არავინ აკავებდა. ერთი კელნერი მის შესახვედრად ამოდიოდა. მაღლა მდგარმა ქალმა კელნერს გზა გადაუღობა.

- არაფერი მომხდარა, - უთხრა. - არაფერიც არ მომხდარა.

კელნერმა სახელოები დაიკაპიწა და უკან გაბრუნდა. რავიკმა დაინახა, როგორ ადგა კუთხეში მჯდარი წითელთმიანი ქალი. იმავე დროს კიბე სწრაფად ჩამოირბინა იმ დედაკაცმა, კელნერს რომ გზა გადაუღობა, და სახლში შევიდა. წითელთმიანი ერთი წუთით გაუნძრევლად იდგა, ხელი სავსე მკერდზე მიედო. შემდეგ კაბა ორი თითით გასწია და შიგნით ჩაიხედა. სამოსი რამდენიმე სანტიმეტრზე იყო გაჭრილი და შიგნით ღია ჭრილობა ჩანდა. კანი კი არა, მხოლოდ პირღია ჭრილობა უჩანდა მწვანე, ცისარტყელას ფერებად მოლივლივე აბრეშუმის კაბაში. წითელთმიანი ქალი გაქვავდა, თითქოს საკუთარ თავს არ უჯერებსო.

რავიკი უნებურად წაიწია. მერე თავს ძალა დაატანა და ისევ სკამზე დაეშვა. ერთი გასახლებაც კმაროდა! კარგად კი დაინახა, ძალით რომ დასვა დივანზე მონოკლიანმა ქალმა წითელთმიანი დედაკაცი. იმავე წამს მეორემ ბარიდან ჭიქა არაყი ამოიტანა. მონოკლიანმა ტახტის წინ ჩაიჩოქა, დაჭრილს ცალი ხელით პირი დაუკავა, მეორით მისივე ხელი ჭრილობას მოაცილა. მეორე ქალმა ჭიქა არაყი პირდაპირ ჭრილობაში ჩაასხა. დეზინფექციის პრიმიტიული ხერხიო, გაიფიქრა რავიკმა. წითელთმიანი კვნესოდა, იგრიხებოდა, მაგრამ ქალს რკინასავით მაგარი ხელებით ეჭირა. კიდევ ორი სხვა ქალი მაგიდას ჩამოეფარა, ყველაფერი ისე სწრაფად და მკვირცხლად მოხდა, რომ უცხო თვალმა ვერაფერი შენიშნა. ერთი წუთის შემდეგ დარბაზში, თითქოს

ჯადოსნური ჯოხით ანიშნესო, ლესბოსური და ჰომოსექსუალური ჟინით შეპყრობილთა გუნდი შემოცვივდა, მაშინვე კუთხეში მივიდნენ და მაგიდას შემოუსხდნენ. ორმა წითელთმიანი ქალი კიბისაკენ წაიყვანა, დანარჩენები გარს შემოერტყნენ და ერთი სიცილ-კისკისით გავიდნენ კაფედან, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. სტუმრების უმეტესობამ საერთოდ ვერაფერი შენიშნა.

- კარგი რამეა, არა? - თქვა ვიღაცამ რავიკის ზურგს უკან. კელნერი იყო.

რავიკმა თავი დაუქნია.

- რა მოხდა?

- ეჭვიანობა. ეს ხომ გაფუჭებული, ზნედაცემული ქალების ბანდაა!

- ერთი მითხარი, საიდან მოვიდნენ დანარჩენები ასე უცებ? ეს ხომ ნამდვილი ტელეპათია იყო!

- სუნით იგრძნეს, ბატონო ჩემო, - მიუგო კელნერმა.

- არა, ალბათ, რომელიმემ ტელეფონით დაურეკა. ასეა თუ ისე, ყველაფერი საოცარი სისწრაფით ჩაატარეს.

- სუნით იგრძნეს-მეთქი. სულ ერთად არიან, როგორც სიკვდილი და ეშმაკი. ერთიმეორეს არ გასცემენ. ოღონდ პოლიცია არ ჩაერიოს და სხვა არაფერი უნდათ. საქმეს თვითონვე აგვარებენ ერთმანეთში. - კელნერმა რავიკის ჭიქა აიღო. - ერთიც? რას სვამდით?

- კალვადოსს.

- კეთილი. ერთი კალვადოსი, - კელნერი წავიდა.

რავიკმა მაღლა აიხედა და ჟოანი დაინახა... რამდენიმე მაგიდის დაშორებით იჯდა. ალბათ, მაშინ შემოვიდა, როცა თვითონ კელნერს ელაპარაკებოდა. ორი მამაკაცი ახლდა... ერთდროულად დაინახეს ერთმანეთი. ქალს მზემოკიდებული სახე გაუფითრდა. ერთი წუთი უძრავად იჯდა და თვალს არ აცილებდა. შემდეგ უხეშად მისწია მაგიდა, ადგა და პირდაპირ მისკენ წამოვიდა. სახე საოცრად შეეცვალა. რაღაც მქრქალ, ბუნდოვან ლაქად ექცა, რომელზეც მხოლოდ უძრავი, კრისტალივით კრიალა თვალებიღა უჩანდა. არასოდეს უნახავს რავიკს მისი თვალები ასეთი ნათელი. უცნაური რისხვის ძალა იფარებოდა მათში.

- დაბრუნდი? - ჰკითხა წყნარად.

ძლივს სუნთქავდა, სულ ახლოს იდგა. ერთი წამით რავიკს მოეჩვენა, უნდა გადამეხვიოსო, მაგრამ ქალს ეს არ გაუკეთებია, ხელიც არ ჩამოურთმევია.

- დაბრუნდი? - გაუმეორა.

რავიკი ხმას არ იღებდა.

- დიდი ხანია პარიზში ხარ? - ჰკითხა ისევე წყნარად.

- ორი კვირაა.

- ორი კვირა... და მე არ... არც კი გიფიქრია...

- არავინ იცოდა, სად იყავი. არც ოტელში, არც „შეჰერეზადაში“.

- „შეჰერეზადაში“, მაგრამ მე ხომ... - ენა დაება. - რატომ არ მწერდი?

- არ შემეძლო.

- ტყუი!

- ასე იყოს. არ მინდოდა, არ ვიცოდი, დავბრუნდებოდი თუ არა.

- ისევ ტყუი. საქმე ეს არ არის.

- მხოლოდ ეს. შემეძლო დავბრუნებულიყავი, შემეძლო - არა. ნუთუ არ გესმის?

- არა, სამაგიეროდ, მესმის სხვა რამ: უკვე ორი კვირაა პარიზში ხარ და არაფერი გააკეთე იმისათვის, რომ გეპოვე.

- ჟოან, - მშვიდად მიუგო რავიკმა, - შენს მხრებს პარიზში ხომ არ მოეკიდებოდა მზე!

ქალს უეცრად სახე შეეცვალა.

- რისთვის ხარ აქ? ისევ დაგაპატიმრებენ. ყველაფერი ვიცი. ახლა ნახევარი წლით ჩაგსვამენ. უნდა წახვიდე! არ ვიცოდი, რომ პარიზში იმყოფებოდი! მეგონა, აღარასოდეს დაბრუნდებოდი.

რავიკი დუმდა.

- აღარასოდეს დაბრუნდებოდი, - გაიმეორა ქალმა.

რავიკმა შეხედა.

- ჟოან...

- არა! ეს ყველაფერი ტყუილია! სულ სიცრუე! სიცრუე!

- ჟოან, - წარმოთქვა ფრთხილად რავიკმა, - დაბრუნდი შენს მაგიდასთან.

ქალის თვალებში ცრემლები ციმციმებდა.

- დაბრუნდი შენს მაგიდასთან.

- შენ ხარ ყველაფერში დამნაშავე! - წამოსცდა ქალს. - შენ! მხოლოდ შენ!

მიბრუნდა და წავიდა. რავიკმა ოდნავ გასწია მაგიდა და დაჯდა. კალვადოსიან სასმისს თვალი შეავლო, მისწვდა, მაგრამ არ აუღია. ვიდრე ჟოანს ელაპარაკებოდა, სრულიად დამშვიდებული იყო. ახლა კი მღელვარება დაეუფლა. უცნაურიაო, გაიფიქრა. მკერდის კუნთები უცახცახებდა. რატომ მაინცდამაინც მკერდის? სასმისი ასწია და საკუთარ ხელს დააკვირდა - ხელი არ უთრთოდა. ჟოანისთვის არ შეუხედავს, ისე მოსვა ერთი ყლუპი.

- სიგარეტები! - მიაძახა გვერდით მიმავალ კელნერს. - „კაპორალი“.

სიგარეტი მოსწია, სასმისი დაცალა და ისევ იგრძნო ჟოანის მზერა. ,,რას უცდის? - გაიფიქრა, - რომ მის თვალწინ დარდისაგან გამოვთვრე?" კელნერს დაუძახა და დანახარჯი გადაიხადა. როცა წამოდგა, ჟოანი ერთ-ერთ თავის თანამესუფრეს აგზნებული ელაპარაკებოდა. ქალს ერთი მზერაც არ უღირსებია, როცა რავიკმა მის მაგიდას ჩაუარა. მისი მკაცრი, ცივი სახე არაფერს გამოხატავდა, მხოლოდ დაძაბულად იღიმებოდა.

რავიკი ქუჩებში დაეხეტებოდა და, თავისდა უნებურად, ისევ ,,შეჰერეზადას" წინ აღმოჩნდა. მოროზოვი ღიმილით შეეგება.

- კარგად გიჭირავს თავი, ჯარისკაცო! მე კი მეგონა, სრულიად დაიღუპა-მეთქი. აი, ხედავ, დაბრუნდი. მიყვარს, ჩემი წინასწარმეტყველება რომ ახდება ხოლმე.

- ნაადრევი სიხარულია, ბორის.

- ნურც შენ ჩქარობ. უკვე წავიდა.

- ვიცი. შევხვდი.

- ნუთუ?

- დიახ. ,,კლოშ დ'ორში".

- კარგი ერთი... - გაოცდა მოროზოვი. - მაგ კუდიან ბედისწერას სიურპრიზები მუდამ მარაგად აქვს. მოდი და ნუ გაგიკვირდება!

- როდის გათავისუფლდები, ბორის?

- რამდენიმე წუთში. უკვე ყველა წავიდა. აი, მხოლოდ გადავიცვამ. შენ კი ჯერ დარბაზში შედი, დაწესებულების ხარჯზე არაყი დალიე.

- არა. აქ დაგელოდები.

მოროზოვმა გამომცდელი მზერა მიაპყრო.

- თავს როგორ გრძნობ?

- საძაგლად.

- სხვა რამეს ელოდი?

- კაცი ყოველთვის სხვა რამეს ელის. წადი, ჩაიცვი.

რავიკი კედელს მიეყრდნო. იქვე მოხუცი მეყვავილე ქალი კალათაში აწყობდა იმ ყვავილებს, რომლებიც ვერ გაყიდა. თუმცა სისულელე იყო, რავიკს მოუნდა, რომ ამ ქალს მისთვის თაიგული შემოეთავაზებინა. ნუთუ სახეზე ატყობს, რომ ახლა ყვავილების თავი არა აქვს? ქუჩებს თვალი გააყოლა. აქა-იქ ფანჯრებში ჯერ კიდევ ენთო შუქი. ნელა მიმოდიოდა ტაქსები... რას ელოდა? ყველაფერი წინასწარ ივარაუდა. ელოდა მხოლოდ იმას, რომ ჟოანი დაასწრებდა. ან რატომაც არა? მუდამ მართალია ის, ვინც პირველი დაარტყამს!

„შეჰერეზადადან“ კელნერები გამოვიდნენ. ღამით ისინი ნამდვილი კავკასიელები იყვნენ - გრძელ წითელ ჩოხებსა და რბილ ჩექმებში გამოწყობილნი, გათენებისას კი - უბრალოდ, დაღლილი ხალხი. შინ თავიანთი ტანისამოსით ბრუნდებოდნენ და, ღამის მასკარადის შემდეგ, ეს საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდა. მოროზოვი უკანასკნელი გამოვიდა.

- საით წავიდეთ? - ჰკითხა.

- დღეს უკვე ყველგან ვიყავი.

- მაშინ ოტელში მივიდეთ, ჭადრაკი ვითამაშოთ.

- რა თქვი?

- ჭადრაკი ვითამაშოთ-მეთქი. არსებობს ასეთი სათამაშო, ხის ფიგურებით. ადამიანს ართობს და აიძულებს, ყურადღება ერთ რამეზე გადაიტანოს.

- კარგი, - უთხრა რავიკმა. - ვითამაშოთ, რატომაც არა!

გაიღვიძა და მაშინვე იგრძნო, რომ ჟოანი მის ოთახშია. ჯერ კიდევ ბნელოდა, ქალის დანახვა არ შეეძლო, მაგრამ იცოდა, რომ ქალი იქვე იყო. ოთახიც სხვა გახდა, ფანჯარაც სხვანაირი, ჰაერიც სხვაგვარი და თვითონაც სულ სხვა არსებად იქცა.

- გეყოფა ოინბაზობა! - შესძახა. - ჩართე შუქი და მოდი ჩემთან.

ქალი არც შერხეულა. რავიკს მისი სუნთქვაც არ ესმოდა.

- ჟოან, - მიმართა ისევ, - ნუ ვითამაშებთ კუკუმალულობას.

- არ ღირს, - წყნარად მიუგო ქალმა.

- მაშინ, მოდი ჩემთან.

- შენ იცოდი, რომ მოვიდოდი.

- საიდან უნდა მცოდნოდა?

- კარი არ იყო დაკეტილი.

- კარს თითქმის არასოდეს ვკეტავ.

ჟოანი ხმას არ იღებდა.

- მე მეგონა, ჯერ არ იყავი დაბრუნებული, - თქვა ბოლოს. - მინდოდა მხოლოდ... მეგონა, სადმე იჯექი და სვამდი.

- მეც მეგონა, რომ ასე იქნებოდა, მაგრამ ჭადრაკს ვთამაშობდი.

- რას აკეთებდი?

- ჭადრაკს ვთამაშობდი, მოროზოვთან, ოთახში, რომელიც უწყლო აკვარიუმს ჰგავს.

- ჭადრაკს? - ქალი კარს მოსცილდა. - ჭადრაკსო! ეს როგორ?.. განა შეიძლება ჭადრაკის თამაში, როცა...

- თვითონაც ვერ დავიჯერებდი, მაგრამ, ეტყობა, შეიძლება. სულაც არ გამოდის ურიგოდ. ერთი პარტია მოვიგე კიდეც.

- შენ ყველაზე ცივი, ყველაზე უგულო ადამიანი...

- ჟოან, ნუ გამართავ სულელურ სცენებს. თეატრი მიყვარს, მაგრამ ახლა ამის თავი არ მაქვს.

- არც ვფიქრობ, სცენები გაგიმართო. მე უსაზღვროდ უბედური ქალი ვარ.

- კარგი. ნუ ვილაპარაკებთ ამაზე. სცენა კარგია, როცა ადამიანები მეტისმეტად უბედურნი არ არიან. მე ვიცნობდი ერთ ადამიანს, ცოლის სიკვდილის შემდეგ ოთახში ჩაიკეტა, იქ დარჩა და მეუღლის დაკრძალვამდე საჭადრაკო ამოცანებს ხსნიდა. მასაც უგულო უწოდეს, მაგრამ მე ვიცოდი, რომ თავისი ცოლი ამქვეყნად ყველაფერზე მეტად უყვარდა. უბრალოდ, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა. ეს იყო და ეს. დღე და ღამე საჭადრაკო ამოცანებს წყვეტდა, რომ როგორმე თავდავიწყებას მისცემოდა.

ჟოანი ახლა შუა ოთახში იდგა.

- შენც ამისათვის თამაშობდი ჭადრაკს, რავიკ?

- არა. სხვა კაცის ამბავი გითხარი. მე კი მეძინა, შენ რომ მოხვედი.

- ჰო, შენ გეძინა! შენ დაძინებაც შეგიძლია!

რავიკმა ლოგინში წამოიწია.

- მეორე კაცსაც ვიცნობდი - ცოლი რომ დაეღუპა, დაწვა, დაიძინა და ორი დღე-ღამე ეძინა. სიდედრი გიჟდებოდა, არ ესმოდა, რომ შეიძლება კაცმა ყოვლად მოულოდნელი, არაჩვეულებრივი რამეები გააკეთოს და, ამავე დროს, სრულიად უნუგეშო იყოს. პირდაპირ გასაკვირია, რამდენად სულელურია ეს დარდის ეტიკეტი. მკვდარივით გალეშილი რომ გენახე - წესიერება დაცული იქნებოდა. მე კი ჭადრაკს ვთამაშობდი და მერე დასაძინებლად დავწექი. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უგულო და უგრძნობელი ვარ. რა არის აქ გაუგებარი?

უეცრად ბრახუნი და წკრიალი გაისმა. ჟოანმა ლარნაკს ხელი სტაცა და იატაკზე დაანარცხა.

- გმადლობ, - უთხრა რავიკმა, - ჭირივით მძულდა ეს ნივთი. ფრთხილად, ნამსხვრევებზე ფეხი არ გაიჭრა.

ქალმა ლარნაკის ნამსხვრევები ფეხით მიმოფანტა.

- რავიკ, - უთხრა, - რატომ მეუბნები ყოველივე ამას?

- მართლაც, - მიუგო რავიკმა. - რისთვის? ალბათ, თავს ვინუგეშებ. ასე ხომ არ გეჩვენება?

ჟოანი ფიცხლავ მიუბრუნდა.

- თითქოს ასეა. მაგრამ კაცი ვერ გაიგებს, როდის ხარ სერიოზული და როდის ხუმრობ.

ჟოანმა ფრთხილად გაიარა მინის ნამსხვრევებით მოფენილ იატაკზე და ლოგინზე ჩამოჯდა. ახლა, განთიადის შუქზე, რავიკს შეეძლო ქალის სახის დანახვა. საკვირველი იყო: სულაც არ ჩანდა დაღლილი. პირიქით, ჟოანს ახალგაზრდული, ნათელი სახე ჰქონდა. ეტყობოდა, გულისყურიც მოეკრიბა. ახალ მოსასხამში იყო და აღარც ის კაბა ეცვა, რომლითაც „კლოშ დ' ორში" ნახა.

- მეგონა, აღარასოდეს დაბრუნდებოდი, რავიკ, - თქვა ისევ.

- შვეიცარიაში მეტი ხნით მომიხდა დარჩენა, ვიდრე ვვარაუდობდი. ვერ შევძელი ამაზე ადრე ჩამოსვლა.

- რატომ ერთხელაც არ მომწერე?

- ამით რა შეიცვლებოდა?

ქალმა თვალი მოარიდა.

- მაინც უკეთესი იქნებოდა.

- უკეთესი იქნებოდა, საერთოდ, არდაბრუნება. მაგრამ მე არ შემიძლია რომელიმე სხვა ქვეყანაში ცხოვრება, საფრანგეთის გარდა, არც ერთ სხვა ქალაქში, პარიზის გარდა. შვეიცარია მეტად პატარაა. სხვა ქვეყნებში ფაშისტები არიან.

- აქ კი - პოლიცია...

- პოლიციას ახლა ისევე ბევრი ან, თუ გნებავს, ისევე ცოტა შანსი აქვს ჩემი შეპყრობისა, როგორც უწინ. უკანასკნელად პირდაპირ ბედმა მიმუხთლა. ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე.

ლოგინთან მდგარი მაგიდიდან სიგარეტები აიღო. ეს იყო პატარა მაგიდა, ძალიან მოხერხებული წიგნების, სიგარეტებისა და მისთანა წვრილმანებისათვის. რავიკს არ უყვარდა მოჩუქურთმებულფეხებიანი და ყალბი მარმარილოს ფილებიანი ღამის პატარა მაგიდები, თითქმის ყოველ ოტელში რომ შეხვდებით.

- მეც მომეცი სიგარეტი, - სთხოვა ჟოანმა.

- დალევა ხომ არ გინდა?

- მინდა. ნუ ადგები. თვითონ მოვიტან.

ბოთლი მონახა და ორი ჭიქა შეავსო - ერთი რავიკს გადასცა, მეორე თვითონ აიღო. ქალს მხრებიდან მოსასხამი დაუცურდა და რიჟრაჟის ბინდბუნდში რავიკმა დაინახა, რომ სწორედ ის კაბა ეცვა, თვითონ რომ აჩუქა ანტიბში გამგზავრების წინ. რატომ ჩაიცვა ის ერთადერთი კაბა, მან რომ უყიდა? ერთადერთი? ამაზე არასოდეს დაფიქრებულა. არც ახლა უნდოდა ამაზე ფიქრი.

- როცა დაგინახე, რავიკ... ასე მოულოდნელად... - თქვა ქალმა, - სხვაზე აღარაფერზე შემეძლო ფიქრი, არ შემეძლო. ხოლო როცა წახვედი - შემეშინდა, რომ ვეღარასოდეს გნახავდი. ჯერ გიცდიდი - იქნებ, „კლოშ დ'ორში" დაბრუნდეს-მეთქი. მეგონა, დაბრუნდებოდი. რატომ არ დაბრუნდი?

- რა საჭირო იყო დაბრუნება?

- წამოგყვებოდი.

რავიკმა იცოდა, რომ ქალი სიმართლეს არ ამბობდა, მაგრამ არ უნდოდა ამაზე ფიქრი. საერთოდ, ახლა არაფერზე არ სურდა ფიქრი. უწინ ვერ დაიჯერებდა, რომ ქალის მოსვლა დაამშვიდებდა. არ იცოდა, რისთვის მოვიდა და რა უნდოდა, მაგრამ მოულოდნელად როგორღაც უცნაური, ღრმა სიმშვიდე იგრძნო. ჟოანი აქ იყო და ეს საკმარისი აღმოჩნდა. რა არის ეს? - გაიფიქრა, - ნუთუ ისევ მეკარგება თავდაჭერის უნარი, ისევ წყვდიადში ვიძირები და წარმოსახვის მონა-მორჩილი ვხდები? ისევ აწვება საფეთქლებში სისხლი, ისევ ატყდება თავს საფრთხე?

- მეგონა, ჩემი მიტოვება გინდოდა, - უთხრა ჟოანმა. - გინდოდა კიდეც? სიმართლე მითხარი!

რავიკი ხმას არ იღებდა.

ქალი შესცქეროდა, პასუხს ელოდა.

- ეს ვიცოდი! ვიცოდი! - იმეორებდა ღრმად დარწმუნებული.

- დამისხი კიდევ კალვადოსი.

- ეს კალვადოსია?

- ჰო. ვერ შენიშნე?

- ვერა.

ქალმა სასმისები შეავსო და რავიკს ხელი მკერდზე დაადო. რავიკს ჟრუანტელმა დაუარა ძვალსა და რბილში. ჟოანმა თავისი სასმისი აიღო და დალია.

- კი, მართლაც, კალვადოსია.

ქალმა ისევ შეხედა.

- კარგია, რომ მოვედი. ვიცოდი, ასე აჯობებდა.

კიდევ უფრო ინათა. დარაბების წყნარი ჭრიალი გაისმა. დილის ნიავმა ჩამოიქროლა.

- მართლა, ხომ კარგია, რომ მოვედი?

- არ ვიცი, ჟოან.

ქალი მის თავზე დაიხარა.

- არა, იცი. უნდა იცოდე.

რავიკმა თავის ზემოთ ჟოანის სახე დაინახა, თმა მხრებზე ეცემოდა. ნაცნობი სურათიაო, გაიფიქრა, ყოველთვის უსასრულოდ უცხო და ახლობელია, ყოველთვის იგივე და მარად ახალი. პირველად შენიშნა, რომ ქალს შუბლზე კანი აქერცვლოდა, დაუდევრად შეეღება ტუჩები - ზედა ტუჩზე პომადის ნარჩენები შეხმობოდა. შესცქეროდა სახეს, მთელ ქვეყნიერებას რომ ეფარებოდა, აკვირდებოდა და იცოდა,

რომ მხოლოდ შეყვარებულის ფანტაზიას შეეძლო ამ სახეზე ამდენი იდუმალება შეენიშნა. იცოდა - არსებობს უფრო მშვენიერი, უფრო ჭკვიანური და სუფთა სახეებიც, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ქვეყნად არ იყო მეორე სახე, რომელსაც უფრო დიდი ძალაუფლება ექნებოდა მასზე. და განა თვითონვე არ მიანიჭა მას ამდენი ძალაუფლება?

- დიახ, - უთხრა, - კარგია. ყველა შემთხვევაში, კარგია.

- ამას ვერ გადავიტანდი, რავიკ...

- რას ვერ გადაიტანდი?

- შენ რომ ჩემგან წასულიყავი. სამუდამოდ...

- მაგრამ ხომ გადაწყვიტე, რომ აღარ დავბრუნდებოდი? ეს ხომ თვითონვე მითხარი...

- ეს სხვადასხვაა. სხვა ქვეყანაში რომ გეცხოვრა, ვიფიქრებდი, რომ უბრალოდ, ცოტა ხნით დავშორდით. შემეძლო ჩამოსვლა. ყოველთვის მეცოდინებოდა, რომ შემიძლია ჩამოსვლა. ასე, ერთ ქალაქში კი... ნუთუ არ გესმის ჩემი?

- მესმის.

ქალი გასწორდა, თმა უკან გადაიყარა.

- შენ ვერ გაბედავ, მარტო დამტოვო. შენ პასუხს აგებ ჩემთვის.

- განა შენ მარტო ხარ?

- შენ პასუხს აგებ ჩემთვის, - გაიმეორა ქალმა და გაიღიმა.

წამის გაელვებაზე რავიკს მოეჩვენა, მეზიზღებაო ეს ქალი, მეზიზღებაო ამ ღიმილისათვის, ამ კილოსათვის.

- სისულელეს ნუ ლაპარაკობ, ჟოან.

- არა, ჩემთვის პასუხს აგებ, ჩვენი პირველი შეხვედრის შემდეგ. უშენოდ...

- კარგი. ჩანს, მე პასუხს ვაგებ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციისათვის... ახლა კი კმარა. უკვე თენდება. მალე უნდა წახვიდე.

- რაო? - ქალმა თვალები დაჭყიტა. - შენ არ გინდა, რომ დავრჩე?

- არ მინდა.

- აჰ, ხედავ, რა... - წარმოთქვა წყნარი, მოულოდნელად ბოროტი ხმით. - აი, თურმე რა ყოფილა! შენ აღარ გიყვარვარ!

- ღმერთო ჩემო, - თქვა რავიკმა, - ესღა მაკლდა. რომელ იდიოტებთან გაატარე ეს თვეები?

- სულაც არ არიან ისინი იდიოტები. შენი აზრით, აბა, რა უნდა მექნა? დავმჯდარიყავი ჩემს ნომერში, მეცქირა ცარიელი კედლებისათვის და მეცადა, როდის შევიშლებოდი?

რავიკი ოდნავ წამოიწია ლოგინში.

- გთხოვ, აღსარებას ნუ მეტყვი, - უთხრა. - არ მაინტერესებს. მხოლოდ ერთი რამ მინდა: ჩვენი საუბარი ცოტა უფრო საინტერესო იყოს.

ქალმა გაოცებით შეხედა. ვერ გავიგეო, ანიშნა. პირი და თვალები თითქოს გაუბრტყელდა.

- რატომ ცდილობ ყოველთვის კბილი დამასო? სხვები ასე არ ჩამაცივდებიან ხოლმე. შენთვის კი ყოველთვის ყველაფერი პრობლემად იქცევა.

- მართალია.

რავიკმა ერთი ყლუპიც მოსვა და ისევ დაწვა.

- მაგრამ ეს ნამდვილად ასეა, - თქვა ქალმა. - კაცი ვერასოდეს გაიგებს, როგორ უნდა მოიქცეს შენთან. აიძულებ, ისეთ რამეებზე ილაპარაკოს, რაზედაც არ სურს ლაპარაკი, შემდეგ კი თვითონვე ესხმი თავს.

რავიკმა ღრმად ამოისუნთქა. რაზე ფიქრობდა სულ ახლახან? ჰო... სიყვარულის ბნელი პატარა სამყარო, წარმოსახვის ძალაუფლება - რა ჩქარა შეიძლება მასში შესწორების შეტანა? ადამიანები ასეც იქცევიან. ყველა ასე იქცევა. უაღრესი გულმოდგინებით ანგრევენ საკუთარსავე ოცნებებს. ან შეუძლიათ კი სხვანაირად მოქცევა? მართლაც, რა არის მათი დანაშაული? ეჩვენებათ, რომ არიან ლამაზები, წყალწაღებულები, დევნილები... სადღაც, მიწის სიღრმეში, გიგანტური მაგნიტია, ზედაპირზე კი ჭრელი პატარა ფიგურები, რომელთაც ჰგონიათ, რომ აქვთ ნებისყოფა, ბედი... განა შეუძლიათ სხვანაირად მოქცევა? და განა თვითონაც ასეთი არ არის? ჯერ კიდევ ვერ დაეჯერებინა, ჯერ კიდევ ეჭიდებოდა სიფრთხილისა და იაფფასიანი სარკაზმის ხავსს, მაგრამ უკვე ზუსტად იცოდა, რაც გარდაუვალად უნდა მომხდარიყო.

ჟოანი ლოგინის მეორე კიდეზე მოკალათდა. გაჯავრებულ ლამაზ მრეცხავს მოგაგონებდათ და, იმავდროულად, მთვარიდან ჩამოფრენილ არსებას ჰგავდა, მიწიერი საქმეებისა რომ არაფერი გაეგება. სახეზე განთიადის წითელი ანარეკლი დასთამაშებდა, ალიონის მაუწყებელი ბინდის შესაცვლელად მოსული. უსუფთაო ეზოებსა და ჭვარტლიან სახურავებზე ნორჩი დღის სუფთა ამონასუნთქი დაქროდა.

- ჟოან, - თქვა რავიკმა. - რისთვის მოხვედი?

- რატომ მეკითხები?

- მართლა, რატომ გეკითხები?..

- რატომ მეკითხები? მე აქ ვარ. განა ამით ყველაფერი ნათქვამი არ არის?

- კი, მართალი ხარ, ამით ყველაფერი ნათქვამია.

ქალმა თავი ასწია.

- ძლივს! მაგრამ არ შეგიძლია, რომ ჯერ ადამიანს არ მოუწამლო მთელი სიხარული.

სიხარულიო! ამას სიხარულს ეძახის! ადამიანებს მრავალი პროპელერი ასდევნებია, სუნთქვა ეკვრით, სული ეხუთებათ... ისევ და ისევ ითრევს სურვილის გრიგალი... ეს რაღა სიხარულია? სიხარული იქაა, ფანჯრის იქით, - დილის ნამი, ათი წუთი სიწყნარე, ვიდრე დღე თავის კლანჭებს გაშლიდეს, მაგრამ ეს რა არის? ისევ ცდილობს ყველაფერი გაიაზროს? ჯანდაბას! განა ეს ქალი მართალი არ არის? განა მართალი არ არის, ისევე, როგორც მართალია ნამი, ბეღურები, ქარი და სისხლი? რა საკითხავია? რა არის ასახსნელი? ქალი აქ არის, ეს ღამის პეპელა, დაუფიქრებლად აქ შემოფრენილი... თვითონ კი წევს და მის ფრთებზე ლაქებსა და ძარღვებს ითვლის, კბილს ასობს და აკვირდება ოდნავ გადასულ საღებავებს. თავისით მოვიდა, მე კი, ხედავთ, მინდა, ვუჩვენო მთელი ჩემი უპირატესობა. რა სისულელეა! აქ რომ არ ყოფილიყო? ვიქნებოდი ასე დაწოლილი და ვიფიქრებდი უსასრულოდ, შევეცდებოდი გმირულად თავის მოტყუებას, სულის სიღრმეში მისი მოსვლის სურვილით ანთებული.

რავიკმა საწოლიდან ფეხები ჩამოდგა და ფეხსაცმელი ჩაიცვა.

- რისთვის ადექი? - ჰკითხა გაოცებულმა ჟოანმა. - გინდა გამაგდო?

- არა. მინდა გაკოცო. უკვე დიდი ხანია, ეს უნდა გამეკეთებინა. იდიოტი ვარ, ჟოან. რამდენი სისულელე ვთქვი. რა კარგია, რომ აქ ხარ!

ქალს თვალები გაუბრწყინდა.

- კოცნა ისედაც შეგიძლია, რომ არ ადგე, - უთხრა.

ქალაქის თავზე განთიადი იდგა. მის ზემოთ ცა ფერმიბინდული იყო, როგორც დილით იცის ხოლმე. კანტიკუნტად მიცურავდნენ თეთრი ღრუბლები, მძინარე ფლამინგოებს რომ ჰგავდნენ.

- ნახე, რა დღეა, ჟოან! სულ ცოტა ხნის წინ წვიმები იყო.

- ჰო, საყვარელო. უჟმური ამინდები იყო და გადაუღებლად წვიმდა.

- როცა მივემგზავრებოდი, წვიმდა და წვიმდა. გული მქონდა გადალეული დაუსრულებელი წვიმისაგან. ახლა კი...

- ჰო, - მიუგო ჟოანმა. - ახლა კი...

ქალი მაგრად ჰყავდა გულში ჩახუტებული.

- ახლა ყველაფერია. ბაღიც კი - მიხაკები ვიზენჰოფის ფანჯარაზე. ჩიტებიც დაფრინავენ ეზოში, წაბლის ხეზე სხდებიან.

უეცრად რავიკმა შენიშნა, რომ ქალი ტიროდა.

- რატომ არაფერს მეკითხები, რავიკ?

- ისედაც ბევრი რამ გკითხე, ჟოან. თვითონვე არ მისაყვედურე?

- ახლა სულ სხვა რამეს გეუბნები.

- რა მაქვს შესაკითხი!

- არ გაინტერესებს, რა მომივიდა ამ ხნის განმავლობაში?

- არაფერი მოგსვლია.

ქალმა გაოცებით გადასწია თავი.

- ვინა გგონივარ, ჟოან? - უთხრა რავიკმა. - უმჯობესია, ფანჯარაში გაიხედო, ცა - ერთიანად ყირმიზი, ოქრო და ფირუზია... განა მზე კითხულობს, რა ამინდი იყო გუშინ? არის თუ არა ომი ესპანეთში ან ჩინეთში? რამდენი ათასი ადამიანი დაიბადა თუ მოკვდა ამწუთას? მზე ამოდის და ყველაფერი აქ არის. შენ კი გინდა, გამოკითხვა დაგიწყო! შენი მხრები მზის სხივებზე ბრინჯაოსავით ციმციმებენ და შენ გინდა, კიდევ რამე გკითხო? განთიადის წითელ შუქზე შენი თვალები ძველ ბერძენთა ზღვასავით იისფერი და ღვინისფერია, მე კი უნდა ვჩხრიკო, ღმერთმა იცის, რა? შენ ჩემთან ხარ, მე კი, სულელმა, წარსულის დამჭკნარი ფოთლები უნდა ვქექო? ვინ გგონივარ, ჟოან?

ქალმა ცრემლები შეიწმინდა.

- დიდი ხანია, აღარ მომისმენია ასეთი სიტყვები.

- მაშასადამე, გარშემო გეხვეოდნენ არა ადამიანები, არამედ ქვის კერპები. ქალი ან უნდა გააღმერთო, ან უნდა მიატოვო. ყველაფერი დანარჩენი სიცრუეა.

ქალს ეძინა, თან ისე მაგრად ეხვეოდა, თითქოს სურს, სამუდამოდ შეინარჩუნოსო. ეძინა ღრმა ძილით და კაცს მკერდზე ელამუნებოდა მისი მსუბუქი, თანაბარი სუნთქვა. რავიკს ერთბაშად არ ჩასძინებია. ოტელი იღვიძებდა. ონკანებში წყალი ხმაურობდა, ხმაურით აღებდნენ და ხურავდნენ კარებს, ქვედა სართულიდან ემიგრანტ ვიზენჰოფის ხველება ისმოდა. რავიკს ხელი ჰქონდა გადახვეული ჟოანის მხრებზე და გრძნობდა მისი სხეულის ძილის მომგვრელ სითბოს, ხოლო როცა თავს მოაბრუნებდა, ხედავდა მის უშფოთველად ერთგულ, უმანკოებასავით სუფთა სახეს. ან უნდა გააღმერთო, ან უნდა მიატოვო, - მოაგონდა თავისი ნათქვამი. მაღალფარდოვანი სიტყვებია. ვის ეყოფოდა საამისოდ ძალა? ან ვინ ისურვებდა ამის აღსრულებას?

## თავი მეოცე

რავიკს გამოეღვიძა. ჟოანი მის გვერდით აღარ იწვა. სააბაზანოდან წყლის ხმაური ისმოდა. ლოგინში წამოიწია და გამოფხიზლდა, ძილი გადაიყარა. ბოლო დროს ეს ხელახლა ისწავლა. თუ სწრაფად გამოღვიძება შეგიძლია, გადარჩენის მეტი შანსი გრჩება. საათს დახედა. დილის ათი საათი იყო. ჟოანის მოსასხამი და კაბა იატაკზე ეყარა. ფანჯარასთან ფარჩის ფეხსაცმელი ეწყო.

- ჟოან, - დაუძახა, - რამ მოგაფიქრა შხაპის მიღება ამ შუაღამისას?

ქალმა კარი გააღო.

- შენი გაღვიძება არ მინდოდა.

- ეს არაფერია, ყოველგვარ ხმაურში შემიძლია ძილი, მაგრამ რატომ ადექი ასე ადრე?

ჟოანს საბანაო ქუდი ეხურა, ოდნავ მზემოკიდებული მხრებიდან წყალი ჩამოსდიოდა. ასე იდგა რავიკის წინ. ამორძალს ჰგავდა, მუზარადიანს.

- ღამის მთეველი აღარ ვარ, რავიკ. ,,შეჰერეზადაში'' აღარ ვმუშაობ.

- ვიცი.

- ვინ გითხრა?

- მოროზოვმა.

ჟოანმა გამომცდელი თვალით შეხედა.

- მოროზოვი... - ჩაილაპარაკა ქალმა, - ბებერი ყბედი. კიდევ რა გითხრა?

- არაფერი. კიდევ იცის რამე?

- საიდან ეცოდინება? რა საერთო უნდა მქონდეს ღამის სამიკიტნოს მეკარესთან? შვეიცრები მეგარდერობეებსა ჰგვანან: პროფესია ჭორიკანებად აქცევთ.

- თავი დაანებე მოროზოვს. თავიანთი პროფესიის წყალობით შვეიცრები პესიმისტები ხდებიან, ასევე ექიმებიც. ყველანი ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეების ანგარიშზე ცხოვრობენ, მაგრამ არასოდეს ჭორიკანობენ. პროფესია მათ თავმდაბლობას ავალებს.

- ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეები, - თქვა ჟოანმა. - არ მინდა ამის შესახებ რამე ვიცოდე.

- ვის უნდა? მაგრამ ბევრს კი უხდება მათთან შეხვედრა. სხვათა შორის, სწორედ იმ მოროზოვმა მოგაწყო ერთხელ ,,შეჰერეზადაში''.

- რა ვქნა ახლა, მთელი სიცოცხლე უნდა ვილოცო მისთვის ამის გამო? არც შემირცხვენია. ვღირდი იმ ფულად, რასაც მიხდიდნენ. ისე არც გამაჩერებდნენ. რაც მთავარია, ეს შენი გულისათვის გააკეთა, ჩემთვის კი არა.

რავიკმა სიგარეტი მოსწია.

- კაცმა რომ თქვას, რას ერჩი იმ კაცს?

- არაფერს, არ მიყვარს. ყოველთვის ყველას ალმაცერად უყურებს. მე პირადად ვერ ვენდობი. არც შენ გირჩევ.

- რა თქვი?

- არ გირჩევ მოროზოვის ნდობას. ნუთუ არ იცი, რომ საფრანგეთში ყოველი შვეიცარი პოლიციის ,,შპიკია''?

- შემდეგ? - მშვიდად ჰკითხა რავიკმა.

- შეგიძლია, არ დამიჯერო, მაგრამ ,,შეჰერეზადაში'' ეს ყველამ იცის. მართლა, ეს მან ხომ არ...

- ჟოან! - რავიკმა საბანი გადააგდო და წამოიჭრა. - სისულელეებს ნუ როშავ! რა მოგივიდა?

- მე? არაფერი. უბრალოდ, მოროზოვი ჭირივით მძულს - ეს არის და ეს. იგი ცუდ ზეგავლენას ახდენს შენზე, თქვენ კი განუყრელი მეგობრები ხართ.

- დახე, - თქვა რავიკმა, - აი, რა ყოფილა...

ჟოანმა უეცრად გაიღიმა.

- ჰო, სწორედ ესაა.

მაგრამ რავიკი გრძნობდა, რომ საქმე მარტო ეს არ იყო: ჩანდა, აქ რაღაც სხვა მიზეზიც იფარებოდა.

- რა შევუკვეთო საუზმისთვის? - ჰკითხა ქალს.

- ბრაზობ? - კითხვითვე უპასუხა ჟოანმა.

- სულაც არა.

ქალი სააბაზანოდან გამოვიდა და ხელი მხარზე დაადო. პიჟამის თხელ ქსოვილში რავიკმა მისი კანის სინესტე იგრძნო. ქალის სხეული და სისხლის დინება შეიგრძნო.

- გწყინს, რომ შენს მეგობრებზე ვეჭვიანობ? - ჰკითხა ქალმა.

რავიკმა უარის ნიშნად თავი გადაიქნია. მუზარადი, ამორძალი, ოკეანის ტალღებიდან გამოსული ნაიადა, აბრეშუმის კანი, ჯერაც რომ წყლისა და ახალგაზრდობის სურნელს აფრქვევს.

- გამიშვი, - უთხრა კაცმა.

ქალმა არ უპასუხა. მაღალი ყვრიმალებისა და ნიკაპის ხაზი! ტუჩები. მძიმე წამწამები და მისი მკერდი, მკერდზე რომ ეკვრის...

- გამიშვი ან...

- ან?.. - ჩაეკითხა ქალი.

ღია ფანჯრის წინ ფუტკარი ბზუოდა. რავიკი თვალს აყოლებდა. ჩანს, პირველად ვიზენჰოფის მიხაკებმა მიიზიდა, ახლა კი სხვა ყვავილებს ეძებდა. ამ ძებნაში ფუტკარი ფანჯარაში შემოფრინდა, იტრიალა, იტრიალა და ფანჯრის რაფაზე მდგარი კალვადოსის ჭიქის კიდეზე დაჯდა.

- მოგენატრე? - ჰკითხა ჟოანმა.

- მომენატრე.

- ძალიან?

- ძალიან.

ფუტკარმა ნელა იტრიალა ჭიქის თავზე და ფანჯარაში გაფრინდა მზისკენ, ემიგრანტ ვიზენჰოფის მიხაკებისაკენ.

რავიკი ჟოანთან იწვა. ზაფხულიაო, გაიფიქრა... დილის ცვრიანი მდელო, თივის სურნელით გაჟღენთილი თმა, სამყაროს ფოთოლივით ნაზი კანი... სისხლი ნაკადულივით მოჩუხჩუხებს, თითქოს მოდიდებულა და ქვიშიან ადგილებს რწყავსო. სარკისებურ წყნარ ზედაპირზე მოღიმარი სახე ირეკლება, აღარაფერია მშრალი და მკვდარი - თვალის დახამხამებაში გაცოცხლებული არყისა და ალვის ხეები... თითქოს შორეული დაკარგული ციდან მოდისო, ძლივს ისმოდა სისხლის ჩუხჩუხი.

- ისევ მინდა შენთან დარჩენა, - უთხრა ჟოანმა და თავი მხარზე მიადო.

- დარჩი, დავიძინოთ. ცოტა გვეძინა.

- არ შემიძლია. უნდა წავიდე.

- საღამოს კაბით? სად წახვალ ამ კაბაში გამოწყობილი?

- მეორე მაქვს წამოღებული.

- როგორ?

- მოსასხამის ქვეშ. ფეხსაცმელიც. ჩემს ნივთებშია, ყველაფერი აუცილებელი თან წამოვიღე.

სად უნდა წავიდეს, არ უთქვამს. არც რავიკს უკითხავს რამე.

ფუტკარი ისევ შემოფრინდა. ამჯერად, პირდაპირ დააფრინდა სასმისს. ეტყობოდა, კალვადოსი მოეწონა. ან, ყოველ შემთხვევაში, ხილის შაქარი.

- დარწმუნებული იყავი, რომ ჩემთან დარჩებოდი?

- ჰო, - მიუგო ჟოანმა და არც შერხეულა.

როლანდამ ლანგრით ბოთლები და სასმისები შემოიტანა.

- არაყი არ არის საჭირო, - უთხრა რავიკმა.

- არაყი არ გინდა? ნამდვილი ცეცხლია. „ზუბროვკა“.

- დღეს არ მინდა. ყავა მირჩევნია. ცოტა მაგარი.

- მოგართმევთ.

სიგარეტი მოსწია და ფანჯარასთან მივიდა. ჭადრები უკვე შეფოთლილიყო. მისი გასახლების წინ ისინი ჯერ კიდევ ტიტვლები იდგნენ.

როლანდამ ყავა შემოიტანა.

- ქალიშვილები შემოგმატებიათ, - შენიშნა რავიკმა.

- დიახ, ოცი ახალი ავიყვანეთ.

- ნუთუ ასე კარგად მიდის საქმე? ისიც ახლა. ივნისში რაღა იქნება?

როლანდა გვერდით მიუჯდა.

- საქმე ისე კარგად მიდის, რომ გაოცებულები ვართ. ხალხი თითქოს ჭკუიდან შეიშალა. დღისითაც გაჭედილია სასტუმრო. ახლა საღამოობით უნდა ნახოთ, რა ხდება...

- იქნებ, ამინდის ბრალია?

- ამინდი რა სათქმელია! ჩვეულებრივ, ზაფხული მკვდარი სეზონია, წლეულს კი თითქოს ყველა გაგიჟდა. ერთი განახვა, რა ვაჭრობაა ჩვენს ბარში! წარმოიდგინე, ფრანგები რომ ფრანგები არიან, ისინიც კი შამპანურს ითხოვენ!

- დაუჯერებელია.

- რაც შეეხება უცხოელებს, რა გასაკვირია! აბა, რისი უცხოელები არიან! მაგრამ ფრანგები! მეტსაც გეტყვი - პარიზელებიც კი შამპანურს სვამენ! და წარმოიდგინე, იხდიან! შამპანურს „დუბონეს", ლუდსა და კონიაკს ურევენ! დამიჯერებ?

- მხოლოდ მაშინ, თუ საკუთარი თვალით ვნახავ.

როლანდამ ყავა დაუსხა.

- სტუმრებისაგან ხომ მოსვენება არა გვაქვს! - განაგრძობდა როლანდა. - თავი გვისკდება! ჩადი დაბლა და თვითონვე ნახავ. დარბაზი უკვე გაჭედილია. რა ჯურის ხალხს არ ნახავ იქ! ნეტავი, რამ მოუარა ამ ხალხს, რავიკ?

რავიკმა მხრები აიჩეჩა.

- ეს იმ საოკეანო ხომალდის ამბავს ჰგავს, ფსკერისაკენ რომ მიექანება...

- მაგრამ ჩვენ ხომ არ მივდივართ ფსკერისაკენ! პირიქით, საქმე ჩინებულად აეწყო.

კარი გაიღო და ოთახში ნინეტა შემოვიდა, ოცდაათიოდე წლის საროსტანა ქალიშვილი. ვარდისფერი აბრეშუმის შარვალი ეცვა, წმინდანის სახე ჰქონდა და დაწესებულების საუკეთესო მეძავად ითვლებოდა. ლანგრით პური, კარაქი და ჯემი შემოიტანა.

- მადამს გაუგია, ექიმი ყავას მიირთმევსო, - ჩაილაპარაკა ხრინწიანი ხმით. - მადამმა გთხოვათ, მისი ხელით დამზადებული ჯემი გასინჯოთ.

ნინეტამ ანგელოზის სახე ქუჩის ოინბაზი ბიჭივით დამანჭა, ლანგარი მაგიდაზე დადგა და ცეკვა-ცეკვით ოთახიდან გავიდა.

- აი, ხედავ, - ამოიოხრა როლანდამ, - ორი დღის მოსულები არიან და როგორ უჭირავთ თავი! იციან, რომ გვჭირდებიან.

- მართალია, - შენიშნა რავიკმა. - მაშ, როდისღა უნდა დართონ თავს ამის ნება? მაგრამ რას ნიშნავს ეს ჯემი?

- მადამი ამაყი ქალია. თავის მამულში ამზადებს, რივიერაში. მართლა კარგია. ხომ არ გასინჯავ?

- მეჯავრება ჯემი. მეტადრე, თუ მილიონერი ქალის ხელითაა დამზადებული.

როლანდამ ქილას მინის სახურავი ახადა, სქელი ქაღალდის ფურცელი აიღო, ზედ რამდენიმე კოვზი ჯემი, თეთრი პურის ნატეხი და კარაქი დადო, ყოველივე ეს შეახვია და რავიკს გაუწოდა.

- აიღე, - უთხრა, - ასიამოვნე მადამს, მერე კი, თუ გინდა, გადააგდე. აუცილებლად შეამოწმებს, ჭამე თუ არა ჯემი. მაშ, რით ინუგეშოს თავი სიბერეში შესულმა ქალმა? ან რა დარჩენია ცხოვრებაში? გააკეთე ზრდილობისათვის.

- თანახმა ვარ, - რავიკი ადგა და კარი გააღო. - მართლაც, თავი აუშვიათ, - თქვა, როცა ქვემოდან გნიასი, მუსიკა, სიცილ-კისკისი და ყვირილი შემოესმა. - სულ ფრანგები არიან?

- არა. უმეტესად უცხოელები.

- ამერიკელები?

- საქმეც ის არის, რომ ამერიკელები კი არა, გერმანელები არიან. ჯერ არასოდეს გვყოლია ამდენი გერმანელი. უცნაურად არ გეჩვენება?

- სულაც არა.

- თითქმის ყველა კარგად ლაპარაკობს ფრანგულად. იმ გერმანელებს კი არ ჰგვანან, რამდენიმე წლის წინ რომ ჩამოდიოდნენ საფრანგეთში.

- ადვილი წარმოსადგენია. ალბათ, თქვენთან ჯარისკაცებიც ბლომად იქნებიან, მათ შორის, კოლონიალური ჯარისკაცებიც?

- ჰო, ესენი ხომ ყოველთვის მოდიან.

რავიკმა თავი დააქნია.

- მერე, გერმანელები ბევრ ფულს ხარჯავენ?

როლანდამ გაიცინა.

- რაც მართალია, მართალია. ყველას უმასპინძლდებიან, ვინც მათთან დალევს.

- ალბათ, უმთავრესად, ჯარისკაცებს. გერმანიაში ხომ სავალუტო შეზღუდვაა, ყველა საზღვარი დაკეტილია. საზღვარგარეთ წასვლა მხოლოდ მთავრობის ნებართვით შეიძლება. ათ მარკაზე მეტის გატანა არ შეიძლება. პარიზში კი ამდენი მხიარული გერმანელია. ფულს ფანტავენ და საუცხოოდ ლაპარაკობენ ფრანგულად. შენ, მგონი, მართალი ხარ: ეს ნამდვილად უცნაური ამბავია.

როლანდამ მხრები აიჩეჩა.

- მე რა... ოღონდ ფული გადაიხადონ და რას დავეძებ...

რაკინი შინ ცხრა საათზე დაბრუნდა.

- ხომ არავინ დამირეკა? - ჰკითხა პორტიეს.

- არავინ.

- არც სადილის შემდეგ დაურეკავთ?

- არა. მთელი დღე ერთხელაც არავის დაურეკავს.

- არც ვინმეს შემოუვლია ჩემთან?

პორტიემ უარის ნიშნად თავი გააქნია.

რავიკმა კიბეზე ფეხი შედგა. მეორე სართულზე ცოლ-ქმარი გოლდბერგები ჩხუბობდნენ. მესამეზე ბავშვი ჩხაოდა. ეს იყო საფრანგეთის ქვეშევრდომი ლუსიენ ზილბერმანი. ასაკი - წელი და ორი თვე. მისი მშობლებისათვის, ყავით მოვაჭრე ზიგფრიდ ზილბერმანისა და მისი მეუღლის, ნელის ლევისათვის, ის იყო წმინდანიც და სპეკულაციის საგანიც. ბავშვი საფრანგეთში დაიბადა და, მისი წყალობით, მშობლები იმედოვნებდნენ, ვადამდე მიიღებდნენ ფრანგულ პასპორტებს. ლუსიენი, საზრიანი ყმაწვილი, როგორც ყველა ერთი წლის ბავშვი, ძალიან ჩქარა გახდა ოჯახის ნამდვილი ტირანი.

ერთ-ერთ ზედა სართულზე ლტოლვილი ვოლმაიერი პატეფონს უკრავდა. ისმოდა გერმანული ხალხური სიმღერები. ვიდრე საფრანგეთში მოხვდებოდა, ვოლმაიერი ორანიენბურგის საკონცენტრაციო ბანაკში იჯდა.

დერეფანში კომბოსტოს და ბინდის სუნი იდგა.

რავიკი თავის ნომერში შევიდა. კითხვა მოუნდა. როგორღაც დიდი ხნის წინ მსოფლიო ისტორიის რამდენიმე პატარა ტომი იყიდა და ახლა გამოძებნა. კითხვამ დიდი სიამოვნება ვერ მიანიჭა. მეტიც, რაღაც დამამძიმებელი კმაყოფილების გრძნობამ მოიცვა იმის გაფიქრებაზე, რომ ყოველივე ის, რაც ახლა ხდება, ახალი ამბავი როდია, უკვე მრავალჯერ მოხდა. სიცრუე, ვერაგობა, მკვლელობა, ბართლომეს ღამეები, კორუფცია, ტირანული ძალაუფლების წყურვილით შობილი დაუსრულებელი ომები... კაცობრიობის ისტორია დაწერილი იყო ცრემლითა და სისხლით და ამა ქვეყნის ძლიერთა ათასობით სისხლიან ძეგლს შორის მხოლოდ თითო-ოროლა თუ გამოერეოდა ვერცხლისფერი შუქით სხივმოსილი. დემაგოგები, მატყუარები, მოძალადეები, ძმათამკვლელები და მამის მკვლელები, ძალაუფლებით მთვრალი, საკუთარ თავზე შეყვარებული ჩლუნგი ტირანები, ფანატიკოსები და ყალბი წინასწარმეტყველნი, მახვილით რომ ამკვიდრებენ მოყვასის სიყვარულს; ყოველ დროში ერთი და იგივე ხდებოდა, მრავალტანჯულ ხალხებს ერთიმეორეს უსევდნენ და უაზრო ხოცვა-ჟლეტას აწყობდნენ... იმპერატორისათვის, სარწმუნოებისათვის... გვირგვინოსანი თუ უგვირგვინო გიჟებისათვის... დასასრული არ ჰქონდა ამას.

წიგნები განზე გადადო. ღია ფანჯარაში დაბლიდან ხმაური შემოდიოდა.

იცნო: ვიზენჰოფისა და ფრაუ გოლდბერგის ხმა იყო.

- არა, - თქვა რუთ გოლდბერგმა, - მალე დაბრუნდება, ერთ საათში.

- საათი - ეს მთელი საათია!

- უფრო ადრე რომ დაბრუნდეს?

- სად წავიდა?

- ამერიკის საელჩოში. ყოველ საღამოს დადის იქ. დადგება ქუჩაში, უყურებს შენობას და მეტი არაფერი. მერე ბრუნდება.

ვიზენჰოფმა რაღაც თქვა, რავიკმა ვერ გაარჩია.

- ოღონდაც, - გაჯავრდა რუთ გოლდბერგი. - ვინღა არ არის გიჟი? ბებერი რომ არის, უშენოდაც ვიცი... მომეშვი, - თქვა ცოტა ხნის შემდეგ ქალმა, - ახლა მაგისი თავი არა მაქვს. ხასიათზე არა ვარ.

ვიზენჰოფმა რაღაც უპასუხა.

- შენთვის ადვილი სათქმელია, - უთხრა ქალმა. - ფული ჩემს კაცსა აქვს. მე ერთი სანტიმიც არ გამაჩნია. შენ კი...

რავიკი წამოდგა. ტელეფონს შეხედა, მაგრამ არ მივიდა. ათი საათი იქნებოდა. ჟოანი დილით წავიდა და აქამდე ერთხელაც არ დაურეკავს. თვითონ არ უკითხავს, მოხვალ თუ არა საღამოსო. მთელი დღე დარწმუნებული იყო, რომ მოვიდოდა. ახლა ეს რწმენა შეერყა.

- შენ ყველაფერი იოლი გგონია! ოღონდ სიამოვნება მიიღო, - თქვა ფრაუ გოლდბერგმა.

რავიკი მოროზოვთან გაეშურა. ოთახი დაკეტილი დახვდა. მაშინ „კატაკომბაში“ ჩავიდა.

- თუ დამირეკონ, დაბლა ვიქნები, - დაუბარა პორტიეს.

მოროზოვი ჭადრაკს ეთამაშებოდა რომელიღაც ქერა მამაკაცს. დარბაზის კუთხეებში ქალები ისხდნენ, ქარგავდნენ ან კითხულობდნენ. ყველას შეფიქრიანებული სახე ჰქონდა.

რავიკი მოროზოვს მიუჯდა. თამაშის მსვლელობას ადევნებდა თვალს. ქერა მამაკაცი ჩინებულად თამაშობდა - სწრაფად და თითქოს სრულიად დაუფიქრებლად. მოროზოვი აშკარად აგებდა.

- ტყავი გამაძვრეს, არა? - თქვა რავიკის გასაგონად.

რავიკმა არ უპასუხა. ქერამ შეხედა.

- ეს ბატონი ფინკენშტაინია, - უთხრა მოროზოვმა, - ახლახან ჩამოვიდა გერმანიიდან.

რავიკმა თავი დაუქნია.

- რა ამბებია ახლა იქ? - ჰკითხა მხოლოდ იმისათვის, რომ რაიმე ეკითხა.

ქერამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა. რავიკი არც არაფერს ელოდა ამის გარდა. პირველ წლებში, მართლაც, ყველა სეტყვასავით აყრიდა კითხვებს ახალჩამოსულებს. გერმანიიდან მოსულ ყოველ ცნობას ინტერესით ხვდებოდნენ, დღე-დღეზე ელოდნენ მესამე იმპერიის კრახს. ახლა ყველამ იცოდა, რომ მხოლოდ ომს შეუძლია რაიხის დამხობა და ყველა ოდნავ გაგებულმა, გონიერმა ადამიანმა იცოდა, რომ მთავრობა,

რომელიც უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტას სამხედრო მრეწველობის განვითარების გზით ცდილობს, ბოლოს და ბოლოს, შეეტაკება ალტერნატივას: ან ომი, ან შიდა კატასტროფა. მაშასადამე, ომი.

- შამათი, - არცთუ საზეიმო კილოთი განაცხადა ფინკენშტაინმა და წამოდგა. რავიკს გადახედა. - ხომ არ იცით უძილობის წამალი? რაც აქ ვარ, ვერაფრით ვიძინებ. ჩავიძინებ და მაშინვე მეღვიძება.

- სვით ბურგუნდიული, - უთხრა მოროზოვმა. - მეტი ბურგუნდიული ან ლუდი.

- საერთოდ, არ ვსვამ. ვცადე ქანცის გაწყვეტამდე ქუჩებში სიარული. არც ეს მშველის, მაინც არ მეძინება.

- ტაბლეტებს მოგცემთ, - უთხრა რავიკმა. - წამობრძანდით ზევით.

- დაბრუნდი, რავიკ, - მიაძახა მოროზოვმა. - არ მიმატოვო, ძმაო!

კუთხეებში მსხდომმა ქალებმა გაოცებით შეხედეს. შემდეგ ისევ მიჰყვეს ხელი ქარგვას და კითხვას, თანაც ისეთი გულმოდგინებით, თითქოს მათი სიცოცხლე ამაზე ყოფილიყო დამოკიდებული. რავიკი ფინკენშტაინთან ერთად მაღლა ავიდა, თავის ნომერში. კარი რომ გააღო, ერთბაშად ღამის სიგრილე იგრძნო. ფანჯარა ბოლომდე ღია იყო. ღრმად ამოისუნთქა, შუქი ჩართო და სწრაფად მიმოიხედა. ფინკენშტაინს ძილის წამალი მისცა.

- გმადლობთ, - ტუჩების ძლივს შესამჩნევი მოძრაობით უთხრა სტუმარმა და ლანდივით გაქრა.

რავიკი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ჟოანი არ მოვიდოდა. კაცმა რომ თქვას, ეს დილითვე იცოდა, მაგრამ არ უნდოდა დაეჯერებინა. უცბად შემობრუნდა, თითქოს ზურგს უკან ვიღაცის ხმა გაიგონა, და იმავე წამს ყველაფერი სრულიად ნათელი გახდა. უბრალო ამბავია. ქალმა თავისას მიაღწია და ახლა რა ეჩქარება? ან რას უნდა ელოდეს მისგან? რომ მისი გულისათვის ყველაფერს მიატოვებს და დაბრუნდება? რა სისულელეა! რა თქმა უნდა, ვიღაც სხვა იპოვა. არა მარტო სხვა მამაკაცი, არამედ სხვა ცხოვრება, რაზედაც უარის თქმას არ აპირებს!

რავიკი ისევ ძირს ჩავიდა. ვერაფერს გახდა საკუთარ თავთან.

- ხომ არავინ დამირეკა? - ჰკითხა პორტიეს.

პორტიე ახალი მოსული იყო ღამის სამორიგეოდ და უარის ნიშნად თავი გააქნია. პირი ნივრიანი ძეხვით ჰქონდა გამოტენილი.

- დარეკვას ველოდები. თუ დამირეკონ, დაბლა ვიქნები.

,,კატაკომბაში'' დაბრუნდა, მოროზოვთან.

ჭადრაკის ერთი პარტია ითამაშეს. მოროზოვმა მოიგო და თვითკმაყოფილი იერით მიმოიხედა. დარბაზში ქალები აღარ იყვნენ - არ შეუმჩნევიათ, როდის წავიდნენ. მოროზოვმა ზარი დარეკა.

- კლარისა! გრაფინი ვარდისფერი, - დაუძახა ოფიციანტს. - ეს ფინკენშტაინი საკერავი მანქანასავით თამაშობს. პირდაპირ შეგძაგდება კიდეც! მათემატიკოსია... მძაგს სრულყოფილება! ადამიანის ბუნებას ეწინააღმდეგება, - რავიკს გადახედა. - ასეთ საღამოს აქ რას ატუზულხარ?

- დარეკვას ველოდები.

- გინდა, კიდევ ვინმე გაგზავნო საიქიოს, მეცნიერების ყველა წესის დაცვით?

- გუშინ მართლაც ამოვკვეთე ერთ ავადმყოფს კუჭი.

მოროზოვმა სასმისები შეავსო.

- კუჭი ამოჭერი, თვითონ კი ზიხარ აქ ჩემთან და ვარდისფერ ღვინოს შეექცევი მაშინ, როცა შენი მსხვერპლი ბოდავს და აქეთ-იქით აწყდება. არის ამაში რაღაც არაადამიანური. მუცელი მაინც აგტკივებოდა, სხვა თუ არაფერი.

- მართალი ხარ, ბორის, - მიუგო რავიკმა. - სწორედ ეს არის ცხოვრების მთელი საშინელება, რომ ვერ ვგრძნობთ ჩვენი საქციელის შედეგებს. მაგრამ რატომ გინდა, შენი რეფორმა მაინცდამაინც ექიმებისგან დაიწყო? უმჯობესია, პოლიტიკოსებისგან და გენერლებისგან დავიწყოთ. მაშინ მთელ დედამიწაზე მშვიდობა დამყარდებოდა.

მოროზოვი სკამის საზურგეს მიეყრდნო და რავიკს შეხედა.

- ექიმებს, საერთოდ, ყოველნაირად უნდა მოერიდოს ადამიანი, - უთხრა მან, - თორემ სრულიად დაგეკარგება მათი ნდობა. შენთან, მაგალითად, ხშირად დამილევია, მთვრალიც მინახავხარ. როგორ შემიძლია, ამის შემდეგ დავთანხმდე, რომ ოპერაცია შენ გამიკეთო? მართალია, ვიცი, დახელოვნებული ექიმი ხარ და სხვებზე უკეთ მუშაობ, ჩემთვის უცნობ დასტაქარზე უფრო ოსტატურად, მაგრამ მე მაინც იმ უცნობთან წავალ. ადამიანი უფრო უჯერებს იმას, ვისაც არ იცნობს: ეს ძვალსა და რბილში გამჯდარი რამეა, ჩემო ძველო მეგობარო! ექიმები საავადმყოფოებში უნდა ცხოვრობდნენ და უფრო იშვიათად ეჩვენონ ადამიანებს. ეს კარგად ესმოდათ თქვენს წინამორბედებს - მისნებსა და კუდიანებს. თუ დანის ქვეშ დაწოლა მომიხდა, უნდა მწამდეს, რომ სიცოცხლეს არაჩვეულებრივ ადამიანს ვანდობ.

- მე არც გაგიკეთებდი ოპერაციას, ბორის.

- რატომ?

- არც ერთი ექიმი არ გაუკეთებს ოპერაციას თავის ძმას.

- არც მე მოგანიჭებ ასეთ სიამოვნებას. ძილში მოვკვდები, გული გამისკდება. ამისათვის ყველაფერს ვაკეთებ, რაც ჩემზეა დამოკიდებული, - მოროზოვმა გამომწვევი მზერა ესროლა რავიკს და წამოდგა. - ახლა კი დროა, წავიდე, ღამის კლუბის კარი გავაღო მონმარტრზე - კულტურის ცენტრში. ნეტა, რისთვის ცხოვრობს ადამიანი?

- რომ იფიქროს ცხოვრების აზრზე. გაქვს კიდევ კითხვები?

- მაქვს. რატომ ხდება, რომ კაცი ჯერ ჭკუაში ჩავარდება და მერე კვდება?

- ბევრი ისე კვდება, ჭკუაში ჩავარდნას ვერ ახერხებს.

- სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ და ნუ გამიმეორებ ძველ ზღაპარს სულთა გადასახლებაზე.

- გიპასუხებ, მაგრამ ჯერ ნება მომეცი, გკითხო. ლომები ანტილოპებს ხოცავენ, ობობები - ბუზებს, მელიები - ქათმებს... მაგრამ რომელი მიწიერი არსება ომობს განუწყვეტლივ და კლავს თავის მსგავსსა და ნათესავს?

- ბავშვური კითხვაა. რა თქმა უნდა, ადამიანი, ეს სრულქმნილების გვირგვინი, რომელმაც მოიგონა სიტყვები: სიყვარული, სიკეთე, ქველმოქმედება...

- მართალია. რომელ ცოცხალ არსებას აქვს უნარი თვითმკვლელობისა და მოჰყავს კიდეც იგი სისრულეში?

- ისევ ადამიანს, რომელმაც მოიგონა მარადისობა, ღმერთი და აღდგომა.

- ჩინებულია, - თქვა რავიკმა. - ახლა შენ ხედავ, რომ წინააღმდეგობებისაგან ვართ მოქსოვილი. ნუთუ, კიდევ ვერ გაგიგია, რატომ ვიხოცებით?

მოროზოვმა გაოცებით გადახედა.

- როგორც ვატყობ, სოფისტი ყოფილხარ, - განუცხადა, - სულ ცდილობ პასუხს თავი აარიდო.

რავიკმა მოროზოვს გადახედა. ,,ჟოანი", გაიფიქრა ნაღვლიანად. ,,აი, ახლა რომ აქ შემოსულიყო, მინის ამ ჭუჭყიან კარში!"

- ყველა უბედურებას, ბორის, მაშინ მიეცა დასაბამი, როცა აზროვნების უნარი შევიძინეთ. ავხორცობისა და ღორმუცელობის ნეტარება რომ გვეკმარა, არაფერიც არ მოხდებოდა. ვიღაც ჩვენზე ცდებს ატარებს, მაგრამ საბოლოო შედეგი ჯერ არ ჩანს. ხმა უნდა გავიკმინდოთ. საცდელ ცხოველსაც უნდა ჰქონდეს პროფესიონალური სიამაყე.

- ამ თვალსაზრისზე დადგომა არ გაუჭირდება ყასაბს, მაგრამ გაუძნელდებათ ხარებს. იოლია სწავლულისათვის, მაგრამ არა - ზღვის ღორებისათვის, ექიმისათვის, მაგრამ არა - თეთრი თაგვებისათვის.

- მართალია... გაუმარჯოს საკმარისი საფუძვლის ლოგიკურ კანონს! შევსვათ სილამაზის სადღეგრძელო, ბორის, წამის, მარადიული მომხიბლაობის სადღეგრძელო. იცი, კიდევ რა ეძლევა ადამიანს, - და მხოლოდ მას? სიცილი და ტირილი.

- აგრეთვე თავდავიწყება. თავდავიწყება არყით, ღვინით, ფილოსოფიით, ქალებით, იმედითა და სასოწარკვეთილებით. მაგრამ იცი, რა არის ცნობილი ადამიანისათვის, - და მხოლოდ მისთვის? რომ მოკვდება. შხამსაწინააღმდეგო საშუალებად ფანტაზია ეძლევა. ქვა რეალურია. მცენარე რეალურია. ცხოველიც რეალურია. ისინი გონივრულად არიან მოწყობილნი. არც ერთმა არ იცის, რომ მოკვდება. ადამიანმა კი იცის. შეინავარდე, სულო! იფრინე! გულს ნუ გაიტეხ, ლეგალიზებულო მკვლელო! განა, კაცობრიობის დიდების ჰიმნი არ ვიმღერეთ უკვე? - მოროზოვმა ისეთი ძალით შეარხია რუხი პალმა, რომ მტვერი დასცვივდა. - მშვიდობით, პალმავ, სამხრეთისა და

იმედის ამაღელვებელო სიმბოლოვ, ფრანგული ოტელის დიასახლისის საყვარელო ხეო! მშვიდობით, უმამულო ადამიანო, უფესვო ხვიარა მცენარევ, ბაცაცავ, სიკვდილი რომ მოგიპარავს! იამაყე იმით, რომ რომანტიკოსი ხარ!

მოროზოვმა ჩაიცინა. მაგრამ რავიკს არ ეცინებოდა. იჯდა და თვალს არ აცილებდა კარს. აი, გაიღო, პორტიე შემოვიდა, მაგიდასთან მივიდა. ტელეფონიო, გაიფიქრა რავიკმა. ძლივს! არ დგებოდა. ელოდა, გრძნობდა, როგორ ეძაბებოდა ხელის ძარღვები.

- ინებეთ თქვენი სიგარეტები, მუსიე მოროზოვ, - უთხრა პორტიემ. - ეს-ესაა ბიჭმა მოიტანა.

- მადლობელი ვარ, - მოროზოვმა რუსული პაპიროსებით სავსე კოლოფი ჯიბეში ჩაიდო. - მშვიდობით, რავიკ. დღეს კიდევ შევხვდებით ერთმანეთს?

- შეიძლება. მშვიდობით, ბორის.

კუჭამოკვეთილი კაცი თვალმოუშორებლივ შესცქეროდა რავიკს. გული ერეოდა, ძლიერ იტანჯებოდა, მაგრამ არ აღებინებდა, კუჭი აღარ ჰქონდა. ასევე იგრძნობა მოკვეთილი ფეხის ტერფის ტკივილი. ნაოპერაციები კაცი ერთთავად კვნესოდა და ბორგავდა. რავიკმა ნემსი გაუკეთა. სასიკეთო პირი არ უჩანდა. სრულიად გაცვეთილი გულისა და ცალ ფილტვში მრავლად ჩაკირული კერის პატრონი რას გაუძლებდა! ოცდათხუთმეტი წელი იცხოვრა ამქვეყნად და სულ ერთთავად წვალობდა, თითქმის მუდმივად ავადმყოფობდა. კუჭის ქრონიკული წყლული ჰქონდა, ძლივს მორჩენილი ჭლექი და ახლა კიდევ ეს კიბო დაემატა. ავადმყოფობის ისტორიიდან იცოდა, რომ ქორწინებაში ოთხი წელი ყოფილა. ქალი მშობიარობას გადაჰყოლია. ბავშვიც სამი წლის შემდეგ ჭლექისაგან დაღუპულა. იწვა ასე უთვისტომო და უნათესავო, შესცქეროდა რავიკს და არ უნდოდა სიკვდილი, აღსავსე იყო მოთმინებითა და ვაჟკაცური შემართებით. არ იცოდა, რომ ამიერიდან საჭმელს მხოლოდ რეზინის მილით მიიღებდა, რომ ვეღარასოდეს დატკბებოდა სიცოცხლის იმ მცირეოდენი სიამით, რის ნებასაც ასე იშვიათად აძლევდა თავს. ადამიანი უკუჭოდ იწვა ლოგინში, ერთიანად დაჭრილ-დასერილი და თითქმის უკვე ცოცხლად გახრწნილი, თვალებში კი ისევ უციმციმებდა რაღაც, სულად წოდებული. იამაყე იმით, რომ რომანტიკოსი ხარ! დიდების ჰიმნი უმღერე კაცობრიობას...

რავიკმა სიცხის მაჩვენებელი ცხრილი თავის ადგილზე დაკიდა. მოწყალების და ფეხზე წამოდგა. იქვე, მის გვერდით, სკამზე ნახევრად მოქსოვილი სვიტერი იდო. ნაქსოვიდან ჩხირებს თავები წამოეყო. იატაკზე შალის ძაფის გორგალი ეგდო. სკამიდან წითელი ძაფი ეკიდა. გეგონებოდათ, სვიტერიდან სისხლი ჩამოდისო.

- აი, წევს ჩემ წინ და, მიუხედავად იმისა, რომ ტკივილგამაყუჩებელი ნემსი გავუკეთე, მაინც საშინელი ღამე მოელის, - გაიფიქრა რავიკმა. - სრული უძრაობა, სულის ხუთვა, კოშმარული სიზმრები და დაუსრულებელი ტკივილები. მე კი ქალს ველოდები და მეჩვენება, რომ თუ ის ქალი არ მოვა, არც მე მექნება კარგი ღამე. რა თქმა უნდა, მესმის, რამდენად უმნიშვნელოა ჩემი ტკივილები ამ მომაკვდავის ტანჯვასთან, მეზობელ ოთახში მწოლიარე, ხელდამსხვრეული გასტონ პერიეს ტკივილთან, ათასობით სხვათა ტანჯვასთან და, აგრეთვე, თუნდაც იმასთან შედარებით, ამაღამ რომ მოხდება დედამიწაზე. მაგრამ ეს აზრი ოდნავადაც არ მიქარვებს ნაღველს, არ მანუგეშებს, არ

მშველის და არაფერს ცვლის, ყველაფერი უწინდებურად რჩება. როგორ თქვა მოროზოვმა? ,,მუცელი მაინც აგტკივებოდა, სხვა თუ არაფერიო...'' თავისებურად მართალია.

- დამირეკეთ, თუ რამე მოხდეს, - უთხრა რავიკმა მოწყალების დას. ეს სწორედ ის და იყო, კეტ ჰეგსტრემმა რომ რადიოლა აჩუქა.

- უკვე შეურიგდა თავის ბედს, - შენიშნა ქალიშვილმა.

- როგორ თქვით? - ჰკითხა გაოცებულმა რავიკმა.

- შეურიგდა-მეთქი. სამაგალითო ავადმყოფია.

რავიკმა პალატა შეათვალიერა. აქ ისეთი არაფერია, მოწყალების დამ რომ საჩუქრად მიიღოს. შეურიგდაო... რა არ მოუვა აზრად საავადმყოფოს მოწყალების დას! საცოდავი, სასოწარკვეთილებით შეჰბმია სიკვდილს, ბრძოლაში ჩაუბამს სისხლის ბურთულებისა და ნერვული უჯრედების მთელი არმია... სულაც არ შერიგებია თავის ბედსა და წერას.

რავიკმა ოტელს მიაშურა. ზედ კართან გოლდბერგს შეეჩეხა. ჭაღარაწვერიან მოხუცს ჟილეტზე ოქროს მძიმე ძეწკვი ეკიდა.

- საუცხოო საღამოა, ხომ მართალია? - ჰკითხა გოლდბერგმა.

- ჰო. - უეცრად ვიზენჰოფისა და მისი ცოლის საუბარი მოაგონდა. - გასეირნება გნებავთ?

- უკვე ვისეირნე. თანხმობის მოედნამდე მივედი და უკან ვბრუნდები.

თანხმობის მოედნამდე. იქ იყო ამერიკის საელჩო. თეთრი შენობა ვარსკვლავებიანი დროშის ქვეშ, წყნარი და დაცარიელებული, ნოეს კიდობანი, სადაც ვიზის მიცემა შეუძლიათ. აუხდენელი ოცნება... იდგა გოლდბერგი ოტელ ,,კრიიონთან'', ტროტუარზე, და მოჯადოებულივით შესცქეროდა საელჩოს შესასვლელს, მის ბნელ ფანჯრებს, შესცქეროდა ისე, თითქოს მის წინ რემბრანდტის შედევრი იყო ან კიდევ საარაკო ბრილიანტი ,,კოჰინჰორი''[8].

- მაგრამ, იქნებ, მაინც გაგვესეირნა? ტრიუმფალურ თაღამდე? - ჰკითხა რავიკმა და გაიფიქრა: ,,თუ იმ ორს ვიხსნი, ჟოანი ოთახში დამხვდება ან მოგვიანებით მოვა''.

გოლდბერგმა თავი გააქნია.

- არა, წავალ შინ. ცოლი მელოდება. ისედაც დიდხანს ვისეირნე.

რავიკმა საათს დახედა. პირველის ნახევარი იყო. დასახსნელი აღარავინ იყო. რუთი უკვე დიდი ხნის დაბრუნებული იქნებოდა თავის ოთახში. გოლდბერგს თვალი გააყოლა. მოხუცი ნელა ადიოდა კიბეზე. შემდეგ რავიკი პორტიესთან მივიდა.

- ხომ არავინ დამირეკა?

- არავინ.

ნომერში შუქი ენთო. მოაგონდა, წასვლის წინ არ ჩაუქრია. მაგიდაზე თოვლის ფანტელივით თეთრად ელავდა ბარათი, რომლითაც ჟოანს აფრთხილებდა, ნახევარ საათში დავბრუნდებიო. ბარათი აიღო და დახია. დალევა მოუნდა. ვერაფერი ნახა და ისევ ჩავიდა დაბლა. პორტიეს კალვადოსი აღარ ჰქონდა. მხოლოდ კონიაკი და ღვინო იყო. ბოთლი ,,ენესი" და ბოთლი ,,ვუვრე" იყიდა, პორტიეს გამოელაპარაკა, ცოტა ხანს შერჩა. მომავალ დოღშიო, უმტკიცებდა სასტუმროს მსახური, გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი ფაშატ ლულუ მეორეს აქვსო. კოჭლობით გაიარა ესპანელმა ალვარესმა. რავიკმაც თავის ნომერს მიაშურა, თან გაზეთი წაიღო. რა ნელა გადისო დრო, ფიქრობდა. თუ გიყვარს და თან სასწაულის არ გწამს, დაღუპული კაცი ხარო, - ასე უთხრა, მგონი 1933 წელს, ბერლინელმა დამცველმა არენსენმა. სამი კვირის შემდეგ კი უკვე საკონცენტრაციო ბანაკში იჯდა - საყვარელმა დაასმინა. რავიკმა ,,ვუვრეს" ბოთლი გახსნა და მაგიდიდან პლატონის პატარა ტომი აიღო. რამდენიმე წუთის შემდეგ წიგნი გადადო და ფანჯარასთან დაჯდა.

თვალს არ აცილებდა ტელეფონს. წყეული შავი აპარატი. ჟოანს ვერ დაურეკავს - ქალის ახალი ნომერი არ იცის. მისამართიც არ იცოდა. ქალს არ უთქვამს, ვაჟს არ უკითხავს. ჩანს, ჟოანმა განზრახ დუმილი არჩია: შემდეგ ყველაფერს ისევ რავიკს გადააბრალებს, რატომ არ მკითხეო!

ერთი ჭიქა ღვინო დალია. რა სისულელეაო, გაიფიქრა, ველი ქალს, რომელსაც დილით დავშორდი. სამ-ნახევარი თვე ერთმანეთი არ გვინახავს და, არც ერთხელ, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ისე არ მომნატრებია, როგორც ახლა, როცა სულ ერთი დღის დაშორებული ვარ. ყველაფერს აჯობებდა, საერთოდ აღარ შევხვედროდი. როგორღაც, უკვე, შევეჩვიე ამ აზრს. ახლა კი...

ადგა. არა, ყოველივე ეს სულ სხვა რამ არის. გაურკვეველი მდგომარეობა - აი, რა უკარგავს მოსვენებას. აგრეთვე, რაღაც გაუბედაობა, რწმენის ნაკლებობა, სულ უფრო მეტი ძალით რომ მოიცავს მის არსებას...

კართან მივიდა. იცოდა, კარი დაკეტილი არ იყო, მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, სახელური მაინც მოსინჯა. შემდეგ გაზეთი გაშალა. თვალწინ სტრიქონები ირეოდა. ინციდენტები პოლონეთში. შეტაკებები საზღვარზე. დანციგის დერეფნის დაჩემება. ინგლისისა და საფრანგეთის კავშირი პოლონეთთან. მოახლოებული ომი. გაზეთი იატაკზე დაცურდა. სინათლე ჩააქრო, ,,ენესის" სავსე ბოთლი მაგიდაზე იდგა. რავიკი ადგა, ფანჯარასთან მივიდა. ცივი ღამე იყო. მაღლა, ცაზე ვარსკვლავები მიმოფანტულიყო. ეზოში კატები ჩხაოდნენ. მოპირდაპირე აივანზე საცვლისამარა მამაკაცი გამოჩნდა, თავი მოიქექა, ხმამაღლა გაიზმორა და განათებულ ოთახში შებრუნდა. რავიკმა ლოგინს შეხედა. იცოდა, არ დაეძინებოდა. არც კითხვას ჰქონდა აზრი - ერთი სიტყვაც არ ახსოვდა იქიდან, ერთი საათის წინ რომ წაიკითხა. ყველაფერს სჯობს სადმე წასვლა, მაგრამ საით? ეს ხომ არაფერს შეცვლის. არც უნდოდა წასვლა. კონიაკიანი ბოთლი ხელში აიღო, ერთხანს ეჭირა და ისევ დადგა. შემდეგ ჩანთაში დასაძინებელი წამლის ორი ტაბლეტი იპოვა - ასეთივე ტაბლეტები მისცა ქერა ფინკენშტაინს. ახლა, ალბათ, სძინავს. რავიკმა გადაყლაპა. საეჭვოა, რომ დაეძინოს. მერე ერთიც აიღო. თუ ჟოანი მოვა, რა თქმა უნდა, გაეღვიძება.

ჟოანი არ მოსულა არც ამ, არც მომდევნო ღამეს.

## თავი ოცდამეერთე

იმ პალატის კარში, სადაც უკუჭო კაცი იწვა, ეჟენიმ შემოყო თავი.

- ტელეფონთან გთხოვენ, ბატონო რავიკ.

- ვინ რეკავს?

- არ ვიცი. არ მიკითხავს. ტელეფონისტმა ქალმა მითხრა.

რავიკმა ერთბაშად ვერ იცნო ჟოანის ხმა. ძალიან შორიდან და ყრუდ ისმოდა.

- ჟოან, - უთხრა, - სად ხარ?

გეგონებოდა, სხვა ქალაქიდან ელაპარაკებოდა. რავიკს არ გაუკვირდებოდა, თუ რივიერის რომელიმე კურორტს დაუსახელებდა. ჟოანი პირველად ურეკავდა კლინიკაში.

- შინ, - გაისმა ქალის პასუხი.

- აქ, პარიზში?

- რა თქმა უნდა. მაშ, სად ვიქნები?

- ავად ხარ?

- არა, საიდან მოიგონე?

- შენ ხომ კლინიკაში რეკავ.

- ოტელში გირეკავდი და არ იყავი. მეც ავდექი და კლინიკაში დავრეკე.

- ხომ არაფერი მომხდარა?

- არაფერი. რა უნდა მომხდარიყო? უბრალოდ, მაინტერესებს, როგორ ხარ.

ახლა ქალის ხმა უფრო მკაფიოდ ჟღერდა. რავიკმა სიგარეტი და ასანთის კოლოფი აიღო, კოლოფი იდაყვით მაგიდას მიაბჯინა, ღერი ჩამოჰკრა და აანთო.

- კლინიკაში კაცი ყოველთვის უბედურ შემთხვევებსა და ავადმყოფობაზე ფიქრობს, ჟოან.

- ავად არა ვარ, ლოგინში ვწევარ, მაგრამ ავად არა ვარ.

- მესმის.

რავიკი ასანთის კოლოფს თეთრ მუშამბას აყოლებდა მაგიდაზე და უცდიდა, რა იქნებოდა შემდეგ.

ჟოანიც იცდიდა. რავიკს ყურმილში ესმოდა ქალის სუნთქვა. ეტყობოდა, უნდოდა, რომ ლაპარაკი კაცს დაეწყო; ეს უპირატესობას მისცემდა.

- ჟოან! - უთხრა ბოლოს რავიკმა. - ტელეფონთან დიდხანს გაჩერება არ შემიძლია. ავადმყოფი შესახვევია და სწრაფად უნდა დავბრუნდე.

ქალი ერთხანს კიდევ დუმდა.

- რატომ არ მაგებინებ შენს ამბავს? - ჰკითხა ბოლოს.

- იმიტომ, რომ არც ტელეფონი მაქვს შენი, არც მისამართი.

- მაგრამ მე ხომ ტელეფონიც გითხარი და მისამართიც?

- ცდები, ჟოან.

- არა, - მიუგო ქალმა, უფრო გათამამდა. - ნათქვამი მაქვს. კარგად მახსოვს. უბრალოდ, დაგავიწყდა.

- მასე იყოს, დამავიწყდა. კიდევ მითხარი, ჩავიწერ.

ქალმა მისამართი და ტელეფონის ნომერი უთხრა.

- დარწმუნებული ვარ, ერთიც გითხარი და მეორეც. დარწმუნებული ვარ.

- კარგი, ჟოან. უნდა წავიდე. დღეს ერთად ვივახშმებთ?

ჟოანმა უცებ არ უპასუხა.

- რატომ არ უნდა შემოიარო ჩემთან? - გაისმა მისი ხმა.

- კარგი. შემიძლია, მოვიდე კიდეც დღეს, საღამოს. რვაზე?

- ახლა?

- ახლა არ მცალია.

- როდის გათავისუფლდები?

- ასე, ერთ საათში.

- ჰოდა, მოდი.

ასე, - გაიფიქრა რავიკმა, - საღამოს არ გცალია!

- საღამოს რატომ არ შეგიძლია შეხვედრა? - ჰკითხა ქალს.

- რავიკ, ზოგჯერ სულ უბრალო რამეები არ გესმის. მინდა, ახლავე მოხვიდე. არ მსურს, საღამომდე ვიცადო. აბა, ისე რისთვის დაგირეკავდი კლინიკაში?

- კარგი. დავამთავრებ საქმეს და მოვალ.

ფიქრში წასულმა მისამართიანი ქაღალდი დაკეცა და პალატაში დაბრუნდა.

*

ჟოანი პასკალის ქუჩის კუთხეში ცხოვრობდა, ზედა სართულზე.

- შემოდი, - უთხრა, როგორც კი კარი გაუღო. - რა კარგია, რომ მოხვედი! შემოდი.

უბრალო შავი ხალათი ეცვა, მამაკაცური. რავიკს მოსწონდა, რომ ჟოანი არასოდეს იცვამდა აბრეშუმისა და ტიულის მდიდრულ სამოსელს, ადამიანს თვალში რომ ეცემა. ჩვეულებრივზე ფერმკრთალი და ცოტა აღელვებული იყო.

- შემოდი-მეთქი! - გაიმეორა. - გელოდი. ხომ უნდა ნახო, როგორ ვცხოვრობ.

ჟოანი წინ გაუძღვა. რავიკმა გაიღიმა: ეშმაკობაში ეშმაკს არ დაუდებს ტოლს. წინასწარ უნდა ყველა კითხვას აარიდოს თავი. ამ ფიქრით შესცქეროდა ქალის ლამაზ მხრებს, კაშკაშა შუქზე მოელვარე თმას. უეცრად სუნთქვა შეეკრა: ერთი წამით მოეჩვენა, რომ ეს ქალი გაგიჟებით უყვარს.

მზით გასხივოსნებულ დიდ ოთახში შევიდნენ, მხატვრის სტუდიას რომ ჰგავდა. მაღალი, ფართო ფანჯრიდან რაფაელის ავენიუსა და პრუდონის ავენიუს შორის გაშლილი პარკი ჩანდა. მარჯვნივ თვალს იტაცებდა პორტ დე ლა მუეტი, იქით კი ოქროსფერ კვამლში იკარგებოდა ბულონის ტყის სიმწვანე.

ოთახი მოდერნის სტილზე იყო გაწყობილი - ბაცი ცისფერი ხავერდის დიდი ტახტი, რამდენიმე სავარძელი, უფრო სანახავი, ვიდრე სახმარად მოხერხებული, ძალზე დაბალი, პატარა მაგიდები, ფიკუსი, ამერიკული რადიოლა. კუთხეში ჟოანის ჩემოდანი იდგა. მთლიანად ოთახი საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ რავიკს არ მოეწონა. ორიდან ერთი იყო მისთვის მისაღები! უზადო გემოვნება ან სრული უგემოვნობა. შუალედი სძაგდა. ფიკუსები კი საერთოდ ჭირივით ეჯავრებოდა.

შენიშნა, ჟოანი ყურადღებით აკვირდებოდა. ქალს ეყო სითამამე, რომ მოეწვია, მაგრამ არ იცოდა, როგორ შეხედავდა რავიკი ყოველივე ამას.

- კარგი ბინა გქონია, - უთხრა, - ფართო და მყუდრო.

რადიოლა გააღო. ეს იყო ჩინებული აპარატი, ფირფიტები ავტომატურად იცვლებოდა. იქვე, პატარა მაგიდაზე, დაყრილი ფირფიტების მთელი გროვიდან ჟოანმა რამდენიმე აიღო და დისკოზე დადო.

- იცი, როგორ მუშაობს?

- არა, - უთხრა, თუმცა მშვენივრად იცოდა.

ქალმა რადიოლა ჩართო.

- ძვირფასი რამეა. არ გინდა ადგომა და ფირფიტების გამოცვლაზე გარჯა. იწექი, ისმინე და იოცნებე მწუხრის ჟამს...

რადიოლა, მართლაც, ჩინებულად მუშაობდა. რავიკმა იცოდა, რომ ეს ნივთი, სულ ცოტა, ოცი ათასი ფრანკი მაინც ღირდა. ოთახი აივსო რბილი, მოლივლივე მუსიკით - სენტიმენტალური პარიზული მელოდებით. ,,მე შენ გელი...“

ჟოანი იდგა, წინ გადახრილიყო და უსმენდა.

- მოგწონს? - ჰკითხა რავიკს.

რავიკმა თავი დაუქნია. რადიოლას კი არა, ჟოანს უცქერდა, მის აღტაცებულ სახეს, თითქოს მუსიკაში გადამდნარს. რა იოლად იცის გატაცება! როგორ უყვარდა ქალის ეს სიმსუბუქე, რისი უნარიც თვითონ არ გააჩნდა. დასრულდა... დასრულდაო, გაიფიქრა და ამ აზრმა ტკივილი არ მიაყენა. ვითომ მზიურ იტალიას ტოვებ და პირქუშ ჩრდილოეთში ბრუნდები.

ჟოანი გასწორდა, გაიღიმა.

- წავიდეთ... ჯერ საძინებელი ოთახი არ გინახავს.

- აუცილებლად უნდა ვნახო?

ქალმა გამომცდელი მზერა მიაპყრო.

- არ გინდა ნახო? რატომ?

- მართლაც, რატომ? - თქვა რავიკმა. - რა თქმა უნდა, ვნახავ.

ქალმა სახეზე ხელი გადაუსვა და აკოცა. კაცმა იცოდა, რისთვისაც გააკეთა ეს.

- წავიდეთ, - უთხრა ქალმა და ხელი მოჰკიდა.

საძინებელი ოთახი წმინდა ფრანგულ ყაიდაზე იყო მოწყობილი. ლუდოვიკო მეთექვსმეტის სტილის დიდი საწოლი - ძველის აშკარა ნაყალბევი; ასეთივე ტუალეტის მაგიდა, თავისი მოხაზულობით ადამიანის თირკმელს რომ მოგაგონებდათ. შემდეგ - ბაროკოს სტილის სარკე; თანამედროვე ობუსონის ხალიჩა; სკამები და სავარძლები, თითქოს სტანდარტული ჰოლივუდის ფილმიდან აღებული... იქვე იდგა ძალიან ლამაზად მოხატული ფლორენციული სკივრი, მეთექვსმეტე საუკუნის ოსტატის ნახელავი. იგი სულაც არ ეხამებოდა ყველა დანარჩენ ნივთს. გამდიდრებულ მეშჩანთა შორის მოხვედრილ წმინდა სისხლის უფლისწულს მოგაგონებდათ. სკივრი კუთხეში იყო მიწეული, მის მოხატულ სახურავზე კი ქალის იებიანი ქუდი და წყვილი ვერცხლისფერი ფეხსაცმელი ეწყო.

ლოგინი არ იყო ალაგებული. თითქოს ჯერაც ინახავდა ჟოანის სხეულის სითბოს. ტუალეტის მაგიდაზე სუნამოს ფლაკონები ეწყო. კედლის ერთი კარადა ღია იყო. შიგ ტანსაცმელი ეკიდა. ჟოანის გარდერობი საგრძნობლად შევსებულიყო. ჟოანს რავიკისათვის ხელი არ გაუშვია. მიეხუტა.

- მოგწონს აქაურობა?

- მომწონს. ყველაფერი ეს ძლიერ შეგფერის.

ქალმა თავი დაუქნია. რავიკი აღარაფერზე ფიქრობდა, ისე მიიზიდა ქალი. ჟოანს წინააღმდეგობა არ გაუწევია. ასე იდგნენ, ერთმანეთზე მიკრულ-მიტმასნილნი. ჟოანს მშვიდი სახე ჰქონდა, მღელვარების ოდნავი კვალიც აღარ ეტყობოდა, მოსვლისას რომ შენიშნა; სახე თვითდაჯერებული და ნათელი, იდუმალი კმაყოფილებითა და ოდნავ შესამჩნევი საზეიმო იერით უციმციმებდა.

საოცარია, გაიფიქრა რავიკმა. რამდენად მშვენიერი შეიძლება დარჩეს ქალი თვით სიმდაბლეში. დანსინგის[9] დაქირავებული მეორეხარისხოვანი მოცეკვავის როლის წართმევა არ მაკმარა, გულუბრყვილო უსირცხვილობის ნიღაბს ამოფარებული

მიჩვენებს საყვარლის ხარჯზე მოწყობილ ბინას და თანაც ისე გამოიყურება, როგორც სამოთრაკიელი ნიკე[10].

- სამწუხაროა, რომ შენ ასეთი ბინა არ გაქვს, - უთხრა რავიკს. - აქ თავს სულ სხვანაირად იგრძნობ. ოტელის უბადრუკ ნომრებს კი არ ჰგავს.

- მართალი ხარ, ჟოან... სიამოვნებით დავათვალიერე აქაურობა. ახლა კი წავალ...

- მიდიხარ? მოსვლა ვერ მოასწარი და უკვე მიდიხარ?

რავიკმა ხელი მოჰკიდა.

- ჰო, მივდივარ. სამუდამოდ. შენ სხვასთან ცხოვრობ, მე კი არ ვუზიარებ სხვას იმ ქალს, რომელიც მიყვარს.

ჟოანი მეხნაკრავივით ჩამოსცილდა.

- რა? რა თქვი? მე... ეს ვინ გითხრა?.. რა საძაგლობაა! - ქალი თვალებით ბურღავდა. - თუმცა, ძნელი არ არის გამოცნობა! რა თქმა უნდა, მოროზოვმა, იმ...

- რა შუაშია აქ მოროზოვი! რა საჭირო იყო თქმა? ყველაფერი, რაც აქ ვნახე, თავისთავად მეტყველებს ამაზე.

ქალმა ფერი დაკარგა, სახე ბრაზისაგან მოეღრიცა. უკვე დარწმუნებული იყო, რომ თავისას მიაღწია და არ ელოდა საქმის ასე შეტრიალებას.

- გასაგებია! რაკი ასეთ ბინაში ვცხოვრობ და ,,შეჰერეზადაში'' აღარ ვმსახურობ, მაშასადამე, ხასა ვარ! დიახაც, მაშ, როგორ?

- მე არ მითქვამს, ხასა ხარ-მეთქი.

- არ გითქვამს, მაგრამ მაგრძნობინე! ახლა ყველაფერი ნათელია! პირველად ,,შეჰერეზადაში'' მომაწყვე - იმ საძაგელ სოროში, შემდეგ მიმატოვე და, თუ ვინმეს დახმარება ვთხოვე, თუ ვინმემ ჩემთვის იზრუნა, მაშ, უსათუოდ ხასა გავმხდარვარ! ან რა მოუვა თავში ღამის შვეიცარს, ბინძური აზრების გარდა? იმ უბადრუკმა ტუტუცმა, იმ უზრდელმა რა იცის, რომ ქალიც თავისთავად რამეს წარმოადგენს, რომ მასაც შეუძლია მუშაობა და რაიმეს შექმნა! და შენ - სწორედ შენ - მსაყვედურობ ამას! როგორ არ გრცხვენია!

რავიკმა მოულოდნელად შემოაბრუნა, იდაყვებზე ხელი სტაცა და ლოგინზე დააგდო.

- აი! - უთხრა. - და კმარა სისულელის როშვა!

ქალს თავზარი დაეცა. ისე იყო გაოგნებული, არც კი წამომდგარა.

- იქნებ, მცემო კიდეც? - უთხრა, გონს რომ მოეგო.

- არა. მხოლოდ აღარ მინდა მთელი ამ სისულელის მოსმენა.

ქალი უძრავად იწვა. ფერწასული სახე, სისხლისაგან დაცლილი ბაგეები, უსიცოცხლო, შუშის თვალები, გაღეღილი მკერდი. ლოგინიდან გადმოკიდებული გაშიშვლებული ფეხი...

- მე გირეკავ, - უთხრა რავიკს, - ცუდს არაფერს ვფიქრობ, მიხარია, მინდა შენთან ვიყო... და უეცრად, ინებეთ!.. რა საძაგლობაა! საძაგლობა! - გაიმეორა ზიზღით. - მე სხვანაირი მეგონე.

რავიკი საძინებელი ოთახის კარში იდგა. ხედავდა პრეტენციოზულად მორთულ ოთახს, ლოგინზე დაგდებულ ჟოანს და გრძნობდა, რომ მთელი ეს მორთულობა ზედგამოჭრილი იყო ამ ქალისათვის. ბრაზი მოსდიოდა თავის თავზე, რომ ასეთი საუბარი ჩამოაგდო. უნდა წასულიყო ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე და ამით მოთავდებოდა ყველაფერი. მაგრამ მაშინ ქალი მივიდოდა მასთან და იგივე მოხდებოდა.

- დიახ, სხვანაირი მეგონე, - გაიმეორა ქალმა. - შენგან ამას არ ველოდი!

რავიკმა არაფერი უპასუხა. ყველაფერი ეს მეტისმეტად იაფფასიანი და აუტანელი ეჩვენა. უეცრად თვითონვე გაუკვირდა: როგორ შეეძლო, სამი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ჩაეგონებინა თავისთვის, რომ სამუდამოდ დაკარგავდა ძილსა და სიმშვიდეს, თუ ეს ქალი არ დაბრუნდებოდა? ახლა კი... რა ესაქმება ამ ქალთან? სიგარეტი აიღო და მოსწია. ბაგე გაუშრა, გაუხურდა. გვერდითა ოთახიდან მუსიკის ხმა ისმოდა: „მე შენ გელი...“ რავიკი ოთახიდან გავიდა და რადიოლა გამორთო.

როცა შემობრუნდა, ჟოანი უწინდებურად ლოგინში იწვა, თითქოს არც განძრეულაო, მაგრამ ხალათი უფრო ფართოდ ჰქონდა გადაღეღილი.

- ჟოან, - უთხრა, - რაც ნაკლებს ვილაპარაკებთ ამაზე, მით უკეთესი იქნება...

- მე არ დამიწყია ეს ლაპარაკი...

ახლა სიამოვნებით ესროდა სუნამოს შუშას.

- ვიცი, - მხოლოდ ეს უპასუხა. - სიტყვა მე ჩამოვაგდე და მევე დავასრულებ.

მიბრუნდა და გასასვლელისაკენ გაემართა, მაგრამ კართან მისვლა ვერ მოასწრო, რომ ჟოანი წინ გადაუდგა, კარი ხმაურით დახურა, ორივე ხელი გაშალა და გზა გადაუღობა.

- აი, თურმე რა! - შესძახა. - დაასრულებ და მიდიხარ, არა? რა უბრალოდ ხდება ყველაფერი! მაგრამ მე მინდა ზოგი რამ გითხრა! ხომ თვითონვე მნახე „კლოშ დ’ ორში“, ნახე, რომ მარტო არ ვიყავი, მაგრამ იმ ღამეს, შენთან რომ მოვედი, ეს არაფრად ჩათვალე და ჩემთან დაწექი... დილითაც ყველაფერი სულერთი იყო, ისევ გიყვარდი, მიყვარდი და ისე კარგი იყავი, არაფერს მეკითხებოდი. ამიტომაც მიყვარდი ისე ძლიერ, როგორც არასდროს. ვიცოდი: ასეთი უნდა ყოფილიყავი, მხოლოდ ასეთი, და გკოცნიდი მძინარეს. ბედნიერი ვიყავი. შინ წავედი და გაღმერთებდი... ახლა კი? ახლა მოხვედი და მსაყვედურობ იმას, რაზედაც იმ ღამეს თვალი დახუჭე! ახლა მოიგონე ყველაფერი, მსაყვედურობ, შეურაცხყოფილ უმანკოებად მოგაქვს თავი და ისეთ სცენას მიწყობ, ეჭვიან ქმარს რომ შეეფერება! მართლა, რა გინდა ჩემგან? რა უფლება გაქვს ჩემზე?

- არავითარი, - მიუგო რავიკმა.

- კარგია, თუ ამას მაინც გრძნობ. რისთვის მომახალე ყველაფერი ეს სახეში? რატომ ასევე არ მოიქეცი იმ ღამეს, შენთან რომ მოვედი? მაშინ, რა თქმა უნდა...

- ჟოან, - შეაწყვეტინა რავიკმა.

ქალი გაჩუმდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა და რავიკს თვალს არ აშორებდა.

- ჟოან, - მიმართა ისევ რავიკმა, - იმ ღამეს მომეჩვენა, რომ დამიბრუნდი. წარსული აღარ მაინტერესებდა. შენ დამიბრუნდი და ეს კმაროდა... მაგრამ შევცდი, არ დაბრუნებულხარ...

- არ დავბრუნებულვარ? მაშ, ვინ მოვიდა შენთან, მოჩვენება?

- მოხვედი. მოხვედი, მაგრამ არ დაბრუნდი.

- ჩემთვის ეს მეტად რთულია. ვერ გამიგია, რა განსხვავებაა. მინდა ვიცოდე.

- ძალიან კარგად იცი, მე კი მაშინ არაფერი ვიცოდი. ახლა ყველაფერი ნათელია. შენ სხვასთან ცხოვრობ.

- სხვასთან ვცხოვრობ. ისევ შენსას ამბობ! რაკი მეგობრები მყავს, მაშ, სხვასთან ვცხოვრობ! რას ბრძანებ, რატომ უნდა ვიჯდე მთელი დღეები კარჩაკეტილი, არავინ ვნახო, არავის დაველაპარაკო - მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემზე არ თქვან, სხვასთან ცხოვრობსო?

- ჟოან, - უთხრა რავიკმა, - სასაცილო ხარ.

- სასაცილო? ვინ არის სასაცილო?

- ასე იყოს... ჩანს, ძალით მომიხდება შენი წათრევა ამ კარიდან.

ქალი ადგილიდან არ დაძრულა.

- თუნდაც ვინმესთან ვიყო ახლოს, შენ რა გესაქმება? თვითონვე არ თქვი, არაფრის ცოდნა არ მსურსო?

- მართალია. ნამდვილად არაფრის ცოდნა არ მინდოდა. მეგონა, იქ ყველაფერი დაასრულე. რაც იყო, იყო. მაგრამ შევცდი, თუმცა არსებითად ყველაფერი ნათელი იყო... იქნებ, უბრალოდ თავის მოტყუება მინდოდა. რას იზამ, სისუსტეა... მაგრამ ეს არაფერს ცვლის.

- როგორ თუ არ ცვლის? თუ შენვე ხედავ, რომ ცდები?

- საქმე ის კი არ არის, ვინ ცდება და ვინ - არა. შენ არა მარტო იყავი სხვასთან, არც ახლა ხარ მარტო. განზრახულიც გაქვს, ასე იცხოვრო მომავალშიც. ეს მაშინ არ ვიცოდი.

- ნუ ტყუი! - შეაწყვეტინა ქალმა მოულოდნელი სიმშვიდით. - ეს ყოველთვის იცოდი. იმ ღამესაც იცოდი.

პირდაპირ თვალებში შესცქეროდა.

- კარგი, - მიუგო რავიკმა. - დავუშვათ, ვიცოდი. მაგრამ მაშინ არ მსურდა ამის ცოდნა. ვიცოდი და არ მჯეროდა. შენ ვერ გამიგებ. ქალებს ეს არ სჩვევიათ... და მაინც, ლაპარაკი ამაზე როდია.

ქალის სახეზე უეცრად შიში აღიბეჭდა.

- არ შემიძლია ასე, არც ვაციო, არც ვაცხელო და გავაგდო ადამიანი, რომელსაც ჩემთვის არაფერი დაუშავებია... გავაგდო იმიტომ, რომ შენ დაბრუნდი! ნუთუ ეს არ გესმის?

- მესმის, - მიუგო რავიკმა.

ქალი იდგა, როგორც კატა, კუთხეში რომ მიიმწყვდიეს, შესახტომად გაემზადა, მაგრამ უეცრად საყრდენი დაკარგა.

- გესმის? - გაკვირვებით ჩაეკითხა. თვალში სხივი ჩაუქრა, მხრები ჩამოუცვივდა. - მაშ, რისთვის მტანჯავ, თუ გესმის? - დასძინა დაღლილი ხმით.

- კარს მოშორდი.

რავიკი სავარძელში ჩაეშვა. ჟოანი იდგა და ყოყმანობდა.

- კარს მოშორდი, - გაუმეორა რავიკმა. - არ გავიქცევი.

ქალი ნელა მივიდა ტახტამდე და ზედ დაეცა. თითქოს ძალა გამოეცალაო, მაგრამ ეს მხოლოდ ჩანდა ასე. რავიკი ხედავდა, რომ ასე არ იყო.

- მომეცი რამე დასალევი, - უთხრა რავიკს.

დრო უნდა მოიგოსო, გაიფიქრა რავიკმა. გრძნობდა, რომ მისთვის ყველაფერი სულერთი იყო.

- სად არის ბოთლი? - ჰკითხა ქალს.

- იქ, კარადაში.

რავიკმა დაბალი კარადა გააღო. პიტნისნაყენიანი რამდენიმე ბოთლი იდგა. ზიზღით შეხედა. თაროს ერთ კუთხეში „მარტელის“ დაუცლელ ბოთლსა და კალვადოსს მიაგნო. რავიკმა კონიაკი აიღო.

- ახლა პიტნის ნაყენს სვამ? - ჰკითხა ისე, რომ არ მობრუნებულა.

- არა.

- კარგია. მაშინ კონიაკს დაგისხამ.

- კალვადოსიც არის. გახსენი.

- კონიაკითაც იოლად გავალთ.

- გახსენი კალვადოსი.

- სხვა დროს.

- არ მინდა კონიაკი. მომეცი კალვადოსი. გეთაყვა, გახსენი ბოთლი.

რავიკმა ისევ შეიხედა კარადაში. მარჯვნივ პიტნის ნაყენი - იმისთვის, მეორისთვის, მარცხნივ კალვადოსი - რავიკისთვის. ამაში იყო თითქმის გულის ამაჩუყებელი მეოჯახეობა და წესრიგი. კალვადოსის ბოთლი აიღო და გახსნა. ან რატომაც არ უნდა გახსნას? კალვადოსი, მათი საყვარელი სასმელი, თითქმის სიმბოლო, განშორების ეს გაცვეთილი, უხამსი სცენა, სენტიმენტალური სიტყვები, ბადაგივით ბლანტე და გულის წამღები... ორი სასმისი აიღო და მაგიდასთან დაბრუნდა. კალვადოსს რომ ასხამდა, ჟოანი შესცქეროდა.

ფანჯრებს იქით დღე იყო, ოქროსფერი და უზარმაზარი. რამდენი შუქია, რამდენი საღებავი, როგორი ცა! რავიკმა საათს დახედა. ოთხი დაიწყო. მოეჩვენა, თითქოს წამების მაჩვენებლი ისარი შეჩერდა. მაგრამ ისარი პაწაწინა ოქროს ხორთუმივით განაგრძობდა შეუწყვეტელ რბოლას ციფერბლატის პაწია წრეში. სულ ნახევარი საათია, რაც აქ ვარო, გაიფიქრა რავიკმა. მეტი არა... პიტნის ნაყენი. რა საძაგლობაა!

ჟოანმა ფეხებიც შეაწყო ცისფერ ტახტზე.

- რავიკ, - მიმართა რბილი, დაღლილი და ფრთხილი ხმით, - ან ისევ ეშმაკობ, ან მართლა არ გესმის, რაზედაც ვლაპარაკობდით.

- არაფერს არ ვეშმაკობ და ყველაფერი მესმის.

- გესმის?

- დიახ.

- ასეც ვიცოდი, - გაუღიმა ქალმა. - ასეც ვიცოდი, რავიკ.

- რა არის აქ გაუგებარი? ყველაფერი საკმაოდ ნათელია.

ქალმა თავის ქნევით დაუმოწმა.

- ცოტა მადროვე. ასე უცებ არ შემიძლია. ცუდი არაფერი გაუკეთებია. მე ხომ არ ვიცოდი, დაბრუნდებოდი ოდესმე თუ არა. ხომ არ შემიძლია, ერთბაშად ვუთხრა...

რავიკმა სასმელი გადაკრა.

- რად მინდა ეს დაწვრილებითი ცნობები?

- შენ ყველაფერი უნდა იცოდე. ყველაფერი უნდა გაიგო... საქმე ის არის, რომ... არა, არ შემიძლია ამის გაკეთება... ის... პირდაპირ არ ვიცი, რა მოუვა. ვუყვარვარ, ვჭირდები და, მართლაც, დამნაშავე ხომ არაფერშია.

- რა თქმა უნდა, არაფერში. შეგიძლია, არ იჩქარო, ჟოან. დრო იმდენი გაქვს, რამდენიც გინდა.

- არა... დამიჯერე, ეს დიდხანს არ გაგრძელდება. მაგრამ უცებ არ შემიძლია. - ბალიშზე გადაწვა. - რაც შეეხება ბინას, რავიკ... ეს საქმე სულაც არ არის ისე, როგორც შენ, ალბათ, გგონია. თვითონვე ვშოულობ ფულს, - მეტს, ვიდრე უწინ. იმ კაცმა მიშველა. მსახიობია. კინოში მიღებენ, ეპიზოდებს ვასრულებ. მან მომაწყო.

- ეს უნდა მევარაუდა.

ქალმა მის სიტყვებს ყური არ ათხოვა.

- ერთმა ღმერთმა უწყის, რა ნიჭის პატრონი ვარ, და სულაც არ მხიბლავს ეს ამბავი, - თქვა ქალმა. - მაგრამ ისე მინდოდა „შეჰერეზადადან“ თავის დაღწევა, რომ დავთანხმდი. იქ ვერაფერს გავხდებოდი. აქ კი რამეს მივაღწევ. თუნდაც განსაკუთრებული ნიჭი არ მქონდეს, მაინც. მინდა, დამოუკიდებელი გავხდე. ეს ყველაფერი სასაცილო გგონია?

- პირიქით, - მიუგო რავიკმა, - გონივრულია.

ქალმა უნდობლად გადახედა.

- შენ ხომ პარიზშიც იმისათვის ჩამოხვედი, რომ დამოუკიდებლობა გინდოდა, - დასძინა რავიკმა.

„აი, ზიხარ ჩემ წინაშე, - ფიქრობდა რავიკი, - უცოდველი, წყნარი ქალი, სევდიანი მოწამე. რა მძიმეა შენი ბედი, რამდენი ტანჯვა მოგაყენე! ახლა დამშვიდებული ხარ - პირველმა ქარტეხილმა ჩაიარა. ო, რა სათქმელია! მაპატიებ. და თუ ახლა არ წავალ, დაწვრილებით მომიყვები, როგორ ცხოვრობდი ბოლო თვეების განმავლობაში. ფოლადის ორქიდეა ხარ. მოვედი, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაგშორდე. შენ კი, მგონია, ლამის უკვე მიაღწიე იმას, რომ ყველაფერში შენვე გაგამართლო“.

- ყველაფერი ძალიან კარგია, ჟოან, - უთხრა რავიკმა. - ბევრ რამეს მიაღწიე და კიდევ მეტს მიაღწევ, ალბათ.

ქალი წამოიწია.

- ნამდვილად ასე ფიქრობ?

- ნამდვილად.

- მართლა, რავიკ?

რავიკი ადგა. კიდევ სამი წუთიც და ეს ქალი ჩაითრევს პროფესიონალურ საუბარში კინოზე. არ ღირს მაგნაირ ქალებთან დისკუსიის გაბმაო, გაიფიქრა. ყოველთვის წაგებული დარჩები. რა არის მათთვის ლოგიკა? ყველაფერს უკუღმა შეგიტრიალებენ. სიტყვით აქ ვერაფერს გახდები, საქმეა საჭირო.

- შენი კარიერა არ მქონია მხედველობაში. ამაზე შენს სპეციალისტს ელაპარაკე.

- უკვე მიდიხარ?

- ჰო, უნდა წავიდე.

- იქნებ, დარჩე?

- კლინიკაში უნდა დავბრუნდე.

ქალმა ხელი მოჰკიდა, თვალი თვალში გაუყარა.

- ტელეფონში ხომ მითხარი, მაშინ მოვალ, როცა სრულიად თავისუფალი ვიქნებიო!

,,ხომ არ ვუთხრა, რომ აღარასოდეს დავბრუნდები? - გაიფიქრა რავიკმა, - მაგრამ დღეს ისიც კმარა, რაც ითქვა. ერთისთვისაც კმარა და მეორისთვისაც‘‘. დღეს სიტყვაც არ დაუძრავს განშორებაზე - ქალმა ხელი შეუშალა. მაგრამ განშორება გარდაუვალია.

- დარჩი, რავიკ, - უთხრა ქალმა.

- არ შემიძლია.

ქალი ადგა და გულში ჩაეკრა. ესღა მაკლდაო, გაიფიქრა რავიკმა. ძველი ხერხია, იაფფასიანი და ნაცადი. ქალმა ყველა ღონეს მიმართა. თუმცა, ესეცაა, კატას ვერ მოსთხოვ, თაგვების ნაცვლად ბალახი ჭამეო. კაცმა თავი გაითავისუფლა.

- უნდა წავიდე. კლინიკაში კაცი კვდება.

- ექიმი ყოველთვის იპოვის საფუძვლიან მიზეზს, - ნელა ჩაილაპარაკა ქალმა.

- ისევე, როგორც ქალი, ჟოან. ჩვენ განვაგებთ სიკვდილს, თქვენ - სიყვარულს. ამაზეა აგებული სამყარო.

ქალმა უპასუხოდ დატოვა.

- გარდა ამისა, ჩვენ, ექიმებს, სავსებით ჯანსაღი კუჭი გვაქვს, - თქვა ისევ რავიკმა. - ის ძალიან გვესაჭიროება, პირდაპირ აუცილებელია. ჩვენ ხომ ათასნაირი რამის მონელება გვიხდება... მშვიდობით, ჟოან.

- ისევ მოხვალ, რავიკ?

- ნუ ფიქრობ ამაზე. ნუ ჩქარობ. დროთა განმავლობაში თვითონვე ყველაფერში გაერკვევი.

უკანმოუხედავად, სწრაფად მიაშურა კარს. ჟოანს აღარ შეუკავებია, მაგრამ რავიკი ზურგით გრძნობდა მის მზერას. რაღაც უჩვეულო სიყრუეს განიცდიდა - თითქოს წყალქვეშ მიაბიჯებდა.

## თავი ოცდამეორე

ცოლ-ქმარ გოლდბერგების ფანჯრიდან ყვირილი გაისმა: რავიკმა ყური მიუგდო. ნუთუ მოხუცმა გოლდბერგმა რაღაც ესროლა თავის ცოლს ან გაარტყა? წუთით ყველაფერი მიყუჩდა, შემდეგ დაბლა ხალხი დაფაცურდა, დაიწყეს სირბილი, კარების ჯახაჯუხი. ემიგრანტ ვიზენჰოფის ნომრიდან კი აღელვებული ხმები მოისმა.

ამას მოჰყვა კარზე კაკუნი და ოთახში ოტელის აღელვებული დიასახლისი შემოიჭრა.

- ჩქარა, ჩქარა... მუსიე გოლდბერგმა...

- რა მოხდა?

- თავი ჩამოიხრჩო. ფანჯარაზე. ჩქარა...

რავიკმა წიგნი გადააგდო.

- პოლიცია მოვიდა?

- რა თქმა უნდა, არა. მაშინ არც დაგიძახებდით! ცოლმა, ეს-ეს არის, შენიშნა.

რავიკი დიასახლისთან ერთად კიბეზე ჩარბოდა.

- თოკი გადაჭრეს?

- ჯერ არა. ხელით უკავიათ.

ფანჯარასთან, ბინდბუნდში, ხალხი ირეოდა. აქ იყო რუთ გოლდბერგი, ემიგრანტი ვიზენჰოფი და კიდევ ვიღაც. რავიკმა შუქი ჩართო. ვიზენჰოფსა და რუთს გოლდბერგი თოჯინასავით ეჭირათ ჰაერში, ვიღაც მესამე კიდევ აკანკალებული ხელებით ლამობდა ფანჯრის სახელურიდან ჰალსტუხის მოხსნას.

- გადაჭერით...

- დანა არა გვაქვს! - შესძახა რუთ გოლდბერგმა.

რავიკმა მაკრატელი ამოიღო. ჰალსტუხი მკვრივი და სრიალა აბრეშუმისა იყო. რამდენიმე წამი დასჭირდა მის გადაჭრას. სულ ახლოს ხედავდა რავიკი გოლდბერგის სახეს. გადმოკარკლული თვალები, ღია პირი, მეჩხერი ჭაღარა წვერი, გადმოგდებული ენა. მუქი მწვანე, თეთრად დაწინწკლული ჰალსტუხი ღრმად ჩამჯდარიყო ნაოჭიან, გამობერილ ყელში... სხეული მსუბუქად ირხეოდა ვიზენჰოფისა და რუთის ხელში, თითქოს არწევდნენ და ნანას უმღეროდნენ. ბაგეზე საშინელი, გაქვავებული ღიმილი შეჰყინვოდა.

რუთის გაწითლებული სახე ცრემლში ცურავდა. ვიზენჰოფს შუბლზე სიმწრის ოფლმა დაასხა - უეცრად გოლდბერგი ძლიერ დამძიმდა, სიცოცხლეში ასე მძიმე არ გეგონებოდათ. იდგა ორი გაოფლილი, სასოწარკვეთილი, მოვიშვიშე ადამიანი, ზემოთ კი საიქიოს უღიმოდა კაცის თავი, აქეთ-იქით რომ ირწეოდა. როცა რავიკმა ჰალსტუხი გადაჭრა, თავი რუთის მხარზე დაეცა. ქალმა შეკივლა და უკან გადახტა. სხეული ფანჯრის რაფიდან დაცურდა და თითქოს ქალს დაედევნა, რაღაც უაზრო, ტაკიმასხარული ნახტომით მიჰყვა მეუღლეს.

რავიკმა ხელი სტაცა გოლდბერგს და ვიზენჰოფის დახმარებით იატაკზე დაასვენა, ჰალსტუხი მოხსნა და სინჯვას შეუდგა.

- კინოში... - უთავბოლოდ მოჰყვა რუთი, - კინოში გამგზავნა. ძვირფასო, მითხრა, შენ ხომ ასე ცოტას ერთობი, რატომაც არ უნდა წახვიდე კინოშიო. ,,კარუსელში'' გადის ,,დედოფალი ქრისტინე'', გრეტა გარბო თამაშობს... რატომაც არ უნდა ნახოო... აიღე კარგი ბილეთი, პარტერში ან ლოჟაში... წადი კინოში, დაივიწყე საშინელება, რაშიაც ვცხოვრობთ, დაივიწყე თუნდაც ორი საათითო. ეს ისე მშვიდად მითხრა, ისე ალერსიანად... ლოყაზე ხელი მომითათუნა... შემდეგო, მითხრა, შოკოლადის ან ნაღებიან ნაყინს შეჭამო მონსოს პარკის საშაქარლამოში. ისიამოვნეო, ძვირფასო, მითხრა, და მეც წავედი. ხოლო როცა დავბრუნდი, უკვე...

რავიკი წამოდგა. რუთი გაჩუმდა.

- ჩანს, ეს მაშინვე მოხდა, როგორც კი წახვედით, - უთხრა რავიკმა ქვრივს.

ქალმა მოკუმული მუშტები ტუჩებთან მიიტანა.

- უკვე აღარ...

- ვცადოთ რაიმე. ჯერ ხელოვნური სუნთქვა. შეგიძლიათ ასეთი რამ? - ჰკითხა ვიზენჰოფს.

- არა... სრულიად... არ შემიძლია...

- მაშინ მიყურეთ.

რავიკმა გოლდბერგის ხელები ასწია, უკან გადასწია, იატაკამდე დაუშვა, შემდეგ მკერდზე მიადო, ისევ იატაკამდე გადასწია, ისევ მკერდზე დაუშვა... გოლდბერგის ყელში რაღაც ხრიალი გაისმა.

- ცოცხალია! - შესძახა რუთმა.

- არა. ეს ჰაერი ჩავიდა ფილტვებში.

რავიკმა კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა იგივე მოძრაობა.

- ასე, ახლა კი თვითონაც სცადეთ, - უთხრა ვიზენჰოფს.

ვიზენჰოფი ყოყმანით დაეშვა მუხლებზე და გოლდბერგის წინ ჩაიჩოქა.

- შეუდექით, - უთხრა მოუთმენლად რავიკმა. - მაჯაში მოჰკიდეთ ან უკეთესია წინმხარში.

ვიზენჰოფს იმავე წამს ოფლმა დაასხა.

- უფრო ძლიერ, - უთხრა რავიკმა. - გამოდევნეთ ფილტვებიდან მთელი ჰაერი.

დიასახლისს მიუბრუნდა. ამასობაში ოთახი ხალხით გაიჭედა. რავიკმა დიასახლისს თავი დაუქნია, ქალიც მიჰყვა და ერთად გავიდნენ დერეფანში.

- ყველაფერი გათავებულია, - უთხრა ქალს. - ხელოვნური სუნთქვა აღარ უშველის. ეს უბრალოდ რიტუალია, წესი, რომელიც უნდა შესრულდეს, მეტი არაფერი. თუ ეს რაიმეს მოგვცემს, სასწაულს დავიჯერებ.

- რაღა ვქნა?

- ყველაფერი, რაც ასეთ შემთხვევებში ხდება.

- სასწრაფო დახმარება გამოვიძახო? მაგრამ მაშინ ათ წუთში პოლიცია მოვა.

- პოლიციას მაინც უნდა შეატყობინოთ. გოლდბერგს დოკუმენტები ჰქონდა?

- დიახ. ნამდვილი. პასპორტი და პირადობის მოწმობა.

- ვიზენჰოფს?..

- ვადაგაგრძელებული საცხოვრებელი მოწმობა.

- კარგია. მაშასადამე, დოკუმენტების საქმე მოგვარებული ყოფილა. რუთი და ვიზენჰოფი ნუ იტყვიან, რომ მე აქ ვიყავი. ქალი შინ დაბრუნდა, ქმარი დაინახა, შეჰკივლა, ვიზენჰოფმა ჰალსტუხი გადაჭრა, ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა, ამასობაში სასწრაფო დახმარებაც მოვიდა. ეტყვით ასე?

დიასახლისმა თავისი ჩიტის თვალებით შეხედა.

- რა თქმა უნდა, ვეტყვი. პოლიცია რომ მოვა, ნაბიჯითაც არ მოვშორდები. ყველაფერი რიგზე იქნება.

- კარგი.

ნომერში დაბრუნდნენ: გოლდბერგზე დახრილი ვიზენჰოფი სასოწარკვეთილი, მოუხეშავად განაგრძობდა ხელოვნური სუნთქვის პროცედურას. რავიკს მოეჩვენა, რომ ერთიც და მეორეც თავისუფალ ვარჯიშს ასრულებდა. დიასახლისი კარში გაჩერდა.

- მადამ და მუსიე! - მიმართა რუთსა და ვიზენჰოფს. - მოვალე ვარ, გამოვიძახო სასწრაფო დახმარება. ფერშალმა ან ექიმმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ პოლიციას. პოლიციაც, არა უგვიანეს ნახევარი საათისა, აქ გაჩნდება. ვისაც დოკუმენტები არა აქვს, ვურჩევ შეკრას ნივთები, ყოველ შემთხვევაში ის, რაც თვალში საცემია, ჩაიტანოს „კატაკომბაში“ და იქ დარჩეს. არ არის გამორიცხული, რომ პოლიციამ ნომრებში შეიხედოს ან მოწმეების ძებნა დაიწყოს.

ოთახი მყისვე დაცარიელდა. დიასახლისმა რავიკს ანიშნა, რუთსა და ვიზენჰოფს თვითონვე მოველაპარაკებიო. რავიკმა აიღო ჩანთა და მაკრატელი, იატაკზე რომ ეგდო გაჭრილი ჰალსტუხის გვერდით. ჰალსტუხზე ჩანდა ფირმის ეტიკეტი: „ს. ფერდერი. ბერლინი“. ასეთი ჰალსტუხი, სულ ცოტა, ათი მარკა მაინც ეღირებოდა. გოლდბერგმა ის, ალბათ, ძველ, მისთვის ბედნიერ, დროში იყიდა. რავიკს ახსოვდა ეს ფირმა, თავის დროზე თვითონაც ფერდერთან ყიდულობდა ჰალსტუხებს. თავისი ნივთები ორ ჩემოდანში ჩაალაგა და მოროზოვთან მიიტანა. საეჭვოა, პოლიციამ სხვის ნომრებშიც შეიხედოს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა - პოლიციის განყოფილებისა და ფერნანის ხსოვნა ჯერ კიდევ არ ამოშლილიყო გონებიდან.

რავიკი „კატაკომბაში“ ჩავიდა. რამდენიმე აღელვებული კაცი იქ ბოლთას სცემდა. ესენი, ყველანი, უპასპორტო ლტოლვილები იყვნენ, „არალეგალური ბრიგადა“, როგორც ეძახდნენ ხოლმე. ოფიციანტი კლარისა და კელნერი ჟანი „კატაკომბის“ საკუჭნაოში ჩემოდნების დამალვაში ეხმარებოდნენ „ბრიგადის“ წევრებს. განგაშმა მათ გახურებულ სავახშმო სამზადისში მოუსწრო - სუფრაგადაფარებულ მაგიდებზე პურით სავსე კალათები იდგა, სამზარეულოდან შემწვარი თევზის სუნი გამოდიოდა.

- არაფერია, დრო ბევრი გვაქვს, - ამშვიდებდა ჟანი გულგახეთქილ ლტოლვილებს. - პოლიციას იოლად ვერ გაანძრევ. სანამ ფეხს აიდგამს, მოვრჩებით კიდეც.

მაგრამ ლტოლვილებს ბედის წყალობის იმედი არ ჰქონდათ. ბედნიერება მათ არ უღიმოდა. საჩქაროდ ჩაჰქონდათ თავიანთი ბარგი-ბარხანა სარდაფში. მათ შორის ესპანელი ალვარესიც იყო. დიასახლისმა ყველა მობინადრე გააფრთხილა, პოლიციის

მოსვლა არისო მოსალოდნელი. ალვარესი, ძნელი სათქმელია, რისთვის, დამნაშავესავით უღიმოდა რავიკს.

საკუჭნაოს შესასვლელთან აუჩქარებლად მივიდა ერთი გალეული კაცი. ეს იყო ფილოლოგიისა და ფილოსოფიის დოქტორი ერნსტ ზაიდენბაუმი.

- მანევრებია, - უთხრა რავიკს, - გენერალური რეპეტიცია. თქვენ ,,კატაკომბაში'' დარჩებით?

- არა.

ზაიდენბაუმმა, ,,ინტერნასიონალის'' ვეტერანმა, ექვსწლიანი სტაჟის მქონემ, მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

- მე კი ვრჩები. რისთვის უნდა გავიქცე? ვფიქრობ, საქმე ოქმის შედგენით დამთავრდება. კაცმა რომ თქვას, ვის რა ესაქმება გერმანიიდან გამოქცეულ, მოხუცებულ, მკვდარ ებრაელთან?

- თქვენ მართალი ხართ, არავის არაფერი ესაქმება ასეთ ვინმესთან. მაგრამ ცოცხალი, უპასპორტო ლტოლვილები კი ძალიან აინტერესებთ.

ზაიდენბაუმმა პენსნე შეისწორა.

- ჩემთვის ესეც სულერთია. იცით, რა გავაკეთე ბოლო თავდასხმის დროს? პოლიციის რომელიღაც სერჟანტი ,,კატაკომბაში'' ჩავიდა. ეს მოხდა ამ ორი წლის წინ. მაშინ ჟანის თეთრი კიტელი ჩავიცვი და მასთან ერთად დავიწყე მაგიდებთან მსხდარი სტუმრების მომსახურება. პოლიციელებთან არაყი მიმქონდა.

- ურიგოდ არ მოგისაზრებიათ. იდეა ჩინებულია.

ზაიდენბაუმმა თავი დაუქნია.

- ბოლოს და ბოლოს, ყოველივე ამას ისე ეჩვევი, გაპარვაც გეზარება.

იგი დამშვიდებული გაემართა სამზარეულოში იმის გასაგებად, ვახშმად რა იქნებაო.

რავიკი ,,კატაკომბის'' უკანა კარით ეზოში გავიდა. ფეხებთან კატამ გადაურბინა. წინ სხვა ლტოლვილები მიდიოდნენ. ქუჩაში ისინი აქეთ-იქით გაიფანტნენ. ალვარესი ოდნავ კოჭლობდა. შესაძლოა, განმეორებით ოპერაციას ეშველაო, გაიფიქრა რავიკმა.

რავიკი ტერნის მოედანზე კაფეში იჯდა და უეცრად იგრძნო, რომ ამ ღამით მასთან ჟოანი მოვიდოდა. ვერ გაეგო, საიდან მოუვიდა ასეთი რწმენა, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ქალი მოვიდოდა.

ვახშმობა დაასრულა, ფული გადაიხადა და აუჩქარებლად გაემართა უკან, ,,ინტერნასიონალის'' მხარეს. თბილოდა. თუმცა ჯერ ადრე იყო, მოსახვევებში უკვე გაენათებინათ წითელი აბრები იმ ოტელებისა, სადაც ერთი ღამით ქირავდებოდა ოთახი წყვილებისათვის. ფანჯრის ფარდებიდან შუქის ვიწრო ზოლები კიაფობდა. ჩაიარეს მეძავებმა, რომელთაც უკან მეზღვაურთა ჯგუფი მიჰყვებოდა. ახალგაზრდები და ხმაურიანნი, ღვინითა და ზაფხულით გახურებულნი, ერთ-ერთ ასეთ სასტუმროში შევიდნენ და თვალს მიეფარნენ. სადღაც ტუჩის გარმონს

აჭყიპინებდნენ. უეცრად რავიკის გონებაში რაკეტასავით გაიელვა აზრმა, მაღლა აიჭრა, იქ წამით შეჩერდა, ცეცხლის შხეფებად დაიმსხვრა და ბნელს გამოსტაცა ჯადოსნური ჩვენება: ჟოანი ოტელში ელოდება, ეტყვის, რომ ყველაფერი მიატოვა და დაბრუნდა. უწინდებურად ჩაიხვევს, ჩაყლაპავს...

შეჩერდა. რა მომდისო, გაიფიქრა. რისთვის ვდგავარ აქ და ხელით ვიჭერ ჰაერს, თითქოს მინდა მოვსინჯო მისი კეფა, მისი თმის კულულები? ძალიან გვიანია. არაფრის დაბრუნება აღარ შეიძლება. არაფერი არ ბრუნდება. ისევე, როგორც არ ბრუნდება გასული წამი.

გზა განაგრძო. ეზო გაიარა, უკანა კარიდან „კატაკომბაში“ შევიდა. დარბაზში რომ შეიხედა, დაინახა: პატარა მაგიდების გარშემო რამდენიმე კაცი იჯდა. მათ შორის იყო ზაიდენბაუმი... თეთრი კიტელი აღარ ეცვა. ჩანს, საფრთხეს ჩაევლო. რავიკი ოტელში შევიდა.

მოროზოვი თავის ოთახში იყო.

- კარგია, რომ მომისწარი, - უთხრა რავიკს. - წასვლას ვაპირებდი. შენი ჩემოდნები დავინახე და ვიფიქრე, რომ ისევ გაგასახლეს შვეიცარიაში.

- აქ ყველაფერი რიგზეა?

- კი. პოლიცია აღარ მოვა. გოლდბერგის ცოლს ქმრის გვამიც კი დაუტოვეს. უდავო თვითმკვლელობაა. ჯერ კიდევ მაღლა ასვენია. მალე გამოასვენებენ.

- კარგია. მაშ, შემიძლია ჩემს ნომერში დავბრუნდე.

- ერთი ზაიდენბაუმისათვის შეგეხედა, - გაიცინა მოროზოვმა. - ხელში პორტფელითა და რაღაც ქაღალდებით გოლდბერგების ნომერთან ტრიალებდა. პენსნეც დაუკოსებია. თავი დამცველად და სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლად გაასაღა. პოლიციელებთან თავი თავხედურად ეჭირა, ჭირვეულობდა. მოხუცი გოლდბერგის პასპორტი გამოართვა. მჭირდებაო, განუცხადა: პოლიციას მხოლოდ პირადობის მოწმობის კონფისკაციის უფლება აქვსო. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. აქვს რაიმე დოკუმენტი?

- არავითარი.

- აი, ეს კი მესმის, - თქვა მოროზოვმა. - გოლდბერგის პასპორტი ხომ პირდაპირ ფასდაუდებელი რამეა. ჯერ კიდევ მთელი წლის ვადა აქვს. ვინმეს გამოადგება. სავალდებულო არ არის, პარიზში გამოიყენოს - ამისთვის თავხედობა მხოლოდ ზაიდენბაუმს ეყოფა. ფოტოსურათის შეცვლა ადვილია. თუ ახლად გამომცხვარი არონ გოლდბერგი საკმარისად მოხუცი არ აღმოჩნდა, მაშინ დაბადების თარიღის შეცვლაც შეიძლება. ამას სპეციალისტები აკეთებენ და სულაც არ ითხოვენ ბევრს. სულთა გადასახლება თანამედროვე ყაიდაზე - ეს ნიშნავს, რომ ერთი პასპორტი რამდენიმე სიცოცხლეს ეყოფა.

- მაშასადამე, ზაიდენბაუმი გოლდბერგი გახდება?

- არა. გადაჭრით თქვა უარი. ეს მის თავმოყვარეობას არ ეთვისება. ზაიდენბაუმი ყველა უპასპორტოს და დევნილის დონ კიხოტია. ფატალური სიმშვიდით შესცქერის

საკუთარ მომავალს და არაფრის გულისათვის არ მიიღებს სხვის გვარს, რადგან არ სურს, თავის იდეალს უღალატოს. რა იქნება, რომ შენ გახდე გოლდბერგი?

რავიკმა უარის ნიშნად თავი გადააქნია.

- არა, მე სავსებით ვეთანხმები ზაიდენბაუმს.

ჩემოდნები აიღო და კიბეს აუყვა. იმ სართულის კიბის საქცევზე, სადაც გოლდბერგები ცხოვრობდნენ, ვიღაც შავსერთუკიანმა ებრაელმა გაუსწრო. იგი წვეროსანი და პეისებიანი[11] იყო და ბიბლიური წინასწარმეტყველის სახე ჰქონდა. პირქუში და ფერწასული ბერიკაცი იყო, რეზინისძირიანი ფეხსაცმელი ეცვა. ისე უხმაუროდ დადიოდა, გეგონებოდათ, უწონო და უხორცოა, ჰაერში დაფრინავსო. რავიკმა გოლდბერგების ოთახის კარი შეაღო. დერეფანი წამიერად გაანათა მქრქალი სანთლების მოწითალო შუქის ანაბზინმა და რავიკს მოესმა უცნაური, შეკავებული, ველური და, ამასთან, თითქმის გალობით წარმოთქმული მონოტონური ჩივილი თუ გოდება. დაქირავებული მოტირლები თუ არიანო, გაიფიქრა. ნუთუ ჩვენს დროშიც არსებობენ? ან, იქნებ, რუთ გოლდბერგი მოსთქვამს?..

რავიკმა კარი შეაღო და ფანჯარასთან ჟოანი დაინახა. ქალი შეკრთა, შეირხა.

- ძლივს! რა მოხდა? რატომ გიჭირავს ჩემოდნები? ისევ მიემგზავრები?

რავიკმა ჩემოდნები საწოლთან დადგა.

- ისეთი არაფერი მომხდარა. სიფრთხილისათვის ჩატარებული ღონისძიებაა. ჩვენთან კაცი მოკვდა. პოლიციას ველოდით. ახლა ყველაფერი რიგზეა.

- გირეკავდი. მიპასუხეს, აქ აღარ ცხოვრობსო.

- ალბათ, დიასახლისმა გააფრთხილა. როგორც ყოველთვის, ფრთხილად და ჭკვიანურად იქცევა.

- მაშინვე მოვირბინე... ღია, ცარიელი ოთახი. აღარც ერთი შენი ნივთი. გადავწყვიტე... რავიკ!.. - ქალს ხმა უთრთოდა.

რავიკმა თავი აიძულა, გაეღიმა.

- აი, ხედავ, რა არასაიმედო კაცი ვარ. ჩემი ნდობა არ შეიძლება.

კარზე დააკაკუნეს. ზღურბლზე მოროზოვი იდგა და ხელში ორი ბოთლი ეჭირა.

- რავიკ, შენი აღჭურვილობა დაგავიწყდა...

სიბნელეში ჟოანი შენიშნა, მაგრამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს არ დაუნახავსო. რავიკს ეჭვიც კი შეეპარა, იცნო თუ ვერა საერთოდ ქალი. მოროზოვმა ბოთლები გადასცა, გამოემშვიდობა და ისე წავიდა, ოთახში ფეხი არ შემოუდგამს.

რავიკმა კალვადოსი და „ვუვრე“ მაგიდაზე დადგა. ღია ფანჯრიდან იგივე ხმა მოისმოდა, რაც კიბეზე გაიგონა. მიცვალებულს დასტიროდნენ. ხმა იზრდებოდა, მერე წყნარდებოდა და შემდეგ ისევ ძლიერდებოდა. ჩანდა, გოლდბერგების ფანჯარა

ღია იყო - თბილი ღამე იდგა. მოხუცი არონის გაცივებული გვამი ოთახში ესვენა, წითელი ხის ავეჯით გარემოცული, და უკვე იწყებდა ნელა ხრწნას.

- რავიკ, - უთხრა ჟოანმა, - სევდა მომეძალა. თვითონაც არ ვიცი, რატომ. მთელი დღე. ნება მომეცი, შენთან დავრჩე.

რავიკისათვის ეს ისე მოულოდნელი იყო, ერთბაშად ვერ უპასუხა. სულ სხვას ელოდა. მეტისმეტად პირდაპირი ხაზით შემოუტიეს.

- დიდი ხნით? - ჰკითხა მოგვიანებით.

- ხვალამდე...

- მხოლოდ ხვალამდე?

ჟოანი ლოგინზე ჩამოჯდა.

- არ შეიძლება ყველაფრის დავიწყება, რავიკ?

- არა, ჟოან, არ შეიძლება.

- მე არაფერი მინდა. მხოლოდ დავიძინებ შენ გვერდით. ან, თუ გინდა, დივანზე დავწვები.

- არ შეიძლება. მალე უნდა წავიდე კლინიკაში.

- მერე რა! დაგელოდები. ხომ ხშირად და მიცდია შენთვის.

კაცი დუმდა. საკუთარი სიმშვიდე თვითონვე უკვირდა. ოდნავი წამოხურება და მღელვარება, ქუჩაში რომ იგრძნო, სადღაც გაუქრა.

- თანაც კლინიკაში არაფერი საქმე არ გაქვს.

რავიკი დუმდა. იცოდა, დაიღუპებოდა, თუ ამ ქალთან ღამეს გაატარებდა. ეს იგივეა, ხელი მოაწერო თამასუქს, გადასახდელი ფული კი არ გაგაჩნდეს. ისევ და ისევ მოვა, გამოიყენებს იმას, რასაც უკვე მიაღწია, სულ ახალ-ახალ დათმობებს მოსთხოვს ისე, რომ თავად არაფერს დაუთმობს, ვიდრე სავსებით ხელში არ ჩაიგდებს. ერთ მშვენიერ დღეს კი მიატოვებს, საკუთარი ვნებისა და სისუსტის მსხვერპლად ქცეულს. რა თქმა უნდა, ახლა ქალს ეს სულაც არ სურს, ვერც კი წარმოუდგენია მსგავსი რამ და, ამის მიუხედავად, ყველაფერი ასე მოხდება. ერთი შეხედვით, საფიქრებელი აქ რა იყო: კიდევ ერთი ღამე, გინდ, აქეთ იყოს, გინდ - იქით, რა განსხვავებაა? მაგრამ საქმეც ის არის, ყოველი ასეთი ღამე გფიტავს, გილევს წინააღმდეგობის გაწევის უნარს, ერთადერთ რამეს, სიცოცხლის უდავო საფუძველს რომ შეადგენს. სულის წინააღმდეგ შეცოდება - აი, რა ფრთხილად და შიშით უწოდებდნენ ამას კათოლიკური ეკლესიის ენაზე. და იქვე, მთელი მისი მოძღვრების საპირისპიროდ, მითითებულია, რომ მსგავსი შეცოდება არ მიეტევება ადამიანს არც აქ, არც საიქიო სასუფეველში.

- შენ მართალი ხარ, - უთხრა რავიკმა. - კლინიკაში არ მაქვს საქმე, მაგრამ არ მინდა, ჩემთან დარჩე.

აფეთქებას ელოდა, მაგრამ ქალმა მშვიდად ჰკითხა:

- რატომ არ გინდა?

- განა ღირს ახსნა? ან შეიძლება კი ამის ახსნა? აქ შენთვის ადგილი აღარ არის.

- ჩემი ადგილი აქ არის.

- არა.

- რატომ?

რავიკი დუმდა. რა ეშმაკია! - ფიქრობდა. - უბრალო კითხვებს იძლევა და იძულებულს გხდის, აუხსნა. ხოლო ვინც ახსნა-განმარტებას იძლევა, ის უკვე თავს იმართლებს...

- თვითონვე ყველაფერი მშვენივრად იცი, - უთხრა ქალს. - ნუ მაძლევ სულელურ კითხვებს.

- აღარ გინდივარ?

- არა, - მიუგო და, თავისივე სურვილის საწინააღმდეგოდ, დაუმატა: - ეს მთლად ასეც არ არის.

ფანჯრიდან, გოლდბერგების ოთახიდან, მონოტონური მოთქმა ისმოდა. იქ სიკვდილს დასტიროდნენ. ლიბანის მთების მწყემსების დარდი, სადღაც პარიზის ჩიხებში გათამაშებული.

- რავიკ, - თქვა ჟოანმა, - უნდა დამეხმარო.

- სწორედ დახმარება იქნება, თუ მარტო დაგტოვებ. შენც დამტოვე.

ქალს თითქოს არ გაუგონია.

- უნდა დამეხმარო, რავიკ. მე შემეძლო უწინდებურად მეცრუა და მეცრუა, მაგრამ აღარ მსურს. დიახ, ვიღაც მყავს, მაგრამ ეს ის არ არის, რაც ჩვენ შორის იყო. ეს რომ მსგავსი რამ ყოფილიყო, შენთან არ მოვიდოდი.

რავიკმა სიგარეტი ამოიღო და პაპიროსის მშრალ ქაღალდს თითი გააყოლა. ახლა ნამდვილად იცის ყველაფერი. უმტკივნეულოდ გაკვეთეს ცივი დანით. გარკვეულობა არასოდეს აყენებს ადამიანს ტკივილს. ტკივილს გვაყენებს მხოლოდ „მანამდე“ და „შემდეგ“.

- „იგივე“ არასოდეს მეორდება, - უთხრა ქალს, - და მეორდება ყოველთვის.

რისთვის ვლაპარაკობ მთელ ამ სამაგლობას? - გაიფიქრა თავისთვის. საგაზეთო პარადოქსებია. რა უბადრუკნი ხდებიან ჭეშმარიტებანი, როცა ხმამაღლა გამოთქვამ.

ჟოანი გასწორდა.

- რავიკ, - უთხრა, - საიდან მოიგონე, რომ მხოლოდ ერთი ადამიანის შეყვარება შეიძლება? არ არის სწორი. ეს თვითონაც იცი. მართალია, არიან ისეთებიც, ერთი რომ უყვართ და ბედნიერნიც არიან. მაგრამ ზოგი წარამარა იცვლის. ესეც კარგად იცი.

რავიკმა გააბოლა. ჟოანს არ უყურებდა, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, როგორ გამოიყურებოდა ქალი... ფერმკრთალი, თვალმიბინდული, მშვიდი, დაძაბული, სუსტი, უღონოდ მავედრებელი და მაინც გაუტეხელი. ასეთივე იყო მაშინაც, ახალ ბინაში რომ ესტუმრა, როგორც ანგელოზი - წინასწარმეტყველი, ახლის მაუწყებელი, რწმენითა და ფრთაშესხმული იმედით აღსავსე. ეს ანგელოზი ფიქრობდა, რომ მიხსნიდა, სინამდვილეში კი ჯვარზე მაკრავდა, რომ არსად გავქცეოდი.

- დიახ, ეს ვიცი, - უთხრა ჟოანს. - ყველანი ასე ვიმართლებთ ხოლმე თავს.

- სულაც არ ვიმართლებ თავს. ადამიანები, რომელთაც ვგულისხმობ, ჩვეულებრივ, ძალზე უბედურნი არიან. ეს ხდება მათი ნებისყოფის საწინააღმდეგოდ და ვერაფერს აწყობენ საკუთარ თავთან. ესაა რაღაც ბნელი და დახლართული, ერთიანი კრუნჩხვა... და ადამიანმა ყველაფერი ეს უნდა გაიაროს, გაქცევით თავს ვერ უშველის. უბედურება ყოველთვის დაგეწევა. გაცლა გინდა, მაგრამ შენზე ძლიერია.

- რა საჭიროა ამდენი მსჯელობა. თუ გარდაუვალი შენზე ძლიერია, უნდა დაემორჩილო.

- ასედაც ვიქცევი. ვიცი, სხვა გზა არ რჩება. მაგრამ... - ქალს ხმა შეეცვალა, - რავიკ, არ მინდა, დაგკარგო.

რავიკი დუმდა. სიგარეტს ეწეოდა და ვერ გრძნობდა, როგორ შედიოდა კვამლი მის ფილტვებში. - შენ არ გინდა, დამკარგო, - გაიფიქრა, - მაგრამ არც იმ მეორის დაკარგვა გინდა. აი, რაშია საქმე. მერედა, შეგიძლია ასე იცხოვრო? სწორედ ამიტომ უნდა მიგატოვო. საქმე ის არ არის, ესეც მალე რომ მიეცემა დავიწყებას. შენც იოლად გაიმართლებ თავს. მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ყოველივე ამან ძალზე ძლიერ მოიცვა შენი არსება და ვერაფერი გაგიწყვია საკუთარ თავთან. ვთქვათ, ის კაცი მიატოვე. მაგრამ ეს განმეორდება და ისევ და ისევ განმეორდება. ეს ძვალსა და რბილში გაქვს გამჯდარი. ოდესღაც მეც შემეძლო ასე. შენთან არ შემიძლია. ამიტომ თავიდან უნდა მოგიშორო, ვიდრე კიდევ შემწევს ძალა და ღონე. მეორედ...

- შენ ფიქრობ, რომ რაღაც განსაკუთრებული სიტუაცია გვაქვს, - უთხრა ქალს. - სინამდვილეში კი ყველაფერი ძალიან უბრალო და ჩვეულებრივი ამბავია: მეუღლე და საყვარელი.

- არა ხარ მართალი!

- მაგრამ ეს ნამდვილად ასეა. ამ სიტუაციას მრავალი ნაირსახეობა აქვს და ერთ-ერთია ის, რასაც მთავაზობ.

- არ გაბედო ასეთი ლაპარაკი! - ქალი ზეზე წამოვარდა. - იყავი, რანაირიც გნებავს, ოღონდ არა ასეთი... არასოდეს ყოფილხარ ასეთი და არც იქნები... უმალ ის... - ქალს ხმა ჩაუწყდა. - არა, ისიც... ვერ აგიხსნი.

- უფრო უბრალოდ მითხარი: მტკიცე რწმენა და სიმშვიდე, ერთი მხრივ, და რომანტიკა - მეორე მხრივ. მაგრამ საქმის არსი არ იცვლება. გინდა, ერთი შეინარჩუნო და მეორე ხელიდან არ გაუშვა.

ჟოანმა უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია.

fb.com/groups/alib

- რავიკ, - უთხრა და ქალის ხმაში გაისმა რაღაც ისეთი, რამაც ვაჟს გული გადაუტრიალა. - ერთსა და იმავე საგანს შეიძლება ეწოდოს სხვადასხვა სახელი, კარგიც და ცუდიც. ეს არაფერს ცვლის. მე მიყვარხარ და მეყვარები, ვიდრე სუნთქვას შევწყვეტ. ეს მტკიცედ ვიცი. შენ ჩემი ჰორიზონტი ხარ და ყველა ჩემი აზრი შენთან იყრის თავს. რაც უნდა მოხდეს, სულერთია, ჩემი სიყვარული შენ გეკუთვნის. არ გატყუებ. შენ არაფერს კარგავ. აი, რატომ მოვდივარ შენთან კვლავ და კვლავ, აი, რატომ არაფერზე მწყდება გული, რატომ არაფერში მიმაჩნია თავი დამნაშავედ.

- ადამიანი არ არის დამნაშავე იმაში, რომ უყვარს, ჟოან. როგორ მოგივიდა თავში ასეთი აზრი?

- მე ვფიქრობდი... ძალიან ბევრს ვფიქრობდი, რავიკ, ჩემზე და შენზე. არასოდეს ცდილობდი, აგეღო ყველაფერი, რისი მოცემაც შენთვის შემეძლო. შეიძლება, შენ ეს არც იცი. მუდამ რაღაც კედელს ვეჯახებოდი და წინ წაწევა არ შემეძლო. მერე როგორ მინდოდა ეს! როგორ მინდოდა! ყოველ წამს ველოდი, რომ მიმატოვებდი, და ერთთავად ამ შიშში ვიყავი. მართალია, პოლიციამ გაგასახლა, უნდა წასულიყავი... მაგრამ შეიძლებოდა სხვანაირი ამბავიც მომხდარიყო... ერთ მშვენიერ დღეს შეგეძლო, საკუთარი სურვილით წასულიყავი... აი, გავიხედავდი და შენ აღარა ხარ. უბრალოდ, წახვიდოდი, ვინ იცის, საით...

რავიკი ცდილობდა ბნელში ქალის სახე დაენახა. ჭეშმარიტების მარცვალი იყო ქალის სიტყვებში.

- ასე იყო მუდამ, - განაგრძობდა ქალი, - ყოველთვის. შემდეგ მოვიდა კაცი, რომელმაც მოისურვა ჩემთან ყოფნა, მხოლოდ ჩემთან ყოფნა, განუყრელად და სამუდამოდ, უბრალოდ, ისე, რომ არაფერს ართულებს. მე ვიცინოდი, უარს ვეუბნებოდი, ვთამაშობდი, მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ეს მსუბუქი თამაში იყო, არავითარი საშიშროება არ მელის-მეთქი, ვფიქრობდი; რა წუთსაც მინდა, თავიდან მოვიშორებ, ყოველთვის თავს დავაღწევ-მეთქი, მეგონა. და უეცრად ეს გახდა მნიშვნელოვანი, დაუძლეველი, უეცრად მეც გამკრა გულზე რაღაცამ. წინააღმდეგობას ვუწევდი, მაგრამ უსარგებლოდ. ვგრძნობდი, ისე არ იყო, ვგრძნობდი, ეს საქმე მთელი არსებით კი არ მინდოდა, არამედ მხოლოდ ერთი ნაწილაკით, მაგრამ რაღაც მერეკებოდა, მიბიძგებდა, თითქოს მეწყერი დაიძრა, - ჯერ იცინი, მაგრამ ანაზდეულად ფეხქვეშ მიწა გეცლება, ინგრევა ყველაფერი, გაძალიანების თავი აღარ გაქვს... და მაინც, ჩემი ადგილი იქ არ არის, რავიკ. მე შენ, ერთს, გეკუთვნი.

რავიკმა სიგარეტი ფანჯარაში ისროლა და ის ციცინათელასავით ციალ-ციალით დაეშვა დაბლა.

- რაც მოხდა, მოხდა, ჟოან, - უთხრა ქალს. - ამას ვერ შეცვლი.

- არაფრის შეცვლა არ მინდა. ეს გაივლის. მე შენ გეკუთვნი. რისთვის მოვდივარ შენთან? რატომ ვდგავარ შენს კართან? რატომ გელოდები? მაგდებ, ისევ მოვდივარ. ვიცი, არ მენდობი და ფიქრობ, რომ რაღაც სხვა მიზეზები მაქვს. რა მიზეზები მექნება? ის, მეორე, ჩემთვის ყველაფერი რომ ყოფილიყო, შენთან აღარ მოვიდოდი. დაგივიწყებდი. შენ მითხარი, მხოლოდ რწმენასა და სიმშვიდეს ეძებო ჩემთან. არ არის მართალი. შენთან სიყვარულს ვეძებ.

სიტყვები, გაიფიქრა რავიკმა... ტკბილი სიტყვები, ნაზი, მაცდური, მალამო - დამეხმარე, გიყვარდე, იყავი ჩემთან, მე დავბრუნდები - და ეს ყველაფერი მხოლოდ სიტყვებია, მსუყე სიტყვები, მეტი არაფერი. რა ბევრი სიტყვაა მოგონილი ორი ადამიანის სხეულის უბრალო, ველური, ერთიმეორისადმი სასტიკი მიზიდულობისათვის. და სადღაც, მაღლა გაზიდულია ფანტაზიის, სიცრუის, გრძნობისა და თავის მოტყუების უზარმაზარი ცისარტყელა!.. აი, დგას ახლაც, ამ განშორების ღამეში, მშვიდად დგას ბნელში, ზედ ეფრქვევა ტკბილი სიტყვების წვიმა, თაფლის წვიმა, რაც აღნიშნავს მხოლოდ განშორებას, განშორებას, განშორებას... რაკი ყოველივე ამაზე ლაპარაკობენ, მაშ, დასრულებულა.

- ახლა კი წადი, ჟოან.

ქალი წამოდგა.

- მე შენთან დარჩენა მინდა. ნება მომეცი, დავრჩე. მხოლოდ ერთი ღამით.

რავიკმა თავი გადააქნია:

- ჩემზეც იფიქრე. ავტომატი ხომ არ ვარ!

ჟოანი მივიდა და მიეხუტა. რავიკმა იგრძნო, რომ ქალი ცახცახებდა.

- არაფერზე ფიქრი არ მსურს. ნება მომეცი, დავრჩე.

კაცმა ფრთხილად მოიცილა.

- ნუ დაიწყებ ჩემთან სხვის მოტყუებას, ჟოან. ისედაც საკმაოდ დაიტანჯება.

- არ შემიძლია შინ მარტო წასვლა.

- დიდხანს არ მოგიხდება მარტო დარჩენა.

- არა, მომიხდება. მე მარტო ვარ. უკვე რამდენიმე დღეა, მარტო ვარ. გაემგზავრა. პარიზში არ არის.

- აი, რა ყოფილა... - მშვიდად მიუგო რავიკმა. - გულახდილი მაინც ხარ. შენთან კაცმა იცის, როგორ დაიჭიროს თავი.

- ამიტომ არ მოვსულვარ.

- ეჭვი არ მეპარება.

- ხომ შემეძლო, არაფერი მეთქვა!

- სავსებით სწორია.

- რავიკ, მე არ მინდა შინ მარტო წასვლა.

- მიგაცილებ.

ქალმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

- აღარ გიყვარვარ... - თქვა წყნარად და მუქარით.

- ამის გასაგებად მოხვედი?

- დიახ... მარტო ამისთვის არა... მაგრამ ამისთვისაც.

- ო, ღმერთო, ჟოან, - მოუთმენლად შესძახა რავიკმა. - ახლა კი შენ მოისმინე სიყვარულის ყველაზე უფრო გულახდილი ახსნა, როგორიც კი შესაძლებელია ამქვეყნად.

ქალი დადუმდა.

- ეს რომ ასე ყოფილიყო, ასე დიდხანს ვიყოყმანებდი, დამეტოვებინე აქ თუ არა, თუნდაც მცოდნოდა, რომ სხვასთან ცხოვრობ? - თქვა რავიკმა. - დაგიტოვებდი.

ქალს სახე გაუბადრა ღიმილმა, უფრო ღიმილმა კი არა, რაღაც შინაგანმა ციალმა, თითქოს ამ ქალში ლამპარი აენთო და მისი ნათელი ნელ-ნელა მიიწევდა თვალებისაკენ.

- მადლობელი ვარ, რავიკ, - უთხრა და ერთი წუთის შემდეგ, ისე, რომ თვალი არ მოუცილებია, ფრთხილად დაუმატა: - არ მიმატოვებ?

- რად გინდა ამის ცოდნა?

- დამიცდი? არ მიმატოვებ?

- ვფიქრობ, შენთვის ეს არ იქნებოდა ტრაგედია, თუ ორივე ჩვენგანის გამოცდილების მიხედვით ვიმსჯელებთ.

- გმადლობთ.

ახლა ქალი სულ სხვა იყო. რა ჩქარა მშვიდდებაო, გაიფიქრა კაცმა. ან რატომაც არა? ჰგონია, რომ თავისას მიაღწია, თუნდაც აქ არ დარჩეს.

ჟოანმა აკოცა.

- ვიცოდი, ასეთი იქნებოდი, რავიკ. ასეთი უნდა იყო. ახლა წავალ. ნუ გამაცილებ. ახლა მარტოც მივალ.

უკვე კარში იდგა.

- ნუღარ მოხვალ, - მიაძახა რავიკმა. - და ნაკლებად იფიქრე ამაზე. შენ არ დაიკარგები.

- კარგი. ღამე ნებისა, რავიკ.

- ღამე ნებისა, ჟოან.

რავიკმა შუქი ჩართო. „შენ ასეთი უნდა იყო“. ოდნავ შეკრთა. ყოველი ქალი თიხისა და ოქროსაგან არის შექმნილიო, გაიფიქრა. სიცრუისა და ძრწოლისაგან, გაიძვერობისა და სიმართლისაგან. ფანჯარასთან დაჯდა. ქვემოდან უწინდებურად ისმოდა წყნარი, მონოტონური ტირილი. ქალი ატყუებდა ცოცხალ ქმარს და დასტიროდა მკვდარს. ან, იქნებ, ასე იქცევა მხოლოდ იმის გამო, რომ ასე ითხოვს მისი რელიგია. რავიკს გაუკვირდა, რატომ უფრო უბედურად არ გრძნობდა თავს.

## თავი ოცდამესამე

- აი, მეც დავბრუნდი, რავიკ, - უთხრა კეტ ჰეგსტრემმა.

ძლიერ გამხდარი ქალი თავის ნომერში იჯდა, ოტელ „ლანკასტერში“. ლოყები ჩავარდნოდა, თითქოს შიგნით კუნთები სკალპელით გადაუფხეკიათო. უფრო მკვეთრად უჩანდა სახის ნაკვთები, კანი აბრეშუმს უგავდა, დაცრეცილსა და დახევაზე მიმდგარს.

- მე კი ისევ ფლორენციაში მეგონეთ... ან კანში... ან ამერიკაში, - უთხრა რავიკმა.

- მთელი ამ ხნის განმავლობაში ფლორენციაში ვცხოვრობდი, ფიეზოლეში. ბოლო დროს ცუდად გავხდი, ცხოვრება აუტანელი გახდა. გახსოვთ, სულ იმას გთხოვდით, ჩემთან ერთად გამოემგზავრეთ-მეთქი? წიგნები, ბუხარი, წყნარი საღამოები, სიმშვიდე. წიგნები იქ ნამდვილად იყო, ცეცხლიც ენთო ბუხარში... მაგრამ სიმშვიდე!.. წარმოიდგინეთ, რავიკ, თვით ფრანცისკ ასიზელის[12] ქალაქიც კი ხმაურიანი გახდა, ხმაურიანი და მოუსვენარი, როგორც მთელი იტალია. იქ, სადაც ფრანცისკი სიყვარულს ქადაგებდა, ახლა ფაშისტურ ფორმაში გამოწყობილი ვაჟბატონები დააბიჯებენ მწყობრად, განდიდების მანიით შეპყრობილნი, ფუჭი და მაღალფარდოვანი სიტყვებითა და სხვა ხალხთა სიძულვილით მთვრალნი.

- მაგრამ ეს ხომ მუდამ ასე იყო, კეტ.

- არა, მუდამ არა. ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინ ჩემი მოურავი გულუბრყვილო ტეტია იყო, ხავერდის შარვალს ატარებდა და თავისი ხელით შეკერილი ფლოსტები ეცვა. ახლა ნამდვილი გმირია, ჩექმებიანი და შავპერანგიანი, ოქროსვარაყიანი ხანჯლებით აჩონჩხლილი. დაუსრულებლად გამოდის მოხსენებებით - ხმელთაშუა ზღვა იტალიის უნდა გახდეს, ინგლისი უნდა განადგურდეს, ნიცა, კორსიკა და სავოია იტალიას უნდა დაუბრუნდეს. რავიკ, ეს მშვენიერი ხალხი, რომელსაც დიდი ხანია ომი არ მოუგია, თითქოს ჭკუიდან შეშლილა მას შემდეგ, რაც შესაძლებლობა მისცეს, მოეპოვებინა გამარჯვებები აბისინიასა და ესპანეთში. ჩემი მეგობრები, ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინ, სრულიად გონიერი ხალხი იყო. დღეს კი სერიოზულად სჯერათ, რომ ინგლისს, სულ რაღაც სამ თვეში, ანგარიშს გაუსწორებენ. მთელი ქვეყანა დუღს და ბორგავს. განა რა მოხდა? ვენიდან გავექეცი მიხაკისფერი პერანგების ნიაღვარს, ახლა კი იძულებული გავხდი, დამეტოვებინა იტალია, თავი დამეღწია შავპერანგიანების სიგიჟისთვის. ამბობენ, სადღაც მწვანეპერანგიანებიც არიანო. ამერიკაში, ალბათ, ვერცხლისფერს ატარებენ... ნუთუ მთელი ქვეყნიერება პერანგომანიის ძალაუფლების ქვეშ მოექცა?

- ჩანს, ასეა. მაგრამ მალე ყველაფერი შეიცვლება. ერთადერთი ფერი ალისფერი გახდება.

- ალისფერი?

- დიახ, ალისფერი, სისხლისფერი.

კეტმა ფანჯარაში გაიხედა. ჩამავალი მზის ნათელი რბილ მწვანე ბინდბუნდად იღვრებოდა წაბლის ხეების ფოთლებში.

- ეს დაუჯერებელია, - თქვა ქალმა. - ორი ომი ოც წელიწადში! უკანასკნელისაგან ჯერ წელში ვერ გავმართულვართ.

- გაწამებულნი არიან მხოლოდ გამარჯვებულნი. დამარცხებულნი ფრიად საომარ განწყობილებაზე გახლავან. გამარჯვება უდარდელობას იწვევს.

- იქნებ, მართალიც იყოთ. - ქალმა გადახედა. - ეს მალე მოხდება?

- ვშიშობ, რომ მალე.

- როგორ ფიქრობთ, ომის დაწყებამდე ვიცოცხლებ?

- რატომაც არა? - რავიკი კეტს მიაშტერდა. ქალმა მის მზერას გაუძლო. - იყავით პროფესორ ფიოლასთან? - ჰკითხა ექიმმა.

- დიახ, შევიარე ერთი-ორჯერ. ის ერთი იმ მცირერიცხოვანთაგანია, ჯერ რომ არ შეჰყრია შავი ჭირი.

რავიკი დუმდა. ელოდა, კიდევ რას იტყვისო.

კეტმა მაგიდიდან მარგალიტის მძივი აიღო და თამაში დაიწყო. მის გრძელსა და წვრილ თითებს შორის მარგალიტის მარცვლები ძვირფას კრიალოსანს ჰგავდა.

- თითქოს მარადიული ურია ვიყო, - თქვა ქალმა, - სიმშვიდეს ვეძებ. მაგრამ, ეტყობა, შესაფერისი დრო ვერ შევარჩიე. სიმშვიდე აღარსად არის. იქნებ აქ... და აქაც სულ ცოტა.

რავიკი მარგალიტს შესცქეროდა, უფორმო რუხ მოლუსკებში რომ შეიქმნა, როცა მათში უცხო სხეული, რაღაც ქვიშის მარცვალი შეიჭრა. შემთხვევითმა გაღიზიანებამ შექმნა ნაზად მოციმციმე მშვენიერება. საკვირველი არ არის? - ფიქრობდა რავიკი.

- თქვენ ამერიკაში აპირებდით წასვლას, კეტ, - უთხრა ქალს. - ყველა, ვისაც შეუძლია ევროპის დატოვება, უნდა გაემგზავროს, გაერიდოს. აქ აღარაფერი გესაქმებათ.

- გინდათ, თავიდან მომიცილოთ?

- ღმერთმა დამიფაროს. მაგრამ მახსოვს, თვითონვე თქვით, მოვრჩები საქმეებს და ამერიკაში წავალო.

- მართალია. ახლა კი გადავწყვიტე მგზავრობის გადადება. ჯერჯერობით აქ ვიცხოვრებ.

- რა სახალისოა ზაფხულში პარიზში ცხოვრება? მტვერსა და სიცხეში?

ქალმა მარგალიტი განზე გადადო.

- და თუ ეს ზაფხული უკანასკნელია?

- რატომ უკანასკნელი?

- მე ხომ სამუდამოდ მივდივარ?

რავიკს ხმა არ ამოუღია. ხომ არაფერი იცისო, გაიფიქრა, რა უთხრა ფიოლამ?

- როგორ მიდის საქმე „შეჰერეზადაში“? - იკითხა კეტმა.

- დიდი ხანია, არ შემივლია. მოროზოვი ამბობს, საღამოობით ხალხით არისო გაჭედილი. ასეა, საერთოდ, ღამის კლუბებში.

- ახლაც კი, მკვდარ სეზონზე?

- დიახ, წარმოიდგინეთ, ამ გახურებულ ზაფხულში, როცა გასართობ დაწესებულებათა უმრავლესობა, როგორც წესი, იკეტება. ეს გაოცებთ?

- სულაც არა. ყველა ცდილობს გამოჰგლიჯოს ცხოვრებას ყველაფერი, რისი გამოგლეჯაც შეუძლია, ვიდრე აღსასრულის დღე არ დაუდგება.

- რაც მართალია, მართალია - თქვა რავიკმა.

- ხომ ვერ მიმიყვანთ როგორმე „შეჰერეზადაში“?

- რა თქმა უნდა, კეტ. როცა გნებავთ. მეგონა, უკვე თავი მოგაბეზრათ.

- მეც ასე მეგონა. მაგრამ ახლა სხვანაირად ვფიქრობ. მეც მინდა გამოვგლიჯო ცხოვრებას ყველაფერი, რაც შემიძლია.

რავიკმა ისევ გაკვირვებით შეხედა.

- კარგი, კეტ, - უთხრა, - როცა გნებავთ, მზად ვარ, გემსახუროთ.

რავიკი წამოდგა. კეტმა გასასვლელისაკენ გააცილა და კართან შეჩერდა. ძალზე გამხდარი იყო. ისეთი მშრალი, აბრეშუმივით კანი ჰქონდა, იფიქრებდით, შევეხები თუ არა, შრიალს დაიწყებსო. თვალებიც, თითქოს, უფრო გაფართოებოდა. ცხელი, მშრალი ხელი გაუწოდა.

- რატომ არ მითხარით, რა მჭირდა? - ჰკითხა ისე, სხვათა შორის, ვითომ ამინდის ამბავს ეკითხებოდა.

რავიკი ხმის ამოუღებლად შესცქეროდა.

- გავუძლებდი, - დასძინა ქალმა და გაიღიმა ოდნავ ირონიული ღიმილით. ამ ღიმილში საყვედურის ნასახიც არ იყო. - ნახვამდის, რავიკ.

უკუჭო კაცი გარდაიცვალა. სამი დღე განუწყვეტლივ კვნესოდა. მორფი თითქმის აღარ შველოდა. რავიკმა და ვებერმა იცოდნენ, რომ მოკვდებოდა. შეეძლოთ, ეხსნათ სიკვდილისწინა ტანჯვისაგან, მაგრამ არ გააკეთეს, რადგან არსებობს რელიგია, რომელიც მოყვასის სიყვარულს ქადაგებს და კრძალავს ზედმეტი ტანჯვისაგან მის განთავისუფლებას. არსებობს კანონიც, ამ რელიგიის დარაჯად მდგარი.

- ნათესავებს გაუგზავნეთ დეპეშა? - ჰკითხა რავიკმა.

- არ ჰყავს, - მიუგო ვებერმა.

- ნაცნობებს მაინც.

- არავინ ჰყავს.

- არავინ?

- დიახ, არავინ. მოვიდა მხოლოდ მეკარე ქალი იმ სახლისა, სადაც ცხოვრობდა. წერილები არასოდეს მოსდიოდა, იღებდა მხოლოდ უნივერსალური მაღაზიების კატალოგებს და სამედიცინო ბროშურებს ალკოჰოლიზმზე, ტუბერკულოზზე, ვენერიულ სნეულებებსა და ასე შემდეგ. არავინ ნახულობდა, თვითონვე გადაიხადა ოპერაციის ფული და წინასწარ შეიტანა კლინიკისათვის მთელი თვის გადასახადი. ორი კვირაც არ წოლილა. მეკარე ქალი ამტკიცებს, მთელი თავისი ქონება მიანდერძა, რადგან ვუვლიდიო... ახლა იმ ორი კვირის ფულს ითხოვს, ავადმყოფს რომ გამოუყენებელი დარჩა. მას რომ მოვუსმინოთ, განსვენებულისათვის თითქმის მშობელი დედა ყოფილა. ამბობს, მე თვითონაც ცოტა ხარჯი კი არ გამიწევიაო იმ კაცზე, ბინის ქირა შევიტანეო. მე ვუთხარი, კლინიკაში მკურნალობისათვის წინასწარ გადაიხადა ფული, ბინის ვალი როგორღა დაედო, თუმცა, ყველაფერს პოლიცია გაარჩევს-მეთქი. პასუხად წყევლა-კრულვა მომაყარა...

- ფული! - თქვა რავიკმა. - რას არ მიმართავენ ადამიანები ფულის გულისათვის!

ვებერმა გაიცინა.

- პოლიციას უნდა შევატყობინო. დაე, იზრუნოს ყველაფრისათვის, დაკრძალვისთვისაც.

რავიკმა ერთხელ კიდევ გადახედა უკუჭო და უთვისტომო ადამიანს. უკანასკნელ საათს სახე ისე შეეცვალა, როგორც არ შესცვლია, ალბათ, მთელი თავისი ცხოვრების ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში. სიკვდილის წინ დამანჭულ სახეს ნელა ეუფლებოდა სიკვდილის მკაცრი ხატება. ყველაფერი ანაზდეული თანდათან ქრებოდა, კვდომის ნიშნები წარიხოცნენ და დამახინჯებულ, უფერულ სახეზე უხმაუროდ დამკვიდრდა მარადისობის ნიღაბი.

რავიკი პალატიდან გავიდა. დერეფანში მომვლელ დას შეეჩეხა.

- მეთორმეტე პალატის პაციენტი გარდაიცვალა, - უთხრა რავიკმა. - ნახევარი საათის წინ. აღარ დაგჭირდებათ ღამღამობით მის ლოგინთან ჯდომა, - დის დაბნეული სახის დანახვაზე დაუმატა: - არაფერი გაჩუქათ?

- არა, - მიუგო ცოტა შეყოვნებით, - ძალიან პირქუში იყო ის მუსიე. უკანასკნელ დღეებში ხომ ერთთავად დუმდა.

- ჰო, ბოლო დღეებში ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა.

მოწყალების დამ რავიკს მუყაითი დიასახლისის თვალით შეხედა.

- გასაოცარი ნესესერი ჰქონდა. ერთიანად ვერცხლისა. მამაკაცისათვის ზედმეტად კოხტაც კი. უფრო მანდილოსანს დამშვენდებოდა...

- ეს განსვენებულისათვის ხომ არ გითქვამთ?

- კი, როგორღაც სიტყვას მოჰყვა სამშაბათს, ღამით, როცა თითქოს მოიხედა. ვერცხლი მამაკაცსაც შვენისო, მითხრა. ჯაგრისიც კარგიაო. ასეთებს ახლა აღარ აკეთებენო... საერთოდ კი, ძალიან სიტყვაძუნწი კაცი იყო.

- ახლა ყველაფერს პოლიცია წაიღებს. განსვენებულს ნათესავები არ დარჩენია.

მოწყალების დამ გულდაწყვეტილმა დაუდასტურა.

- სამწუხაროა. ვერცხლი გაშავდება. ჯაგრისიც წახდება, უსარგებლოდ თუ დააგდებენ. მაგარი გასარეცხია.

- მართლაც, საწყენია, - უთხრა რავიკმა. - უკეთესი იქნებოდა, თქვენს ხელში მოხვედრილიყო.

ქალმა მადლობის ნიშნად გაიღიმა.

- ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ. არაფრის იმედი არ მქონია. მომაკვდავები იშვიათად იძლევიან საჩუქრებს. მხოლოდ - მოსარჩენები. მომაკვდავებს არ სჯერათ, რომ მოკვდებიან. ამიტომაც არაფერს იძლევიან. ზოგჯერ კიდევ ბოღმა ერევათ და ამიტომაც არ იძლევიან. ვერ წარმოიდგენთ, ექიმო, რამდენად საძაგლები არიან ზოგჯერ მომაკვდავები! რას არ მოისმენ მათგან, ვიდრე უფალს არ მიჰბარდებიან!

ბავშვურად ლოყაწითელ ქალიშვილს ნათელი, ღია და გაშლილი სახე ჰქონდა. რაც გარშემო ხდებოდა, სულაც არ ანაღვლებდა. არაფერი აღელვებდა, რაც უშუალოდ მის პატარა სამყაროს არ ეხებოდა. მომაკვდავნი მისთვის მხოლოდ ურჩი ან უმწეო ბავშვები იყვნენ. უნდა მიეხედა, უნდა მოევლო უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ეს იყო და ეს. მერე მათ სხვა ავადმყოფები ცვლიდნენ, ზოგი რჩებოდა და საჩუქრებს აძლევდა, ზოგიც არაფერს აჩუქებდა ხოლმე, სხვები უბრალოდ იხოცებოდნენ. ასეთი იყო წესი და ამის გამო აღელვება ზედმეტად მიაჩნდა. ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო სხვა რამ: ხომ არ დაუკლებენ ოცი პროცენტით ფასებს ბომარშეს უნივერსალურ მაღაზიაში?.. ხომ არ ითხოვს კუზენი ჟანი ანა კუტიურიეს?

ჰო, ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, გაიფიქრა რავიკმა, პატარა სამყარო, ადამიანს რომ ქაოსით მოცული უზარმაზარი სამყაროსაგან თიშავს. ეს რომ არ იყოს, რა დღე დაგვადგებოდა?

რავიკი მაგიდას უჯდა კაფე „ტრიუმფის“ წინ. თბილი და ნათელი ღამე იყო. სადღაც შორს, ღრუბლიან ცაზე უხმაუროდ ენთებოდა ელვის ენები. ტროტუარზე ხალხის ნაკადი მიედინებოდა. რავიკს ვიღაც ქალი მიუჯდა გვერდით, ლურჯი ატლასის კოპწია ქუდი ეხურა.

- ვერმუტით ხომ არ გამიმასპინძლდებით? - ჰკითხა.

- გაგიმასპინძლდები, ოღონდ მომეშვი, პაემანზე ვარ.

- ლოდინი ორსაც შეუძლია.

- არ გირჩევ. ჩემპიონ ქალს ველოდები, ისიც კრივში.

ქალმა გაიღიმა. ისე სქლად წაეცხო პუდრი და პომადა, რომ სახე თეთრ ნიღაბს მიუგავდა, ღიმილი მხოლოდ ტუჩების კიდეებზე გამოეხატა.

- მე წამომყევით, - შესთავაზა. - გასაგიჟებელი ოთახი მაქვს, არც თვითონა ვარ ურიგო.

რავიკმა უარის ნიშნად თავი გადააქნია და მაგიდაზე ხუთი ფრანკი დადო.

- აიღე და კარგად იყავი. ყოველივე კარგს გისურვებ.

ქალმა საკრედიტო ქაღალდი აიღო, დაკეცა და წვივსაკრავში ჩაიჩარა.

- ნაღველი მოგაწვათ? - ჰკითხა რავიკს.

- არა.

- იმიტომ გეკითხებით, რომ ნაღვლის წამალიც ვიცი... ერთი კარგი ამხანაგი მყავს, - დაუმატა მცირე ხნის შემდეგ. - ქორფაა, ეიფელის კოშკისოდენა მკერდი აქვს.

- როგორმე სხვა დროს.

- არ გინდა და ნუ გინდა.

ქალი გვერდით მაგიდასთან მივიდა და დაჯდა. კიდევ რამდენჯერმე გამოხედა რავიკს, მერე სპორტული გაზეთი იყიდა და უკანასკნელ შეჯიბრებათა ანგარიშების კითხვა დაიწყო.

რავიკი ყურადღებით აკვირდებოდა ადამიანებს, უწყვეტ ნაკადებად რომ მიმოდიოდნენ პატარა მაგიდებს შორის. ორკესტრი ვენის ვალსებს უკრავდა. ხშირად ელავდა.

ვიღაც ქალიშვილი რავიკის წინ გაჩერდა და ყურადღებით შეათვალიერა. მისი სახე ნაცნობი ეჩვენა, მაგრამ განა ცოტა ხალხი შეხვედრია თავის ცხოვრებაში? გაუბედავ ქუჩის მეძავსა ჰგავდა, ისეთებს, თავიანთ ბედსა და უმწეობაზე ჩივილი რომ უყვართ.

- ვერ მიცანით? - ჰკითხა ქალიშვილმა.

- რა თქმა უნდა, გიცანით, - მიუგო რავიკმა, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, ვის ელაპარაკებოდა, - როგორა ხართ?

- გმადლობთ, გვარიანად. მაგრამ თქვენ, მგონი, მაინც არ იცით, ვინა ვარ.

- სახელებს ცუდად ვიმახსოვრებ, მაგრამ თქვენი სახე მეცნობა. დიდი ხანია, არ შეგხვედრივართ.

- ჰო, დიდი ხანია. აი, კარგი შიში კი აჭამეთ მაშინ ბობოს, - ქალმა გაიცინა. - თქვენ ხომ სიკვდილს გადამარჩინეთ, ახლა კი ვერც მცნობთ.

ბობო... სიკვდილს გადაარჩინა... რავიკმა ყველაფერი გაიხსენა.

- აჰ, რა თქმა უნდა, - უთხრა, - ლუსიენა ხართ. მაშინ ავად იყავით, ახლა კი ჯანმრთელი ხართ, ამიტომაც უცბად ვერ გიცანით.

ლუსიენას სახე გაუნათდა.

- როგორც იქნა, მართლა მოგაგონდით! პირდაპირ არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა ასი ფრანკისათვის, მაინც რომ გამოსტაცეთ იმ მეან ქალს.

- აჰ, აი, თურმე რისთვის... ჰო, ჰო... - მადამ ბუშესთან რომ მარცხი განიცადა, მაშინ რავიკმა თავისი ასი ფრანკი გაუგზავნა ლუსიენას. - სამწუხაროდ, მთლიანად გამორთმევა არ მოხერხდა.

- ამისთვისაც მადლობელი ვარ. არც ამისი იმედი მქონდა.

- კმარა ფულზე ლაპარაკი... ხომ არ დალევთ ჩემთან ერთად, ლუსიენა?

ლუსიენამ თავი დაუქნია და მაგიდის კიდესთან ჩამოჯდა.

- ჭიქა „ჩინზანო“ სელტერის წყლით, - ითხოვა. - როგორ ცხოვრობ, ლუსიენა?

- ძალიან კარგად.

- კიდევ ბობოსთან ხარ?

- ჰო, რა თქმა უნდა. მაგრამ ახლა სხვანაირი გახდა. შეიცვალა, უკეთესია.

- მოხარული ვარ.

აღარ იცოდა, რაზე ელაპარაკა. პატარა მკერავი ქალი პატარა მეძავად იქცა. აი, რისთვის განკურნა. დანარჩენზე ბობომ იზრუნა. ფეხმძიმობის შიში აღარ ჰქონდა, ამით ქალმა დამატებითი საბაბი იშოვა იმისათვის, რომ თავი გაეყიდა. ახლა იწყებდა და ბავშვურობა, ჯერ კიდევ რომ შემორჩენოდა, ძლიერ იზიდავდა ხნიერ, გამოცდილ მამაკაცებს - ფაიფურის პატარა ქანდაკად მიაჩნდათ, ჯერაც რომ საღებავი არ შეშრობია და ფერი არ გადასვლია. ყველაფერი ეს საკმაოდ სამწუხარო იყო, თუმცა განსაკუთრებით სანანებელიც არაფერი გახლდათ. ცხოვრების ჩვეულებრივი ნატეხი მიცურავდა ჩვენ გვერდით.

- კმაყოფილი ხართ? - ჰკითხა ლუსიენას.

ქალმა თავი დაუქნია, კიო. სახეზე შეატყო, მართლა კმაყოფილი ჩანდა. მისთვის ეს ყველაფერი ბუნებრივი იყო და არა ტრაგიკული.

- მარტო ხართ? - ჰკითხა რავიკს.

- ჰო, ლუსიენა.

- მარტო, ასეთ საღამოს?

- წარმოიდგინეთ.

მორცხვად შეხედა და გაუღიმა.

- არსად მეჩქარება, - უთხრა ქალმა.

ეშმაკმა დალახვროს, გაიფიქრა რავიკმა. ნუთუ ისეთი სახე მაქვს, რომ ყოველი მეძავი ჩემთან მოძვრება თავისი ნუგეშის ცემით?

- ძალიან შორს ცხოვრობ, ლუსიენა. მე კი დრო არ მაქვს.

- ჩემთან, სულერთია, ვერ მოხვალთ. ბობომ არაფერი არ უნდა იცოდეს.

რავიკმა ყურადღებით გადახედა.

- ბობომ ამაზე არაფერი იცის?

- არა, რატომ? ყველაფერი იცის. თვალყურს მადევნებს, და მერე როგორ! - გაიღიმა. - ნამდვილი ბავშვია. ეშინია, ნაშოვნი ფული არ დამიმალოსო. თქვენ კი ფულს არ გამოგართმევთ.

- ამიტომ არაფერი არ უნდა გაიგოს ბობომ?

- არა, ამიტომ კი არა. თქვენზე იეჭვიანებს და მაშინ ყველაფრის ჩადენა შეუძლია.

- სხვებზე არ ეჭვიანობს?

ლუსიენამ გაოცებით მიაშტერა თვალები.

- არა, რას ბრძანებთ! ეს ხომ მხოლოდ საშოვარია.

- მაშ, გამოდის, რომ მხოლოდ მაშინ ეჭვიანობს, როცა ფულს არ იღებ?

ლუსიენამ ერთბაშად ვერ უპასუხა, სახეზე ალმურმა გადაჰკრა.

- მთლად ასე კი არ არის. ეჭვიანობს, თუ ჰგონია, რომ საქმე მარტო ფული არ არის... - აქ ისევ წაიბორძიკა. - ერთი სიტყვით, როცა რაიმეს ვგრძნობ...

იჯდა, თავიც არ აუწევია. რავიკმა მისი ხელი აიღო, ობოლივით რომ ედო მაგიდაზე.

- ლუსიენა, - უთხრა, - დიდი გულკეთილობაა შენი მხრივ, რომ მომიგონე და ჩემთან გავლა ისურვე. მომხიბლავი ქალიშვილი ხარ და მომწონხარ. მაგრამ არ შემიძლია დავწვე იმ ქალთან, რომელსაც ოპერაცია გავუკეთე, გამიგე?

შავი გრძელი წამწამები ასწია და თავის დაქნევით დაუმოწმა.

- კი, - უთხრა და წამოდგა. - მაშინ წავალ.

- მშვიდობით, ლუსიენა. ყველაფერ კარგს გისურვებ. თავს გაუფრთხილდი, ავად არ გახდე.

- ჰო.

რავიკმა ფურცელზე რაღაც დაწერა.

- აი, ეს იშოვე, თუ ჯერ კიდევ არა გაქვს. ძალიან კარგია. და მთელ ფულს ნუ აძლევ ბობოს.

ლუსიენამ გაიცინა და თავი დაუქნია. ორივემ იცოდა, რომ ამ დარიგებას ვერ შეასრულებდა.

რავიკმა თვალი გააყოლა, ვიდრე ქალი ხალხში არ მიიმალა. შემდეგ კელნერი მოიხმო...

ლურჯქუდიანმა ქალმა გვერდით ჩაუარა. მთელი სცენა დაინახა. დაკეცილი გაზეთი დაუქნია, გაიკრიჭა და ჩასმული კბილები გამოაჩინა.

- ან ცვედანი ხარ, ან მამაღმერთი, ჩემო კარგო, - უთხრა მეგობრულად და ჩაუარა. - დიდი მადლობა, წარმატებას გისურვებ.

თბილი ღამე იყო, რავიკი ქუჩას მიუყვებოდა. ქალაქის თავზე კვლავინდებურად ელავდა, მაგრამ ჰაერი უძრავი რჩებოდა. ლუვრის შესასვლელი გაჩახჩახებული იყო, კარი - ღია. რავიკი მუზეუმში შევიდა.

ერთი ისეთი საღამო იყო, როცა ლუვრი გვიან საღამომდე ღიაა ხოლმე. ზოგიერთ დარბაზში შუქი ენთო. რავიკმა ძველი ეგვიპტური ხელოვნების განყოფილებას ჩაუარა, უზარმაზარ გაჩირაღდნებულ აკლდამას რომ ჰგავდა. აქ იდგნენ ქვისაგან გამოკვეთილი ფარაონები, სამი ათასი წლის წინ რომ ცხოვრობდნენ. გრანიტის გუგებით დასცქეროდნენ მათ ფერხთით მოყიალე სტუდენტებს, მოდიდან გადასულ ფართოქუდებიან ქალებს და ხანდაზმულ, მოწყენილ მამაკაცებს. აქ მტვრის, შეხუთული ჰაერისა და უკვდავების სუნი იდგა.

ძველი საბერძნეთის განყოფილებაში, ვენერა მილოსელის ქანდაკების წინ, ერთიმეორეს ეჩურჩულებოდნენ ვიღაც ქალიშვილები, სულაც არა მისი მსგავსნი. რავიკი შეჩერდა. ეგვიპტელთა გრანიტისა და მომწვანო სიენიტის შემდეგ, ბერძენთა მარმარილოს ქანდაკებები რაღაც დეკადენტური ეჩვენა. თვინიერი, ხორცსავსე ვენერა რაღაცით მოაგონებდა გულდამშვიდებულ, მობანავე დიასახლისს. ლამაზი და უდარდელი ქალი იყო. ბერძნები დახურულ დარბაზში გამოეფინათ და ეს კლავდა მათ. სხვა საქმეა ეგვიპტელები: მათ ქმნიდნენ აკლდამებისა და ტაძრებისათვის. ბერძნებს კი ესაჭიროებოდათ მზე, ჰაერი და ათენის ოქროს შუქით გასხივოსნებული კოლონადები.

რავიკმა გზა განაგრძო. მის თავზე აღმართულიყო უზარმაზარი დარბაზი თავისი კიბით. სულ ქვემოთ კი სამოთრაკიელი ნიკე აფრენილიყო. დიდი ხანია არ ენახა რავიკს ეს ქანდაკება. ბოლოს რომ იყო აქ, თითქოს უბადრუკი და უსახური ეჩვენა იგი. მუზეუმის ფანჯრიდან ზამთრის დღის უღიმღამო შუქი შემოდიოდა და გამარჯვების ქალღმერთი თითქოს სიცივისაგან მობუზულიყო. ახლა კი იდგა მაღალი კიბის თავზე, მარმარილოს ხომალდის ნამუსრევზე, იდგა პროჟექტორების შუქით განათებული, გაბრწყინებული, ფართოდ გაშლილი ფრთებით, გასაფრენად გამზადებული, თითქოს, სადაცაა, შეინავარდებსო. ქარისგან აფრიალებული სამოსი მჭიდროდ ეკვროდა წინ წამოწეულ ტანს... გეგონებოდათ, მის ზურგს უკან სალამინის ღვინისფერი ზღვა ბობოქრობს, თავს ზემოთ კი მუქი ხავერდოვანი ცა გადაშლილაო.

ნიკე სამოთრაკიელმა არაფერი იცოდა მორალზე. არავითარი პრობლემა არ აწუხებდა. არ განეცადა ქარიშხლები, სისხლში მძვინვარე ქარტეხილები. იცოდა მხოლოდ გამარჯვება ან დამარცხება, არ ხედავდა მათ შორის თითქმის არავითარ განსხვავებას. არავის ხიბლავდა, მხოლოდ იზიდავდა. უზრუნველად დანავარდობდა. არავითარი საიდუმლოება არ ჰქონდა და მაინც, ეს ნიკე ადამიანს აღელვებდა მეტად, ვიდრე ვენერა, თავის სირცხვილს რომ ფარავს, რათა აღძრას სურვილი. ნიკე ფრინველთა და ხომალდების ნათესავი იყო - ქარის, ტალღების, ჰორიზონტის... არ ჰქონდა სამშობლო.

არ ჰქონდა სამშობლო, გაიფიქრა რავიკმა. არც ესაჭიროებოდა. ყოველ გემზე თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. მისი სტიქია იყო სიმამაცე, ბრძოლა და დამარცხებაც კი: სასოწარკვეთილება ხომ უცხოა მისთვის. მარტო გამარჯვების ქალღმერთი კი არ იყო, არამედ ქალღმერთი რომანტიკოსთა და მოხეტიალეთა, ემიგრანტების ქალღმერთიც, თუ იარაღს არ ყრიან.

რავიკმა მიმოიხედა. დარბაზი დაცარიელდა. ბედეკერებით[13] აღჭურვილი სტუდენტები და ტურისტები შინ წავიდნენ... სახლი... ვინც დევნილია, მხოლოდ ერთი სახლი აქვს, ერთი ჭერი და თავშესაფარი - სხვა ადამიანის მღელვარე გული. ისიც მცირე ხნით. ამიტომ ხომ არ შეარყია მის სულში, დევნილის სულში შეჭრილმა სიყვარულმა, ამიტომ ხომ არ დაეუფლა ასე უსაშველოდ მის არსებას გრძნობა ციური? სიყვარულის მეტი ხომ არაფერი დარჩენია. ამიტომ ხომ არ გაურბოდა მას? მაგრამ განა არ დაედევნა, არ დაეწია და ძირს არ დასცა? უცხოეთის მერყევ მიწაზე ბევრად ძნელია ფეხზე წამოდგომა, ვიდრე მშობლიურზე.

ეს რა დალანდა? რაღაც პატარა, მოცახცახე, თეთრმა არსებამ ჩაუქროლა: პეპელა იყო. ალბათ, ღია კარში შემოფარფატდა; ტუილრის პარკის ყვავილნარებიდან, სადაც ვარდების სურნელებით მთვრალს ეძინა; იქნებ, რომელიმე შეყვარებულმა წყვილმა შეაშინა; ქალაქის ცეცხლებმა - უთვალავმა უცხო და ზარდამცემმა მზემ - მზერა დაუბნელეს, და შეეცადა, მხსნელ ბინდში, ფართო შესასვლელი კარის მიღმა ეპოვა თავშესაფარი... და აი, ახლა სასოწარკვეთილის შეუპოვრობით ტრიალებს უზარმაზარ დარბაზში, სადაც სიკვდილი ელის... პეპელა მალე დაიღლება და დაიძინებს ლავგარდანზე, ფანჯრის რაფაზე ან ქალღმერთის მხარზე, მაღლა, ჰაერში რომ ციმციმებს... დილით ისევ გაფრინდება ყვავილების, ოქროსფერი მტვრისა და სიცოცხლის საძებნელად. რომ ვერ იპოვის, ბოლოს ქანცგაწყვეტილი ჩამოჯდება ისევ ათასწლოვან მარმარილოზე, დაიძინებს და იძინებს, ვიდრე ნაზი ფეხები არ დაუსუსტდება. მაშინ დავარდება, ნაადრევი შემოდგომის თხელი ფურცელი.

რა სისულელეა, გაიფიქრა რავიკმა. გულის ამაჩუყებელი, სენტიმენტალური სისულელე! გამარჯვების ქალღმერთი და ლტოლვილი პეპელა. მაგრამ სხვა რა გვაღელვებს, თუ არა ისევ ეს იაფფასიანი საგნები, იაფფასიანი სენტიმენტალობა? ბოლოს და ბოლოს, რამ გახადა იაფფასიანი? მათმა უდავო დამაჯერებლობამ. ყელში რომ გწვდებიან, სნობიზმის კვალიც აღარა რჩება. პეპელა ზედ გუმბათზე აფრინდა და ბნელში დაიკარგა. რავიკი ლუვრიდან გამოვიდა. სახეზე თბილი ჰაერი მოხვდა და ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს აბაზანაში ჩაიძირაო. შეჩერდა. იაფფასიანი გრძნობები! განა, თვითონვე არ გახდა მათ შორის ყველაზე უფრო იაფის მსხვერპლი? საუკუნეთა ჩრდილში შეფარებული სასახლე მუზეუმის წინ გადაშლილ ფართო მოედანს გადასცქეროდა. ანაზდად მოეჩვენა, რომ სეტყვასავით დაუშინეს მუშტები. ძლივს შეიმაგრა თავი, რომ არ წაქცეულიყო. ჯერ კიდევ ელანდებოდა თეთრი, ფრთაგაშლილი ნიკე, მაგრამ მის ზურგს უკან წყვდიადიდან მოცურავდა ქალის სახე, იაფი და ფასდაუდებელი, მისი წარმოსახვა რომ დაფანტა და დააბნია, როგორც ინდური შალი იხლართება ვარდის ეკლიან ბუჩქებში. აი, სწევს შალს, მაგრამ ეკლები უფრო ღრმად ესობიან და აკავებენ. მჭიდროდ ეკვრიან ოქრომკედისა და აბრეშუმის ძაფებს და ისე იხლართებიან, რომ თვალი ვეღარ არჩევს, სადაა ეკლები და სად - მოციმციმე ქსოვილი.

სახე! სახე! ვინ კითხულობს, იაფია თუ ფასდაუდებელი? ყოველივე ეს შეიძლება, იკითხო, ვიდრე არ გაბმულხარ, მაგრამ თუ გაები, ვეღარაფერი დაგიხსნის. შენ გაკავებს სიყვარული და არა ადამიანი, შემთხვევით რომ ატარებს მის სახელს. შენ დაბრმავებული ხარ წარმოსახვის თამაშით. განა, შეგიძლია, მსჯელობა და შეფასება? სიყვარულმა არ იცის არც ზომა, არც ფასი.

ცამ დაბლა დაიწია. უხმაურო ელვის ენები წყვდიადიდან მძიმე ტყვიისფერ ღრუბლებს იტაცებს. მოახლოებული ჭექა-ქუხილი ათასობით ბრმა თვალით იჭყიტებოდა სახლის ფანჯრებში. რავიკი რივოლის ქუჩას მიუყვებოდა. დახურული გალერეების სვეტების მიღმა ვიტრინები ციმციმებდა. ტროტუარს ხალხის ნაკადი მიჰყვებოდა. ერთიმეორეს მისდევდა ავტომობილები - მფეთქავი ცეცხლების დაუსრულებელი ჯაჭვი. აი, მივდივარ, ფიქრობდა რავიკი, ათასობით ჩემნაირს შორის. ნელა მივეხეტები, მოციმციმე ზიზილ-პიპილებითა და ძვირფასეულობით სავსე ვიტრინებს მივყვები. ხელები ჯიბეებში მაქვს ჩაწყობილი და მივდივარ. ვინც შემომხედავს, იტყვის, ჩვეულებრივ, სასეირნოდ გამოსულაო. მაგრამ სისხლი დუღს ჩემში, ტვინად წოდებული ლაბოვანი მასის თეთრსა და რუხ ხვეულებში. უეცრად რეალური იქცევა არარეალურად, ხოლო არარეალური - რეალურად. იდაყვებითა და მხრებით მეჯახებიან, ვგრძნობ ჩემზე მოპყრობილ თვალთა მზერას, მესმის ავტომობილების საყვირის ხმა, გნიასი; მესმის, რარიგ დუღს ჩემ გარშემო ყოველდღიური, მოგვარებული ცხოვრება, მე კი ამ მორევის შუაგულში ვარ და მაინც უფრო შორს ვარ მისგან, ვიდრე მთვარე... უცნობ პლანეტაზე ვიმყოფები, სადაც არ არის ლოგიკა, არც უდავო ფაქტები. რაღაც ხმა ჩემს არსებაში ერთთავად იმეორებს ერთსა და იმავე სახელს. ვიცი, საქმე სახელი არ არის, მაგრამ ხმა უჩინარისა სულ იძახის და იძახის, მისი პასუხი კი არის დუმილი... ასე იყო მუდამ. ამ დუმილში ჩაიხრჩო მრავალი ძახილი და ერთსაც არ მოჰყოლია პასუხი. მაგრამ ძახილი არ ცხრება. ესაა სიყვარულისა და სიკვდილის ძახილი, სიშმაგისა და ქანცგაწყვეტილი გონების ძახილი, ჯუნგლებისა და უდაბნოების ხმა. იქნებ, ვიცი ათასობით პასუხი, მაგრამ არ ვიცი ერთადერთი, რომელიც მესაჭიროება, და ვერც ვერასოდეს გავიგებ, რადგან იგი ჩემ გარეშეა და პოვნა მისი არ მიწერია...

სიყვარული! რა არ აფარებს თავს ამ სახელს! ნაზი და საამოდ ტკბილი სხეულისაკენ მიდრეკილებაც და სულის უზენაესი აფორიაქებაც; უბრალო სურვილი ოჯახის შექმნისა და ძრწოლაც, ვინმე ახლობლის სიკვდილის შეტყობით განცდილი; შმაგი, ავხორცული ვნება და იაკობის შერკინება ღმერთთან. აი, მივდივარ, ფიქრობდა რავიკი, უკვე ორმოცს გადავცილდი, ბევრი რამ მისწავლია და ხელახლა სხვაგვარად მისწავლია; დაურტყამთ, დავცემულვარ და ისევ წელში გავსწორებულვარ. ცხოვრების სიბრძნე შემიძენია; მრავალი წლის ფილტრში გატარებული, უფრო გამოწრთობილი, უფრო სკეპტიკური, უფრო მშვიდი გავხდი... არ მინდოდა სიყვარული და არ მწამდა, არ მეგონა, თუ ხელახლა მომევლინებოდა... მაგრამ მოვიდა და მთელი ჩემი გამოცდილება უსარგებლო გახადა, ცოდნა კი მხოლოდ ტკივილს მაყენებს. და რა იწვის გრძნობის ხანძარში უკეთ, ვიდრე ცინიზმი - საბედისწერო ჟამთა სიავის წლებში დამზადებული საწვავი?

*

რავიკი მიდიოდა ხმაურიანსა და ფართო ღამეში. მიდიოდა სულ წინ და წინ და დრო მისთვის შეჩერდა. ხოლო როცა გონს მოვიდა და რაფაელის ავენიუს მიღმა პარკში აღმოჩნდა, თითქმის არ გაჰკვირვებია.

სახლი პასკალის ქუჩაზე. ბუნდოვანი თეთრი ფასადი მაღლა და მაღლა მიიწევს. ზედა სართულის ზოგიერთ ოთახში შუქი ანთია. თვალით იპოვა ჟოანის ოთახი. განათებულია. შინ არის. ან, იქნებ, წავიდა და შუქი არ გამორთო. მას ხომ არ უყვარს ჩაბნელებულ ოთახში დაბრუნება. არც თვითონ უყვარს. რავიკი ახლოს მივიდა.

სახლის წინ რამდენიმე ავტომობილი იდგა, მათ შორის - ყვითელი ,,როდსტერი‘‘, ჩვეულებრივი სერიული მანქანა, სამარულოდ გადაკეთებული. ადვილად შეიძლებოდა, ,,როდსტერი‘‘ ჟოანის საყვარლისა ყოფილიყო. ზედგამოჭრილია მსახიობისათვის. ტყავის წითელი სავარძლები აქვს, პანელი, ხელსაწყოები, ზედმეტი დეტალების სიუხვე, თავი თვითმფრინავში გეგონება - ცხადია, მისი მანქანაა. ხომ არ ვეჭვიანობ, - გაიფიქრა. ვეჭვიანობ შემთხვევით ადამიანზე, რომელსაც ეს ქალი ჩაეჭიდა. ვეჭვიანობ რაღაცაზე, რომელთანაც არაფერი მესაქმება, შეიძლება, იეჭვიანო თვით სიყვარულზე, ზურგი რომ გაქცია, მაგრამ არა მის საგანზე.

პარკში დაბრუნდა. ბნელში მიცურავდა ყვავილთა ტკბილი სურნელება, მიწისა და ფოთლების სუნთან შეერთებული. მკვეთრ სუნს აფრქვევდა ყვავილები, როგორც ჭექა-ქუხილის წინ. გრძელ სკამზე ჩამოჯდა. ეს მე არა ვარ, - გაიფიქრა, - სიბერეში ფეხშედგმული საყვარელი, ჩამომჯდარი იმ ქალის ფანჯრის ქვეშ, რომელმაც მიატოვა. ეს მე არა ვარ, სურვილით აკანკალებული. უნარი მაქვს, საკუთარი გრძნობა გავკვეთო, მაგრამ უძლური ვარ, რომ მას დავეუფლო! ეს მე არა ვარ, სულელი, მზადმყოფი იმისათვის, რომ დათმოს სიცოცხლის წლები, ოღონდ შემოაბრუნოს დროის საჭე და ხელახლა დაეუფლოს ოქროსთმიან არარაობას, ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ ყურში ათასნაირ სისულელეს რომ ჩასძახოდა! არა, ეს სწორედ მე ვარ... ეშმაკმა დალახვროს! მე ვზივარ აქ, მე ვეჭვიანობ, მე ვარ გატეხილი და შესაბრალისი, და სიამოვნებით დავწვავდი ამ ყვითელ ავტომობილს!..

სიგარეტი ამოიღო. წყნარად იფერფლება. უხილავი კვამლი ასდის. ასანთის ღერი პაწაწინა კომეტასავით მიფრინავს დედამიწისაკენ... რატომ არ უნდა ავიდეს ჟოანთან? რა არის აქ ისეთი? ჯერ არც ისე გვიანია. ჯერ ისევ უნთია შუქი. თავს ღირსეულად დაიჭერს, ეს შეუძლია. რატომ არ უნდა წაიყვანოს ჟოანი თან? ახლა ხომ ყველაფერი უკვე იცის! რატომ არ უნდა წაიყვანოს, მოიტაცოს და აღარასოდეს გაუშვას?

სიბნელეში იყურებოდა... მაგრამ რას მისცემს ეს ყველაფერი? რა გამოვა აქედან? იმას, მეორეს, ხომ ვერ ამოაგდებ მისი ცხოვრებიდან! სხვისი გულიდან ვერ ამოაგდებ ვერავის და ვერაფერს... განა, არ შეეძლო, თავისთან დაეტოვებინა, საკუთარი ფეხით რომ ესტუმრა ოტელში? რატომ ასე არ მოიქცა?..

სიგარეტი გადააგდო... ასე არ მოიქცა იმიტომ, რომ მისთვის ეს საკმარისი არ იქნებოდა. რავიკს მეტი უნდოდა. მისთვის არ იკმარებდა, თუნდაც ხელახლა მოსულიყო, ისევ და ისევ მოსულიყო, თუნდაც ყველაფერი უკვალოდ გამქრალიყო და დავიწყებას მისცემოდა... რაღაც უცნაური და საშინელი კანონის ძალით ეს ცოტა იქნება, არასოდეს იკმარებს. რაღაც დაირღვა, დაიშალა... წარმოსახვის სხივი ვეღარ პოულობდა სარკეს, რომელიც უწინ იჭერდა, თითქოს ავარვარებდა და უკანვე ისროდა... ახლა იგი განზე მისრიალებდა, ბრმა სიცარიელეში იკარგებოდა და აღარაფერს შეეძლო მისი დაბრუნება, არავითარ სარკეს; და თუნდაც ათასობით სარკე ყოფილიყო, სხივის მხოლოდ ერთ პაწია ნაწილაკს თუ დაიჭერდა, მთელ სხივს კი - ვერასოდეს. დიდი ხანია, უმიზნოდ აცეცებს ხელებს სიყვარულის დაცარიელებულ ზეცაში, როგორც მანათობელ ნისლში. ვეღარასოდეს გაიცისკროვნებს საყვარლის სახე ცხრაფეროვანი ელვარებით. მაგიური წრე გაიშალა, დარჩა მხოლოდ დარდი და ჭმუნვა, იმედი კი დამსხვრეულია.

სახლიდან მამაკაცი გამოვიდა. რავიკი გასწორდა. უკან ქალი მოჰყვებოდა. ორივე იცინოდა... არა, ეს ჟოანი არ იყო. კაცი და ქალი მანქანაში ჩასხდნენ და გააქროლეს. რავიკმა ისევ მოსწია სიგარეტი... განა შეიძლება მისი შენარჩუნება? განა შეძლებდა შენარჩუნებას, სხვანაირად რომ მოქცეულიყო? შეიძლება კი საერთოდ რაიმეს შენარჩუნება, ილუზიის გარდა? ან შეიძლება კი მეტის მიღწევა? განა ბევრი ვიცით ცხოვრების მორევზე, ცნობიერების ზედაპირის ქვეშ რომ ჩუხჩუხებს, სადღაც სიღრმეში? ჩვენი გრძნობები მის ყრუ გუგუნს აქცევს სხვადასხვა საგნად - მაგიდად, ლამპად, სამშობლოდ, სიტყვად - „შენ", სიყვარულად. ვისაც გარს ევლება ეს საზარელი ბინდი, მას მხოლოდ ბუნდოვანი ვარაუდები რჩება. მაგრამ განა ეს ვარაუდები არ კმარა?

არა, არ კმარა. ხოლო თუ საკმარისია, მხოლოდ მაშინ, როცა გწამს, მაგრამ თუ კრისტალი ეჭვის მძიმე ჩაქუჩის ქვეშ დაიმსხვრა, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ დაწებება შეიძლება, მეტი არაფერი. აწებე, იცრუე და უყურე, როგორ გაჭირვებით ირეკლავს სხივებს, იმის ნაცვლად, რომ დამაბრმავებელი შუქით ციალებდეს! არაფერი არ ბრუნდება. არაფერი არ აღდგება. თუნდაც დაბრუნდეს ჟოანი, უწინდელი აღარ იქნება. დაწებებული კრისტალი. დაკარგული საათი. ვეღარავინ დააბრუნებს დაკარგულ საათს.

აუტანელი, მწვავე ტკივილი იგრძნო. თითქოს რაღაც ამსხვრევს მის გულს. ღმერთო ჩემო, ფიქრობდა, ნუთუ შემიძლია ასე ტანჯვა, სიყვარულით ტანჯვა? ჩემს თავს სხვა, გარეშე კაცის, თვალით ვუყურებ, მაგრამ ვერაფერს გავხდი საკუთარ თავთან. ვიცი, რომ თუ ჟოანი ჩემთან იქნება, ისევ დავკარგავ, და მაინც, ჩემი ვნება არ ცხრება. საკუთარ გრძნობას ისე ვკვეთ, როგორც მორგში დასვენებულ გვამს, მაგრამ არ მშველის, ასმაგად ძლიერ ტკივილებსა ვგრძნობ. ვიცი, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი გაივლის, მაგრამ არც ეს მშველის... თუმცა ვერაფერს ხედავდა, თვალები ჟოანის ფანჯარას მიაპყრო, თანაც გრძნობდა, უგუნურობამდე სასაცილო რომ იყო... მაგრამ ესეც არაფერს ცვლიდა...

უეცრად ქალაქის თავზე მეხმა იქუხა. ფოთლებზე მძიმე წვეთებმა რაკარუკი დაიწყო. რავიკი წამოდგა. ხედავდა, როგორ დაფარა ქუჩა შავი ვერცხლის შადრევნებმა. წვიმა თითქოს ამღერდა, თბილი, მსხვილი წვეთები სახეში ეცემოდა. და უეცრად რავიკი დაიბნა, ვეღარ გაიგო, სასაცილო იყო თუ საცოდავი, იტანჯებოდა თუ ტკბებოდა... იცოდა მხოლოდ ერთი - ცოცხალი იყო. დიახ, ცოცხლობდა, არსებობდა, ცხოვრება მოუბრუნდა და არყევდა საფუძვლიანად, მაყურებელი აღარ იყო, სხვათა ბედის გარეშე მეთვალყურე. ყოფიერების დიდებული განცდა აზღვავდა მის არსებაში, როგორც ალი დომენის ღუმელში, და თითქმის განურჩეველი გახდა მისთვის, ბედნიერია თუ უბედური. მთავარია ერთი: ცოცხლობდა, გრძნობდა სისხლსავსე სიცოცხლეს და ეს საკმარისი იყო!

იდგა კოკისპირულ წვიმაში, ცა თავზე ექცეოდა, თითქოს ღრუბლებიდან ტყვიამფრქვევი დაუშინესო. იდგა თავსხმა წვიმაში და თვითონ იყო წვიმა, ქარიშხალი, წყალი, მიწა... სადღაც, მიუწვდომელი სიმაღლიდან მოვარდნილი ელვის ენები მის არსებაში ერთდებოდა ჯვარედინ ცეცხლად. თვითონ იყო მძვინვარე სტიქიის რაღაც ნაწილაკი. საგნებმა სახელწოდებები დაკარგა. ვინღა გაარჩევდა, არსი ყოველი შეერთდა და შედუღაბდა - სიყვარული, ვარდნილი წყალი, სახურავების თავზე მოციაგე მკრთალი ელვარება! თითქოს მიწა ამოიბერა, ყოველივე ეს მას

ეკუთვნოდა და თითქოს თვითონ იყო ყოველივე ამის ნაწილაკი... ბედნიერება და უბედურება ახლა ეჩვენებოდა ცარიელ ფისტონებად, შორს გატყორცნილებად ძალუმი სურვილისაგან - ეგრძნო და ეცოცხლა.

- შენ კი იქ, მაღლა რომ ხარ, - მიუბრუნდა განათებულ ფანჯარას და ვერც კი შენიშნა, რომ იცინოდა. - შენ, პატარა ცეცხლო, ფატა-მორგანავ, სახევ, ეგზომ უცნაური ძალაუფლება რომ მოიპოვე ჩემზე; შენ, ამ პლანეტაზე რომ შემხვდი, სადაც არსებობს ასიათასობით სხვაც, უკეთესები, უფრო მშვენიერები, ჭკვიანნი, კეთილნი, ერთგულნი, გონიერნი... შენ, ერთხელ, ღამით, ბედის მიერ ჩემთვის დაგდებულო ცხოვრების გზაზე, უფლებამოსილო სიყვარულო, ჩემს ცხოვრებაში გაშმაგებით შემოჭრილო, სიზმრად კანში შეჭრილო; შენ, არაფერი რომ არ იცი ჩემზე, იმის გარდა, რომ წინააღმდეგობას გიწევ, და სწორედ ამის გამო მოისწრაფვი ჩემკენ... როგორც კი წინააღმდეგობის გაწევა შევწყვიტე, მაშინვე განიზრახე გზის გაგრძელება, სალამი შენდა! აგერ, აქა ვდგავარ, თუმცა მეგონა, რომ ასე აღარასოდეს დავდგებოდი. წვიმამ შეაღწია ჩემს პერანგში. იგი შენს ხელებზე, შენს კანზე უფრო თბილი, გრილი და რბილია... აი, ვდგავარ აქ, მე, საცოდავი, და ეჭვის კლანჭები შიგნეულს მისერავს; მე მინდიხარ და მძაგხარ, აღტაცებული ვარ შენით და გაღმერთებ, რადგან შენ ერთმა ისროლე მეხი და აანთე ჩემი გული, მესროლე ელვა, ყოველ წიაღში დაფარული. მან შემინთო სიცოცხლის ნაპერწკალი, შავი ცეცხლი. მე ვდგავარ აქ, გაჟღენთილი უბადრუკი სარკაზმითა და მცირეოდენი უმწეო სიმამაცით, აღარ მზარავს განურჩევლობის სუსხი. მე ისევ ცოცხალი ვარ - მართალია, ტანჯული, მაგრამ ცხოვრების ყველა ქარიშხალთან შესახვედრად ხელახლა მზადმყოფი, ხელახლა მოხვედრილი მისი ძალაუფლების ქვეშ! დაილოცე, თვალთმაქცო მადონავ, რუმინული აქცენტით მეტყველო ნიკევ! შენ ოცნება და მაცდურობა ხარ, სარკე, რომელიღაც ბნელი ღვთაების ხელით დამსხვრეული... მიიღე ჩემი მადლობა, უცოდველო! არასოდეს არაფერში არ გამოგიტყდები, რადგან იმავე წამს ყველაფერს შენს სასარგებლოდ აქცევ. მაგრამ შენ დამიბრუნე ის, რისი დაბრუნებაც ვერ შეძლო ვერც პლატონმა, ვერც ქრიზანთემებმა, ვერც გაქცევამ, ვერც თავისუფლებამ, ვერც ქვეყნიერების მთელმა პოეზიამ, ვერც თანაგრძნობამ, ვერც სასოწარკვეთილებამ, ვერც უზენაესმა და ყოვლისმომთმენმა იმედმა - შენ დამიბრუნე სიცოცხლე, უბრალო, ძლიერი სიცოცხლე, რაც დანაშაულად მიმაჩნდა ორ კატასტროფას შორის არსებულ მძიმე ხანაში! სალამი შენ! მადლობელი ვარ! უნდა დამეკარგე, რათა ეს გამეგო! სალამი შენ!..

წვიმა ქალაქს მოციმციმე ვერცხლის ზეწრად ჩამოაწვა. ყვავილებმა სურნელების ფრქვევა დაიწყო. მიწიდან მკვეთრი, თითქოს კეთილისმყოფელი სუნი ავარდა. მოპირდაპირე სახლიდან ვიღაც გამოიქცა და ,,როდსტერის'' სახურავი ასწია. ახლა ეს სულერთი იყო. ყველაფერი სულერთი იყო. ღამე ვარსკვლავებიდან ბერტყავდა წვიმას და დედამიწას აღვრიდა. ვარდნილი ნაკადები იდუმალ ანაყოფიერებდნენ ქვის ქალაქს, მის ხეივნებსა და ბაღებს. მილიონობით ყვავილი შლიდა თავის წიაღს წვიმის შესახვედრად და ჭრელ გულში იკრავდა მის წვეთებს. მილიონობით გაშლილ, ფრთაშესხმულ ტოტს ეფრქვეოდა, აღწევდა მიწის წიაღში, მოლოდინით გალეულ მილიონობით ფესვთან შესაუღლებლად. წვიმა, ღამე, ბუნება, მცენარეები - ეს ყველაფერი არსებობდა და არაფერი ესაქმებოდა ნგრევასთან, სიკვდილთან, დამნაშავეებთან და ცრუ წმინდანებთან; გამარჯვებასა და დამარცხებასთან, - ყველაფერი ეს არსებობდა, როგორც ყოველთვის. რავიკი მათ შეერწყა, შეუერთდა...

თითქოს ნიჟარა გაიხსნაო, თითქოს ახლად იფეთქა სიცოცხლემ, სასურველმა და დალოცვილმა!

რავიკი უკანმოუხედავად, აჩქარებული გაჰყვა ქუჩებსა და ბულვარებს. მიდიოდა და მიდიოდა, ბულონის ტყე ისე შეეგება, როგორც გიგანტური, მოგუგუნე სკა. წვიმას რაკარუკი გაჰქონდა ხეთა კენწეროებზე, ხეები რწევით აძლევდნენ პასუხს და რავიკს მოეჩვენა, რომ ისევ ახალგაზრდაა და თავის სიცოცხლეში პირველად მიდის ქალთან.

## თავი ოცდამეოთხე

- რას მიბრძანებთ? - ჰკითხა კელნერმა რავიკს.

- მომიტანეთ...

- რა?

რავიკი დუმდა.

- ვერ გავიგე, ჩემო ბატონო, - უთხრა კელნერმა.

- მომიტანეთ რაიმე, სულერთია...

- ჭიქა „პერნო“?

- დიახ...

რავიკმა თვალები დახუჭა, მერე ნელა გაახილა. კაცი ისევ იმ ადგილზე იჯდა. ახლა კი შეუძლებელი იყო, შეშლოდა.

შესასვლელთან მაგიდას უჯდა ჰააკე. მარტო იყო. წინ ედგა ლანგუსტებით სავსე ვერცხლის თეფში და პატარა ვედროში ჩაცივებული შამპანური. კელნერი იქვე ფაიფურის ჯამში სალათას ამზადებდა, პომიდვრებს ჭრიდა. რავიკმა ყოველივე ეს ისე კარგად დაინახა, თითქოს მთელი სურათი რელიეფურად იყო ამოკვეთილი ცვილის ფირფიტაზე. ჰააკე შამპანურს მისწვდა და რავიკმა მის ხელზე ბეჭედი შენიშნა. ბეჭდის წითელ ქვაზე გერბი იყო ამოკვეთილი. ბეჭედიც იცნო და თეთრი, ხორცსავსე ხელიც. ორივე კარგად დაიმახსოვრა იმ საათებში, როცა მეთოდური და გიჟური სისასტიკის მსხვერპლი იყო, როცა მაგიდიდან მიათრევდნენ ნაწამებს, მერე თავზე ბლომად ცივ წყალს ასხამდნენ და ნათურების დამაბრმავებლად კაშკაშა შუქზე ისევ გონს მოდიოდა. ჰააკე ფრთხილად დაიხევდა ხოლმე უკან, რომ უზადოდ დაუთოებული მუნდირი უცაბედად არ დასველებოდა, არაბუნებრივად თეთრ, ხორცსავსე ხელს რავიკისაკენ გაიშვერდა და შემპარავი ხმით იტყოდა: - ეს მხოლოდ დასაწყისია. ყველაზე იოლი რამ. ხომ არ ინებებთ გვარების დასახელებას? ან, იქნებ, განვაგრძოთ? ჩვენს ხელთ არის კიდევ არაერთი შესაძლებლობა. თუ არ ვცდები, ფრჩხილები ჯერ მრთელი გაქვთ...

ჰააკემ თავი ასწია და რავიკს პირდაპირ თვალებში შეხედა. ნებისყოფის არაჩვეულებრივი დაძაბვით რავიკმა მოახერხა, ადგილიდან დაძრულიყო. სასმისი აიღო, მოსვა ერთი ყლუპი და ნელა გააპარა თვალი სალათის ჯამისაკენ. მაინც ვერ გაიგო, იცნო ჰააკემ თუ ვერა. ზურგი ერთბაშად ოფლით დაეცვარა.

წუთის შემდეგ რავიკმა ისევ გაიხედა ჰააკესაკენ. იგი ლანგუსტებს შეექცეოდა, თავი დაბლა დაეხარა, თეფშისკენ. მისი მელოტი თავის პრიალა კანზე ჭაღის შუქი ირეკლებოდა. რავიკმა მიმოიხედა. რესტორანი ხალხით იყო სავსე. არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა. არც იარაღი ჰქონდა თან. თუ ჰააკეს მივარდება, წამში ათობით ხელი ჩამოაშორებს, განზე გაათრევენ. ერთი წუთის შემდეგ კი პოლიცია გამოჩნდება. რჩება ერთი: უნდა უცადოს, უკან გაჰყვეს ჰააკეს და, რადაც უნდა დაუჯდეს, გაიგოს, სად ცხოვრობს.

რავიკმა თავს ძალა დაატანა, სიგარეტი ამოიღო და ჰააკეს მხარეს აღარ გაიხედა, ვიდრე ბოლომდე არ მოსწია. მერეც ერთბაშად არ გაუხედავს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნელა მოავლო თვალი მთელ დარბაზს, ვითომ ვიღაცას ეძებსო, იმ მაგიდასაც შეხედა. აღმოჩნდა, რომ ჰააკეს ლანგუსტები უკვე გადაესანსლა, ხელსახოცი აეღო და ტუჩებს იწმენდდა. ამას ერთი ხელით კი არ აკეთებდა, არამედ ორივეთი, ხელსახოცი ოდნავ გაეჭიმა და ტუჩებს ისე ეხებოდა, როგორც ქალი, პომადას რომ იშორებს. პირდაპირ შესცქეროდა რავიკს.

რავიკმა მზერა მეორე მაგიდაზე გადაიტანა, თან გრძნობდა, რომ ჰააკე მას შეჰყურებდა. კელნერს დაუძახა და კიდევ ერთი სასმისი პერნო შეუკვეთა. ჰააკეს მაგიდასთან კელნერი მივიდა, ცარიელი სასმისი შეუვსო და ლანგუსტის ნარჩენები წაიღო. მალე დაბრუნდა და ლანგრით სხვადასხვა ხარისხის ყველი მიუტანა. ჰააკემ ერთი ნაჭერი ბრი აირჩია.

რავიკმა ისევ მოსწია სიგარეტი, ცოტა შეიცადა და თვალი ჰააკესაკენ გააპარა. იგი ისევ უთვალთვალებდა. ეს უკვე აღარ ჰგავდა შემთხვევითობას. რავიკმა იგრძნო, როგორ შეაჟრჟოლა ტანში. თუ ჰააკემ იცნო... გვერდით მიმავალი კელნერი იხმო.

- ხომ ვერ გაიტანთ აივანზე ჩემს პერნოს? იქ უფრო გრილა.

კელნერი შეყოყმანდა.

- აივანს არ ვემსახურები. ჯობს, აქ გადაიხადოთ, მუსიე. მაშინ სასმისს იქ გავიტან.

რავიკი დაეთანხმა და ფული ამოიღო.

- კეთილი, ამ სასმისს აქ დავლევ, იქ კი მეორეს მოვითხოვ, რომ გაუგებრობა არ იყოს.

- როგორც გნებავთ, მუსიე, გმადლობთ, მუსიე.

რავიკმა აუჩქარებლად დაცალა სასმისი. ჰააკემ, რა თქმა უნდა, ყველაფერი მოისმინა. როცა რავიკი კელნერს ელაპარაკებოდა, მან ჩანგალი განზე გადადო. ახლა ისევ განაგრძო ჭამა. რავიკი ცოტა ხანს ისევ დარჩა, ცდილობდა, მღელვარება როგორმე დაეფარა. თუ ჰააკემ იცნო, ერთი გზა რჩებოდა: ისეთი სახე მიეღო, ვითომ ჰააკე ვერ იცნო, და ფარულად განეგრძო თვალთვალი.

რამდენიმე წუთის შემდეგ რავიკი ადგა და აუჩქარებლად გაემართა აივნისაკენ. თითქმის ყველა მაგიდა დაკავებული აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს, მოახერხა ერთის პოვნა, საიდანაც ჰააკეს მაგიდის კიდე ჩანდა. თვითონ ჰააკეს ვერ ხედავდა. მისთვის კი საჭირო იყო დაენახა, თუ ადგებოდა და გასასვლელისაკენ წავიდოდა. რავიკმა ერთი სირჩა პერნო შეუკვეთა და მაშინვე გადაიხადა, რომ წასვლა ყოველ წამს შესძლებოდა.

- რავიკ... - დაუძახა ვიღაცამ.

შეკრთა, თითქოს გაარტყესო. გვერდით ჟოანი იდგა. რავიკი ქალს მიაშტერდა.

- რავიკ... - გაიმეორა ქალმა. - ვერ მიცანი?

- კი, კი, გიცანი...

მზერა ჰააკეს მაგიდაზე ჰქონდა მიჯაჭვული: კელნერმა იქით ყავა წაიღო. რავიკმა შვებით ამოისუნთქა: დრო კიდევ არის.

- ჟოან, - ძლივს ამოიდგა ენა, - აქ როგორ გაჩნდი?

- უცნაური კითხვაა. „ფუკესთან“ მთელი პარიზია ხოლმე.

- მარტო ხარ?

- რა თქმა უნდა.

მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ჟოანისათვის სკამი არ შეუთავაზებია. წამოდგა და ისე დადგა, რომ თვალი ერთი წუთითაც არ მოუშორებია ჰააკეს მაგიდისთვის.

- ჟოან, მე აქ საქმე მაქვს, - სწრაფად უთხრა ქალს, ისე რომ არ შეუხედავს, - არ შემიძლია, გითხრა, რა საქმე, მაგრამ აქ ხელს შემიშლი. დამტოვე, წადი.

- მე დაგელოდები, - ჟოანი ჩამოჯდა. - მინდა, ვნახო, როგორია შენი სატრფო.

- სატრფო? - ვერ მიუხვდა რავიკი.

- დიახ, ის, სატრფო, ქალი, რომელსაც ელოდები.

- არავითარ ქალს არ ველოდები.

- მაშინ ვიღას ელოდები?

რავიკმა დაბნეულად შეხედა.

- ჯერ თითქოს ვერ მიცანი, - უთხრა ქალმა, - ახლა თავიდან გინდა მომიცილო. რაღაცით აღელვებული ხარ. მესმის - ყველაფერი ეს უმიზეზოდ არ ხდება, მაგრამ მაინც ვნახავ, ვის ელოდები.

ხუთი წუთი, გაიფიქრა რავიკმა. თუმცა ფინჯანი ყავა შეიძლება სვა ხუთი, ათი და თხუთმეტი წუთის განმავლობაშიც. მერე ჰააკე, ალბათ, სიგარეტსაც მოსწევს. უფრო მოსალოდნელია - ერთს. „ამასობაში ჟოანი თავიდან უნდა მოვიცილო“.

- კარგი, - უთხრა, - რაც გინდა, ის გააკეთე, მაგრამ, გთხოვ, მეორე მაგიდასთან დაჯექი.

ქალმა არ უპასუხა. თვალები გაუნათდა, სახის გამომეტყველება დაეძაბა.

- არავითარ ქალს არ ველოდები, - გაუმეორა რავიკმა. - ან, თუნდაც ასე იყოს, შენ რა გესაქმება? მსახიობთან სიყვარულობანას თამაშობ და ჩემთან ეჭვიანობაც მოგინდა? ეს ხომ პირდაპირ სასაცილოა!

ჟოანი გაჩუმდა. რავიკის მზერას თვალი გააყოლა და შემობრუნდა, ნეტა ვის უყურებსო. ძალიან უნდოდა ამის გაგება.

- სხვა კაცთან ზის?

რავიკს პასუხი არ გაუცია, ისე დაეშვა სკამზე. ჰააკემ გაიგონა, კელნერს რომ უთხრა, აივანზე გავალო. თუ ჰააკემ იცნო, უდავოდ სიფრთხილეს იცავს და ზვერავს. ასეთ შემთხვევაში ბევრად უფრო ბუნებრივი იქნება, აივანზე ქალის გვერდით იჯდეს და არა მარტო.

- კარგი, - უთხრა ჟოანს, - დარჩი. ოღონდ ყველაფერი, რაც ახლა თქვი, სისულელეა. ცოტა ხანს კიდევ ვიჯდები, მერე ავდგები და წავალ. შენ ტაქსამდე მიმაცილებ, მაგრამ წასვლით მარტო წავალ. თანახმა ხარ?

- რა საჭიროა მთელი ეს საიდუმლოება?

- არავითარი საიდუმლოება! იქ ზის ადამიანი, რომელიც დიდი ხანია არ მინახავს, და მინდა გავიგო, სად ცხოვრობს. მორჩა და გათავდა.

- ქალია?

- არა. მამაკაცი. მეტს ვერაფერს გეტყვი.

მაგიდასთან კელნერი მოვიდა.

- რას დალევ? - ჰკითხა რავიკმა.

- კალვადოსს.

- ჭიქა კალვადოსი.

კელნერი ფეხების ფრატუნით გაეცალა.

- შენ კი არ გინდა კალვადოსი?

- არა, მე პერნოს ვსვამ.

ჟოანი თვალს არ აცილებდა.

- არც კი იცი, ზოგჯერ როგორ მძულხარ.

- რას იზამ, ხდება...

რავიკმა ჰააკეს მაგიდას შეხედა. მინა, გაიფიქრა მან, მთრთოლარე, გადაღებილი, გამჭვირვალე მინა. ქუჩა, პატარა მაგიდები, ადამიანები - ყველაფერი მინის მოტორტმანე ჟელეში ჩაიხრჩო.

- რა ცივი ხარ, რა ეგოისტი...

- ჟოან, - უთხრა რავიკმა, - ამას ყველაფერს როგორმე სხვა დროს გავარჩევთ.

ქალი გაჩუმდა. კელნერმა კალვადოსი მოიტანა. რავიკმა მაშინვე გადაიხადა.

- შენ ჩამითრიე მთელ ამ დავიდარაბაში... - გამომწვევი ხმით უთხრა ქალმა.

- ვიცი...

მაგიდის ზემოთ ჰააკეს თეთრი ხელი გამოჩნდა. იგი შაქარს იღებდა.

- შენ! მხოლოდ შენ! არასოდეს გიყვარდი. მათამაშებდი. ხედავდი, რომ მიყვარდი, აბუჩად იგდებდი ჩემს სიყვარულს.

- ეს მართალია.

- რა თქვი?

- ეს მართალია, - გაიმეორა რავიკმა ისე, რომ არც შეუხედავს. - მაგრამ შემდეგ ყველაფერი სხვანაირად წავიდა.

- ჰო, შემდეგ, შემდეგ! როცა ყველაფერი უკუღმა დატრიალდა! როცა უკვე ძალიან გვიან იყო... ყველაფერში შენ ხარ დამნაშავე!

- ვიცი.

- არ გაბედო ჩემთან ასე ლაპარაკი! - ჟოანს ფერმკრთალი და გაჯავრებული სახე ჰქონდა. - არც კი მისმენ, რას ვლაპარაკობ.

- არა, რატომ?

ქალს შეხედა. უნდა ილაპარაკოს, ილაპარაკოს, რაც ენაზე მოადგება, სულერთია.

- შენს მსახიობს წაეჩხუბე?

- ჰო.

- არაფერია, შერიგდებით.

ჰააკეს მაგიდიდან ლურჯი კვამლი ავიდა. კელნერმა ისევ დაასხა ყავა. ჩანდა, ჰააკე არ ჩქარობდა.

- შემეძლო, ეს არც მეთქვა. შემეძლო, მეთქვა, რომ აქ შემთხვევით შემოვედი, მაგრამ ეს ასე არ არის. გეძებდი. მინდა, მივატოვო.

- შენ არა ხარ ორიგინალური. ასეა მიღებული.

- მეშინია იმ კაცის. მემუქრება, მოგკლავო.

- რა? - რავიკი გამოფხიზლდა. - რა თქვი?

- მემუქრება, ტყვიას გესვრიო.

- ვინ გემუქრება? - მხოლოდ ნახევარი გაიგონა ქალის ნათქვამიდან და ერთბაშად ვერ მიხვდა. - აჰ, ხედავ, რა ყოფილა! იმედი მაქვს, ამას სერიოზულად არ მიიღებდი.

- საშინლად ფიცხია.

- მიქარვაა! ვინც მოკვლით იმუქრება, არასოდეს მოკლავს. ყოველ შემთხვევაში, ამას არ ჩაიდენს მსახიობი.

რა ვთქვი? - გაიფიქრა მან. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? რას ვეძებ აქ? ვიღაცის ხმა, ვიღაცის სახე და ხმაური ყურებში... აქ რას ვაკეთებ?

- რისთვის მიყვები ამას? - იკითხა.

- მინდა, მივატოვო. მინდა, შენთან ვიყო.

„თუ ჰააკე ტაქსის დაიჭერს, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე წამი მაინც გავა, ვიდრე მეორის პოვნას მოვახერხებ, ფიქრობდა რავიკი. ხოლო თუ მისი ტაქსი ადგილიდან დაიძრა, მაშინ საერთოდ ვერაფერს გავაწყობ“.

- დამიცადე. მალე დავბრუნდები.

- სად მიდიხარ?

რავიკმა არ უპასუხა. სწრაფად ჩავიდა აივნიდან და ტაქსი გააჩერა.

- ინებეთ ათი ფრანკი. შეგიძლიათ, რამდენიმე წუთით დამელოდოთ? რესტორანში უნდა მივბრუნდე.

მძღოლმა საკრედიტო ქაღალდს დახედა. მერე რავიკს შეხედა. რავიკმა თვალი ჩაუკრა. მძღოლმაც თვალის ჩაკვრით უპასუხა და ათფრანკიანი შეათამაშა.

- ეს აღმრიცხველის დამატებით, - უთხრა რავიკმა. - რა თქმა უნდა, ხვდებით, როგორ არის საქმე...

- ვხვდები, - გაიცინა მძღოლმა. - კეთილი, დაგელოდებით.

- მანქანა ისე დააყენეთ, რომ შესაძლებელი იყოს მაშინვე გაქროლება.

- მესმის.

რავიკმა აჩქარებით გაიკვლია გზა თავისი მაგიდისაკენ და უეცრად სუნთქვა შეეკრა: ჰააკე კარებში იდგა.

- დამიცადე! - უთხრა ჟოანს. - ახლავე მოვალ! ერთი წამით!

ჟოანს ცრემლი ახრჩობდა.

რავიკმა ძალით გაიღიმა და ხელი მაგრად მოუჭირა. ჰააკე უწინდებურად კარში იდგა.

- დაჯექი, - უთხრა ქალს რავიკმა. - ერთი წუთით დამელოდე!

- არა!

ჟოანმა ხელის განთავისუფლება სცადა, რავიკმაც გაუშვა. ოღონდ ყურადღება არ მიიქციოს! ჟოანი სწრაფი ნაბიჯით გაემართა გასასვლელისაკენ, მაგიდებს შორის გზა გაიკვლია და რესტორნიდან გავიდა. ჰააკემ თვალი გააყოლა. შემდეგ ნელა გადაიტანა მზერა რავიკზე და ისევ გაიხედა იმ მხარეს, საითაც ჟოანი წავიდა.. რავიკი დაჯდა. ანაზდად საფეთქლებში სისხლი გუგუნით მოაწვა. საფულე ამოიღო და ქექვა დაიწყო, ვითომ რაღაცას ეძებდა. შენიშნა, ჰააკე ნელა წამოვიდა მისკენ. რავიკმა თვალი მოარიდა, რაც, ეტყობოდა, შეუმჩნეველი არ დარჩენია ჰააკეს.

რავიკმა დაუცადა. წამები უსასრულოდ ნელა მიიზლაზნებოდა. ანაზდად პანიკურმა შიშმა შეიპყრო: ვაითუ, უკან გაბრუნდაო! სწრაფად მოიხედა. ჰააკე აღარსად ჩანდა. თითქოს მიწამ ჩაყლაპა. წამში ყველაფერი შეირყა და დატრიალდა.

- ნებას მომცემთ? - გაისმა ვიღაცის ხმა სულ ახლოს.

რავიკმა კარგად ვერ გაიგონა. კარს შეხედა. ჰააკე არ დაბრუნებულა. წამის დაყოვნებაც არ შეიძლებაო, გაიფიქრა. უნდა გაიქცეს, დაეწიოს. ზურგს უკან ისევ შემოესმა იგივე ხმა. შემობრუნდა და გაირინდა. ჰააკეს უკნიდან მოევლო და ახლა მის წინ იდგა.

- ნებას მომცემთ? - ჰააკემ უჩვენა სკამი, სადაც ეს-ეს არის ჟოანი იჯდა. - აქ თავისუფალი მაგიდა მეტი არ არის.

რავიკმა თავი დაუქნია. კრინტის დაძვრაც არ შეეძლო. სისხლი დაბლა დაეშვა, დაიწრიტა და დაიწრიტა, თითქოს სკამის ქვეშ იღვრებოდა. წინ მღვრიე მოთეთრო სითხით სავსე სასმისი იდგა. აიღო და დალია. სირჩა მძიმე ეჩვენა, მაგრამ ხელი არ უცახცახებდა. კანკალი სადღაც შიგნით იყო, ძარღვებში.

ჰააკემ კონიაკი შეუკვეთა. ძველი „ფინშამპანი“. ფრანგულად ძლიერი გერმანული აქცენტით ლაპარაკობდა. რავიკმა გაზეთების დამტარებელი ბიჭი იხმო.

- „პარი სუარი“.

ყმაწვილმა შემოსასვლელისაკენ გააპარა მზერა, სადაც გაზეთების გამყიდველი მოხუცი ქალი იდგა. შეუმჩნევლად მიაწოდა რავიკს დაკეცილი გაზეთი, მოხერხებულად გამოართვა ფული და მაშინვე გაქრა.

ჰააკემ უდავოდ მიცნოო, გაიფიქრა რავიკმა. მაშ, რისთვის დაჯდა ჩემ გვერდით? ამას სულ არ ველოდი. ახლა ისღა დამრჩენია, ვიჯდე და ველოდო. უნდა გავარკვიო, რა უნდა, და ამის მიხედვით ვიმოქმედო.

გაზეთი გაშალა, თვალი გადაავლო სათაურებს და ისევ მაგიდაზე დადო. ჰააკემ შეხედა.

- საუცხოო საღამოა, - უთხრა გერმანულად.

რავიკმა თავის ქნევით დაუმოწმა.

ჰააკემ გაიღიმა.

- მე მახვილი თვალი მაქვს, ხომ მართალია?

- ადვილი შესაძლებელია.

- ჯერ კიდევ მაშინ შეგნიშნეთ, როცა დარბაზში იჯექით.

რავიკმა თავაზიანი და გულგრილი თავის დაქნევით უპასუხა. ნერვები უკიდურესობამდე ჰქონდა დაჭიმული. ვერანაირად აეხსნა, რა განეზრახა ჰააკეს. ნუთუ იცის, რომ რავიკი საფრანგეთში არალეგალურად ცხოვრობს? ხომ შეიძლება, გესტაპო ამის შესახებაც ინფორმირებული იყოს? ოღონდ ცოტა დრო მაინც მოიგოს.

- მაშინვე მივხვდი, ვინცა ხართ, - უთხრა ჰააკემ.

რავიკმა კითხვის გამომხატველი თვალით შეხედა.

- შუბლზე ნაჭრილობევით, - განაგრძობდა ჰააკე. - ასეთი ნაჭრილობევი მხოლოდ კორპორანტებს აქვთ. მაშასადამე, თქვენ გერმანელი ხართ ან, ყოველ შემთხვევაში, გერმანიაში სწავლობდით.

ჰააკემ გაიცინა. რავიკი დამშვიდებული შესცქეროდა. ეს შეუძლებელია! მეტისმეტად უცნაურად გამოვიდა ყველაფერი! უეცრად გულზე მოეშვა და ღრმად ამოისუნთქა - ჰააკეს წარმოდგენა არა აქვს, ვინ არის. შუბლზე ნაჭრილობევი სტუდენტობის დროის დუელის ნიშნად მიუღია. რავიკმა გაიცინა. ჰააკესთან ერთად იცინოდა. სიცილის შეწყვეტა შეძლო მხოლოდ მუშტის ისე მოკუმვით, რომ ფრჩხილები ხელისგულში ჩაირჭო.

- გამოვიცანი? - იკითხა ჰააკემ, ამაყმა თავისი შორსმჭვრეტელობით.

- პირდაპირ მიზანში მოახვედრეთ.

ნაიარევი შუბლზე. თავი გესტაპოში გაუხეთქეს, ჰააკეს თვალწინ. სახეზე სისხლი მოაწვა. ახლა კი ჰააკე ზის აქ, მის წინ, და ჰგონია, რომ სტუდენტობის დროინდელი დუელის, უწყინარი თამაშის კვალს უყურებს, თანაც თავი მოაქვს თავისი შორსმჭვრეტელობით.

კელნერმა ჰააკეს კონიაკი მიართვა. იმანაც მცოდნის იერით დაყნოსა.

- რაც მართალია, მართალია, - თქვა, - კონიაკი კარგი აქვთ! სხვა ყველაფერი კი... - რავიკს თვალი ჩაუკრა. - მთელი საფრანგეთი ჩალპა... ესაა ხალხი - რანტიე. უშიშროება და მშვიდი ცხოვრება სწყურიათ. ფაქტობრივად, უკვე ჩვენს ხელთ არიან.

რავიკს ეჩვენებოდა, ენას ვეღარასოდეს ამოვიდგამო. ეშინოდა, როგორც კი დავილაპარაკებ, სასმისს მოვიქნევ, დავამსხვრევ, ნამსხვრევს ავიღებ და ჰააკეს თვალებზე გადავუსვამო. ფრთხილად და თითქმის ძალდატანებით ასწია სირჩა... დალია და დამშვიდებით დადგა.

- რასა სვამთ? - ჰკითხა ჰააკემ.

- პერნოს. აბსენტის მაგიერ.

- აჰ, აბსენტი. ამბობენ, ამ სასმლისაგან ფრანგები ცვედანები ხდებიანო. თქვენ არ გაგიგონიათ? - ჰააკემ გაიცინა. - მაპატიეთ! პირადად თქვენ არ მყოლიხართ მხედველობაში.

- აბსენტი, მართლაც, აკრძალულია, - თქვა რავიკმა, - პერნო კი სრულიად უვნებელი სასმელია. აბსენტი უნაყოფობას იწვევს. ამიტომაც აკრძალეს... პერნო ანისის არაყია. გემოთი ძირტკბილას ნაყენსა ჰგავს.

ჩანს, ლაპარაკის უნარი მაინც შემრჩენიაო, გაიფიქრა რავიკმა. ვლაპარაკობ და არც კი ვღელავ. პასუხს ვაძლევ კითხვებზე და თანაც - საკმაოდ დალაგებულად... მხოლოდ სადღაც სულის სიღრმეში ბობოქრობს შავი ქარტეხილი, გარეგნულად კი სრული სიმშვიდეა.

- პარიზში ცხოვრობთ? - ჰკითხა ჰააკემ.

- დიახ.

- დიდი ხანია?

- თავიდანვე.

- მესმის, - უთხრა ჰააკემ. - ნატურალიზებული გერმანელი ხართ? აქვე დაიბადეთ?

რავიკმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ჰააკემ კონიაკი დალია.

- ბევრი ჩვენი რჩეული ადამიანიც გერმანიის გარეთ არის დაბადებული. ფიურერის მოადგილე ეგვიპტეში დაიბადა; როზენბერგი - რუსეთში; დარე არგენტინიდან არის მოსული. მთელი საქმე მსოფლმხედველობაა, ხომ მართალია?

- სწორედ ასეა, - დაეთანხმა რავიკი.

- თქვენი პასუხი წინასწარ ვივარაუდე, - ჰააკეს სიამოვნებისაგან სახე უციმციმებდა. ოდნავ წინ წაიწია და თითქოს მაგიდის ქვეშ ქუსლებიც დააბაკუნა. - სხვათა შორის, ნება მომეცით წარმოგიდგეთ: ფონ ჰააკე.

- ჰორნი, - არანაკლებ ცერემონიულად მიუგო რავიკმა.

ეს მისი ერთ-ერთი წინანდელი ფსევდონიმი იყო.

- ფონ ჰორნი? - ჩაეკითხა ჰააკე.

- რა თქმა უნდა.

ჰააკემ თავი დაუქნია. სულ უფრო მეტი ნდობით იმსჭვალებოდა რავიკის მიმართ. ღირსეულ პარტნიორს და თანამოაზრეს ხედავდა მასში.

- პარიზს, ალბათ, კარგად იცნობთ, ხომ მართალია?

- მეტ-ნაკლებად.

- თქვენ გამიგებთ, მუზეუმებზე როდი გელაპარაკებით, - ჰააკემ ჩაიცინა, თავზე ხელაღებული ბედოვლათის იერი ჰქონდა.

- ჩინებულად მესმის, რაც გაქვთ მხედველობაში.

არიელ ზეკაცს, ეტყობა, დიდი სურვილი აქვს, წაიქეიფოს, ოღონდ არ იცის, სად შეძვრეს, გაიფიქრა რავიკმა; რომ მომახერხებინა და სადმე, ყრუ გარეუბანში გამაყვანინა, მოშორებულ სამიკიტნოში ან უბადრუკ საროსკიპოში შემატყუებინა, მეტი არაფერი მინდა, გაუელვა თავში. ოღონდ ხელი არავინ შემიშალოს...

- აქ, იმედია, სადმე გასართობი ადგილი გაქვთ? - იკითხა ჰააკემ.

- ახლახან ჩამოხვედით პარიზში?

- ყოველ ორ კვირაში ერთხელ ჩამოვდივარ ხოლმე ორი-სამი დღით. თავისებური კონტროლია. ძალზე მნიშვნელოვანი საქმე მზადდება. ბოლო ერთი წლის

განმავლობაში აქ ბევრი რამის გაკეთება მოვასწარით. ყველაფერი მოგვარებულია და ყველა უზადოდ მუშაობს. დაწვრილებით თქმა არ შემიძლია, მაგრამ... - ჰააკემ გაიცინა. - აქ ყოველ ფრანგს იყიდის ადამიანი. სინდისგარეცხილი ხალხია. თითქმის ყველაფერი ვიცით, რისი ცოდნაც გვინდა, და თითქმის არც გვიხდება აქტიური დაზვერვის წარმოება. თვითონვე მოაქვთ ყოველგვარი ინფორმაცია. ეს მრავალპარტიული სისტემის შედეგია. ერთი პარტია მეორეს ყიდის და საბოლოოდ ყველანი სამშობლოს ყიდიან. სამშობლოს ღალატი პატრიოტიზმის თავისებური ნაირსახეობაა. ოღონდ ხელი მოითბონ. ჩვენ, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. აქ თანამოაზრეთა მთელი მასა გვყავს და ისიც - უაღრესად გავლენიან წრეებში. - სასმისი აიღო და, რომ დაინახა, ცარიელი იყო, ისევ დადგა. - არც კი იარაღდებიან. ფიქრობენ, რაკი უიარაღო ვიქნებით, ჩვენგან არაფერს მოითხოვენო. რომ იცოდეთ, რამდენი თვითმფრინავი და ტანკი ჰყავთ - სიცილით მოკვდებით. თვითმკვლელობის ნამდვილი კანდიდატები არიან!

რავიკი ყურადღებით უსმენდა. უაღრესად დაძაბული და გულისყურიანი იყო, მაგრამ მის გარშემო ყველაფერი დაცურავდა, თითქოს სიზმარს ხედავს და, სადაცაა, უნდა გაიღვიძოსო. მაგიდები, კელნერები, მწუხრის ფუსფუსი, მოსიარულე ავტომობილების მწკრივი, მთვარე სახურავებზე, კაშკაშა შუქის რეკლამები სახლების ფასადებზე... და მის პირდაპირ - სიტყვაუხვი ათასგზის მკვლელი, რომელმაც მას სიცოცხლე დაუმახინჯა.

კოხტა კოსტიუმებში გამოწყობილმა ორმა მანდილოსანმა მის მაგიდას ჩაუარა და რავიკს გაუღიმეს. ივერტა და მართა - ეტყობა, დღეს ორივე თავისუფალი იყო.

- რა შნოიანები არიან, ეშმაკმა დალახვროს! - თქვა ჰააკემ.

ჩიხი, გაიფიქრა რავიკმა. უნდა გავიტყუო სადმე შორს, უკაცრიელ ვიწრო ჩიხში... ან ბულონის ტყეში.

- ეს მანდილოსნები სიყვარულით შოულობენ სარჩოს, - უთხრა რავიკმა.

ჰააკემ თვალი გააყოლა ქალებს.

- სულაც არ არიან ურიგონი. თქვენ ასეთ რამეებში, ალბათ, ერკვევით. ასე არ არის? - ჰააკემ ისევ მოითხოვა ჭიქა კონიაკი. - ნება მომეცით, გაგიმასპინძლდეთ.

- გმადლობთ, მე პერნოც მეყოფა.

- ამბობენ, პარიზში გამაოგნებელი დაწესებულებები არისო. ჭკუიდან შეიშლებიო!..

ჰააკეს თვალები უციმციმებდა. სწორედ ისე, როგორც იმ ღამეს, გესტაპოს ჯურღმულში, კაშკაშა შუქით გასხივოსნებულ საწამებელ ოთახში.

ამაზე არ უნდა ვიფიქრო, - თქვა გულში რავიკმა. - ყოველ შემთხვევაში - ახლა მაინც არა.

- თქვენ არ ყოფილხართ არც ერთ ასეთ ადგილას?

- როგორ არა, ორჯერ-სამჯერ შევიარე. წმინდა შემეცნებითი მიზნით, რა თქმა უნდა. მინდოდა გამეგო, რა დონეზე დაეცა ხალხი. მაგრამ ნამდვილამდე, როგორც ჩანს, ჯერ

ვერ მიმიღწევია. მერე, ასეთ ადგილებში ადამიანმა ფრიად დიდი სიფრთხილით უნდა დაიჭიროს თავი. ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი და სახელი გაგიტყდება.

რავიკმა დაუმოწმა.

- ამისი ფიქრი ნუ გაქვთ. არის ისეთი ადგილები, სადაც არც ერთი ტურისტი ფეხს არ შეადგამს.

- თქვენ იცით ეს ადგილები?

- ოღონდაც! ძალიანაც კარგად!

ჰააკემ მეორე სასმისიც დაცალა. სულ უფრო გულახდილი ხდებოდა. გაქრა ის შებოჭილობა, რომელიც უსათუოდ ექნებოდა, გერმანიაში რომ ყოფილიყო. რავიკი ხედავდა, რომ ჰააკეს არაფრის ეჭვი არ ჰქონდა.

- დღეს სწორედ იმას ვფიქრობდი, ცოტა გულს გადავაყოლებ-მეთქი, - უთხრა ჰააკეს.

- მართლა?

- დიახ. დროდადრო ამას ვაკეთებ ხოლმე. კაცმა ყველაფერი უნდა გამოცადოს, რაც კი შეიძლება.

- მართალია! სრული სიმართლეა!

ერთი წამით ჰააკე უაზროდ შესცქეროდა. უნდა დავათრო, გაიფიქრა რავიკმა... თუ სხვანაირად არ მოხერხდა, უნდა დავათრო და სადმე გავიტყუო.

ჰააკეს სახის გამომეტყველება შეეცვალა. მთვრალი არ იყო, მხოლოდ ფიქრობდა, როგორ მოვიქცეო.

- ძალიან საწყენია, - თქვა ბოლოს. - სიამოვნებით შემოგიერთდებოდით.

რავიკმა არ უპასუხა. მთავარია, ჰააკემ ეჭვი არ აიღოს.

- დღეს, ღამით, ბერლინში უნდა გავბრუნდე. - ჰააკემ საათს დახედა. - საათ-ნახევრის შემდეგ.

რავიკი არც შერხეულა. გავყვებიო, გაიფიქრა. უსათუოდ ოტელში ცხოვრობს და არა კერძო ბინაში. ნომერში შევყვები და იქ გავუსწორდებიო.

- ორ ნაცნობს ველოდები, - თქვა ჰააკემ. - სადაცაა მოვლენ. ბარგი უკვე ვაგზალზე მაქვს და აქედან პირდაპირ იქ წავალთ.

,,რა თქმა უნდა, - გაიფიქრა რავიკმა. - რატომ თან არა მაქვს რევოლვერი? რატომ ვირწმუნებდი თავს, მე იდიოტი, რომ შემეშალა? ქუჩაში დავხვრეტდი და თავს მეტროს შევაფარებდი“.

- ძალიან მწყინს, - გაიმეორა ჰააკემ. - მაგრამ, იქნებ, ისევ შევხვდეთ. ორი კვირის შემდეგ ისევ აქ ვიქნები.

რავიკმა შვებით ამოისუნთქა.

- კეთილი, - უთხრა.

- სად ცხოვრობთ? დაგირეკავთ.

- „უელსის პრინცში“. აქედან ახლოსაა.

ჰააკემ უბის წიგნაკი ამოიღო და მისამართი ჩაიწერა. რავიკი წითელი რბილი ტყავის ყდასა და წვრილ, ოქროსფერ ფანქარს შესცქეროდა: ნეტავ, რა წერია იქ? - გაიფიქრა. ინფორმაცია იქნება, რომელიც ვინმეს წამებასა და სიკვდილს უმზადებს.

ჰააკემ წიგნაკი შეინახა.

- მოხდენილი ქალია... აი, ახლახან რომ ელაპარაკებოდით, - უთხრა რავიკს.

რავიკი უცბად ვერ მიხვდა, ვის გულისხმობდა.

- აჰ! აი, რა, - მიუგო ბოლოს. - დიახ, ძალიან.

- კინომსახიობია?

- რაღაც ამდაგვარი.

- კარგი ნაცნობია?

- სწორედ ასე გახლავთ.

ჰააკე ჩაფიქრებული იხედებოდა სადღაც შორს.

- მე ცოტა მიჭირს აქ ვინმე მიმზიდველი ქალის გაცნობა. დრო არა მაქვს. თანაც, კაცმა არ იცის მთლად საიმედო ადგილები.

- ამის მოწყობა შეიძლება, - უთხრა რავიკმა.

- მართლა? თვითონ არა ხართ დაინტერესებული?

- რითი?

ჰააკემ მორცხვად ჩაიცინა.

- მაგალითად, იმ ქალით, ახლახან რომ ესაუბრებოდით.

- სულაც არა.

- ეს კარგი იქნებოდა, ეშმაკმა დალახვროს! ფრანგია?

- მგონი, იტალიელია, თუმცა, წმინდა სისხლისა არა. სხვადასხვა რასის სისხლი დუღს მის ძარღვებში.

ჰააკემ ჩაიცინა.

- არა უშავს. შინ ასეთი რამეები, ცხადია, დაუშვებელია. მაგრამ აქ, ასე ვთქვათ, ინკოგნიტო ვარ.

- მართლა ინკოგნიტო? - ჰკითხა რავიკმა.

ამ კითხვამ ჰააკე წამით ჩააფიქრა, მაგრამ მაშინვე გაიღიმა.

- მესმის! რაღა თქმა უნდა, ჩემიანებისთვის ჰააკე ვარ... მაგრამ, საერთოდ, უსასტიკეს კონსპირაციას ვიცავ... სხვათა შორის, ლტოლვილთა შორის ნაცნობი ხომ არავინ გყავთ?

- თითქმის არავინ, - ფრთხილად მიუგო რავიკმა.

- საწყენია! იცით, ჩვენ გვაინტერესებს... ერთი სიტყვით, ცნობები ზოგ ვინმეზე... ამისათვის ფულსაც კი ვიხდით... - ჰააკემ ხელი ასწია, რადგან შემოდავებას ელოდა. - რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია! და მაინც, სრულიად უმნიშვნელო ცნობები...

ჰააკე მოლოდინით შესცქეროდა რავიკს.

- არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, - მიუგო რავიკმა. - არასოდეს ხერხდება ყველაფრის გათვალისწინება... იქნებ, რაიმე შემთხვევა გამოჩნდეს.

ჰააკემ ახლოს მიიწია.

- სხვათა შორის, ესეც ჩემი ერთ-ერთი ამოცანაა. არალეგალური კავშირების გამოვლენა გერმანიასა და სხვა სახელმწიფოებს შორის. ზოგჯერ ძალიან ძნელია რაიმე კონკრეტულის მოხელთება. მაგრამ აქ ჩვენთვის სანდო ხალხი მუშაობს. - მან მრავალმნიშვნელოვნად ასწია წარბები. - თქვენ, რა თქმა უნდა, სულ სხვაგვარი მოსაზრებები გაქვთ. უბრალოდ, ღირსების საქმე, სამშობლოს ინტერესები.

- თავისთავად ცხადია.

ჰააკემ თვალები ასწია.

- აგერ ჩემი ნაცნობებიც. - ფული ფაიფურის თეფშზე დადო. - ძალიან მოხერხებულია, როცა ფასი პირდაპირ თეფშებზეა ნაჩვენები. კარგი იქნებოდა ამის შემოღება ჩვენთანაც. - ადგა და რავიკს ხელი გაუწოდა. - ნახვამდის, ბატონო ფონ ჰორნ. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა. ორი კვირის შემდეგ დაგირეკავთ. - გაიღიმა, - ყოველივე ეს, ცხადია, საიდუმლოდ უნდა დარჩეს ჩვენ შორის.

- რა სათქმელია! დარეკვა არ დაგავიწყდეთ.

- მე არაფერს ვივიწყებ, არც ერთ სახეს, არც ერთ შეხვედრას. არ შემიძლია, თავს ამის ნება მივცე. ასეთია ჩემი სპეციალობა.

რავიკიც წამოდგა და მოეჩვენა, რომ რაღაც უხილავი ბეტონის კედელი უნდა გაეხვრიტა. შემდეგ თავის ხელში ჰააკეს ხელი იგრძნო. ჰააკეს ხელი პატარა და საოცრად რბილი აღმოჩნდა.

კიდევ ერთი წუთით ერთ ადგილზე იდგა და ყოყმანობდა, თან მიმავალ ჰააკეს შესცქეროდა. მერე ისევ დაჯდა. უეცრად იგრძნო, რომ ერთიანად ცახცახებდა. კელნერთან ანგარიში გაასწორა და იმავე მიმართულებით წავიდა, საითაც ჰააკე. მხოლოდ შემდეგ გაახსენდა, რომ ჰააკემ და მისმა ამხანაგებმა ტაქსი დაიჭირეს და ისე წავიდნენ. ძებნას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ოტელიდანაც ამოწერილია. ხოლო თუ

ჰააკე მას დღეს მეორედ ნახავს, მხოლოდ დაეჭვდება. რავიკი გამობრუნდა და ,,ინტერნასიონალისაკენ'' გასწია.

*

- გონივრულად მოქცეულხარ, - უთხრა მოროზოვმა.

ისინი პატარა მაგიდას უსხდნენ კაფეში, რონ რუენზე.

რავიკი მარჯვენა ხელს ისინჯავდა. რამდენჯერმე გაიწმინდა სპირტით. იცოდა, ეს სისულელე იყო, მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო. ახლა ხელის კანი პერგამენტივით მშრალი ჰქონდა.

- სროლა პირდაპირ სიგიჟე იქნებოდა, - უთხრა მოროზოვმა. - კარგია, რომ თან არაფერი აღმოგაჩნდა.

- შენ მართალი ხარ, - ყოყმანით მიუგო რავიკმა.

მოროზოვმა ყურადღებით შეათვალიერა.

- ნუ იქნები იდიოტი. ნუთუ გინდა, სასამართლოში მოხვდე მკვლელობისათვის ან მკვლელობის მცდელობისათვის?

რავიკი დუმდა.

- რავიკ, - მოროზოვმა მაგიდაზე ბოთლი დაჰკრა. - ფანტაზიებს მოეშვი.

- სულაც არ არის ეს ფანტაზია. მაგრამ გამიგე, მარტო იმის გაფიქრებაზე, რომ ასეთი შესაძლებლობა ხელიდან გავუშვი, გამაციებს ხოლმე... ყველაფერი ორი საათით ადრე რომ მომხდარიყო, სადმე გავიტყუებდი... ან, იქნებ, სხვა რამე მომეფიქრებინა.

მოროზოვმა ორი სირჩა შეავსო.

- დალიე არაყი! ვერსად გაგექცევა შენი ჰააკე.

- აბა, რა ვიცი.

- მართალს გეუბნები. დაბრუნდება. ასეთი ტიპები, ჩვეულებრივ, ყოველთვის ბრუნდებიან. ისედაც ანკესზე წამოეგო. შენი სადღეგრძელო იყოს.

რავიკმა თავისი სირჩა დაცალა.

- კიდევ მივუსწრებდი ჩრდილოეთის ვაგზალზე. მინდა დავრწმუნდე, რომ წავიდა.

- რა თქმა უნდა. შეიძლება, იქვე მიხვრეტაც სცადოს კაცმა, და, სულ ცოტა, ოცი წლის კატორღა დაიმსახუროს. კიდევ გაქვს ამნაირი იდეები?

- მაქვს. ზუსტად დავადგენდი, ნამდვილად წავიდა თუ არა.

- ხელახლა თვალში მოხვდებოდი და ყველაფერს წაახდენდი.

- ის მაინც უნდა მეკითხა, რომელ ოტელში ჩერდება ხოლმე.

- ამით კი გაგეფრთხილებინა, მომერიდეო. - მოროზოვმა სირჩები ისევ შეავსო. - მომისმინე, რავიკ. მე შენი ჩინებულად მესმის: აი, ზიხარ აქ და გგონია, რომ ყველაფერი ისე ვერ გააკეთე, როგორც საჭირო იყო. ღვთის გულისათვის, მოიცილე ასეთი აზრები! გნებავს, დაამტვრიე რამე. რაიმე დიდი და ძალიან ძვირფასი. მოაწყვე, მაგალითად, დებოში „ინტერნასიონალის“ პალმის დარბაზში.

- აზრი არა აქვს.

- მაშინ მელაპარაკე იმაზე, რაც ახლა გაღელვებს. ილაპარაკე, ვიდრე ძალა გეყოფა. ბოლომდე მითხარი და გულზე მოგეშვება. რუსი არა ხარ, თორემ ყველაფერს მიხვდებოდი.

რავიკი გასწორდა.

- ბორის, - თქვა, - ვიცი, ვირთხებს ორთაბრძოლა კი არ უნდა გაუმართო, უბრალოდ, უნდა გაანადგურო, მაგრამ ამაზე ლაპარაკს არ დავიწყებ. ვიფიქრებ, მოვიფიქრებ, უკეთესად როგორ გავაკეთო ყველაფერი. ყველაფერს ოპერაციასავით მოვამზადებ. თუ, საერთოდ, რაიმეს მომზადება შეიძლება. მინდა, შევეჩვიო აზრს იმაზე, რაც მოსალოდნელია. წინ ორი კვირა მაქვს. ეს კარგია. საოცრად კარგია, სიმშვიდეს უნდა მივეჩვიო. შენ მართალი ხარ. სათქმელს რომ ბოლომდე იტყვის, ადამიანი მშვიდდება და წინდახედული ხდება. მაგრამ ამას ფიქრის საშუალებითაც მიაღწევ. ფიქრებში შეიძლება სიძულვილი მიზნისაკენ ცივი მისწრაფებით შეცვალო. წარმოდგენაში ჰააკეს ისე ხშირად მოვკლავ, რომ მისი ჩამოსვლის დროისათვის ეს უკვე ჩვევად მექნება ქცეული. მეათასეჯერ ადამიანი უფრო მშვიდად და გონივრულად მოქმედებს, ვიდრე პირველად. ახლა კი, მოდი, ვილაპარაკოთ, ოღონდ რაიმე სხვაზე. მაგალითად, ამ თეთრ ვარდებზე. ერთი შეხედე! ამ დახუთულ ღამეში როგორ თოვლივით ქათქათებენ, ღამის მოქცევის ტალღის ქაფივით. ახლა კმაყოფილი ხარ?

- არა, - თქვა მოროზოვმა.

- კარგი. შეხედე ამ ზაფხულს, 1939 წლის ზაფხულს. დენთის სუნი ასდის. ვარდები - ეს თოვლია, მომავალ ზამთარს ძმათა სასაფლაოს რომ დაფარავს. ამასობაში კი პარიზი მხიარულობს! გაუმარჯოს ჩაურევლობის საუკუნეს! ადამიანების გაქვავებულ სულთა საუკუნეს! ამ ღამეს ბევრი ვინმე მოკვდება, ბორის! ყოველღამე ბევრ ვინმეს კლავენ. აკვამლებულან ქალაქები, სადღაც, ეკლიანი მავთულხლართის მიღმა, ებრაელები კვნესიან, ჩეხები იღუპებიან, იწვიან ჩინელები იაპონელების მიერ გადასხმული ბენზინით, საკონცენტრაციო ბანაკების თავზე სიკვდილის შოლტი წივის. ნუთუ დედაკაცივით ცრემლების ღვრას დავიწყებ, როცა საჭიროა მკვლელის მოსპობა? ჩვენ დავეწევით და მოვკლავთ მას, როგორც არაერთხელ დაგვიხოცავს სრულიად უდანაშაულო ადამიანები, ჩვენივე სურვილის წინააღმდეგ, მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენგან განსხვავებული სამხედრო ფორმა ეცვათ.

- ძლივს, - თქვა მოროზოვმა, - ასეთი ლაპარაკი უფრო მეამა. დანის ხმარება ხომ არ უსწავლებიათ შენთვის? დანა უხმაუროდ მუშაობს.

- დღეს მეყოფა, მომასვენე. ცოტა ხომ უნდა გამოვიძინო! თუმცა თავს დამშვიდებულად გაჩვენებ, ღმერთმა იცის, შევძლებ დაძინებას თუ ვერა. გაიგე?

- ოღონდაც!

- დილამდე განუწყვეტლივ ვკლავ. წარმოსახვით. ორი კვირის განმავლობაში უნაკლოდ მოქმედ ავტომატად უნდა ვიქცე. მთავარია გავუძლო, არ მოვკვდე ამ ორ კვირაში. მოვიახლოო საათი, როცა პირველად შევძლებ მშვიდად დაძინებას. არაყი არ მიშველის. არც ძილის წამალი. ქანცის გაწყვეტამ უნდა დამაძინოს. მეორე დღეს ისევ ჯანსაღი ვიქნები. გაიგე?

მოროზოვმა არ უპასუხა.

- ქალი იშოვე, - ურჩია.

- რისთვის?

- ეს შველის. ქალთან წოლა ყოველთვის კარგია. დაურეკე ჟოანს, მოვა.

ჟოანი! მართალია. ახლა არ შეხვდა რესტორანში? რაღაცაზე ლაპარაკობდნენ, ოღონდ უკვე დაავიწყდა, რაზე.

- კიდევ რა წინადადებები გაქვს? - ჰკითხა რავიკმა. - ოღონდ ყველაზე უბრალო, სულ უუბრალოესი.

- ღმერთო ჩემო! ნუ გაართულებ ცხოვრებას! ყველაზე საიმედო საშუალება, რომ თავი დააღწიო ქალის სიყვარულს, მასთან ხშირ-ხშირად დაწოლაა. არ უნდა მისცე გასაქანი წარმოსახვას. რა საჭიროა სრულიად ბუნებრივი აქტის ხელოვნურად დრამატიზება?

- საქმეც ეგ არის, - უთხრა რავიკმა. - რა საჭიროა?

- მაშინ ნება მომეცი, დავრეკო. რაიმეს მოვჩმახავ შენი გულისათვის. ტყუილად კი არა ვარ ღამის შვეიცარი.

- ნურსად წახვალ. ისედაც იოლას გავალთ. დავლიოთ და ვუცქიროთ თეთრ ვარდებს. მიცვალებულთა სახეებსაც ასეთი გალეული თეთრი ფერი აქვს მთვარის შუქზე, ჰაერიდან ტყვიამფრქვევის დაშენის შემდეგ... როგორღაც ერთხელ ესპანეთში მინახავს. მუშა-მელითონე პაბლო ნონასმა მაშინ თქვა, ცა ფაშისტების მოგონილიაო. იმ კაცს ფეხი მოვკვეთე. ბრაზი მოსდიოდა ჩემზე, რატომ სპირტში არ შეინახეო. ჩემი მეოთხედი დასაფლავებულიაო, ამბობდა. ხომ ვერ ვეტყოდი, შენი ფეხი დამარხული კი არ არის, ძაღლებმა წაათრიეს და შეჭამეს-მეთქი!

## თავი ოცდამეხუთე

ვებერმა შესახვევში შეიხედა და რავიკი დერეფანში გაიხმო.

- დიურანი რეკავს. დაუყოვნებლივ მოვიდესო, გთხოვათ. რაღაც რთული შემთხვევაა, საგანგებო მდგომარეობა.

რავიკმა კითხვის ნიშნად გადახედა.

- სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიურანმა ოპერაცია ცუდად გააკეთა და ახლა უნდა, რომ მე ვიხსნა. ასე არ არის?

- არ ვიცი. ძალიან დაშინებულია. ჩანს, ძალიან დაბნეულია.

რავიკმა თავი გადააქნია. ვებერი დუმდა.

- საერთოდ, საიდან იცის, რომ მე დავბრუნდი? - ჰკითხა რავიკმა.

ვებერმა მხრები აიჩეჩა.

- წარმოდგენა არა მაქვს. ალბათ, რომელიმე მოწყალების დამ თუ უთხრა.

- რატომ არ დაურეკა ბინოს? ძალიან საზრიანი ქირურგია.

- ასედაც ვურჩიე, მაგრამ მითხრა, საქმე განსაკუთრებით რთულ შემთხვევასთან მაქვსო. თქვენი სპეციალობაა.

- მიქარვაა. პარიზში ყოველნაირი სპეციალობის უზადო დასტაქრები არიან. რატომ არ მიმართა მარტელს, ერთ საუკეთესო ქირურგთაგანს მთელ მსოფლიოში?

- განა თვითონ არ გესმით?

- რა თქმა უნდა, მესმის. არ სურს, კოლეგის წინაშე თავი შეირცხვინოს. სხვა საქმეა უპასპორტო ექიმი-ლტოლვილი, ენას კბილს დააჭერს.

ვებერმა გადახედა.

- წახვალთ? დაყოვნება არ შეიძლება.

რავიკმა ხალათის ბაფთები გაიხსნა.

- რას ვიზამ, უნდა წავიდე, - თქვა გაბრაზებულმა. - სხვა რა გზა მაქვს? ოღონდ ერთი პირობით: თქვენც ჩემთან წამოხვალთ.

- თანახმა ვარ. ჩემი მანქანა თქვენს განკარგულებაშია.

კიბეზე დაეშვნენ. ვებერის მანქანა კლინიკის შესასვლელთან იდგა, მზეზე ლაპლაპებდა. ორივენი ჩასხდნენ.

- მხოლოდ თქვენი თანდასწრებით ვიმუშავებ, - უთხრა რავიკმა, - თორემ ჩვენი საერთო მეგობარი ისევ ოინს მომიწყობს.

- მე მგონია, ახლა მაგისი თავი არ ექნება.

მანქანა დაიძრა.

- ასეთები მინახავს? - უთხრა რავიკმა. - ბერლინში ერთ ახალგაზრდა ასისტენტს ვიცნობდი. ყველა მონაცემი ჰქონდა, რომ კარგი ქირურგი დამდგარიყო. ერთხელ, მისმა პროფესორმა ოპერაცია სიმთვრალეში გააკეთა, არასწორი ჭრილი გამოუვიდა. ასისტენტს სთხოვა ოპერაციის გაგრძელება ისე, რომ, სიტყვა არ დაუძრავს იმაზე, რაც მოუვიდა. იმანაც ვერაფერი შენიშნა, ხოლო ნახევარი საათის შემდეგ პროფესორმა ერთი ამბავი ატეხა და მთელი დანაშაული ასისტენტს გადააბრალა. პაციენტმა დანის ქვეშ დალია სული. მეორე დღეს ასისტენტი გარდაიცვალა. თავი მოიკლა. რაც შეეხება პროფესორს, კვლავ აკეთებდა ოპერაციებს და კვლავ სვამდა.

მარსოს ავენიუზე გაჩერდნენ - გალილეის ქუჩაზე სატვირთო მანქანების კოლონა მიდიოდა. წინა მინიდან მზე აცხუნებდა. ვებერმა პატარა ფარის ღილზე თითი დააჭირა და სახურავის შუა ნაწილი ნელა წავიდა უკან. მან ამაყად გადახედა რავიკს.

- სულ ცოტა ხნის წინ გამიკეთეს. ელექტროამძრავია. შესანიშნავია, არა? რას არ მოიფიქრებს ადამიანი!

ღია სახურავიდან ნიავმა დაუბერა. რავიკმა თავი დააქნია.

- ჰო, შესანიშნავია. ყველაზე უკანასკნელი სიახლეებია მაგნიტური ნაღმები და ტორპედოები. გუშინ სადღაც წავიკითხე: თუ ასეთი ტორპედო მიზანს ასცდა, მობრუნდება და მაინც მოხვდებაო. პირდაპირ მიკვირს, მაინც რა გამომგონებლები ვართ!

ვებერმა გაღაჟღაჟებული, გულკეთილი ღიმილით გაბადრული სახე მისკენ მიაბრუნა.

- ისევ ომზე ლაპარაკობთ! ჩვენგან ომი მთვარეზე შორსაა. მთელი ეს ლაპარაკი პოლიტიკური ზეგავლენის საშუალებაა. შეგიძლიათ, მერწმუნოთ.

პაციენტი ქალის კანს მოცისფრო-სადაფისფერი გადაჰკვროდა, სახე კი ფერფლისფერი ჰქონდა. ფუშფუშა თმა ლამპის შუქზე თითქოს იწვოდა, ოქროსფერ ალად გიზგიზებდა და მთელ ამ დამაბრმავებელ ბრიალში იყო რაღაც გამომწვევი: ჩანდა, სიცოცხლე სრულიად გაპარულიყო ამ სხეულიდან, მხოლოდ თმა ჯერ კიდევ ცოცხლობდა, ნაპერწკლებს აფრქვევდა და დახმარებას ითხოვდა...

ახალგაზრდა ქალი, რომელიც საოპერაციო მაგიდაზე იწვა, ძალიან ლამაზი იყო. ტანადი, მოხდენილი, პირმშვენიერი. გულწასულსაც კი არ დამახინჯებოდა სახე. თითქოს, საგანგებოდ ფუფუნებისა და სიყვარულისათვის არისო შექმნილი.

სისხლდენა თითქმის არ აღინიშნებოდა.

- საშვილოსნო გახსენით? - ჰკითხა რავიკმა დიურანს.

- დიახ.

- მერე?

დიურანი დუმდა. რავიკმა შეხედა, პროფესორი უაზროდ შესცქეროდა.

- კარგი, - უთხრა რავიკმა. - მოწყალების დები არ დაგვჭირდებიან. სამნი გავწვდებით.

დიურანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მოწყალების დები და ასისტენტები გავიდნენ.

- მერე? - ჩაეკითხა ისევ რავიკი.

- თვითონვე ხედავთ, რაც არის.

- არა, ვერ ვხედავ.

რავიკმა ჩინებულად იცოდა, სად იყო დიურანის შეცდომა, მაგრამ უნდოდა, თვითონვე ეთქვა ვებერის თანდასწრებით. ასე უფრო საიმედო იყო.

- ორსულობის მესამე თვეა. სისხლის დენა. კოვზის აღება მომიხდა. ჩანს, შიგა კედელი დავაზიანე.

- მერე? - ისევ იკითხა რავიკმა.

დიურანს პირდაპირ სახეში შეხედა. მოხუცის სახეზე უმწეო ბრაზი გაყინულიყო. ახლა სამუდამოდ შემიძულებსო, გაიფიქრა რავიკმა. თუნდაც იმიტომ, რომ ყველაფერი ვებერის თანდასწრებით ხდებოდა.

- პერფორაცია, - თქვა დიურანმა.

- კოვზით?

- ცხადია, - მიუგო ცოტა მოგვიანებით დიურანმა. - მაშ, რითი?

სისხლის დენა სრულიად შეწყდა. რავიკი უსიტყვოდ განაგრძობდა გამოკვლევას. მერე წელში გასწორდა.

- თქვენ პერფორაცია მოახდინეთ და ეს ვერ შენიშნეთ. კიდევ მეტი, ნახვრეტში ნაწლავის ხვეულა შეგიყვანიათ და ვერ გაგიგიათ, რა მოხდა. ეტყობა, ნაწლავი ნაყოფის გარსად მიგიღიათ. ფხეკა დაიწყეთ და დააზიანეთ. სწორად ვლაპარაკობ?

დიურანს შუბლზე ოფლმა დაასხა. ნიღბის ქვეშ ნიკაპი ერთთავად უთრთოდა, გეგონებოდათ, რაღაცას ღეჭავს და ვერ დაუღეჭავსო.

- შეიძლება, ასეც იყოს.

- რამდენი ხანია, რაც ოპერაცია გრძელდება?

- სამი მეოთხედი საათი.

- საქმე გვაქვს შინაგან სისხლდენასთან და წვრილი ნაწლავის დაზიანებასთან. სეფსისი უკიდურესი საშიშროებაა. ნაწლავი უნდა ამოიკეროს და საშვილოსნო ამოიკვეთოს. დაუყოვნებლივ.

- როგორ? - ვითომ გაკვირვებით შესძახა დიურანმა.

- თვითონვე ყველაფერი საუცხოოდ გესმით, - მიუგო რავიკმა.

დიურანმა წამწამები დაახამხამა და უპასუხა:

- დიახ, მესმის. მაგრამ იმისათვის კი არ მოგიწვიეთ, რომ...

- ეს არის ყველაფერი, რისი თქმაც თქვენთვის შემიძლია. უხმეთ ყველას უკანვე და განაგრძეთ მუშაობა. გირჩევთ, აჩქარდეთ.

დიურანმა ყბები ისევ აამუშავა.

- მეტისმეტად აღელვებული ვარ. თქვენ ხომ არ გააკეთებთ ოპერაციას ჩემ მაგიერ?

- არა. როგორც თქვენთვის ცნობილია, საფრანგეთში არალეგალურად ვიმყოფები და საექიმო პრაქტიკის უფლება არა მაქვს.

- თქვენ... - ის იყო, დაიწყო დიურანმა და სიტყვა პირში გაეჩხირა.

- სანიტრები, უსწავლელი სტუდენტები, მასაჟისტები, ასისტენტები - ყველანი აქ თავს გამოჩენილ გერმანელ ექიმებად ასაღებენ... - რავიკს კარგად ახსოვდა, რა უთხრა ამ დიურანმა ლევალს. - მუსიე ლევალმა ამ საკითხზე ზოგი რამ უკვე ამიხსნა ჩემი გასახლების წინ.

რავიკმა შენიშნა, რომ ვებერმა ყურები ცქვიტა. დიურანმა არაფერი უპასუხა.

- თქვენ მაგიერ ოპერაციას დოქტორი ვებერი ჩაატარებს, - უთხრა რავიკმა.

- მაგრამ თქვენ ხომ ასე ხშირად ჩაგიტარებიათ ჩემს ნაცვლად ოპერაცია? თუ ჰონორარის საკითხი გაწუხებთ...

- საქმე ჰონორარი როდია. მას შემდეგ, რაც დავბრუნდი, ოპერაციებს აღარ ვაკეთებ. მეტადრე, თუ პაციენტი წინასწარ არ დამეთანხმება ასეთი სახის ოპერაციაზე.

დიურანმა ხელახლა მიაპყრო უაზრო მზერა.

- მაგრამ ხომ არ შეიძლება ნარკოზის შეწყვეტა, რათა პაციენტმა თანხმობა მოგცეთ?..

- რატომაც არა? სავსებით. მაგრამ ეს სარისკო საქმე იქნება. შეიძლება სეფსისი განვითარდეს.

დიურანს სახე ერთიანად სველი ჰქონდა. ვებერმა რავიკს შეხედა. რავიკმა თავი დაუქნია, გავიგეო.

- თქვენი მოწყალების დები სანდონი არიან? - ჰკითხა ვებერმა დიურანს.

- დიახ, რა თქმა უნდა...

- უასისტენტოდ იოლად გავალთ, - მიუბრუნდა ვებერი რავიკს. - ოპერაცია სამივემ გავაკეთოთ, მოწყალების დები დაგვეხმარებიან.

- რავიკ... - ის იყო დაიწყო დიურანმა.

- ბინო უნდა მოგეწვიათ, - შეაწყვეტინა რავიკმა, - ან მალონი, ან კიდევ მარტელი. ყველანი პირველხარისხოვანი ექიმები არიან.

დიურანი დუმდა.

- ხომ არ ინებებთ ვებერის თანდასწრებით იმის აღიარებას, რომ დაუშვით საშვილოსნოს პერფორაცია და დააზიანეთ ნაწლავის მარყუჟი, რომელიც ნაყოფის გარსი გეგონათ?

დიურანი პასუხს აგვიანებდა.

- დიახ, - წარმოთქვა ბოლოს ხრინწიანი ხმით.

- ამას გარდა, ხომ არ ინებებთ აღიაროთ, რომ მიმართეთ ვებერს თხოვნით, ჩაგეტარებინათ ჩემთან, შემთხვევით ასისტენტთან ერთად, ჰისტერექტომია, კუჭნაწლავის რეზექცია და ანასტომოზი?

- დიახ.

- ხომ არ ინებებთ, აგრეთვე, იკისროთ მთელი პასუხისმგებლობა ოპერაციისა და მისი შედეგისათვის, აგრეთვე, იმ გარემოებისათვის, რომ პაციენტის თანხმობა არა გვაქვს?

- დიახ! რაღა თქმა უნდა! - დაიკვნესა დიურანმა.

- კარგი. მაშინ უხმეთ მოწყალების დას. ასისტენტი არ გვჭირდება. აუხსენით, რომ ვებერსა და მე ნება მოგვეცით ამ განსაკუთრებით ძნელ შემთხვევაში ასისტენტის მაგივრობა გაგიწიოთ. თქვენს თავზე აიღებთ ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ანესთეზიასთან. მოწყალების დებს განმეორებითი სტერილიზაცია დასჭირდებათ?

- არა. მათი იმედი შეიძლება იქონიოთ. არაფერს არ შეხებიან.

- მით უკეთესი.

მუცლის ღრუ გაიხსნა. რავიკმა უკიდურესი სიფრთხილით გაათავისუფლა ნაწლავის მარყუჟი საშვილოსნოს ნახვრეტიდან და სტერილური საფენები დაახვია, რათა სეფსისი არ განვითარებულიყო.

- საშვილოსნოს გარე ორსულობაა, - ყრუდ გადაულაპარაკა ვებერს. - აი, ნახეთ... ნაყოფი სანახევროდ საშვილოსნოშია, სანახევროდ მილში. კაცმა რომ თქვას, დიურანი არც ისე დამნაშავეა. უაღრესად იშვიათი შემთხვევაა. და მაინც...

- რა? - ჰკითხა დიურანმა საოპერაციო მაგიდის ეკრანის იქითა მხრიდან. - რა თქვით?

- არაფერი.

რავიკმა საჭერები დაადო და რეზექცია ჩაატარა. შემდეგ სწრაფად გაკერა ღია ბოლოები და გვერდითი ანასტომოზი მოახდინა.

ოპერაციამ გაიტაცა. დიურანის არსებობა დაავიწყდა. მილი და მისი მასაზრდოებელი სისხლძარღვები რომ შეკრა, მილის ბოლო მოკვეთა. შემდეგ შეუდგა საშვილოსნოს ამოკვეთას. რატომ არის ასე ცოტა სისხლი? რატომ ხდება ადამიანის გულიდან მეტი სისხლდენა? მე ხომ ვკვეთ სიცოცხლის ყველაზე დიდ სასწაულს, რომელსაც მისი განგრძობის უნარი აქვს!

მის წინ მწოლიარე მშვენიერი ქალი მკვდარია. ცხოვრებას კიდევ შეძლებს, მაგრამ, არსებითად, უკვე მკვდარია. გამხმარი ტოტი საგვარეულო ხეზე. გაფურჩქნილი, მაგრამ განაყოფიერების საიდუმლოებადაკარგული. გვიმრის უღრან ტყეებში ადამიანის მსგავსი მაიმუნები ბინადრობდნენ. მათ განიცადეს რთული ევოლუცია ათასობით თაობაში. ეგვიპტელები ტაძრებს აშენებდნენ. ელადა ყვაოდა. განუწყვეტლივ მიედინებოდა სისხლის საიდუმლოებით მოცული დინება, სულ მაღლა და მაღლა ადიოდა, ვიდრე არ გაჩნდა ეს ქალი. ახლა ის უნაყოფოა, როგორც ცარიელი თავთავი, და ვეღარ განაგრძობს თავის თავს, ვეღარ შექმნის ვაჟიშვილსა და ქალიშვილს. დიურანის უხეშმა ხელმა გაწყვიტა ათასწლოვანი მემკვიდრეობითი ძაფი. მაგრამ განა დიურანიც ათასობით თაობის სიცოცხლის შედეგი არ არის? განა მისთვისაც, მისი სამაგელი ცანცარა წვერისთვისაც, არ იფურჩქნებოდა ელადა და რენესანსის ეპოქა?

- რა საძაგლობაა! - ჩაილაპარაკა რავიკმა.

- რა თქვით? - ჰკითხა ვებერმა.

- ისე... ისეთი არაფერი...

რავიკი გასწორდა.

- მორჩა. ოპერაცია დასრულდა.

მან ფერმკრთალ, ლამაზ სახეს შეხედა. საანესთეზიო აპარატის უკან ჩანდა ოქროსფრად მოელვარე თმა. იქვე სათლი იდგა. შიგ გასისხლიანებული ეგდო ის, რამაც ეს მშვენიერი სახე შექმნა... რავიკმა მზერა დიურანზე გადაიტანა.

- მორჩა, - გაიმეორა.

დიურანმა ნარკოზის მიცემა შეწყვიტა. რავიკს თვალის გასწორებას ვერ უბედავდა. დაუცადა, ვიდრე დები ხელის ურიკით ავადმყოფს გაიყვანდნენ, და ისე გავიდა, სიტყვა არ დაუძრავს.

- ხვალ ოპერაციისათვის დამატებით ხუთი ათას ფრანკს მოითხოვს, - უთხრა რავიკმა ვებერს, - და თან დაიტრაბახებს, სიკვდილს გადავარჩინეო.

- მეეჭვება, ამჯერად მეტისმეტად შესაბრალისია.

- დღე-ღამე - ცოტა დრო როდია. მონანიება კი ხანმოკლე ამბავია. მეტადრე, თუ თავის სასარგებლოდ საქმის შემობრუნება შეიძლება.

რავიკმა ხელები დაიბანა. მოპირდაპირე სახლის ფანჯრის რაფაზე წითელი, ნემსიწვერიანი ქოთნები ეწყო. ყვავილების ქვეშ რუხი კატა იწვა.

ღამის პირველ საათზე „შეჰერეზადადან“ დიურანის კლინიკაში დარეკა. მომვლელმა შეატყობინა, ავადმყოფს სძინავსო; ორი საათის წინ შფოთავდა და ბოდავდა, ვებერი იყო და ტკივილის გამაყუჩებელი წამალი მისცა. ახლა თითქოს ყველაფერი რიგზეაო.

რავიკი სატელეფონო ჯიხურიდან გამოვიდა. ცხვირში სუნამოს მკვეთრი სუნი მოხვდა. რომელიღაც ზიზილ-პიპილებიანი ქერა ქალი ფუშფუშა კაბის შრიალით, ამაყად და გამომწვევად შევიდა ქალების ტუალეტში. ეს ქალი ახლახან მისი პაციენტი იყო, ბუნებრივი ოქროსფერი თმა ჰქონდა, მოწითალო, მოელვარე ელფერი გადაჰკრავდა. რავიკმა სიგარა მოსწია და დარბაზში დაბრუნდა. იგივე რუსული ქორო მღეროდა იმავე „შავ თვალებს“... უკვე ოცი წელი მღეროდა ამას მსოფლიოს ყველა კუთხეში. ოც წელს გაჭიანურებული ტრაგედია საშიშია, კომედიად არ გადაგვარდესო, გაიფიქრა რავიკმა. ნამდვილი ტრაგედია ხანმოკლე უნდა იყოს.

- მაპატიეთ, - უთხრა კეტ ჰეგსტრემს, - აუცილებლად უნდა დამერეკა.

- ახლა ყველაფერი რიგზეა?

- ჯერჯერობით კი.

„რატომ მეკითხება? - შეცბა რავიკი. - მას ხომ აშკარად ყველაფერი რიგზე ვერა აქვს“.

- კმაყოფილი ხართ? თქვენ ხომ ეს გინდოდათ? - ჰკითხა და რავიკმა გრაფინ არაყზე მიუთითა.

- არა, არა ვარ კმაყოფილი.

- არა ხართ კმაყოფილი?

კეტმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- ახლა ზაფხულია, რავიკ. ზაფხულობით ადამიანი აივანზე უნდა იჯდეს და არა ღამის კლუბში, აივანზე და გვერდით რომელიმე დამჭკნარი ხე იდგეს, რკინის მესრით შემორაგულიც კი, ჩემი აზრით.

რავიკმა თვალები ასწია და ჟოანის მზერას შეხვდა. ჩანს, მაშინ შემოვიდა, დასარეკად რომ გავიდა. მანამდე ჟოანი აქ არ ყოფილა. ახლა პირდაპირ, კუთხეში იჯდა.

- გნებავთ, სხვაგან წავიდეთ? - ჰკითხა რავიკმა კეტს.

ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- არა. თქვენა? თქვენ კი მოგინდათ რომელიმე დამჭკნარი ხის ქვეშ ჯდომა?

- ასეთი ხის ქვეშ არაყიც არ მომეჩვენება მადისმომგვრელად. აქ კი გემრიელია.

ქორო გაჩუმდა. ორკესტრმა ბლუზი დაუკრა. ჟოანი წამოდგა და მოცეკვავეთა წრეში გავიდა. რავიკმა ვერ შენიშნა, ვისთან ერთად. როცა პროჟექტორის მკრთალი ცისფერი შუქი მოცეკვავეებს გადაურბენდა, ჟოანი წამით გაიელვებდა და კვლავ ნახევრად წყვდიადში ჩაიკარგებოდა ხოლმე.

- დღეს ოპერაცია გააკეთეთ? - ჰკითხა კეტმა.

- ჰო...

- საინტერესოა, როგორ გრძნობს თავს ღამის კლუბში ადამიანი ოპერაციის შემდეგ? ისეთი განცდა არა გაქვთ, რომ ფრონტიდან დაბრუნდით სადმე მშვიდობიან ქალაქში? თუ მძიმე სნეულების შემდეგ სიცოცხლეს დაუბრუნდით?

- ყოველთვის არა. ზოგჯერ, უბრალოდ, გაპარტახებულად გრძნობ თავს, გატიალებულად, და მეტი არაფერი.

მკრთალი შუქის ზოლზე ჟოანის თვალები სრულიად გამჭვირვალე ეჩვენა. ქალი მისკენ იხედებოდა. გული მშვიდად მაქვს, ფიქრობდა რავიკი, შიგნით კი რაღაც ჩამწყდა. დარტყმა მზის წნულში[14]. ამაზე ათასობით ლექსია დაწერილი. დარტყმას შენ კი არ მაყენებ, კოხტა მოცეკვავევ, ოდნავ ოფლდასხმულო, არა, დარტყმა ჩემი ტვინის ბნელი ხვეულებიდან მოდის. ხოლო თუ ჩემი შინაგანი მღელვარება უფრო ძლიერდება, როცა შუქის კაბადონზე ვხედავ, როგორ დასრიალებ, მაშასადამე, შემთხვევით მოეშვა რაღაც კონტაქტი.

- ეს ის ქალი ხომ არ არის, უწინ აქ რომ მღეროდა?

- სწორედ ის გახლავთ.

- ახლა აღარ მღერის?

- მგონი, არა.

- მშვენიერია.

- ვითომ?

- დიახ, მშვენიერზე მეტიცაა. სიცოცხლის სხივს აფრქვევს ამ ქალის სახე.

- შეიძლება.

კეტმა მოჭუტული თვალებით გამოხედა რავიკს. ქალი იღიმებოდა. ეს ერთ-ერთი იმ ღიმილთაგანი იყო, ხშირად რომ ცრემლით თავდება.

- ერთი სირჩა არაყიც დამისხით და მერე წავიდეთ აქედან, - უთხრა რავიკს.

რომ დგებოდა, რავიკმა ჟოანის მზერა დაიჭირა. კეტს ხელი მოჰკიდა. ეს ზედმეტი იყო. კეტს დაუხმარებლადაც შეეძლო სიარული! მაგრამ შეხედოს ჟოანმა - არ აწყენს.

- ერთ სამსახურს ხომ ვერ გამიწევთ? - ჰკითხა კეტმა, მის ოტელში რომ მივიდნენ.

- რა საკითხავია, თუკი შევძლებ.

- წამომყვებით ბალზე მონფორებთან?

- ვინ არიან, კეტ? არასოდეს გამიგონია ეს გვარი.

ქალი სავარძელში ჩაჯდა. ძალიან დიდი სავარძელი იყო და კეტი შიგ განსაკუთრებით სუსტი და უღონო ჩანდა - ჩინელი მოცეკვავე ქალის ქანდაკებასავით.

- პარიზის მაღალი საზოგადოებისათვის მონფორების ბალი ზაფხულის სეზონის მთავარი მოვლენაა, - განუმარტა. - მომავალ პარასკევს ჩატარდება ლუი მონფორის სახლში. ეს სახელი არაფერს გეუბნებათ?

- არაფერს.

- ხომ ვერ გამიწევთ კომპანიონობას?

- მე რომ არავის დავუპატიჟებივარ?

- თვითონ გიშოვით მიწვევის ბარათს.

რავიკმა შეხედა, შეყოყმანდა.

- რა საჭიროა ეს, კეტ?

- მინდა წავიდე, მაგრამ მარტო - არა.

- სხვას ვერავის წაიყვანდით?..

- მე თქვენთან მინდა. ვერც ერთ ჩემს ძველ ნაცნობს ვერ გავყვები, ახლა ვეღარავის ვეგუები. გამიგეთ?

- დიახ.

- ეს საუცხოო დღესასწაულია ღია ცის ქვეშ და, ალბათ, უკანასკნელი. ბოლო ოთხ წელიწადში ერთხელაც არ გამიცდენია. შემისრულებთ ამ თხოვნას?

რავიკმა იცოდა, რისთვის უნდოდა მაინცდამაინც მასთან წასვლა. მის გვერდით თავს უფრო გულდაჯერებულად იგრძნობდა. უარის თქმა არ შეეძლო.

- კარგი, კეტ, - უთხრა. - მაგრამ საგანგებოდ ჩემთვის მიწვევის ბარათს ნუ იშოვით. უბრალოდ, უთხარით მასპინძლებს, რომ მარტო არ იქნებით. ვფიქრობ, ეს სავსებით საკმარისი იქნება.

ქალი დაეთანხმა:

- რა თქმა უნდა. გმადლობთ, რავიკ. ახლავე დავურეკავ სოფი მონფორს.

რავიკი წამოდგა.

- მაშ, პარასკევს შემოგივლით, რას ჩაიცვამთ?

ქალმა წარბშეკრულმა გადახედა. გულმოდგინედ დავარცხნილ თმაზე შუქის მკვეთრი ათინათი თამაშობდა. ხვლიკივით თავი აქვსო, გაიფიქრა რავიკმა, მოქნილი, მშრალი, მოხდენილი, სრულყოფილი - ეგზომ მიუწვდომელი ჯანმრთელი ადამიანისათვის.

- სწორედ აქედან უნდა დამეწყო, - უთხრა ქალმა. - სამასკარადოკოსტიუმებიანი ბალი იქნება, რავიკ. ლუდოვიკო XIV-ის სასახლის ბაღში ტარდება.

- ღმერთო მაღალო! - რავიკი ისევ დაჯდა.

კეტმა ძალდაუტანებლად და მთლად ბავშვურად გაიცინა.

- აი, ძველისძველი კონიაკი, - უთხრა და ბოთლი აჩვენა. - გნებავთ?

რავიკმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- რას არ აიხირებს ხოლმე ადამიანი!

- მონფორები ყოველწლიურად აწყობენ ასეთ რამეებს.

- მაშ, მეც...

- თვითონვე ვიზრუნებ ყველაფრისათვის, - სწრაფად შეაწყვეტინა კეტმა. - ნუ შეწუხდებით. კოსტიუმს გიშოვით. სრულიად უბრალოს. მიზომებაც კი არ დაგჭირდებათ. მხოლოდ ზომები გამომიგზავნეთ.

- მგონი, ერთი სირჩა კონიაკი მაინც არ მაწყენდა, - თქვა რავიკმა.

კეტმა ბოთლი მიუჩოჩა.

- ოღონდ, ახლა უარის თქმა არ დააპიროთ.

რავიკმა სირჩა დაცალა. ,,თორმეტი დღე, გაიფიქრა, გავა თორმეტი დღე და ჰააკე ისევ პარიზში იქნება. თორმეტი დღე - როგორმე უნდა მოვკლა ეს დარჩენილი დრო". მთელი მისი სიცოცხლე ახლა ამ თორმეტ დღეში იყრიდა თავს და აღარაფერზე ფიქრი არ შეეძლო. თორმეტი დღე... იქით უფსკრულს დაეღო პირი. განა სულერთი არ არის, როგორ გაატარებს ამ დღეებს? სამასკარადოკოსტიუმებიანი ბალი? განა შეიძლებოდა, ამ მერყევი ორი კვირის განმავლობაში რაიმე სასაცილოდ მოსჩვენებოდა?

- კარგი, კეტ.

ისევ შეიარა დიურანის კლინიკაში. ოქროსფერთმიან ქალს ეძინა. შუბლი ოფლის მსხვილი წვეთებით ჰქონდა დაცვარული. სახე ცოტა გავარდისფრებოდა, პირი ოდნავ დაეღო.

- სიცხე გაუზომეთ? - ჰკითხა მოწყალების დას.

- ოცდაჩვიდმეტი და რვა.

- კარგია.

ავადმყოფის ოფლიანი სახისაკენ დაიხარა. მის სუნთქვაში ეთერის სუნი აღარ იგრძნობოდა. სუფთა სუნთქვა ჰქონდა, ქონდარასავით ქორფა და სურნელოვანი. ქონდარაო, გაიხსენა მთის მდელო შვარცვალდში. იგი მიხოხავს მცხუნვარე მზის ქვეშ, დაბლიდან მდევართა ყიჟინა ისმის და დგას ქონდარას დამათრობელი სუნი. საოცარია, რა ჩქარა ეძლევა დავიწყებას ყველაფერი, სუნის გარდა. ქონდარა... ოცი წლის შემდეგაც კი აღადგენს ეს სუნი შვარცვალდში გაქცევის მთელ სურათს, მეხსიერების შორეული ხვეულებიდან ამოტივტივდება ყველა წვრილმანი, თითქოს ყველაფერი ეს გუშინ მომხდარიყოს. თუმცა, რატომ ოცი წლის შემდეგ? - გაიფიქრა. რაღაც თორმეტი დღის შემდეგ...

რავიკი ოტელში დაბრუნდა. თბილოდა. სამი საათი იქნებოდა. კიბეზე ავიდა. კართან თეთრი კონვერტი ეგდო. აიღო. კონვერტზე მისი სახელი ეწერა, მაგრამ არც მარკა ჰქონდა, არც ბეჭედი. ჟოანიაო, გაიფიქრა. კონვერტი გახსნა. დიურანის გამოგზავნილი ჩეკი აღმოჩნდა. ჯერ გულგრილად დახედა ციფრს, მერე ყურადღებით დააცქერდა. საკუთარ თვალებს არ დაუჯერა: ჩვეულებისამებრ, ორასი კი არა, ორი ათასი ფრანკი აღმოჩნდა. ჩანს, საგრძნობლად დამფრთხალაო, გაიფიქრა. დიურანი, ნებაყოფლობით რომ ორი ათას ფრანკს იძლევა! აი, ჭეშმარიტად ქვეყნიერების მერვე საოცრება!

ჩეკი საფულეში შეინახა. რამდენიმე წიგნი აიღო და საწოლთან მაგიდაზე დააწყო. ახლახან იყიდა, რომ უძილო ღამეებში ეკითხა. რაღაც გაუგებარი რამ ემართებოდა - წიგნები მისთვის სულ უფრო მეტ ფასს იძენდა და, თუმცა ყველაფრის მაგივრობას ვერ უწევდა, იმ შინაგან სფეროს ეხებოდა, სადამდეც სხვა ვეღარაფერი აღწევდა. გაიხსენა: უცხოეთში ცხოვრების პირველ წლებში ხელში წიგნს ვერ იღებდა. ყველაფერი, რაც მათში ეწერა, მეტისმეტად უფერული იყო იმასთან შედარებით, რაც სინამდვილეში ხდებოდა. ახლა კი წიგნები გადაექცა თავდაცვის მიწაყრილად, სანგრად და, თუმცა რეალური დაცვის უზრუნველყოფა არ შეეძლოთ, რაღაც საყრდენს მაინც ხედავდა მათში. ისინი ცხოვრებაში ბევრს ვერაფერს ეხმარებოდნენ, მაგრამ სასოწარკვეთილებისაგან იფარავდნენ იმ ეპოქაში, როცა ქვეყნიერება

თავშეუკავებლად მიექანებოდა თვალუწვდენელ წყვდიადში პირღია უფსკრულისაკენ. შორეულ წარსულში ადამიანებს ებადებოდათ აზრები, დღეს რომ სძაგთ და დასცინიან, მაგრამ ეს აზრები წამოჭრილა და იცოცხლებს მარად, ეს კი თავისთავად საკმაო ნუგეში იყო.

წიგნის გადაშლაც ვერ მოასწრო, რომ ტელეფონმა დაიწკრიალა. ყურმილი არ აუღია. ტელეფონის ზარი წკრიალს განაგრძობდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ზარი შეწყდა, ყურმილი აიღო და პორტიეს ჰკითხა, ვინ რეკავდაო.

- ქალი იყო, სახელი არ უთქვამს, - მიუგო პორტიემ.

რავიკმა ყურმილში წკლაპუნი გაიგონა. პორტიე რაღაცას ჭამდა.

- ქალი იყო?

- დიახ.

- აქცენტით ლაპარაკობდა?

- ყურადღება არ მიმიქცევია, - თქვა პორტიემ და ენის წკლაპუნი განაგრძო.

რავიკმა ვებერის კლინიკის ნომერი აკრიფა. იქიდან არ ურეკავდნენ, არც დიურანის კლინიკიდან. მაშინ ოტელ „ლანკასტერთან“ დაკავშირება ითხოვა. ტელეფონისტმა ქალმა უთხრა, აქედან არავის გამოუძახიხართო. მაშასადამე, ჟოანი რეკავდა. ალბათ, ჯერაც „შეჰერეზადაშია“.

ერთი საათის შემდეგ ტელეფონის ზარი ისევ გაისმა. რავიკმა წიგნი გადადო, ფანჯარასთან მივიდა, რაფაზე დაეყრდნო. დაბლიდან მსუბუქ ნიავს შროშანების სურნელება მოჰქონდა: ემიგრანტმა ვიზენჰოფმა დამჭკნარი მიხაკები ამ ყვავილით შეცვალა. თბილ ღამეებში ოთახი სასაფლაოს სამლოცველოს ან მონასტრის ბაღის სურნელებით ივსებოდა. რავიკს მაინც ვერ გაეგო, რისთვის შეცვალა ვიზენჰოფმა მიხაკი შროშანებით: იმის გამო, რომ განსვენებული გოლდბერგის ხსოვნას სცემდა პატივს თუ, უბრალოდ, იმიტომ, რომ შროშანები კარგად ხარობენ ხის ყუთებში. ზარის ხმა მიწყდა. შეიძლება დღეს დამეძინოსო, გაიფიქრა და ისევ დაწვა.

ჟოანი მაშინ მოვიდა, როცა რავიკს ეძინა. ქალმა მაშინვე ჩართო შუქი და კარში დადგა. რავიკმა თვალი გაახილა.

- მარტო ხარ? - ჰკითხა ქალმა.

- არა. ჩააქრე შუქი და წადი.

ქალი წუთით შეყოყმანდა, შემდეგ ოთახი გაიარა და სააბაზანოს კარი შეაღო.

- ტყუი, - თქვა და გაიღიმა.

- ეშმაკსაც წაუღიხარ. დაღლილი ვარ.

- დაიღალე? რამ დაგღალა?

- დაღლილი ვარ. ღამე მშვიდობისა.

ჟოანი უფრო ახლოს მივიდა.

- შინ ახლა დაბრუნდი. ყოველ ათ წუთში ვრეკავდი.

ეს სიცრუე იყო, მაგრამ რავიკმა არაფერი უპასუხა. გადაცმა მოუსწრიაო, გაიფიქრა. თავის საყვარელს მიუწვა, მერე შინ გაუშვა და აქ გამოცხადდა, დარწმუნებული იმაში, რომ კეტ ჰეგსტრემთან შემისწრებდა. ამით დამიმტკიცებდა, რომ მე საზიზღარი, გახრწნილი ადამიანი ვარ, საშიში კაცი, რომელსაც ყოველღამე ახალი საყვარელი ჰყავს. რა უცნაური ამბავია, ამ ქალის ეშმაკურად მოფიქრებული ინტრიგა ყოველთვის აღტაცებას იწვევდა, თუნდაც ეს მის წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული. უნებურად გაიღიმა.

- რას იცინი? - ფიცხლად ჰკითხა ჟოანმა.

- რატომ არ უნდა გავიცინო; ჩააქრე შუქი - საშინელი სახე გაქვს, და გამეცალე, რაც შეიძლება მალე.

ქალს მისი სიტყვები ვითომ არ გაუგონია.

- ვინ არის ის როსკიპი, ვისთანაც დღეს გნახე?

რავიკი იდაყვებზე დაეყრდნო, წამოიწია.

- აქედან გაეთრიე, თორემ რამეს გესვრი!

- აჰ, ამას დამიხედეთ... - ჟოანი სახეში მიაშტერდა. - აი, რა ყოფილა! მაშ, საქმე ასე შორს წავიდა?

რავიკმა სიგარეტი აიღო.

- ეს ხომ პირდაპირ სისულელეა. თვითონ სხვასთან ცხოვრობ, მე კი ეჭვიანობის სცენებს მიწყობ! წადი შენს მსახიობთან და მომასვენე.

- იქ სულ სხვა ამბავია, - უთხრა ქალმა.

- ჰო, რა თქმა უნდა!

- რა თქმა უნდა, სულ სხვა რამეა! - უეცრად ქალი მოთმინებიდან გამოვიდა. - შენ ხომ ძალიან კარგად იცი, რომ სხვა რამეა, და ტყუილად მდებ ბრალს. თვითონაც არ მიხარია. არ ვიცი, საიდან მოვიდა...

- ასეთი რამ, კაცმა არ იცის, საიდან მოდის ხოლმე...

ჟოანი თვალს არ აშორებდა.

- შენ კი... შენ ყოველთვის ასე მტკიცე იყავი! ისე მტკიცე და საკუთარ თავში დაჯერებელი, რომ ჭკუიდან შეშლიდი ადამიანს! არაფერს შეეძლო შენში შეღწევა! წინ შენი ეს თავდაჯერებულობა ეღობებოდა. როგორ მძაგდა შენი უპირატესობა! როგორ ხშირად მძაგდა! მინდა, ჩემით აღტაცებულნი იყვნენ! ენთუზიაზმი მესაჭიროება! მინდა, ჩემი გულისათვის თავგზა ერეოდეთ! უჩემოდ არსებობა არ შეეძლოთ. შენ კი შეგიძლია! ყოველთვის შეგეძლო! მე შენ არ გჭირდები! შენ ცივი ხარ და ცარიელი! წარმოდგენაც არ გაქვს, რა არის სიყვარული! მაშინ მოგატყუე... გახსოვს,

რომ გითხარი, ყველაფერი იმის გამო მოხდა, მთელი ორი თვე შენი ასავალ-დასავალი არ ვიცოდი-მეთქი? თუნდაც არ გამგზავრებულიყავი, მაინც იგივე მოხდებოდა. ნუ იცინი! შესანიშნავად მესმის განსხვავება შენსა და იმას შორის; ყველაფერი ვიცი, ვიცი, რომ ჭკვიანი არ არის და შენთან ვერ მოვა, მაგრამ მზად არის, ჩემთვის ყველაფერი გააკეთოს. მისთვის მხოლოდ მე ვარსებობ ამქვეყნად, არაფერზე ფიქრობს და არავინ უნდა ჩემ გარდა. მე კი სწორედ ეს მინდა!

ლოგინთან იდგა და მძიმედ სუნთქავდა. რავიკი ბოთლს მისწვდა, რომ კალვადოსი დაესხა.

- ახლა ეს მითხარი, რისთვის მოხვედი ჩემთან? - ჰკითხა ქალს.

ჟოანმა პასუხი შეაყოვნა.

- თვითონაც იცი, - უთხრა წყნარად. - რატომ მეკითხები?

რავიკმა სასმისი შეავსო და მიაწოდა.

- არ მინდა. ვინ იყო ის ქალი?

- პაციენტი, - რავიკს ტყუილის თქმა არ უნდოდა. - ძალიან მძიმედ სნეული ქალია.

- მატყუებ. თუ იცრუებ, უფრო დახვეწილად მაინც უნდა იცრუო. ავადმყოფი ქალის ადგილი საავადმყოფოშია და არა ღამის კლუბში.

რავიკმა სასმისი მაგიდაზე დადგა. რა ხშირად გვეჩვენებაო სიმართლე დაუჯერებელი, - გაიფიქრა.

- ეს სიმართლეა, - უთხრა ქალს.

- გიყვარს?

- რა შენი საქმეა?

- გიყვარს?

- არა, მართლა, რა შენი საქმეა, ჟოან?

- ყველაფერი ჩემი საქმეა! ვიდრე არავინ გიყვარს... - აქ ლაპარაკი შეწყვიტა.

- წეღან იმ ქალს როსკიპი უწოდე. რა სიყვარულზე შეიძლება აქ ლაპარაკი?

- ეს ისე ვთქვი. როსკიპისათვის მოსვლასაც არ ვიკადრებდი. გიყვარს?

- შუქი ჩააქრე და წადი.

ჟოანი უფრო ახლოს მივიდა.

- ასეც ვიცოდი. ყველაფერი მაშინვე გავიგე.

- ჯანდაბაში წადი, - უთხრა რავიკმა. - დავიღალე. ეშმაკებს ესტუმრე მთელი შენი იაფფასიანი ,,სირთულით". ეს შენი შარადა რაღაც არაჩვეულებრივი რამე გგონია. ერთი დასატკბობად გინდა, მღელვარე სიყვარულის ან კარიერისათვის, მეორეს კი

უცხადებ, რომ გიყვარს ღრმად და სულ სხვანაირად - ეს არის შენთვის წყნარი ყურე, ისე, სხვათა შორის, თუ, რა თქმა უნდა, დაგთანხმდება, რომ იყოს ვირი, და ასეთ როლზე უარს არ იტყვის. ჯოჯოხეთსა და დოზანაში წადი. მეტისმეტად მრავალფეროვანი სიყვარული გცოდნია.

- ეს არ არის სწორი. ისე არ არის, როგორც შენ ამბობ. არ ხარ მართალი. მინდა დაგიბრუნდე. დაგიბრუნდები კიდეც.

რავიკმა ისევ შეავსო სასმისი.

- შესაძლოა, მართლა გინდოდეს ჩემთან დაბრუნება, მაგრამ ეს თავის მოტყუებაა. გულწრფელად იტყუებ თავს, რათა საკუთარ გულში გაამართლო შენივე სურვილი, რომ ის კაცი მიატოვო. შენ აღარასოდეს დაბრუნდები.

- დავბრუნდები!

- არ დაბრუნდები და, თუნდაც დაბრუნდე, - ძალიან ცოტა ხნით. შემდეგ კიდევ გამოჩნდება ვინმე, მთელ ქვეყნიერებაზე შენ ერთს რომ მოგინდომებს, მხოლოდ შენ ეყვარები, და ასე შემდეგ. ასე რომ, ჩემთვის შესაშური მომავალია გამზადებული.

- არა, არა! მე შენთან დავრჩები.

რავიკმა გაიღიმა.

- ჩემო ძვირფასო, - უთხრა თითქმის ნაზად, - შენ არ დარჩები ჩემთან. არ შეიძლება ქარისა და წყლის ჩაკეტვა. თუ ამას გავაკეთებთ, აყროლდებიან, დაგუბდებიან. დაგუბებული ქარი შეხუთული ჰაერია. შენ არ ხარ შექმნილი იმისათვის, რომ ერთი ვინმე გიყვარდეს.

- მაგრამ არც შენ.

- მე?..

რავიკმა სასმისი დაცალა და ჩაფიქრდა: დილით ოქროსთმიანი ქალი, მერე კეტ ჰეგსტრემი თავისი მომაკვდინებელი სნეულებითა და აბრეშუმივით თხელი, სიფრიფანა, სუსტი კანით. დაბოლოს, ეს, შეუბრალებელი, სიცოცხლის წყურვილით აღსავსე ქალი, ჯერ კიდევ რომ ვერ შეუსწავლია საკუთარი თავი და თანაც იმდენად შთანთქმულია საკუთარი თავით, რომ მამაკაცი ვერაფერს გაიგებს. გულუბრყვილო და გატაცებული, თავისებურად ერთგული და არც ერთგული, როგორც მისი დედაბუნება. მდევნელი და დევნილი, შეკავებას მოწადინებული და თანაც მიმტოვებელი...

- მე? - გაიმეორა რავიკმა. - რა იცი ჩემზე? რა იცი კაცზე, რომლის ისედაც მერყევ ცხოვრებაში სიყვარული შეიჭრება ანაზდეულად? რა იაფი ღირს ყოველივე ამასთან შენი უბადრუკი აღფრთოვანებანი! როცა უსასრულო ვარდნის შემდეგ ადამიანი უეცრად ჩერდება და ფეხქვეშ მყარ ნიადაგს გრძნობს, როცა უსასრულო ,,რატომ" ბოლოს გახდება გარკვეული ,,შენ", როცა დუმილის უდაბნოში მირაჟის მსგავსად აღიმართება გრძნობა, როცა შენივე სურვილისა და საკუთარი თავის მასხრული დაცინვის საწინააღმდეგოდ სისხლის თამაში ხორცს შეისხამს, ზღაპრულ პეიზაჟად იქცევა და ყველა შენი ოცნება, ყველა მისწრაფება მასთან შედარებით

მეშჩანურად უბადრუკი გეჩვენება... ვერცხლის პეიზაჟი, სადაფისა და ვარდისფერი კვარცის სხივოსანი ქალაქი, შიგნიდან რომ ელვარებს, როგორც სისხლის სიმხურვალით გამთბარი... რა იცი ყოველივე ამაზე? გგონია, ყოველივე ამის შესახებ შეიძლება მაშინვე მოჰყვე? შენ გეჩვენება, რომ რომელიმე ენამჭევრი ყბედი შეძლებს, ყოველივე ეს გაცვეთილი სიტყვებისა და გრძნობების შაბლონით შემოსოს? რა იცი იმაზე, როგორ იხსნება საფლავები, რა საშიშია წარსულის უსახო ღამეები?.. საფლავები იხსნება, მაგრამ შიგ ჩონჩხები აღარ არიან, არის მხოლოდ მიწა. მიწა, ნაყოფის მომცემი ყლორტები, პირველი სიმწვანე. რა იცი ყოველივე ამაზე? შენ გესაჭიროება თრობა და ტკბობა, გამარჯვება სხვის „მეზე“, შენად გადაქცევას რომ ისურვებდა, მაგრამ, როცა არ გადაიქცევა, მაშინ სისხლის მღელვარე თამაშს მართავ, გული კი გიცარიელდება, რადგან ადამიანს შეუძლია, შეინარჩუნოს მხოლოდ ის, რაც მასში იზრდება. ცეცხლის გრიგალში ბევრი ვერაფერი აღმოცენდება. მარტოობის ბნელი ღამეები - აი, როდის შეიძლება, ადამიანში წამოიზარდოს რაღაც თავისი, თუ სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდა... რა იცი ყოველივე ამაზე?

ნელა ლაპარაკობდა, ჟოანს არ უყურებდა, თითქოს მისი არსებობაც დაავიწყდაო. შემდეგ შეხედა.

- რაზე ვლაპარაკობდი? - მიმართა ქალს. - სულელური, გაცვეთილი სიტყვებია! ჩანს, ზედმეტი დავლიე. დალიე ცოტა შენც და მერე წადი.

ქალი საწოლზე ჩამოჯდა და სირჩა აიღო.

- ყველაფერი გავიგე, - უთხრა.

სახის გამომეტყველება შეეცვალა. სარკე, გაიფიქრა რავიკმა. ისევ და ისევ ამ ქალის სახე, როგორც სარკე, ირეკლავს იმას, რასაც წინ დაუდგამ. ახლა მისი სახე დაძაბული და ლამაზი იყო.

- ყველაფერი გავიგე, - გაიმეორა. - ზოგჯერ ამას თვითონაც ვგრძნობდი. მაგრამ იცი, რავიკ, შენ შენი სიყვარულისა და სიცოცხლის სიყვარულის იქით ხშირად მივიწყებდი. შენთვის მხოლოდ საბაბი ვიყავი, შენს ვერცხლის ქალაქებში მიდიოდი სასეირნოდ... და თითქმის არ მამჩნევდი...

რავიკი დიდხანს შესცქეროდა.

- შეიძლება, მართალი ხარ, - უთხრა ბოლოს.

- ისე იყავი შენი თავით გატაცებული, ისე ბევრს აღმოაჩენდი ხოლმე შენს თავში, რომ ყოველთვის სადღაც, შენი ცხოვრების განაპირას ვრჩებოდი გარიყული.

- ვთქვათ, ასეა. მაგრამ განა შეიძლება რაიმეს შექმნა შენთან ერთად, ჟოან? არ შეიძლება, და ეს თვითონაც იცი.

- განა გიცდია?

- არა, - მიუგო რავიკმა ცოტა ფიქრის შემდეგ და გაიღიმა. - თუ ლტოლვილი ხარ, თუ დაემშვიდობე შენს უწინდელ მყარ არსებობას, ზოგჯერ უცნაურ სიტუაციებში მოხვდები ხოლმე და მოახდენ უცნაურ რამეებს. ცხადია, ეს არ მსურდა, მაგრამ, როცა

ადამიანს თითქმის აღარაფერი რჩება ცხოვრებაში, მცირესაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

და უეცრად ღამე ღრმა სიმშვიდემ მოიცვა. ეს იყო კიდევ ერთი უსასრულოდ შორეული, თითქმის დავიწყებული ღამეთაგანი, როცა ჟოანი მის გვერდით იწვა. ქალაქმა დაიხია სადღაც შორს, შორს. მხოლოდ რაღაც ბუნდოვანი გუგუნი ისმოდა ჰორიზონტზე. დროის ჯაჭვი გაწყდა და დრო თითქოს ერთ ადგილზე გაიყინა. და ისევ მოხდა ყოვლად უბრალო და ყოვლად მიუწვდომელი რამ ქვეყანაზე - ორი ადამიანი საუბრობდა, მაგრამ ორივე მხოლოდ თავისთვის ლაპარაკობდა. სიტყვებად წოდებული ბგერები ორივეში ერთნაირ სახეებსა და განცდებს იწვევდა და ხმის იოგების შემთხვევითი რხევებიდან, აუხსნელ საპასუხო რეაქციას რომ იწვევენ, ტვინის ნაცრისფერი ხვეულების სიღრმიდან უეცრად ახლად იქმნებოდა სიცოცხლის ცა, რომელზედაც ირეკლებოდნენ ღრუბლები, ნაკადულები, წარსული, აყვავილება, ჭკნობა და მომწიფებული გამოცდილება.

- გიყვარვარ, რავიკ?.. - ჰკითხა ჟოანმა და ეს მხოლოდ სანახევროდ იყო კითხვა.

- დიახ. მაგრამ ყველაფერს ვაკეთებ, რომ თავიდან მოგიცილო, - ჩაილაპარაკა მშვიდად, თითქოს საქმე ეხებოდა არა მათ, არამედ ვინმე სხვებს.

ქალმა მის სიტყვებს ყური არ ათხოვა, ისე განაგრძო:

- ვერ წარმომიდგენია, რომ ჩვენ ოდესმე დავშორდებით. დროებით - შეიძლება, მაგრამ სამუდამოდ - არა, არა სამუდამოდ, - გაიმეორა და ტანში ჟრუანტელმა დაუარა. - სამუდამოდ! - რა საშინელი სიტყვაა, რავიკ! ვერ წარმომიდგენია, რომ ერთად აღარასოდეს ვიქნებით.

რავიკმა არ უპასუხა.

- ნება მომეცი, შენთან დავრჩე, - უთხრა. - არ მინდა უკან დაბრუნება. არასოდეს. არასოდეს.

- ხვალვე დაბრუნდები უკან. თვითონაც მშვენივრად იცი.

- როცა აქ ვარ, თავზარს მცემს იმაზე ფიქრი, რომ შენთან არ გამაჩერებ.

- ისევ იტყუებ თავს. ესეც იცი.

და ანაზდად დროის ნაკადში სიცარიელე გაჩნდა. პატარა, განათებული ოთახი, ისეთივე, როგორიც ადრე იყო. ისევ ის ადამიანი, ვინც გიყვარს, აქ იმყოფება და, ამავე დროს, რაღაც საოცრებით აღარ არის. ხელს გაუწოდებ, ხელახლა შეეხები, მაგრამ მოპოვებით კი ვეღარ მოიპოვებ.

რავიკმა სასმისი დადგა.

- თვითონვე იცი, რომ წახვალ - ან ხვალ, ან ზეგ, ოდესმე... - უთხრა ქალს.

ჟოანმა თავი დახარა.

- ვიცი.

- ხოლო თუ დაბრუნდები, ისევ წახვალ, და მერე ისევ. მართალი არა ვარ?

- მართალი ხარ, - თავი ასწია. ცრემლები სდიოდა. - რა არის ეს, რავიკ? რა?

- თვითონაც არ ვიცი, - რავიკმა გაღიმება სცადა. - ზოგჯერ სიყვარულიც არ გვახარებს. ხომ მართალია?

- ჰო, - რავიკს თვალი გაუსწორა. - რა მოგვდის, რავიკ?

რავიკმა მხრები აიჩეჩა.

- აბა, რა ვიცი, ჟოან. მგონი, ხელის ჩასაჭიდი აღარაფერი შეგვრჩენია. უწინ ასე არ ყოფილა: ადამიანი უფრო დარწმუნებული იყო თავის თავში. რაღაც საყრდენი ჰქონდა ცხოვრებაში, რაღაც მიზანი, რაღაც სწამდა, რაღაცას ცდილობდა. და, თუ თავს სიყვარული დაატყდებოდა, ეს შველოდა, ცოცხალი დარჩენილიყო, გაეძლო. დღეს კი აღარაფერი გაგვაჩნია, სასოწარკვეთილების, ვაჟკაცობის საცოდავი ნაშთისა და ყოველივესაგან შინაგანი თუ გარეგანი კიდეგანობის განცდის გარდა. თუ დღეს ადამიანთან სიყვარული მოდის, ჭამს კიდევაც, როგორც ცეცხლი გამხმარი თივის ზვინს. აღარაფერია მის გარდა და ამიტომაც ხდება უსაზღვროდ მნიშვნელოვანი, დამანგრეველი, ფერფლად მქცეველი, - თავისი სასმისი შეავსო. - ბევრს ნუ ფიქრობ ამაზე. ახლა ფიქრის დრო არ გვაქვს. ეს მხოლოდ ფიტავს ჩვენს ძალას. ჩვენ კი დაღუპვა არ გვინდა, ხომ მართალია?

- არ გვინდა. ვინ არის ის ქალი, რავიკ?

- ჩემი ერთ-ერთი პაციენტია. როგორღაც ერთხელ ,,შეჰერეზადაში" გამომყვა. მაშინ ჯერ კიდევ იქ მღეროდი. ეს იყო ასი წლის წინ. ახლა აკეთებ რაიმეს?

- პატარა როლებში მიღებენ. მგონი, ნამდვილი ნიჭი არ მაქვს, მაგრამ იმდენს კი ვიღებ, რომ თავი დამოუკიდებლად ვიგრძნო და, რა წამსაც ვინებებ, შემიძლია წამოვიდე. პატივმოყვარე არ ვარ.

თვალში ცრემლი გაუშრა. კალვადოსი დალია და წამოდგა. ძალიან დაქანცული იერი ჰქონდა.

- რავიკ, რანაირად შეიძლება, ერთ ადამიანში ამდენი აწეწილობა იყოს? და რის გამო? რაიმე მიზეზი ხომ უნდა არსებობდეს? შემთხვევით ხომ არ ვცდილობთ მის პოვნას?

რავიკმა ნაღვლიანად გაიღიმა.

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემას კაცობრიობა უძველესი დროიდან ცდილობს, ჟოან. ,,რატომ?" - ეს არის კითხვა, რომელზედაც დღემდე ილეწება მთელი ლოგიკა, ფილოსოფია, ყველა მეცნიერება.

ეს ქალი წავა. წავა ეს ქალი. უკვე კარშია. რავიკის მკერდში რაღაც შეირხა, შედრკა. ჟოანი მიდის, ჟოანი მიდის. რავიკი წამოიწია. უეცრად ყველაფერი აუტანელი, უაზრო გახდა. მხოლოდ ერთ ღამეს, მხოლოდ ერთხელ კიდევ ნახოს თავის მხარზე მისვენებული მისი მძინარე სახე... ერთხელ კიდევ იგრძნოს თავის გვერდით მისი სუნთქვა. მხოლოდ ერთხელ გამოცადოს ვარდნის ილუზია, მომაჯადოებელი მცდარობა. ნუ წახვალ, ნუ წახვალ, ჩვენ ტანჯვაში ვიხოცებით და ტანჯვაში

ვცხოვრობთ; ნუ წახვალ, ნუ წახვალ... რა დამრჩენია?.. რად მინდა მთელი ჩემი ვაჟკაცობა? საით მივყავართ წუთისოფლის ზვირთებს?.. მხოლოდ შენ ერთი ხარ რეალური! თეთრი, ნათელი სიზმარი! აჰ, სად არიან დავიწყების მდელოები, ასფოდელიებით[15] მოფენილები! მხოლოდ ერთხელ! კიდევ ერთი ნაპერწკალი მარადისობისა! ვისთვის და რისთვის ვუფრთხილდები თავს? რა ბნელი უცნობლობისათვის? ცოცხლად ვარ დამარხული, დაკარგული ვარ. სულ ცხოვრების თორმეტი დღე დამრჩენია, იქით კი სიცარიელეა... თორმეტი დღე და ეს ღამე, და ეს აბრშეუმის კანი... რატომ მოხვედი მაინცადამაინც ამ ღამეს, ვარსკვლავეთიდან უსასრულოდ დაშორებულ, ღრუბლებსა და ძველ სიზმრებში მცურავ ღამეს, რატომ გაარღვიე ჩემი გამაგრებული ფორტები ზუსტად ამ ღამეს, რომელშიც არავინ ცხოვრობს, ჩვენ გარდა?.. და ისევ აზვირთებულა ტალღა, სადაცაა ჩამიხვევს...

- ჟოან, - თქვა წყნარად.

ქალი შემობრუნდა. სახე რაღაც გიჟურმა ელვარებამ გაუცისკროვნა, თითქოს სული ეხუთებოდა. ტანსაცმელი გაიხადა და რავიკს მივარდა.

## თავი ოცდამეექვსე

მანქანა ვოჟირარის ქუჩის კუთხეში გაჩერდა.

- რა იყო? - იკითხა რავიკმა.

- დემონსტრაციაა, - მიუგო მძღოლმა ისე, რომ არ შემობრუნებულა. - ამჯერად კომუნისტები არიან.

რავიკმა კეტს გადახედა. ტანწერწეტა და სუსტი ქალი კუთხეში იჯდა. ლუდოვიკო XIV-ის სასახლის ბანოვანის სამოსი ეცვა. ვარდისფერი პუდრის სქელი ფენა ვერ ფარავდა მისი წაწვეტებული სახის სიფერმკრთალეს. ყვრიმალის ძვლები და ლოყები შეცვლილი ჰქონდა.

- წარმოგიდგენიათ? - თქვა რავიკმა. - ახლა 1939 წლის ივლისია. ხუთი წუთის წინ აქ ჩაიარა „ცეცხლისფერ ჯვაროსანთა“ დემონსტრაციამ, ფაშისტმა ვაჟბატონებმა, ახლა კი აქ კომუნისტები არიან... ჩვენ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის კოსტიუმებში ვართ გამოწყობილი. საკმაოდ უცნაური ამბავია.

- არაფერია უცნაური, - ღიმილით უპასუხა კეტმა.

რავიკმა თავის ნავისებურ ფეხსაცმელებს დახედა. საოცრად უაზრო მდგომარეობაში აღმოჩნდა, თანაც ყოველ წუთს შეეძლოთ მისი დაპატიმრება.

- იქნებ, სხვა გზით წავიდეთ? - მიუბრუნდა კეტი მძღოლს.

- აქ ვერ მოვაბრუნებთ, - უთხრა რავიკმა. - უკან მეტისმეტად ბევრი მანქანაა მოზღვავებული.

დემონსტრანტები გადამკვეთი ქუჩის გაყოლებით მიემართებოდნენ. მშვიდად მიდიოდნენ, დროშები და ტრანსპარანტები მიჰქონდათ. არავინ მღეროდა. კოლონას პოლიციელთა დიდი ჯგუფი მიჰყვებოდა. ვოჟირარის ქუჩის კუთხეში

პოლიციელების მეორე ჯგუფი იდგა ველოსიპედებით. ცდილობდნენ, ყურადღება არ მიექციათ. ერთმა პოლიციელმა კეტის მანქანაში შეიხედა და გზა განაგრძო, თვალიც არ დაუხამხამებია.

კეტმა რავიკის მზერა დაიჭირა.

- არ უკვირს, - თქვა პოლიციელზე. - იცის, რაც არის. პოლიციამ ყველაფერი იცის. ბალი მონფორებთან - საზაფხულო სეზონის მთავარი მოვლენაა. სახლი და პარკი პოლიციელებითაა გარშემორტყმული.

- ეს მეტისმეტად მამშვიდებს.

კეტმა გაიღიმა. არ იცოდა, რავიკი რომ საფრანგეთში არალეგალურად ცხოვრობდა.

- ძნელად თუ სადმე ნახავთ პარიზში იმდენ ძვირფასეულობას, რამდენსაც მონფორებთან. ნამდვილი ისტორიული კოსტიუმები, ნამდვილი ბრილიანტები. ასეთ შემთხვევაში პოლიციას არ უყვარს რისკის გაწევა. სტუმრებს შორის, ალბათ, დეტექტივებიც იქნებიან.

- იმათაც კოსტიუმები ეცმევათ?

- შეიძლება. მერე რა?

- კარგია, რომ გამაფრთხილეთ, თორემ უკვე ვაპირებდი როტშილდის მარგალიტების გატაცებას.

კეტმა მინა ოდნავ დაუშვა.

- ვიცი, რომ ყველაფერი ეს მოსაწყენად გეჩვენებათ, მაგრამ დღეს ვერსად გაგიშვებთ.

- სულაც არ მეჩვენება მოსაწყენად. პირიქით, ეს ბალი რომ არა, ვერ წარმომიდგენია, რა უნდა გამეკეთებინა დღეს. იმედი მაქვს, რაიმე სასმელი იქნება.

- რა თქმა უნდა და, თუ არ გეყოთ, საკმარისია, უფროს ლაქიას ანიშნოთ. კარგად მიცნობს.

გზაჯვარედინიდან უწინდებურად ისმოდა ფეხის ხმა. დემონსტრანტები რიგებად კი არ მიდიოდნენ, არამედ დაფანტულად. მიდიოდა დაღლილ ადამიანთა ბრბო.

- რომელ საუკუნეში ისურვებდით ცხოვრებას, არჩევანის საშუალება რომ მოეცათ? - ჰკითხა კეტმა.

- მეოცეში. სხვაგვარად დიდი ხნის მკვდარი ვიქნებოდი და რომელიმე იდიოტი ჩემი კოსტიუმით შემოსილი წავიდოდა მონფორებთან.

- ეს არ მქონია მხედველობაში. რომელ საუკუნეში ისურვებდით-მეთქი ხელმეორედ ცხოვრებას?

რავიკმა კამზოლის ხავერდის სახელოს დახედა.

- ისევ მეოცეში, - მიუგო მან. - შეიძლება, ყველაზე უფრო საძაგელი, სისხლიანი, გახრწნილი, უფერული, მშიშარა და ბინძური საუკუნეა - მაინც მეოცე საუკუნეში.

- მე კი - არა. - კეტმა ხელები გულზე მიიდო, თითქოს აციებდა. წვრილი მაჯები რბილმა ფარჩამ დაუფარა. - ისევ ჩვენს საუკუნეში ცხოვრება? არა! უმჯობესია მეჩვიდმეტეში ან უფრო ადრე. რომელ საუკუნეშიც გნებავთ, ოღონდ მეოცეში კი არა. უწინ ამას, როგორღაც, არ ვუფიქრდებოდი... - აქ მინა მთლიანად დაუშვა. - ცხელა და სული მეხუთება!.. აღარ ჩაივლიან?

- ჰო, უკვე ჩანს კოლონის ბოლო.

კამბრონის ქუჩის კუთხიდან სროლის ხმა მოისმა. პოლიციელები ველოსიპედებს მოახტნენ. ვიღაც ქალმა შეკივლა. ბრბოს მყისვე გადაურბინა დრტვინვამ. რამდენიმე კაცი გაიქცა. პოლიციელები კეტების ტრიალით კოლონაში შეიჭრნენ.

- რა მოხდა? - იკითხა შეშინებულმა კეტმა.

- არაფერი. მანქანის სალტე გასკდა.

მძღოლი შემობრუნდა.

- არამზადები!.. - შესძახა ბრაზმორეულმა.

- დაიძარით, - შეაწყვეტინა რავიკმა. - ახლა შეიძლება წასვლა.

გზაჯვარედინი დაცარიელდა, თითქოს ყველა ქარმა გადახვეტაო.

- წავიდეთ! - გაიმეორა რავიკმა.

კამბრონის ქუჩიდან ყვირილი მოისმა. ისევ ისროლეს.

მანქანა დაიძრა.

ბაღში გამავალ აივანზე იდგნენ. იქ უკვე შეყრილიყო სამასკარადო სამოსში გამოწყობილი უთვალავი სტუმარი. ტოტებგაშლილი ხეების ქვეშ ვარდები ყვაოდა. ლამპიონებში სანთლები მოლივლივე თბილ შუქს აფრქვევდა. პავილიონში პატარა ორკესტრი მენუეტს უკრავდა. მთელი გარემო ვატოს[16] გაცოცხლებულ სურათს მოგაგონებდათ.

- ლამაზია? - იკითხა კეტმა.

- ძალიან.

- მართლა მოგწონთ?

- ძალიან ლამაზია, კეტ. ყოველ შემთხვევაში, როცა შორიდან უყურებ.

- მოდით, ბაღში გავიაროთ.

მაღალი, მრავალწლიანი ხეების ქვეშ სრულიად წარმოუდგენელი სანახაობა გაიმართა. ურიცხვი სანთლის მოცახცახე ნათელი ვერცხლისფერსა და ოქროსფერ ფარჩაზე, ძვირფას ვარდისფერ, ცისფერ ან ზღვისტალღისფერ ხავერდზე ათასფრად ლივლივებდა. შუქის ათინათი წვებოდა პარიკებსა და გაპუდრულ-გაშიშვლებულ მხრებზე. ისმოდა ვიოლინოების სასიამოვნო ხმა. დარბაისლურად მიმოდიოდნენ

წყვილები და ჯგუფები, ელვარებდა ხმლის ტარები, ჩუხჩუხებდა შადრევანი; სადღაც, სიღრმეში, შეკრეჭილი ბზის კორომები ჩამუქებულიყო.

სტილი ყველაფერში დაკარგული იყო. მსახურებიც კი მონაწილეობდნენ მასკარადში. რავიკმა გადაწყვიტა, ალბათ, მაძებრებიც გადაცმული იქნებიანო. გავიხედოთ და, მოგადგა მოლიერი ან როსინი, გტაცეს ხელი და დაგაპატიმრეს. კარგია? ან, მაგალითად, კარის ჯუჯა.

ხელზე მძიმე თბილი წვეთი დაეცა. მოწითალო ცაზე ღრუბლები იგრაგნებოდა.

- გაწვიმდება, კეტ... - უთხრა რავიკმა.

- არა. ეს შეუძლებელია. მთელი დღესასწაული ჩაიშლება.

- ყველაფერი შესაძლებელია. ვიჩქაროთ.

ქალს ხელი მოჰკიდა და აივნისაკენ წაიყვანა. ძლივს მოასწრეს საფეხურებზე ასვლა, რომ კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. ციდან ნამდვილი წარღვნა მოვარდა. ლამპიონებში შუქი ჩაქრა. ერთ წუთში მთელი დეკორატიული პანო ფერწასულ ჩვრებად იქცა. დაიწყო პანიკა. მარკიზის ქალებს, ჰერცოგთა ასულებსა და ფრეილინებს კაბის კალთები აეკეცათ და აივნისაკენ გარბოდნენ. გრაფები, მათი აღმატებულებანი და ფელდმარშლები ცდილობდნენ, ეხსნათ თავიანთი პარიკები. ყველანი აივანზე შექუჩდნენ, როგორც ჭრელი ქათმების დამფრთხალი გუნდი. წყალი წურწურით ჩამოსდიოდათ პარიკებზე, ჩასდიოდათ საყელოებსა და დეკოლტეებში, რეცხავდა პუდრსა და ფერ-უმარილს. გაიელვა. ბაღი ფერმკრთალმა, არაბუნებრივმა შუქმა გაანათა. მძიმედ დაიქუხა მეხმა.

კეტი უძრავად იდგა ტილოს ფარდულის ქვეშ და რავიკს ეკვროდა.

- ასეთი რამ არასდროს მომხდარა, - თქვა დაბნეულად. - ყველა ბალი მახსოვს. არასოდეს მსგავსი რამ აქ არ მინახავს.

- ზედგამოჭრილი დროა, რომ კაცი მარგალიტების მოპარვას შეუდგეს. ბრწყინვალე შემთხვევაა.

- მართლაც... ღმერთო, რა საწყენია...

პარკში მსახურები მიმოდიოდნენ. ზოგს საწვიმარი მოესხა, ზოგს ქოლგა ეჭირა. აბრეშუმის ფეხსაცმელები თანამედროვე მოსასხამების ქვეშ უაღრესად სულელურად გამოიყურებოდა. მსახურებს ტერასისაკენ მიჰყავდათ დაბნეული სტუმრები, დაეძებდნენ დაკარგულ მოსასხამებს, დატოვებულ ნივთებს. ერთმა ლაქიამ კოხტა ოქროს ქოშები მოიტანა. ფრთხილად ეჭირა თავისი დიდი ხელებით. წვიმა ხმაურით ეცემოდა დაცარიელებულ მაგიდებზე, ბაგაბუგი გაჰქონდა გაჭიმულ ტენტზე, თითქოს თვით ზეცა, ვინ იცის, რატომ, ბროლის ჯოხებით უკრავსო დაფდაფებს...

- შიგნით შევიდეთ, - თქვა კეტმა.

*

სახლი აშკარად ვერ იტევდა ამდენ სტუმარს. ჩანს, არავინ ელოდა ამინდის წახდენას. ოთახებში ჯერ კიდევ ზაფხულის დღის საშინელი დახუთულობა იყო და

გახურებული, ოფლიანი ადამიანების ანაორთქლი ჰაერს კიდევ უფრო ამძიმებდა. ფართო კაბები გაითელა, დაიჭმუჭნა. აბრეშუმის კაბის კალთები იხეოდა - წამდაუწუმ ზედ ადგებოდნენ ფეხებით. ისეთი სივიწროვე იყო, თითქმის განძრევის საშუალებაც მოისპო.

რავიკი და კეტი ზედ კართან იდგნენ. იქვე მძიმედ სუნთქავდა ,,მარკიზა და მონტესპანი". სველი, პარიკჩამოშლილი, მსხვილი ფორებით აჭრელებულ ყელზე მსხლისებრი ბრილიანტების ყელსაბამით დამშვენებული, კარნავალზე დასველებულ მემწვანილე ქალს ჰგავდა. მის გვერდით ხრინწიანად ახველებდა უნიკაპო მელოტი მამაკაცი. რავიკმა იცნო. ეს ბლანშე იყო - საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე. კოლბერის[17] მსგავსად ეცვა. იქვე იდგა ორი ლამაზი ფრეილინა, პროფილით მწევრებს რომ ჰგავდნენ, სქელ-სქელი, ძონძროხა ებრაელი ბარონი, ძვირფასი ქვებით მოჭედილი ფართოფარფლებიანი ქუდი რომ ეხურა, ავხორცულად უსვამდა ხელს მხრებზე ამ მწევრისპროფილიან ფრეილინებს. რამდენიმე ლათინურამერიკელი, პაჟებად გადაცმული, გაოცებითა და ყურადღებით უთვალთვალებდა ებრაელ ბარონს. მათ ახლოს იდგა გრაფის ქალი ბელენი, დაცემული ანგელოზის სახითა და უთვალავი ლალით დამშვენებული. მას მარკიზი ქალის ლავალიერის[18] სახე მიეღო, რომელიც, როცა ,,მეფე-მზემ" მონტესპანზე გაცვალა, მონასტერში წავიდა. რავიკს მოაგონდა, რომ ამ ქალს ერთი წლის წინ საკვერცხეები ამოაცალა. დიაგნოზი დიურანმა დასვა. ყველანი დიურანის მოხარკეები იყვნენ. რამდენიმე ნაბიჯზე შენიშნა ახალგაზრდა და ძალიან მდიდარი ბარონის ქალი რანპლარი. სულ მალე, მას შემდეგ, რაც ეს ქალი რომელიღაც ინგლისელს გაჰყვა, რავიკმა საშვილოსნო მოაცილა, ისევ დიურანის არასწორი დიაგნოზის საფუძველზე. დიურანმა მაშინ ორმოცდაათი ათასი ფრანკი აიღო ამ ოპერაციისათვის. ეს დიურანის მდივანმა ქალმა საიდუმლოდ გაანდო. რავიკმა კი ოპერაციისათვის მხოლოდ ორასი ფრანკი მიიღო. მისმა პაციენტმა ათი წლის სიცოცხლე და დამატებით შვილოსნობის უნარი დაკარგა.

წვიმის სუნი და მძიმე, დახუთული ჰაერი სუნამოს, ოფლისა და სველი თმის სუნს უერთდებოდა. სახეები, საიდანაც წვიმამ გრიმი და კოსმეტიკა ჩამორეცხა, რაღაც ურიგოდ გაშიშვლებულად გამოიყურებოდა, სულელური სამოსი და პარიკები მკვეთრად ამჟღავნებდნენ ყოველ ნაკლს. რავიკმა მიმოიხედა. აქ ბევრი სილამაზე იყო, ბევრი დახვეწილი, სკეპტიკური ზეშთაგონება. მაგრამ მკურნალის უტყუარი თვალი სნეულების უმცირეს ნიშნებსაც ამჩნევდა. ყველაზე უზადო ჩაცმულობასაც არ შეეძლო მისი დაბნევა. იცოდა, რომ საზოგადოების გარკვეული წრეები თავიანთი თავის ერთგულნი რჩებიან ყოველ საუკუნეში, დიდსა თუ მცირეში. მაგრამ რავიკს შეეძლო სნეულებისა და დაცემის ნიშნების შეუცდომელი გამოცნობა. მოთენთილი, უწესო სქესობრივი ცხოვრება, საკუთარ სისუსტეებზე ხელის დაფარება; ჯანმრთელობისათვის საზიანო სპორტი, ჭეშმარიტ დახვეწილობას მოკლებული სული; ენამახვილობა ენამახვილობისათვის; დაღლილი სისხლი, ირონიაში, სასიყვარულო ინტრიგებსა და წვრილმან სიხარბეში, მოჩვენებით ფატალიზმში, უღიმღამო და უმიზნო არსებობაში რომ იხარჯება. აქედან არ უნდა ელოდეს ხსნას კაცობრიობა. მაშ, საიდან?

კეტს გადახედა.

- არა მგონია, დალევა მოახერხოთ, - უთხრა ქალმა. - ლაქიები აქამდე ვერც მოაღწევენ.

- არა უშავს.

ისინი თანდათან შეავიწროვეს და გვერდით ოთახში შეყარეს. მალე აქ მაგიდები შემოიტანეს, კედლების გასწვრივ გაამწკრივეს და ზედ შამპანური დადგეს.

სადღაც ლამპები აინთო. დროდადრო მათი რბილი შუქი ელვის ციაგში იკარგებოდა, სახეებს მკვდრისფერი ედებოდა, როგორც მოჩვენებებს, და წამიერად ყოველივე არარსებულში ინთქმებოდა. მეხის ქუხილის ხმა ხალხის ხმას ფარავდა, ბატონობდა ყველაფერზე და ემუქრებოდა ყველაფერს... და ისევ რბილი შუქი, მასთან ერთად კი სიცოცხლე და დახუთული ჰაერი...

რავიკმა შამპანურზე მიუთითა.

- გინდათ დალევა?

- არა. მეტისმეტად ცხელა. - კეტმა გადახედა. - ესეც ჩემი დღესასწაული!

- წვიმა მალე გადაიღებს.

- ძნელი სათქმელია. თუნდაც გადაიღოს, ბალი მაინც გაფუჭებულია. იცით, რა? წავიდეთ აქედან...

- მეც ვიფიქრე ამაზე. ყველაფერი, რასაც აქ ვხედავ, საფრანგეთის რევოლუციის წინა დღეს მაგონებს. სადაცაა სანკიულოტები შემოიჭრებიან.

დიდხანს მოუნდნენ გასასვლელისაკენ გზის გაკვლევას. კეტის კაბა ისე დაჭმუჭნილიყო, იფიქრებდით, რამდენიმე საათი კაბით ეძინაო. წვიმა მძიმე, სწორ ძაფებად ეკიდა. მოპირდაპირე სახლების მოხაზულობანი ისე გადღაბნილიყო, თითქოს მათ ყვავილების მაღაზიის წყლით დაფარული ვიტრინებიდან შესცქეროდი.

მანქანა გააჩერეს.

- საით წავიდეთ? - ჰკითხა რავიკმა. - უკან, ოტელში?

- ოტელში ჯერ ადრეა. მაგრამ ამ სამოსით სად გამოჩნდები! უბრალოდ, გავისეირნოთ ქალაქში.

- კარგი.

მანქანა ნელა მისრიალებდა საღამოს პარიზში. წვიმას შხაპუნი გაჰქონდა მის სახურავზე და ყველა სხვა ხმას ახშობდა. ვერცხლის ნაკადიდან გამოცურდა და ისევ გაქრა ტრიუმფალური თაღის ბუმბერაზი მოხაზულობა. ელისეს ველებზე მაღაზიების ვიტრინები ციმციმებდა. რონ პუენი ყვავილებისა და სიქორფის კეთილსურნელებას აფრქვევდა, ნაირფეროვან საამო სუნთა ტალღას ამ საყოველთაო მოჟამულობაში. ტრიტონებითა და ზღვის ურჩხულებით დასახლებულ ზღვასავით ფართოდ გაზიდულიყო მწუხრის ბინდში თანხმობის მოედანი. ვენეციის შორეული გამოძახილივით ამოცურდა რივოლის ქუჩა, გამოჩნდა სახლების ქვედა სართულთა გაცისკროვნებული გალერეების რიგი. აგერ, ლუვრიც, რუხი და მარადიული, თავისი უკიდეგანო ეზო-მიდამოთი და ფანჯრებში მოციმციმე ცეცხლის ნაპერწკლებით. შემდეგ სანაპიროები, ხიდების სილუეტები მუქი წყლის თავზე. დატვირთული ორჩხომლები, მკრთალად მოციმციმე ფარნით განათებული. გეგონებოდათ, მის

დამამშვიდებელ შუქზე უპოვიათო თავშესაფარი ათასი ქვეყნიდან დევნილ ლტოლვილებს. სენა. აურზაურიანი ბულვარები, გაჭედილი ავტობუსებით, ხალხითა და მაღაზიებით. ლუქსემბურგის სასახლის რკინის ღობე და მის მიღმა - პარკი, მსგავსი რილკეს ლექსისა. მონპარნასის სასაფლაო, მდუმარე და მიტოვებული; ვიწრო, ძველებური ქუჩები, სახლები, მოულოდნელად შემოჭრილი მყუდრო მოედნები; ხეები, დაბრეცილი ფასადები, ეკლესიები, ჟამთა სვლისაგან გამოხრული ძეგლები; ქარში დარხეული ფარნების ბურთები; მიწიდან პატარა სიმაგრეებივით ამოშვერილი პისუარები, პატარაოტელებიანი შესახვევები, სადაც აქირავებენ ,,ნომრებს ერთი საათით''; შორეული წარსულის ქუჩაბანდები სახლების მოღიმარი ფასადებით: მკაცრი ბაროკო და როკოკო; ძველებური, მრუმე ჭიშკრები, როგორც პრუსტის რომანებში...

კეტი კუთხეში იჯდა და ხმას არ იღებდა. რავიკი ეწეოდა. სიგარეტის ცეცხლს ხედავდა, კვამლს კი არა, თითქოს მანქანის ბინდში სიგარეტს თავისი წონა და სიმაგრე დაეკარგა. თანდათან ყველაფერი არარეალური ეჩვენა - ეს მოგზაურობაც, წვიმაში უხმაუროდ მოსრიალე ავტომობილიც, მარჯვნივ და მარცხნივ ცურვით ჩავლილი ქუჩებიც, კუთხეში მიყუჩებული კრინოლინიანი ქალიც, ფარნების ანაბზინი, სახეზე რომ გადაურბენდა ხოლმე, და ხელები, უკვე სიკვდილისაგან დაღდასმული, ფარჩაზე ისე უძრავად რომ ეწყო, თითქოს აღარასოდეს უწერია წამოწევაო; ფუჭი გასეირნება მოჩვენებით პარიზში, განმსჭვალული უცნაური ურთიერთგაგებით და გაჟღენთილი მომავალი განშორების გამო უმიზეზო და გამოუთქმელი დარდით.

ჰააკეზე ფიქრობდა. უნდოდა სამოქმედო გეგმა მოენიშნა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა - აზრები თითქოს წვიმის წყალში იხსნებოდა. ფიქრობდა ოქროსფერთმიან პაციენტზე, როტენბურგში ტაუბერზე ერთ ქალთან გატარებულ წვიმიან საღამოზე. ეს ქალი დიდი ხანია, დაავიწყდა. ფიქრობდა ოტელ ,,აიზენჰუტზე'' და ვიოლინოს ხმაზე, რომელიღაც უცნობი ფანჯრიდან რომ იჭრებოდა. მოაგონდა რომბერგი, 1917 წელს მოკლული, ჭექა-ქუხილის დროს, ყაყაჩოებით დაფარულ მინდორზე, ფლანდრიაში. ქუხილის ხმა უერთდებოდა მოგუგუნე ცეცხლს, თითქოს ღმერთი ადამიანებისაგან დაიღალა და ციდან ტყვიას უშენსო დედამიწას. მოაგონდა ჰოტჰოლსტი. საზღვაო ქვეითი ბატალიონის ჯარისკაცი გარმონს უკრავს საცოდავად, საძაგლად და ისე ნაღვლიანად, რომ გული შეგიღონდება... საკონცენტრაციო ბანაკი, დაუსრულებელი ნოემბრის წვიმა არაკუნებს ბარაკთა სახურავებზე; დახოცილი ესპანელი გლეხები - ღია პირში წვიმის წყალი რომ ჩასდგომოდათ... კლერის სველი, ნათელი სახე, გზა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტისაკენ, იასამნის სუნით გაჟღენთილი გზა... წარსულის ჯადოსნური ლამპარი... წარსულის ნიმუშების უსასრულო მწკრივი, გვერდით რომ მისრიალებენ, როგორც ქუჩები ავტომობილის ფანჯრების მიღმა...

შხამი და იმედი.

სიგარეტი ჩააქრო და წელში გასწორდა. კმარა: ვინც მეტისმეტად ხშირად იხედება უკან, იოლად წაჰკრავს რაიმეს ფეხს და დაეცემა.

ვიწრო ქუჩების აყოლებით მონმარტრზე ავიდნენ. წვიმამ გადაიღო. ცაზე ღრუბლები გარბოდნენ, მძიმენი და აჩქარებულნი, კიდეებზე შევერცხლილები - ფეხმძიმე ქალები,

მთვარის ნაგლეჯის შობას მოწადინებულნი. კეტმა მძღოლს შეჩერება სთხოვა. გადავიდნენ, რამდენიმე უბანი აიარეს, კუთხეში შეუხვიეს.

უეცრად თვალწინ გადაეშალათ მთელი პარიზი. უზარმაზარი, შუქზე აკიაფებული, სველი პარიზი. ქუჩებით, მოედნებით, ღამით, ღრუბლებითა და მთვარით. პარიზი. ბულვარების რკალი, ბორცვების მქრქალი ფერდობები, კოშკები, სახურავები, სინათლესთან შებმული წყვდიადი. პარიზი. ჰორიზონტიდან მოვარდნილი ნიავქარი, ნაპერწკალთა მფრქვეველი ველი, შავ-თეთრი ხიდები, ღვართქაფის გაელვება, სადღაც, სენის ზემოთ, ავტომობილების უთვალავი შუქი. პარიზი. ამ სატახტომ გაუძლო ღამესთან ორთაბრძოლას, ამ ბუმბერაზმა სკამ, ურიცხვ საკანალიზაციო მილზე აზიდულმა, მოგუგუნე, სიცოცხლის ბუმბერაზმა სკამ. პარიზი - უწმინდურობით განოყიერებულ ნიადაგზე გაზრდილი შუქის ყვავილი, სნეული კეტი, კიბო და ,,მონა ლიზა", პარიზი...

- ერთი წუთით, კეტ, - თქვა რავიკმა, - ახლავე მოვალ.

იქვე, მახლობელ დუქანში შევიდა. სისხლისა და ჯიგრის ძეხვის თბილი სუნი ეცა ცხვირში. არავის მიუქცევია ყურადღება მისი ჩაცმულობისათვის. ერთი ბოთლი კონიაკი და ორი სირჩა ითხოვა. მასპინძელმა ბოთლი გაუხსნა და საცობი ისევ დააცო.

კეტი იმავე ადგილას იდგა, სადაც რავიკმა დატოვა. თავისი კრინოლინი ემოსა, ისეთი წვრილი ჩანდა ბუნდოვანი ცის ფონზე, თითქოს რომელიღაც სხვა საუკუნეს დავიწყებოდა აქ და სულაც არ ყოფილიყო ამერიკელი ქალი, ჩამომავლობით შვედი, ბოსტონში დაბადებული.

- ინებეთ, კეტ, საუკეთესო საშუალებაა გაციების საწინააღმდეგოდ, წვიმისა და მღელვარების საუკეთესო წამალი. დავლიოთ იმ ქალაქის სადღეგრძელო, დაბლა რომ გადაშლილა.

- დავლიოთ. - კეტმა სასმისი აიღო. - რა კარგია, აქ რომ ამოვედით, რავიკ. ეს ქვეყნიერების ყველა დღესასწაულს სჯობს.

დალია. მთვარის შუქი ეცემოდა მის მხრებს, სახესა და კაბას.

- კონიაკია, - თქვა, - და საკმაოდ კარგი.

- მართალია და, რაკი ამას ატყობთ, მაშ, ყველაფერი რიგზე გქონიათ.

- ერთი სასმისიც მომაწოდეთ, შემდეგ კი დავეშვათ დაბლა, ქალაქში, გადავიცვათ და ,,შეჰერეზადაში" წავიდეთ. იქ სენტიმენტალობას მივეცემი და საკუთარი თავის შეცოდებით დავთვრები. დავემშვიდობები მთელ ამ ზიზილ-პიპილებს და ხვალიდან ფილოსოფიის კითხვას შევუდგები, ანდერძს შევადგენ და, საერთოდ, ღირსეულად და ჩემი ჯანმრთელობის შესაფერისად დავიჭერ თავს.

ოტელის კიბეზე რავიკს დიასახლისი შეხვდა.

- შეიძლება, ერთი წუთით? - ჰკითხა ქალმა.

- რა თქმა უნდა.

დიასახლისმა ზედა სართულზე აიყვანა და სათადარიგო გასაღებით ერთ-ერთი ოთახი გააღო. რავიკმა შენიშნა, რომ ნომერი თავისუფალი არ იყო.

- ეს რას ნიშნავს? - ჰკითხა. - აქ რისთვის შემოიჭერით?

- აქ ცხოვრობს როზენფელდი, - მიუგო დიასახლისმა. - გადასვლა უნდა.

- მაგრამ მე ჯერ არ ვაპირებ ჩემი სენაკის ამ ნომერში გაცვლას.

- როზენფელდს გადასვლა უნდა, ოღონდ ბოლო სამი თვის ქირა არ გადაუხდია.

- მაგრამ თქვენ მისი ნივთები დაგრჩებათ. აგერ არ არის? შეგიძლიათ კონფისკაცია მოახდინოთ.

დიასახლისმა აგდებით ჰკრა ფეხი გაცვეთილ ჩემოდანს, ლოგინთან რომ იდგა.

- გახვრეტილ გროშადაც არ ღირს. ძველი ფიბრის ჩემოდანია. შიგ დახეული პერანგები აწყვია... კოსტიუმი? აგერ კიდია - თვითონვე ხედავთ. მეორე ზედ აცვია. მეტი არაფერი გააჩნია. ყველაფერში ას ფრანკსაც ვერ ავიღებ.

რავიკმა მხრები აიჩეჩა.

- გითხრათ, გადასვლა მინდაო?

- არა, მაგრამ დიდი ხანია, შევნიშნე. დღეს პირდაპირ ვკითხე და აღიარა. მოვთხოვე, გუშინდელ დღემდე ქირა გადაეხადა. ხომ არ შემიძლია, გაუთავებლად მყავდეს ისეთი მდგმურები, ბინის ქირას რომ არ იხდიან!

- მართალი ბრძანდებით, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

- აქ სურათებია. ესეც იმ კაცის კუთვნილებაა. როგორღაც მითხრა, ძალიან ძვირფასი სურათებიაო. ამათში ბევრად მეტს აიღებ, ვიდრე ვალის გადასახდელად არისო საჭირო. აი, მინდა ნახოთ.

რავიკმა მაღლა აიხედა. მის თვალწინ, საწოლის ზემოთ, პეიზაჟი ეკიდა, არლის გარეუბანი - ვან-გოგი გაფურჩქვნის პერიოდში! ახლოს მივიდა, საეჭვო არაფერი იყო - ჭეშმარიტად ვან-გოგის სურათი ეკიდა.

- ერთი, შეხედეთ ამ ნაჯღაბნს! - შესძახა დიასახლისმა. - ვითომ ახლა ეს დაღრეკილი კავები ხეებია?.. ახლა ესა? დატკბით!

პირსაბნის თავზე გოგენი ეკიდა. ტროპიკული პეიზაჟის ფონზე გამოსახული იყო ტაიტელი ქალიშვილი.

- ერთი, ამის ფეხებს შეხედეთ! - განაგრძობდა დიასახლისი. - რა კოჭებია, სპილოსი გეგონება. ახლა სახე! რეგვენია და მეტი არაფერი. შეხედეთ, როგორ დგას. ერთი სურათიც არის, არც კია ბოლომდე დახატული.

,,დაუმთავრებელი სურათი'' აღმოჩნდა ,,ქალბატონ სეზანის პორტრეტი'', სეზანის ყალმით დახატული.

- შეხედეთ, როგორ მოუღრეცია პირი! ლოყებზე კი საღებავი არ ჰყოფნის. ჩემი გასულელება უნდა ამ ნაჯღაბნებით! მერე და რითი? ხომ გინახავთ ჩემი სურათები? აი, ასეთი ნახატები მესმის! პირდაპირ ნატურიდან არის დახატული, არც კი შეულამაზებიათ. ხომ გახსოვთ, სასადილოში რომ თოვლის პეიზაჟია, ირმები? რას იტყოდით მთელ ამ ნათითხნებზე? ნეტა, თვითონ ხომ არ დახატა? როგორ ფიქრობთ?

- ჰო, მეც ეგრე მგონია.

- აი, ამის გაგება მინდოდა. თქვენ ხომ კულტურული ადამიანი ბრძანდებით და ასეთი რამეები გაგეგებათ... აქ ჩარჩოებიც კი არ არის.

სამივე ტილო, მართლაც, უჩარჩოოდ ეკიდა. ჭუჭყიან შპალერზე ისე ანათებდნენ, როგორც სხვა სამყაროსკენ გაღებული ფანჯრები.

- ოქროსფერ ჩარჩოში მაინც ჩაესვათ! მაშინ ერთ-ორ გროშს გაიმეტებდნენ. ასე კი... თითქოს გული მიგრძნობდა, პირში ჩალაგამოვლებულს დამტოვებს-მეთქი ეს ნეხვი! კარგი გასამრჯელოა სიკეთისათვის, ვერაფერს იტყვი.

- არ გირჩევდით ამ სურათების წაღებას, - უთხრა რავიკმა.

- მაშ, რა ვქნა?

- დაელოდეთ როზენფელდს, ცოტა რამეს ხომ აიღებს ამ სურათებში!

- ასე ფიქრობთ? - სწრაფად შეხედა, სახის გამომეტყველება შეეცვალა. - ნუთუ მართლა აქვთ რაიმე ღირებულება? თუმცა ზოგჯერ სწორედ ასეთებს აქვს ფასი! - აშკარად ჩანდა, როგორ დაძაბულად უტრიალებდა თავში აზრები. - სრული უფლება მაქვს, ერთი მათგანი დავისაკუთრო, რომ უკანასკნელი თვის ანგარიში მაინც დავფარო! რომლის აღებას მირჩევთ? იქნებ, იმ დიდი სურათისას, საწოლის თავზე რომ კიდია?

- არც ერთისას. დაუცადეთ როზენფელდს. დარწმუნებული ვარ, ფულს მოიტანს.

- მე კი სულაც არა ვარ დარწმუნებული. მე ოტელის პატრონი გახლავართ!

- თქვენთვის არაფერია კიდევ ერთი საათით დაცდა, რაკი სამი თვე უცადეთ. თქვენ ხომ მდგმურებს, ჩვეულებრივ, ასე არ ექცევით!

- თავი მომაბეზრა. თვალს მიხვევდა და იმიტომ ველოდი. რა არ მითხრა! თვითონვე იცით, რომ ლტოლვილებს ეს შეუძლიათ.

კარში მოულოდნელად როზენფელდი გამოჩნდა, სიტყვაძუნწი, ტანმორჩილი, მშვიდი კაცი, დიასახლისს პირის გაღებაც არ აცალა, ისე ამოიღო ჯიბიდან ფული.

- აი, ინებეთ... ქვითარს ხომ ვერ მომცემდით?

დიასახლისი გაოცებული დააშტერდა საკრედიტო ქაღალდებს. შემდეგ სურათებს გახედა და ისევ ფულს დააცქერდა. ჩანდა, ბევრი რამის თქმა უნდოდა, მაგრამ პირში ენა ვერ მოებრუნებინა.

- აქ მეტია, ვიდრე თქვენგან მერგება, - ძლივს ჩაილაპარაკა ბოლოს.

- ვიცი. ხურდა არ გექნებათ?

- ფული თან არ მაქვს. სალარო დაბლაა. ახლავე წავალ, დავახურდავებ.

შეურაცხყოფილი უცოდველის სახით გაეცალა. როზენფელდმა კითხვის თვალით შეხედა რავიკს.

- მაპატიეთ, - უთხრა რავიკმა. - დედაკაცმა შემომიყვანა. აზრადაც არ მომსვლია, რა ჰქონდა განზრახული. სურათების შეფასება მთხოვა.

- უთხარით, რა ღირს სურათები?

- არა.

- მადლობა ღმერთს. - როზენფელდმა რაღაც უცნაური დაცინვით გადახედა რავიკს.

- როგორ დაკიდეთ აქ ასეთი სურათები? - ჰკითხა რავიკმა. - დაზღვეული გაქვთ?

- არა. სურათებს, როგორც წესი, არ იპარავენ. იქნებ, ოც წელიწადში ერთხელ სადმე მუზეუმში მოიპარონ.

- ხანძარი რომ გაჩნდეს?

როზენფელდმა მხრები აიჩეჩა.

- რისკის გაწევა გვიხდება. დაზღვევა ძლიერ ძვირი დამიჯდებოდა.

რავიკმა ვან-გოგის პეიზაჟს ახედა. სულ ცოტა, მილიონი ფრანკი მაინც ღირსო, გაიფიქრა. როზენფელდმა თვალი გააყოლა.

- ვიცი, რაზეც ფიქრობთ. ვისაც ასეთი სურათები აქვს, მას ფულიც უნდა ჰქონდეს, რომ დააზღვიოსო. მაგრამ მე საამისო ფული არ მაქვს. სურათებით ვცხოვრობ. ერთიმეორის მიყოლებით ვყიდი, თუმცა სულაც არ მინდა გაყიდვა.

სეზანის ქვეშ, პატარა მაგიდაზე, იდგა სპირტქურა, ქილა ყავა, პური, კარაქიანი ქოთანი და კიდევ რამდენიმე პარკი. ერთი უბადრუკი და ვიწრო ოთახი იყო, მაგრამ კედლებზე ყვაოდა ხელოვნება მთელი თავისი სიდიადით.

- გასაგებია, - თქვა რავიკმა.

- იმედი მქონდა, როგორმე თავს დავიძვრენდი! - თქვა როზენფელდმა. - უკვე ავიღე ბილეთები მატარებელსა და გემზე; მოკლედ რომ ვთქვა, გავისტუმრე ყველა ვალი, უკანასკნელი სამი თვის ბინის ქირის გარდა. ყველაფერს ვიკლებდი, მაგრამ არაფერი გამოვიდა, მეტისმეტად დიდხანს ველოდი ვიზას. და, აგერ, დღეს მონეს გაყიდვა მომიხდა - ვეთეილის პეიზაჟი. იმედი მქონდა, თან წაღებას მოვახერხებდი.

- მაგრამ სხვა ადგილას ხომ მაინც მოგიხდებათ მისი გაყიდვა!

- სრული სიმართლეა, ოღონდ უკვე დოლარებზე. ორჯერ მეტს მივიღებდი.

- ამერიკაში მიემგზავრებით?

როზენფელდმა თავი დაუქნია.

- დროა, გაეცალოს კაცი აქაურობას.

რავიკმა გაოცებით შეხედა.

- ვირთხები[19] უკვე გარბიან ხომალდიდან, - აუხსნა როზენფელდმა.

- რა ვირთხები?

- აჰ, თქვენ არ იცით... ვირთხა - ეს არის მარკუს მაიერი, ასე ვეძახით. ყველაზე ადრე გრძნობს, როცა საქმე გასაქცევადაა. სუნს იკრავს ხოლმე.

- მაიერი? - ჩაეკითხა რავიკი. - აი, ის პატარა, მელოტი? ზოგჯერ ,,კატაკომბაში" რომ უკრავს როიალზე?

- დიახ, სწორედ ის, ვირთხას ეძახიან იმ დღიდან, რაც გერმანელები პრაღაში შევიდნენ.

- ვერაფერი მეტსახელია.

- განსაცვიფრებელი ყნოსვა აქვს. ძალაუფლების სათავეში ჰიტლერის მოსვლამდე ორი თვით ადრე გერმანიიდან გაიქცა. ავსტრიაში შესვლამდე სამი თვით ადრე - ვენიდან, ჩეხოსლოვაკიის დაპყრობამდე ექვსი კვირით ადრე - პრაღიდან. ყოველთვის მაიერია ჩემი ორიენტირი - უტყუარი ალღო აქვს. ის რომ არა, ვერანაირად ვერ გადავარჩენდი სურათებს. გერმანიიდან ფულის გატანა შეუძლებელი იყო - სავალუტო ბარიერია. მილიონ-ნახევარი კაპიტალდაბანდება მქონდა. ვცადე, ყველაფერი ნაღდ ფულად მექცია, მაგრამ უკვე გვიანი იყო - ნაცისტები მოვიდნენ. მაიერი უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა. არალეგალურად გაიტანა თავისი ქონების ნაწილი. მე საამისოდ გამბედაობა არ მეყო. ახლა ამერიკაში მიდის. მეც წავალ. ძალიან კი მენანება მონე.

- თქვენ შეგიძლიათ, სურათში აღებული დარჩენილი ფული თან წაიღოთ. საფრანგეთში ხომ არ არის სავალუტო შეზღუდულობა?

- სწორია. მაგრამ დოლარებზე რომ გამეყიდა, ბევრად მეტს ავიღებდი და უფრო დიდხანს გავიტანდი თავს. ასე კი, ალბათ, მალე მომიხდება გოგენთან განშორება. - როზენფელდმა თავის სპირტქურას მიხედა. - ესენი უკვე უკანასკნელებია. - განაგრძო მან. - ეს სამიღა შემომრჩა. სხვა საარსებო წყარო არ გამაჩნია. მუშაობა? ამის იმედი არ მაქვს. ქვეყნად სასწაულები არ ხდება... მხოლოდ სამი სურათი. ერთით ნაკლები - და ცხოვრებაც ნაკლებ ხანს მომიხდება. - იდგა თავისი ჩემოდნის წინ, უბედური და შესაბრალისი. - ვენაში ხუთი წელი ვიცხოვრე. მაშინ სიძვირის ხსენებაც არ ყოფილა და, მაინც, ორი რენუარი და დეგას ერთი პასტელი დამიჯდა... პრაღაში შევჭამე ერთი სისლეი და ხუთი ნახატი: ორი დეგა, ერთი რენუარი და დელაკრუას ორი სეპია[20]. ამ სურათებში თითქმის გროშები მომცეს. ამერიკაში ეს სურათები მთელი წელი მაცხოვრებდა. ახლა კი, - დაუმატა დაღვრემილმა, - ეს სამიღა დამრჩა. ჯერ კიდევ გუშინ ოთხი მქონდა. ვიზა, სულ მცირე, ორი წლის სიცოცხლედ დამიჯდა. იქნებ, სამი წლის სიცოცხლედაც.

- ბევრს საერთოდ არა აქვს სურათები, რომელთა დახმარებითაც ცხოვრებას შეძლებდა.

როზენფელდმა გამხდარი მხრები აიჩეჩა.

- ჩემთვის რა ნუგეშია!

- ჰო, რა თქმა უნდა, - მიუგო რავიკმა.

- ჩემი სურათებით ომის წლებში თავი უნდა გავიტანო. ომი კი ხანგრძლივი იქნება.

რავიკმა არ უპასუხა.

- ასე ამტკიცებს ვირთხა, - თქვა როზენფელდმა. - და, თანაც, მაიერი არ არის დარწმუნებული, რომ ამერიკა განზე დარჩება.

- მაშინ სადღა წავა? მგონი, გასაქცევი გზაც აღარ ექნება.

- ეს თვითონაც არ იცის. ჰაიტიზე ფიქრობს ხოლმე. მისი აზრით, ზანგთა პატარა რესპუბლიკა ადვილად არ ჩაებმება ომში, - როზენფელდი სრულიად სერიოზულად ლაპარაკობდა. - ან კიდევ ჰონდურასში წავა. ეს სამხრეთ ამერიკის პატარა სახელმწიფოა, ან სან-სალვადორში, იქნებ, ახალ ზელანდიაში.

- ახალ ზელანდიაში? ეს ხომ საკმაოდ შორსაა, თქვენ რას იტყვით?

- შორს? - გაიმეორა როზენფელდმა და კუშტად გაიცინა, - გააჩნია, საიდან არის შორს.

## თავი ოცდამეშვიდე

ზღვა. მოგუგუნე წყვდიადის ზღვა, გაშმაგებით რომ ეცემა დაფდაფზე გადაკრულ ტყავზე. შემდეგ გულის გამგმირავი ზარი გემის ყოველ განყოფილებაში, გემი კი ღრიალებს და იძირება... ისევ ზარი - და ღამე. ძილი იფანტება და სიზმრის ადგილს იჭერს მიმკრთალი ნაცნობი ფანჯარა... ისევ ზარი... ტელეფონი.

რავიკმა ყურმილი აიღო.

- ალო?

- რავიკ...

- რა მოხდა? ვინ ლაპარაკობს?

- ვერ მცნობ?

- კი, ახლა გიცანი. რა მოხდა?

- უნდა მოხვიდე! სასწრაფოდ! ახლავე!

- რა მოხდა?

- მოდი, რავიკ! თვითონაც არ ვიცი, რა არის ეს!

- მაგრამ მაინც რა მოხდა?

- არ ვიცი! მეშინია! მოდი! ახლავე მანქანაში ჩაჯექი! დამეხმარე, რავიკ! გამოდი!

ყურმილში ტკაცანი გაისმა. რავიკი უცდიდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიგნალები გაიგონა: ჟოანმა ყურმილი დაკიდა. რავიკი დიდხანს უყურებდა ტელეფონს. საღამოს ძილის წამალი მიიღო და ახლა ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავი ბამბით გამოუტენესო. ჯერ ეგონა, ჰააკე რეკავსო და, როცა ფანჯრისაკენ გაიხედა, მხოლოდ მაშინ მოისაზრა, ,,ინტერნასიონალში" ვარ და არა ,,უელსის პრინცშიო". საათს დახედა. მანათობელი ისრები ხუთის ოც წუთს უჩვენებდა. ჰააკეს რომ შეხვდა რესტორანში, იმ დღეს ჟოანი ელაპარაკებოდა რაღაც საფრთხეზე, რაღაც შიშზე... ერთიც ვნახოთ... ყველაფერი შესაძლებელია! განა ცოტა სისულელე ხდება ქვეყანაზე? სწრაფად შეაგროვა ყველაფერი აუცილებელი და ჩაიცვა.

უახლოეს კუთხეში ტაქსი შეხვდა. მძღოლს მხრებზე პატარა პინჩერი ისე შემოესვა, ბეწვის საყელო გეგონებოდათ. მანქანის ყოველ ბიძგზე ფინია შეკრთებოდა ხოლმე. რავიკს ეს ძალზე აღიზიანებდა. უნდოდა, ძაღლისთვის ხელი წაევლო და სავარძელზე დაეგდო, მაგრამ კარგად იცოდა პარიზელი მძღოლების ახირებანი.

მანქანა ივლისის თბილ ღამეში მირახრახებდა. ფოთლების ნაზი სურნელი იდგა - სადღაც ცაცხვები ყვაოდნენ. მოლიცლიცე ჩრდილები, ვარსკვლავიანი ცა, თითქოს იასამნის ყვავილებით მოფენილი, ვარსკვლავებს შორის კი თვითმფრინავი, მწვანე და წითელი ცეცხლებით მოციმციმე, როგორც მძიმე, მრისხანე ხოჭო, ციცინათელების გუნდში შეფრენილი; უკაცრიელი ქუჩები, მოგუგუნე სიცარიელე; ორი მთვრალი, ვითომ რომ მღერის; აკორდეონის ხმა სადღაც სარდაფიდან... რავიკს უეცრად სუნთქვა შეეკრა. შიშმა შეიპყრო. ჩქარა, ჩქარა!.. თუ გვიან არ არის...

ღამე. თბილი, ნამძინარევი სიბნელე. ლიფტი - ნელა მცოცავი მანათობელი მწერი. მეორე სართულზე რომ ავიდა, მხოლოდ მაშინ მოეგო გონს და დაბრუნდა - მთელი თავისი ზოზინის მიუხედავად, ლიფტი მაინც უფრო სწრაფად ავიდოდა, ვიდრე თვითონ.

პარიზის სათამაშო ლიფტი! აღმა-დაღმა მოსრიალე პაწაწინა კამერა ერთი კაცისათვის, ჭრიალითა და რიხინ-რიხინით რომ ადი-ჩამოდის, თავღია და გვერდებღია; მხოლოდ იატაკი, რკინის წნულით შემოღობილი, ორი ნათურა, აქედან ერთი - მასრაში ცუდად ჩახრახნილი და ოდნავ მბჟუტავი. როგორც იქნა, ბოლო სართულია. რავიკმა ცხაური გადასწია, დარეკა.

ჟოანმა გაუღო. რავიკმა სწრაფად შეავლო თვალი. სისხლის არავითარი კვალი. სახე მშვიდი.

- რა მოხდა? სად არის?

- რავიკ, შენ მოხვედი!

- მითხარი, სად არის-მეთქი?.. რა გააკეთე?

ჟოანმა უკან დაიხია. რავიკი ოთახში შევიდა, მიმოიხედა. ოთახში არავინ იყო.

- სად მოხდა ეს? საძინებელში?

- რა? - ჰკითხა ჟოანმა.

- ვინმე გყავს საძინებელში? საერთოდ, არის აქ ვინმე?

- არავინ. საიდან მოიგონე?

რავიკი გაოცებული შეჰყურებდა.

- როგორ გიხმობდი, ვინმე რომ მყოლოდა;

რავიკი კვლავ შესცქეროდა. ქალი მის წინ იდგა, მრთელი და უვნებელი, ბაგეზე ღიმილი დასთამაშებდა.

- როგორ მოგივიდა ეს თავში? - გაიღიმა ქალმა. - რავიკ, - მიმართა ისევ და კაცს მოეჩვენა, რომ თავს სეტყვა დაატყდა: ქალს ჰგონია, ვეჭვიანობ, და ამით ტკბება! უეცრად საშინლად ემძიმა ინსტრუმენტებიანი ჩანთა, ხელში რომ ეჭირა, თითქოს ასი კილოგრამი მოემატაო, და სკამზე დადგა.

- წყეულო მატყუარავ!

- რა მოხდა? რა მოგივიდა?

- უნამუსო მატყუარა ხარ, - გაუმეორა. - კაცი ვირი უნდა იყო... ასე სულელურად რომ წამოეგო ანკესზე.

ჩანთა ისევ აიღო, შებრუნდა და გასასვლელს მიაშურა. ჟოანი მაშინვე მივარდა.

- რა იყო? ნუ წახვალ! არ გაბედო ჩემი მარტო დატოვება! ფიქრიც კი მზარავს ამაზე! შენ არ იცი, რა მომივა, მარტო რომ დამტოვო!

- მატყუარავ, - უთხრა რავიკმა. - უბადრუკო მატყუარავ! რომ ტყუი, ეს კიდევ არაფერი. ყველაზე დიდი სამაგლობა ისაა, რომ ასე იაფად ცრუობ. ასეთ რამეზე არ ხუმრობენ.

ჟოანმა, როგორც იქნა, კარს მოაცილა.

- მიმოიხედე გარშემო! ვერ ხედავ, რა ამბავია? შეხედე, როგორ გამძვინვარდა და დაანგრია ყველაფერი. მეშინია, ვაითუ ისევ დაბრუნდეს! შენ არ იცი, რისი ჩადენა შეუძლია.

იატაკზე ეყარა გადაყირავებული სკამი, ლამპა, მინის ნამსხვრევები.

- ფეხზე ჩაიცვი, - უთხრა რავიკმა, - რომ არ გაიჭრა. აი, ყველაფერი, რაც შემიძლია გირჩიო.

ნამსხვრევებს შორის რაღაც ფოტოსურათი შენიშნა. მინის ნამსხვრევები ფეხით გაფანტა და სურათი აიღო.

- აჰა, გამომართვი... - რავიკმა ფოტო მაგიდაზე მოისროლა. - და მომასვენე, ბოლოს და ბოლოს.

ქალი იდგა, კარს ეფარებოდა და რავიკს შესცქეროდა. სახის გამომეტყველება შეეცვალა.

- რავიკ, - უთხრა წყნარად, თავშეკავებულად, - რაც გენებოს, ის იფიქრე ჩემზე, არ დავეძებ. ხშირად ვცრუობდი, მომავალშიც ვიცრუებ! თქვენც ხომ მხოლოდ ეს

გინდათ? - ჟოანმა ფოტოსურათი მაგიდიდან გადააგდო, სურათი პირაღმა დავარდა და რავიკმა დაინახა, რომ ეს არ იყო ის მამაკაცი, რომელთანაც ოდესღაც ჟოანი ,,კლო დ'ორში'' ნახა. - ეს გინდათ ყველას, - განაგრძო ზიზღით. - ნუ ტყუი, ნუ ტყუი! სიმართლე თქვი! მაგრამ თუ სიმართლეს გეტყვით - მისი მოთმენის ძალა არ შეგწევთ! შენ ხშირად არ გატყუებდი. შენ - არა! საერთოდ, არ მინდოდა შენი მოტყუება...

- კეთილი, - უთხრა რავიკმა, - ნუ გამოვეკიდებით წვრილმანებს.

უეცრად გული ეტკინა, გაბრაზდა საკუთარ თავზე. არ უნდოდა, ხელახლა განეცადა ტკივილი.

- დიახ, შენი მოტყუება არ მჭირდებოდა, - გაუმეორა ჟოანმა და თითქმის მავედრებელი მზერა მიაპყრო.

- ჟოან...

- არც ახლა გატყუებ. ოდნავადაც არ გატყუებ, რავიკ. იმიტომ დაგირეკე, რომ ნამდვილად მეშინოდა. კიდევ კარგი, მოვასწარი ხელის კვრა, გარეთ გაგდება და კარის დაკეტვა. დაუსრულებლად აბრახუნებდა და ღრიალებდა. მაშინ დავრეკე - ეს იყო პირველი, რაც თავში მომივიდა. რა არის ამაში ცუდი?

- მე რომ მოვედი, ჯოჯოხეთურად მშვიდი იყავი და სულაც არ ჩანდი შეშინებული.

- მაშინ ხომ აქ აღარ იყო! თანაც ვფიქრობდი, რომ მოხვიდოდი და დამეხმარებოდი.

- კარგი. ახლა ყველაფერი რიგზეა და შემიძლია წავიდე.

- დაბრუნდება. დამემუქრა, დავბრუნდებიო. ახლა ზის სადღაც და სვამს, ვიცი. თუ აქ მთვრალი მოვიდა, შენნაირი კი არ არის... სმა არ შეუძლია.

- კმარა! - უთხრა რავიკმა, - გაჩუმდი მაინც! სისულელეა ყველაფერი! საკეტი საიმედო გაქვს. და, საერთოდ, მსგავსი ფოკუსები აღარ იყოს.

ქალი ადგილიდან არ იძვროდა.

- მაშინ, რა ვქნა? - დაიკვნესა მოულოდნელად.

- არაფერი.

- გირეკავ... სამჯერ, ოთხჯერ... ტელეფონთან არ მოდიხარ. თუ მოხვალ, მოითხოვ, მომასვენე და მომეშვიო. რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

- ეს ნიშნავს - უნდა მომეშვა და მომასვენო.

- მოგეშვა? როგორ თუ მოგეშვა? ჩვენ რა, ავტომატები ვართ, ყოველ წამს შეიძლებოდეს ჩვენი მომართვა და შეჩერება? ღამეს ერთად ვატარებთ, ყველაფერი საარაკოდაა და უეცრად - მომეშვი!

რავიკის სახე რომ დაინახა, გაჩუმდა.

- ასეც ვფიქრობდი, - თქვა რავიკმა. - სწორად ვვარაუდობდი, რომ აქაც შენთვის სასარგებლო დასკვნას გამოიტანდი! როგორ შეგფერის ეგ საქციელი! იცოდე, ის

უკანასკნელი შეხვედრა იყო, მაშინ მთავრდებოდა ყველაფერი. ჩემთან მოხვედი და კარგად ვგრძნობდით თავს ერთად სწორედ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი შეხვედრა იყო. ერთმანეთს დავცილდით ერთმანეთით აღსავსენი და ასედაც დაგვრჩებოდა ყველაფერი მეხსიერებაში. შენ კი უკეთესი ვერაფერი მოიფიქრე, ამით სპეკულანტობ, როგორც ბაზრის ვაჭარი ქალი, კიდევ რაღაცას ითხოვ დაჟინებით, ცდილობ ხელოვნურად გააგრძელო ის, რაც სიცოცხლეში ერთხელ ხდება და არ მეორდება. მე რომ არ მოვისურვე, შენ საძაგელი ოინი მოიგონე, ახლა კი ისევ მიხდება წყლის ნაყვა, ისევ მიხდება იმ საგნების შეხება, რომელთა გახსენებაც კი უსირცხვილობაა.

- მე...

- შენ ეს იცოდი, - შეაწყვეტინა რავიკმა. - ისევ უნდა იცრუო? აღარ მინდა იმის გამეორება, რაც უკვე თქვი. ჩემთვის ეს მეტისმეტად ძნელია. მაშინ მშვენივრად გავუგეთ ერთმანეთს. შენ დამპირდი, აღარასოდეს მოვალო.

- მერე, ხომ არ მოვსულვარ?

რავიკმა თვალი მიაშტერა. თავს ძლივს იკავებდა.

- არ მოსულხარ, მაგრამ დამირეკე.

- დაგირეკე, რადგან მეშინოდა!

- ო, ღმერთო! რა იდიოტიზმია! გნებდები.

ქალის სახე ნელა გაიბადრა ღიმილით.

- მეც გნებდები, რავიკ. მხოლოდ ერთი რამ მინდა - დარჩე. ვერ ხედავ?

- სწორედ ეს არ მინდა.

- რატომ? - ჰკითხა ქალმა, ისევ ისე გაღიმებულმა.

რავიკი ნაცემივით გრძნობდა თავს. ქალი უბრალოდ უარს ამბობდა, რომ მისთვის გაეგო, ხოლო, თუ ისევ ახსნა-განმარტებას მოჰყვებოდა, ღმერთმა იცის, რით დამთავრდებოდა ყველაფერი ეს.

- თვითონაც არ გესმის, რამდენად გახრწნილი ხარ სულით...

- მესმის, - წყნარად თქვა ქალმა, - ჩინებულად მესმის, მაგრამ მითხარი ერთი, რა შეიცვალა გასულ კვირასთან შედარებით?

- არსებითად, არაფერი.

ქალი უსიტყვოდ შესცქეროდა.

- არ ვიცი, გახრწნა ეწოდება ამას თუ სხვა რამე, - თქვა ბოლოს.

რავიკმა არ უპასუხა, იგრძნო, რომ ვერ შეედავებოდა.

- რავიკ! - უთხრა ქალმა და მიუახლოვდა. - დიახ, მაშინ მართლაც ვთქვი, ჩვენ შორის ყველაფერი გათავებულია-მეთქი. ვთქვი, რომ ჩემს ამბავს ვეღარასოდეს გაიგებდი.

ვთქვი იმიტომ, რომ ასე გინდოდა. თუ ახლა სხვანაირად ვიქცევი, ნუთუ არ შეგიძლია ამის გაგება?

ქალმა კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

- არა, - უხეშად მიუგო რავიკმა, - მე ერთი რამ ვიცი: შენ გინდა ერთდროულად ორ მამაკაცთან იცხოვრო.

ჟოანი არც შერხეულა.

- ასე არ არის, - ჩაილაპარაკა, - და თუნდაც ასე ყოფილიყო, შენ რა გესაქმება?

თავგზააბნეულმა რავიკმა ქალს გადახედა და გახევდა.

- ჰო, მართლა, რა გესაქმება? - გაუმეორა ჟოანმა. - მე შენ მიყვარხარ. განა ეს შენთვის არ კმარა?

- არა.

- ტყუილად ეჭვიანობ. სხვისი არ ვიცი, შენ კი საეჭვიანო რა გაქვს? არც არასოდეს ეჭვიანობდი...

- ხედავ?

- შენ საერთოდ არ იცი, რა არის ეჭვიანობა.

- ოღონდაც! თეატრალური წარმოდგენები არ გამიმართავს შენთვის, შენი მსახიობივით...

ქალმა გაიღიმა.

- რავიკ, იმ ჰაერზეც კი ეჭვიანობენ, სხვა რომ სუნთქავს.

რავიკმა არ უპასუხა. ქალი პირისპირ ედგა და თვალებში შეჰყურებდა. ჰაერი, ვიწრო დერეფანი, მკრთალი შუქი - ყველაფერი ანაზდად ამ ქალით აივსო. ისევ ცდუნება, ისევ ძახილი. შეუკავებლად გიზიდავს, როგორც დედამიწა, როცა კოშკის თავზე დგახარ ან მოაჯირზე ხარ გადმოწოლილი, თავი გიბრუვდება და გული დაბლა გეწევა...

რავიკმა იცოდა ეს ამბები და არ უნდოდა ხელახლა მახეში გაბმულიყო. ახლა აღარ ფიქრობდა იმაზე, რომ უბრალოდ წასულიყო. ამ შემთხვევაში ისე წავა, როგორც ტყვე. მას კი არ სურდა, რომ ტყვე ყოფილიყო. უნდოდა ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო ამისათვის. ხვალ დასვენებული თავი დასჭირდება.

- დასალევი ხომ არაფერი გექნება? - ჰკითხა ქალს.

- მაქვს. რა გინდა? კალვადოსი?

- კონიაკი, თუ არის. თუმცა - იყოს კალვადოსი. სულერთია.

ჟოანი პატარა კარადასთან მივიდა. რავიკი თვალს ადევნებდა. ახლა ჰაერიც კი ცდუნებითაა გაჟღენთილი და გეჩვენება: აი, აქ სახლს ავიშენებთ... გრძნობათა ძველი,

მარადიული მცდარობა... თითქოს გულს ერთ ღამეზე მეტი ხნით შეეძლოს ოდესმე დამშვიდება!

ეჭვიანობა? განა არ განუცდია? განა არ გამოცადა სიყვარულის მთელი არასრულყოფილება, არ გამოცადა ძველი ტკივილი, ცნობილი ყოველი კაცისათვის? ეჭვიანობა? ხომ არ იწყება იმის შეგნებით, რომ ერთი შეყვარებულთგანი მეორეზე ადრე უნდა მოკვდეს?

ჟოანმა მოიტანა არა კალვადოსი, არამედ ბოთლი კონიაკი. კარგიაო, გაიფიქრა რავიკმა. ზოგჯერ რაღაც ესმის ხოლმე. ფოტოსურათი ფეხით გასწია და იატაკიდან აიღო. ცდუნებისაგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალება შემცვლელის სახის ჭვრეტაა.

- საშინლად ცუდად ვიმახსოვრებ სახეებს, - უთხრა ჟოანს. - მეგონა, შენი მსახიობი სულ სხვანაირად გამოიყურებოდა.

ქალმა ბოთლი მაგიდაზე დადგა.

- ეს სულაც არ არის ჩემი მსახიობი.

- აჰ, ერთი შეხედეთ... უკვე მეორე...

- დიახ... ამის გამო მოხდა მთელი აურზაური.

რავიკმა მოზრდილი ყლუპი გადაკრა.

- ალბათ, უნდა იცოდე, რომ არ არის საჭირო ოთახის მორთვა მამაკაცების სურათებით, როცა ყოფილი საყვარელი მოდის ხოლმე. ან, საერთოდ, რა საჭიროა ფოტოსურათების გამოფენა? ეს უგემოვნობაა.

- არსად არ იყო გამოფენილი. თვითონ იპოვა. ჩხრეკა მოაწყო. ფოტოები კი უნდა ინახებოდეს. შენ ამას ვერ გაიგებ, ქალი გაიგებდა. არ მინდოდა ენახა ეს სურათი...

- აი, უსიამოვნებაც მოხდა.. იმ კაცზე დამოკიდებული ხარ?

- სულაც არა. კონტრაქტი მაქვს ორი წლით.

- მან მოგიწყო?

- რატომაც არა? - გაუკვირდა გულწრფელად. - რა არის აქ განსაკუთრებული?

- არაფერი. ასე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ზოგიერთ მამაკაცს ასეთი უმადურობა ძალიან აღიზიანებს.

ქალმა მხრები აიჩეჩა. ამან რავიკს ბუნდოვანი მოგონება და ნაღველი აღუძრა. მხრები... ოდესღაც სულ ახლოს ნახა ეს მხრები, ნელა რომ აიწევდა და დაიწევდა ძილში. ღრუბლის ქულა, ფრინველთა გუნდი. მათი ფრთები მოწითალო ცის ფონზე ელვარებდა. ნუთუ ყველაფერი უკვე წარსულს ჩაჰბარდა? ილაპარაკე, მეხსიერებავ, გრძნობათა უხილავო მოანგარიშევ. მართლა უკანასკნელი, სუსტი ანარეკლია თუ ყველაფერი მხოლოდ სიღრმეშია შეფარული? თუმცა, ვინ იცის?

ფანჯრები ფართოდ იყო გაღებული. რაღაც მუქი შემოფრინდა გარედან და გაუბედავად დატრიალდა ოთახში. პეპელა აბაჟურზე დაჯდა და ფრთები შეისწორა, მეწამული და ლაჟვარდისფრად მოლივლივე ფრთები. აბრეშუმის აბაჟურზე ღამის ორდენივით ეკიდა საიდანღაც მოფრენილი ჭრელი პეპელა. წყნარად სუნთქავდა ხავერდის ფრთები, წყნარად, როგორც მის თვალწინ მდგარი ქალის მკერდი მსუბუქი კაბის ქვეშ. განა ასე არ იყო ერთხელ, ადრეც, ასი წლის წინ?..

ლუვრი. ნიკე... არა, ბევრად უფრო ადრე, რაღაც უსაზღვროდ შორეულ წინაისტორიულ წყვდიადში, მტვრისა და ოქროსაგან შემდგარ ბინდში. საკმეველი იწვის ტოპაზის საკურთხეველში. ხმამაღლა გრუხუნებენ ვულკანები, მუქდება ჩრდილების, ცდუნებისა და სისხლის ფარდები. ჯერ კიდევ სულ პატარაა ცნობიერების ნავი, უფრო მოთუხთუხეა მორევი, უფრო ელვარებს ნიაღვარი, ფერდობებზე შავი საცეცებით რომ მიცოცავს, იღვრება და ნთქავს ყველაფერ ცოცხალს... და ყველას სჭირდება მედუზის ეს მარადიული, გაყინული ღიმილი! რა არის მისთვის სულის ჩოჩქოლი - რამდენიმე მერყევი იეროგლიფი დროის ქვიშაზე!

პეპელა შეირხა, აბაჟურის ქვეშ შეფრინდა და ახლა გავარვარებულ ელექტრონათურას აწყდებოდა. იისფერი მტვერი დაცვივდა. რავიკმა პეპელა ხელში აიყვანა, ფანჯრისაკენ წაიყვანა და გარეთ გაუშვა, ბნელ ღამეში.

- უკანვე შემოფრინდება, - თქვა ჟოანმა.

- რა იცი? იქნებ...

- ყოველღამე მოფრინავენ პარკებიდან. ორი კვირის წინ ლიმონივით ყვითლები იყვნენ, ახლა კი ასეთები არიან.

- დიახ. ყოველთვის ერთი და იგივენი და ყოველთვის სხვანაირები. ყოველთვის სხვანაირები და ყოველთვის ერთი და იგივენი.

რისთვის ლაპარაკობს ამას? რაღაც ლაპარაკობდა მის მაგიერ, მის ზურგს უკან. რაღაც გამოძახილი, ექო, მოვარდნილი შორიდან, სადღაც უკანასკნელი იმედის კიდიდან. მაგრამ რისი იმედი ჰქონდა? რამ დააყრუა ანაზდად სისუსტის ამ წუთებში? რა შეიჭრა ასე მტკივნეულად სკალპელის პირით იქ, სადაც, მისი აზრით, უკვე ყველაფერი მორჩა და შეხორცდა? თავს რომ იტყუებდა, ნუთუ კიდევ რაიმეს მოელოდა? ნუთუ იმედი კიდევ ცოცხლობდა თუ უკვე ჭუპრად ქცეულიყო და ზამთრის ძილს მისცემოდა? მაგიდიდან ფოტოსურათი აიღო.

სახე, ვიღაცის სახე. ერთი მრავალთაგანი.

- დიდი ხანია მაგასთან ხარ? - ჰკითხა ქალს.

- არა, არ არის დიდი ხანი. ერთად ვმუშაობთ, რამდენიმე დღის წინ გავიცანით ერთმანეთი. გახსოვს, „ფუკეს“ რესტორანში რომ შეგხვდი და შენ...

რავიკმა ხელის მოძრაობით შეაჩერა.

- კარგი, კარგი! ყველაფერი გასაგებია! გინდა თქვა, მაშინ რომ მე... თვითონვე იცი, რომ ეს მართალი არ არის.

- არა... მართალია... - უთხრა ქალმა გაუბედავად.

- ხომ იცი, რომ არ არის მართალი! ნუ ტყუი! ნამდვილად რომ გნდომებოდა, ასე მალე არ დამშვიდდებოდი.

რა საჭიროა ყოველივე ეს? რისთვის ელაპარაკება ასე? მოწყალე სიცრუის თქმას ხომ არ ელის ქალისაგან?

- ეს მართალიცაა და არც არის მართალი, - უთხრა ქალმა. - ვერაფერი მოვუხერხე საკუთარ თავს, რავიკ. თითქოს რაღაც ხელის კვრით მერეკება. სულ მეჩვენება, თითქოს რაღაცას ხელიდან ვუშვებ. და აი, ვეტანები, ვიჭერ, მინდა შევაკავო ეს რაღაც, უეცრად კი აღმოჩნდება, რომ ყველაფერი ამაო ყოფილა, ფუჭი და უსარგებლო. მაშინ ისევ ახალი რაღაცისაკენ მიმიწევს გული. წინასწარ ვიცი: ყველაფერი ისე გათავდება, როგორც ყოველთვის თავდებოდა, მაგრამ სხვანაირად მოქცევა არ შემიძლია. რაღაც მაქეზებს, მიბიძგებს, მათამაშებს, მიჭერს გარკვეული ხნით, შემდეგ კი მიშვებს და ხელახლა გაპარტახებული ვრჩები... მერე ყველაფერი თავიდან იწყება...

დავკარგეო, გაიფიქრა რავიკმა, დავკარგეო სამუდამოდ - უსაშველოდ. აღარ შეიძლება კაცმა იმედი იქონიოს, რომ უბრალოდ შეცდა, ჩავარდა, რომ ჯერ კიდევ გონს მოვა და დაბრუნდება. კარგია ყველაფრის ბოლომდე გაგება, მეტადრე მაშინ, როცა თამაშში გართული წარმოსახვა ხელახლა იწყებს გონების დაბნელებას.

რბილი, უმოწყალო, უიმედოდ სევდიანი ქიმია! გული, ერთხელ შეთვისებულ-შედუღებული სხვა გულთან, აღარასოდეს განიცდის იმავეს უწინდელი ძალით. ჟოანმა მაინც ვერ მოახერხა მისი სულის რომელიღაც კუნჭულში შეჭრა. მხოლოდ ეს აიძულებდა დროდადრო მის გახსენებას, მხოლოდ ამის გამო მიუწევდა მისკენ გული, მაგრამ, როგორც კი ამ უკანასკნელ კუნჭულს მიაღწევდა, რაღა თქმა უნდა, სამუდამოდ მიატოვებდა. ვინ დაუცდის ამას? ვის დააკმაყოფილებს ასეთი ბოლო? ვინ გაწირავს თავს ამისათვის?

- როგორ მინდა, შენებრ ძლიერი ვიყო, რავიკ.

რავიკს გაეცინა. ესღა მაკლდაო!

- შენ ბევრად ძლიერი ხარ ჩემზე.

- არ არის მართალი. თვითონვე ხედავ, როგორ დაგდევ.

- საქმეც ეგ არის. შენ შეგიძლია, თავს ამის ნება მისცე, მე კი არ შემიძლია.

ქალმა ყურადღებით შეხედა. სახე წამით გაებადრა და იმავე წამს ჩაუქრა.

- შენ არ შეგიძლია სიყვარული, - უთხრა რავიკს. - არასოდეს ეშვები მორევში.

- სამაგიეროდ, შენ - ყოველთვის. აი, ამიტომ ყოველთვის ვინმე გიხსნის ხოლმე.

- არ გინდა ჩემთან სერიოზულად ლაპარაკი?

- სრულიად სერიოზულად გელაპარაკები.

- თუ ყოველთვის ვინმე მიხსნის ხოლმე, რატომ არ შემიძლია შენი მიტოვება?

- შეგიძლია და მტოვებ კიდევაც.

- კარგი, გეყოფა! მართლა რომ შემძლებოდა, ასე კვალდაკვალ აგედევნებოდი? სხვებს ვივიწყებდი. აი, შენი დავიწყება კი არ შემიძლია. რატომ?

რავიკმა კონიაკი მოსვა.

- იქნებ, იმიტომ, რომ ვერ შეძელი ჩემი ჩაჭერა და ფეხქვეშ გათელვა.

ერთი წამით ქალი შეფიქრიანდა, შემდეგ თავი გადააქნია.

- მაგრამ მე ვერც სხვების ჩაჭერა და ფეხქვეშ გათელვა შევძელი, როგორც შენ ამბობ, ზოგჯერ კი ამაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. და მაინც ვივიწყებდი. უბედური ვიყავი, მაგრამ ვივიწყებდი მაინც.

- მეც დამივიწყებ.

- ვერა, ვერ დაგივიწყებ. ვერასოდეს დაგივიწყებ! ეს თვითონაც იცი.

- კაცმა არ იცის, რამდენი რამის დავიწყება შეუძლია. ეს დიდი ბედნიერებაცაა და საშინელი ბოროტებაც.

- მითხარი, ბოლოს და ბოლოს, რატომ გამოგვდის ყველაფერი ასე სულელურად?

- ამას ვერავინ ახსნის. რაც მეტს ვლაპარაკობთ, მით უფრო ნაკლებად გვესმის ერთმანეთის. არის ამბები, რომელთაც ვერც გაიგებ, ვერც ახსნი. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენში კიდევ არის რაღაც ბნელი, დახავსებული, ჯუნგლების რაღაც ნაგლეჯი... ახლა კი წავალ.

ქალი წამოვარდა.

- არ დამტოვო მარტო!

- მართლა გინდა ჩემთან დაწოლა?

ქალმა შეხედა, მაგრამ არაფერი უპასუხა.

- იმედი მაქვს, არა! - დასძინა რავიკმა.

- რატომ მეკითხები ამას?

- რაიმეთი რომ გავერთო. დაწექი, დაიძინე. უკვე თენდება. ახლა ტრაგედიების გათამაშების დრო არ არის.

- არ გინდა დარჩენა?

- არა. და არც არასოდეს მოვალ.

ქალი გაქვავებულივით იდგა.

- მართლა არასოდეს?

- მართლა. და აღარც შენ მოხვალ ჩემთან არასოდეს.

ქალმა ნელა მიაბრუნა თავი და ფოტოსურათი უჩვენა.

- ამის გამო?

- არა.

- არ მესმის. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ შეგვეძლო...

- არა, - სწრაფად თქვა რავიკმა. - ოღონდ ეს არა. მეგობრებად დარჩენა? ჩამქრალ გრძნობათა გაცივებულ ლავაზე პატარა ბოსტნის გაშენება? არა, ეს ჩემი და შენი საქმე არ არის. ასე ხდება მხოლოდ პატარა ინტრიგების შემდეგ და მაშინაც საკმაოდ ყალბი გამოდის. სიყვარულს ჩირქს არ სცხებენ მეგობრობით. დასასრული არის დასასრული.

- მაგრამ რაღა მაინცდამაინც ახლა?

- შენ მართალი ხარ. ეს ადრე უნდა მომხდარიყო, როცა შვეიცარიიდან დავბრუნდი. მაგრამ ყოვლისმცოდნე არავინ არის. ზოგჯერ არ გვსურს, ყველაფერი ვიცოდეთ. ეს ხომ იყო... - და უეცრად გაჩუმდა.

- რისი თქმა გინდოდა, რავიკ?

ქალს თითქოს რაღაც არ ესმოდა, მაგრამ მთელი ძალით ცდილობდა, გაეგო. სახის ფერი დაკარგა, თვალები შუშასავით გამჭვირვალე გაუხდა.

- მითხარი, რავიკ! რა იყო ჩვენ შორის? - ჰკითხა ჩურჩულით.

ნახევრად განათებული, მკრთალ შუქზე თითქოს მოქანავე დერეფანი, ქალის ზურგს უკან, სადღაც, შორეული მაღაროსაკენ მიმავალ ბილიკად ეჩვენებოდა, სადაც ციმციმებს დაპირება და მარად განახლებული იმედი.

- სიყვარული... - თქვა კაცმა.

- სიყვარული?

- დიახ. აი, რატომ არის ახლა ყველაფერი გათავებული.

რავიკმა კარი გაიხურა. ლიფტთან მივიდა. ღილაკს თითი დააჭირა, მაგრამ არ დაუცდია - ეშინოდა, რომ ჟოანი გამოვიდოდა. სწრაფად დაეშვა კიბეზე. გაოცებული იყო, რომ კარის გაღების ხმა არ ესმოდა. ორი სართულით დაბლა რომ ჩავიდა, შეჩერდა, ყური მიუგდო. სრული სიწყნარე იყო. არავინ მოსდევდა.

ტაქსი ისევ სახლის წინ იდგა. რავიკს დაავიწყდა კიდეც, რომ ელოდა. მძღოლმა თითები ქუდის წინაფრასთან მიიტანა და შინაურულად ჩაიცინა.

- რამდენია? - ჰკითხა რავიკმა.

- ჩვიდმეტი და ორმოცდაათი.

რავიკმა გადაიხადა.

- უკან არ წახვალთ? - გაუკვირდა მძღოლს.

- არა. ფეხით წავალ.

- ცოტა შორსაა, მუსიე.

- ვიცი.

- მაშ, რისთვის მალოდინეთ? ეს ხომ თერთმეტი ფრანკი დაგიჯდათ!

- არაფერია.

მძღოლი ამაოდ ცდილობდა გაყვითლებული ძველი ნამწვის მოწევას, ზედა ტუჩზე რომ მიხმობოდა.

- რა გაეწყობა, იმედია, დრო კარგად გაატარეთ?

- ოღონდაც, - მიუგო რავიკმა.

*

ბაღები დილის ცივი ცის ქვეშ გარინდებულიყო. ჰაერი უკვე გათბა, მაგრამ დილის შუქი ცივი იყო. იასამნის დამტვერიანებული ბუჩქები, გრძელი სკამები. ერთზე ვიღაც კაცს ეძინა, სახე ,,პარი სუარით'' დაეფარა. რავიკმა გაიხსენა: სწორედ ამ სკამზე იჯდა იმ ჭექა-ქუხილის ღამეს.

მძინარეს გადახედა. დაფარული სახიდან გაზეთი ოდნავ გადაიწია, თითქოს ეს ჩაყვითლებული ფურცელი ცოცხალი არსება ყოფილიყოს, ფარვანა, რომელიც, სადაცაა, აფრინდება და მთელ ქვეყანას მოჰფენსო ახალ ამბებს. წყნარად ირხეოდა მსხვილი სათაური: ,,ჰიტლერი აცხადებს, რომ, დანციგის დერეფნის გარდა, არავითარი ტერიტორიული პრეტენზია არ აქვს'', ქვემოთ კი მეორე: ,,მრეცხავი ქალი ქმარს გავარვარებული უთოთი კლავს''. ფოტოსურათიდან რავიკს შემოსცქეროდა მკერდგაფუებული ქალი, საკვირაო კაბაში გამოწყობილი. გვერდით ადიოდ-ჩადიოდა კიდევ ერთი სურათი: ,,ჩემბერლენი ვარაუდობს, რომ მშვიდობის შენარჩუნება შეიძლება''. სურათზე გამოხატული იყო ქოლგიანი კაცი, ტიპური კლერკი, მთელი თავისი შესახედაობით თვითკმაყოფილ ხბოს რომ ჰგავდა. სადღაც მის ფერხთით იკარგებოდა წვრილი შრიფტით აწყობილი სათაური: ,,საზღვარზე ასობით ებრაელია მოკლული''.

კაცს, რომელსაც ღამის ნამისა და დილის შუქისაგან თავდასაცავად გაზეთი გადაეფარებინა, ღრმა, მშვიდი ძილით ეძინა. გაცვეთილი ტილოს ფეხსაცმელი ეცვა, ყავისფერი შალის შარვალი და დაგლეჯილი პიჯაკი. მსოფლიოს ამბები, ეტყობოდა, ნაკლებად აღელვებდა ამ კაცს.

იმდენად დაცემული ჩანდა, რომ საერთოდ ვეღარაფერი დააინტერესებდა, როგორც დიდ სიღრმეზე მობინადრე თევზს არ აღელვებს ოკეანის ზედაპირზე მძვინვარე ქარიშხლები.

რავიკი ,,ინტერნასიონალში'' დაბრუნდა. გულზე მოეშვა, თავს მსუბუქად გრძნობდა. ახლა აღარაფერი შეუშლის ხელს, ყველაფერი უკან დარჩა. ორი დღე აქვს, მაგრამ ჯობს დაუცადოს ჰააკეს, ვიდრე ხელიდან გაუშვას.

## თავი ოცდამერვე

რავიკი „უელსის პრინცის“ ჰოლში ჩავიდა. დარბაზი ცარიელი იყო. პორტიე მაღალ მაგიდას უჯდა და რადიოს უსმენდა. ჰოლის კუთხეებში დამლაგებელი ქალები ფუსფუსებდნენ. რავიკმა შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს საათს შეხედა. დილის ხუთი საათი იყო.

გეორგ მეხუთის ავენიუზე ავიდა და რესტორან „ფუკეს“ მიაშურა. რესტორანი უკვე დაკეტილი იყო. რავიკმა ტაქსი გააჩერა და „შეჰერეზადაში“ წავიდა.

მოროზოვი შესასვლელთან იდგა.

- უშედეგოდ ვიცადე, - უთხრა რავიკმა.

- ასეც ვფიქრობდი. დღეს შესრულდა ორი კვირა.

- აბსოლუტური სიზუსტე ასეთ საქმეებში უაზრობაა. „უელსის პრინციდან“ ფეხი არ მოგიცვლია?

- გუშინ დილიდან ამ დრომდე იქა ვარ.

- ხვალ დაგირეკავს, - უთხრა მოროზოვმა. - შეიძლება, დღეს არ ეცალოს. იქნებ, ბერლინიდან ერთი დღით გვიან გამოვიდა.

- ხვალ, დილით, ოპერაცია მაქვს.

- დილით არც დაგირეკავს.

რავიკი გაჩუმდა. ოტელის წინ ტაქსი გაჩერდა და იქიდან თეთრსმოკინგიანი დაქირავებული მოცეკვავე და მსხვილკბილებიანი ქალი გადმოვიდნენ. მოროზოვმა მათ კარი გაუღო. უცებ მთელი ქუჩა სუნამო „შანელის“ სურნელებით აივსო. ქალი ოდნავ კოჭლობდა. მისმა თანმხლებმა მძღოლი გაისტუმრა და უკან მიჰყვა. ლამპის შუქზე ქალის თვალები მწვანე ჩანდა, გუგები პაწაწინა შავ წერტილებად ქცეულიყო.

- დილით ნამდვილად არ დარეკავს, - თქვა ისევ მოროზოვმა.

რავიკმა არ უპასუხა.

- დამიტოვე გასაღები, რვის შემდეგ ოტელში შევალ და ტელეფონთან დავჯდები შენს მოსვლამდე, - უთხრა მოროზოვმა.

- გამოძინება ხომ გინდა!

- არაფერია. შენს ლოგინზე წამოვწვები, თუ მინდა. დარწმუნე-ბული ვარ, არავინ დარეკავს, მაგრამ სიამოვნებით ვიმორიგევებ, თუ ეს დაგამშვიდებს.

- ოპერაცია თერთმეტამდე გასტანს.

- კარგი, შევთანხმდით.

- აი, გასაღები. გამომართვი.

მოროზოვმა გასაღები შეინახა. შემდეგ კოლოფით პიტნიანი კვერები ამოიღო და რავიკს შესთავაზა: რავიკმა არ აიღო. მაშინ მოროზოვმა რამდენიმე კვერი

ხელისგულზე გადმოიყარა და პირთან მიიტანა. ისინი ისე ჩაიმალნენ მის წვერებში, როგორც პატარა ჩიტები ხშირ ტყეში.

- აგრილებს კაცს, - აუხსნა რავიკს.

- მჯდარხარ როდისმე მთელი დღე-ღამის განმავლობაში პლუშის ავეჯით გაჭედილ ოთახში და გიცდია? - ჰკითხა რავიკმა.

- უფრო მეტხანსაც ვყოფილვარ. შენ - არა?

- მეც, მაგრამ მაშინ სულ სხვა რამეს ველოდი.

- წიგნები მოიმარაგე?

- კი, მაგრამ ერთი სტრიქონიც არ წამიკითხავს. კიდევ რამდენ ხანს უნდა იდგე აქ?

მოროზოვმა ტაქსის კარი გააღო. რამდენიმე ამერიკელი „შეჰერეზადაში“ შეუშვა.

- არანაკლებ, ორი საათი, - მიუგო, უკან რომ გამობრუნდა. - თვითონაც ხედავ, რა ხდება. ასეთი გიჟური ზაფხული არ მინახავს. სხვათა შორის, ჟოანიც აქ არის.

- მართლა?

- დიახ. და მარტო არა, თუ გაინტერესებს.

- სულაც არა, - რავიკი დაემშვიდობა და წავიდა. - ხვალამდეო, - დაადევნა.

- რავიკ! - დაუძახა მოროზოვმა.

რავიკი მობრუნდა.

- შენ როგორღა მოხვდები შენს ნომერში? - ჰკითხა მოროზოვმა და გასაღები ამოიღო. - ჩვენ ხომ მხოლოდ თერთმეტი საათის შემდეგ ვნახავთ ერთმანეთს. კარი ღია დატოვე და ისე წადი.

- ღამეს „ინტერნასიონალში“ გავათევ, - მიუგო რავიკმა და გასაღები გამოართვა, - და, საერთოდ, „უელსის პრინცში“, რაც შეიძლება, იშვიათად გამოვჩნდები - ეს ყველაზე უფრო გონივრული იქნება.

- მართალია, მაგრამ ღამის გასათევად მაინც უნდა მიხვიდე იქ. ოტელში გაჩერდე და ღამე სხვაგან გაათიო - ეს უკვე არაფრად ვარგა. ამით იოლად მიიქცევ პოლიციის ყურადღებას.

- შეიძლება, სწორსაც ამბობდე, მაგრამ, თუ პოლიცია ასე დაინტერესდება ჩემი პიროვნებით, უფრო ხელსაყრელი იქნება იმის დამტკიცება, რომ მუდმივად ვცხოვრობდი „ინტერნასიონალში“. „უელსის პრინცში“ კი ყველაფერი ისე მოვაწყვე, როგორც საჭიროა: ქვეშაგები გავთელე, ხოლო პირსაბანი, სააბაზანო და პირსახოცი ისე დავტოვე, ვითომ ამ დილით ვისარგებლე.

- კარგია. მაშინ დამიბრუნე გასაღები.

რავიკმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ უკეთესი იქნება, იქ არ გამოჩნდე.

- ამას არა აქვს მნიშვნელობა.

- უსათუოდ აქვს, ბორის. ნუ ვიქნებით იდიოტები. შენი წვერი მეტისმეტად ეცემა თვალში ადამიანს. გარდა ამისა, შენ მართალი თქვი: ისე უნდა ვიცხოვრო და დავიჭირო თავი, ვითომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. თუ ჰააკე დილით დარეკავს და არ აღმოვჩნდები, აუცილებლად დამირეკავს მეორედაც, სადილობის შემდეგ. ეს მტკიცედ უნდა ვიცოდე და არ ვიცადო ტელეფონთან, თორემ პირველივე დღეს ნერვები მიმტყუნებს.

- ახლა საით მიდიხარ?

- დასაძინებლად წავალ. ასე ადრე არ დარეკავს.

- თუ გინდა, მოგვიანებით შევხვდეთ სადმე ერთმანეთს.

- არა, ბორის. შენ რომ გათავისუფლდები, მე შეიძლება მეძინოს. რვაზე კი ოპერაცია მაქვს დანიშნული.

მოროზოვმა უნდობლად გადახედა.

- მაშინ ნასადილევს ,,უელსის პრინცში" შემოგივლი. თუ ამაზე ადრე რაიმე მოხდება, ოტელში დამირეკე.

- კარგი.

ქუჩები. ქალაქი. ალისფერი ცა. წითელი, თეთრი, ლურჯი სახლები. ქარი ალერსიან კატასავით ეტმასნება ბისტროს კუთხეებს. ადამიანები, ჰაერი... მთელი დღეები ამაოდ იცდიდა რავიკი ოტელის დახუთულ ნომერში. ახლა აუჩქარებლად მიუყვებოდა ქუჩას ,,შეჰერეზადას" მახლობლად. თუჯის ღობეების მიღმა მდგარი ხეები მორცხვად აფრქვევდნენ ამ ტყვიასავით ღამეში მოგონებებს ტყესა და სიმწვანეზე; უეცრად თავი ისე დაღლილად და გატიალებულად იგრძნო, რომ ფეხზე ვერ დგებოდა. ,,რა იქნება, ყველაფერი ეს რომ მიატოვო, - არწმუნებდა შინაგანი ხმა, - სრულიად მიატოვო, დაივიწყო, როგორც გველი ტოვებს კანს? რა გესაქმება იმ კაცთან, სხვისი ნების ყურმოჭრილ ყმასთან, აღდგენილი შუა საუკუნეების საშინელი მექანიზმის პატარა ხრახნთან, ევროპაზე ჩამოწოლილი მზის დაბნელების ჟამს?"

მართლაც, რა ესაქმება ყოველივე ამასთან? რომელიღაც მეძავი ჭიშკრის მიღმა მის შეტყუებას ცდილობდა. ფართოდ გაშალა კაბა, ისე შეკერილი, რომ საკმარისი იყო, ადამიანს ერთი ღილი გაეხსნა და მთლიანად, ხალათივით გაიხსნებოდა. ბნელში მკრთალად მოციმციმე სხეული, გრძელი შავი წინდები, შავი წიაღი, შავი ბუდეები, რომლებშიც არ ჩანან თვალები, დამჭკნარი, დარღვეული, თითქოს უკვე ფოსფორის მფრქვეველი მანათობელი ხორცი...

ხეს სუტენიორი მიჰყრდნობია, ზედა ტუჩზე სიგარეტი მისწებებია, თვალებს აცეცებს. ბოსტნეულით დატვირთულმა რამდენიმე საზიდარმა ჩაიარა. ცხენები კუნთების ძალუმ ბორცვებს ძაბავდნენ და თავებს აქნევდნენ. ოხრახუშისა და ყვავილოვანი კომბოსტოს მსუყე სუნი ეცა. კომბოსტოს თავები, მწვანე ფოთლებით გარემოსილნი,

გაქვავებულ ტვინებს მოგაგონებდათ. მეწამული პომიდვრები, ცერცვის პარკით სავსე კალათები, ხახვი, ბალი და ნიახური.

...ჰო, მართლა, რა ესაქმება? ერთით მეტი იქნება თუ ნაკლები. ჰააკე ხომ ერთიმეორის მსგავსი ასიათასობით მკვლელთაგანია, მხოლოდ ერთი მათგანი. ერთით ნაკლები... რავიკი უცბად შეჩერდა. აი, რა! ანაზდად გონება გაუნათდა. სწორედ იმიტომ აიშვეს თავი, რომ ყველა თავისთვის ამტკიცებს: „რა ჩემი საქმეაო"; აი, რატომ ჭირს! ერთით ნაკლები? დიახ - თუნდაც ერთით ნაკლები იყოს! ეს - არაფერია და თანაც - ყველაფერია! ყველაფერი!" აუჩქარებლად აიღო სიგარეტი, ასანთი აანთო და, როცა მისი შეკრული ხელისგულები ალმა გაანათა, როგორც ბნელი უფსკრულებითა და ნაპრალებით დასერილი გამოქვაბული, რავიკი მიხვდა, რომ ხელს ვერაფერი შეუშლიდა ჰააკეს მოკვლაში. ახლა ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და მთავარი გახდა, ვიდრე, უბრალოდ, პირადი შურისძიება. ეჩვენებოდა, თუ ამას არ აღვასრულებ, რაღაც უზარმაზარ დანაშაულს ჩავიდენო. თუ არ იმოქმედებდა, თითქოს ამით ქვეყნიერება დაკარგავდა რაღაც ძალზე მნიშვნელოვანს. რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ეს ასე არ იყო. და მაინც, ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, სისხლში ჰქონდა გამჯდარი ასეთი მოქცევის შეგნება, თითქოს მისგან წრეებად წავიდოდა ტალღები და ბევრად უფრო მნიშვნელოვან ამბებს გამოიწვევდა. იცოდა, რომ ჰააკე, სიკვდილის ეს პატარა მსახური, თავისთავად, ძალიან ცოტას ნიშნავდა, და მაინც მისი მოკვლა უსასრულოდ მნიშვნელოვნად ესახებოდა.

ხელისგულებს შორის, გამოქვაბულში, ცეცხლი ჩაქრა. ასანთი გადააგდო. ფოთლებზე მწუხრი დაეკიდა, თენდებოდა. ვერცხლის აბლაბუდა, ახალგაღვიძებული ბეღურების პიციკატოს[21] რომ აუტაცებია. გაოცებულმა მიმოიხედა. რაღაც მოხდა მის არსებაში. შედგა უჩინარი სამსჯავრო, გამოიტანეს განაჩენი. არაჩვეულებრივად მკაფიოდ ხედავდა ხეებს, სახლის ყვითელ კედელს, თუჯის რუხ ცხაურს, მის თვალწინ გავლებულს, მოლურჯო ნისლით დაბურულ ქუჩას. ეჩვენებოდა, რომ ეს სურათი არასოდეს ამოიშლებოდა მისი მეხსიერებიდან... და ახლა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მოკლავს ჰააკეს, რადგან ეს არა მარტო მისი პირადი პატარა საქმეა, არამედ რაღაც ბევრად დიდის დასაწყისი...

„ოზირისს" ჩაუარა. რამდენიმე მთვრალი კაცი გამოვიდა იქიდან. გამოცივებული თვალები, წითელი სახეები. მახლობლად არც ერთი ტაქსი. მთვრალები წუთით შეჩერდნენ, მერე წავიდნენ, ფეხების ბაკუნითა და ხმამაღალი გინებით. გერმანულად ლაპარაკობდნენ.

რავიკს ოტელში დაბრუნება უნდოდა, მაგრამ განზრახვა შეიცვალა. როგორღაც როლანდამ უთხრა, ბოლო ხანებში ხშირად გვყავს სტუმრად გერმანელი ტურისტებიო. მიბრუნდა და „ოზირისში" შევიდა.

როლანდას თავისი ჩვეულებრივი შავი კაბა ეცვა და ბარის დახლს იქით იდგა. ცივი და დაკვირვებული გამომეტყველება ჰქონდა. ყურთასმენის წამღებად უკრავდნენ პიანოლას. ხმები ხმაურით ეხეთქებოდა ეგვიპტურ სტილზე მოხატულ კედლებს.

- როლანდა, - უთხრა რავიკმა.

ქალი მობრუნდა.

- რავიკ! რამდენი ხანია, არ გვინახავხარ! კარგია, რომ მოხვედი.

- რა მოხდა?

იგი ქალის გვერდით იდგა დახლთან და თითქმის ცარიელ დარბაზს ათვალიერებდა. უკანასკნელი სტუმრები მაგიდებთან თვლემდნენ.

- აქაურობას თავს ვანებებ, - მიუგო როლანდამ. - ერთი კვირის შემდეგ მივემგზავრები.

- სამუდამოდ?

როლანდამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და უბიდან დეპეშა ამოიღო.

- აი, ნახე.

რავიკმა წაიკითხა და დაუბრუნა.

- მამიდაშენი გარდაიცვალა?

- ჰო. შინ ვბრუნდები. მადამი უკვე გავაფრთხილე. საშინლად ბრაზობს, მაგრამ ესმის ჩემი. ჩემ მაგიერ ჟანეტა იქნება. - როლანდამ გაიცინა. - საბრალო მადამი! რა ფუფუნებით უნდოდა წლეულს კანში ცხოვრება! მისი ვილა უკვე სავსეა სტუმრებით, შარშან ხომ გრაფის ქალი გახდა. რომელიღაც გუდამშიერ ტულუზელ არისტოკრატს გაჰყვა ცოლად. თვეში ხუთი ათას ფრანკს აძლევს, ოღონდ პროვინციიდან არ წამოვიდეს... ახლა კი ქალბატონი ვერ შეძლებს აქედან წასვლას.

- საკუთარ კაფეს გახსნი, არა?

- რასაკვირველია. მთელი დღეები ქალაქში დავდივარ და, რაც საჭიროა, ყველაფერს ვყიდულობ. პარიზში ასეთ რამეებს გაცილებით იაფად იყიდი. კრეტონი უკვე ვიყიდე ფარდებისათვის. აი, ნახე, მოგწონს ფერების შეხამება? - უბიდან ქსოვილის ნაჭერი ამოიღო. ყვითელ ფონზე ყვავილები იყო მოხატული.

- გასაგიჟებელია, - უთხრა რავიკმა.

- სამოცდაათი პროცენტის დაკლებით ვიყიდე. შარშანდელი ჩაწოლილი საქონელია. - როლანდას თვალები სითბოსა და სიქორფეს აფრქვევდა. - მარტო ამაზე სამას სამოცდაათი ფრანკის ეკონომია გავწიე. ცუდია?

- დიდებულია. გათხოვდები?

- როგორც კი ჩავალ.

- რატომ ჩქარობ? არ ჯობია, ცოტა მოიცადო და გააკეთო ყველაფერი, რაც გათვალისწინებული გქონდა?

როლანდამ გაიცინა.

- შენ ამ საქმის არაფერი გაგეგება, რავიკ. უმამაკაცოდ საქმე არ გამოვა. აბა, რა კაფე ივარგებს უმამაკაცოდ?

ქალი წამოდგა, მტკიცე, მშვიდი, თავის თავში დაჯერებული. ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა. აბა, რა კაფე ექნება უმამაკაცოდ?

- არ იჩქარო და ფული არ გადარიცხო ქმრის სახელზე, - უთხრა რავიკმა. - მოიცადე, ვიდრე ყველაფერი მოგვარდება.

ქალმა ისევ გაიცინა.

- უკვე ვიცი, როგორც იქნება. ჩვენ გონიერი ადამიანები ვართ და ერთმანეთი საქმისათვის გვესაჭიროება. რაღა კაცია, თუ ფულს მისი ცოლი განაგებს. ვინმე ცხვირმოუხოცავი ბიჭი რად მინდა! ქმარს პატივი უნდა ვცე. ეს კი შეუძლებელია, თუ ყოველ წუთს ჩემთან მოვა და ფულის თხოვნას დამიწყებს. ნუთუ ეს არ გესმის?

- მესმის, - თქვა რავიკმა, თუმცა ვერაფერი გაეგო.

- ძალიანაც კარგი! - როლანდამ კმაყოფილებით დაუქნია თავი. - დალევა ხომ არ გინდა?

- არა, უნდა წავიდე. შემთხვევით გამოვიარე აქეთ და ისე შემოვიხედე. ხვალ დილიდან უნდა ვიმუშაო.

გაკვირვებით შეხედა ქალმა.

- სრულიად ფხიზელი კი ხარ. გოგო გინდა?

- არა.

ხელის მსუბუქი მოძრაობით როლანდამ ორ ქალიშვილს უბრძანა, დივანზე მძინარე სტუმართან მისულიყვნენ. სულ რამდენიმე ქალიშვილი იჯდა დარბაზის შუაგულში ორრიგად დადგმულ რბილ პუფებზე. დანარჩენები თავაწყვეტილად მხიარულობდნენ, დერეფნის სრიალა პარკეტზე დასრიალებდნენ. ერთი ჩაცუცქდა, დანარჩენები ხტუნვა-ხტუნვით მიქროდნენ და თან იმას მიაჩანჩალებდნენ. თმები ფრიალებდა, ძუძუები ძაგძაგებდა, თეთრად ქათქათებდა მხრები, აბრეშუმის მოკლე ქვედაკაბები წამოხდილი ჰქონდათ. ქალიშვილები კმაყოფილებისაგან კიოდნენ. თითქოს „ოზირისი“ უმწიკვლოების კლასიკურ სავანედ - არკადიად გადაქცეულიყო.

- რას იზამ, ზაფხულია! - შენიშნა როლანდამ. - იძულებული ხარ, თვალი დახუჭო. - რავიკს გადახედა. - ხუთშაბათს ჩემი გამოსამშვიდობებელი საღამოა. მადამი ჩემს პატივსაცემად სადილს მართავს. მოხვალ?

- ხუთშაბათს?

- ჰო.

ხუთშაბათს, გაიფიქრა რავიკმა. შვიდი დღის შემდეგ. შვიდი დღე შვიდი წელია. ხუთშაბათს... როცა ყველაფერი უკან დარჩება. ხუთშაბათს... განა შესაძლებელია ასე შორს თვალის გაწვდენა?

- რა თქმა უნდა, მოვალ, - უთხრა. - სად აპირებთ?

- აქ, ექვს საათზე.

- კარგი. აუცილებლად მოვალ. ღამე ნებისა, როლანდა.

- ღამე ნებისა, რავიკ.

ეს მოხდა მაშინ, როცა ჭრილობაში რეტრაქტორი შეიყვანა. რავიკს თითქოს ელვისებურად გადაევლო საოცარი, ცხელი ტალღა. შესცქეროდა პირღია წითელ ჭრილობას, გამჭვირვალე ორთქლს, თბილი, ნესტიანი საფენებიდან რომ ადიოდა, წვრილი ძარღვებიდან ნაჟონ სისხლს, საჭერებით შეკავებული წვრილი ძარღვებიდან მოდენილ სისხლს - და ანაზდად ეჟენის თვალები დაინახა, მისკენ კითხვით მოპყრობილი; ლამპის მკვეთრ შუქზე ჩანდა ვებერის სახის ყოველი პატარა ნაოჭი, ულვაშის ყოველი ღერი... ძლივს დაიოკა გულისთქმა და მშვიდად განაგრძო მუშაობა.

ნაკერს ადებდა. ხელი ანგარიშმიუცემლად მოქმედებდა, ჭრილობა თანდათან იხურებოდა, მან კი მხოლოდ ახლა იგრძნო, როგორ სდიოდა იღლიებსა და ხელებზე ოფლი.

- ხომ ვერ დაასრულებთ ნაკერს? - ჰკითხა ვებერს.

- კარგი. რა მოგივიდათ?

- არაფერი; უბრალოდ, დამცხა. ვერ გამოვიძინე.

ვებერმა ეჟენის მზერა დაიჭირა.

- ეს ხდება ხოლმე, ეჟენი, - უთხრა მოწყალების დას, წმინდანსაც კი მოუვა.

წამით მთელი საოპერაციო ოთახი დატრიალდა. განუზომელი დაქანცულობა იგრძნო. ვებერი განაგრძობდა ნაკერზე მუშაობას. რავიკი ძლივძლივობით ეხმარებოდა. ენა დაუსივდა. სასა ბამბასავით გაუხდა. გაჭირვებით და ძალიან ნელა სუნთქავდა. ყაყაჩო, გაიფიქრა, და ეს თითქოს სხვისი აზრი იყო. ყაყაჩო ფლანდრიაში. ღია, წითელი მუცელი. ყაყაჩოს წითელი გაშლილი ყვავილი, სიცოცხლის უსიცოცხლო საიდუმლოება პირდაპირ დანით შეიარაღებული ხელის ქვეშ არის; მხრებიდან ხელის მტევნისაკენ წამოსული კრუნჩხვა, სადღაც შორიდან მოსული სიკვდილი, - თითქოს უეცრად შეიკრა რაღაც კონტაქტი. ვიდრე ყველაფერი არ დამთავრდება, ოპერაცია არ უნდა გავაკეთოო, გაიფიქრა რავიკმა.

ვებერმა ნაკერზე იოდი წაუსვა.

- დამთავრდა.

ეჟენიმ წყნარად მოაგორა ხელის ურიკა.

- სიგარეტი მოგცეთ? - ჰკითხა ვებერმა.

- არა. წავალ. საქმეები მაქვს. აღარ გესაჭიროებით?

- არა, - ვებერი გაოცებული შესცქეროდა რავიკს. - საით მიგეჩქარებათ? სოდიანი ვერმუტი დალიეთ ან რაიმე გამაგრილებელი.

- არ შემიძლია. ნამდვილად სასწრაფო საქმე მაქვს. არ მეგონა, თუ ასე გვიანი იყო. ნახვამდის, ვებერ.

სწრაფად გავიდა. ტაქსიო, გაიფიქრა. ჩქარა, ტაქსი. „სიტროენი“ გააჩერა.

ოტელი „უელსის პრინცი“! ჩქარა!

ვებერს უნდა ვუთხრა, ჯერჯერობით უჩემოდ იოლას გავიდესო, გაიფიქრა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. საკმარისია, ოპერაციის დროს გავიფიქრო, შეიძლება ახლა ჰააკე მირეკავს-მეთქი, რომ სრულიად ვკარგავ ცნობიერებას.

მძღოლი გაისტუმრა და ჰოლში შევიდა. ლიფტი უსასრულოდ დიდხანს მიცოცავდა. თავის სართულზე რომ ავიდა, დერეფანი გაიარა და ნომერი გააღო. ჩქარა ტელეფონთან! ნელა, მძიმე გირის მსგავსად ასწია ყურმილი.

- ლაპარაკობს ფონ ჰორნი. დამირეკეს?

- ერთი წუთით, მუსიე.

რავიკი ელოდა. ისევ გაისმა ტელეფონისტი ქალის ხმა.

- არა. თქვენთან არავის დაურეკავს.

- გმადლობთ.

მოროზოვი საღამო ხანს მოვიდა.

- უკვე ისადილე? - ჰკითხა რავიკს.

- არა. გელოდი. ნომერში ვისადილოთ.

- სისულელეა. მაშინვე თვალში ეცემათ. პარიზში მხოლოდ ავადმყოფები სადილობენ ნომერში. ჩადი დაბლა. მე აქ დავრჩები. ასეთ დროს იშვიათად თუ ვინმე დარეკავს. სადილობის დროა. წმინდა ტრადიციაა. თუ მაინც დარეკავს, ვეტყვი, რომ შენი ლაქია ვარ და ტელეფონის ნომერს ვკითხავ. ვეტყვი, რომ ნახევარ საათში მოხვალ.

რავიკი ყოყმანობდა.

- კარგი, - თქვა ბოლოს. - ოც წუთში დავბრუნდები.

- რა გეჩქარება? საკმაოდ დიდხანს იცადე. ახლა შენი ნერვიულობა არ შეიძლება. ,,ფუკეში" წახვალ?

- ჰო.

- ოცდაჩვიდმეტი წლის მოსავლის ,,ვუვრე" მოითხოვე. სწორედ იქიდან მოვდივარ. არაჩვეულებრივი რამეა.

- კარგი.

რავიკი ლიფტით დაეშვა დაბლა. სწრაფად გადაჭრა ქუჩა და რესტორნის ტერასა გაიარა. შემდეგ მთელი დარბაზი შემოიარა. ჰააკე არსად იყო. რავიკი თავისუფალ მაგიდას მიუჯდა, ტროტუარზე რომ იდგა, გეორგ მეხუთის ავენიუს მხარეს, და სალათა, თხის ყველი და ,,ვუვრე" შეუკვეთა.

როგორც იქნა, გამოჩნდა ოფიციანტი ლანგრით ხელში. რავიკი დამშვიდდა და აუჩქარებლად შეუდგა ჭამას. ნელა შეექცეოდა. ხანდახან გარშემო მიმოიხედავდა ან ცას ახედავდა, აბრეშუმის ლურჯ ბაირაღად რომ ეკიდა ტრიუმფალური თაღის თავზე. შემდეგ ყავა შეუკვეთა და ესიამოვნა მისი მომწარო გემო. აუჩქარებლად

მოსწია სიგარეტი, ცოტა ხანს კიდევ იჯდა მაგიდასთან, გამვლელებს შესცქეროდა. მერე ადგა, ყველაფერი დაავიწყდა, ავენიუ გადაკვეთა და „უელსის პრინცისაკენ“ გაემართა.

- მოგეწონა „ვუვრე“? - ჰკითხა მოროზოვმა.

- საუცხოო ღვინოა.

მოროზოვმა ჯიბის ჭადრაკი ამოიღო.

- ვითამაშოთ ერთი პარტია?

- თანახმა ვარ.

ფიგურები დააწყვეს. მოროზოვი სავარძელში გამოიჭიმა. რავიკი დივანზე ჩამოჯდა.

- ჩანს, აქ უპასპორტოდ სამ დღეზე მეტს ვერ ვიცხოვრებ, - თქვა მან.

- უკვე მოგთხოვეს?

- ჯერ არა. ზოგჯერ მაშინვე ითხოვენ, როგორც კი მოხვალ. ამიტომ გადმოვედი აქ ღამით. მორიგეს ბევრი კითხვით არ შევუწუხებივარ. ხუთი დღით ვქირაობ-მეთქი ნომერს, ვუთხარი.

- ძვირფას ოტელებში ასეთ რამეებზე თვალს ხუჭავენ.

- მაგრამ, თუ პასპორტი მაინც მომთხოვეს, შეიძლება უსიამოვნება მოხდეს. აბა რა, პირს დამიკოცნიან?

- ჯერ ეს საფრთხე არ გემუქრება. „გეორგ მეხუთესა“ და „რიცშიც“ ვიკითხე, არც იქ იჩენენ დიდ ცნობისმოყვარეობას ასეთ რამეებზე. ამერიკელად ჩაეწერე?

- არა. უტრეხტელ ჰოლანდიელად. ჩემი ახალი გვარი ოდნავ შევცვალე, რომ ჰოლანდიურს დამსგავსებოდა: ვან ჰორნად ჩავეწერე და არა ფონ ჰორნად. საერთოდ, ერთნაირად კი ჟღერს. თუ ჰააკე მიკითხავს, განსხვავებას ვერც შენიშნავს.

- მართალია. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად ჩაივლის. ძვირფასი ნომერი გაქვს დაჭერილი, არ დაინტერესდებიან შენი ვინაობით.

- მეც ასე ვფიქრობ.

- ცუდია, რომ თავი ჰორნად გაასაღე. შემეძლო, მომეცა უნაკლო პირადობის მოწმობა, ჯერ კიდევ მთელი წლით გამოსადეგი. შვიდი თვის წინ გარდაცვლილი ერთი ჩემი მეგობრისა იყო. ივან კლუგე ერქვა. გვარი, როგორც ხედავ, რუსული არაა. როცა პოლიციიდან მოვიდნენ, ვუთხარით, რომ უპასპორტო გერმანელი ლტოლვილია. ასე გადავარჩინეთ მისი პირადობის მოწმობა. განსვენებულისათვის რა მნიშვნელობა აქვს, რომ იოზეფ ვაისის სახელით დაკრძალეს! სამაგიეროდ, შემდეგ ორი ემიგრანტი ცხოვრობდა მისი პირადობის მოწმობით. გახუნებული ფოტოსურათია პროფილში, ბეჭედი არა აქვს დასმული. სურათის შეცვლა იოლად მოხერხდება.

- არა, ჯობს, ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის, - უთხრა რავიკმა. - აქედან რომ წავალ, არავითარი კვალი არ დარჩება.

- დოკუმენტებით უფრო უვნებელი იქნები პოლიციისაგან. თუმცა, პოლიცია არ მოვა. სულაც არ აინტერესებს ოტელები, სადაც აპარტამენტებისათვის დღე-ღამეში ას ფრანკზე მეტს იხდიან. მე ვიცნობ ერთ ლტოლვილს, მთელი ხუთი წელია უსაბუთოდ ცხოვრობს ,,რიცში'' და მხოლოდ ერთმა ღამის პორტიემ იცის ეს ამბავი. მოიფიქრე, როგორ მოიქცევი, თუ ეს ტიპები მაინც დაგატყდებიან თავს?

- რა თქმა უნდა, ვიტყვი, რომ ჩემი პასპორტი არგენტინის საელჩოშია ვიზის მისაღებად. დავპირდები, ხვალ მოვიტან-მეთქი. ჩემოდანს დავტოვებ და - უყარონ კაკალი. ვფიქრობ, თავს დავიძვრენ. პირველად დირექცია იკითხავს და არა პოლიცია. ამის იმედი მაქვს. მაშინ კი ,,უელსის პრინცში'' ჩემს ყოფნას აზრი აღარ ექნება.

- არა უშავს, ყველაფერი მოგვარდება.

ცხრის ნახევრამდე ითამაშეს.

- ახლა წადი სავახშმოდ, - უთხრა მოროზოვმა. - ერთხანს კიდევ დავჯდები და მერე ,,შეჰერეზადაში'' დავბრუნდები.

- მოგვიანებით ოტელის რესტორანში ჩავალ.

- სისულელეა. ახლავე წადი და კარგად დანაყრდი. თუ შენი ჰააკე გამოჩნდება, მასთან ერთად დალევაც მოგიწევს. სმა კი მაძღარ კუჭზე სჯობს. უკვე მოიფიქრე, სად წაიყვან?

- კი.

- მხედველობაში მაქვს, თუ გართობასა და ჩაცეცხლებას მოინდომებს.

- მესმის. ბევრი ადგილი ვიცი, სადაც არავის არაფერი აინტერესებს.

- დროა, ივახშმო. ოღონდ ნურაფერს დალევ. რამე ნოყიერი და მსუქანი აიღე.

- კარგი, ბორის.

რავიკმა ისევ ,,ფუკეს'' მიაშურა. ყველაფერმა დაკარგა რეალობა, თითქოს რომელიღაც ფანტასტიკური წიგნი წაეკითხოს ან მელოდრამატული ფილმი ენახოს. ან, იქნებ, ყოველივე ეს მხოლოდ ესიზმრება? ისევ შემოიარა მთელი რესტორანი. აივნები გაჩირაღდნებული და ხალხით სავსე იყო. ყოველი მაგიდა შეამოწმა. ჰააკე არსად ჩანდა.

რავიკმა კარის მახლობლად შეარჩია ერთი პატარა მაგიდა. აქედან შეეძლო, ერთდროულად ედევნებინა თვალი ქუჩისა და შესასვლელისათვის. მის გვერდით ორი მანდილოსანი ,,სკიაპარელისა'' და ,,მენბოშეს'' მაღაზიებზე საუბრობდნენ. იქვე მჯდარი ჩია, ხშირწვერიანი მამაკაცი დუმდა. მეორე მაგიდასთან რამდენიმე ფრანგი პოლიტიკაზე ლაპარაკობდა. ერთი ერთ პარტიას ემხრობოდა, მეორე - მეორეს. დანარჩენები მათ დასცინოდნენ. დროდადრო ყველანი იქით გაიხედავდნენ ხოლმე, სადაც ორი თავდაჯერებული ამერიკელი ქალი იჯდა და ვერმუტს სვამდა.

რავიკი თვალს არ აცილებდა ქუჩას. იმდენად სულელი არ იყო, რომ შემთხვევის იმედი არ ჰქონოდა. შემთხვევები არ ხდება მხოლოდ კარგ ლიტერატურაში, ცხოვრებაში კი ყოველ ნაბიჯზეა მოსალოდნელი და თანაც - სულელურზე სულელური. ნახევარი საათი კიდევ იჯდა. ეს ახლა უფრო ადვილად შეძლო, ვიდრე

ნასადილევს. ბოლოს გამოვიდა, ისევ შეავლო თვალი ტერასას ელისეს ველებიდან და მერე ოტელში დაბრუნდა.

- აი, შენი მანქანის გასაღები, - უთხრა მოროზოვმა. - სხვა აგიყვანე. ახლა ლურჯი „ტალბო“ გყავს, ტყავგადაკრული სავარძლებით. იმ მანქანის სავარძლებზე ქსოვილი იყო გადაკრული. ტყავის გარეცხვა უფრო ადვილია. ეს კაბრიოლეტია. გინდა ასწევ სახურავს, გინდა დასწევ და ისე იმგზავრებ. მაგრამ ფანჯრები მუდამ ღია გქონდეს, ისე ისროლე, ტყვია ფანჯარაში გავარდეს და არავითარი კვალი არ დატოვოს. მანქანა ორი კვირით ვიქირავე. არავითარ შემთხვევაში არ წაიყვანო მაშინვე გარაჟში. ჯერ რომელიმე მოსახვევში დააყენე, მანქანებით გაჭედილ ჩიხში. ახლა ბერის ქუჩაზე დგას, ოტელ „ლანკასტერის“ პირდაპირ.

- კარგი, - უთხრა რავიკმა და გასაღები ტელეფონთან დადო.

- აი, მანქანის დოკუმენტები. მართვის უფლების აღება ვერ მოვახერხე. არ მინდოდა, ძალიან ბევრი ხალხი გამერია.

- მართვის უფლება მჭირდება. ანტიბში უამისოდაც იოლად გავდიოდი.

რავიკმა დოკუმენტებიც მანქანის გასაღებთან დადო.

- ღამით სხვა ადგილას გადაიყვანე, - უთხრა მოროზოვმა.

მელოდრამა, გაიფიქრა რავიკმა. იაფფასიანი მელოდრამა.

- გმადლობ, ბორის, გმადლობ ყველაფრისათვის.

- სამწუხაროდ, გამოყოლა არ შემიძლია.

- ეგ არ მაწუხებს. ასეთი რამეები ერთმა უნდა გააკეთოს.

- სწორია. ოღონდ უაზროდ არ გარისკო და გულდაჯერებულად იმოქმედე. გაუსწორდი და მორჩი.

რავიკმა გაიღიმა.

- ამას უკვე მეასეჯერ მეუბნები.

- რამდენჯერაც უნდა თქვა, მაინც ცოტაა. ღმერთმა უწყის, რა სისულელე არ მოუვა თავში ადამიანს ყველაზე გადამწყვეტ მომენტში. ასე მოუვიდა ერთ ჩემს ნაცნობს მოსკოვში, ცხრაას თხუთმეტში. უეცრად რაღაც პატიოსნების გრძნობა დაეუფლა. როგორც მონადირეებს მოუვლით ხოლმე: უცებ ხელი რომ არ ემორჩილებათ და ჩიტს ვერ ესვრიან. ამბობდა, არ შეიძლება ადამიანის გულგრილად მოკვლაო და ამნაირი რამეები. ჰოდა, ერთმა არამზადამ მიახვრიტა. სიგარეტები გეყოფა?

- მთელი ასი ცალი მაქვს მარაგად. თანაც, აქ ტელეფონით შეიძლება შეუკვეთო, რაც მოგინდება.

- თუ ეს მოხდება მაშინ, როცა სამსახურიდან თავისუფალი ვიქნები, შემომიარე ოტელში და გამაღვიძე.

- ყველა შემთხვევაში შემოგივლი, ახალი ამბებითაც თუ უიმათოდაც.

- კარგი. მშვიდობით, რავიკ.

- მშვიდობით, ბორის.

ბორისი წავიდა, რავიკმა კარი მიხურა. უცბად ოთახში სრული სიწყნარე ჩამოვარდა. დივნის კუთხეში ჩამოჯდა და ლურჯი აბრეშუმის არშიაშემოვლებული შპალერის თვალიერებას შეუდგა. ორ დღეში ეს შპალერი უკეთ შეისწავლა, ვიდრე იმ ოთახების შპალერები, წლობით რომ უცხოვრია. შეისწავლა სარკეც, იატაკზე გაფენილი რუხი ველურის ხალიჩაც, მუქი ლაქა რომ ჰქონდა ფანჯარასთან, მაგიდის ყოველი ხაზი, საწოლები, სავარძლების შალითები - ყოველივე ეს ისე ნაცნობი იყო, უკვე გული ელეოდა... მხოლოდ ტელეფონი რჩებოდა უწინდებურად იდუმალი და შეუცნობელი.

## თავი ოცდამეცხრე

,,ტალბო'' ბასანოს ქუჩაზე იდგა, ,,რენოსა'' და ,,მერსედესს'' შორის. ,,მერსედესი'' სულ ახალი იყო და იტალიური ნომერი ჰქონდა. რავიკმა თავისი ,,ტალბო'' მანქანების რიგიდან გამოიყვანა. გაუფრთხილებლობით ,,მერსედესს'' გაეხახუნა და მარცხენა ფრთა გაუკაწრა. ამისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია, ისე გააქროლა ოსმანის ბულვარისაკენ.

მანქანა დიდი სიჩქარით მიდიოდა. რავიკს სიამოვნებდა, ასე ადვილად რომ იმორჩილებდა, და ეს უმსუბუქებდა მძიმე განცდას, ტყვიასავით რომ ჩასწოლოდა მკერდში.

დილის ოთხი საათი იქნებოდა. ჯობდა, ჯერ დაეცადა. უეცრად ყველაფერი საშინლად უაზრო ეჩვენა. ჰააკეს, ალბათ, დიდი ხანია, დაავიწყდა მათი წამიერი შეხვედრა. შეიძლება, საერთოდ, არც ჩამოსულა პარიზში. ახლა გერმანიაშიც ყელამდეა საქმე.

მოროზოვი ,,შეჰერეზადას'' შესასვლელში იდგა. რავიკმა მანქანა უახლოეს კუთხეში დატოვა და უკან დაბრუნდა. მოროზოვმა შორიდანვე შენიშნა.

- გადმოგცეს, რომ დაგირეკე?

- არა. რა მოხდა?

- ხუთი წუთის წინ დაგირეკე. ჩვენს სტუმრებს შორის რამდენიმე გერმანელია. ერთი ჰგავს...

- სად არიან?

- ორკესტრის მახლობლად. ერთადერთი მაგიდაა, რომელსაც ოთხნი უსხედან. დარბაზში რომ შეხვალ, მაშინვე დაინახავ.

- კარგი.

- პატარა მაგიდა დაიკავე შესასვლელთან. უკვე ვთხოვე, შემოენახათ.

- კარგი, კარგი, ბორის.

რავიკი კარებში გაჩერდა. დარბაზში ბნელოდა. პროჟექტორის შუქი, რომელიც ვერცხლისფერკაბიან მომღერალს ანათებდა, მოცეკვავეთა წრეს ეცემოდა. შუქის ვიწრო კონუსი ისე კაშკაშებდა, რომ იმის იქით არაფერი ჩანდა. რავიკი ორკესტრის მხარეს იყურებოდა, მაგრამ მაგიდა ვერ დაინახა - პროჟექტორის თეთრი, მოლიცლიცე შუქი თითქოს ფარავდა მას.

კართან მდგარ მაგიდას მიუჯდა. ორკესტრმა პირდაპირ გული შეუღონა. ნელა, ნელა, ტაატით, ლოკოკინასავით მოცოცავდა მელოდიის მოტკბო ნისლი... I'attendrai... I'attendrai...[22]

მომღერალმა ქალმა მადლობა გადაიხადა. ტაში დაუკრეს. რავიკი წინ გადაიხარა: ახლა გამორთავენ პროჟექტორს. მომღერალი ქალი ორკესტრისაკენ მიბრუნდა. ბოშამ თავი დაუქნია და ვიოლინო ნიკაპზე მიიბჯინა. ციმბალებმა რამდენიმე ყრუ პასაჟი შეისროლეს მაღლა. ისევ სიმღერა: „კაპელა მთვარის შუქზე". რავიკმა თვალები დახუჭა. ლოდინი თითქმის აუტანელი გახდა.

იჯდა და დაძაბული ელოდა. მომღერალი ქალი გაჩუმდა. პროჟექტორი ჩაქრა. მინის მაგიდების ქვეშ შუქმა იფეთქა. პირველ წამს რავიკმა ვერაფერი გაარჩია, რაღაც ბუნდოვან მოხაზულობათა გარდა, - პროჟექტორის შუქმა დააბრმავა. თვალები დახუჭა, ისევ გაახილა და მაშინვე შენიშნა ორკესტრის გვერდით პატარა მაგიდა.

რავიკი ნელა გადაიწია უკან. იმ გერმანელთა შორის, მოროზოვმა რომ უთხრა, ჰააკე არ იყო. რავიკი დიდხანს იჯდა გაუნძრევლად. ანაზდად საშინელი დაღლილობა დაეუფლა. თვალებშიც კი გრძნობდა ამ დაქანცულობას. გარშემო ყველაფერი ირწეოდა, რაღაც უთანაბრო ტალღებად დახვეული. მუსიკა, ადამიანთა ხმები, ხან რომ აგუგუნდებოდნენ, ხან კი ისევ მიყუჩდებოდნენ. სასტუმროს ოთახში დასადგურებული დუმილისა და ახალი იმედგაცრუების შემდეგ „შეჰერეზადას" ყრუ ხმაური თითქოს ათაყვანებდა. სიზმართა კალეიდოსკოპი, ნაზი ჰიპნოზი, აზრით გაწამებული, მოლოდინისაგან დაუძლურებული ტვინის უჯრედებს ეფინებოდა.

მკრთალი შუქის ლაქაში ნელა მოტრიალე წყვილებს შორის რავიკმა, შემთხვევით, ჟოანი შენიშნა. თავით თითქმის ეხებოდა მამაკაცის მხარს. მოთენთილი სახე უკან გადაეწია. არაფერი შერხეულა რავიკის სულში. ვერავინ გახდება ისე უცხო, როგორც ის, ვინც გიყვარდაო, გაიფიქრა დაღლილმა რავიკმა. წყდება იდუმალი ძაფი, რომელიც შენი სიყვარულის საგანს შენს წარმოსახვასთან აკავშირებდა. შენსა და მას შორის ისევ რაღაც გაიელვებს, როგორც მიმქრალი, მოჩვენებითი ვარსკვლავები, მაგრამ ეს მკვდარი შუქია. იგი აღელვებს ადამიანს, მაგრამ არ აღანთებს - გრძნობათა უხილავი დენი უკვე გაწყვეტილია. რავიკმა თავი დივნის საზურგეს მიაყრდნო. ინტიმურობის უბადრუკი ნატამალი უზარმაზარი უფსკრულის თავზე. რამდენი წარმტაცი სახელწოდებაა მოგონილი ორი სქესის ბნელი ლტოლვის აღსანიშნავად! ვარსკვლავა ყვავილები ზღვის ზედაპირზე: მოწყვეტას ლამობ და მორევში იხრჩობი.

რავიკი გასწორდა. უნდა წავიდეს, ვიდრე ეს ძილი საბოლოოდ არ მოუღებს ბოლოს. კელნერს უხმო.

- რამდენი გერგებათ?

- არც ერთი სანტიმი, - მიუგო კელნერმა.

- ეს როგორ?

- ხომ არაფერი შეგიკვეთიათ!

- აჰ, მართლა.

რავიკმა კელნერს გასამრჯელო მისცა და წამოდგა.

- რაო, არ იყო? - ჰკითხა მოროზოვმა, გარეთ რომ გამოვიდა.

- არა, - მიუგო რავიკმა.

მოროზოვმა შეშფოთებით შეხედა.

- კმარა, - უთხრა რავიკმა. - ეს იდიოტური კატათაგვობანას თამაშია, ღმერთმა დასწყევლოს. უკვე მეხუთე დღეა ველოდები. ჰააკემ თქვა, პარიზში სულ სამი-ოთხი დღით ვრჩები ხოლმეო. მაშასადამე, უკვე წასულიც იქნება, თუ საერთოდ ჩამოვიდა.

- წადი, დაიძინე, - უთხრა მოროზოვმა. - ხვალ შუადღისას შემოგივლი.

- სად?

- ოტელ ,,უელსის პრინცში".

რავიკმა შეხედა.

- ჰო, მართალია, ათას სისულელეს ვჩმახავ. ან, იქნებ - არა. იქნებ, მე ვარ მართალი.

- ხვალ საღამომდე დაუცადე.

- კარგი და მერე ვნახავთ, როგორ იქნება საქმე. ღამე ნებისა, ბორის.

- ღამე ნებისა, რავიკ.

რავიკმა ,,ოზირისთან" ჩაიარა და მანქანა კუთხეში შეაჩერა. ,,ინტერნასიონალში" დაბრუნება არ უნდოდა. იქნებ, აქ წაიძინოს ერთი-ორი საათი. დღეს ორშაბათია - წყნარი დღეა იმ სახის გართობისათვის. შესასვლელთან შვეიცარი არ იდგა. ალბათ, უკვე ყველა წავიდა.

როლანდა უძრავად იდგა კარის შორიახლო და დარბაზს გაჰყურებდა. დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. პიანოლა გულის წამღებად ზრიალებდა.

- დღეს თქვენთან სიწყნარეა? - ჰკითხა რავიკმა როლანდას.

- ჰო. მხოლოდ ეს ერთი რეგვენი დარჩა, ჭირივით ამეკიდა, პირდაპირ თავი მომაბეზრა. მაიმუნივით ავხორცია, ზემოთ კი არაფრის გულისათვის არ უნდა ასვლა. არიან ასეთი ტიპები, შენც ხომ იცი! გერმანელია. ღვინის ფული გადაიხადა. ჩვენ კი, სულერთია, ახლა მალე დავკეტავთ.

რავიკმა გულგრილად შეხედა მაგიდას. დაგვიანებული სტუმარი მისგან ზურგშექცევით იჯდა, გვერდით ორი ქალი ეჯდა. როცა მამაკაცი ერთ-ერთისაკენ დაიხარა, რავიკმა პროფილში დაინახა - ეს ჰააკე იყო.

როლანდა რაღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ ახლა მისი ხმა საიდანღაც, გრიგალიდან ისმოდა. რავიკს არ ესმოდა, რას ელაპარაკებოდა. უკან წავიდა და კარში ჩადგა, საიდანაც მაგიდის კიდე ჩანდა, თვითონ კი შეუმჩნეველი რჩებოდა.

- გინდა კონიაკი? - როგორც იქნა, გამოაღწია როლანდას ხმამ ქარტეხილში.

პიანოლა ჭყიპინებდა. რავიკი ჯერ კიდევ ირწეოდა, თითქოს დანა ჩასცესო. ისე შეკრა მუშტები, რომ ფრჩხილები კანში ჩაესო. ოღონდ ჰააკემ არ დაინახოს, ოღონდ როლანდამ არ შენიშნოს, რომ ამ „რეგვენს“ იცნობს...

- არა, - მოესმა საკუთარი ხმა. - ისედაც საკმარისად დავლიე. გერმანელიაო, თქვი? იცი, ვინაა?

- წარმოდგენა არა მაქვს! - როლანდამ მხრები აიჩეჩა. - ყველანი ერთმანეთს ჰგვანან. ეს, მგონი, აქ ჯერ არ ყოფილა. იქნებ, ერთი სირჩა მაინც შესვა?

- არა. აქ ერთი წუთით შემოვიარე...

როლანდამ გამომცდელი მზერა მიაპყრო. რავიკმა ძლივს შეიკავა თავი.

- სიმართლე გითხრა, მინდოდა, დამეზუსტებინა, როდის იქნება შენი გამოსამშვიდობებელი საღამო, - უთხრა ქალს, - ხუთშაბათს თუ პარასკევს?

- ხუთშაბათს, რავიკ. დამპირდი, მოვალო, გახსოვს?

- აუცილებლად მოვალ. უბრალოდ, დღე დამავიწყდა.

- ხუთშაბათს, ექვს საათზე.

- კარგი, არ დავაგვიანებ. სულ ეს იყო, რაც მინდოდა. ახლა კი დროა წავიდე. ღამე ნებისა, როლანდა.

- ღამე ნებისა, რავიკ.

უეცრად თეთრი ღამე თითქოს ადუღდა. აღარსად იყო სახლები, მხოლოდ ფანჯრების ჯუნგლები გადაშლილიყო. ანაზდეულად მოეჩვენა: ისევ ომია... პატრული სახლების გასწვრივ დადის. მანქანა საფარშია. ნელა გუგუნებს მოტორი. უნდა გაჰყვეს მოწინააღმდეგის კვალს.

მიახვრიტოს, როგორც კი გამოვა? რავიკმა ქუჩას თვალი შეავლო. სულ რამდენიმე მანქანაა. ყვითელი შუქები. კატები. შორს, ფარნის ქვეშ, ვიღაც კაცი დგას, თითქოს პოლიციელია... მანქანის ნომერი, სროლის ხმა. როლანდა სულ ახლახან ელაპარაკებოდა... რა თქვა მოროზოვმა? „არავითარ რისკზე არ წახვიდე! ჩიტი ბდღვნად არ ღირსო“.

შვეიცარი არ არის. არც ტაქსი ჩანს სადმე. ეს კარგია! არც მემწვანილეთა საზიდრები ჩანან - დღეს ორშაბათია...

უცებ შესასვლელთან „სიტროენი“ მოსრიალდა და გაჩერდა. მძღოლმა სიგარეტი მოსწია და ხმამაღლა დაამთქნარა. რავიკმა იგრძნო, როგორ შეაჟრჟოლა ტანში, მაგრამ ლოდინი განაგრძო.

იქნებ, სჯობდეს მანქანიდან გადმოვიდეს? მძღოლთან მივა და ეტყვის, რომ ,,ოზირისი'' უკვე ცარიელია. არა, ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ან მისცეს ფული, რამე დაავალოს, სადმე გაგზავნოს? მაგალითად, მოროზოვთან? რავიკმა ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია, რამდენიმე სიტყვა დაწერა, მერე ბარათი დახია და მეორე დაწერა. მოროზოვს სწერდა, ნუ დამელოდები ,,შეჰერეზადაშიო''. ის გვარი მოაწერა, რაც პირველად მოუვიდა თავში...

მოულოდნელად ტაქსი ადგილიდან დაიძრა. რავიკმა მანქანის ფანჯრიდან გაიხედა და ვერაფერი დაინახა. ნუთუ ჰააკე ტაქსიში ჩაჯდა, ვიდრე თვითონ ბარათს წერდა? სწრაფად ჩართო გაზი. მანქანა წინ გაიჭრა და ტაქსის წამოეწია. უკანა მინაში არავინ ჩანდა. მაგრამ, იქნებ, ჰააკე კუთხეში ზის? ბოლოს ორივე მანქანა გათანასწორდა. კაბინაში ბნელოდა, არაფერი ჩანდა. რავიკი ჩამორჩა, ისევ მოუმატა გაზს და სულ ახლოს მიიჭრა ტაქსისთან. მძღოლმა თავი მოაბრუნა და დაუღრიალა: - ჰეი, შენ, იდიოტო! მიმსრისო გინდა?

- შენს მანქანაში ჩემი მეგობარი ზის.

- გალეშილო სიფათო! ვერ ხედავ, რომ მანქანა ცარიელია?!

იმავე წამს რავიკმა შენიშნა, რომ ტაქსის აღმრიცხველი ჩართული არ იყო. ადგილზევე მობრუნდა და უკან გააქროლა.

ჰააკე ტროტუარის კიდეზე იდგა და ხელს უქნევდა.

- ჰეი, ტექსი?

რავიკმა მანქანა ჰააკეს წინ დაამუხრუჭა.

- ტაქსია? - ჰკითხა ჰააკემ.

- არა, - რავიკმა ფანჯარაში თავი გამოყო. - ჰალო! - მიმართა.

ჰააკე თვალმოჭუტული შესცქეროდა სახეში.

- რა გნებავთ?

- მგონი, ნაცნობები ვართ! - უთხრა რავიკმა გერმანულად.

ჰააკე დაიხარა და სახიდან სიფრთხილის გამომეტყველება გაუქრა:

- ღმერთო ჩემო... ჰერ ფონ... ფონ...

- ჰორნი.

- მართალია! სავსებით სწორია! ჰერ ფონ ჰორნი! ჰო, რა თქმა უნდა! აი, შეხვედრაც ამას ჰქვია! ჩემო ძვირფასო, სად დამეკარგეთ?

- სულ პარიზში ვიყავი. დაბრძანდით. არ ვიცოდი, რომ ისევ ჩამოხვედით.

- რამდენჯერმე დაგირეკეთ. სხვა ოტელში გადახვედით?

- არა. უწინდებურად ,,უელსის პრინცში'' ვცხოვრობ. - რავიკმა კარი გაუღო. - დაბრძანდით, მიგიყვანთ. ახლა ტაქსის პოვნა არც ისე იოლია.

ჰააკემ ფეხი საფეხურზე შედგა. რავიკმა გაიგონა მისი სუნთქვა და წითელი, გახურებული სახე დაინახა.

- „უელსის პრინცი“! - შესძახა ჰააკემ. - ეშმაკმა დალახვროს! აი, რა ყოფილა. „უელსის პრინცი“! მე კი სულ „გეორგ მეხუთეში“ ვრეკავდი! - ხმამაღლა გადაიხარხარა. - იქ არავინ გიცნობთ. ახლა ყველაფერი გარკვეულია. „უელსის პრინცი“, რა თქმა უნდა! სულ ამერია. ძველი უბის წიგნაკი არ წამომიღია. მეხსიერებას ვენდე.

რავიკი „ოზირისის“ შემოსასვლელს ზვერავდა. იქიდან ერთხანს არავინ გამოვა. ქალიშვილებმა უნდა გადაიცვან. და მაინც ჯობს, რაც შეიძლება მალე შეიტყუოს ჰააკე მანქანაში.

- იქ შეხედვას ხომ არ აპირებდით? - ჰკითხა მეგობრულად ჰააკემ.

- გამოგიტყდებით, - ვფიქრობდი... მაგრამ უკვე გვიანაა...

ჰააკემ ამოიხვნეშა.

- ჩემო ძვირფასო, იქიდან უკანასკნელი გამოვედი. უკვე კეტავენ.

- არა უშავს. ისედაც მოსაწყენია. სხვაგან წავიდეთ! დაბრძანდით.

- კიდევ მივასწრებთ სადმე?

- რა თქმა უნდა. მცოდნე იპოვის ისეთ ადგილებს, სადაც ყველაფერი ახლა იწყება. ისეთი სახლები კი, როგორიც „ოზირისია“, მხოლოდ ტურისტებისთვის არის.

- ნუთუ? მე კი ვფიქრობდი... არა, აქ მაინც სავსებით წესიერი ადგილია...

- რას ბრძანებთ! ბევრად უკეთესი დაწესებულებებიც ვიცი. „ოზირისი“ ყველაზე ჩვეულებრივი საროსკიპოა.

რავიკმა რამდენიმეჯერ დააჭირა ფეხი პედალს. მოტორი ხან ღრიალს მორთავდა, ხანაც მიწყნარდებოდა. სწორად ივარაუდა - ჰააკე მოუხეშავად მიუჯდა გვერდით.

- ძალიან მოხარული ვარ, რომ ისევ შეგხვდით, ძალიან მოხარული, - უთხრა რავიკს.

რავიკმა კარი მოაჯახუნა.

- მეც.

- რაც უნდა თქვათ, „ოზირისი“ არც ისე ურიგოა! შიშველი ქალიშვილებითაა სავსე! ან როგორ იძლევა პოლიცია ამის ნებას! ალბათ, მათი უმრავლესობა ავადმყოფია, არა?

- შეიძლება. ასეთ დაწესებულებებში, ცხადია, თავს ვერასოდეს იგრძნობ არხეინად.

რავიკმა სიჩქარე ჩართო და მანქანა დაიძრა.

- არსებობს კი ისეთი დაწესებულება, სადაც უშიშრობის სრული გარანტია იქნება? - ჰააკემ სიგარას კბილებით ბოლო მოაკვნიტა. - არც ისე სასიამოვნო იქნება შინ სუსუნატის მიტანა... თუმცა, მეორე მხრივ... ადამიანი ერთხელ ცხოვრობს ამქვეყნად...

- დიახ, - მიუგო რავიკმა და ჰააკეს ელექტროსანთებელი მიაწოდა.

- საით მივდივართ?

- გნებავთ, ჯერ „პაემანთა სახლში“ მივიდეთ?

- ეს რაღაა?

- სახლი, სადაც მაღალი საზოგადოების მანდილოსნები მოულოდნელ შეხვედრებს ელოდებიან.

- შეუძლებელია! ნამდვილად მაღალი საზოგადოების მანდილოსნები?

- სწორედ ასეა. ქალები, რომელთაც მოხუცი ქმრები ჰყავთ; ქალები, რომელთაც მოსაწყენი ქმრები შეხვდათ; ქალები, რომელთა ქმრებს ძალიან ცოტა შემოსავალი აქვთ.

- მომიტევეთ... ასე უბრალოდ ხომ ვერ... როგორ ხდება ეს ყველაფერი?

- ქალები იქ რამდენიმე საათით მოდიან. კოქტეილზე ან ფინჯან ჩაიზე. ზოგს ტელეფონით იძახებენ. ცხადია, ეს ისეთი ვულგარული დაწესებულება არ არის, როგორიც მონმარტრზეა. ერთი გადასარევი სახლიც ვიცი, პირდაპირ ბულონის ტყეში. დიასახლისს ისეთი მანერები აქვს, თვით ჰერცოგის ქალები ვერ გაუწევენ მეტოქეობას. ყველაფერი უაღრესად წესიერად და ელეგანტურად ხდება. ყველაფერში სრული ტაქტია დაცული.

რავიკი თანაბრად სუნთქავდა, წყნარად და მშვიდად ლაპარაკობდა. თავის თავს რომ გარეშე კაცის ყურით უსმენდა, ღამის პარიზის გამოცდილ გიდს ამსგავსებდა. თავს ძალას ატანდა, ელაპარაკა, რომ დამშვიდებულიყო. მთელი სხეული უკანკალებდა. საჭეს ორივე ხელით ჩაჰფრენოდა და ცდილობდა, კანკალი არ შემჩნეოდა.

- სახლის მორთულობაც კი გაგაოცებთ. მთელი ავეჯი ნატიფი სტილისაა, ყველგან ძველებური ხალიჩები და გობელენებია. საუკეთესო ღვინოები. ისეთი მომსახურება, უკეთესს ვერ ინატრებთ. რაც შეეხება ქალებს, აქ უკვე, რა თქმა უნდა, არაფერს რისკავთ.

ჰააკემ კვამლი ბოლქვად გამოუშვა და რავიკს მიუბრუნდა.

- თქვენი წინადადება უაღრესად მომხიბლავია, ძვირფასო ფონ ჰორნ, მაგრამ ერთი რამ მაწუხებს: ყველაფერი ეს, ალბათ, აურაცხელი ფული ჯდება.

- პირიქით, თითქმის არაფერი.

ჰააკემ დარცხვენით ჩაიხითხითა.

- გააჩნია, რას ვეძახით „არაფერს“! ჩვენ, გერმანელებს, ვალუტის იმ უბადრუკი ნამცეცებით, რომელთა გატანასაც ვახერხებთ...

რავიკმა თავი გადააქნია.

- ძალიან კარგად ვიცნობ დიასახლისს. ცოტა დავალებულია ჩემგან და ისე მიგვიღებს, როგორც საპატიო სტუმრებს. თუ ჩემს მეგობრად გააცნობთ თავს, საერთოდ არაფერს

გამოგართმევენ. ლაქიას მისცემთ გასამრჯელოს, ეს არის და ეს... ყველაფერი უფრო იაფი დაგვიჯდება, ვიდრე ბოთლი ღვინო „ოზირისში“.

- სერიოზულად?

- თვითონვე ნახავთ.

ჰააკე უფრო მოხერხებულად მოეწყო.

- ეშმაკმა დალახვროს! აი, ეს მესმის.

სახე ფართო ღიმილმა გაუბადრა.

- თქვენ, როგორც ვატყობ, აქ ყველა კუთხე-კუნჭული და ასავალ-დასავალი გცოდნიათ, - თქვა და რავიკს მიუბრუნდა. - ის ქალი ძალიან დავალებულია თქვენგან?

რავიკმა პირდაპირ თვალებში შეხედა.

- ვისაც ასეთი სახლები აქვს, უსიამოვნებაც შეხვდება ხოლმე ხელისუფლების მესვეურებთან - ისე, შანტაჟის მსუბუქი ცდებია. გამიგეთ?

- ოღონდაც! - ჰააკე წუთით ჩაფიქრდა. - აქ დიდი გავლენით სარგებლობთ?

- არც ისე. უბრალოდ, მეგობრები მყავს გავლენიან წრეებში.

- ეს უკვე ბევრს ნიშნავს! თქვენი ნაცნობობა ძლიერ გამოგვადგებოდა. ამაზე როგორმე მოვილაპარაკებთ, არა?

- სიამოვნებით. კიდევ რამდენ ხანს დარჩებით პარიზში?

ჰააკემ გაიცინა.

- რაღაც ეშმაკად, ყოველთვის იმ დროს გხვდებით ხოლმე, როცა მივემგზავრები. მატარებელი დილის რვის ნახევარზე გადის. - პანელში ჩასმულ საათს დახედა. - ორ-ნახევარი საათის შემდეგ ჩრდილოეთის სადგურზე უნდა ვიყო. მოვასწრებთ?

- უეჭველად. ოტელში უნდა შეიაროთ?

- არა. ჩემი ბარგი უკვე სადგურზეა. ნომრის ფული ნასადილევს გადავიხადე. თორემ, ხომ იცით, ჩემი სავალუტო მარაგით... - ისევ გაიცინა.

რავიკმა უეცრად შენიშნა, რომ თვითონაც იცინოდა. კიდევ უფრო მაგრად მოუჭირა საჭეს ხელები. ვერ დამიჯერებია, ფიქრობდა, პირდაპირ ვერ დამიჯერებია! რაიმე აუცილებლად შემემთხვევა, რაიმე აუცილებლად შემიშლის ხელს... ამდენი ბედნიერი შემთხვევითობა - არა, ეს, უბრალოდ, შეუძლებელია.

სუფთა ჰაერმა ჰააკე მოთენთა. სიმთვრალემ გაუარა. უფრო ნელა და რაღაც მძიმედ დაიწყო ლაპარაკი. მოხერხებულად მოეწყო კუთხეში და ჩაყვინთა. ქვედა ყბა ჩამოუვარდა, თვალები დახუჭა. მანქანა ბულონის ტყის წყვდიადში ჩაიძირა.

ფარების შუქი მუნჯი ლანდებივით მიქროდა მანქანის წინ და სიბნელეში მიწიდან გლეჯდა ხეების ფანტასტიკურ გამოსახულებებს. ღია ფანჯრიდან აკაციის სურნელება შემოიჭრა. სალტეების რბილი, განუწყვეტელი, თითქოს დაუსრულებელი

შრიალი ისმოდა ასფალტზე. ხმადაბლა, წყნარად და თანაბრად გუგუნებდა ძრავა ღამის ნესტიან ჰაერში. გაიელვა პატარა გუბურამ, გაიციაგეს ტირიფების სილუეტებმა წიფლნარის ფონზე. კორდები მკრთალ სადაფისფერ ცვარს დაეღარა. რომელიღაც სახლი სიბნელეში ჩაძირულიყო. წყლის სუნი. თივა...

რავიკი სენის ბულვარს მიუყვებოდა. მთვარით განათებულ მდინარეზე ნელა მიიზლაზნებოდა მეთევზეთა ორი კარაპი. ერთზე, უფრო მოშორებით რომ მიდიოდა, ძაღლი ყეფდა. პირველი კარაპის ცხვირზე ფარანი ენთო. რავიკი შეუჩერებლად მიდიოდა. სენის ნაპირს მისდევდა, სიჩქარეს არ ცვლიდა, რომ ჰააკეს ბიძგისაგან არ გაღვიძებოდა. გაჩერება უნდოდა, მაგრამ არ შეიძლებოდა - კარაპები ძლიერ ახლო იყო ნაპირთან. გზატკეცილზე გამოვიდა და უკან წავიდა, რომ მდინარეს დაშორებოდა. შემდეგ განზე შეუხვია ერთ ვიწრო ხეივანში.

ჰააკეს რომ შეხედა, დაინახა, რომ თვალები გახელილი ჰქონდა და მას მიშტერებოდა. საკონტროლო ხელსაწყოების სუსტ შუქზე თვალები ისე უციმციმებდა, თითქოს მინის ბურთულებიაო. რავიკზე ამან ისე იმოქმედა, თითქოს დენმა დაჰკრაო.

- გაიღვიძეთ? - ჰკითხა.

ჰააკემ არ უპასუხა, ისევ ისე შესცქეროდა სახეში. სრულიად უძრავად იჯდა, თვალსაც არ ახამხამებდა.

- სადა ვართ? - იკითხა ბოლოს.

- ბულონის ტყეში. რესტორან „კასკადის“ ახლოს.

- რამდენი ხანია მოვდივართ?

- ათიოდე წუთი.

- არა, მეტია.

- არა მგონია.

- ვიდრე ჩავყვინთავდი, საათს დავხედე. ნახევარი საათი იქნება, რაც მივდივართ.

- ნუთუ მართლა? - ჰკითხა რავიკმა. - მე კი ნაკლები მეგონა. მალე მივალთ.

ჰააკე თვალს არ აცილებდა.

- მაინც სად?

- „პაემანთა სახლში“.

ჰააკე შეიშმუშნა.

- დაბრუნდით, - უთხრა.

- უკან?

- დიახ.

უკვე სრულიად გამოფხიზლდა. სახე გამოეცვალა. უწინდელი გულკეთილობისა და მხიარულობის კვალიც არ დარჩენოდა. ახლა რავიკმა ისევ დაინახა ის ჰააკე, რომელსაც კარგად იცნობდა და სამუდამოდ დაიმახსოვრა გესტაპოს ჯურღმულებში. რავიკი სწრაფად გამოფხიზლდა, წამსვე გაუარა დაბნეულობამ, მთელი ამ ხნის განმავლობაში რომ ბოჭავდა. უკანასკნელ წუთამდე ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს უნდა მოეკლა ვიღაც კაცი, რომელსაც მასთან არაფერი ჰქონდა საერთო. მანქანაში ჩაუჯდა გულკეთილი ყბედი, სმის მოყვარული. შესცქეროდა და ამაოდ ეძებდა მიზეზს, რისთვის უნდა მოეკლა ეს კაცი - მიზეზს, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, მის საკუთარ წარმოსახვაში არსებობდა. და უეცრად იგივე თვალები, მორიგი გულის წასვლის შემდეგ ძლივს გონს მოსულს და ტკივილისაგან დაკრუნჩხულს რომ შესცქეროდა. იგივე ცივი თვალები, იგივე ცივი, წყნარი, ჯიუტი ხმა...

წამიერად რაღაც გადაუტრიალდა გულში, თითქოს ელექტრულმა დენმა მიმართულება იცვალაო. დაძაბული უწინდებურად დარჩა, მაგრამ ერთიმეორის საპირისპირო განცდები ახლა ერთიან ნაკადად შეერთდა და წამოვიდა ერთი მიზნისაკენ. ამ მიზანმა შთანთქა ყველაფერი დანარჩენი. უკანასკნელი წლების ბარიერი გაქრა. თვალწინ ისევ გუშინდელივით დაუდგა რუხკედლებიანი ოთახი, უაბაჟურო ნათურები, სისხლის სუნი, მოქნილი ღვედების, ოფლის, შიშისა და წამების სუნი...

- რატომ? - ჰკითხა რავიკმა.

- უნდა დავბრუნდე. ოტელში მელიან.

- მაგრამ თვითონ არა თქვით, ბარგი სადგურზეაო?

- დიახ, ვთქვი. მაგრამ სხვა საქმეებიც მაქვს. სულ დამავიწყდა. დაბრუნდით უკან!

- რა გაეწყობა, დავბრუნდები.

გასულ კვირას რავიკმა ბულონის ტყის ოთხივე კუთხე მოიარა. მანქანით იმოგზაურა დღითა და ღამით, და ახლა ზუსტად იცოდა, სად იმყოფებოდა. კიდევ რამდენიმე წუთი. მარცხნივ, ვიწრო ხეივანში შეუხვია.

- უკან მივდივართ?

- დიახ.

ხშირი ფოთლების სუნი იდგა იქ, სადაც დღისითაც კი ვერ აღწევს მზის სხივი. სრული წყვდიადია. ფარების შუქი კაშკაშებს. რავიკმა პატარა სარკეში დაინახა, როგორ ნელა ჩამოცურდა ჰააკეს ხელი სახელურიდან და ფრთხილად წავიდა ჯიბისაკენ. მადლობა ღმერთს, რომ ამ „ტაბლოზე“ საჭე მარჯვნივ არის დადგმულიო! - გაიფიქრა. შემდეგ მეორე ხეივანში შეუხვია, მარჯვენა ხელი საჭეს მოაშორა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს მოსახვევში მანქანამ შეარყიაო, სრული გაზი მისცა და პირდაპირ წავიდა. რამდენიმე სეკუნდის შემდეგ მთელი ძალით დააჭირა ფეხი პედალს.

მუხრუჭებმა დაიჭრიალა და „ტაბლო“ სვეტივით დაერჭო. რავიკი ცალი ფეხით გაზის პედალს დაეყრდნო, მეორე წინ მიაბჯინა და ასე დაიცვა წონასწორობა. ჰააკე ასეთ ოინს არ მოელოდა, პირდაპირ თავით გადაეშვა წინ. ჯიბიდან ხელის ამოღება ვერ

მოასწრო, ისე დაეჯახა მოწყობილობებით მოჭედილ პანელს. იმავე წამს რავიკმა მარჯვენა ჯიბიდან მძიმე ქანჩის გასაღები ამოიღო და ჰააკეს თავში დაჰკრა, ოდნავ კეფის ქვემოთ.

ჰააკე ვეღარ გასწორდა, გვერდზე გადაღრეცილი ნელა ჩაცურდა სავარძლიდან, ვიდრე მისი მარჯვენა მხარი პანელს არ მიებჯინა.

რავიკმა მაშინვე ჩართო გაზი და გზა განაგრძო, ხეივანი გადაიქროლა, ქვეფარები ჩართო. ნეტავ, ვინმემ თუ გაიგონა მუხრუჭების ღრჭიალი? ხომ არ აჯობებს, ჰააკე მანქანიდან გადააგდოს და ბუჩქებში დამალოს, თუ ვინმე გამოჩნდება? ბოლოს გზაჯვარედინზე შეჩერდა, ძრავა გააჩერა, შუქი გამორთო, მანქანიდან გადმოხტა, კაპოტი ასწია და კარი იმ მხრიდან გააღო, საითაც ჰააკე იჯდა. აქედან კარგად ჩანდა და ისმოდა ყველაფერი, რაც გარშემო ხდებოდა. სავსებით თავისუფლად მოასწრებს ჰააკეს ბუჩქებში გადათრევას და ისეთი სახის მიღებას, თითქოს მოტორს დასტრიალებს.

დუმილი გამაყრუებლად ხმაურიანი ეჩვენებოდა. იგი წარმოუდგენლად სწრაფად მოვიდა და გარშემო ყველაფერი მისი გუგუნით აივსო. რავიკმა მუშტები მოკუმა. იცოდა, ეს სისხლი უშხუოდა ყურებში. ნელა და ღრმად სუნთქავდა.

გუგუნი თანდათან შრიალში გადავიდა. ანაზდად რაღაცამ დაიჭრიჭინა, იმატა და იმატა. რავიკმა ყური მიუგდო. ჭრიჭინი განუწყვეტლივ იზრდებოდა და ლითონის ხმად იქცა. ანაზდად რავიკმა მოისაზრა, რომ ეს ჭრიჭინობელები იყო. შრიალი მიწყდა. დარჩა მხოლოდ ჭრიჭინობელების ჭრიჭინი გამთენიის წინ, პატარა მდელოზე, იქვე, მახლობლად.

უკვე საკმაოდ ინათა. რავიკმა კაპოტი დახურა. უნდა იჩქაროს. უნდა იჩქაროს. უნდა მოასწროს ყველაფრის გაკეთება, ვიდრე სრულიად გათენდება. მიმოიხედა. შესაფერისი ადგილი ვერ შეარჩია. ბულონის ტყეში საერთოდ არ არის შესაფერისი ადგილები. ვერც სენაში გადააგდებ - უკვე თენდება. ვერ გაითვალისწინა, რომ ყველაფერი ასე დიდხანს გაჭიანურდებოდა. ანაზდად შეკრთა. რაღაც შრიალი გაისმა, ფხაჭნა და მერე კვნესა. მანქანის ღია კარში ჰააკემ ხელი გამოყო და საფეხურს ჩაეჭიდა. რავიკმა შენიშნა, რომ ქანჩის გასაღები ჯერ კიდევ ხელში ეჭირა. ჰააკეს საყელოში ხელი ჩაავლო, ნახევრად გამოათრია მანქანიდან და რკინა კეფაში დაჰკრა, კიდევ დაჰკრა. კვნესა შეწყდა.

რაღაც დავარდა. რავიკი გაშეშდა - რევოლვერი დაინახა, სავარძლიდან დაბლა ჩავარდნილიყო. ჩანს, ჰააკეს იარაღი ხელში სჭერია ჯერ კიდევ მანამ, სანამ მანქანას დაამუხრუჭებდა. რავიკმა რევოლვერი ისევ სავარძელზე ისროლა.

ხელახლა მიუგდო ყური. ჭრიჭინობელები პატარა მდელოზე, ცა ნათდება და სადღაც უკან იხევს. სადაც არის, მზე გამოჩნდება. რავიკმა კარი მთლიანად გააღო, ჰააკე მანქანიდან გადმოათრია, წინა სავარძელი გადასწია და სხეულის ძარაში ჩატენა სცადა. ეს არ მოხერხდა. სავარძლებს შორის შუალედი მეტისმეტად მცირე იყო. მანქანას შემოურბინა, საბარგული გააღო, სასწრაფოდ გადმოყარა იქიდან დომკრატი და ბარი. შემდეგ ისევ გადმოათრია ჰააკე და საბარგულისაკენ წაიღო. ჰააკე ჯერაც ცოცხალი იყო. ძალიან მძიმე აღმოჩნდა. რავიკი ოფლში იწურებოდა. გაჭირვებით

შეტენა სხეული საბარგულში. ჰააკეს მუხლები ნიკაპს მიბჯენოდა და ამოდენა კაცი დედის საშოში მოთავსებულ ჩანასახსა ჰგავდა.

რავიკმა ბარი და დომკრატი აიღო და ძარაში ჩააწყო, რომელიღაც ხის ტოტებში ჩიტი აჭიკჭიკდა. რავიკი შეკრთა. თავის სიცოცხლეში ასე ხმამაღალი არაფერი სმენია. მდელოებს გახედა. უფრო ინათა.

რისკი არ უნდა გაეწია... რავიკი საბარგულთან მივიდა და სახურავი სანახევროდ ასწია. მერე მარცხენა ფეხი ბამპერზე შედგა და სახურავი მუხლით შეაკავა - ახლა სახურავი იმდენად იყო ღია, რომ შეიძლებოდა მის ქვეშ ხელის შეყოფა. თუნდაც ვინმემ შენიშნოს - არაფერია: ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს რაღაცას საქმიანობს. სახურავის დახურვა ყოველ წუთს შეიძლებოდა. წინ გრძელი გზა ედო. მაგრამ ჯერ საჭირო იყო ჰააკეს მოკვლა.

ჰააკეს თავი საბარგულის მარჯვენა კუთხისათვის მიებჯინა. რავიკი გარკვევით ხედავდა მას. მომჩვარულ კისერზე ჯერ კიდევ ფეთქავდა სისხლძარღვები. რავიკი ყელში სწვდა და მთელი ძალით წაუჭირა.

მოეჩვენა, რომ ეს მთელი მარადისობა გაგრძელდა. მაგრამ, აი, ჰააკეს თავი შეირხა, ოდნავ, სრულიად შეუმჩნევლად. სხეულმა გაშლა სცადა, თითქოს სამოსის ბორკილებიდან თავის დაღწევას ლამობსო. პირი დააღო. ისევ გაისმა ჩიტების ჭიკჭიკი. გადმოუვარდა ენა, სქელი, ყვითელი, ნაფიფქიანი. და უეცრად ჰააკემ ცალი თვალი გაახილა. თითქოს გუგიდან გადმოვარდნას ლამობსო... თითქოს თავს გამოეყო და პირდაპირ რავიკისაკენ წამოვიდაო... შემდეგ სხეული მოეშვა. ერთი წუთით რავიკი ისევ უჭერდა. მორჩა.

სახურავი დაიხურა. რავიკმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მუხლები უკანკალებდა და ხეს მიეყრდნო. გული ერეოდა, ეჩვენებოდა, შიგანი აღარ შემრჩებაო. ამაოდ ცდილობდა თავის შეკავებას.

რავიკმა აიხედა და დაინახა, რომ მდელოზე კაცი მოდიოდა. კაცმა შეხედა. რავიკი არ განძრეულა. კაცი მიუახლოვდა. ფართო ნაბიჯით, დინჯად მოდიოდა. ტანსაცმლის მიხედვით, მებაღე ან მუშა უნდა ყოფილიყო. ისევ შეხედა რავიკს. რავიკმა გადააფურთხა და სიგარეტების შეკვრა ამოიღო. მოსწია, ღრმად ჩაისუნთქა. მძაფრმა კვამლმა საყლაპავი დასწვა. კაცმა აუჩქარებლად გადაჭრა ხეივანი, იმ ადგილს შეხედა, სადაც რავიკმა აღებინა, შემდეგ მანქანას გახედა და ისევ რავიკს შეხედა. არაფერი უთქვამს, რავიკმა მის სახეზე ვერაფერი ამოიკითხა. მალე უცნობი გზაჯვარედინს მიეფარა...

რავიკმა კიდევ რამდენიმე წამს დაიცადა. შემდეგ საბარგული დაკეტა და ძრავა ჩართო. ბულონის ტყეში მეტი აღარაფერი ესაქმებოდა. მეტისმეტად ინათა. სენ-ჟერმენში უნდა წავიდეს. სენ-ჟერმენის ტყეებს კარგად იცნობს.

## თავი ოცდამეათე

ერთი საათის შემდეგ რავიკმა მანქანა ერთ პატარა ტრაქტირთან გააჩერა. ძალიან შიოდა, თავში რაღაც გუგუნებდა. სახლის წინ ორი პატარა მაგიდა და სკამები იდგა.

ყავა და ბრიოშები შეუკვეთა და პირის დასაბანად წავიდა. ჭიქა მოითხოვა და პირი გამოირეცხა. მერე ხელები დაიბანა და უკან დაბრუნდა.

საუზმე უკვე მოეტანათ. ყავას ჩვეულებრივი სუნი ჰქონდა. სახურავებზე მერცხლები დანავარდობდნენ, მზე თავის პირველ ოქროს გობელენებს ჰკიდებდა სახლების კედლებზე, ხალხი სამუშაოდ მიდიოდა. ბისტროს ფანჯრის ფარდებში ჩანდა, როგორ რეცხავდა მოსამსახურე გოგო იატაკის ქვის ფილებს. კაბის კალთა აეკეცა. რავიკს არასოდეს უნახავს ასე მშვიდობიანი ზაფხულის დილა.

ცხელი ყავა დალია, მაგრამ ჭამას ვერ ბედავდა. რაც უნდა აეღო ხელში, ყველაფერი ეზიზღებოდა. გულმოდგინედ გაისინჯა ხელები. რა სისულელეა! - გაიფიქრა, - ესღა მაკლდა! უნდა ვჭამო. კიდევ ერთი ფინჯანი ყავა დალია. შემდეგ სიგარეტი აიღო და პირში ფრთხილად ჩაიდო ის მხარე, რომელსაც ხელით არ შეხებია. ამას ბოლო უნდა მოვუღოო, გაიფიქრა. მაგრამ საჭმელს მაინც ვერ ეკარებოდა. ჯერ ყველაფერი ბოლომდე უნდა მიიყვანოს. ადგა და ფული გადაიხადა.

ძროხების ჯოგი. პეპლები. მზე მინდვრის თავზე. მზე ქარის მინაში. მზე მანქანის სახურავზე. მზე საბარგულის ლაპლაპა ზედაპირზე. იქ მკვდარი ჰააკე წევს. იმან ვერ გაიგო, ვინ და რატომ მოკლა. ყველაფერი სხვანაირად უნდა მომხდარიყო. სხვანაირად...

,, - მიცანი, ჰააკე? იცი, ვინა ვარ?

თვალწინ წითელ სახეს ხედავდა.

- ვერა, ვერ გიცანი... ვინ ხართ?.. განა ოდესმე შევხვედრივართ?

- დიახ, შევხვედრივართ.

- როდის? და შენობითაც მივმართავდით ერთიმეორეს?.. იქნებ, კადეტთა კორპუსში?.. რაღაც არ მაგონდება.

- აჰ, არ გაგონდება, ჰააკე? არა, კადეტთა კორპუსში არა. ბევრად გვიან შევხვდით ერთმანეთს.

- გვიან? მაგრამ თქვენ ხომ ყოველთვის უცხოეთში ცხოვრობდით, მე კი - გერმანიაში. მხოლოდ ბოლო ორი წელია, რაც ჩამოვდივარ აქ, პარიზში. სადმე ერთად ხომ არ დაგვილევია?

- არა, არ დაგვილევია. და აქ კი არ გაგვიცნია ერთმანეთი, ჰააკე! იქ, გერმანიაში!

შლაგბაუმი. რკინიგზის ლიანდაგები. პატარა ბაღი, სადაც იზრდება ვარდები და მზესუმზირები. გაჩერება. რომელიღაც მარტოხელა შავი მატარებელი ქშინავს დილით. მანქანის საქარე მინაში გასივებული თვალები არეკლილან. როცა საბარგული გააღო, მტვერი ჩაუცვივდა.

- გერმანიაში? ჰო, რა თქმა უნდა. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ერთ-ერთ ყრილობაზე. ნიურნბერგში. ახლა, მგონი, მაგონდება. ,,ნიურნბერგერ ჰოფის“ შენობაში.

- არა, ჰააკე, - წყნარად ეუბნება რავიკი და გრძნობს, როგორ ითრევს მოგონების მძიმე ტალღა. - ნიურნბერგში კი არა, ბერლინში.

- ბერლინში? - მოცახცახე სახეზე მოუთმენლობა გამოეხატა. - აბა, გადმოალაგეთ, რა მოხდა! ოღონდ, არ გინდათ ამდენი ბუნდოვანება, ნუ გააგრძელებთ ამ წამებას. რა გარემოებებში?

ისევ ტალღა, სადღაც მიწისქვეშეთიდან ამოხეთქილი და ხელებს აყოლებული.

- წამებაზე, ჰააკე! აი, სად! წამებაზე!

გაუბედავი, ფრთხილი სიცილი.

- ეს ურიგო ხუმრობაა, პატივცემულო.

- წამებაზე, ჰააკე, ახლა მიცანი?

კიდევ უფრო გაუბედავი, ფრთხილი, თითქმის მუქარის გამომხატველი სიცილი.

- ვერა, ვერ გიცანი. ათასობით ადამიანს შევხვედრივარ, ყველას ხომ ვერ დავიმახსოვრებ! ხოლო თუ საიდუმლო სახელმწიფო პოლიციას გულისხმობთ...

- დიახ, ჰააკე. გესტაპოზე ვლაპარაკობ.

მხრებს იჩეჩს. გაფრთხილდა.

- თუ იქ ოდესმე დაგკითხეს...

- დიახ. ახლა მოიგონე?

ისევ იჩეჩს მხრებს.

- ყველას ვერ გაიხსენებ. ათასობით ადამიანი დაგვიკითხავს...

- დაგიკითხავთ?! აწამებდით, ცემით სულს ხდიდით, თირკმლებს ბუდიდან უგდებდით, ძვლებს უმტვრევდით, სარდაფებში ყრიდით, როგორც ტომრებს, ხელახლა მოათრევდით დასაკითხავად, უსერავდით სახეებს, უჭეჭყავდით სათესლე პარკებს - და ყოველივე ამას თქვენ ეძახით „დაკითხვას“! ხრინწიანი, სასოწარკვეთილი კვნესა იმ ადამიანთა, რომელთაც უკვე აღარ შესწევდათ ყვირილის ღონე... „დაკითხვა“! უხმო ქვითინი გულის წასვლიდან გულის წასვლამდე, ჩექმიანი ფეხით წიხლები მუცელში, რეზინის კეტები, მათრახები... და ყოველივე ამას ეძახით „დაკითხვას“, ამ უწყინარ სიტყვას?!“

რავიკი საქარე მინაში თვალმოუშორებლად შესცქეროდა უხილავ სახეს. ამ სახის მიღმა უხმაუროდ მისრიალებდა პეიზაჟი, პურისა და ყაყაჩოს ყანები, ასკილი... თვალს არ აშორებდა ამ სახეს, მისი ტუჩები მოძრაობდა და ამბობდა ყველაფერს, რაც უნდოდა და რაც უნდა ეთქვა, ადრე თუ გვიან.

„ - არ გაბედო ხელის განძრევა, თორემ გესვრი! გახსოვს პატარა მაქს როზენბერგი? ნაწამები იწვა ჩემ გვერდით, სარდაფში, და ცდილობდა, თავი კედელზე მიელეწა, რომ აღარ „დაეკითხათ“. რატომ გაჰყავდათ „დაკითხვაზე“? იმიტომ, რომ დემოკრატი იყო! ან ვილმანი გახსოვს? ბედშავი სისხლს შარდავდა და უკბილოდ დაბრუნდა მას

შემდეგ, რაც ორი საათის განმავლობაში „დაკითხვაზე“ გყავდათ. რატომ? იმიტომ, რომ კათოლიკე იყო და არ სჯეროდა, რომ თქვენი ფიურერი ახლად გამოცხადებული მესიაა. ახლა როზენფელდი? მისი თავი და ზურგი ხორცის ნაფლეთებს ჰგავდა. გვევედრებოდა, ვენები კბილებით გადამიღრღენითო, რადგანაც თვითონ ამისი გაკეთება აღარ შეეძლო: ერთი კბილიც არ შერჩა მას შემდეგ, რაც შენ „დაჰკითხე“. ის ხომ ომის წინააღმდეგი იყო და არ სჯეროდა, რომ ყუმბარები და ცეცხლსატყორცნები ცივილიზაციის უმაღლესი მიღწევებია. თქვენ „დაჰკითხეთ“! დიახ, თქვენ „დაჰკითხეთ“, ოთხში ამოიღეთ ათასები... არ გაბედო ხელის განძრევა, არამზადავ! ახლა კი მივაღწიე, რომ მე და შენ სადმე შორს წავალთ, ერთ განმარტოებულ სახლში, და იქ, სქელ კედლებში, დავიწყებ შენს „დაკითხვას“ - ნელ-ნელა, დღედაღამ, განუწყვეტლივ, იმავე სისტემით, რომლითაც თქვენ დაჰკითხავდით როზენბერგს, ვილმანს, როზენფელდს. ყოველივე ამის შემდეგ კი...“

უეცრად რავიკმა შენიშნა, რომ მანქანა გიჟური სისწრაფით მიქრის. სვლას უკლო. სახლები. ხეები. ძაღლები. ქათმები. კისერწაგრძელებული, თავგადაწეული ცხენები მიქრიან მინდორში, თითქოს სადღაც, მახლობლად, მომთაბარეთა სადგომი იყოს. კენტავრები, ცხოვრება, ნაპირებიდან გადმომჩქეფარე. მოცინარ ქალს კალათით თეთრეული მიაქვს. თოკებზე ზეწრები და ნაირფერადი საცვლები კიდია - ურყევი ბედნიერების ბაირაღები. აივანთან ბალღები თამაშობენ. ყველაფერ ამას იგი მინის კედელში ხედავდა - ძალიან ახლოს და დაუჯერებლად შორს. სილამაზე, სიმშვიდე და უმანკოება - ეს ისე აღელვებს სულს, რომ პირდაპირ ტკივილს აყენებს, მაგრამ მისგან წავიდა სამუდამოდ, საუკუნოდ, და ყველაფერი - სულ ერთი ღამისათვის. სიბრალულს მაინც არ გრძნობდა: ასე მოხდა და ვერავინ ვერაფერს შეცვლის.

ნელა უნდა წავიდეს. გიჟივით თუ იქროლებ სოფელში, დაგაკავებენ. საათები. ნუთუ უკვე ორი საათია, რაც მიდის? ვერც კი შენიშნა, როგორ გაიქროლეს. არაფერი დაუნახავს, იმ სახის გარდა, რომელსაც შესცქეროდა და ელაპარაკებოდა...

სენ-ჟერმენი. პარკი. შავი ღობე ლურჯი ცის ფონზე. იქით ხეები. ხეები. მთელი ხეივნები. დიდი ხნის ნანატრი, სასურველი პარკი, მრავალი ხე. მათ მიღმა - ტყე.

რავიკმა სვლა შეანელა. ტყე ოქროსფერ-მწვანე ტალღასავით ატორტმანდა, მარჯვნივ და მარცხნივ გადაევლო, დაახრჩო ჰორიზონტი და ჩაყლაპა ყველაფერი. მანქანა მოლაპლაპე მარდი მწერივით დასტრიალებდა თავს პარკის მიხვეულ-მოხვეულ გზებს.

რბილი მიწა ერთიანად დაეფარა ბუჩქნარს. აქედან გზატკეცილი შორს იყო. მანქანა თვალსაჩინო ადგილას დატოვა, რამდენიმე ასეული მეტრით დაშორდა და ორმოს თხრას შეუდგა. ეს ადვილი იყო. თუ ვინმე გამოჩნდებოდა, ბარს დამალავდა და უკან წავიდოდა, თან ისეთ სახეს მიიღებდა, თითქოს ტყეში უბრალოდ სეირნობს.

საკმაოდ ღრმა ორმო ამოთხარა, რომ გვამისათვის მიწის საკმაოდ სქელი ფენა დაეყარა, შემდეგ მანქანა ახლოს მიიყვანა. გაშეშებული გვამის თრევა, ალბათ, ძნელი იქნებოდა. მანქანა კი მაინც იქ დააყენა, სადაც მყარი ნიადაგი თავდებოდა - რბილზე საბურავების კვალი დარჩებოდა.

გვამი ჯერ არ გაცივებულიყო. ორმოსთან რომ მიათრია, რავიკმა სამოსი შემოაგლიჯა და იქვე ზვინად დაყარა. ეს უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. შიშველი სხეული

ადგილზე დატოვა, სამოსი საბარგულში შეყარა და მანქანა უწინდელ ადგილზე დააბრუნა. შემდეგ კარები და საბარგული ჩაკეტა და ჩაქუჩი წამოიღო. უნდა მოსპოს გვამის ამოცნობის ყველა შესაძლებლობა, თუ შემთხვევით იპოვიან.

რავიკს ძალიან გაუჭირდა გვამთან დაბრუნება. უეცრად საშინლად მოუნდა გვამის ასე ტყეში დატოვება, მანქანაში ჩაჯდომა და გაქროლება. გაჩერდა და მიმოიხედა. შორიახლო, წიფლის ტოტზე, ორი ციყვი დახტოდა. მათი მოწითალო ბეწვი მზეზე პრიალებდა. გზა განაგრძო.

გვამი უკვე შეშუპებული და გალურჯებული იყო. რავიკმა ჰააკეს სახეზე მანქანის ზეთით დასველებული ჩვარი დააფარა და ზედ ჩაქუჩით დაუწყო ცემა. პირველივე დარტყმის შემდეგ შეჩერდა. მეტისმეტად ხმამაღალი ეჩვენა კაკუნი. რავიკი გაშეშდა, მაგრამ მაშინვე ისევ დაჰკრა და დაჰკრა. ცოტა ხნის შემდეგ ჩვარი ასწია. სახე შედედებული სისხლის შავი აპკით დაფარულ მასად ქცეულიყო. სწორედ ისეა, როგორც როზენფელდის თავიო, გაიფიქრა კბილების კრაჭუნით. თუმცა არა, - როზენფელდის თავი უფრო საშინელი იყო - ის ხომ ჯერაც ცოცხლობდა.

ჰააკეს მარჯვენა ხელზე ბეჭედი ეკეთა. რავიკმა მოაძრო და სხეული ორმოში ჩააგდო. ჰააკე უფრო გრძელი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. მუხლების მოღუნვა დასჭირდა მუცლისაკენ. შემდეგ ორმოს მიწა დააყარა. ამას სულ ცოტა დრო დასჭირდა. მიწა დატკეპნა და წინასწარ გამზადებული ბელტები დააფარა. ბელტის ნატეხები მჭიდროდ ეკვროდა ერთიმეორეს. თუ ძალიან დააკვირდებოდი, მხოლოდ მაშინ შეამჩნევდი პირაპირებს. ბუჩქები მიასწორ-მოასწორა და წელში გასწორდა.

ჩაქუჩი, ბარი, ჩვარი - ყველაფერი ეს მანქანასთან მიიტანა და საბარგულში, ტანსაცმელზე დაყარა. შემდეგ აუჩქარებლად დაბრუნდა, შეეცადა, სადმე კვალი ეპოვა. თითქმის არავითარი კვალი არ დარჩენილიყო. წვიმა წამოვა, ბალახი წამოიზრდება და რამდენიმე დღის შემდეგ ყველაფერი უწინდებურად იქნება.

უცნაურია: მკვდარი მამაკაცის ფეხსაცმელი, წინდები, საცვლები. კოსტიუმი რატომღაც ნაკლებ გაოცებას იწვევდა. წინდები, პერანგი, ქვედა საცვალი - ყველაფერი უკვე მოჩვენებას დამსგავსებოდა, ფერი დაჰკარგვოდა, თითქოს ესეც სიკვდილისა გამხდარიყო. რა ზიზღის მომგვრელია ყოველივე ამის შეხება, მონოგრამებისა და ფირმის ეტიკეტების ძებნა!

რავიკმა სწრაფად ამოჭრა ეს საეჭვო ნიშნები, სამოსი შეკრა და რამდენიმე კილომეტრის დაშორებით დაფლა იმ ადგილიდან, სადაც გვამი დამარხა, - საკმაოდ შორს, რომ გვამისა და სამოსის ერთდროული პოვნის შესაძლებლობა მოესპო.

გზა განაგრძო, ერთ წყაროსთან მივიდა. სამოსიდან ამოჭრილი მონოგრამები ქაღალდში შეახვია. შემდეგ ჰააკეს უბის წიგნაკი დაფლითა და საფულე გასინჯა: ორი ცალი ათასფრანკიანი ბანკნოტი, ბერლინამდე ბილეთი, ათი მარკა, რამდენიმე მისამართი და პასპორტი. ფრანგული ბანკნოტები რავიკმა თავისთვის დაიტოვა. ჰააკეს ტანსაცმლის ჯიბეებში კიდევ რამდენიმე ხუთფრანკიანი ქაღალდი აღმოაჩინა. ერთი წუთით ბილეთს დააცქერდა. უცნაური სანახავი იყო წარწერა: „ბერლინამდე“. რავიკმა ბილეთი დახია და ნახევები ყველაფერ დანარჩენს შეუერთა. ჰააკეს პასპორტს საკმაოდ დიდხანს ფურცლავდა - კიდევ სამ წელიწადს იყო გამოსადეგი. ძნელი იყო თავის შეკავება ცდუნებისაგან, რომ ეს პასპორტი გამოეყენებინა და ახალი გვარით

ეცხოვრა. ეს სავსებით შეეფერებოდა მის ახლანდელ მდგომარეობას. ეს რომ სახიფათო არ ყოფილიყო, ბევრ ყოყმანს არ დაიწყებდა.

პასპორტი და ათმარკიანი საკრედიტო ბილეთი დახია. გასაღები, რევოლვერი და სადგურზე ჩაბარებული ჩემოდნის ქვითარი ჯიბეში ჩაიდო. ჩემოდანი, ალბათ, გამოსატანი გაუხდება, რომ პარიზში არავითარი კვალი არ დარჩეს. ოტელის ნომრის ანგარიშიც დახია. შემდეგ ყველაფერი დაწვა. ქსოვილის ნაჭრებთან მეტი დავიდარაბა დასჭირდა, ათას რამეს ვარაუდობდა, მაგრამ წინდახედულად წამოღებული ძველი გაზეთი გამოადგა. ფერფლი წყაროში ჩაყარა. შემდეგ გულმოდგინედ გასინჯა მანქანა - სადმე სისხლის კვალი ხომ არ დარჩაო. არაფერი აღმოჩნდა. გულმოდგინედ გარეცხა ჩაქუჩი და ქანჩის გასაღები და ხელსაწყოები ისევ საბარგულში შეყარა. შემდეგ ხელები დაიბანა, სიგარეტი აიღო, საფეხურზე ჩამოჯდა და გააბოლა.

მაღალი წიფლების ხშირ ფოთლებში მზის ირიბი სხივები იჭრებოდა. რავიკი იჯდა და ეწეოდა. სრულიად გამოფიტული იყო და არაფერზე ფიქრობდა.

მხოლოდ სასახლისაკენ მიმავალ გზატკეცილზე გაახსენდა სიბილა. თეთრი სასახლე ზაფხულის დილის შუქზე ციმციმებდა, მეთვრამეტე საუკუნის მარადიული ცის ქვეშ. უეცრად მოაგონდა სიბილა და, პირველად, მთელი ამ წლების განმავლობაში, წინააღმდეგობა არ გაუწია თავს, ეფიქრა იმ ქალზე, არ განდევნა მასზე ფიქრი. მოგონება იქ წყდებოდა ხოლმე, სადაც ჰააკემ ქალიშვილის შემოყვანა ბრძანა. უკანასკნელი, რაც დაამახსოვრდა, იყო საშინელი, გიჟური შიში ქალის თვალებში. ყველაფერი დანარჩენი მასში იძირებოდა. კიდევ ახსოვდა, რომ შეატყობინეს, თავი ჩამოიხრჩოო. ეს არასოდეს სჯეროდა, თუმცა თვითმკვლელობა, მართლაც, შესაძლებელი იყო - ვინ იცის, რა მოხდა მანამდე... არასოდეს შეეძლო სიბილაზე ფიქრი ისე, რომ თავში ტვინის მტანჯველი სპაზმი არ განეცადა. მაშინ კი მისი თითები თითქოს ბრჭყალებად იქცეოდა, მკერდს კრუნჩხვა უბოჭავდა, გონება კი დიდი ხნით სისხლიანი ნისლით ებურებოდა და შურისძიების უძლური წყურვილი ერთიანად მოიცავდა.

ახლა სიბილაზე ფიქრობდა და უეცრად გაქრა კრუნჩხვაც, ნისლიც. რაღაც გაიხსნა, ჩამოიშალა; უძრავი სახება, მრავალი წლის ხორცშესხმული სასოწარკვეთილება, უეცრად გაცოცხლდა და თანდათან დნობა დაიწყო. მოღრეცილი ტუჩები გასწორდა, გაქვავებული მზერა ამოძრავდა, ცარცივით თეთრ სახეს სისხლი თანდათან მოაწვა - მკვდარი ნიღაბი აღარ იყო. ისევ გამოჩნდა სიბილა, ისეთივე, როგორსაც იცნობდა, რომელიც მასთან იყო, რომლის ნაზ მკერდსაც ეალერსებოდა... სულ ორი წელი იცხოვრა მასთან და ეს ორი წელი მისთვის ივნისის თბილ საღამოს ჰგავდა, საამო სიო რომ ჩამოუქროლებს ხოლმე.

ამოცურდნენ დღეები, საღამოები... თითქოს რომელიღაც დავიწყებული კვესიდან, სადღაც ჰორიზონტიდან, ნაპერწკლები დაცვივდა. მსუბუქად და უხმაუროდ გაიღო ურდულგაყრილი, ჩაგმანული, სისხლით დალაქული წარსულის კარი და მის მიღმა ხელახლა გადაიშალა აყვავებული ბაღნარი, ნაცვლად გესტაპოს ჯურღმულებისა.

რავიკი უკვე საათზე მეტხანს მიაქროლებდა მანქანას. პარიზში დაბრუნებას არ ჩქარობდა. სენის ხიდზე გაჩერდა, სენ-ჟერმენის იქით, ჰააკეს რევოლვერი და გასაღებები მდინარეში ისროლა. შემდეგ მანქანის სახურავი ასწია და გზა განაგრძო.

საფრანგეთის თავზე დილა თენდებოდა. ღამე თითქმის დავიწყებას მიეცა, თითქოს მის შემდეგ ათი წელი გასულიყოს. რამდენიმე საათის წინ მომხდარი ამბავი მისთვის არარეალური გახდა, ხოლო ის, რაც დიდი ხნის წინ ხსოვნაში ჩაკარგული ეგონა, იდუმალებით მოცული ამოცურებულიყო ზედაპირზე, სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა და აღარ აშორებდა მისგან უფსკრული.

რავიკს ვერ გაეგო, რა მოსდიოდა. ყველაფერს ელოდა - სულიერ გაპარტახებას, დაღლილობას, გულგრილობას, ზიზღს; ფიქრობდა, რომ შეეცდებოდა თავის გამართლებას, ცნობის დაკარგვამდე სმა მოუნდებოდა, ელოდა, რასაც გნებავთ, ოღონდ ამ სიმსუბუქისა და თავისუფლების განცდას - არა. თითქოს მის წარსულს რაღაც ტვირთი ჩამოეხსნაო. მიმოიხედა. ჯადოსნური სანახები იყო გარშემო. ჩარიგებული ჭადრები ზეიმით მიიწევდნენ მაღლა თავიანთი მწვანე ჩირაღდნებით. მინდვრებში ყვაოდნენ ყაყაჩოები და ღიღილოები. სოფლების ფურნეებიდან ახალგამომცხვარი პურის სუნი მოდიოდა. სკოლაში ვიოლინოს აკომპანემენტზე ბავშვები მღეროდნენ.

რაზე ფიქრობდა ცოტა ხნის წინ, როცა აქ გაიარა მანქანამ? სულ ახლახან, რამდენიმე საათის წინ. მას შემდეგ მთელი მარადისობა გავიდა. სად გაქრა ის მინის კედელი, მთელ გარე სამყაროს რომ აშორებდა? გაქრა, როგორც ნისლი ქრება ამომავალი მზის შარავანდედში. ისევ ხედავდა სახლების წინ მოთამაშე ბავშვებს, კატებსა და ძაღლებს, მზეზე რომ თვლემდნენ, საძოვრებზე შეფენილ ცხენებს, მდელოზე კი ისევ ისე იდგა ქალი, ხელში სამაგრები ეჭირა და თეთრეულს ფენდა. უყურებდა და, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, თავის თავს ყოველივე ამის ნაწილად, თანაზიარად თვლიდა. რაღაც რბილი და ნესტიანი დნებოდა მის არსებაში და სიცოცხლით ავსებდა. გადამწვარი ველი კვლავ ამწვანდა. რაღაც შეირხა მასში და უკან დაიხია. დაკარგული წონასწორობა აღდგა. დედამიწა ღერძზე დატრიალდა.

რავიკი საჭესთან უძრავად იჯდა. განძრევას ვერ ბედავდა, ეშინოდა, ახალგაჩენილი გრძნობა არ დაეფრთხო. ის კი იზრდებოდა და იზრდებოდა, თითქოს ნაპერწკლებს აფრქვევდა და სულში თამაშობდა. წყნარად იჯდა რავიკი, მთელი თავისი სისრულით ჯერაც ვერ შეეგრძნო მომხდარი ამბავი, მაგრამ გრძნობდა უკვე და იცოდა - ხსნა მოევლინა. ფიქრობდა, რომ ჰააკეს ლანდი აედევნებოდა და არ მოასვენებდა არსად, არასოდეს. მაგრამ მის გვერდით იყო მისი სიცოცხლე, დაუბრუნდა და თვალებში შესცქეროდა. მრავალი წლის განმავლობაში მხოლოდ სიბილას ფართო თვალები ელანდებოდა. ისინი უხმოდ და შეუბრალებლად შესცქეროდნენ, ადანაშაულებდნენ. ახლა მან თვალები დახუჭა, ნაღვლიანი ნაკეცები გაუსწორდა; შიშით გამოწვდილი ხელები, როგორც იქნა, დაუშვა. ჰააკეს სიკვდილმა სიბილას სახეს სიკვდილის გაყინული ნიღაბი ჩამოჰგლიჯა - იგი მყის გამოცოცხლდა, გაიბადრა, გაივსო... ახლა სიბილა სიმშვიდეს ეზიარება, ახლა მისი სახე წარსულში გადავა და აღარასოდეს დაბრუნდება. ჭადრები და ცაცხვები ზრუნვით მიიღებენ და დაკრძალავენ... გარშემო კი ისევ ზაფხულია და ფუტკრების ზუზუნი... რაღაც გამჭვირვალე, აქამდე უცხო დაღლილობა - თითქოს მრავალი ღამე ზედიზედ არ უძინია, ახლა კი ძალიან დიდხანს იძინებს ან აღარასოდეს დაიძინებს მეტად...

რავიკმა „ტალბო“ პონსელეს ქუჩაზე გააჩერა, მანქანიდან გადმოვიდა და მხოლოდ მაშინ იგრძნო, როგორ დაიქანცა. ეს იყო არა ის მოთენთილი დაღლილობა, რასაც გამგზავრების დროს განიცდიდა, არამედ რაღაც ჩლუნგი და დაუძლეველი სურვილი,

რომ დაეძინა - მეტი არაფერი. ძლივს მიათრევდა ფეხებს, ისე წავიდა „ინტერნასიონალისაკენ“. მზე უწყალოდ აცხუნებდა. თავში თითქოს ტყვია ჩაასხესო. მოულოდნელად რავიკს მოაგონდა, რომ ჯერ კიდევ არ ჩაუბარებია თავისი ნომერი „უელსის პრინცში“. წუთით ჩაფიქრდა - ეს ხვალ ხომ არ გავაკეთოო? შემდეგ თავს დასძლია, ტაქსი დაიჭირა და „უელსის პრინცისაკენ“ გაემართა. ფული რომ გადაიხადა, კინაღამ დაავიწყდა იმის თქმა, ჩემოდანი გამომიტანეთო.

რავიკი გრილ ჰოლში იცდიდა. მარჯვნივ, ბარის მაგიდებთან, რამდენიმე კაცი იჯდა და „მარტინის“ სვამდა. მებარგულის ლოდინში კინაღამ ჩაეძინა. მერე გასამრჯელო მისცა და ტაქსიში ჩაჯდა.

- აღმოსავლეთის ვაგზლისაკენ.

ლა ბოტის ქუჩის კუთხეში მძღოლს სთხოვა, მანქანა შეაჩერეო.

- მთელი ერთი საათით შევცდი, - უთხრა მას. - ვაგზალზე წასვლა ჯერ ადრეა, იმ ბისტროსთან გამიჩერე.

ფული გადაიხადა, ჩემოდანი აიღო და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. შემდეგ მობრუნდა და ტაქსის მხარეს გაიხედა. მანქანა თვალს მიეფარა. რავიკმა მეორე მანქანა გააჩერა და „ინტერნასიონალისაკენ“ გაეშურა.

ჰოლში არავინ იყო, თუ არ ჩავთვლით მძინარე ყმაწვილს, პორტიეს თანაშემწეს. რავიკმა ჩემოდანი მეორე სართულზე აიტანა, თავის ნომერში, გაიხადა და შხაპის ქვეშ დადგა. დიდხანს და გულმოდგინედ იბანდა. ამან გამოაცოცხლა. მერე ჩემოდანი ამოალაგა და ლოგინის ქვეშ შედო. საცვლები გამოიცვალა, სხვა კოსტიუმი ჩაიცვა და დაბლა ჩავიდა, მოროზოვის სანახავად.

- მე კი შენთან წამოსასვლელად ვემზადებოდი, - უთხრა მოროზოვმა. - დღეს თავისუფალი ვარ. ერთად ხომ არ წავსულიყავით ოტელ „უელსის პრინცში“...

იგი გაჩუმდა და ყურადღებით დააკვირდა რავიკს.

- ახლა უკვე აღარ არის საჭირო, - მიუგო რავიკმა.

მოროზოვი თვალებით ეკითხებოდა.

- ყველაფერი გათავებულია, - უთხრა რავიკმა. - დღეს დილით. ნურაფერს მკითხავ. საშინლად მეძინება.

- არაფერი გინდა?

- არაფერი. ყველაფერი გათავდა, ბედმა გამიღიმა.

- სად არის მანქანა?

- პენსელეს კუთხეში. ყველაფერი წესრიგში აქვს.

- განსაკუთრებული აღარაფერია?

- არაფერი. საშინლად ამტკივდა თავი. ძილი მინდა. მოგვიანებით ჩამოვალ შენთან.

- კეთილი. მაგრამ, იქნებ, რაიმე კიდევ იყოს გასაკეთებელი?

- არა, - უთხრა რავიკმა. - მეტი არაფერი. ყველაფერი ძალიან უბრალოდ მოხდა.

- არაფერი დაგავიწყდა?

- არა. თითქოს არაფერი დამვიწყებია. ოღონდ ახლა ვერაფერს გეტყვი. ჯერ უნდა გამოვიძინო, მერე გიამბობ. შენს ოთახში იქნები?

- რა თქმა უნდა, - მიუგო მოროზოვმა.

- კარგი. შემოგივლი.

რავიკი თავის ოთახში დაბრუნდა. საშინლად ასტკივდა თავი. ცოტა ხნით ფანჯარასთან გაჩერდა. ერთი სართულით დაბლა თეთრად ყვაოდნენ ემიგრანტ ვიზენჰოფის შროშანები. მოპირდაპირე მხარეს უფარდო ფანჯრებიანი, რუხი კედელი აღმართულიყო. დამთავრდა! სწორად მოიქცა. ასე იყო საჭირო, ასე უნდა მომხდარიყო. ახლა ეს ამბავი მოთავებულია. მაგრამ შემდეგ? შემდეგ ვეღარ წარმოედგინა. მეტი აღარაფერი ელის. „ხვალ“ ყოველგვარ აზრს მოკლებული სიტყვაა. დღევანდელი დღე უკანასკნელია.

გაიხადა და ისევ იბანავა. დიდხანს ჰქონდა სპირტში ჩაწყობილი ხელები და მერე ჰაერზე გაიშრო. თითების სახსრებზე ტყავი დაეჭიმა. თავი დაუმძიმდა და შიგ თითქოს ტვინი უტრიალებდა. შპრიცი აიღო და პატარა ელექტროღუმელზე წამოადუღა, ფანჯრის რაფაზე რომ იდგა. წყალი რამდენიმე წუთს თუხთუხებდა. ამან წყარო მოაგონა. მხოლოდ წყარო. ორი ამპულა გახსნა, შპრიცში გამჭვირვალე წყალნარევი სითხე შეიყვანა, ნემსი გაიკეთა და დასაძინებლად დაწვა. ცოტა ხანს იწვა, მერე თავისი ძველი ხალათი აიღო, დაიფარა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს თორმეტი წლისაა, დაიღალა და იმ მარტოობას განიცდის, მხოლოდ სიყმაწვილესა და მოზარდობის წლებს რომ ახასიათებს.

მაშინ გამოეღვიძა, როცა უკვე დაისის ბინდი წვებოდა. სახლების სახურავებზე მწუხრის შუქი ვარდისფრად ციაგებდა. დაბლიდან ვიზენჰოფისა და რუთ გოლდბერგის ხმა ისმოდა. ვერ გაერჩია, რაზე ლაპარაკობდნენ, არც მიუგდია ყური. როგორც ყოველი ადამიანი, დღისით რომ შემთხვევით ჩაეძინება და საღამოს, გაღვიძებული, თავს სრულიად კალაპოტიდან ამოვარდნილად გრძნობს, რავიკიც წამით უაზრო თვითმკვლელობის გუნებაზე დადგა. ნეტავ, ახლა ოპერაცია გამაკეთებინაო, გაიფიქრა. ვინმე მძიმე, თითქმის უიმედო პაციენტი ინატრა. მოაგონდა, მთელი დღე რომ არაფერი ეჭამა, და საშინელი შიმშილი იგრძნო. თავის ტკივილმა გაუარა. ჩაიცვა და მოროზოვთან ჩავიდა.

მოროზოვი მაგიდას უჯდა, პერანგის სახელოები დაკაპიწებული ჰქონდა და საჭადრაკო ამოცანას წყვეტდა. ოთახი თითქმის ცარიელი იყო. ერთ კედელზე ლივრეა ეკიდა. კუთხეში ხატი ესვენა კანდელით. მეორე კუთხეში მაგიდა იდგა, სამოვრით. მესამეში - ჩინებული მაცივარი, მოროზოვის სიამაყე. მასში აცივებდა ხოლმე არაყს, ლუდსა და ნაირ-ნაირ სანოვაგეს. საწოლთან, იატაკზე, პატარა თურქული ნოხი ეფინა.

მოროზოვი უხმოდ ადგა, ორი სირჩა და ერთი ბოთლი არაყი გამოიღო და ორივე სირჩა არყით შეავსო.

- „ზუბროვკაა“, - უთხრა.

რავიკი მაგიდას მიუჯდა.

- დასალევი არ მინდა, ბორის. სამაგიეროდ, მხეცივით მშია.

- კარგი. წავიდეთ, ვივახშმოთ. მანამდე კი... - მოროზოვმა მაცივრიდან გამოიღო რუსული ჭვავის პური, კიტრი, კარაქი და ხიზილალა. - ცოტა შიმშილი მოიკალი. ხიზილალა „შეჰერეზადას“ შეფ-მზარეულმა მაჩუქა, განსაკუთრებული კეთილგანწყობილების ნიშნად.

- ბორის, - უთხრა რავიკმა, - ნუ ვითამაშებთ კომედიას. „ოზირისის“ წინ შევხვდი, ბულონის ტყეში მოვკალი და სენ-ჟერმენში დავმარხე.

- არავის დაუნახავხარ?

- არავის. „ოზირისთან“ არავინ იყო.

- სხვაგან?

- ბულონის ტყეში ვიღაც კაცმა გაიარა მდელოზე. მაგრამ ყველაფერი უკვე გათავებული იყო. მანქანაში ეგდო. იქიდან მხოლოდ ჩემი და მანქანის დანახვა შეიძლებოდა. მაღებინებდა. ამაში განსაკუთრებული არაფერია, ნასვამმაც შეიძლება აღებინოს.

- რა უყავი მის ნივთებს?

- მიწაში ჩავმარხე. მონოგრამები და ეტიკეტები ამოვჭერი და დავწვი დოკუმენტებთან ერთად. მხოლოდ ფული და ბარგის ქვითარი დავიტოვე. ჯერ კიდევ გუშინ გამოეწერა ოტელიდან და დღეს დილით აპირებდა გამგზავრებას.

- ყოჩაღ! მართლა ბედი გქონია! სისხლის ლაქები?

- არავითარი. სისხლი თითქმის არ ყოფილა. „უელსის პრინცში“ უკვე ანგარიში გავასწორე. ჩემოდანი აქ ამოვიტანე. ადამიანები, რომლებთანაც ჰააკე პარიზში იყო დაკავშირებული, იფიქრებენ, რომ გაემგზავრა. ბარგსაც თუ გამოვიტან, მისი კვალიც აღარსად იქნება.

- ბერლინში ამოიკითხავენ და ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს შეეკითხებიან.

- თუ ბარგს გამოვიტან, ვერავინ გაიგებს, სად გაქრა.

- გაიგებენ, რადგან დასაძინებელ ვაგონში თავისი ადგილით არ უსარგებლია. ბილეთი მოსპე?

- მაშინვე.

- მაშინ ქვითარიც დაწვი.

- შეიძლება ქვითრის საბარგო ექსპედიციაში გაგზავნა: გავაფრთხილებ, რომ ჩემოდნები ბერლინში ან სადმე სხვაგან გაგზავნონ მოთხოვნამდე.

- აზრი არა აქვს. ჯობს დაწვა. მეტისმეტი ეშმაკობა არ არის საჭირო. ეს მხოლოდ გაამახვილებს პოლიციის ყურადღებას. ასე კი უბრალო ამბავი გამოდის - კაცი გაქრა, მორჩა და გათავდა. პარიზში უარესებიც ხდება... თუ გამოძიებას დაიწყებენ, შეიძლება მოახერხონ იმის გაგება, სად იმყოფებოდა უკანასკნელად. ,,ოზირისში'' შეხვედი?

- ერთი წუთით შევედი. მე დავინახე, თვითონ კი არ დავუნახავვარ. მერე ქუჩაში ველოდი; იქ არავის ვუნახავვარ.

- შეიძლება იკითხონ, ვინ იყო იმ დროს ,,ოზირისში''. როლანდა, ალბათ, გაიხსენებს, რომ შენ შეიარე.

- იქ ხშირად ვარ ხოლმე. ეს არაფერს ნიშნავს.

- ჯობს, საქმემ დაუკითხავად ჩაიაროს. ემიგრანტი. უსაბუთო. როლანდამ თუ იცის, სად ცხოვრობ?

- არა. მაგრამ იცის ვებერის მისამართი. იგი ,,ოზირისის'' ოფიციალური ექიმია. თუმცა, როლანდა ,,ოზირისიდან'' მალე წავა.

- სულერთია, ეცოდინებათ, სადაც წავა. - მოროზოვმა არაყი დაისხა. - რავიკ, მე მგონია, რამდენიმე კვირით უნდა წახვიდე, გადაიკარგო.

რავიკმა შეხედა.

- იოლი სათქმელია, ბორის, მაგრამ სად?

- სადაც გინდა, ოღონდ ხალხის ბრბოში შეერიო. წადი კანში ან დოვილში. გახურებული სეზონია. წყნარად და შეუმჩნევლად იცხოვრებ. ან კიდევ ანტიბში. იქაურობას კარგად იცნობ. პასპორტს არავინ მოგთხოვს. მე კი აქ ყოველთვის შევძლებ ვებერისგან და როლანდასგან იმის გაგებას, გეძებდა თუ არა პოლიცია, როგორც მოწმეს.

რავიკმა თავი გადააქნია, არაო.

- ჯობს, ყველაფერი ისე დავტოვო, როგორც არის, და განვაგრძო ცხოვრება, თითქოს არაფერი მომხდარა.

- ამ შემთხვევაში მართალი არ ხარ.

რავიკმა მოროზოვს შეხედა.

- არა, პარიზში დავრჩები. არ მინდა გავიქცე. სხვანაირად მოქცევა არ შემიძლია. ნუთუ არ გესმის?

მოროზოვმა პასუხი არ გასცა.

- დაწვი ქვითარი, - უთხრა ბოლოს.

რავიკმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და სპილენძის ბრტყელ საფერფლეზე დაწვა. მოროზოვმა ფერფლი ფანჯარაში გადაყარა.

- ასე, ამ საქმეს მოვრჩით. მისი რაიმე ნივთი კიდევ დაგრჩა?

- ფული.

- მაჩვენე.

მოროზოვმა საკრედიტო ქაღალდები გასინჯა.

- ვერაფერს იტყვი, ჩვეულებრივი ფულია. სავსებით თავისუფლად შეიძლება გამოყენება. რა უნდა უყო?

- ლტოლვილთა დასახმარებელ ფონდში შევიტან. ჩემს ვინაობას არ გავამხელ.

- ხვალ დაახურდავებ, ორი კვირის შემდეგ გაგზავნი.

- კარგი.

რავიკმა ფული შეინახა. ქაღალდს რომ კეცავდა, უეცრად გაიფიქრა, რომ არც ისე დიდი ხანია, რაც ხელით საჭმელს შეეხო. ხელისგულებს დახედა... უცნაურია. რა არ მოუვიდა თავში ამ დილას. ახალი შავი პურის ერთი ნაჭერიც აიღო.

- სად ვისადილოთ? - ჰკითხა მოროზოვმა.

- სადაც გინდა.

მოროზოვმა შეხედა. მთელი დღის განმავლობაში პირველად გაიღიმა რავიკმა.

- ბორის, - უთხრა, - ნუ მიყურებ მომვლელი ქალივით, რომელსაც ეშინია, მის ავადმყოფს სისხლი არ ჩაექცეს თავში. მე მოვსპე პირუტყვი. ცოდვამ უწია კაცთა გარეგანს. ათასჯერ კი არა, მრავალათასჯერ მეტს იმსახურებდა! ჩემს სიცოცხლეში ათობით უდანაშაულო ადამიანი მომიკლავს და ამისათვის ორდენებს მაძლევდნენ. ვკლავდი, ვხოცავდი არა პატიოსან, პირისპირ ბრძოლაში, არამედ საფრიდან, ზურგიდან, როცა ხიფათს არ ელოდნენ. ცოდვის კალოს ვლეწავდი. ამას ეწოდებოდა ომი და პატიოსან საქმედ მითვლიდნენ. დღეს ღამით კი ერთი იდიოტური სურვილი მქონდა: ყველაფერი პირში მიმეხალა, ვიდრე ანგარიშს გავუსწორებდი. გამოუთქმელი სიტყვები პირდაპირ მახრჩობდა, თითქოს ყელში მეჩხირებოდა. ახლა საკითხი ამოწურულია. ჰააკე ვეღარ აწამებს ადამიანებს. მისი კალო გალეწილია. მე გამოვიძინე და ყველაფერი ისე შორეული ამბავი მგონია, თითქოს ოდესღაც გაზეთში ამომეკითხოს...

- კეთილი, - მოროზოვმა სერთუკის ღილები შეიკრა. - მაშინ წავიდეთ. რამე უნდა დავლიოთ.

რავიკმა გადახედა.

- შენ?

- დიახ, მე! - მიუგო მოროზოვმა, - მე, - ერთი წუთით შეყოვნდა. - დღეს პირველად ვიგრძენი თავი მოხუცებულად. ჩემი კალო გამილეწია.

## თავი ოცდამეთერთმეტე

როლანდასთან საზეიმო გამომშვიდობება ზუსტად ექვს საათზე დაიწყო და სულ ერთი საათი გაგრძელდა. შვიდი საათისათვის ,,ოზირისი'' ისევ მზად იყო სტუმრების მისაღებად.

სუფრა ცალკე დარბაზში გაშალეს. თითქმის ყველა ქალი შავი აბრეშუმის კაბით იყო შემოსილი. რავიკი ხშირად ხედავდა მათ საექიმო შემოწმებებზე ტიტვლებსაც და ფრიად გამჭვირვალე სამოსშიც, და ბევრი საერთოდ ვერ იცნო. ყოველი შემთხვევისათვის, მადამმა დიდ დარბაზში ექვსი ახალგაზრდა ქალი დატოვა ,,სარეზერვო ჯგუფის'' სახით. შვიდი საათის შემდეგ მათაც უნდა გადაეცვათ და როლანდასთან გამოსამშვიდობებლად მოსულიყვნენ. არც ერთი მათგანი არ დათანხმდებოდა ზეიმზე უკადრისი სახით გამოჩენას. ეს არ იყო მადამის მოთხოვნა - ასე გადაწყვიტეს თვითონ ქალიშვილებმა. რავიკი ელოდა ამას. კარგად იცოდა, რომ მეძავთა ეტიკეტი კიდევ უფრო სასტიკია, ვიდრე მაღალი საზოგადოების მანდილოსნების.

ქალიშვილებმა ფული შეაგროვეს და როლანდას, მომავალი კაფესათვის, ექვსი წნული სავარძელი აჩუქეს. მადამმა სალაროს აპარატი მიართვა, რავიკმა - ორი მარმარილოსფილებიანი მაგიდა. რავიკი ერთადერთი გარეშე პირი იყო ზეიმზე და ერთადერთი მამაკაცი.

სადილი შვიდის ხუთ წუთზე დაიწყო. მადამი სუფრის თავში იჯდა. მარჯვნივ როლანდა ეჯდა, მარცხნივ - რავიკი. იქით ახალი განმრიგებელი, მისი თანაშემწე და ბოლოს - ქალიშვილები. სულ ნუგბარი საჭმელები იყო გამოტანილი. სტრასბურგულად გამზადებული ბატის ღვიძლის პაშტეტი და მასთან ძველებური შერი-ბრენდი. რავიკს ბოთლი არაყი დაუდგეს. შერი დასანახავად ეზარებოდა. შემდეგ ჩინებული ტურბო და თეთრი ,,მარსო'' მოუტანეს, 1933 წლის მოსავლისა. თევზი ,,მაქსიმთან'' გამზადებულს არ ჩამოუვარდებოდა. ღვინო მსუბუქი და ზომიერად ახალი აღმოჩნდა. ამას მოჰყვა სატაცური, მერე შამფურზე შემწვარი წიწილები, სანაქებო სალათა, ოდნავ ნივრით შეზავებული, და წითელი ,,შატო სენტ-ემილიონი''. იქ, სადაც მადამი იჯდა, 1921 წლის მოსავლის ,,რომანე კონტის'' სვამდნენ და მთელი ბოთლი გამოცალეს.

- ქალიშვილები ამას ვერ შეაფასებენ, - თქვა მადამმა.

რავიკმა, პირიქით, სავსებით შეაფასა ღვინის ღირსება, დიდსულოვნად თქვა უარი შამპანურსა და ტკბილზე და ,,რომანეს'' მეორე ბოთლი აიღო. მადამთან ერთად ბლანტე ბრისა და უკარაქო თეთრ პურს შეექცეოდა, თან ღვინოს აყოლებდა.

სუფრასთან საუბარი კეთილშობილ ქალწულთა პანსიონის აღსაზრდელთა საუბარს მოგაგონებდათ. წნული სავარძლები ბაფთებით იყო მორთული.

სალაროს აპარატი ციმციმებდა. პატარა მაგიდების მარმარილოს ფილები მქრქალად ციალებდა. დარბაზში მსუბუქი სევდის ატმოსფერო სუფევდა. მადამს შავები ეცვა, ბრილიანტები ამშვენებდა, ბევრი კი არა, მხოლოდ გულის ქინძისთავი და ბეჭედი - წმინდა წყლის მოცისფრო-თეთრი საარაკო ქვები. ქალბატონს უყვარდა

ძვირფასეულობა. ასე განაცხადა, ლალისა და ზურმუხტის ფასი შეიძლება დაეცეს, ბრილიანტი კი უფრო საიმედოაო. როლანდასა და რავიკს ებაასებოდა, არაჩვეულებრივ ნაკითხობას ამჟღავნებდდა. მსუბუქად და მახვილგონივრულად საუბრობდა, თან მონტენის, შატობრიანისა და ვოლტერის გამონათქვამებს იმოწმებდა. ჭკვიან, ირონიულ სახეს უმშვენებდა მოელვარე, ოდნავ შეჭაღარავებული თმა, რომელსაც ოდნავ მოლურჯო ელფერი გადაჰკრავდა - მადამი თმას იღებავდა.

შვიდ საათზე, ყავის შემდეგ, ქალიშვილები, პანსიონის სამაგალითო აღსაზრდელებივით, სუფრიდან წამოიშალნენ. თავაზიანი მადლობა მოახსენეს მადამს და გულის ამაჩუყებლად გამოემშვიდობნენ როლანდას. მადამი ერთხანს კიდევ იჯდა. რავიკს ,,არმანიაკით" გაუმასპინძლდა. ასეთი სასმელი რავიკს თავის სიცოცხლეში არ დაელია. ,,სარეზერვო ჯგუფი", დაბლა რომ მორიგეობდა, მაგიდას მიუჯდა. ქალიშვილებმა ხელ-პირი დაიბანეს, საღამოს კაბები გადაიცვეს და სახეზე წაისვეს, თუმცა ჩვეულებისამებრ არ აფერადებულან. მადამმა დაიცადა, ვიდრე ყველას მიუტანდნენ ტურბოს. ქალიშვილებს გამოელაპარაკა, მადლობა უთხრა, რომ მისი გულისათვის მსხვერპლი გაიღეს, მერე კი ყველას მოხდენილად გამოემშვიდობა.

- იმედი მაქვს, როლანდა, გამგზავრებამდე ერთხელ კიდევ გნახავთ.

- რასაკვირველია, მადამ.

- ნებას მომცემთ, ,,არმანიაკი" დაგიტოვოთ? - მიუბრუნდა მადამი რავიკს.

რავიკმა მადლობა გადაუხადა. მადამი წავიდა. თავით ფეხამდე მაღალი საზოგადოების მანდილოსანი იყო.

რავიკმა ბოთლი აიღო და როლანდასთან გადაჯდა.

- როდის მიემგზავრები? - ჰკითხა ქალს.

- ხვალ, დღისით, ოთხ საათსა და შვიდ წუთზე.

- სადგურზე მოვალ, გაგაცილებ.

- არ შეიძლება, რავიკ. არაფრით არ შეიძლება. ჩემი საქმრო დღეს საღამოს ჩამოვა. ერთად მივემგზავრებით. გესმის? უცბად კი შენ რომ გამოჩნდე, ძალიან გაუკვირდება.

- მესმის.

- ხვალ, დილით, კიდევ რაღაცებს ვიყიდით და ყველაფერს გავგზავნით. დღეს ოტელ ,,ბელფორში" ნომერს დავიჭერ. მოხერხებულია, იაფი და სუფთა.

- შენი საქმროც იქ გაჩერდება?

- რას ამბობ! - გაუკვირდა როლანდას. - ჯერ ხომ ჯვარი არ დაგვიწერია!

- მართალია. ამაზე როგორღაც არ მიფიქრია.

რავიკმა იცოდა, რომ როლანდა სულაც არ იპრანჭებოდა, მტკიცე ბურჟუაზიული შეხედულებების ქალი გახლდათ. მისთვის სულერთი იყო, სად იმსახურებდა - კეთილშობილ ქალწულთა პანსიონში თუ საროსკიპოში. მას ჰქონდა გარკვეული

მოვალეობანი და პატიოსნად ასრულებდა. ახლა ამ მოვალეობისაგან განთავისუფლდა და უკანვე უბრუნდებოდა თავის ბურჟუაზიულ წრეს, სავსებით აქცევდა ზურგს იმ სამყაროს, რომელშიაც დროებით ცხოვრობდა. ბევრ მეძავს მოსვლია ასე. ხშირად გამხდარან სანაქებო ცოლები. პროსტიტუციას მძიმე ხელობად თვლიდნენ, მანკიერებად - არა. ასეთი შეხედულება იფარავდა ამ ქალებს მორალური დეგრადაციისაგან.

როლანდამ რავიკს კონიაკი დაუსხა, შემდეგ ჩანთიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო.

- თუ ოდესმე პარიზიდან წასვლა დაგჭირდეს - აი, ჩვენი მისამართი. როცა გნებავს, მაშინ ჩამოდი.

რავიკმა მისამართს დახედა.

- აქ ორი გვარია, - უთხრა ქალმა. - ერთი, პირველი ორი კვირისათვის, ჩემია, მეორე კი - ჩემი საქმროსი.

რავიკმა ფურცელი შეინახა.

- გმადლობ, როლანდა. ჯერჯერობით პარიზში ვრჩები. ამას გარდა, შენი საქმრო, ალბათ, სახტად დარჩება, უეცრად კარს რომ მოგადგე.

- ამას იმიტომ ფიქრობ, ხვალ ვაგზალზე ნუ გამაცილებ-მეთქი, რომ გთხოვე? ეს ხომ სულ სხვა რამეა! მისამართს გაძლევ ყოველი შემთხვევისათვის, თუ პარიზიდან უეცრად წასვლა მოგიხდება. უეცრად-მეთქი. აი, ამისთვის.

რავიკმა გაოცებით ახედა.

- ეს რისთვის?

- რავიკ, - უთხრა როლანდამ. - შენ ლტოლვილი ხარ. ლტოლვილებს კი ზოგჯერ სიძნელეები ხვდებათ. ამიტომ, კარგი იქნება, იცოდე ისეთი ადგილი, სადაც პოლიცია არ შეგაწუხებს და შეძლებ ცხოვრებას.

- საიდან იცი, რომ მე ლტოლვილი ვარ?

- ვიცი. არასოდეს არავისთვის მითქვამს. ან ვის რა ესაქმება? მისამართი შეინახე და, თუ დაგჭირდეს, ჩამოდი. ჩვენთან არავინ გიკითხავს.

- კეთილი. გმადლობ, როლანდა.

- ამ ორი დღის წინ აქ პოლიციიდან იყო ვიღაც. ერთი გერმანელის ამბავი იკითხა. აქ ხომ არ ყოფილაო.

- მართლა? - იკითხა რავიკმა ყურადღებით.

- დიახ. ბოლოს რომ იყავი აქ, ის გერმანელი აქ იჯდა. ალბათ, აღარც გახსოვს. ერთი სქელ-სქელი, მელოტი კაცი იყო. ივონასა და კლერთან იჯდა. პოლიციამ იკითხა, აქ ხომ არ მოსულა და იმ დროს სხვა ხომ არავინ ყოფილაო.

- აზრზე არა ვარ, - უთხრა რავიკმა.

- წესიერად არც შემიხედავს. მე, რა თქმა უნდა, არ მითქვამს, რომ იმ საღამოს შემოიარე.

რავიკმა თავი დაუქნია.

- ასე ჯობს, - აუხსნა როლანდამ. - რატომ უნდა მისცე მაგ მაძებრებს საბაბი, უდანაშაულო ადამიანებს პასპორტი მოსთხოვონ!

- რა თქმა უნდა. ხომ არ უთქვამს, რა მინდაო?

როლანდამ მხრები აიჩეჩა.

- არა ან ჩვენ რა გვესაქმება? არავინ ყოფილა-მეთქი, მორჩა და გათავდა. ჩვენ აქ ძველ წესს მივყვებით: არაფერი ვიცით, არასოდეს არაფერი. ასე ჯობია. სხვათა შორის, არც თვითონ იყო მაინცდამაინც ძალიან მონდომებული, რაიმე გამოეძია.

- მართლა?

როლანდამ გაიცინა.

- რავიკ, ბევრ ფრანგს სულაც არ ენაღვლება, რა მოუვა რომელიმე გერმანელ ტურისტს. საკუთარი საზრუნავიც გვყოფნის.

ქალი წამოდგა.

- უნდა წავიდე. ნახვამდის, რავიკ.

- ნახვამდის, როლანდა. აქ უშენოდ ის აღარ იქნება, რაც იყო.

როლანდამ გაიღიმა.

- შეიძლება, მაგრამ მალე, ალბათ, ყველაფერი მოგვარდება.

ქალიშვილებთან გამოსამშვიდობებლად წავიდა. გზად ერთხელ კიდევ დახედა სალაროს აპარატს, სავარძლებსა და მაგიდებს. ეს იყო პრაქტიკული საჩუქრები. წარმოიდგინა, თითქოს უკვე საკუთარ კაფეში ეწყო. მეტადრე სალაროს აპარატი. ეს იყო შემოსავალი, იმედი, მყუდრო კერა და შეძლებული ცხოვრება. როლანდა ერთი წამით ყოყმანობდა, მაგრამ ცდუნებას ვეღარ გაუძლო, ჩანთიდან ორი თუ სამი მონეტა ამოიღო, ლაპლაპა აპარატის გვერდით დადო და კლავიშებზე თითები შეათამაშა. აპარატი აზუზუნდა; როლანდამ ბავშვურად ბედნიერი ღიმილით გამოაღო უჯრა და შიგ ჩაყარა ფული, რომელიც თავის თავს გადაუხადა.

ქალიშვილებმა სალაროსთან მოიყარეს თავი. როლანდამ ისევ აამუშავა აპარატი. ერთი ფრანკი და სამოცდათხუთმეტი სანტიმი.

- რა შეიძლება, თქვენთან კაცმა ერთ ფრანკად და სამოცდათხუთმეტ სანტიმად იყიდოს? - იკითხა მარგარიტამ, მეტსახელად ფაშატმა.

როლანდა ჩაფიქრდა.

- სირჩა ,,დუბონე'' და ორი ,,პერნო''.

- რა ღირს ჭიქა ,,ამერ პიკონი'' და ერთი კათხა ლუდი?

- სამოცდაათი სანტიმი.

როლანდამ აპარატი ააზუზუნა. ნული ფრანკი, სამოცდაათი სანტიმი.

- იაფია, - თქვა ფაშატმა.

- ჩვენთან უფრო იაფი იქნება, ვიდრე პარიზში, - აუხსნა როლანდამ.

ქალიშვილებმა წნული სავარძლები მარმარილოს მაგიდების გარშემო შემოაწყვეს და ფრთხილად შემოუსხდნენ. საღამოს კაბები შეისწორეს და უეცრად როლანდას მომავალი კაფეს სტუმრებად გადაიქცნენ...

- თუ შეიძლება, სამი ჭიქა ჩაი და ინგლისური ბისკვიტები, მადამ როლანდა, - თქვა დეზიმ, კოპწია, სუსტმა ქერა ქალმა, რომელსაც მომეტებულად ცოლიან მამაკაცებს შორის ჰქონდა მოწონება.

- შვიდი ფრანკი და ოთხმოცი სანტიმი.

როლანდამ სალარო აამუშავა.

- სამწუხაროა, მაგრამ ინგლისური ბისკვიტი ძალიან ძვირია, - დასძინა თან.

გვერდით მაგიდასთან მჯდომმა მარგარიტამ დიდი ფიქრის შემდეგ თავი ასწია და როლანდას საზეიმო კილოთი შეუკვეთა:

- ორი ბოთლი „პომერი“.

მარგარიტას უყვარდა როლანდა და უნდოდა ეს ეჩვენებინა.

- ოთხმოცდაათი ფრანკი. კარგი პომერი გვაქვს.

- ოთხიც კონიაკი, - დაიფრუტუნა ფაშატმა. - დაბადების დღეს ვიხდი.

- ოთხი ფრანკი და ორმოცი სანტიმი.

სალარო ამუშავდა.

- ოთხი ყავა, ბეზესთან ერთად.

- სამი ფრანკი და სამოცი სანტიმი.

აღტყინებული ფაშატი როლანდას მიაშტერდა. მეტი ვერაფერი მოიფიქრა.

ქალიშვილებმა თავი სალაროს გარშემო მოიყარეს.

- რამდენი გამოვიდა სულ, მადამ როლანდა?

როლანდამ დაბეჭდილი ჩეკი უჩვენა.

- ას ოცი ფრანკი და ოთხმოცი სანტიმი.

- აქედან სუფთა მოგება რამდენი იქნება?

- ასე, ოცდაათი ფრანკი. უმთავრესად შამპანურისაგან. ყველაზე მეტ მოგებას შამპანური იძლევა.

- კარგია, - უთხრა ფაშატმა. - ძალიან კარგი! ყოველთვის ასე გაგიღიმოთ ბედმა, როგორც დღეს!

როლანდა რავიკთან დაბრუნდა. თვალები ისე უბრწყინავდა, როგორც შეყვარებულებს ან იღბლიან კომერსანტებს.

- მშვიდობით, რავიკ. არ დაივიწყო, რაც გითხარი.

- არა. მშვიდობით, როლანდა.

ქალი წავიდა, ძლიერი, წარმოსადეგი, გონიერი - მომავალი უღიმოდა და ცხოვრებაში ბედი სწყალობდა.

მოროზოვი და რავიკი რესტორან „ფუკეს“ წინ ისხდნენ. საღამოს ცხრა საათი იყო და აივანზე ყველა მაგიდა დაეკავებინათ. შორს, თაღის უკან, ორი ფარანი ენთო, ორივე თეთრსა და ძალზე ცივ შუქს აფრქვევდა.

- ვირთხები პარიზს ტოვებენ, - თქვა მოროზოვმა. - „ინტერნასიონალში“ სამი ოთახი დაცარიელდა. ეს არ მომხდარა 1933 წლის შემდეგ.

- სხვა ემიგრანტები მოვლენ და შეავსებენ.

- მაინც რომლები? უკვე გვყავდნენ რუსები, იტალიელები, პოლონელები, ესპანელები, გერმანელები...

- ფრანგები, - უთხრა რავიკმა, - მოსაზღვრე რაიონებიდან გამოქცეულები, როგორც უკანასკნელ ომში მოხდა.

მოროზოვმა თავისი სირჩა ასწია და ნახა, რომ ცარიელი იყო. კელნერს თავი დაუქნია.

- ერთი გრაფინი „პუიი“... რა უნდა ქნა, რავიკ?

- ვირთხებს მივყვე?

- დიახ.

- დღეს ვირთხებსაც კი ესაჭიროებათ პასპორტები და ვიზები.

მოროზოვმა საყვედურით გადახედა.

- განა დღემდე გქონდა ერთი ან მეორე? მიუხედავად ამისა, ხომ იყავი ვენაში, ციურიხში, ესპანეთში, პარიზში! ახლა სწორედ დროა, რომ აქედან გაქრე.

- საით? - ჰკითხა რავიკმა. კელნერის მოტანილი გრაფინი აიღო და ცივსა და დაორთქლილ სირჩაში თხელი ღვინო ჩაასხა. - იტალიაში? საზღვარზე გესტაპო მელოდება. ესპანეთში? იქ ფალანგისტები მიცდიან.

- შვეიცარიაში.

- შვეიცარია ძალიან პატარაა. შვეიცარიაში სამჯერ ვიყავი. კვირაში ერთხელ პოლიცია მიჭერდა და უკანვე, საფრანგეთში, მაბრუნებდა.

- ინგლისში. ბელგიის გზით, უბილეთოდ.

- ფიქრიც ზედმეტია. ნავსადგურშივე შეგიპყრობენ და უკანვე გამოგასახლებენ, ბელგიაში. ბელგია კიდევ ემიგრანტების ქვეყანა არ არის.

- ამერიკაში ვერ წახვალ. მექსიკაზე რას იტყვი?

- გადატვირთულია. თანაც ისე არ შეგიშვებენ, თუ რაიმე ქაღალდი არ გაგაჩნია.

- სრულიად არაფერი გაქვს?

- რამდენიმე ცალი გათავისუფლების მოწმობა გამომყვა იმ ციხეებიდან, რომლებშიც სხვადასხვა გვარით ჯდომა მიხდებოდა საზღვრების არალეგალური გადალახვისათვის. მოგეხსენება, ეს საიმედო საბუთებად არ გამოდგებოდა. მაშინვე ვხევდი ხოლმე.

მოროზოვი გაჩუმდა.

- გაქცევა მორჩა, ბებერო ბორის, - უთხრა რავიკმა, - ადრე თუ გვიან, ეს გზა ყოველთვის თავდება.

- ხომ იცი, რა მოხდება აქ, თუ ომი დაიწყო?

- თავისთავად ცხადია. საფრანგეთის საკონცენტრაციო ბანაკი. ძალიან მოუწყობელი იქნება, რადგან არაფერია მომზადებული.

- მერე?

რავიკმა მხრები აიჩეჩა.

- ამაზე დიდხანს ფიქრი არ ვარგა, შორს არ უნდა შევტოპოთ მორევში.

- კარგი. მაგრამ იცი თუ არა, რა შეიძლება მოხდეს, აქ რომ ყველაფერი ყირამალა გადატრიალდეს და საკონცენტრაციო ბანაკში აღმოჩნდე? გერმანელები მოგაგნებენ.

- მეცა და ბევრ სხვასაც, ალბათ, რაღა თქმა უნდა. შეიძლება, დროზეც გამოგვიშვან, ვინ იცის!

- მერე?

რავიკმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

- ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, ბორის. საფრანგეთიდან წასვლა არ შემიძლია. სადმე სხვაგან ცხოვრება ან საშიშია ჩემთვის, ან - აუტანელი. მერე, არც მინდა სადმე გავიქცე.

- აღარსად აღარ გინდა წახვიდე?

- არა. უკვე ვიფიქრე ამაზე. ვერ აგიხსნი. ამას კაცი ვერ ახსნის. აღარსად არ მინდა გაქცევა.

მოროზოვი გაჩუმდა. ხალხს გახედა.

- იქ ჟოანია, - თქვა მან.

ქალი ერთ მამაკაცთან ერთად იჯდა შორიახლო, მაგიდასთან, გეორგ მეხუთის ავენიუს მხარეს.

- იმ კაცს იცნობ? - ჰკითხა რავიკს.

რავიკმა გაიხედა.

- არა.

- ჩანს, საკმაოდ ხშირად იცვლის.

- ცხოვრებას ასწრებს, - თქვა რავიკმა გულგრილად, - როგორც უმრავლესობა. სული ეხუთება, ეშინია, ვაითუ, რაიმე გამოეპაროს.

- ამას შეიძლება, სხვა სახელიც ეწოდოს.

- შეიძლება. მაგრამ ამით არაფერი იცვლება. შფოთვა სულისა, ჩემო მოხუცო, ბოლო ოცდახუთი წლის სნეულება. აღარავის სჯერა, რომ თავისი დანაზოგით მშვიდობიანად შეაბერდება წუთისოფელს. ყველა გრძნობს ხანძრის სუნს და ცდილობს, გამოჰგლიჯოს ცხოვრებას ყველაფერი, რისი გამოგლეჯაც შეუძლია. შენ არა. შენ ერთი უწყინარი ფილოსოფოსი ხარ, უბრალო სიამოვნებას სჯერდები.

მოროზოვმა არაფერი უპასუხა.

- ჟოანს ქუდებისა არაფერი გაეგება, - თქვა ისევ რავიკმა. - ერთი, ნახე, რა დაუხურავს! უგემოვნობის განსახიერებაა. ესაა მისი ძალა. კულტურა ადამიანს ასუსტებს. საბოლოოდ, მაინც ყველაფერი ცხოვრების პრიმიტიულ მოთხოვნილებებამდე დადის. შენ ამისი ჩინებული მაგალითი ხარ.

მოროზოვმა ჩაიცინა.

- დამიტოვე ჩემი მდაბალი სიამენი, მაღლა მონავარდე შავარდენო. ვისაც უბრალო გემოვნება აქვს, მას ბევრი რამ მოსწონს, იოლად ასიამოვნებ. ასეთი კაცი ხელცარიელი არასოდეს დარჩება, არც რამეს იზარალებს. სამოცი წლის კაცი რომ სიყვარულს გამოედევნება, იგი იდიოტია - პატიოსან მოგებაზე თამაშობს იმ დროს, როცა სხვები დანიშნული ქაღალდით თამაშობენ. რიგიან საროსკიპოშიც კარგად ვპოულობ სულის სიმშვიდეს. იმ სახლში, სადაც მე დავდივარ, სამოცი ახალგაზრდა ქალია. ორიოდე გროშს გადავიხდი და ნამდვილი ფაშა ვარ. მე იქ უფრო ნაზად მეალერსებიან, ვიდრე სიყვარულის რომელიმე მონას, ბევრს რომ ოხრავს. დიახ, სიყვარულის მონას-მეთქი.

- გაგიგე, ბორის.

- კარგი. მაშ, დავლიოთ ეს გრილი, მსუბუქი „პუიი“ და ვისუნთქოთ პარიზის ვერცხლისფერი ჰაერი, ვიდრე მოწამლულა.

- დავლიოთ. შენიშნე თუ არა, წლეულს წაბლი რომ მეორედ აყვავდა?

მოროზოვმა თავი დაუქნია. ცა უჩვენა, მუქი სახურავების თავზე წითლად და დიდებულად მოციმციმე მარსზე მიუთითა.

- ჰო, შევნიშნე. შეხედე - მარსია. დიდი ხანია, ასე ახლოს არ მდგარა დედამიწასთან[23], - მოროზოვმა გაიცინა. - მალე სადმე წავიკითხავთ: ამა და ამ დედას ეყოლა ბავშვი, რომელსაც სახეზე ხმლისგამოსახულებიანი ხალი აქვსო. სადმე კიდევ სისხლის წვიმა წამოვა. ყორნის ლუკმად ვართ გაჩენილი. შუა საუკუნეების იდუმალი კომეტაღა გვაკლია და ყველა საჭირო ნიშანი მზად იქნება.

- აგერ, კომეტაც, - რავიკმა მიუთითა გაზეთის რედაქციის შენობის თავზე მოკიაფე ელექტრონულ გაზეთზე, რომელზეც სიტყვები თითქოს ერთმანეთს მისდევდნენ; ქვემოთ თავშეყრილ ხალხზე, ტროტუარზე რომ იდგა და გაზეთს ასცქეროდა.

ერთხანს გაჩუმებულები ისხდნენ. მოხეტიალე მუსიკოსი მაგიდებთან მივიდა და აკორდეონზე „მტრედის“ დაკვრას შეუდგა. შემდეგ ნოხით მოვაჭრეები მოვიდნენ. ერთი ყმაწვილი მაგიდებს შორის დაძვრებოდა და ფისტას ყიდდა. ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, ვიდრე გაზეთების გამყიდველები არ გამოჩნდნენ. ახალი გაზეთები მაშინვე დაიტაცეს და ერთ წამში ტერასა დაემსგავსა მსხვერპლს, რომელსაც დახვევია თეთრი, უსისხლო ჩრჩილები, წყნარად რომ არხევენ უფერულ ფრთებს.

- ჟოანი მიდის, - თქვა მოროზოვმა.

- სად?

- ზემოთ.

ჟოანი ქუჩაზე გადადიოდა და ელისეს ველებზე მდგარი მწვანე მანქანისაკენ მიემართებოდა. რავიკს არ უყურებდა. კაცმა, მას რომ ახლდა, მანქანას შემოუარა და საჭეს მიუჯდა. ქუდი არ ეხურა, საკმაოდ ახალგაზრდა იყო. მანქანა მოხერხებულად გამოიყვანა თავისუფალ გზაზე. ეს იყო „დელაეს“ ტიპის დაბალი, მსუბუქი მანქანა.

- მშვენიერი მანქანაა, - თქვა რავიკმა.

- მშვენიერი სალტეებია, - შენიშნა მოროზოვმაც და ჩაიფრუტუნა. - გაუტეხელო, რკინის რავიკო! - დასძინა გაბრაზებულმა. - ნამდვილი წესიერი დასავლეთევროპელი ხარ. მშვენიერი მანქანაა! რომ გეთქვა უბრალოდ - გათახსირებულიო, გაგიგებდი, მაგრამ - „მშვენიერი მანქანაა...“

რავიკმა გაიღიმა.

- რა განსხვავებაა, უნამუსოა თუ წმინდანი - ეს სულ იმაზეა დამოკიდებული, ვინ როგორ შეხედავს... შენ ეს არ გესმის, სამოცი ქალის პატრონს, წყნარი საროსკიპოების სტუმარს. სიყვარული ის ვაჭარი როდია, დაბანდებული კაპიტალის პროცენტებს რომ ითხოვს. ფანტაზიას მხოლოდ წყვილი ლურსმანი ესაჭიროება, რომ ზედ თავისი გადასაფარებელი დაკიდოს, და სულერთია, ეს ლურსმანი ოქროსი იქნება, თუნუქისა თუ ჟანგიანი... სადაც საჭიროა, იქ გამოედება. ყოველი ბუჩქი - ეკლის იქნება იგი თუ ვარდის - „ათას ერთი ღამის“ საოცრებად იქცევა, თუ მასზე მთვარისა და სადაფისაგან მოქსოვილ გადასაფარებელს გადააფარებ.

მოროზოვმა ერთი ყლუპი ღვინო მოსვა.

- ბევრს ლაპარაკობ, - უთხრა რავიკს. - ამას გარდა, სიმართლეს არ ამბობ.

- თვითონაც ვიცი, მაგრამ სრულ წყვდიადში მაცდური შუქიც - შუქია, ბორის.

ეტუალის ქუჩიდან ვერცხლის ფეხებით მოვიდა სიგრილე. რავიკმა ღვინის დაორთქლილ ჭიქას ხელი დაადო. ხელისგული გაუგრილდა, გრილი იყო მისი ცხოვრებაც. ღამის ღრმა სუნთქვა ესალბუნებოდა და გრილ სიოს მოჰყვებოდა გულგრილობა ბედის წინაშე, ბედისა და მომავლის წინაშე. როდის იყო კიდევ ასე განურჩეველი? ანტიბშიო, მოაგონდა, - როცა დარწმუნდა, რომ ჟოანი მიატოვებდა. მაშინ განიცადა გულგრილობა, მშვიდ მორჩილებას რომ ედრებოდა. ასევე გადაწყვიტა ახლაც, რომ პარიზიდან არ გაქცეულიყო. საერთოდ, აღარ გაქცეულიყო. ყველაფერი კრიალოსნის მარცვლებივით ეწყობოდა ერთიმეორეს. სიყვარულსაც ეზიარა, შურისძიების სიამესაც. საკმარისი იყო. აწი არც ერთს ელოდა, არც მეორეს. ჰააკე მოკლა და პარიზიდან არ წასულა. აღარც წავა. ესეც კრიალოსნის მარცვალივით ეწყობოდა დანარჩენს. ვისაც ერთ რამეში ბედმა გაუღიმა, მეორე უნდა დათმოს. ეს არ იყო ქედის მოხრა, არც ცხოვრებაზე ხელის აღება, უბრალოდ, მშვიდი გადაწყვეტილება იყო, ლოგიკას მოკლებული. ყოყმანი დასრულდა, მყარ ნიადაგზე დადგა. რაღაც მოგვარდა და მოწესრიგდა. უნდა იცადოს, გონს მოეგოს და მიმოიხედოს. ეს იყო ერთგვარად მისტიკური რწმენა საკუთარი თავისადმი, ერთგვარი შესვენება, როცა ყოფნა-არყოფნის მთელი საკითხი უნდა გადაეწყვიტა, მთელი ძალა მოეკრიბა. აღარაფერს ჰქონდა მნიშვნელობა. ყველა მდინარე მიყუჩდა. რაღაც ტბა დაირწა ბნელ ღამეში, სულ უფრო გაიშალა და ატორტმანდა... დილა გვიჩვენებს, საით ჩაიღვრება წყლები.

- უნდა წავიდე, - თქვა მოროზოვმა და საათს დახედა.

- კარგი. მე ჯერ დავრჩები, ბორის.

- გინდა, ღმერთების დაისის წინ უკანასკნელი საღამოებით დატკბე, არა?

- სწორედ ასეა. ეს ამბები აღარ განმეორდება.

- განა ეს ცუდია?

- არა. მეორედ ხომ არც ჩვენ მოვალთ. გუშინდელი დღე დაკარგულია, ვერავითარი ცრემლი და ვედრება ვეღარ დაგვიბრუნებს.

- მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობ, - მოროზოვი წამოდგა. - ბედის მადლიერი იყავი, რომ საუკუნის დასასრულს მოესწარი. ეს არ იყო კარგი საუკუნე.

- სამაგიეროდ, ჩვენი საუკუნე იყო. შენ ცოტას ლაპარაკობ, ბორის.

მოროზოვმა თავისი სირჩის ფსკერზე დარჩენილი ღვინო ზეზეურად დალია და მაგიდაზე ისე ფრთხილად დადგა, თითქოს დინამიტი ყოფილიყოს. წვერი მოიწმინდა. სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, დიდი და ძლიერი ჩანდა რავიკის წინ.

- მშვენივრად ვიცი, რატომ არ გინდა აქედან წასვლა, - ხმადაბლა თქვა მან. - საუცხოოდ მესმის, რისთვის რჩები აქ, შე ფატალისტო ჯარაექიმო.

რავიკი ოტელში ადრე დაბრუნდა. ვესტიბიულში დივანზე მოკუნტული ერთი პატარა ფიგურა შენიშნა, რომელიც რავიკის შემოსვლაზე გამოცოცხლდა და ორივე ხელის უცნაური რხევით წამოდგა. ცალი ფეხი არ ჰქონდა, შარვლის ცალი ტოტიდან ხის ფეხი მოუჩანდა.

- ექიმო, ექიმო...

რავიკმა ყურადღებით შეხედა. ფოიეს მკრთალ შუქზე მოღიმარი ყმაწვილი შენიშნა.

- ჟანო! - შესძახა გაოცებულმა. - მართლა ჟანოა!

- სწორია! ოღონდაც! მთელი საღამოა გელოდებით. მხოლოდ დღეს, ნაშუადღევს, გავიგე თქვენი მისამართი. ერთი-ორჯერ ვცადე და კლინიკის უფროს დას ვკითხე, იმ ბებერ ქაჯს. მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავეს მეუბნებოდა: პარიზში აღარ იმყოფებაო.

- ერთ დროს მართლაც არ ვიყავი აქ.

- დღეს, ნაშუადღევს, როგორც იქნა, მითხრა, უკვე პარიზშიაო. აი, მეც მოვედი, - და ჟანოს სახე გაუნათდა.

- შენს ფეხს ხომ არაფერი მოსვლია? - ჰკითხა რავიკმა.

- არაფერი! - ჟანომ ხის ფეხზე ისე დაირაკუნა, როგორც პატრონი მოუთათუნებს ხოლმე ზურგზე ხელს ერთგულ ძაღლს. - აბსოლუტურად არაფერი, ყველაფერი უნაკლოა.

რავიკმა ხის ფეხს შეხედა.

- ვხედავ, სწორედ ისა გაქვს, რაც გინდოდა. როგორ მოაგვარე საქმე სადაზღვევო კომპანიასთან?

- მშვენივრად. მექანიკური პროთეზი მიყიდეს, მაღაზიამ კი თხუთმეტი პროცენტის დაკლებით მომცა ფული. ყველაფერი რიგზეა.

- რძის ფარდულის საქმე როგორღაა?

- ამისათვის მოვედი თქვენთან. ფარდული გავხსენით. პატარაა, მაგრამ ჩვენ გვყოფნის. დედა ვაჭრობს, დახლში დგას. მე კიდევ საქონელს ვყიდულობ და ნავაჭრს ვანგარიშობ. კარგი მომწოდებლები გამოვნახე. პირდაპირ სოფელში.

ჟანო კოჭლობით მივიდა გაცვეთილ სავარძელთან და ყავისფერი, მაგრად შეკრული პაკეტი აიღო.

- ინებეთ, ექიმო! ეს თქვენთვის მოვიტანე. განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ჩვენი ფარდულის საქონელია - პური, კარაქი, ყველი, კვერცხი. თუ კაცს გარეთ გამოსვლის ხალისი არ ექნება, ამითაც კარგი ვახშამი გამოუვა, ხომ მართალია?

ჟანო თვალებში შესცქეროდა რავიკს, რას იტყვისო.

- ღმერთმა ყოველთვისაც მოგვცეს ასეთი ვახშამი, - უთხრა რავიკმა.

ჟანომ კმაყოფილებით დაუქნია თავი.

- იმედი მაქვს, ყველს არ დამიწუნებთ. აქ არის ,,ბრი'' და ,,პონ ლ'ევეკი''.

- ორივე ჩემი საყვარელი ყველია.

- შესანიშნავია! - და აღტაცებისაგან ჟანომ საკუთარ პროთეზზე ხელი მაგრად დაირტყა. - ,,პონ ლ'ევეკი'' დედას იდეა გახლდათ. მე კი ვფიქრობდი, რომ უფრო ,,ბრი'' მოგეწონებოდათ. მამაკაცისათვის ყველაზე შესაფერისი ყველი ,,ბრი'' უნდა იყოს.

- ორივე პირველი კლასის ყველია. უკეთესს ვერც ვინატრებდი. - რავიკმა პაკეტი ხელში აიღო. - გმადლობ, ჟანო. პაციენტები იშვიათად იგონებენ თავიანთ ექიმებს. უფრო ხშირად გადასახადზე სავაჭროდ გვაკითხავენ ხოლმე.

- ეს, ალბათ, მდიდრები, არა? - ჟანომ დაუსტვინა და თავი დააქნია. - ჩვენ კი არ ვართ ასეთები. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ ყველაფერს თქვენ უნდა გიმადლოდეთ! აი, ფეხი რომ მხოლოდ გაშეშებული დამრჩენოდა და არ მოგეკვეთათ, ხომ თითქმის არაფერს მოგვცემდნენ!

რავიკმა შეხედა. გაუკვირდა. ხომ არ ფიქრობს ჟანო, რომ ფეხი მხოლოდ თავაზიანობისათვის მოვკვეთე? - გაიფიქრა თავისთვის.

- სხვა არაფერი შეგვეძლო, უნდა მოგვეკვეთა, ჟანო, - უთხრა ყმაწვილს. - სხვა გამოსავალი არ იყო.

- სწორია, - ეშმაკურად თვალის ჩაკვრით მიუგო ჟანომ. - ნათელია. - ქუდი უფრო ჩამოიფხატა შუბლზე. - ახლა კი უნდა წავიდე. დედა, ალბათ, მელოდება. დიდი ხანია, რაც შინიდან წამოვედი. თანაც ერთ მომწოდებელს უნდა შევხვდე და ახალ როკფორზე მოველაპარაკო. მშვიდობით, ექიმო. იმედი მაქვს, მადიანად მიირთმევთ ყველაფერს.

- მშვიდობით, ჟანო. გმადლობ. ბედნიერებას გისურვებ.

ჟანომ გაიღიმა, თავი დაუქნია და კოჭლობით გავიდა, თავისი თავით კმაყოფილი.

რავიკმა პაკეტი თავის ოთახში გახსნა. ძველებური სპირტქურა გამონახა, რომლითაც წლების მანძილზე არ უსარგებლია. სადღაც მშრალი სპირტის კუბურებიანი პაკეტი და დიდი ხნის უხმარი პატარა ტაფა იპოვა. ორი კუბურა სპირტქურაში ჩაუშვა და აანთო. წვრილი, ლურჯი ალი აციმციმდა. ტაფაზე ცოტა კარაქი დადო, ორი კვერცხი დაახალა და აურია. შემდეგ ახალი, შებრაწული, თეთრი პური დაჭრა, მაგიდაზე ორიოდე გაზეთი დადო, ზედ ტაფა დადგა, პაკეტიდან ბრი ამოიღო, ერთი ბოთლი ,,ვუვრე'' გახსნა და ჭამას შეუდგა. დიდი ხანია, ასე აღარ მოქცეულა. გადაწყვიტა, ხვალ მშრალ სპირტს მოვიმარაგებო. ნავთქურის წაღება ბანაკში არ გაჭირდებოდა, იკეცებოდა.

რავიკი დიდხანს შეექცეოდა თავის ვახშამს, ,,პონ ლ'ევეკიც'' გასინჯა. ჟანო მართალი იყო - ჩინებული ვახშამი გამოვიდა.

## თავი ოცდამეთორმეტე

- ხსნა ეგვიპტიდანაა, - უთხრა ფილოლოგიისა და ფილოსოფიის დოქტორმა ზაიდენბაუმმა რავიკს და მოროზოვს. - ოღონდ ამჯერად - მოსეს გარეშე.

იგი გალეული და გაყვითლებული იდგა „ინტერნასიონალის“ შესასვლელთან. შტერნის, ვაგნერის ოჯახები და უცოლო შტოლცი გარეთ თავიანთ ნივთებს კრავდნენ. საზიაროდ იქირავეს საბარგო მანქანა.

აგვისტოს მზე აცხუნებდა ტროტუარზე დადგმულ ავეჯს. ობუსონის ქსოვილგადაკრული, ოქროთი მოვარაყებული დივანი, ორი მოოქრული სავარძელი და ერთი ობუსონის ნოხი - ეს ყველაფერი შტერნის ოჯახის საკუთრება იყო. ერთი ურთხლის დიდი მაგიდა იდგა ცალკე. სელმა შტერნი, სახედამჭკნარი და ხავერდოვანთვალებიანი ქალი, ისე დასტრიალებდა ამ მაგიდას, როგორც კრუხი წიწილებს.

- ფრთხილად! სახურავი! არ გაკაწროთ, ეს ხომ წითელი ხეა! ზედაპირი-მეთქი! ფრთხილად! ფრთხილად!

ზედაპირი მართლაც სარკესავით პრიალებდა. ერთი იმნაირი ნივთი იყო, რომლისთვისაც დიასახლისები თავიანთ სიცოცხლეს სასწორზე დებენ. სელმა შტერნი თავს დასტრიალებდა მაგიდას, რომელიც ორმა მტვირთავმა გულგრილად გამოიტანა ოტელიდან და ახლა ქუჩაში იდგა.

მაგიდის გაკრიალებული ზედაპირი მზეზე ლაპლაპებდა. სელმა ჩვრით ნერვიულად აპრიალებდა მის კიდეებს. მაგიდაზე, როგორც ბნელ სარკეში, ისე ირეკლებოდა ქალის მკრთალი სახე და, გეგონებოდათ, დროთა სარკიდან, ათასწლეულის გამჭოლი, კითხვით სავსე თვალებით იყურებოდა დედამიწის ყველა ქალის შორეული წინაპარი.

მტვირთავებმა ახლა წითელი ბუფეტი გამოიტანეს. იმასაც ლაპლაპი გაუდიოდა. ერთ-ერთი მტვირთავი მოუქნელად შემობრუნდა და ბუფეტის ერთი კუთხე „ინტერნასიონალის“ კარის წირთხლს მიეჯახა.

სელმა შტერნს არ უყვირია. გაქვავებულივით იდგა ჩვრით ხელში, რომელიც ღიად დარჩენილ პირთან მიეტანა, გეგონებოდათ, პირში ჩვრის ჩატენას რომ აპირებდა, მაშინ გაშეშდაო.

იოსებ შტერნი, მისი ქმარი, დაბალი, სათვალიანი კაცი, ჩამოგდებული ქვედა ტუჩით, ცოლს მიუახლოვდა.

- აბა, ძვირფასო სელმა...

ქალმა არ შეხედა, სადღაც, სივრცეში იყურებოდა.

- ბუფეტი...

- კარგი, ჩემო ძვირფასო სელმა. სამაგიეროდ, ვიზები გვაქვს...

- დედაჩემის ბუფეტი. ჩემი მშობლების...

- კარგი ერთი, სელმა. პატარა ნაფხაჭნია. სულ პატარა განაკაწრი. მთავარია, ვიზები გვაქვს...

- ეს დარჩება. აღარასოდეს გასწორდება.

- მადამ, - უთხრა მტვირთავმა, რომელსაც გერმანული არ ესმოდა, მაგრამ მიხვდა, რაზედაც ლაპარაკობდნენ. - მაშინ, თვითონვე შეკარით თქვენი ბარგი-ბარხანა. ჩემი გაკეთებული კი არ არის ეს ვიწრო კარი.

- ბინძური ბოშები, - თქვა მეორე მტვირთავმა ფრანგულად.

იოსებ შტერნი გამოცოცხლდა.

- ჩვენ ბოშები არ გახლავართ, - უთხრა მტვირთავებს, - ემიგრანტები ვართ.

- ბინძური ემიგრანტები, - ჩაიბურტყუნა მტვირთავმა.

- გესმის, ჩემო სელმა? - იყვირა შტერნმა. - რა თქვა ამ შტერმა! ახლა რა ვქნათ? რა დღეში ჩაგვაგდო შენმა ავეჯმა! კობლენციდან ოთხი თვით გვიან გამოვედით იმიტომ, რომ ამათ ვერ სცილდებოდი. ეს ჩვიდმეტი ათასი მარკა დაგვიჯდა, რაიხიდან გაქცევისათვის რომ დაგვაჯარიმეს. ახლა კი ვდგავართ ქუჩაში, გემი კი არ დაგველოდება. - შტერნმა თავი გვერდზე გადააგდო და შეწუხებულმა მოროზოვს შეხედა.

- რა უნდა ქნას კაცმა? - ჰკითხა. - ბინძური ბოშებიო, ბინძური ემიგრანტებიო! თუ ვიტყვი, ებრაელები ვართ-თქო, მაშინ გვეტყვიან: ბინძური ურიებიო, და ამით ყველაფერი გათავდება.

- მიეცით ფული, - ურჩია მოროზოვმა.

- ფული? სახეში მომახლის.

- არავითარ შემთხვევაში! - შეედავა რავიკი, - ვინც ასე იგინება, ყოველთვის ადვილი მოსათაფლავია.

- ეს ჩემს ხასიათს არ ეწყობა. დაზარალებული მე ვარ და ფულიც მე გადავიხადო?

- ნამდვილი შეურაცხყოფა იქ იწყება, სადაც პირადად გვაყენებენ შეურაცხყოფას, - აუხსნა მოროზოვმა. - ეს ზოგადი შეურაცხყოფა იყო. თქვენ კი, ადექით და, პირადად შეურაცხყავით ის კაცი - ფული მიეცით.

შტერნის თვალებში ღიმილმა გაიკიაფა.

- კარგი, - უთხრა მოროზოვს. - კარგი.

ორი თუ სამი საკრედიტო ბილეთი ამოიღო და მტვირთავებს გაუწოდა. ფული აგდებულად აიღეს. შტერნმაც არანაკლებ აგდებულად ჩაიდო ჯიბეში თავისი საფულე. მტვირთავებმა მიმოიხედეს და ობუსონის სავარძლების დატვირთვას შეუდგნენ. ბუფეტი პრინციპისათვის ბოლოს აიღეს და მანქანაზე ისე დადგეს, მარჯვენა მხარე ძარას კედელს გაეხახუნა. სელმა შტერნი შეკრთა, მაგრამ არაფერი

უთქვამს. შტერნს ეს არც კი შეუნიშნავს. თავისი ვიზისა და ქაღალდების დათვალიერებით იყო გართული.

- არაფერი ისე უბადრუკად არ გამოიყურება, როგორც ავეჯი ქუჩაში, - თქვა მოროზოვმა.

ახლა ვაგნერის ოჯახის ნივთებს მიუბრუნდნენ.

- ნათესავებმა, - თქვა ლეონი ვაგნერმა, - ჩიკაგოში მცხოვრებმა ნათესავებმა მოგვიხერხეს ეს ყველაფერი, ფულიც გამოგვიგზავნეს და ვიზაც გვიშოვეს. თუმცა, მხოლოდ ტურისტული ვიზაა. შემდეგ მექსიკაში უნდა წავიდეთ. ყველაფერ ამაზე სულ ნათესავებმა იზრუნეს. ჩვენმა ნათესავებმა.

თავს უხერხულად გრძნობდა იმათ წინაშე, ვინც რჩებოდა, თავი დეზერტირად წარმოედგინა. ამიტომ, რაც შეიძლებოდა, მალე უნდოდა, გამგზავრებულიყო. მანქანის დატვირთვაშიც ამიტომ ეხმარებოდა მუშებს. ოღონდ უახლოეს კუთხეს მიეფაროს, თავისუფლად ამოისუნთქავს. მაგრამ მაშინვე ახალი სადარდებელი იჩენს თავს. გავა თუ არა გემი? ან უკან ხომ არ დააბრუნებენ? ერთ შიშს მეორე მოსდევდა. ასე იყო წლების განმავლობაში.

უცოლო შტოლცს თითქმის არაფერი ჰქონდა, წიგნების გარდა. ერთი ჩემოდანი ტანისამოსი და ბიბლიოთეკა: პირველი გამოცემები, ძველი და ახალი წიგნები. გაუპარსავი, წითელწვერა და ჩუმი კაცი იყო.

ემიგრანტები ნელა გროვდებოდნენ ოტელის კართან და სადარბაზოში. ისინი უხმოდ შესცქეროდნენ ნივთებსა და საბარგო მანქანას.

- ნახვამდის, - თქვა ლეონი ვაგნერმა მოუთმენლად, როცა ყველაფერი დატვირთეს. - ან „გუდ ბაი“, - დაბნეულად გაიცინა. - ან „ადიე!“ ახლა ისე არეულია ყველაფერი, ვერც კი იპოვი სათქმელს.

თანამემამულეებს ჩამოუარა და სათითაოდ ყველას ხელი ჩამოართვა.

- ეს ნათესავებმა, - ამბობდა თანაც, - ნათესავებმა. ჩვენ თავად, რა თქმა უნდა, ვერასოდეს...

უეცრად ხმა ჩაუწყდა. დოქტორმა ერნსტ ზაიდენბაუმმა მხარზე ხელი მოუთათუნა.

- არაფერია. ზოგს უღიმის ბედი, ზოგს - არა.

- უმრავლესობას - არა, - დასძინა ემიგრანტმა ვიზენჰოფმა. - არაფერია. ბედნიერი მგზავრობა!

იოსებ შტერნი რავიკს, მოროზოვსა და კიდევ ერთ-ორ კაცს გამოემშვიდობა. ისე დამნაშავესავით იღიმებოდა, თითქოს ყალბი ფულის მოჭრაში ემხილოთ.

- ვინ იცის, როგორ შეტრიალდება საქმე. შეიძლება „ინტერნასიონალი“ კიდევაც მოგვენატროს.

სელმა შტერნი უკვე ჩაჯდა მანქანაში. სალთი შტოლცი არავის დამშვიდობებია. ამერიკაში არ მიდიოდა. პორტუგალიის ვიზა ჰქონდა და მიაჩნდა, რომ ეს საზეიმო

გამომშვიდობებად არ ღირდა. მხოლოდ ერთხელ დაუქნია ყველას ხელი, როცა მანქანა გრიალით დაიძრა.

დარჩენილები ისე შეყუჟულიყვნენ, როგორც ქათმები წვიმაში.

- მოდი, - უთხრა მოროზოვმა რავიკს, - „კატაკომბაში“ წავიდეთ. უკალვადოსოდ ვერ გადავრჩებით!

ძლივს მოასწრეს დაჯდომა, რომ სხვებიც შემოვიდნენ.

ჯერ კიდევ ძალიან ადრე იყო ვახშმობა, მაგრამ ეტყობოდათ, არც ერთს არ სურდა თავის უბადრუკ ნომერში ასვლა.

- არისტოკრატია უკვე გამგზავრებულია, - თქვა ზაიდენბაუმმა. - აქ ახლა მხოლოდ სამუდამო პატიმრობისათვის განწირულთა თუ სიკვდილმისჯილთა კრებაა. რჩეული ხალხი! იეჰოვას საყვარელი მოდგმა! საგანგებოდ ასაწიოკებლად ამორჩეულნი. გაუმარჯოს სიცოცხლეს!

- მარაგში გვაქვს ესპანეთი, - თქვა ფინკენშტაინმა. წინ საჭადრაკო დაფა და გაზეთი „მარტენი“ ედო საჭადრაკო ამოცანისთვის.

- ესპანეთი! როგორ არა! ფაშისტები პირს დაუკოცნიან ებრაელებს, თუ ესტუმრებიან!

სქელ-სქელმა, მოქნილმა კელნერმა ქალმა კალვადოსი მოიტანა. ზაიდენბაუმმა პენსნე გაიკეთა.

- დათრობაც არ შეგვიძლია, - თქვა მან, - ერთი ღამით მაინც რომ დავივიწყოთ ყველაფერი. ერთხელ მაინც! აჰასფერის[24] შთამომავალნი! დღეს თვით ეს ძველი მოხეტიალე წინაპარი ჩავარდებოდა სასოწარკვეთილებაში. უპასპორტოდ ფეხს ვერსად გადგამდა.

- ერთი ჭიქა დაგვილიეთ, - უთხრა მოროზოვმა. - კარგი კალვადოსია. მადლობა ღმერთს, დიასახლისმა არ იცის, თორემ უსათუოდ ფასს აუწევდა.

ზაიდენბაუმმა თავი გადააქნია.

- არ ვსვამ.

რავიკმა მოულოდნელად შენიშნა კაცი, რომელსაც დიდი ხანია პირი არ გაეპარსა, წამდაუწუმ იღებდა ჯიბიდან სარკეს და შიგ იხედებოდა.

- ვინ არის ის კაცი? - ჰკითხა ზაიდენბაუმს. - აქ არასოდეს მინახავს.

ზაიდენბაუმმა ტუჩები დამანჭა.

- ახლად გამომცხვარი აარონ გოლდბერგი გახლავთ.

- ესე იგი, როგორ? განა გოლდბერგის ცოლი ასე მალე გათხოვდა?

- არა. განსვენებულის პასპორტი მიჰყიდა ქვრივმა, ორი ათას ფრანკად. მოხუც გოლდბერგს ჭაღარა წვერი ჰქონდა, ამიტომ ჩქარობს წვერის დაყენებას, პასპორტის ფოტოსურათს რომ დაემსგავსოს. ნახე, როგორ იწიწკნის, იჭიმავს წვერს. არ სჯერა,

რომ პასპორტის გამოყენებას მოახერხებს, ვიდრე მსგავსი წვერი არ ექნება. ესაა სრბოლა დროის წინააღმდეგ.

რავიკი თვალს ადევნებდა კაცს, თავის ჯაგარს რომ სწევდა, ნერვიული ხელებით იწეწავდა და პასპორტის სურათს ამსგავსებდა.

- უკიდურეს შემთხვევაში, შეუძლია თქვას, წვერი დამეწვაო.

- კარგი იდეაა. ამას ვეტყვი. - ზაიდენბაუმმა პენსნე მოიხსნა და მას ქნევას მოჰყვა. - საკმაოდ საჩოთირო საქმე გამოვიდა, - გაიცინა. - ორი კვირის წინ ეს უბრალოდ სავაჭრო გარიგება იყო. ახლა ვიზენჰოფი უკვე ეჭვიანობს, რუთ გოლდბერგი კი საკმაოდ შეცბუნებულია. ქაღალდს დემონური ძალა აქვს - ქაღალდის ძალით ხომ ეს კაცი რუთის ქმარია!

ამ სიტყვებზე იგი წამოდგა და ახალი გოლდბერგისაკენ გაემართა.

- ქაღალდის დემონური ძალა მომწონს, კარგი ნათქვამია, - მიუბრუნდა მოროზოვი რავიკს. - დღეს რას აკეთებ?

- კეტ ჰეგსტრემი „ნორმანდიას“ მიჰყვება დღეს, საღამოს. შერბურში ჩავიყვან თავისი მანქანით. შემდეგ მანქანას გარაჟის პატრონს მივუყვან. კეტმა მას მიჰყიდა.

- შეუძლია გამგზავრება?

- როგორ არა. ახლა უკვე სულერთია, რას გააკეთებს. გემზე კარგი ექიმია. ნიუ-იორკში კი... - რავიკმა მხრები აიჩეჩა და თავისი სირჩა დაცალა.

„კატაკომბაში“ დახუთული ჰაერი იდგა. დარბაზი უფანჯრო იყო. დამტვერილი, უბადრუკი პალმის ქვეშ მოხუცი ცოლ-ქმარი იჯდა. ორივე ღრმად ჩაფლულიყო ნაღვლის ზღვაში, გარშემო რომ შემორტყმოდათ. უძრავად ისხდნენ, ხელიხელჩაკიდებულნი, და ისე დაემძიმებინა კაეშანს, იფიქრებდით, ვეღარასოდეს წამოდგებიანო.

მაგიდასთან, რავიკის გვერდით, ორნი ისხდნენ. ერთი იყო ქალი, რომელსაც თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი, მეორე კი მისი ქმარი. მათ წინ იდგა რვა წლის ბიჭი. იგი აქამდე მაგიდებს შორის დაძვრებოდა და სტუმართა საუბარს უსმენდა, ახლა კი მშობლებთან დაბრუნდა.

- რატომ ვართ ურიები? - ჰკითხა ქალს.

ქალმა არ უპასუხა.

რავიკმა მოროზოვს გადახედა.

- უნდა წავიდე, - უთხრა, - კლინიკაში.

- მეც უნდა წავიდე.

კიბე აიარეს.

- ეს კი მეტისმეტია, - თქვა მოროზოვმა. - ამას ვამბობ მე, ყოფილი ანტისემიტი.

„კატაკომბის“ შემდეგ კლინიკა საკმაოდ ოპტიმისტური ეჩვენა. აქაც იყო ტანჯვა, სნეულება და სიღატაკე - მაგრამ აქ ყოველივე ამას ჰქონდა რაღაც აზრი და ლოგიკა. ადამიანმა იცოდა, რატომ იყო ეს ასე, რისი გაკეთება შეიძლებოდა და რისი - არა. ეს იყო ფაქტები. კაცი მათ ხედავდა და ზომებსაც იღებდა, იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა ამა თუ იმ სატკივრის წინააღმდეგ.

ვებერი თავის ოთახში იჯდა და გაზეთს კითხულობდა. რავიკი უკან დადგა და სათაურებს გადაავლო თვალი.

- აი, ეს მაგარია, არა? - ჰკითხა ვებერს.

ვებერმა გაზეთი იატაკზე დააგდო.

- მოსყიდული ბანდა! ჩამოსახრჩობია ჩვენი პოლიტიკოსების ორმოცდაათი პროცენტი.

- ოთხმოცდაათი! - დააზუსტა რავიკმა. - როგორ არის ის ქალი, დიურანის კლინიკაში რომ წევს?

- მოიკეთა, - ვებერმა სიგარა აიღო, თითები უთრთოდა. - თქვენთვის ეს უბრალო ამბავია, რავიკ, მაგრამ მე ფრანგი ვარ.

- მე საერთოდ არავინ ვარ. მაგრამ ვისურვებდი, გერმანიაც, საფრანგეთივით, მხოლოდ მოსყიდული ყოფილიყო.

ვებერმა მორიდებით ახედა.

- სისულელეს ვლაპარაკობ, მაპატიეთ. - სიგარის მოკიდება დაავიწყდა. - ომი არ იქნება, რავიკ! უბრალოდ, შეუძლებელია, ომი გაჩაღდეს! არის ერთი ღრიალი, მუქარა და ორომტრიალი. გადამწყვეტ წამს კიდევ რაიმე მოხდება! - გაჩუმდა. ადრინდელი თავდაჯერებულობის კვალიც არ დარჩენოდა. - ბოლოს და ბოლოს, ჩვენ გვაქვს მაჟინოს ხაზი, - წარმოთქვა თითქმის მავედრებელი კილოთი.

- რა თქმა უნდა, - მიუგო რავიკმა, არცთუ ძლიერ დამაჯერებლად. ათასჯერ მაინც გაუგონია ეს მოსაზრება. ფრანგთა საუბარი, ჩვეულებრივ, ამით თავდებოდა ხოლმე.

ვებერმა შუბლი მოიწმინდა.

- დიურანმა თავისი კაპიტალი ამერიკაში გადარიცხა. ასე მითხრა მისმა მდივანმა ქალმა.

- ტიპური ამბავია.

ვებერმა რავიკს ტანჯული სახით გადახედა.

- მარტო მან კი არა, ჩემმა სიმამრმაც თავისი ფრანგული ქაღალდები ამერიკულზე გადაცვალა. გასტონ ნერემ თავისი ფული დოლარებად აქცია და სეიფში ინახავს. დიუპონმაც ორი ტომარა ოქრო დამარხა თურმე ბაღში. - ვებერი წამოდგა. - არ შემიძლია ამაზე ლაპარაკი. საკუთარ თავს არ ვუჯერებ. შეუძლებელია. შეუძლებელია, რომ საფრანგეთი გაყიდონ და გასცენ. თუ ჩვენს ქვეყანას საფრთხე დაემუქრება, ყველა ერთად იქნება. ყველა.

- ყველა, - თქვა რავიკმა ისე, რომ არც გაღიმებია, - მწარმოებლებიც და პოლიტიკოსებიც, რომლებიც უკვე გერმანიასთან აწყობენ გარიგებებს.

ვებერმა თავი ძლივს შეიკავა.

- რავიკ... ჩვენ... ჯობს, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

- კარგი. კეტ ჰეგსტრემს ჩავიყვან შერბურში. შუაღამისას დავბრუნდები.

- ძალიან კარგი, - ვებერი სულს ძლივს ითქვამდა. - თქვენ... თქვენ რაღას აპირებთ, რავიკ?

- არაფერს. საფრანგეთის ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში წავალ: გერმანულზე უკეთესი იქნება.

- გამორიცხულია. ეს არ მოხდება. საფრანგეთი ლტოლვილებს ციხეებში არ ჩაყრის.

- რატომ? ეს თავისთავად იგულისხმება და კაცი ვერაფერს იტყვის.

- რავიკ...

- კარგი. ვნახოთ. იმედი ვიქონიოთ, რომ თქვენ მართალი იქნებით. გაიგეთ, ლუვრი უნდა დაცარიელდესო? ევაკუაციაა, რჩეული სურათები შუა საფრანგეთში მიაქვთ.

- არ ვიცი. ეს საიდან გაიგეთ?

- დღეს, ნაშუადღევს, ვიყავი იქ. შარტრის ტაძრის ფანჯრების ლურჯი მინებიც შეუკრავთ. იქ გუშინ ვიყავი. სენტიმენტალური მოგზაურობა გახლდათ. ერთხელ კიდევ მომინდა მათი დათვალიერება, მაგრამ დამაგვიანდა. უკვე წაღებული ჰქონდათ. აეროდრომი ხომ ახლოსაა. ახალი მინების ჩასმაც მოუსწრიათ. ასე იყო შარშან, მიუნხენის კონფერენციის დროს.

- აი, ხედავთ! - ვებერი მაშინვე ჩაეჭიდა ამ არგუმენტს, - ხომ არაფერი მომხდარა მაშინ! იყო ერთი შეხლა-შემოხლა, დავა და მღელვარება, მერე კი ჩემბერლენი მოვიდა მშვიდობის ქოლგით ხელში.

- დიახ. მშვიდობის ქოლგა ჯერ ისევ ლონდონშია... გამარჯვების ქალღმერთიც ლუვრში დგას... ოღონდ უთავოდ. ნიკეც პარიზში რჩება. მეტისმეტად მძიმეა, ვერსად წაიღებენ... უნდა წავიდე. კეტ ჰეგსტრემი მელოდება.

*

,,ნორმანდია“ ნავსადგურში იდგა. ღამე იყო და ხომალდზე ათასობით ჩირაღდანი ენთო. ზღვიდან მლაშე, გრილი ქარი უბერავდა. კეტ ჰეგსტრემმა პალტო შემოიხვია. ძვალი და ტყავიღა იყო დარჩენილი. ყვრიმალებს ზემოთ, როგორც ორი ბნელი ტბა, შემაძრწუნებლად უციმციმებდა დიდრონი თვალები.

- სიამოვნებით დავრჩებოდი, - უთხრა რავიკს. - არ ვიცი, რატომ მიმძიმს აქედან წასვლა.

რავიკმა ყურადღებით შეხედა. აი, უზარმაზარი გემი გაჩახჩახებული ტრაპით. ადამიანები უწყვეტ ნაკადად მიედინებიან მისკენ. ზოგი ისე ჩქარობს, თითქოს

ეშინიათ, არ დაგვაგვიანდესო. აი, აბდღვრიალებული სასახლე, რომელსაც ,,ნორმანდია'' კი აღარ ჰქვია, არამედ თავის დაღწევა, გაქცევა, ხსნა. ევროპის ათასობით ქალაქში, ჭუჭყიან ოტელებსა და სარდაფებში ათიათასობით ადამიანისათვის ეს იყო მიუწვდომელი ოცნების საგანი. მის გვერდით კი დგას ქალი, რომლის ორგანიზმს სიკვდილი შთანთქავს, და ნაზი, საამური ხმით ამბობს: ,,სიამოვნებით დავრჩებოდი''.

ყველაფერმა დაკარგა აზრი. ,,ინტერნასიონალში'' მცხოვრები ემიგრანტებისათვის, ევროპაში გაბნეული ათასობით ,,ინტერნასიონალისათვის'', ყველა დევნილის, წამებულის, ლტოლვილისათვის ეს აღთქმული ქვეყანა იყო. სიხარულით ჭკუას დაკარგავდნენ, ცრემლად დაიღვრებოდნენ, ტრაპს დაკოცნიდნენ, ყველა სასწაულს ირწმუნებდნენ, რომ ჰქონოდათ ბილეთი, რომელიც ახლა მის გვერდით მდგარი ქალის დაღლილ ხელში თრთოდა, ბილეთი იმ ადამიანისა, რომელიც თავისი სიკვდილის შესახვედრად მიდიოდა და თან ამბობდა: ,,სიამოვნებით დავრჩებოდიო''.

გამოჩნდა ამერიკელთა ერთი ჯგუფი. მშვიდად, ნელა მიდიოდნენ და ხმამაღლა და თავისუფლად საუბრობდნენ. სად ეჩქარებოდათ! საელჩომ დააჩქარა მათი გამგზავრება და ამაზე ჰქონდათ ახლა სჯა-ბაასი. საწყენი კია! კარგი იქნებოდა აქ დარჩენა, საკუთარი თვალით ნახავდნენ, როგორ წარიმართებოდა მოვლენები. ამერიკელებს რა უნდა მოსვლოდათ? აქ არ იყო საელჩო? შტატები ნეიტრალიტეტს იცავდა! სწორედაც საწყენია!

სუნამოს სურნელება. სამკაულები. ბრილიანტების ბრწყინვალება. ორიოდე საათის წინ ,,მაქსიმში'' ისადილეს. დოლარზე თუ გადაიყვან, დანახარჯი სასაცილოდ იაფი დაჯდა. მერე, როგორი ,,კორტონი'' იყო, 1929 წლისა, ან ,,სოლ როჟე'', 28 წლისა, ბოლოს მოიტანეს! ახლა ხომალდზე, ბარში დასხდებიან, ბეკგემენს ითამაშებენ, ორიოდე ჭიქა ვისკის დალევენ. საკონსულოების წინ კი გრძელ რიგებად დგანან ადამიანები, შიშით გათანგულები, იმედგადაწურულები, ხოლო მისაღებებში - მუშაობით ქანცგაწყვეტილი თანამშრომლები. სამხედრო-საველე სასამართლოს მოხელე დროდადრო თავის ქნევით იმეორებს განაჩენს: ,,არა, ვიზა არ არის! არა, შეუძლებელია!'' სასიკვდილო განაჩენს ისმენენ უდანაშაულო ადამიანები... რავიკმა გემს შეხედა. ეს უკვე გემი კი აღარ იყო, არამედ კიდობანი, მსუბუქი კიდობანი, ზღვაში გასული, რათა წარღვნას გაერიდოს... ან წარღვნას ერთხელ გადარჩა, მაგრამ ახლა მისი ტალღები ისევ მოიგრაგნებიან, რომ გაიტაცონ, თან წარიტანონ.

- დროა, ახვიდეთ, კეტ.

- დროა? მშვიდობით, რავიკ.

- მშვიდობით, კეტ.

- ერთმანეთს ნუ მოვატყუებთ, ხომ მართალია?

- მართალია, კეტ.

- ჩამოდით მალე...

- უეჭველად, კეტ. მალე...

- მშვიდობით, რავიკ. ყველაფრისათვის მადლობელი ვარ. ახლა წავალ. გემზე ავალ და იქიდან ხელს დაგიქნევთ. აქ დარჩით, ვიდრე გემი გავა, და თქვენც ხელი დამიქნიეთ.

- კარგი, კეტ.

ქალი ნელა, ოდნავ ბარბაცით ადიოდა გემის ტრაპზე. ტანკენარი, ირგვლივმყოფთა შორის გარდაუვალი სიკვდილის თვალბედითი სიკოხტავით გამორჩეული, მიდიოდა, ვითარცა უხორცო, სახე მხნე ჰქონდა, თავი - ეგვიპტური ბრინჯაოს კატისა, სახის ნაკვთები, სუნთქვა და თვალებიღა დარჩენილიყო.

რავიკი თვალებით კეტ ჰეგსტრემს დაეძებდა. მალე იპოვა. გემის ქიმზე იდგა და ხელს უქნევდა. რავიკმაც დაუქნია.

თითქოს დაიძრა თეთრი ხომალდი. თითქოს ხმელეთმა უკან დაიწყო დახევა. ოდნავ, ძლივს შესამჩნევად. ანაზდად „ნორმანდია“ ნამდვილად დაიძრა და წავიდა. მიარღვევდა მრუმე წყალს, მრუმე ცის დასალიერისაკენ, მიუწვდომელი. რავიკი ვეღარ ხედავდა კეტ ჰეგსტრემს. ნაპირზე დარჩენილები ერთიმეორეს შესცქეროდნენ უსიტყვოდ, დაბნეულები, ზოგი ნაძალადევად მხიარულობდა. მერე ყველანი თავისი გზით წავიდნენ, ზოგი სწრაფად, ზოგი ნელა, უგუნებოდ.

დაისის ბინდში მანქანა უკან, პარიზისაკენ მიქროდა. გზის ორივე მხარეს ნორმანდიის ბუჩქნარებსა და ხეხილის ბაღებს იტოვებდა უკან. ბადრი მთვარე ნისლიან ცაზე მიცურავდა. რავიკს გემი უკვე დაავიწყდა. დარჩა მხოლოდ პეიზაჟი, თივისა და მწიფე ვაშლების სუნი, ყოველივე უცვლელის სიწყნარე და სრული სიმშვიდე.

მანქანა თითქმის უხმოდ მისრიალებდა. ისე მიქროდა, თითქოს სიმძიმე დაჰკარგვიაო. გვერდით ერთიმეორეს მისდევდნენ სახლები, ეკლესიები, ხეები, დუქნებისა და ბისტროების ოქროსფერი შუქის ლაქები, მოლიცლიცე მდინარე, წისქვილი და ისევ ტაფობის ბრტყელი კონტურები, რომლის თავზეც აზიდულიყო ცის თაღი, მსგავსი გიგანტური ნიჟარის შიდა მხარისა, სადაც ნაზ, რძისფერ სადაფში მარგალიტისებრი მთვარე ციმციმებდა.

ეს იყო დასასრული და აღსასრული. რავიკს არაერთხელ ჰქონია ასეთი გრძნობა, მაგრამ ამჯერად იგი ძალზე ძლიერი და უსაშველო იყო, ძვალსა და რბილში გასჯდომოდა და გაძალიანებაც აღარ შეეძლო.

ყველაფერი თითქოს ჰაერში დაფრინავდა, მსუბუქი და უწონო გამხდარიყო. მომავალი შეხვდა წარსულს და აღარ იყო აღარც სურვილი, აღარც ტკივილი. წარსულიც და მომავალიც ერთნაირად მნიშვნელოვანი ჩანდა. ჰორიზონტი ჰორიზონტს გაუსწორდა და ერთ რომელიღაც წამს ყოფნა-არყოფნის სასწორის პინები გაწონასწორდა. ბედისწერა ვერასოდეს იქნება მშვიდ სიმამაცეზე ძლიერი, მაგრამ, თუ მთლად აუტანელი გახდება ცხოვრება, შეიძლება თავის მოკვლა. კარგია ამის ცოდნა, მაგრამ კიდევ უკეთესი იმის შეგნება, რომ ვიდრე ცოცხალი ხარ, არაფერია საბოლოოდ დასრულებული.

რავიკმა იცოდა, რომ საფრთხე ელოდა. იცოდა, საითაც მიდიოდა, და ისიც იცოდა, რომ ხვალ ისევ დაიცავდა თავს... მაგრამ ამ ღამით, სადღაც არარატის მიკარგული სანაპიროდან უკან დაბრუნებისას, მოახლოებული კატასტროფის ხმაურისა და

სისხლის სუნში ანაზდად ყველაფერი უჩვეულო გამხდარიყო, ყველაფერმა დაკარგა აზრი: საფრთხე რჩებოდა საფრთხედ და მაინც არ იყო საფრთხე. ბედისწერა იყო მსხვერპლიც და ღვთაებაც, რომელსაც მსხვერპლს სწირავენ. ხვალინდელი დღე კი სრულიად შეუცნობელ სამყაროდ ეჩვენებოდა.

ყველაფერი კარგად იყო. ის, რაც მოხდა, და ისიც, რაც უნდა მომხდარიყო. ყველაფერი საკმაოდ იყო. თუ აღსასრული დადგებოდა, მერე რა მოხდა! ერთი ადამიანი შეიყვარა და დაკარგა. მეორე შეიძულა და მოკლა. ორივემ თავისუფლება მიანიჭა. ერთმა მისი გრძნობა ახლა ააგიზგიზა, მეორემ წარსულის ხსოვნის ცეცხლი ჩაუქრო. სისრულეში რომ არ მოეყვანოს, ისეთი აღარაფერი დარჩენია. არ ჰქონდა აღარც სურვილი, აღარც სიძულვილი, აღარც საწუწუნო. თუ რაიმე ახლად უნდა დაიწყოს, დაე, დაიწყოს. შეიძლება დაიწყო, როცა უკვე აღარაფერს ელი და ყველაფრისათვის მზად ხარ, როცა დიდი გამოცდილება გაქვს. ფერფლი გადახვეტილია, პარალიზებული ადგილები - მომთავრებული. ცინიზმი ძალად ექცა. ეს კარგი იყო.

კანის იქით ცხენები შემოხვდა. გზას მიჰყვებოდნენ გრძელ რიგებად. ცხენები, ცხენები, ლანდებს რომ ჰგავდნენ მთვარის შუქზე. უკან მოჰყვებოდნენ ოთხრიგად დაწყობილი სამარშო კოლონები. მამაკაცებს ფუთები, მუყაოს ყუთები და პაკეტები მიჰქონდათ. მობილიზაცია დაიწყო.

თითქმის უხმაუროდ მიდიოდნენ. არავინ მღეროდა. კანტიკუნტად თუ იტყოდნენ ორ სიტყვას, თორემ ყველა დუმდა. ჩუმად მიდიოდა მთვარიან ღამეში აჩრდილთა კოლონები, ქუჩის მარჯვენა მხარეს მიჰყვებოდა, რომ მარცხენა მხარეს მანქანებს თავისუფლად ევლოთ.

რავიკი ხან ერთს გაუსწრებდა, ხან - მეორეს. ცხენებიო, ფიქრობდა. ცხენები. როგორც 1914 წელს. ტანკები კი არა - ცხენები.

ბენზინის სვეტთან მანქანა შეაჩერა და ბენზინი ჩაასხმევინა. პატარა სოფლის სახლების სარკმლებში ჯერ კიდევ ციმციმებდა შუქი, მაგრამ გარშემო სრული დუმილი სუფევდა. კოლონამ ჩაუარა. ხალხი თვალს აყოლებდა, მაგრამ ხელს არავინ უქნევდა.

- ხვალ მეც მივდივარ, - თქვა ერთმა კაცმა ბენზინის წერტში. გლეხური, გარუჯული სახე ჰქონდა. - მამაჩემი წინა ომში დაიღუპა, პაპაჩემი - 1871 წელს. ხვალ მეც მივდივარ. ყოველთვის ერთი და იგივე ხდება. უკვე რამდენიმე ასეული წელია, მივდივართ და მივდივართ ომში, ვინ გვეკითხება, გვინდა თუ არა.

ძველ ბენზინის სვეტს შეხედა, მერე პატარა სახლსა და ქალს, უსიტყვოდ რომ იდგა მის გვერდით.

რავიკი ვარდისფერი სახლის წინ იჯდა და მარტო შეექცეოდა ვახშამს. მდელოზე ღამის ნისლი ჩამოწვა. ბაყაყები ყიყინებდნენ. სიჩუმე იყო. მხოლოდ სადღაც, ზედა სართულზე ლაპარაკობდა რადიო. დიქტორის დამამშვიდებელი, დამაჯერებელი და სრულიად არაფრისმთქმელი ხმა ისე იკარგებოდა, როგორც ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ყველა უსმენდა და არავის სჯეროდა მისი.

რავიკმა დანახარჯი გადაიხადა.

- პარიზს ჩააბნელებენ, - თქვა დიასახლისმა. - ეს-ეს არის, რადიოთი გამოაცხადეს.

- მართლა?

- დიახ. თვითმფრინავების თავდასხმის საწინააღმდეგოდო, სიფრთხილისათვისო. რადიოში ასე ამბობენ, ყველაფერი სიფრთხილისათვის ხდებაო. ომი არ იქნებაო. მოლაპარაკება მიმდინარეობსო. რას იტყვით?

- არ მჯერა, რომ ომი დაიწყება, - მიუგო რავიკმა. მაშ, რა უნდა ეთქვა?

- ღმერთმა ქნას. მაგრამ სად არის საშველი? გერმანელები პოლონეთს ხელში ჩაიგდებენ. მერე ელზას-ლოტარინგია მოუნდებათ, შემდეგ კოლონიები. მერე კიდევ რაიმე. ასე გაგრძელდება, ვიდრე არ დავნებდებით ან ომს არ ავტეხთ. ბარემ, ერთბაშად მოხდეს მოსახდენი.

დიასახლისი აუჩქარებლად შევიდა სახლში. ქუჩაში ახალი კოლონა გამოჩნდა.

ჰორინტზე პარიზის წითელი დაფიონი გამოჩნდა. დაბნელება... პარიზი დასაბნელებელი გახდა. თუმცა, რა არის გასაკვირი? სადაცაა, ომი დაიწყება, მაგრამ რაღაც უცნაურად ჟღერს: პარიზი სიბნელეში ჩაიძირება. პარიზი! თითქოს ქვეყნიერების მნათობი დაბნელდებაო.

გარეუბნები. სენა. პატარა ქუჩაბანდების ფუსფუსი. ტრიუმფალური თაღისაკენ ისარივით სწორად მიმავალი ავენიუ.

რავიკმა შვებით ამოისუნთქა. გზა განაგრძო. მანქანას ქალაქში მიაქროლებდა და უეცრად დაინახა: წყვდიადი მართლა იწყებდა ქალაქზე ჩამოწოლას. კრიალა კანზე რომ ქეცის ფუფხი დაეყრება ხოლმე ადამიანს, სწორედ ასე ჩნდებოდა ბნელი ლაქები ხან სად და ხან სად. სარეკლამო შუქის ფერთა ლივლივი ალაგ-ალაგ გრძელმა ჩრდილებმა ჩაყლაპა, მრისხანე მუქარით რომ მიმალულიყვნენ აქა-იქ დარჩენილ ელდანაკრავ თეთრსა და წითელ, მწვანესა და ლურჯ ფერებს შორის. ზოგიერთი ქუჩა სულაც დაბრმავდა, თითქოს შავი მატლები შესჯდომიან და მთელი შუქი ჩაუხშვიათო. გეორგ მეხუთის ავენიუზე ერთი ნათურაც აღარ ციმციმებდა. მონტენის ავენიუზეც მიმქრალიყო უკანასკნელი შუქი. შენობები, რომლებიც ყოველღამე შუქის კასკადებს ვარსკვლავეთში აფრქვევდნენ, ახლა ბნელში დაყუდებულიყვნენ თავიანთი გაშიშვლებული, რუხი ხედებით. ვიქტორ ემანუილ მესამის ავენიუს ნახევარიც ჩააბნელეს. მეორე ნახევარი განათებული იყო პარალიზებული სხეულივით, ნახევარი რომ მკვდარია და ნახევარი ჯერ კიდევ ცოცხლობს. სნეულებას შეეღწია ყველგან და, როცა რავიკმა თანხმობის მოედანს მიაღწია, მისი უზარმაზარი წრეც უკვე წყვდიადს მოეცვა, თითქოს ჩამკვდარაო.

რავიკმა მანქანა გარაჟში დააყენა, ტაქსი დაიჭირა და „ინტერნასიონალში“ გაეშურა. სადარბაზოს წინ დიასახლისის ვაჟი იდგა და ლურჯ ნათურას კიდებდა. ოტელში შესასვლელი უწინაც მხოლოდ იმდენად იყო განათებული, რომ ადამიანს წარწერა წაეკითხა. ახლა კი მკრთალ, ლურჯ შუქზე ძლივს ჩანდა სიტყვის მხოლოდ მარჯვენა ნაწილი: - „...ნასიონალი“...

- კარგია, რომ მოხვედით, - უთხრა დიასახლისმა. - აქ ერთი ქალი ჭკუიდან შეიშალა. მეშვიდე ნომერში. უმჯობესი იქნება, თუ წავა. სასტუმროში შეშლილებს ვერ გავაჩერებ.

- იქნებ, კი არ შეიშალა, ნერვული შეტევა აქვს.

- სულერთია! ასეთები საგიჟეთში უნდა იყვნენ. ეს უკვე ვუთხარი მის ქმარს. საგიჟეთში-მეთქი! რასაკვირველია, გაგონებაც არ სურს; მე კი იმ ქალის გამო ერთთავად უსიამოვნებაში ვარ! თუ ჭკვიანად არ იქნება, წასვლა მოუწევს. ასე აღარ შეიძლება. სტუმრებმა მშვიდად უნდა იძინონ.

- ამას წინათ, „რიცში“ ერთი სტუმარი შეიშალა, - უთხრა რავიკმა. - უფლისწული. ამის შემდეგ ამერიკელები თავს იკლავდნენ, ოღონდ მისი აპარტამენტები დაეკავებინათ.

- ეს სულ სხვა ამბავია. უფლისწული თავისი ახირებებისაგან შეიშალა. ეს ელეგანტურია. გაჭირვებას ხომ არ შეუშლია!

რავიკმა შეხედა.

- რა კარგად იცით ცხოვრება, მადამ!

- უნდა ვიცოდე. მე კარგი ადამიანი ვარ: ყოველთვის ვაძლევდი თავშესაფარს ლტოლვილებს. განურჩევლად ყველას. მართალია, ამით ფულს ვშოულობ, მაგრამ ისიც ზომიერად. შეშლილი კი, რომელიც გაუთავებლად ღრიალებს, უკვე მეტისმეტია. თუ არ დაცხრა, გავაგდებ.

ლაპარაკი იყო იმ ქალზე, რომელსაც შვილმა ჰკითხა, რატომ ვართო ებრაელები. ლოგინზე იჯდა, მთლად კუთხეში მიკუნჭული, თვალებზე ხელები აეფარებინა. ოთახი გაკაშკაშებული იყო. ყველა ნათურა ენთო, მაგიდაზე, ორ შანდალშიც სანთლები ენთო.

- ხოჭოები! - ბუტბუტებდა ქალი. - ხოჭოები! შავი, დიდი, პრიალა ხოჭოები! ეგერ, ნახეთ, კუთხეებში მიყუჟულან ათასობით, უთვალავნი; აანთეთ შუქი, აანთეთ შუქი, შუქი-მეთქი, თორემ მოვლენ, შუქი, შუქი, თორემ მოვლენ, მოვლენ... მოცოცავენ...

ყვიროდა, კუთხეში იკუნტებოდა, კედელს ეკვროდა, ფეხები ნიკაპთან მიეტანა, გაფარჩხული ხელები წინ გაეშვირა, შუშის თვალები მაღლა ჭერისთვის მიეშტერებინა. ქმარი ამაოდ ცდილობდა მისი ხელების დაჭერას.

- არაფერი არ არის კუთხეში, გენაცვალე...

- შუქი! შუქი! მოცოცავენ! ხოჭოები...

- შუქი ანთებულია, გენაცვალე... აგერ, შუქი, შეხედე, რამდენია, სანთლებიც ანთია! - ჯიბის ნათურა აიღო და ისედაც ნათელ კუთხეს მიანათა. - არაფერი არ არის კუთხეში, დამიჯერე, ნახე, როგორ ვანათებ, არაფერი არ არის იქ, არაფერი...

- ხოჭოები! ხოჭოები! მოცოცავენ, მოდიან, ყველაფერი გადააშავეს ხოჭოებმა! ყოველი კუთხიდან მოცოცავენ! შუქი! შუქი! კედლებზე ადიან, ჭერზე აცოცებულან და იქიდან ცვივიან!

ქალმა დაიხრიალა და ხელები თავს ზემოთ ასწია.

- რამდენი ხანია, ასეა? - ჰკითხა რავიკმა ავადმყოფის ქმარს.

- რაც დაღამდა. სხვაგან ვიყავი. გადავწყვიტე, კიდევ მეცადა ბედი. მირჩიეს, ჰაიტის კონსულს მიმართეო. ვაჟი წავიყვანე. ისევ არაფერი გამოვიდა, ისევ არაფერი... შინ რომ დავბრუნდით, იჯდა ასე ლოგინზე და ყვიროდა...

რავიკს შპრიცი მზად ჰქონდა.

- უძილობა ხომ არ აწუხებდა ბოლო ხანებში?

კაცმა უმწეოდ შეხედა.

- არ ვიცი. ყოველთვის მშვიდი ადამიანი იყო. ფული არა გვაქვს, რომ იმკურნალოს. გარდა ამისა, არა გვაქვს... მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი საბუთებით ვერსად მოვაწყობ. ოღონდ როგორმე გაჩუმდებოდეს. გამიგონე, ძვირფასო, ყველანი აქა ვართ, მეც აქა ვარ, ზიგფრიდიც, ექიმიც, არავითარი ხოჭოები აქ არ არიან...

- ხოჭოები! - შეაწყვეტინა ცოლმა, - ყოველი მხრიდან მოცოცავენ! მოცოცავენ!

რავიკმა ნემსი გაუკეთა

- ხომ არასოდეს ჰქონია მსგავსი მოვლენები?

- არასოდეს. ვერ გამიგია, არ ვიცი, რა მოუვიდა, რატომ აიჩემა მაინცდამაინც...

რავიკმა ხელით ანიშნა, გაჩუმდიო.

- ნუ გაახსენებთ. ორიოდე წუთში დაიღლება და დაიძინებს. შეიძლება, დაესიზმრა და შეეშინდა. შეიძლება, დილით გაიღვიძოს და არც არაფერი ახსოვდეს. ნუ შეახსენებთ. ისე დაიჭირეთ თავი, ვითომ არაფერი მომხდარიყოს.

- ხოჭოები, - ბუტბუტებდა ქალი. - მსუქანი, მსხვილი, შავი...

- ძალიან განათებულია ოთახი.

- ნათურები იმისათვის ავანთე, რომ სულ „შუქიო“, გაჰყვიროდა.

- ზედმეტი შუქი გამორთეთ. დანარჩენი დატოვეთ, ვიდრე დაეძინება. ახლა დაიძინებს. საკმაოდ დიდი დოზაა. დილით თერთმეტ საათზე შემოგივლით.

- გმადლობთ, - უთხრა კაცმა. - ვერ წარმოიდგენთ...

- არა, შემიძლია, წარმოვიდგინო. ასეთი რამე ახლა ხშირად ხდება. უახლოეს დღეებში ცოტა ფრთხილად იყავით, მღელვარება არ შეგატყოთ...

ადვილი სათქმელიაო, გაიფიქრა, როცა თავის ოთახში დაბრუნდა. შუქი ჩართო. საწოლთან თავისი წიგნები ეწყო. შოპენჰაუერი, პლატონი, რილკე, ლაო-ძი, ლი ტაი-ბო, პასკალი, ჰერაკლიტე, ბიბლია...

## თავი ოცდამეცამეტე

ტელეფონმა დარეკა. კარგად არ გამოფხიზლებულიყო, რომ ყურმილი აიღო.

- რავიკ, - თქვა ვიღაცამ.

- დიახ...

ჟოანი იყო.

- მოდი ჩემთან, - უთხრა ქალმა. ხმადაბლა და წყნარად ლაპარაკობდა. - ახლავე, რავიკ...

- არა.

- უნდა მოხვიდე...

- არა-მეთქი. მომასვენე. მარტო არ ვარ. ვერ მოვალ.

- დამეხმარე...

- ვერ დაგეხმარები...

- რაღაც მოხდა... - ხმა ჩაუწყდა. - უნდა მოხვიდე... ახლავე...

- ჟოან, - უთხრა რავიკმა მოუთმენლად. - ნუ მართავ კომედიას. ერთხელ ხომ მომიწყვე ასეთი რამე და მეც ანკესზე წამოვეგე. უკვე ჭკუა ვისწავლე. მომასვენე. ვინმე სხვასთან სცადე ბედი.

პასუხისათვის არ დაუცდია. ყურმილი დადო და დაძინება სცადა. არ დაეძინა. ტელეფონმა ისევ დაიწკრიალა. ყურმილი არ აიღო. ტელეფონი რეკავდა და რეკავდა. ბალიში აიღო და აპარატს დაადო. ტელეფონი ისევ რეკავდა და მერე ზარი შეწყდა.

რავიკი იცდიდა. სიჩუმე აღარ დაურღვევიათ, ადგა და სიგარეტი გააბოლა, მაგრამ უგემური ეჩვენა და მაშინვე ჩააქრო. ბოთლში კალვადოსი დარჩენილიყო, ერთი ყლუპი მოსვა და ისევ დადგა. ყავა მოუნდა, ცხელი ყავა. ფუნთუშითა და კარაქით. მახლობლად ერთი ბისტრო ეგულებოდა, რომელიც მთელი ღამე ღია იყო.

საათს დახედა. მხოლოდ ორი საათი უძინია, მაგრამ დაღლილობას არ გრძნობდა. კვლავ დაძინებას აზრი აღარ ჰქონდა, დილით მთლად დამტვრეული ადგებოდა. სააბაზანოში შევიდა და შხაპის ქვეშ დადგა.

რაღაც ხმაური მოესმა. ისევ ტელეფონია? ონკანი დაკეტა. ვიღაც კარზე აკაკუნებდა. რავიკმა აბანოს ხალათი მოიცვა. კაკუნი გაძლიერდა. ეს ჟოანი არ იქნებოდა. ჟოანი პირდაპირ შემოვიდოდა, კარი დაკეტილი არ იყო. ერთი წუთით შეიცადა, კარის გაღება დააყოვნა. თუ პოლიციაა...

კარი გააღო. დერეფანში უცნობი მამაკაცი იდგა სმოკინგით.

ვიღაცას აგონებდა ეს კაცი.

- ექიმი რავიკი ბრძანდებით?

რავიკმა არ უპასუხა. უცნობს აკვირდებოდა.

- რა გნებავთ? - ჰკითხა ბოლოს.

- ექიმი რავიკი ბრძანდებით?

- მითხარით, რა გნებავთ?

- თუ დოქტორი რავიკი ხართ, ახლავე უნდა წამოხვიდეთ ჟოან მადუსთან.

- მართლა?

- უბედურება შეემთხვა.

- რა უბედურება? - გაიცინა რავიკმა.

- იარაღით, - უთხრა უცნობმა. - ტყვია...

- მოხვდა? - ჰკითხა რავიკმა და ისევ გაიცინა. ალბათ, თვითმკვლელობის ცდა გაითამაშა, რომ ეს საცოდავი დაეშინებინაო, გაიფიქრა.

- ღმერთო ჩემო, კვდება, - ჩურჩულით თქვა კაცმა. - წამოდით! კვდება. მე ვესროლე.

- რა თქვით?!

- დიახ... ვესროლე...

რავიკმა სწრაფად გადააგდო ხალათი და თავის ნივთებს მივარდა.

- გყავთ დაბლა ტაქსი?

- საკუთარი მანქანა მყავს.

- დასწყევლოს ღმერთმა... - რავიკმა ხალათი ისევ მოისხა და ხელი დაავლო ჩანთას, ფეხსაცმელს, პერანგს და კოსტიუმს. - მანქანაში ჩავიცვამ... წავიდეთ... სწრაფად!

მანქანა ბურუსიან ღამეში მიქროდა. ქალაქი ერთიანად ჩაბნელებულიყო. ქუჩების ნაცვლად ჩანდა მხოლოდ დანისლული შორეთი, სადაც დროდადრო ლურჯი ნათურები გაიციალებდა ხოლმე... მანქანა თითქოს ზღვის ფსკერზე მისრიალებდა.

რავიკმა ხალათი კუთხეში მიაგდო, პერანგი და კოსტიუმი ჩაიცვა. არც წინდები ეცვა, არც ჰალსტუხი ეკეთა. მოუსვენრად შესცქეროდა ბნელ ღამეს. მანქანის პატრონის გამოკითხვას აზრი არ ჰქონდა. მას ძალიან სწრაფად და ფრთხილად მიჰყავდა მანქანა. დრო არ ჰქონდა, რაიმე ეთქვა. მთელი გულისყური იქითკენ ჰქონდა მიპყრობილი, მანქანა არ გადაებრუნებინა, სხვა მანქანებისათვის არ დაეჯახებინა და შეუჩვეველ სიბნელეში გზა არ დაჰბნეოდა. თხუთმეტი წუთი დაკარგულიაო, გაიფიქრა რავიკმა. სულ მცირე, თხუთმეტი წუთი.

- იჩქარე, - უთხრა უცნობს.

- არ შემიძლია... უშუქოდ... საჰაერო თავდაცვაა...

- მაშინ აანთეთ შუქი, დალახვროს ეშმაკმა!

უცნობმა შუქი ჩართო. იმავე წამს ქუჩის კუთხეში ორმა თუ სამმა პოლიციელმა დაიღრიალა. შუქით დაბრმავებული რომელიღაც ,,რენო'' კინაღამ შეასკდა მათ.

- მიდით... სწრაფად! უფრო სწრაფად!

მანქანამ მკვეთრად დაამუხრუჭა სადარბაზოს შესასვლელთან. ლიფტის ღია კაბინა ძირს იდგა. ვიღაც ზედა სართულზე განუწყვეტლივ აჭერდა თითს ლიფტის გამოსაძახებელ ღილაკს. ისმოდა გაბმული ზარის ხმა. ეტყობა, ჟოანის მეგობარს კარის მიხურვა დაავიწყდა, ლიფტიდან რომ გამოვარდა. კარგიაო, გაიფიქრა რავიკმა, ორი წუთის ეკონომიას გავწევთო.

ლიფტი ნელა დაიძრა. ერთხელ უკვე იჯდა ამ ლიფტში! მაშინ არაფერი მოხდა! არც ახლა მოხდება რამე... ლიფტი მოულოდნელად გაჩერდა. ვიღაცამ კარი გააღო.

- როგორ ბედავთ ლიფტის ასე დიდხანს დაბლა გაჩერებას? - უთხრა აღშფოთებით იმ კაცმა, რომელიც რეკავდა.

რავიკმა ხელი უბიძგა და კარი ისევ მოაჯახუნა.

- მოითმინეთ! ჯერ ასვლა გვაცალეთ, გვეჩქარება!

ლიფტი ისევ დაიძრა. კაცმა შეიგინა და ისევ გაშმაგებით მოჰყვა რეკვას.

ჟოანი საწოლზე იწვა. საღამოს კაბა ეცვა, კისრამდე შეკრული. ვერცხლისფერ ქსოვილს სისხლის ლაქები აჩნდა. იატაკზეც სისხლი იყო. ეტყობა, იქ დაეცა და ამ იდიოტმა საწოლზე გადააწვინა.

- წყნარად, - უთხრა რავიკმა. - წყნარად! ყველაფერი რიგზე იქნება. არც ისე ცუდადაა საქმე.

კაბა მხრებთან გაჭრა და ფრთხილად ჩამოსწია. ტყვია კისერში მოხვედროდა. ჩანდა, საყლაპავს არ შეხებოდა, თორემ მაშინ ტელეფონით დარეკვას ვერ შეძლებდა. არტერია არ იყო დაზიანებული.

- გტკივა? - ჰკითხა რავიკმა დაჭრილს.

- კი.

- ძალიან?

- ჰო...

- ახლავე გაგივლის...

რავიკმა შპრიცი მოამზადა და ჟოანს თვალებში შეხედა.

- ნუ გეშინია. ეს ტკივილგამაყუჩებელია. ახლავე გაგივლის.

ნემსი გაუკეთა.

- მორჩა, - თქვა და მამაკაცს მიუბრუნდა. - დარეკეთ პასი 2741. გამოიძახეთ სასწრაფო დახმარების მანქანა და ორი სანიტარი. სწრაფად.

- რა მჭირს? - ძლივს იკითხა ჟოანმა.

- პასი 2741, - თქვა რავიკმა. - სწრაფად! ამწუთას!

- რა მჭირს... რავიკ?

- საშიში არაფერია, მაგრამ აქ ვერაფერს დავადგენ. საავადმყოფოში უნდა გადაგიყვანო.

ქალმა შეხედა. მთელი სახე გათხუპნილი ჰქონდა. წამწამებიდან შავი ტუში ჩამოსვლოდა, პომადა ცალ მხარეს ლაქად ეცხო. სახის ერთი ნახევარი ცირკის მასხარისას მიუგავდა, მეორე ნახევარი კი, თვალის ქვემოთ ჩამოდღაბნილი შავი ტუშით, დაღლილი, ხანში შესული მეძავისა გეგონებოდათ. მხოლოდ თმა ჰქონდა მშვენიერი, როგორც ყოველთვის.

- ოპერაციის გაკეთება არ მინდა, - თქვა ჩურჩულით.

- ვნახოთ. მგონი, არ დაგჭირდება.

- საშიში ხომ... - ქალი გაჩუმდა.

- არა, - უთხრა რავიკმა. - ნუ გეშინია. უბრალოდ, ხელსაწყოები არ წამომიღია.

- ხელსაწყოები...

- გამოსაკვლევად. ახლა კი... ნუ გეშინია... აღარ გეტკინება...

წამალმა იმოქმედა. ჟოანს თვალებში შიშის გამომეტყველება გაუქრა. რავიკი ფრთხილად შეუდგა ჭრილობის გასინჯვას. კაცი დაბრუნდა.

- სასწრაფო დახმარება ახლავე მოვა, - თქვა მან.

- დარეკეთ: ოტეი 1357. ეს კლინიკაა. მე დაველაპარაკები.

კაცი მორჩილად წავიდა.

- შენ დამეხმარები, - ჩურჩულებდა ჟოანი.

- რა თქმა უნდა.

- ოღონდ ტკივილები არ მქონდეს.

- არ გექნება.

- არ შემიძლია... ტკივილის ატანა არ შემიძლია... - ქალს ძილი ერეოდა. მისი ხმა უკვე ყრუდ გაისმოდა. - უბრალოდ, არ შემიძლია...

რავიკმა ნატყვიარი გასინჯა. მსხვილი სისხლძარღვები არ აღმოაჩნდა დაზიანებული. ტყვია ჭრილობაში იყო ჩარჩენილი. რავიკმა არაფერი თქვა. კომპრესი გაუკეთა, შეუხვია.

- ვინ დაგაწვინა ლოგინზე? - ჰკითხა. - თვითონ თუ...

- მან...

- შენ... სიარული შეგეძლო?

ქალს ტბასავით დიდ, დაბინდულ თვალებში ისევ ელდა ჩაუდგა.

- რაზე... მეკითხები... მე... არა. ფეხის განძრევაც არ შემეძლო... ფეხი... ნეტა, რა მომივიდა ფეხზე, რავიკ?

- არაფერი. ასეც ვფიქრობდი. ყველაფერი რიგზე იქნება.

კაცი მოვიდა.

- კლინიკაა...

რავიკი სწრაფად მივიდა ტელეფონთან.

- ვინ არის? ეჟენი? ერთი ოთახი... დიახ... და ვებერს დაუძახეთ. - საძინებელი ოთახისაკენ გაიხედა და ჩუმად დაუმატა: - ყველაფერი გაამზადეთ. სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს ოპერაცია. უკვე დავიბარე სასწრაფო დახმარება. უბედური შემთხვევაა... დიახ... დიახ... ასეა... დიახ... ათ წუთში...

ყურმილი დადო. ერთი წამით შეჩერდა. მაგიდა. პიტნის ნაყენი. საზიზღარი სასმელი, ჭიქები, ვარდის ფურცლების სიგარეტები, ხალიჩაზე დაგდებული რევოლვერი... როგორც მდარე ფილმში... სისხლი... ეს ყველაფერი ტყუილია... რატომ ვიტყუებ თავს? ყველაფერი ეს მართალია! ახლა უკვე იცის, ვინ მოვიდა მის წასაყვანად. სმოკინგი. კოხტად დავარცხნილი, პომადით გადაგლესილი თმა, „შევალიე დ' ორსეს" სუნამოს სუნი, მთელ გზაზე რომ აღიზიანებდა, ბეჭდები თითებზე... ეს ის მსახიობი იყო, რომლის მუქარაზეც ამდენი უცინია. კარგად დაუმიზნებიაო, გაიფიქრა. არა, საერთოდ არ დაუმიზნებია. ასე ზუსტად ვერ დაუმიზნებ. ასეთი სიზუსტით მხოლოდ მაშინ მოახვედრებ, როცა არ გინდა. საძინებელში დაბრუნდა. მსახიობი საწოლის წინ დაჩოქილიყო. რასაკვირველია, დაიჩოქა. მაშ, როგორ? რაღაცას ლაპარაკობდა, ჩიოდა, ისევ ლაპარაკობდა, პირიდან სიტყვების ნაკადი მოედინებოდა...

- ადექით, - უთხრა რავიკმა.

კაცი მორჩილად ადგა. ანგარიშმიუცემლად დაიფერთხა შარვლის ტოტებიდან იატაკის მტვერი. რავიკმა შეხედა. ცრემლები! ესღა აკლდა!

- არ მინდოდა, გეფიცებით, არ მინდოდა მომეხვედრებინა! შემთხვევაა, ბრმა, უბედური შემთხვევა!

რავიკს კინაღამ გული აერია. ბრმა შემთხვევა! სადაც არის, იამბიკოებით ამეტყველდება.

- ვიცი. ახლა ძირს ჩადით და სასწრაფო დახმარების მანქანას დაუცადეთ.

მსახიობს რაღაცის თქმა უნდოდა.

- ჩადით ძირს, - უთხრა რავიკმა, - და მზად იქონიეთ ის წყეული ლიფტი. ღმერთმა იცის, როგორ მოვახერხებთ მასში საკაცის დადგმას.

- შენ დამეხმარები, რავიკ, - თქვა ძილმორეულმა ჟოანმა.

- ჰო, - დაუმოწმა სრულიად უიმედოდ.

- შენ აქ ხარ... მე ყოველთვის მშვიდად ვარ, როცა ჩემთან ხარ.

კოსმეტიკით მოსვრილი სახე ღიმილმა გაუნათა: ტაკიმასხარამ გაიკრიჭა, მეძავმა გაღიმება სცადა.

- პატარავ, არ მინდოდა... - თქვა მამაკაცმა კარებში.

- მოსწყდით აქედან! - დაუყვირა რავიკმა. - გაეთრიეთ!

ჟოანი ერთხანს წყნარად იწვა. მერე თვალი გაახილა.

- ნამდვილი იდიოტია, - თქვა მოულოდნელად ხმამაღლა და მკაფიოდ. - რა თქმა უნდა, არ უნდოდა... საცოდავი ლაწირაკი! მაგის თავი სად აქვს! - ქალის თვალებში უცნაურმა, თითქმის ცბიერმა გამომეტყველებამ გაიელვა. - არც თვითონ მჯეროდა... დავცინოდი... ვაჯავრებდი.

- ნუ ლაპარაკობ, არ შეიძლება.

- ვაჯავრებდი, - გაიმეორა და თვალები თითქმის დახუჭა. - და, აი, რა გამოვიდა, რავიკ... ჩემი ცხოვრება... არ უნდოდა... მომახვედრა... და...

თვალები მთლიანად დახუჭა. ღიმილი ჩაქრა.

რავიკი კარს შესცქეროდა.

- საკაცეს ლიფტში ვერ შევიტანთ. ძალზე ვიწროა. ცოტა დახრილად თუ დავდგამთ, კიდევ შეიძლება.

- კიბის საქცევზე შემობრუნებას შეძლებთ?

სანიტარი გარეთ გავიდა.

- ალბათ, მაღლა აწევა მოგვიხდება. ჯობს, ზედ დავაკრათ.

ასედაც მოიქცნენ. ჟოანს ნახევრად ეძინა. ზოგჯერ კვნესოდა. სანიტრები ბინიდან გავიდნენ და საკაცე კიბის საქცევზე გაიტანეს.

- გასაღები გაქვთ? - ჰკითხა რავიკმა მსახიობს.

- მე... არა... რისთვის?

- ბინა რომ დავკეტოთ.

- არა. მაგრამ სადმე ხომ იქნება გასაღები!

- მონახეთ და კარი დაკეტეთ. სანიტრებმა უკვე მოატრიალეს საკაცე პირველ საქცევზე. - რევოლვერი თან იქონიეთ. ქუჩაში გადააგდეთ.

- მე... მე... საკუთარი ფეხით მივალ პოლიციაში. ჭრილობა საშიშია?

- დიახ!

მსახიობს ოფლმა დაასხა. ოფლი ისე გამოდიოდა მის ფორებში, თითქოს კანქვეშ სითხის გარდა არაფერი აქვსო. იგი ბინაში შებრუნდა.

რავიკი სანიტრებს მიჰყვებოდა. ჯიბრზე შუქი მხოლოდ სამ-სამი წუთით ინთებოდა და მერე ავტომატურად ქრებოდა. ყოველ სართულზე იყო ღილაკი, რომლითაც შეიძლებოდა ხელახლა ჩართვა. სანიტრებს კარგად ჩაჰქონდათ საკაცე, თუმცა კიბის საქცევები ვიწრო იყო და ყოველ შემობრუნებაზე საკაცის მაღლა აწევა უხდებოდათ, კიბის მოაჯირის ზემოთ. კედლებზე ბუმბერაზი ჩრდილები ირწეოდნენ. როდის იყო კიდევ ასე? რავიკს სადღაც უკვე ენახა ასეთი რამ, მაგრამ ვერ გაეხსენებინა; მერე მოაგონდა. ასევე გაჰქონდათ რაჩინსკის ცხედარი. ეს მაშინ, როცა ჟოანი გაიცნო.

შუქი ისევ ჩაქრა. სანიტრები ბურტყუნით შეჩერდნენ სიბნელეში.

- შუქი!

რავიკი ღილაკს ეძებდა კედელზე და ვიღაცის მკერდს ატაკა ხელი. ვიღაცამ თავისი ოხშივარი შეაფრქვია სახეში, რაღაცა რბილი ფეხებში გაებლანდა. შუქი ისევ აინთო. ვიღაც ყვითელთმიანი ქალი სახეში მიშტერებოდა. მსუქან, დანაოჭებულ სახეზე კრემი გადაგლესოდა, ხელში ეჭირა უთვალავი ფურჩალით დამშვენებული კრეპდეშინის ხალათის კალთა. ბაფთიანი, ლოგინიდან ამდგარი მსუქანი ბულდოგიო, გაიფიქრა რავიკმა.

- მკვდარია? - იკითხა თვალებგაბრწყინებულმა.

- არა, - მიუგო რავიკმა და გზა განაგრძო. ძირს რაღაცამ დაიფრუტუნა და განზე გახტა. რავიკმა დახედა. კატა იყო.

- ფიფი! - დაუძახა დედაკაცმა, დაიხარა და მძიმე მუხლები გაჩაჩხა. - ღმერთო ჩემო, ფიფი, ფეხი ხომ არავინ დაგაბიჯა?

რავიკმა კიბე ჩაიარა. უკან საკაცე მოირწეოდა. ჟოანის თავს უყურებდა. სანიტრები მიდიოდნენ და თავი ირხეოდა. თვალებს ვერ ხედავდა.

აი, უკანასკნელი საფეხურებიც. შუქი ისევ ჩაქრა. რავიკი უახლოესი საქცევისაკენ გაიქცა, ღილაკის ძებნას შეუდგა. იმავე წამს ამწევმა დაიგუგუნა და, თითქოს ციდან ეშვებაო, ლიფტიც გამოჩნდა. მოოქრული მავთულისაგან დამზადებულ განათებულ გალიაში მსახიობი იდგა. ლიფტი უხმოდ, შეუჩერებლივ ჩამოსრიალდა ძირს, რავიკს ჩაუარა, მოჩვენებასავით ჩაუქროლა საკაცეს. მსახიობს მაღლა ეპოვა ლიფტი და შიგ ჩამჯდარიყო, რომ უფრო სწრაფად დასწეოდა საკაცეს. ეს გონივრული იყო, მაგრამ არარეალური და უცნაური სანახავი.

რავიკმა მაღლა აიხედა. ხელები აღარ უკანკალებდა და აღარ უოფლიანდებოდა რეზინის ხელთათმანში, რომელიც უკვე ორჯერ გამოიცვალა.

ვებერი მის პირდაპირ იდგა.

- თუ გნებავთ, რავიკ, მარტე მოვიყვანოთ. თხუთმეტ წუთში აქ იქნება. ოპერაცია მან გააკეთოს, თქვენ კი ასისტენტობა გაუწიეთ.

- არა. ძალიან ცოტა დრო გვაქვს. თანაც მხოლოდ ცქერა კიდევ უფრო გამიჭირდება. ჯობს, თვითონ გავაკეთო ოპერაცია.

რავიკმა ღრმად ამოისუნთქა. ახლა დამშვიდებული იყო. მუშაობას შეუდგა. თეთრი კანი. ისეთი, როგორიც ყველას აქვსო, გაიფიქრა თავისთვის. ჟოანის კანი, ისეთივე, როგორიც ყველას აქვს. სისხლი. ჟოანის სისხლი. ისეთივე, როგორიც ყველას აქვს. ტამპონები, გაგლეჯილი კუნთი. ტამპონები. ფრთხილად. შემდეგ. ვერცხლისფერი ფარჩის ნაგლეჯი. ძაფი. შემდეგ. ჭრილობის არხი. ნამსხვრევი. შემდეგ. ნატყვიარი ხვრელი. აბა, ვნახოთ, საით წაგვიყვანს, საით წაგვიყვანს...

რავიკი გრძნობდა, როგორ დაეცალა შუბლი სისხლისაგან. წელში ძლივს გასწორდა.

- შეხედეთ... ხერხემლის მეშვიდე მალა...

ვებერი ჭრილობაზე დაიხარა.

- ცუდადაა საქმე.

- არა, ცუდად არა. უიმედოდ. ამას აღარაფერი ეშველება.

რავიკმა ხელებზე დაიხედა. რეზინის ხელთათმანში თითები მოძრაობდა. ეს იყო ძლიერი ხელები, კარგი ხელები. ათასობით ადამიანი გაუკვეთია და დაგლეჯილი სხეული დაუკერებია ასობით დაჭრილისათვის. უფრო ხშირად სიკვდილთან ჭიდილი გამარჯვებით მთავრდებოდა, ზოგჯერ მარცხითაც. რამდენჯერმე შეუძლებელი შესაძლებლად უქცევია, ასიდან ერთადერთი შანსი უპოვია, სასწაული მოუხდენია... ახლა კი, ახლა, როცა ყველაფერი ამ ხელებზე იყო დამოკიდებული, უძლური აღმოჩნდა.

ვეღარას გააწყობდა. ვერავინ ვერაფერს გახდებოდა. აქ საოპერაციო არაფერი იყო. იდგა და ალისფერ ღია ჭრილობას დასცქეროდა. თუ მარტეს გამოუძახებს, ისიც ამასვე იტყვის.

- არაფრის გაკეთება არ შეიძლება? - ჰკითხა ვებერმა.

- არაფრის. ჩარევა მხოლოდ დააჩქარებს აღსასრულს. დაასუსტებს. ხომ ხედავთ, სად გაჩხირულა ტყვია! კაცი ვერც კი ამოიღებს.

- მაჯა ცვალებადია, აჩქარებას იწყებს... ას ოცდაათი... - თქვა ეჟენიმ ფარდის იქით.

ჭრილობის კიდეები ნაცრისფერი გახდა, თითქოს სიკვდილი უკვე შეეხოო. რავიკს უკვე კოფეინი ეჭირა შპრიცით ხელში.

- კორამინი! სწრაფად! შეწყვიტეთ ნარკოზი! - მეორედ უჩხვლიტა. - ახლა როგორაა?

- უცვლელად.

სისხლს ისევ ტყვიისფერი დაჰკრავდა.

- მოამზადეთ ადრენალინის ნემსი და ჟანგბადის ბალიში.

სისხლი უფრო გამუქდა. თითქოს ღრუბლებმა გადაიარეს და თავიანთი ჩრდილი მოჰფინეს ჟოანს. თითქოს ვიღაცა ფანჯარასთან მივიდა და ფარდები ჩამოუშვა.

- სისხლი, - წამოიძახა სასოწარკვეთილმა რავიკმა. - სისხლი უნდა გადავუსხათ. მაგრამ სისხლის ჯგუფი არ ვიცი.

აპარატი ისევ ამუშავდა.

- არაფერია? როგორია მაჯა? არაფერია?

- მაჯა ეცემა. ას ოცი, ძალზე სუსტი!

სიცოცხლე უკანვე ბრუნდებოდა.

- ახლა? უკეთესია?

- იგივეა.

რავიკი იცდიდა.

- ახლა? გაუმჯობესდა?

- გაუმჯობესდა. უფრო ზომიერია.

ჩრდილები გაქრა. ჭრილობის ფერწასულმა კიდეებმა შეწითლება დაიწყო. სისხლი ისევ სისხლობდა. აპარატი მუშაობდა.

- ქუთუთოები შეუთრთოლდა, - თქვა ეჟენიმ.

- არაფერია. ახლა შეუძლია გაიღვიძოს.

რავიკმა ჭრილობა შეუხვია.

- მაჯა როგორია?

- ზომიერი.

- ერთი წუთიც და გათავდებოდა, - თქვა ვებერმა.

რავიკმა იგრძნო, რომ ქუთუთოები დაუმძიმდა. ეს ოფლი იყო. ოფლის მსხვილი წვეთები. წელში გაიმართა. აპარატი ზუზუნებდა.

- ნუ გამორთავთ, იმუშაოს.

მაგიდას ირგვლივ შემოუარა და გაჩერდა. არაფერზე ფიქრობდა. მხოლოდ აპარატს და ჟოანს შესცქეროდა. ქალს ოდნავ შეუთრთოლდა სახე. სიცოცხლე ჯერ კიდევ ფეთქავდა მის სხეულში.

- შოკია, - უთხრა რავიკმა ვებერს. - აგერ, სისხლის სინჯი. უნდა გავგზავნოთ. სად შეიძლება სისხლის მიღება?

- ამერიკულ ჰოსპიტალში.

- კარგი. უნდა ვცადოთ. მართალია, არაფერი უშველის, მაგრამ ცოტათი მაინც გავუხანგრძლივოთ... - აპარატს თვალს ადევნებდა. - პოლიციას უნდა შევატყობინოთ?

- დიახ, - თქვა ვებერმა. - უნდა შევატყობინო, მაგრამ როცა მოვლენ, დაგკითხავენ. თქვენ ხომ ეს არ გინდათ?

- არა.

- კარგი. მაშინ ნაშუადღევს მოვიფიქროთ რამე.

- კმარა, ეჟენი, - თქვა რავიკმა.

საფეთქლებს ფერი დაუბრუნდა. სახეს ვარდისფერმა გადაჰკრა. მაჯისცემა ჰქონდა ზომიერი, სუსტი და მკაფიო.

- შეგვიძლია პალატაში გადავიყვანოთ. მე კლინიკაში დავრჩები.

ჟოანი გაინძრა. მარჯვენა ხელი შეარხია. მარცხენა აღარ მოძრაობდა.

- რავიკ, - გაისმა სუსტი ხმა.

- აქა ვარ...

- გამიკეთე ოპერაცია?

- არა, ჟოან. საჭირო არ იყო. მხოლოდ გავასუფთავეთ ჭრილობა.

- აქ დარჩები?

- ჰო.

თვალები დახუჭა და ისევ ჩაიძინა. რავიკი კარისაკენ წავიდა.

- მომიტანეთ ყავა, - უთხრა მორიგე დას.

- ყავა და პური?

- არა, მხოლოდ ყავა.

უკან დაბრუნდა, ფანჯარა გააღო. ქალაქში ნათელი, მზიანი დღე იდგა. სახურავებზე სხივები ციალებდა. ბელურები ჟივჟივებდნენ. რავიკი რაფაზე ჩამოჯდა და სიგარეტი გააბოლა.

მოწყალების დამ ყავა შემოიტანა. რავიკმა ფინჯანი გვერდით დაიდგა. ყავას სვამდა, სიგარეტს აბოლებდა და ფანჯარაში იყურებოდა. შემდეგ მოიხედა, ოთახი ბნელი ეჩვენა. ადგა, ჟოანს დახედა. ქალს ეძინა. სახე მობანილი და ძალზე ფერმკრთალი ჰქონდა, ტუჩები ჩათეთქოდა.

რავიკმა აიღო სინი ყავადნითა და ფინჯნით, გარეთ გაიტანა და დერეფანში, მაგიდაზე, დადგა. გარეთ მასტიკის და ჩირქის სუნი იდგა. მოწყალების დამ ნახმარი სახვევებით სავსე სათლი ჩაატარა. სადღაც მტვერსასრუტი ზუზუნებდა.

ჟოანს მოუსვენრობა დაეტყო. ახლა გაიღვიძებს. გაიღვიძებს და ტკივილს იგრძნობს. ტკივილი თანდათან გაძლიერდება. ჟოანმა შეიძლება კიდევ რამდენიმე საათი ან ორი-სამი დღე იცოცხლოს. ტკივილები კი ისე გაძლიერდება, რომ ნემსიც ვეღარ უშველის.

რავიკი შპრიცისა და ამპულების შემოსატანად გავიდა. პალატაში რომ შემობრუნდა, ჟოანმა თვალები გაახილა. რავიკმა ქალს შეხედა.

- თავი მტკივა, - წაიბუტბუტა ჟოანმა.

რავიკი უცდიდა. ქალმა თავის მობრუნება სცადა. ქუთუთოები დამძიმებოდა და თვალის გახელა ძლივს მოახერხა.

- ტყვიასავით მაქვს.

უფრო გამოფხიზლდა.

- ამას ვეღარ ავიტან...

რავიკმა ნემსი გაუკეთა.

- ახლა დაგიყუჩდება...

- ადრე ასე არ მტკიოდა... - ქალმა თავი მოაბრუნა. - რავიკ, - თქვა ჩურჩულით. - არ მინდა დავიტანჯო. მე... დამპირდი, რომ არ დავიტანჯები... ბებია... ვნახე სიზმარში... არ მინდა ეს... ვერაფერმა უშველა... დამეხმარე, დამპირდი...

- გპირდები, ჟოან. ბევრი ტკივილი არ შეგაწუხებს. თითქმის არავითარი...

ქალმა კბილები გააკრაჭუნა.

- მალე მიშველის?

- კი... მალე. რამდენიმე წუთში...

- რა მომივიდა... ხელზე?...

- არაფერი. ვერ ამოძრავებ, მაგრამ გაივლის.

- ფეხი? მარჯვენა ფეხი...

წამოწევა სცადა. ფეხი არ ემორჩილებოდა.

- იგივეა, ჟოან. არაფერია. გაივლის.

ქალმა თავი შეარხია.

- მინდა, თავიდან დავიწყო... სხვანაირად ვიცხოვრო... - ჩურჩულებდა მისუსტებული.

რავიკმა არაფერი უპასუხა. ამაზე რა პასუხი უნდა გაეცა! შესაძლოა, მართალს ამბობდა. ან ვის არ უნდა, ცხოვრება თავიდან დაიწყოს?

ქალმა ისევ მოუსვენრად მოაბრუნა თავი. მონოტონური, გატანჯული ხმა.

- კარგია... რომ მოხვედი. რა მომივიდოდა უშენოდ?

- ნუ განიცდი, ჟოან.

უჩემოდაც იგივე მოგივიდოდა, გაიფიქრა რავიკმა უიმედოდ. იგივე. ყოველი ექიმბაში გააკეთებდა იმდენს, რამდენიც მე გავაკეთე. ყოველი ექიმბაში. ერთადერთი შემთხვევაა, როცა ასე დამჭირდა მთელი ჩემი ცოდნა და გამოცდილება, ყველაფერი, რაც მისწავლია, და - ამაოდ. ყოველი ბეითალი, ყოველი ჯარაექიმი შეძლებდა ამის გაკეთებას. ყველაფერი ფუჭი გამოდგა.

შუადღისას ქალი ყველაფერს მიხვდა. რავიკმა არაფერი უთხრა, მაგრამ ქალი უეცრად ყველაფერს მიხვდა.

- ხეიბრად დარჩენა არ მინდა, რავიკ... რა მოსდის ჩემს ფეხებს? აღარც ერთი აღარ...

- არაფერია. როცა წამოდგები, ისევე ივლი, როგორც ყოველთვის.

- თუ წამოვდგები... რატომ მატყუებ? არ მინდა...

- არ ვტყუი, ჟოან.

- ტყუი... მატყუებ... იძულებული ხარ... წოლით ნუ მომკლავ ოღონდ... თუ არაფერი დამრჩენია... ტკივილის მეტი. დამპირდი...

- გპირდები.

- თუ ძალიან ამტკივდება, მომეცი რაიმე ისეთი... ჩემი ბებია... ხუთი დღე იწვა... და ღრიალებდა. ასე არ მინდა, რავიკ.

- ნუ გეშინია, ჟოან, ტკივილი არ გექნება.

- თუ ძალიან ამტკივდება, საკმარისი დოზა მომეცი. საკმარისი იმისათვის, რომ... მოვალე ხარ, ასე გააკეთო... თუნდაც არ მინდოდეს ან გრძნობა დავკარგო... ეს ჩემი უკანასკნელი სურვილია... დამპირდი.

- გპირდები, მაგრამ ეს არ დაგვჭირდება.

ქალს თვალებში ელდა გაუქრა. უეცრად დამშვიდდა.

- უფლებაც გაქვს, ასე მოიქცე, რავიკ, - ჩურჩულებდა ჟოანი. - შენ რომ არა, ცოცხალიც არ ვიქნებოდი... ადრეც.

- სისულელეს ლაპარაკობ.

- არა, მაშინ... სულ პირველად, რომ... მე მინდოდა თავის... აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავი... შენ მაჩუქე ეს ერთი წელი. ეს იყო... ნაჩუქარი დრო. - მან ნელა მოაბრუნა მისკენ თავი. - რატომ არ დავრჩი შენთან?

- ჩემი ბრალია, ჟოან.

- არა. ეს იყო... არ ვიცი...

ფანჯრის იქით ოქროსფერი შუადღე იდგა. ფარდები დაშვებული იყო, მაგრამ გვერდითი ღრიჭეებიდან მზის ნათელი პალატაში იჭრებოდა. ჟოანი მძიმე ბურანში იყო. ბევრი აღარაფერი დარჩენილიყო ამ ქალისაგან. თითქოს მგლებს დაუგლეჯიათო. სხეული გალეოდა და წინააღმდეგობის უნარიც დაჰკარგვოდა; ხან გონმიხდილი იწვა,

ხან უბრუნდებოდა აზრი. ტკივილი უძლიერდებოდა. ჟოანმა კვნესა დაიწყო. რავიკმა ნემსი გაუკეთა.

- თავი, - ბუტბუტებდა მომაკვდავი. - ძალიან მტკივა...

ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაიწყო ლაპარაკი.

- შუქი... მეტისმეტად დიდი შუქია... ვიწვი...

რავიკი ფანჯარასთან მივიდა. ჟალუზები დაუშვა, ოთახი მთლად დააბნელა. მერე ლოგინთან მივიდა და სასთუმალთან ჩამოჯდა.

ჟოანმა ძლივს შეარხია ტუჩები:

- რა დიდხანს გრძელდება... აღარ მშველის, რავიკ...

- ორი წუთიც და იმოქმედებს.

ქალი წყნარად იწვა. ხელები საბანზე ესვენა.

- ბევრი რამ... უნდა გითხრა...

- შემდეგ, ჟოან...

- არა. ახლა... ბევრი დრო აღარ დამრჩენია. ბევრი რამ... უნდა აგიხსნა...

- მჯერა, თითქმის ყველაფერი ვიცი, ჟოან...

- იცი?

- ასე მგონია.

ტალღები. რავიკი თვალნათლივ ხედავდა, როგორ უვლიდა სულთმობრძავს ტანში კრუნჩხვის ტალღები. ორივე ფეხი უკვე პარალიზებული ჰქონდა. ხელებიც. მხოლოდ მკერდიღა მოძრაობდა.

- შენ იცი... რომ მარად შენთან...

- ჰო, ჟოან...

- სხვა ყველაფერი იყო მხოლოდ... მოუსვენრობა...

- ჰო, ვიცი...

ერთხანს უსიტყვოდ იწვა. გაჭირვებით ითქვამდა სულს.

- საკვირველია, - თქვა ბოლოს წყნარად. - საკვირველია... რომ ადამიანს შეუძლია სიკვდილი... როდესაც უყვარს...

რავიკი დაჭრილისაკენ დაიხარა. სიბნელე. ქალის სახე, სხვა არაფერი.

- მე არ ვიყავი კარგი... შენთვის, - ჩურჩულით თქვა ქალმა.

- შენ იყავი ჩემი სიცოცხლე...

- მე არ შემიძლია... მე მინდა... ჩემი ხელები... ვეღარასოდეს... ვერ მოგეხვევიან...

რავიკი ხედავდა, როგორ ცდილობდა დაჭრილი ხელების აწევას.

- შენ ჩემს ხელებში ხარ, - უთხრა ჟოანს. - მე კი შენს ხელებში.

წამით ქალმა სუნთქვა შეწყვიტა. თვალებზე ბინდი გადაჰკვროდა. გაახილა. გუგები საშინლად გაფართოებოდა. რავიკმა არ იცოდა, ხედავდა ქალი თუ არა.

- Ti amo[25], - უთხრა ქალმა იტალიურად.

თავისი ბავშვობის ენაზე ლაპარაკობდა. მეტისმეტად დაღლილი იყო სხვა რამისათვის. რავიკმა მისი უსიცოცხლო ხელები აიღო. სხეულში რაღაც ჩაუწყდა.

- შენ სიცოცხლე მომიტანე, ჟოან, - უთხრა და უძრავ თვალებში ჩახედა. - შენ სიცოცხლე დამიბრუნე... მკვდარი ვიყავი, როგორც ქვა. შენ მოხვედი და ისევ გამაცოცხლე...

- Mi ami[26]?

ეს იყო კითხვა ბავშვისა, დასაძინებლად რომ მიჰყავთ.

- ჟოან, - უთხრა რავიკმა, - საამისოდ სიტყვა სიყვარული არ გამოდგება. არ კმარა, იმის გამოსახატავად, რაც იყო. ეს მხოლოდ ერთი წვეთია მდინარისა, მხოლოდ ერთი ფოთოლია ხისა. ეს ბევრად უფრო დიდია...

- Sono stata... Aempre con te[27]...

რავიკს ისევ ისე ეჭირა ქალის ხელები, რომლებიც მის შეხებას ვეღარ გრძნობდნენ.

- მარად ჩემთან იყავი, - თქვა და ვერც კი მიხვდა, რომ გერმანულად დაიწყო ლაპარაკი. - მარად ჩემთან იყავი, მიყვარდი, მძულდი თუ გულგრილი გეჩვენებოდი - ეს არაფერს ცვლიდა, მარად ჩემთან იყავი და მარად ჩემში...

ყოველთვის ნასესხებ ენაზე ლაპარაკობდნენ. ახლა კი, პირველად, თავისდა შეუმჩნევლად, თავ-თავიანთ ენაზე ამეტყველდნენ. თითქოს დაიშალა სიტყვის ბარიერი და ერთიმეორისა უკეთ ესმოდათ, ვიდრე ოდესმე.

- Baciami[28]...

რავიკმა ცხელი, მშრალი ბაგეები დაუკოცნა.

- შენ მარად ჩემთან იყავი, ჟოან... მარად...

- Sono stata... Perduta senza di te[29]...

- მე კი უშენოდ დაღუპული კაცი ვიყავი. შენ იყავი ჩემი ცხოვრების ნათელი, სიტკბო და სიმწარე... შენ დამიბრუნე ჩემი თავი, მაპოვნინე არა მარტო შენი, საკუთარი თავიც კი. შენ სიცოცხლე მომიტანე.

რამდენიმე წუთს ჟოანი ხმას არ იღებდა. რავიკი თვალს ადევნებდა. ოთხივე კიდური მკვდარი იყო, ყველაფერი მკვდარი იყო, მხოლოდ თვალები ცოცხლობდნენ ჯერაც და ბაგეები. სუნთქავდა კიდეც, მაგრამ რავიკმა იცოდა, რომ ქალის სასუნთქ გზებს უკვე

თანდათან ეუფლებოდა საბედისწერო დამბლა. უკვე ძლივსღა ლაპარაკობდა, იხრჩობოდა, კბილებს აკრაჭუნებდა, სახე მოეღრიცა, დაემანჭა. ქალი იბრძოდა. კისერი მოეგრიხა, ამაოდ ცდილობდა ლაპარაკს, ბაგე უთრთოდა. ხრიალი, ღრმა, ზარდამცემი ხრიალი... ბოლოს ყვირილმა ამოხეთქა მკერდიდან.

- რავიკ! - ხრიალებდა ქალი. - მიშველე!... მიშველე!... ახლა!...

შპრიცი მზად ჰქონდა. სწრაფად აიღო და კანქვეშ წამალი შეუშვა... არ უნდოდა, რომ ნელა და ტანჯვით დაელია სული, ჰაერის ნაკლებობით გაგუდულიყო. უაზროდ არ უნდა დატანჯულიყო. ქალს მხოლოდ ტკივილი ელოდა. მხოლოდ ტკივილი. ისიც, ალბათ, მრავალი საათის განმავლობაში.

ქუთუთოები შეუტოკდა. მერე დაცხრა. ტუჩები გაუსწორდა. სუნთქვა შეუჩერდა. რავიკმა ფანჯრის ფარდები გადასწია და ისევ საწოლთან დაბრუნდა. ჟოანის სახე გაქვავებული და უცხო ეჩვენა.

კარი გააღო და გარეთ გავიდა. ეჟენი მაგიდას უჯდა და ავადმყოფთა ისტორიებს ათვალიერებდა.

- მეთორმეტე პალატაში პაციენტი გარდაიცვალა, - უთხრა რავიკმა.

ეჟენიმ თავი დაუქნია, გავიგონეო, არც შეუხედავს.

- ექიმი ვებერი თავის ოთახშია?

- მგონი.

რავიკმა დერეფანი გაიარა. ზოგი კარი ღია იყო. არსად შეუვლია, არც შეუხედავს, პირდაპირ ვებერის ოთახში შევიდა.

- მეთორმეტე ნომერი გარდაიცვალა, ვებერ. შეგიძლიათ, პოლიციას გამოუძახოთ.

ვებერს არ აუხედავს.

- პოლიციას ახლა საამისოდ არ სცალია.

- რა?

ვებერმა ,,მატენის'' სასწრაფო გამოშვება აჩვენა. გერმანიის ჯარები პოლონეთში შეჭრილან.

- ცნობები მივიღე სამინისტროდან. ომი დღესვე გამოცხადდება.

რავიკმა გაზეთი დაბლა დადო.

- აი, როგორ წავიდა საქმე, ვებერ.

- დიახ, ეს დასასრული გახლავთ. საბრალო საფრანგეთი.

რავიკი ცოტა ხნით ჩამოჯდა. ყველაფერი დაცარიელდა.

- ეს მეტია, ვიდრე საფრანგეთი, ვებერ, - თქვა მერე.

ვებერი მიაშტერდა.

- ჩემთვის საფრანგეთია. ესეც საკმარისია.

რავიკს პასუხი არ გაუცია.

- ახლა რას აპირებთ? - ჰკითხა ცოტა დაყოვნების შემდეგ.

- არ ვიცი. ალბათ, ჩემს პოლკში დავბრუნდები. ამას კი, - გაურკვეველი ჟესტით ანიშნა კლინიკაზე, - ვინმე სხვას გადავცემ.

- კლინიკა უნდა შეინარჩუნოთ. ომში ლაზარეთებია საჭირო. თქვენ დაგტოვებენ პარიზში.

- არ მინდა აქ დარჩენა.

რავიკმა მიმოიხედა. მერე თქვა:

- აქ ჩემი ყოფნის უკანასკნელი დღეა. მგონი, ყველაფერი რიგზეა. საშვილოსნოს ოპერაციამ კარგად ჩაიარა. ნაღვლის ბუშტი კარგადაა. კიბო უიმედო საქმეა, მეორედ გაჭრას აზრი არ აქვს. სულ ეს არის.

- რატომ? - იკითხა ვებერმა დაღლილი ხმით. - რატომ არის ეს თქვენი უკანასკნელი დღე?

- როგორც კი ომი გამოცხადდება, ყველას ინტერნირებას მოახდენენ.

რავიკმა შენიშნა, რომ ვებერი რაღაცის თქმას აპირებდა.

- ამის მტკიცება ზედმეტია. ეს გარდაუვალია.

ვებერი თავის სავარძელში ჩაჯდა.

- აღარაფერი მესმის. ყველაფერი შესაძლებელია. შეიძლება ჩვენებმა საერთოდ ბრძოლაზე უარი თქვან, ისე ჩააბარონ ქვეყანა. არავინ არაფერი იცის.

რავიკი წამოდგა.

- თუ არ წამიყვანეს, საღამოს ისევ შემოვივლი, დაახლოებით, რვაზე.

- ჰო, შემოიარეთ.

რავიკი ოთახიდან გავიდა. მისაღებში მსახიობი დაინახა. ეს კაცი სულ დაავიწყდა. რავიკის გამოჩენისთანავე მსახიობი ფეხზე წამოვარდა.

- როგორ არის?

- გარდაიცვალა.

კაცი მიაშტერდა.

- გარდაიცვალა?

ტრაგიკული ჟესტით იტაცა ხელი გულზე და წაბარბაცდა. წყეული კომედიანტი, გაიფიქრა რავიკმა. ალბათ, სადმე სცენაზე გაითამაშა ასეთი როლი და ახლა, როცა ცხოვრებაშიც მსგავსი ამბავი შეემთხვა, უნებურად როლში შეიჭრა. ან, იქნებ, მართლა გულით განიცდის მომხდარს, მაგრამ პროფესიული სენით შეპყრობილის უბადრუკი ჟესტები ფარავს ნამდვილ კაეშანს.

- შეიძლება, ვნახო?

- რისთვის?

- მინდა, ერთხელ კიდევ ვნახო.

მსახიობმა მკერდზე ხელები გადაიჯვარედინა. ხელში აბრეშუმისბაფთიანი, ღია ყავისფერი ქუდი ეჭირა.

- გამიგეთ! მე უნდა...

თვალებში ცრემლი უციმციმებდა.

- მისმინეთ, - უთხრა მოუთმენლად რავიკმა. - მომწყდით თავიდან! ქალი მკვდარია და მას ვეღარაფერი უშველის. თქვენი გრძნობები თქვენთვის შეინახეთ და ეშმაკებში წაეთრიეთ! კაციშვილს არ აინტერესებს, ერთი წლის პატიმრობას მოგისჯიან თუ პათეტიკურად გაგათავისუფლებენ. გავა ორიოდე წელი და ამით იტრაბახებთ, თავს მოაწონებთ სხვა ქალებს ბაქიაობით, რომ ამით თავს მეტი ფასი დასდოთ და გულები დაიპყროთ. გაეთრიეთ - იდიოტი ხართ!

ხელი ჰკრა და კარისაკენ მიაგდო. კაცი მცირე წინააღმდეგობას უწევდა. ზღურბლზე შემობრუნდა და უთხრა:

- უგრძნობელო პირუტყვო! ქეციანო ბოშავ!

ქუჩებში აუარებელი ხალხი ირეოდა. ჯგუფ-ჯგუფად შექუჩებულიყვნენ დიდ, ელექტრონულ გაზეთებთან და თვალს აყოლებდნენ მორბენალ სიტყვებს. რავიკი მანქანით წავიდა ლუქსემბურგის ბაღში. დაპატიმრებამდე ორიოდე საათით მარტო დარჩენა მოუნდა.

ბაღი ცარიელი იყო. ხეები უკვე გრძნობდნენ მოახლოებული შემოდგომის სურნელებას - ჭკნობის კი არა, სიმწიფის ხანას. ოქროსა და ფირუზისაგან დაწნული შუქი ზაფხულის გამოსამშვიდობებელ აბრეშუმის დროშასავით ფრიალებდა.

რავიკი დიდხანს იჯდა. შუქთა ცვლასა და ჩრდილების დაგრძელებას აკვირდებოდა. იცოდა, უკანასკნელ თავისუფალ საათებს ატარებდა ამ ბაღში. თუ ომი ატყდებოდა, ,,ინტერნასიონალის“ დიასახლისი ვეღარავის დაიფარავდა. როლანდაზე ფიქრობდა. ვერც როლანდა უშველიდა. ვერავინ. ახლა რომ გაქცევა სცადოს, დაიჭერენ, როგორც ჯაშუშს.

საღამომდე იჯდა. არც სევდას გრძნობდა, არც სინანულს. მეხსიერებაში ამოტივტივდებოდნენ ხოლმე სახეები და წლები. ბოლოს კი, უკანასკნელი, გაქვავებული სახე.

შვიდ საათზე წავიდა. ჩაბნელებული პარკიდან რომ მიდიოდა, იცოდა, მშვიდობიანი ცხოვრების უკანასკნელ სავანეს ტოვებდა. ქუჩაში ექსტრაგაზეთი იყიდა. ომი გამოცხადებული იყო.

ერთ ბისტროში შევიდა, სადაც რადიო არ იყო. მერე კლინიკაში შეიარა. ვებერი შემოეგება.

- კიდევ ერთ საკეისროს ხომ არ გააკეთებდით? ეს-ეს არის, ქალი მოგვიყვანეს.

- რა თქმა უნდა.

რავიკი ტანსაცმლის გამოსაცვლელად წავიდა. დერეფანში ეჟენი შეხვდა. ძალიან გაუკვირდა რავიკის დანახვა.

- აღარ მელოდით? - ჰკითხა რავიკმა.

- არა, - მიუგო ქალმა. რაღაც სხვანაირად შეხედა და სწრაფად ჩაუარა.

საკეისრო გაკვეთა საკმაოდ მძიმე ოპერაციაა. რავიკი თითქმის მაშინალურად მუშაობდა. ზოგჯერ ეჟენის მზერას იჭერდა. უკვირდა, რა მოელანდა ამ ქალსო.

ბავშვმა დაიყვირა. დაბანეს. რავიკი წითელ სახესა და პატარა თითებს დაჰყურებდა. ქვეყნად სიცილით არ მოვდივართო, გაიფიქრა და ბავშვი სანიტარს გადასცა. ბიჭი იყო.

- ვინ იცის, რომელი ომისათვის დაიბადა! - თქვა რავიკმა და ხელების დაბანას შეუდგა. ვებერიც მის გვერდით იბანდა.

- თუ მართლა დაგაპატიმრეს, რავიკ, მაშინვე შემატყობინეთ, სად იქნებით.

- რისთვის უნდა გაგხვიოთ ზედმეტ დავიდარაბაში, ვებერ? ახლა ჯობს, ჩემნაირი ადამიანებისაგან თავი შორს დაიჭიროთ.

- რატომ? გერმანელი რომ ხართ? მაგრამ თქვენ ხომ ლტოლვილი ხართ!

რავიკმა ნაღვლიანად გაიცინა.

- ხომ იცით, ლტოლვილებს როგორ უყურებენ? თავიანთ სამშობლოში მათ მოღალატეებად თვლიან, საზღვარგარეთ კი უცხოეთის ქვეშევრდომებად.

- ჩემთვის ეს სულერთია. მინდა, რაც შეიძლება, მალე დაბრუნდეთ უკან. ჩემი სახელი ახსენეთ, თავდებად დაგიდგებით.

- თუ გსურთ, სიამოვნებით, - რავიკმა იცოდა, რომ ამის გამკეთებელი არ იყო. - ექიმს ყველგან გამოუჩნდება საქმე. - ხელი შეიმშრალა. - შეიძლება, ერთი რამ გთხოვოთ? ჟოან მადუს დაკრძალვისათვის რომ იზრუნოთ... მე ვეღარ მოვესწრები.

- რა თქმა უნდა. კიდევ ხომ არაფერია მოსაგვარებელი? მემკვიდრეების ან სხვა რაიმე საკითხი?

- ეს საქმე პოლიციას მივანდოთ. არ ვიცი, ჰყავს თუ არა სადმე ნათესავები. ესეც სულერთია.

ჩაიცვა.

- მშვიდობით, ვებერ. კარგი იყო თქვენთან მუშაობა.

- მშვიდობით, რავიკ. ჯერ კი საკეისრო ოპერაციის ანგარიში უნდა გავასწოროთ.

- ეს თანხა დაკრძალვაზე გამოიყენეთ. ისედაც ძვირი დაგიჯდებათ. ფულს, პირიქით, დაგიტოვებთ.

- არც იფიქროთ, რავიკ. არავითარ შემთხვევაში. სად გინდათ, დაიკრძალოს?

- არ ვიცი. სადმე სასაფლაოზე. სახელსა და მისამართს დაგიტოვებთ.

რავიკმა კლინიკის ბლანკი აიღო და ზედ დაწერა მისამართი. ვებერმა ცხვრისგამოსახულებიანი ვერცხლის პრესპაპიე დაადო.

- კარგი, რავიკ. მგონი, რამდენიმე დღის შემდეგ აქ აღარც მე ვიქნები. უთქვენოდ ისე ნაყოფიერად ველარ ვიმუშავებთ, როგორც უწინ.

ისინი კაბინეტიდან გამოვიდნენ.

- მშვიდობით, ეჟენი, - მიმართა რავიკმა მოწყალების დას.

- მშვიდობით, ბატონო რავიკ, - მიუგო ეჟენიმ და ისევ შეხედა. - ოტელში მიდიხართ?

- ჰო. რა იყო?

- ოჰ, არაფერი, მხოლოდ ვფიქრობდი...

*

ბნელოდა. ოტელის წინ საბარგო მანქანა იდგა.

- რავიკ! - დაუძახა რომელიღაც სადარბაზოდან მოროზოვმა.

- ბორის! - რავიკი შეჩერდა.

- პოლიციაა შენს ოთახში.

- ასეც ვფიქრობდი.

- აი, ივან კლუგეს პირადობის მოწმობა. გახსოვს, რომ გიამბე? წელიწად-ნახევრის ვადა აქვს. წამოდი „შეჰერეზადაში“, ფოტოს გამოვცვლით, სხვა ოტელს გამონახავ და რუსი ემიგრანტი იქნები.

რავიკმა თავი გადააქნია.

- ძალიან სარისკოა, ბორის. ომის დროს ყალბ საბუთს ისევ უსაბუთობა სჯობს.

- მერე, რას აპირებ?

- ოტელში მივდივარ.

- კარგად მოიფიქრე, რავიკ? - ჰკითხა მოროზოვმა.

- კი, კარგად.

- ჯანდაბა! ვინ, იცის, სად გიკრავენ თავს!

- ყოველ შემთხვევაში, გერმანელებს არ გადასცემენ ჩემს თავს. ამისი არ მეშინია. არც შვეიცარიაში გამასახლებენ. - რავიკმა გაიცინა. - შვიდ წელიწადში პირველად ხდება, რომ პოლიციას ხელიდან გასაშვებად არ ვემეტებით, ბორის. საჭირო გახდა ომის ატეხა, რომ ჩვენთვის ასეთი ფასი დაედოთ.

- ამბობენ, ლონდონში საკონცენტრაციო ბანაკს აწყობენო. - მოროზოვი წვერს იწიწკნიდა. - ამისათვის გამოიქეცი გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკიდან, რომ საფრანგეთისაში მოხვედრილიყავი?!

- ალბათ, მალე გამომიშვებენ.

მოროზოვმა პასუხი არ გასცა.

- ბორის, - უთხრა რავიკმა. - ნუ დარდობ ჩემზე. ომში ექიმები ესაჭიროებათ.

- რა სახელით ჩაჰბარდები პოლიციას?

- ჩემი საკუთარი სახელით. მხოლოდ ერთხელ ვუთხარი ეს სახელი პოლიციას, ხუთი წლის წინ. - რავიკი გაჩუმდა. - ბორის, - უთხრა ცოტა ხნის შემდეგ, - ჟოანი მოკვდა. ერთმა კაცმა ესროლა. ვებერის კლინიკაში ასვენია, უნდა დაიკრძალოს. ვებერი დამპირდა, მაგრამ მეშინია, ვაითუ ვერ მოასწროს. შეიძლება, მობილიზაციით წაიყვანონ. შეგიძლია, იზრუნო ამაზე? ნურაფერს მკითხავ, მითხარი, კი-თქო, და მორჩა.

- კარგი! - უთხრა მოროზოვმა.

- კარგი. მშვიდობით, ბორის. აიღე ჩემი ნივთებიდან ყველაფერი, რაც გამოგადგება. გადადი ჩემს სენაკში. ხომ ყოველთვის ოცნებობდი აბაზანაზე! ახლა კი წავალ. მშვიდობით.

- ცუდი საქმეა! - თქვა მოროზოვმა.

- ომის შემდეგ რესტორან ,,ფუკეში'' შევხვდეთ.

- რომელ მხარეს - ელისეს ველებისა თუ გეორგ მეხუთის?

- გეორგ მეხუთის მხარეს. იდიოტები ვართ, ცინგლიანი, ჰერო-იკული იდიოტები. მშვიდობით, ბორის.

- ცუდი საქმეა! - თქვა მოროზოვმა. - ხეირიანად გამომშვიდობებაც ვერ მოგვიხერხებია! მოდი ერთი აქ, შე დამთხვეულო!

რავიკს მოეხვია, ორივე ლოყა დაუკოცნა. რავიკმა მისი წვერის ჩხვლეტა და ჩიბუხის თამბაქოს სუნი იგრძნო. არ ესიამოვნა. მერე ოტელისაკენ წავიდა.

ემიგრანტებს ,,კატაკომბაში'' მოეყარათ თავი. პირველი ქრისტიანებივით დგანანო, გაიფიქრა რავიკმა, პირველი ევროპელებივით. სამოქალაქო ტანსაცმელში

გამოწყობილი მამაკაცი პალმის ქვეშ მაგიდას უჯდა და კითხვარებს ავსებდა. ორი პოლიციელი კარებს იცავდა, რომ არავინ გაქცეულიყო.

- პასპორტი? - ჰკითხა პოლიციელმა რავიკს.

- არ მაქვს.

- სხვა მოწმობები?

- არა.

- აქ არალეგალურად იმყოფებით?

- დიახ.

- რატომ?

- გერმანიიდან ვარ გამოქცეული. საბუთები არ მაქვს.

- გვარი?

- ფრეზენბურგი.

- სახელი?

- ლუდვიგი.

- ებრაელი ხართ?

- არა.

- საქმიანობა?

- ექიმი.

კაცი წერდა.

- ექიმი? - იკითხა და ფურცელი მაღლა ასწია. - ხომ არ იცნობთ ექიმს, რომლის გვარია რავიკი.

- არა.

- აქ უნდა ცხოვრობდეს. გვაცნობეს...

კაცმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხელი ჩაიქნია, დიასახლისმა გამომწვევად შეხედა. დიდი ხალხის პროტექციით სარგებლობდა, თავს არხეინად გრძნობდა.

- შეკარით თქვენი ბარგი, - უთხრა კაცმა რავიკს. - ერთი ხელი საცვალი და ერთი დღის საჭმელი წამოიღეთ. საბანიც შეიძლება, თუ გაქვთ.

ერთი პოლიციელი ზემოთ აჰყვა. ბევრი ოთახის კარი იყო ღია. რავიკმა აიღო ჩემოდანი, რომელიც უკვე დიდი ხანია, გამზადებული ჰქონდა, და საბანი.

- მეტი არაფერი? - ჰკითხა პოლიციელმა.

- მეტი არაფერი.

- დანარჩენს ყველაფერს აქ ტოვებთ?

- დანარჩენს აქ ვტოვებ.

- ამასაც? - პოლიციელმა მიუთითა საწოლის გვერდით მდგარ პატარა ხის მადონაზე, გაცნობის პირველ დღეებში რომ გამოუგზავნა ჟოან მადუმ ოტელ „ინტერნასიონალში“.

- ამასაც.

დაბლა ჩავიდნენ. კლარისამ, ელზასელმა მოსამსახურე გოგომ, რავიკს რაღაც პაკეტი გადასცა... რავიკმა შენიშნა, რომ ყველა ემიგრანტს ასეთი პაკეტი ეჭირა ხელში.

- საჭმელია, - აუხსნა დიასახლისმა, - შიმშილით რომ არ დაიხოცოთ. დარწმუნებული ვარ, იქ, სადაც თქვენ მიჰყავხართ, არაფერი ექნებათ გამზადებული. - მან ამრეზით გადახედა სამოქალაქოტანსაცმლიან ჩინოვნიკს.

- ნუ ლაპარაკობთ ამდენს, - ურჩია მოხელემ გაჯავრებით. - ომი მე არ გამომიცხადებია.

- არც მაგათ გამოუცხადებიათ.

- მომასვენეთ ერთი! - პოლიციელებს გადახედა. - ყველაფერი მზადაა? გაიყვანეთ გარეთ.

ხალხის მუქი მასა ამოძრავდა. რავიკმა შენიშნა კაცი და ქალი, რომელსაც ხოჭოების ეშინოდა. ქმარი ცალი ხელით ქალს იჭერდა, მეორით კი ჩემოდნები მიჰქონდა: ერთი - ხელით, მეორე - იღლიით, მათი ვაჟი კიდევ მესამე ჩემოდანს მოათრევდა. კაცმა მავედრებელი მზერა მიაპყრო რავიკს. რავიკმა თავი დაუქნია.

- ინსტრუმენტები და წამლები თან მაქვს. ნუ გეშინიათ.

მანქანაზე ავიდნენ, მოტორმა დაიგუგუნა. მანქანა დაიძრა. სასტუმროს დიასახლისი კართან იდგა და მათ ხელს უქნევდა.

- საით მივდივართ? - ჰკითხა ერთმა პოლიციელს.

- რა ვიცი!

რავიკი როზენფელდისა და ახლად მოვლენილი აარონ გოლდბერგის გვერდით იდგა. როზენფელდს ხელში მილისებური ფუტლარი ეჭირა. შიგ ჰქონდა სეზანი და გოგენი. რაღაცაზე დაძაბული ფიქრობდა.

- ესპანეთის ვიზა, - თქვა მან, - ვიდრე მოვასწრებდი, ვადა გაუვიდა... ვირთხა კი მაინც გაიქცა, - დასძინა მერე, - მარკუს მაიერი გუშინ ამერიკაში გაემგზავრა.

მანქანა ჯანჯღარებდა. ყველანი ფეხზე იდგნენ, ერთმანეთს მიკრულნი. არავინ ხმას არ იღებდა. მანქანამ კუთხეში შეუხვია. რავიკმა საცოდავად განზე მდგომ ზაიდენბაუმს გადახედა.

- აი, ერთხელ კიდევ დავადექით გზას, - თქვა მან.

რავიკს სიგარეტის გაბოლება უნდოდა. ჯიბეში არ აღმოაჩნდა, მაგრამ გაახსენდა, რომ ჩემოდანში მთელი მარაგი ჰქონდა.

- ჰო, - დაუმოწმა ზაიდენბაუმს, - ადამიანს ბევრის ატანა შეუძლია.

მანქანამ ვაგრამის ავენიუ უკან მოიტოვა და ეტუალის მოედნისაკენ გაუხვია. ერთი ნათურაც არსად ბჟუტავდა. მოედანი წყვდიადში ჩაძირულიყო. ჯოჯოხეთურ სიბნელეში ტრიუმფალური თაღიც აღარ ჩანდა.

[1]Toujours Charles - მარად შენი შარლი (ფრ.).

[2]ბრიოში - ნამცხვარი, ფუნთუშაა ერთგვარი.

[3]Pâté Maison - პაშტეტის ერთ-ერთი სახეობაა (ფრ.).

[4]katexizisi - „დარიგება“, ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით.

[5]აპაში - საფრანგეთში: დეკლასირებული ელემენტი, ჯიბგირი, ქურდი, არამზადა.

[6]ამება - უმარტივესი არსება, ერთუჯრედიანი; რუფე - ბიბლიური პერსონაჟი, უფლის რჩეული; ესთერი - ბიბლიური პერსონაჟი; ელენე - მშვენიერი ელენე, ტროას ომის მიზეზი; ასპაზია - პერიკლეს სატრფო, განთქმული ჭკუითა და სილამაზით.

[7]ვინეტა - ვენდების ქალაქი ოდერის შესართავთან სლავთა ქალაქ ვოლინში. 1184 წელს დანიის მეფესა და ნორმანთა ჰერცოგს შორის ატეხილ ომში გადაბუგეს. მოგვიანებით შეიქმნა ლეგენდა, თითქოს ქალაქი ზღვაში ჩაიძირა.

[8]კოჰინჰორი (არაბ.-ინდ. - „კოჰინურ“) - ზომითა და ღირებულებით მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ბრილიანტი, „ნათლის მთა“, ინგლისის მეფეთა გვირგვინის სამკაული, იწონის 106 კარატს.

[9]დანსინგი, dancing-hall (ინგლ.) - რესტორნის საცეკვაო დარბაზი.

[10]აქ ნაგულისხმევია პარიზის ლუვრის ერთ-ერთი მშვენება, თავმოტეხილი და ფრთაგაშლილი, მკერდწამოწეული, მარმარილოს გენიალური ქმნილება, ცნობილი სამოთრაკიელი ნიკეს სახელწოდებით. ეტყობა, ჟოანის აღწერის დროს რემარკი პროტოტიპად ამ ქანდაკებას გულისხმობს.

[11]პეისები - საფეთქლებზე დაშვებული თმა. ატარებენ მართლმორწმუნე ებრაელები.

[12]ფრანცისკ ასიზელი (1181-1226) - ცნობილი ასიზელი (ასიზი ქალაქია პერუჯასთან) ბერი, ფრანცისკელთა განთქმული ორდენის დამაარსებელი, სიღატაკისა და სრული განდეგილობის მქადაგებელი. მოგვიანებით ფრანცისკი წმინდანად შერაცხეს.

[13]ბედეკერი - ცნობარი მოგზაურთათვის, ტურისტებისათვის (გერმანელი გამომცემლის კ. ბედეკერის გვარის მიხედვით).

fb.com/groups/elib

[14]მზის წნული - ნერვული კვანძები მუცლის ღრუში.

[15]ასფოდელია, ასფოდელო - ბერძნ. „ასფოდელოს“, ლათ. „ასფოდელუს“, სამკურნალო მცენარე, „მედეას ბაღის“ ერთ-ერთი ბალახი; სახელწოდება მომდინარეობს ქართულიდან: „ასფოთოლა“.

[16]ანტუან ვატო (1684-1721) - გამოჩენილი ფრანგი მხატვარი, „როკოკოს“ მანერული სტილის დამაარსებელი ფერწერაში. ხატავდა მშვენიერ პეიზაჟებსა და უდარდელი დროს ტარების სენტიმენტალურ სცენებს.

[17]ჟან-ბატისტ კოლბერი (1619-1683) - გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ლუი XIV-ის ფინანსთა მინისტრი. დიდ პარიკს ატარებდა.

[18]ფრანსუაზა ლავალიერი (1644-1710) - ჰერცოგის ქალი, ლუი XIV-ის საყვარელი, რომელსაც ოთხი შვილი ჰყავდა მისგან.

[19]დედანშია Totenvogel - „მკვდრის ფრინველი“, Totenkopf - „მკვდართავა“ (გერმ.) (ლათ. sphinx atropos). თარგმანში გამოყენებულია „ვირთხა“: საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვირთხები დასაღუპად განწირული გემიდან პირველები გარბიან.

[20]სეპია - ერთგვარი ყავისფერი საღებავი ან ამ საღებავით შესრულებული სურათი (ბერძნ.).

[21]პიციკატო (და არა პიჩიკატო, იტალ.) - საკრავის სიმებიდან უხემოდ, პირდაპირ თითების დაკვრით გამოღებული ხმა.

[22] I’attendrai... I’attendrai... - „მე შენ გელი... მე შენ გელი...“ (ფრ.).

[23]მოროზოვი გადაკვრით ლაპარაკობს მარსზე - ომის ღმერთზე (რომაული მითოლოგიით) - და გულისხმობს მოახლოებულ ხოცვა-ჟლეტას.

[24]აჰასფერი (ებრაულად „მეფე“) - გვიანდელი ქრისტიანული ლეგენდის გმირი, რომელმაც ერთი წუთით არ შეასვენა თავის სახლში საწამებლად განწირული იესო ქრისტე. ქრისტემ მას სამუდამო ხეტიალი არგუნა; „მარადი ურია“.

[25]Ti amo - მიყვარხარ (იტალ.).

[26]Mi ami - გიყვარვარ? (იტალ.).

[27]Sono stata... Aempre con te - მარად შენთან ვიყავი (იტალ.).

[28]Baciami - მაკოცე (იტალ.).

[29]Sono stata... Perduta senza di te - უშენოდ მე დავიღუპე (იტალ.).